თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ნიკო ნიკოლაძის კაბინეტი

ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

ტომი VII

XII, 1878 – I, 1880

პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის
რედაქციით და შენიშვნებით

თბილისი 1985

60.55(2Г)
301 (47.922) (092 ნიკოლაძე)
ნ 636

სარედაქციო კოლეგია

დ. გამეზარდაშვილი (მთავარი რედაქტორი), ვ. გამყრელიძე, ლ. გორგილაძე, კ. რამიშვილი, ნ. ტაბიძე, ვ. შადური, გ. ჯავახიშვილი, ს. ჯორგენაძე.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985

Н ——————
М608(06)—85

რედაქტორისაგან

ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი უდგას სათავეში, სხვადასხვა მიზეზების გამო, საკმაოდ შეფერხდა. წინა — მეექვსე ტომი მკითხველმა მიიღო ჯერ კიდევ 1970 წელს. მას შემდეგ ვეღარ მოხერხდა მომდევნო ტომების მომზადება და გამოცემა. ამჟამად კი უნივერსიტეტის რექტორატმა ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს და დამთავრდეს თავის დროზე კარგად დაწყებული და მეტად საშური საქმე; ერთი წლის წინათ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან შეიქმნა ნიკო ნიკოლაძის კაბინეტი, რომელიც უშუალოდ ამ ამოცანის შესასრულებლად არის მოწოდებული. შეიქმნა ნ. ნიკოლაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ახალი სარედაქციო კოლეგიაც.

ნიკო ნიკოლაძის კაბინეტმა მოამზადა და მკითხველს სთავაზობს წინამდებარე მეშვიდე ტომს. გაცხოველებული მუშაობა წარმოებს მომდევნო ტომების შედგენისა და თარგმნისათვის, ოაც იმის საწინდარია, რომ ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა უახლოეს წლებში დასრულდება. ამ გამოცემით კი ჩვენს ხალხს დაუბრუნდება უაღრესად მდიდარი და საინტერესო პუბლიცისტერ-კრიტიკული მემკვიდრეობა იმ დიდი ქართველი მოაზროვნისა, რომელიც დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მხარდამხარ მოღვაწეობდა და მსოფლიო მასშტაბის აღიარება დაიმსახურა. ამასთან მას ბედმა არგუნა არა მხოლოდ ნაყოფიერი, არამედ ხანგრძლივი მოღვაწეობაც, რამაც მას შესაძლებლობა მისცა მოსწრებოდა ოქტომბრის დიდ რევოლუციას და ათ წელზე მეტ ხანს ემოღვაწა როგორც საბჭოთა ქვეყნის აქტიურ მშენებელს. ამ მხრივ იგი ყველაზე ქედბედნიერი აღმოჩნდა გამოჩენილ სამოციანელთა შორის და მანაც ღირსეულად გამოიყენა ამგვარი შესაძლებლობა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ნიკო ნიკოლაძე თითქმის ერთნაირი წარმატებით თანამშრომლობდა საქართველოს, რუსეთის და საზღვარგარეთის პრესაში; წერდა და ბეჭდავდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამიტომ მისი თხზულებების გამოცემას რთულ და შრომატევადს ხდის არა მხოლოდ ის, რომ ნაწერების დიდი უმეტესობა მას დაწერილი აქვს რუსულ და ფრანგულ ენებზე, არამედ, უმთავრესად, ის გარემოება, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა გამოქვეყნებულია ხელმოუწერლად. კერძოდ, წინამდებარე ტომში შესული მასალიდან დღემდე ავტორისეულად ცნობილი იყო მხოლოდ სამი ნაშრომი („სტუდენტობის პირველი დრო", „მამულის სიყვარული და მსახურება", „ობზორის" რედაქტორის პროცესი"), ხოლო ქართულად დაწერილია მარტო ორი მათგანი („სტუდენტობის პირველი დრო", „მამულის სიყვარული და მსახურება").

ამგვარად, როგორც ადრეც აღენიშნეთ, გვიხდება არა მხოლოდ რუსულად და ფრანგულად დაწერილი სტატიების თარგმნა და მისი სათანადო რედაქცია, არამედ თვით ამ სტატიების ავტორობის დადგენა, რაც არა მხოლოდ შრომატევად სამუშაოსთანაა დაკავშირებული, არამედ — საგანგებო კვლევა-ძიებასთანაც. როგორც ვხედავთ, შემთხვევით არ გვითქვამს — ამ გამოცემით ქართველ ხალხს უბრუნდება ნ. ნიკოლაძის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. დიახ, ნ. ნიკოლაძის ნაწერე-

ბის დიდი უმრავლესობა დღემდე უცნობი იყო არა მარტო ფართო მკითხველისათვის, არამედ — სპეციალისტებისთვისაც. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგები უნდა იყოს ნ. ნიკოლაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის როგორც სირთულე, ასევე მისი დიდი მნიშვნელობაც ქართული და რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

ყოველნაირად ვცდილობთ მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ იგი მაქსიმალურად იყოს დაზღვეული შეცდომებისაგან; კერძოდ იმისაგან, რომ ნ. ნიკოლაძის თხზულებებში არ გაგვეპაროს სხვა ავტორთა ნაწერები, იმის თქმა კი ძნელია, რომ ჩვენ შოვახერხეთ ნ. ნიკოლაძის ყველა სტატიის მოძიება და მისი ავტორობის დადგენა. და თუ ასეთი ხარვეზები გვაქვს, ბეჯითად ვმუშაობთ მის ამოსავსებადაც, — მომდევნო ტომებში, დამატების სახით, დაიბეჭდება ის სტატიები, რომლებიც წინა ტომებში ვერ შევიდნენ, რადგან მაშინ არ მოხერხდა მათი ავტორობის დადგენა.

საგანგებოდ ვერიდებით კომენტარების გაზრდას და მის გადაქცევას გამოკვლევათა კრებულად; კომენტარს ვუკეთებთ მხოლოდ იმ ფრაზებსა და გამოთქმებს, რომელთა განმარტება, ტექსტის მართებული აღქმისათვის, თანამედროვე მკითხველისთვისაც აუცილებელია.

ტომი შეადგინა დოც. მ. კანდელაკმა, თარგმანი ეკუთვნის გ. გ. ნიჟარაძეს. კომენტირებული სახელთა საძიებელი მოამზადეს ნ. ნიკოლაძის კაბინეტის თანამშრომლებმა: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. დათუკიშვილმა, ს. ბაზოვამ და მ. მახარაძემ.

სარედაქციო კოლეგია სთხოვს სპეციალისტებსა და ყველა მკითხველს, მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები აღნიშნული გამოცემის ყველა ასპექტთან დაკავშირებით.

1. პალატის განაჩენი

თბილისი, 30 ნოემბერი

ჩვენი მხარის სასამართლო მატიანეში უმაგალითო თორმეტსაათიანი სხდომის შემდეგ, თბილისის სასამართლო პალატამ განაჩენი გამოიტანა ნინა ანდრეევსკაიას მკვლელობის საქმის შესახებ. მაგრამ ამ საქმეში უმაგალითო მოვლენა მარტო მოსამართლეთა თათბირის ხანგრძლიობა არაა. ჩვენში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე სისხლის სამართლის დანაშაული ასე გულმოდგინედ და მოთმინებით განეხილოთ. ჯერ ბრალდებულის განკარგულებაში არ ყოფილა დაცვის ასეთი მდიდრული, კოლოსალური საშუალებები. მხედველობიდან არ გამოუშვიათ არც ერთი წვრილმანი, არც ერთი შტრიხი, ყველაფერი, რის დასახელებაც შეეძლო ბრალდებულის გასამართლებლად უაღრესად მაძიებელ და გამჭრიახ გონებას, ყველაფერი, რისი მოგონებაც შეეძლო ბრალდების მოსაზრებების უარსაყოფად მოქნილ და მოხერხებულ დიალექტიკას, ყველაფერი, რისი თქმაც შეეძლო მეცნიერებას — ყველაფერი მოიგონეს, მოიყვანეს და თქვეს. დაცვამ კეთილსინდისიერად, გულმოდგინედ, ბრწყინვალედ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, რაც უკეთეს ამოცანებს უფრო შეეფერებოდა: მან უკლებლივ თქვა ყველაფერი, რისი თქმაც შეიძლებოდა ბრალდებულის გასამართლებლად ან ბრალდების მოსაზრებათა შესარყევად.

მაგრამ ამდენი მეცადინეობა მაინც უშედეგო აღმოჩნდა. ბრწყინვალე, ფუფუნებით გარემოცულმა დაცვამ, არათუ მოსამართლეების, არამედ ხალხის რწმენაც ვერ შეარყია, ხალხისა, რომელიც ცუდად იცნობდა საქმის წვრილმან მხარეებს და, მოსამართლეების მსგავსად, საქმეში ჩართული ცნობების მიხედვით არ შეეძლო კონტროლი გაეწია ბრწყინვალე დიალექტიკის ძალდატანებით მოყვანილი მოსაზრებების საბუთიანობისა და საფუძვლიანობისათვის. ხალხი ბატ. ვ. დ. სპასოვიჩის ტალანტმაც კი ვერ გაიტაცა. გულწრფელად გულდაწყვეტილხი, რასაც ერთვოდა ძლიერი აღშფოთება, არაერთხელ გავხდით მოწმე ისეთი სავალალო მოვლენისა, როგორიც დასაშვებია მხოლოდ ცირკში

მოხდეს, ბატ. სპასოვიჩის თაყვანისმცემლების გაუბედავ აპლოდისმენ-ტებს აყრუებდა და წყვეტდა ხალხის ხმაური... ამიტომ საჭიროც კი არაა იმაზე ლაპარაკი, რომ მოსამართლეები ხალხზე ნაკლებად ემორ-ჩილებოდნენ დამცველთა ტალანტის, ცოდნისა და ხელოვნების მომ-ხიბვლელობას...

ხალხი, ღამის სამის ნახევრამდე, მოთმინებით ელოდა პროცესის დასასრულს და უკვირდა, რაზე თათბირობდნენ მოსამართლეები ამდენ ხანს. ამ ხალხში ცოტას ესმოდა, რომ მოსამართლეებს, რომელთა სინ-დისზეც იყო დამოკიდებული სამი ბრალდებულის ბედი და ღირსება, და მათთვის განაჩენი უნდა გამოეტანათ, საქმის მონაცემების მიხედვით უნდა შეემოწმებინათ დაცვისა და ბრალდების ყოველი მოსაზრება... და მათ ღირსეულად შეასრულეს ეს ამოცანა.

სასამართლოს განაჩენი არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, იმისთვის, რომ „ქალიშვილ ნინა ანდრეევსკაიას უეცარი გაქრობა" მკვლელობას და დანაშაულს კი არ მივაწეროთ, არამედ — უბედურ შემ-თხვევას, — როგორც ამას დაცვა ამტკიცებდა, — უნდა დავუშვათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის გამო ნინა ანდრეევსკაიას თვითმკვლელობის დაუჯერებელი ვარაუდის ირგვლივ თავი უნ-და მოეყარა ოცდათხუთმეტ ერთი მეორეზე უფრო იშვიათ, დაუჯერებელ და არაბუნებრივ შემთხვევას. 35 შემთხვევიდან მოვიყვანთ რამდენიმეს, რომელთა დაშვება აუცილებელია, რათა და-ვრწმუნდეთ, რომ დანაშაულს, ამ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ ნინა ანდრეევსკაიას გონივრულობას და სერი-ოზულობას ერთხმად ადასტურებს ყველა მოწმის ჩვენება, ჩვენ მაინც გამოვდივართ მისი დაუფიქრებლობისგან და ვუშვებთ შემთხვევითო-ბის აი როგორ რიგს: მან შემთხვევით არ წაიღო თან საცვლები გამო-საცვლელად და ეს საქმე მეორე დილისათვის გადასდო; შემთხვევით გაიარა ტალახიანი ბილიკი და ფეხსაცმელი არ დასვრია. შემთხვევით მოუვიდა ნერვიული შეტევა, როცა წყალში ჩავიდა, შემთხვევით დაღ-წია თავი მორევს, საიდანაც ვერ გამოცურავდა დახელოვნებული მცუ-რავი დოქტორი გორალევიჩი და შემთხვევით, პირველივე აბცუგისთა-ნავე, გაიტაცა მდინარის ძლიერმა დინებამ. ამის შემდეგ, შემთხვევით გასცურა 33 ვერსი 0,35 საჟენის სიჩქარით წამში, როცა მდ. მტკვრის დინების საშუალო სიჩქარე წამში 0,45 საჟენია; შემთხვევით არ წაძო-ედო არაფერს, არც ნაპირებთან და არც ნახევრად ამომშრალი მდინა-რის მეჩეჩებთან, შემთხვევით არ დაეჯახა არც ერთ წყალქვეშ მდებარე ქვას, რითაც სავსეა მტკვრის კალაპოტი; შემთხვევით გადასცურა მდი-ნარე იქ, სადაც მისი სიღრმე ოთხ გოჯს უდრის. შემთხვევით ამოტივ-ტივდა მისი სხეული იმ წამსვე ზედაპირზე, როცა სხვა გვამს გასაბერად

და ამოსატივტივებლად 12 საათი სჭირდება; შემთხვევით დაულპა ფილტვები და კუჭი, რათა შესაძლებლობა მიეცა წყლისათვის და ქაფიანი სითხისათვის — ორგანიზმში შეეღწია; შემთხვევით დაულპა ნაწლავებისა და კუჭის ლორწოვანი გარსი და ა. შ., რათა შეცდომაში შეეყვანა უწინდელი ექსპერტები და ამავე დროს შემთხვევით დარჩა ხელუხლებელი სახით საშოს ლორწოვანი გარსი, რათა პროფესორ სოროკინს ავტორიტეტულად ემტკიცებინა, რომ მიცვალებულს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქალის ჩვეულებრივი და მორიგი დაავადება. ასევე შემთხვევით მოკლულ ძაღლი, შემთხვევით ეჩურჩულებოდა ჩქოტუა დაპატიმრებულ გაბისონიას, შემთხვევით იკატუნებდა თავს კადურინის წინაშე, შემთხვევით ფითრდებოდა, შემთხვევით ცრუობდა და ა. შ., და ა. შ. ყველა ასეთ შემთხვევითობას ვერ ჩამოთვლი, ბოლოს და ბოლოს, რა სასწაულია ამ დაუჯერებელი შემთხვევითობების და გაუგებარი ვნებების გადაჯაჭვა, ან რატომ უნდა უარვყოთ ჩვენ, ასეთი ფანტაზიის გამო, ბრალდების აზრი, რომელიც უამრავ დამთხვევასა და ფანტასტიკურ შემთხვევას კი არ ეყრდნობოდა, არამედ სრულიად ბუნებრივ ვარაუდს და უდავოდ დამტკიცებულ ფაქტებს. „შემთხვევითობის" მთელ ამ სიმდიდრეს შეიძლება მხოლოდ ერთი შედეგი გამოეღო: დაეეჭვებინა ხალხი და მოსამართლეები ერთი-ორი-სამი ფაქტისა და მოსაზრების სისწორეში... და მართლაც, როგორც კი დაცვა რომელიმე მოსაზრების სისწორეში უმცირეს ეჭვს შეიტანდა, პროკურატურა, მფლანგველი შვილის მსგავსად, ერთმანეთის მიყოლებით უკუაგდებდა მათ. მაგრამ მთავარი მასალა, ფაქტები მაინც დარჩა, რადგან მათში, აშკარა ძალდატანების გარეშე, ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. ასეთი ფაქტებია: სუფთა ფეხსაცმელი, ჩქოტუას ალიბი, ძაღლების დამწყვდევა, მტკვარში ოთხი გოჯის სიღრმე წყალი, ადრინდელი სისხლნაჟღენთები და ა. შ., რომელთაც, ისევე როგორც შემთხვევითობებს, ერთბაშად ვერ ჩამოთვლი.

ჩვენ ამას იმ მიზნით კი არ ვწერთ, რომ განვამტკიცოთ განაჩენი, რომლის ავტორიტეტულობას ჩვენი მხარდაჭერა არ სჭირდება; არც იმიტომ რომ უარვყოთ დაცვის არგუმენტები... ჩვენ შეგვეძლო ყველა ეს მოსაზრება განაჩენის გამოტანამდეც წარმოგვედგინა, მაგრამ მაშინ ამას ახსნიდნენ ისე, თითქოს ჩვენ გვსურს გავლენა მოვახდინოთ სასამართლოზე და დავამძიმოთ როგორც დაცვის ამოცანები, ასევე ბრალდებულთა ხვედრი. ჩვენ სრულიად გულგრილად ვართ განწყობილი უბედურ ჩქოტუასა და გაბისონიას მიმართ და გვაინტერესებს ამ საქმის ბევრი სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მხარეები. ეს მხარეები რომ ისე შეგვეფასებინა, როგორც საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, უხდა შევხებოდით საქმის არსს. სწორედ ეს გავაკეთეთ ჩვენს დღევანდელ

შენიშვნებში. ჩვენ დავადგინეთ და განვამტკიცეთ ეს ამოსავალი წერტილი პალატის ავტორიტეტული განაჩენით. ხოლო შემდეგ სტატიებში განვიხილავთ ამ საქმის ისეთ მხარეებს, რომელთაც წმინდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ასეთი საკითხებია ამ საქმის გამოძიება, დაცვის სისტემა, მეცნიერების წარმომადგენელთა როლი, მთარგმნელთა მნიშვნელობა და მომზადება და ა. შ. ყოველი ზემოჩამოთვლილი საკითხი მნიშვნელოვანია და ცალკე განხილვას მოითხოვს.

2. ლიტერატურული პროცესები

თბილისის საზოგადოება, რომელმაც ვერ მოასწრო ანდრეევსკაიას პროცესზე წარმოთქმული გრძელი სიტყვებისა და ძლიერი განცდებისაგან დასვენება, ხელახლა ხდება მთელი რიგი ლიტერატურული პროცესების მოწმე. ისარგებლა რა იმით, რომ ანდრეევსკაიას პროცესმა სასამართლოში თავი მოუყარა ადგილობრივი გამოცემების ყველა რედაქტორს, სასამართლო ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს მოასწრო გადაეცა მათთვის საბრალდებულო აქტები... ასეთი აქტი, მაგალითად, გადასცეს: „ტიფლისკი ვესტნიკის"[1] რედაქტორს დ. გ. ერისთავს და „დროების"[2] რედაქტორს ს. ს. მესხს. ორივეს ბრალად ედებათ „პრესის კანონების დარღვევა", „1029 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული", რისთვისაც მომავალ ორშაბათს, 4 დეკემბერს, საოლქო სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს გაზეთ „ობზორის"[3] რედაქტორი.

ბარემ ამ უკანასკნელი პროცესის შესახებაც. მოწმე-ბრალმდებელად ამ საქმეზე სასამართლოში მოწვეული აღმოსავლური და ადგილობრივი ხალხების ენებზე გამომავალი გამოცემების უფროსი ცენზორი ბატ. სულეიმან ხან მელიქ მეღრაბოვი, რომელიც ცენზურაში ატარებდა „ობზორის" იმ ბედუკულმართ სტატიებს, რომელთა გამო ბატ. ნიკოლაძეს სასამართლოს წესით სდევნიან. ჩვენ არ ვიცით, ვინ დაიჭერს ბრალმდებლის სავარძელს, მაგრამ თავი თვით ბრალდებულმა უნდა დაიცვას.

*

ქართული იაფფასიანი გამოცემების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ჩვენს წინ სამი ახალი ბროშურაა, რომელთაგან ორი იმავე დაუღალავმა ექვთიმე ხელაძემ გამოსცა.

ბატ. ი. ლიაძის მიერ შედგენილი საქართველოს 1879 წლის კალენდარი მოწონებას იმსახურებს, რადგან ქართული კალენდარი ძნელი საშოვნია. აქამდე კალენდრის სახელწოდებით მხოლოდ ბატ. მდივანი უშვებდა უბრალო საეკლესიო დღეთა აღნუსხვას, ყოველგვარი კალენდარული მონაცემების გარეშე. ოთხი წლის წინათ „დროების" რედაქციამ სცადა გამოეცა პატარა კალენდარი, მაგრამ რატომღაც, მხოლოდ არა იმიტომ, რომ არ საღდებოდა, შეწყვიტა გამოცემა. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ქართველ ხალხს სჭირდება რიგიანად შედგენილი ცნობარი და ბატ. ლიაძის ნაშრომი ერთგვარად აკმაყოფილებს ამ ძოთხოვნილებას.

სამწუხაროდ, ბატ. ლიაძის კალენდარი ძალზე პატარა და არასრულია. იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში იგი გაუმჯობესდება შინაარსობრივად და გაიზრდება მოცულობით.

ბატ. ხელაძის მეორე გამოცემაში თავმოყრილია ჟურნალ „ცისკრის"[4] ყოფილი რედაქტორ-გამომცემლის ივ. კერესელიძის ლექსები. ლექსები დაწერილია 1854—1876 წლებში. ზოგიერთი მათგანი ურიგო არაა, მაგრამ უმეტესობას არავითარი მხატვრული და ლიტერატურული ღირსება არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, ისტორიკოსისა და ქართული ლიტერატურის მოყვარულისათვის ამ გამოცემაში ბევრი რაშაა საინტერესო, რაც ყურადღებას იმსახურებს. იმედი გვაქვს, ამ გამოცემას დავუბრუნდებით 1879 წლის დასაწყისში, როცა „ობზორის" მკითხველს გავაცნობთ ქართული ლიტერატურის განვითარებას 1878 წელს.

მესამე ბროშურა გამოსცა პატივცემულმა გ. ვ. დიდებულიძემ. გამოცემის სახელწოდებაა „პასტორის ცხოვრება". ამ სახელწოდებით ბატ. დიდებულიძემ თარგმნა გოლდსმიტის ცნობილი თხზულება — „ბეკფილდელი მღვდელი". ნაწარმოები ორიგინალიდან კი არაა თარგმნილი, არამედ რომელიღაც რუსული, ძალზე თავისუფალი თარგმანიდან.

ჩვენ ყველა ამ გამოცემას იმიტომ არ ვუსურვებთ წარმატებას, რომ ეჭვი არაა, ისინი ჩვენი სურვილის გარეშეც მიაღწევენ სრულ წარმატებას: კითხვას მოწყურებული ქართველი საზოგადოება ამ გამოცემებსაც ისევე გადაყლაპავს, როგორც გადაყლაპა ყველა დანარჩენი იაფფასიანი ქართული გამოცემა.

8. გზა ყარაბულაზიდან კახ-პულარისაკენ

თბილისი, 1 დეკემბერი

„ობზორის“ [3] № 319-ში გაზეთ „კავკაზიდან“ [11] გადმოვბეჭდეთ ბოლო ოფიციალური ცნობა, თუ რა მდგომარეობაშია ამუ-დარია მას შემდეგ, რაც იგი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. ეს ცნობები ფრიად არასახარბიელოა, რადგან გვატყობინებენ, რომ კახ-პულართან წყლის დინება მეტად შესუსტებულია, მისი დონის საერთო დაწევის შემდეგ. ხივინის ხანი უკვე შეუდგა ყიზილ-ტამირთან ჯებირის შეკეთებას და წყლის გადასაღობად მიღებულია ქმედითი ზომები. ეჭვის მიტანა ამ ცნობებში, სრულიად უსაფუძვლოა; ამიერკავკასიის სამხედრო განყოფილების უფროსმა გაგზავნა საქმეში ჩახედული ოთხი ადგილობრივი მკვიდრი ამბის გასაგებად. ამასთან ერთად, სთხოვა ამუ-დარიის განყოფილების უფროსსა და ხივინის ხანს ეცნობებიათ, რაც შეიძლება დაწვრილებით, შექმნილი ვითარების შესახებ ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

ცხოველი მიმოწერა და ადგილობრივ მკვიდრთა გაგზავნა — საგნის სერიოზულობის ფრიად შესატყვისი ღონისძიებებია და ათასიდან კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია საკანცელარიო წესრიგის დამღუპველობისა იმ საქმეში, რომელიც ენერგიულ და ფაქტიურ ქმედითობას მოითხოვს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამუ-დარიის განყოფილების გამგემაც, თავის მხრივ, ხელქვეითებს დაავალა შეეგროვებინათ დაწვრილებითი ცნობები ამ პასუხსაგებ საგანზე და თვითოხაც ხივინის ხანს მიაჩერდა.

როგორც ეტყობა, ხივინის ხანის კანცელარიაც წესრიგშია, რადგანაც დიპლომატიური წესით წამოჭრილ კითხვაზე მათ სათანადო ნოტა მიაყოლეს, ყოველ შემთხვევისათვის „კავკაზის“ სტატიიდან სჩანს, რომ ხივინის ხანი წერს და, ამასთანავე, შესაძლებლობისდაგვარად დაწვრილებით იუწყება, რომ ყიზილ-ტამირთან წყლისათვის გზის გადასაღობად მიღებულია ქმედითი ზომები. ეს გასაგებიცაა: ამუ-დარიის კალაპოტის განგრევით ირღვევა ხივინის ხანის ინტერესებიც, ამიტომაც იგი ჩქარობს მის გადაღობვას. კარგი მეპატრონე სხვანაირად ვერც მოიქცევა. დიპლომატიური მიმოწერა, თავისთავად პასუხს ითხოვს, მაგრამ

ამუ-დარიის რუსეთში გაშვება პასუხს კი არა, გზის გადაღობვას საჭიროებს, ამიტომ ხანი ყოველ ღონეს ხმარობს. ასე რომ, როცა ჩვენი სამეცნიერო ექსპედიცია ადგილზე ჩავა ნახავს, რომ ამუ-დარიისათვის უკვე აშენებულია შესანიშნავი ჯებირები, რომლებიც არეგულირებენ მის კალაპოტს არალის ზღვის შენარჩუნებისა და დღეგრძელობის მიზნით.

მათ ისღა დარჩენიათ, რომ გააკეთონ დასკვნა: ძველი ჯებირების უვარგისობა დამტკიცდა მაშინ, როცა ამუ-დარიამ შემთხვევით გაარღვია იგი. მაგრამ ახალი ჯებირები კი გაცილებით უკეთესია და საიმედოდ იცავენ ამუს კასპიის ზღვისაკენ შემობრუნებისაგან. შემდეგ, გააგრძელებენ რა გზას ყიზილ-ტამირიდან, მათ ისღა დარჩებათ, რომ გამოჰკითხონ ადგილობრივი მაცხოვრებლები და გადახედონ ამიერკავკასიის სამხედრო განყოფილების გამგის, ამუ-დარიის უფროსისა და ხივინის ხანის მიმოწერებს. ასე და ამგვარად, ყველაზე ადვილია კასპიის ზღვისაკენ ამუ-დარიის მობრუნების საკითხის დასამარება და ამუ-დარიის წინა გარღვევასა და ხივინის ხანის ინტერესების შესახებ სამეცნიერო თხზულების შეთხზვა.

ჩვენ გვჯერა, რომ ნაშრომი იქნება ღირსეული თავისი გამოთვლებით, ციტატებით, გეგმებით და პროფილებით, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ის ადგილები მორწყას, რომელზეც უახლოეს ხანებში გაივლის საავჭრო გზა რუსეთსა და შუა აზიას შორის და შეიძლებოდა დიდ ფართობზე აქ ეხარა იმ მცენარეებს, რომლებიც ჩვენ არა გვაქვს და საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს ოქროზე, ვინაიდან ძალზე ჭირდება იგი ჩვენს მრეწველობას, უზბოიდან კვლავ გადაგდებული ამუ-დარია უსარგებლოდ ჩაედინება არალის ზღვაში. აი, ამის გვეშინოდა ჩვენ, როცა საყვედური დავიმსახურეთ სამეცნიერო კვლევისადმი უპატივცემულებაში.

საუბედუროდ, კანცელარიამ თავიდან აიცილა ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ყოველნაირი ძვირადღირებული მიგნებებისა და უფროსების შინა და გარე მიმოწერისა გარეშე დაგვარწმუნებდა ამუ-დარიის კასპიის ზღვაში ჩასვლის შესაძლებლობას.

სამეცნიერო გამოკვლევები ახლა მოითხოვენ დიდ თანხას, ფულს კი მოფრთხილება უნდა, სამუშაოებიც გადაიდება რამდენიმე ხნით. ამუ-დარია კი დიდხანს არ იდინებს იქეთ, საითაც ეს რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს სჭირდება.

იქნებ ჩვენ ვცდებით, და ეს უაღრესად სასიამოვნო იქნება, მაგრამ სრული სერიოზულობით გვესმის, თუ რა საჭიროა მთელი მრეწველობისა და ვაჭრობისათვის, რომ ამუ-დარია კასპიის ზღვაში ჩავიდეს.

სტატიაში, რომელიც „კავკაზიდან" გადმოვბეჭდეთ, მითითებულია იმ უპირატესობაზე, რომელიც გააჩნია გზას კახ-პულარიდან ყარაბულაზის ყურემდე. მართლაც, გზა კახ-პულარიდან ყარაბულაზის ყურემდე,

რუქის მიხედვით, ყაპლან-კირის მთის ძირის გაყოლებით, 200 საჟენია, ხოლო უზბოიდან ბალხანის ყურემდე — 500 საჟენი.

უპირატესობა „კავკაზის“ მიერ შემოთავაზებული მოკლე გზისკენაა, მაგრამ კაპიტან ივაშინიცევის მიერ გადაღებულ ზღვის რუქაზე მოჩანს, რომ ყარაბუღაზის ყურე დიდ სიგრძეზე არ არის ღრმა (არა უმაღლეს 5 ფუტისა, მთელი ათეული საჟენის სიგრძეზე).

ყურეში, ანუ ყარაბუღაზის სრუტეში შესავალი, ზიგზაგობრივი ფარვატერის დროს, 4-დან 7 საჟენამდეა. ასეთი სიღრმის დროს კი გემების მოძრაობა შეუძლებელია, თუმც „კავკაზის“ ერთ-ერთ სტატიაში ლაპარაკია, რომ ამ ბოლო დროს ეს ფაქტი მტკიცდება. მაგრამ კაპიტან ივაშენცევის რუქის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ: ან კასპიის ზღვის დონემ აიწია, ანდა ფსკერმა ჩაიწია, ან ცურვას აწარმოებდა ორთქლის ბარკაზი ან ბრტყელძირიანი გემი. ყოველ შემთხვევაში, მოსახერხებელი შესასვლელის ან ყარაბუღაზის ყურის ნავსადგურის მოწყობა, რუქით თუ ვიმსჯელებთ, დაკავშირებულია არა მარტო დიდ ტექნიკურ, არამედ — ფინანსიურ სიძნელეებთანაც.

კრასნოვოდსკი წარმოადგენს არაჩვეულებრივად მოსახერხებელ და ბუნებრივ პორტს. და თუ, კრასნოვოდსკიდან ხივამდე, 200 საჟენით დაგრძელდა გზა, ამას შეიძლება დიდი მნიშვნელობა მიეცეს რკინიგზის გაყვანისას. ყარაბუღაზის გაწმენდა, და იქ პორტის მოწყობა, ზედმეტი 200 საჟენი რკინიგზის აშენებაზე ძვირიც რომ დაჯდეს, მაინც, უდავოდ, უპირატესობა უნდა მიეცეს ყარაბუღაზიდან კახ-პულარამდე უმოკლესი გზის მონახვას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ყოველი ტვირთის ხივაში შეტანა და გამოტანა ბევრად იაფი დაჯდება. მაგრამ ამჟამად საკითხი დგას ამუ-დარიის კასპიის ზღვისკენ წაყვანაში, არა ნაოსნობის, არაშედ მორწყვისა და, შემდგომში, მის გასწვრივ გზის გაყვანის მიზნით.

ნათელია, რომ რაც უფრო მეტი ტრამალის მანძილს გაივლის ამუ, მით უფრო მეტი იქნება მორწყული მიწების რაოდენობა. მეტი სარგებლობაც მიიღება ამისგან, რადგანაც უფრო დიდი შესაძლებლობა იქმნება მივიღოთ მეტი მოგება ამ მიწაზე გაშენებული კულტურისაგან. ამიტომ, ამჟამად მიუხედავად ყარაბუღაზის ყურის სიახლოვისა, ჩვენ მაინც იმის მომხრენი ვართ, რომ ამუმ იდინოს უზბოის გავლით ბელხანის ყურემდე. ივანშენცევის გადაღებების შემდეგ ყარაბუღაზში თუ მოხდა რაიმე ცვლილებები, ძალიან გვსურს, რომ მათ, რომლებმაც რაიმე იციან ამ ცვლილებების შესახებ, შეგვატყობინონ ყველაფერი უფრო დაწვრილებით, რათა თავიდან ავიცილოთ უნებლიეთ წამოჭრილი გაუგებრობანი, რაც ყარაბუღაზის ყურეში გემების მოძრაობის შესაძლებლობას შეეხება.

4. საკვირაო საუბრები

წარსული კვირის ლომები. — პროფესორი სოროკინი. — რა ძნელია უფორმო საგნების ხატვა. — ბატ. სოროკინის პორტრეტი. — მისი თვალსაზრისი. — ადამიანი შეიცანი ხმით! — როლი, რომელიც ბატ. სოროკინს უნდა შეესრულებინა... რატომ და როგორ ვერ შეასრულა? მისი გამოხდომები — დაბნეული ექსპერტები. — ნული ერთიანის ნაცვლად. — ბატ. სოროკინის წინააღმდეგობანი. — როგორ ამხილა იგი ბატ. ოგოლინმა. — მაგალითები. — ჩვენი სწავლულების დაცემა. — ბორჯიას დროისაკენ დაბრუნება. — დაქირავებული მკვლელები და დაქირავებული ალქიმიკოსები. — მსჯელობა 5.000 მანეთის შესახებ. — ბატ. სოროკინის კითხვა. — ბკუის სწავლება.

წარსულ კვირას „საკვირაო საუბრებში“ მე აღვწერე მაშინდელი „დღის გმირი“ პატივცემული ვ. დ. სპასოვიჩი. სამწუხაროდ, წარსულ კვირაში თბილისის ლომი მარტო იგი არ ყოფილა. სასამართლო მედიცინის პროფესორი, ი. მ. სოროკინი წარმატებით ეჯიბრებოდა მას — დაეინტერესებინა საკუთარი პიროვნებითა და საკუთარი როლით, მთელი ადილობრივი საზოგადოება. ამიტომ, როგორც „ობზორის“ პორტრეტისტი, მე ვალდებული ვარ შევქმნა მისი ზუსტი და გამოკვეთილი გამოსახულება, მთელი ზნეობრივი და ფიზიკური სიგრძე-სიგანით.

ეს ამოცანა არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ძნელი არაა ისეთი საგნის დახატვა, რომელსაც მკვეთრი მოხაზულობა, ღრმა ჩრდილები, აშკარად გამოკვეთილი ხაზები და თვალში საცემი კონტურები აქვს. ერთი, ორი, სამი შტრიხი და მორჩა. მსგავსება დაჭერილია, პორტრეტი მზადაა. მაგრამ აბა სცადეთ უფორმო, ერთფეროვანი, უფერული საგნის დახატვა. მიეცით უდიდეს მხატვარს ყველაზე უკეთესი საღებავები და ფუნჯები და სთხოვეთ დაგიხატოთ მშვიდი, სარკესავით გლუვი ზღვა ან უსხივოსნო ჰაერი, ანდა, ბოლოს და ბოლოს გაშლილი ველი, რომელსაც მხოლოდ თოვლი ფარავს. იცით თუ არა, რომ მიუხედავად რაფაელების, მურილიოების, რუბენსების, რემბრანდტების სიმრავლისა ძველ დროში და დელაკრუების, ვერნეების, მილიების, კურბეების და ა. შ. — ახალში, ხელოვნებამ აქამდე ვერ შეძლო ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად გამოეხატა ამგვარი საგნები. ყველა დიდი და პატარა ხელოვანი, რომელთაც ასეთი მიზანი დაისახეს,

იძულებულნი იყვნენ ეშმაკობისათვის მიემართათ: დაეშვათ მცირედი რხევა ზღვის ზედაპირისა, შეეშვათ ჰაერში სხივი მზისა ან მთვარისა, გაეყვანათ ვიწრო, ტალახიანი გზა თოვლიან ველზე და ა. შ. სხვაგვარად არაფერი გამოსდიოდა და არც შეიძლება გამოსვლოდათ...

*

არის ქვეყნად ისეთი ფიზიონომიები, რომლებიც ამგვარ ზღვას, ჰაერს და თოვლს ჰგვანან: გაფითრებული, ორდინარული, „უიდეო" (თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ). ხატეთ ასეთი ფიზიონომიები რამდენიც მოგესურვებათ, მაგრამ უფორმო, ბუნდოვანი და უფერული სახის შეტს ვერაფერს დახატავთ. ძალაუნებურად უნდა გამოიყენო ტექნიკის ერთ-ერთი ხერხი, რასაც ოსტატთა ჟარგონზე „trucs" ჰქვია. ამ გზით ბუნდოვანი მასა რამეს მაინც გამოხატავდა, უმნიშვნელო სახით მაინც შეგვიქმნიდა წარმოდგენას ორიგინალზე... დაიჭირეთ მაშინ ჩვენი ორიგინალის ზნეობრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი მხარე, გააშუქეთ ამ თვალსაზრისით თქვენი ნახატი და ამის შედეგად მიიღებთ ბრწყინვალე სურათს, ზუსტად ისეთს, როგორსაც მაგალითად, აივაზოვსკი ჰქმნის ზღვის ხედებიდან, თავის ცნობილი „trucs"-ის გამოყენებით: ზღვის ზედაპირის ოსტატური შექანებითა და და საჰაერო სივრცის მოხერხებული გაშუქებით.

პროფესორ სოროკინის ფიზიონომია მეტყველი არაა. კალის ფერი თვალების გამოხუნებული გამოხედვა, საკმაოდ გაცრეცილი, ფერმკრთალი სახის მოშვებული, ულაზათო, გატყლაპნილი ნაკვთები მას ისეთ გამომეტყველებას აძლევს, თითქოს ეს ესაა გაიღვიძა, მაგრამ გამოძინება ვერ მოასწრო... მისი ხასიათის ძირითადი თვისება უნდა იყოს, ასე რომ ვთქვათ, ორგანული არაგულისხმიერება... დამეთანხმეთ, რომ ეს სიტყვები ჯერ კიდევ არაფერს არ გამოხატავს და თქვენ ვერ ხედავთ ბატ. სოროკინის სახეს. ამგვარად, გამოვიყენოთ ერთ-ერთი ის trucs, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით: როგორც მშვიდი ზღვის ასახვისათვის საჭიროა თუნდაც ნაპირებთან დაუშვათ მცირედი ღელვა, ქოჩორა ტალღების, სინათლის ლიცლიცი და წყლის ბზინვა... ასევე საჭიროა ბატ. სოროკინის ორგანული არაგულისხმიერების გამოსახატავად გამოვიყენოთ თუნდაც ხელოვნური გულისხმიერება, მონდომება ცეცხლი და ენება...

ამგვარად, წარმოვიდგინოთ და ავსახოთ სურათზე, რომ შატ. სოროკინი გულისხმიერებით განიმსჭვალა, თუნდაც ჩქოტუას პროცესის დასასრულისადმი...

მაშინ მისი სახე გარდაიქმნება: ჩამქრალი თვალები, რომელთაც არ შეუძლიათ გამოცოცხლდნენ ცხოვრებისეული ცეცხლითა და ვნებით, ძალას ატანენ ქუთუთოებს, წარბებს, წამწამებს და ატოკებენ, წმინდა ვიტეს როკვის მსგავსად. მისი თვალის უპეების ირგვლივ თავმოყრილი უამრავი ნაოჭი ამის გამო ყოველ წუთს ერთმანეთში იხლართება, იკვანძება და ქმნის ხაზთა საოცარ კალეიდოსკოპს... ალერსიანი ღიმილისთვის გამზადებული ტუჩები, en cœur ითხოვენ თანხმობას და რწმუნებას, ნაცვლად იმისა, რომ ძალით გამოგლიჯოს ისე, როგორც ამას ბატ. სპასოვიჩი ჩადის... და ამ დროს ბატ. სოროკინის შემპარავი, წვრილი, უამრავი დაფარული პედალებით გატეხილი ხმა, კიდევ უფრო აძლიერებს მუდარის შეგრძნებას.

არ ვიცი, შეგიმჩნევიათ თქვენ თუ არა, რომ ადამიანის პიროვნებისა და ხასიათის უტყუარი საზომი... მისი ხმაა... თუ სწორია გამოთქმა, რომ თვალები სარკეა ადამიანისა, მაშინ კიდევ უფრო სწორია ის ამბავი, რომ ხმა — მისი ტელეფონია. მცოდნეს შეუძლია ხმის მეშვეობით გაიგოს ადამიანის ხასიათის ყველა დეტალი, რომლითაც თვალით ვერ ხედავს.

*

მე, რა თქმა უნდა, ჩემს თავს უფლებას არ მივცემ ბატ. სოროკიხზე მისი ხმის მიხედვით ვიმსჯელო. მაგრამ მსურს რა საქმეს კერძო მხრიდან მივუდგე, შევჩერდები ერთ-ერთ წვრილმანზე. უცნაური შთაბეჭდილება არ გექმნებათ, როცა მოხდენილი, ახალგაზრდა ქალიშვილი პირს გააღებს და ბოხი ხმით დაილაპარაკებს? გეჩოთირებათ ამგვარი მოვლენა, უნებურად იკუნტებით, აკვირდებით ამ ქალს და ამჩნევთ, რომ მომხიბვლელ ქალიშვილს ბიჭისა და მამაკაცის ბევრი სხვა დამახასიათებელი თვისებაც აქვს... ულვაშებსაც კი შეამჩნევთ მის ზემო ტუჩზე... განა ასე არაა? ...არანაკლებ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე სპილოს მსგავსი მამაკაცი, თავისებური გაბერილი გიპოჰოტამი, რომელიც გოლიათურ მკერდს შეარხევს და დაიწყებს ტიტიხს წვრილი, ქალური, საყმაწვილო სენით დაავადებული ბავშვის, დაშაქრული, გაპოხილი, ბადაგივით მსუყე ხმით.

თუმცა, რატომ ვხარჯავ ამდენ დროსა და ადგილს ამგვარ წვრილმანებზე, როცა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გველის? გადავიდეთ მათზე, ყოველგვარი „თარგმანების“ გარეშე.

როცა ხალხმა გაიგო, რომ დაცვამ ექსპერტად პროფესორი სოროკინი „ჩამოიყვანა“, მისმა უმრავლესობამ, ისევე როგორც ყოველმა უმრავლესობამ, რომელიც გულუბრყვილო და გულკეთილი ქმნილებებისაგან შედგება, წარმოიდგინა, რომ qui croient que c'est arrivé[5] „პროფესორი“ იქნება წმინდათწმინდა მეცნიერების მკაცრი ქურუმი, რომელიც არამიწიერ განაჩენებს გამოიტანს... ვამჩნევდი რა ხალხის ამგვარ განწყობილებას, მე, ჩემთვის ჩუმად, ვიცინოდი. მე ვიცოდი, რომ წავიდა მეცნიერების ეპიკურელ ქურუმების დრო და რომ ყოველი ქურუმი, მეცნიერების ქურუმიც კი, მეტად თუ ნაკლებად, ოფენბახისეულ ზარდახშიან კალხასს ჰგავს... ხოლო როცა ბატ. სოროკინის ფიზიონომია დავინახე, კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი საკუთარი აზრის სიმართლეში.

ო, ეს არც ისე დახელოვნებულია, გავიფიქრე მე, რომ თავის როლი ნოტების მიხედვით შეასრულოს. იგი მეცნიერების მიუკერძოებელ წარმომადგენელად უნდა მოგვეელინოს, დაგვანახოს, რომ მისთვის სულერთია, ვის დაატყდება თავს ექსპერტიზის რისხვა, პროკურორს თუ დამცველებს, ხოლო შემდეგ, როცა გამოიჩენს მიუკერძოებლობას, გამოთქვას თავის აზრი და განაცხადოს, რომ ნინა ანდრეევსკაია დაიხრჩო. მაგრამ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანს და პირველი სიტყვებიდან ცხადი შეიქმნება, რომ მისი ექსპერტიზა თეთრი ძაფითაა ნაკერი. დაგვანახებს, რომ იგი, უბრალოდ, ისეთივე დამცველია, ოღონდ მედიცინის დარგში, როგორც „საქმის მოგებით“ დაინტერესებული იურისტი დამცველი...

და მართლაც, როგორც კი პირველი სიტყვები წარმოსთქვა, მაშინვე დამცველის როლში მოგვეელინა! ეს მოხდა მეთევზე მენაბდიშვილის დაკითხვის დროს. როგორ ცდილობდა იგი ისე დაეკითხა მოწმე, რომ სასურველი პასუხი მიეღო, როგორ სტყუებდა ხელსაყრელ წვრილმანებს...

— ხომ მართალია, თქვენ დაინახეთ ქაფი? იგი ხომ მართლა იყო ვარდისფერი, მოწითალო და სისხლისნარევი? — არა, — პასუხობდა უბედური მეთევზე — ეს იყო რაღაც წვეთები, ცრემლების მაგვარი, მაგრამ მღვრიე და წითელი კი არა, არამედ ისეთი, როგორიც წყალმანკით დაავადებულებს აქვთ... „ეს სითხე ხომ საპნის ქაფს ჰგავდა და ვარდისფერი გადაკრავს?“... დაჟინებით ეკითხებოდა ბატ. პროფესორი. — ცრემლის მაგვარი მღვრიე სითხე იყო, ჯიუტობდა მეთევზე. პროფესორი კი აჭიანურებდა და აჭიანურებდა...

მას დიდი იმედი ჰქონდა პროფესორის ტიტულისა... მან, ალბათ, წარმოიდგინა, რომ ტაშკენტში ან ბუხარაში ჩამოვიდა და ამიტომ თამამად შეუძლია წმინდა ხლესტაკოვისებრი ბაქიობით ფონს გავიდეს. ორ სიტყვას არ იტყოდა ისე, რომ თავის გამოცდილება, ცოდნა და პროფესორობა არ მოეხსენებინა. — „მე მგონი ეს საქმე უკეთ ვიცი“... „მე მონაწილეობა მიმიღია ექსპერტიზებში“... „მე მაქვს ლაბორატორია“... „მე მაქვს აღმოჩენები“... ცხადია, მას შეეძლო თავის ბაქიობით ექსპერტები დაებრმავებინა, რადგან მათ მართლაც ისე შეეშინდათ, როგორც არც ერთ გიმნაზისტს არ შეშინებია არასოდეს, და როგორც „რევიზორის“ თვით გოროდნიჩსაც[6], რომელმაც შიშის პარაკსიზმების და კანკალის დროს მაინც შეინარჩუნა საქმისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა და ფიქრის უნარი — „რა იქნება, თუ მეასედი ნაწილი ყოველივე ამისა მართალია?“. ბატ. სოროკინმა იცოდა, რომ ჩვენი ექსპერტები ვერ მისცემენ მას თუნდაც ასეთ კითხვებს: სადაა, მოწყალეო ხელმწიფევ შრომისა და ცოდნის ნაყოფი? სამედიცინო ლიტერატურაში თქვენი სახელი სრულიად უცნობია. არ არსებობს არც ერთი რამდენადმე დამოუკიდებელი თხზულება, არც ერთი რამდენადმე გახზოგადებული შრომა, რომ თქვენს სახელს ატარებდეს. აი, ჩვენი რეიხი, ოკულისტი, ჯერ ხომ ახალგაზრდაა, მაგრამ სამედიცინო ლიტერატურაში უფრო მეტად ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებაა, ვიდრე თქვენ ბატ. პროფესორო. რა მოხდა, თუ იქ, სადაც ადამიანები არაა, თქვენ პროფესორი გახდით! პროფესორის ტიტულს ჩვენ დროში აღარ ახლავს ის მომხიბვლელობა, როგორიც წარსულში მას გრანოვსკის მსგავსმა ადამიანებმა მიანიჭა. თქვენზე უკეთესი პროფესორებია ჩვენი ამხანაგები ბატ. ვაგნერი და ბუტლეროვი... მათ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა, საპატიო სახელი დაიმსახურა ლიტერატურაში. ბატ. ბუტლეროვმა ევროპაშიც კი გაითქვა სახელი. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, შარლატანობა დაეწყოთ და სპირიტიზმი მეცხიერულ ჭეშმარიტებად გამოეცხადებინათ, სანამ მენდელეევმა მათი შარლატანობა და ფოკუსები არ ამხილა... იქნებ უმჯობესი იყოს თქვენთვის, მოეშვათ ამგვარ ტონს, თავი დაანებოთ გამოცდილების, ლაბორატორიების, ცოდნისა და სხვა შარლატანური მეთოდების ხსენებას და ფაქტებით შეიარაღებულმა იბრძოლოთ?..

იცოდა რა, რომ იგი წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა აქაური ხალხისას, რომელიც სულ დაეცა სულით, ბატ. სოროკინმა დაიწყო წერა...

ღმერთო ჩემო, რისი უფლება არ მისცა საკუთარ თავს! მე არ შევჩერ-დები მის უზრდელ გამოსვლებზე, რასაც მხოლოდ ერთი მიზანი ქონდა, — შეელახა ხალხის თვალში ადრე დანიშნული ექსპერტების რეპუტაცია. მისი გამოთქმები — „სადაა განლაგებული ვენები", ან „ძე თქვენ ერთიანს დაგიწერდით"-ღირსეულად შეაფასა ხალხმა და თვით ბატ. სოროკინიც დარწმუნდა, რომ მისი დამქირავებლების ინტერესებისათვისვეა საჭირო ასეთი უბადრუკი გამოსვლებისათვის ბოდიში მოიხადოს სასამართლოსა და ხალხის წინაშე. და მან საწყლად, პირფერულად მოიხადა ბოდიში, ისე, როგორც ამას ჩადიან თავხედები, რომელთაც საკადრისი პასუხი გაკცეს... არა, მე ვილაპარაკებ იმ თითქოსდა მეცნიერულ დებულებებზე, რომლებიც გამოსთქვა ბატ. სოროკინმა იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეეყვანა თუ მოსამართლეები არა, ხალხი მაინც...

ჩემი თანამოძმენი, რომლებიც „ოზზორში" თანაშრომლობენ, მალე ღირსეულად შეაფასებენ და დაწვრილებით განიხილავენ ბატ. სოროკინის ამ წარმოუდგენელი ექსპერტიზის მეცნიერულ მხარეს. ამისათვის აუცილებელია დაველოდოთ ამ ექსპერტიზის შესახებ ზუსტი და სერიოზული საანგარიშო მოხსენების დაბეჭდვას. მაგრამ არ შემიძლია ჩემს თავს სიამოვნება მოვაკლო და არ შევჩერდე ორ-სამ წვრილმანზე, რაც უაღრესად დამახასიათებელია ამ საქმისათვის და განსაკუთრებით იმიტომ, რომ გვიჩვენებს, თუ სადამდე დაეცა ჩვენი მეცნიერება, თავის პატენტოვან წარმომადგენლებთან ერთად.

მე სასამართლო მედიცინის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ, ბატ. სოროკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, თამამად შემიძლია დაუწერო არა მხოლოდ ერთი არამედ ნულიც იმ პროფესორს, რომელიც არ გაწითლდება (ალბათ, სისხლნაკლულობის გამო) და განაცხადებს, რომ, უმიკროსკოპოდ, ტარდიეს ლაქების გარჩევა ცოცხალი ორგანიზმის სისხლნაჟღენთებისაგან არა თუ ძნელია, არამედ შეუძლებელიცაა! დავუშვათ რომ ძნელია, შეუძლებელია: ცხადია, უმეცარი ვერც მიკროსკოპით ვერ გაარჩევს, ვერ შეამჩნევს ამ ლაქებს და ვერც სისხლნაჟღენთებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ექსპერტიზის მეორე ადგილას, სადაც პასუხს აძლევს დოქტორ ბლუმბერგს, რომელმაც განაცხადა, თუ სასამართლო მედიცინაში არა, ქირურგიაში მაინც ბატ. სოროკინზე ნაკლები სპეციალისტი არაა, ბატ. სოროკინმა აღიარა, რომ ოდნავ გამოცდილი ექიმიც ერთი შეხედვით განასხვავებს ამ, თითქოსდა განუსხვავებელ ლაქებსო. ეს, რა თქმა უნდა, წვრილმანია. მაგრამ განვაგრძოთ. ბატ. სოროკინი ამტკიცებდა, და ეს იყო მისი ექსპერტიზის ძირითადი აზრი, ანდრეევსკაიას

გვამი იმდენად გახრწნილი, იმდენად ფორმადაკარგული იყო, რომ ექსპერტებს უკვე აღარაფრის შემჩნევა არ შეეძლოთ, ნაწლავების, კუჭისა და ა. შ. ლორწოვანი გარსი იმდენად გახრწნილი იყო რომ დაკვირვებებისა და დასკვნების მასალად აღარ გამოდგებოდა, ხოლო ორი საათის შემდეგ მან თვითონ დაიწყო მტკიცება: გაკვეთის ოქმში შეტანილი სიტყვები საშოს ლორწოვანი გარსის უფერულობის შესახებ იმის მაჩვენებელია, რომ ქალს მენსტრუაცია არ ჰქონია. ორში ერთი: იგი ან მაშინ ტყუოდა, როცა ამტკიცებდა — გვამი იმდენად გახრწნილი იყო, რომ ექსპერტები ვერ ამჩნევდნენ ნაწლავების ლორწოვან გარსს და ა. შ., ანდა მაშინ, როცა ამბობდა, საშოს ლორწოვანი გარსის უფერულობა ცხადად მოწმობს, რომ ქალს მენსტრუაცია არ ჰქონიაო. ბატ. ოგოლინმა ეს წინააღმდეგობა შეამჩნია და მართალი იყო,როცა ბატ. სოროკინის მთელ ექსპერტიზას ნაძალადევი და მიკერძოებული უწოდა.

მესამე დამახასიათებელი მხარე: ბატ. სოროკინმა პალატაში განაცხადა, რომ მისთვის მხოლოდ მეთევზე მენაბდიშვილის ჩვეხებებიც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ანდრეევსკაია დაიხრჩო. დაე, მისმა თანამოძმე პროფესორებმა სამედიცინო აკადემიაში და სტუდენტებმა, მისმა ბედუკულმართმა მოწაფეებმა, შეაფასონ ღირსეულად ამგვარი განცხადება. ჩვენთვის კი ამ ფაქტის აღნიშვნაც კმარა...

ამის შემდეგ მებადება კლასიკური „qui est ce qui paye les pots cassés?[7] მსგავსი კითხვა. მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ მივცე ბატ. სოროკინს ერთი კითხვა, რომელიც ძალზე საინტერესოა წმინდა მეცნიერების მსახურთათვის და ძალზე საჭირო — გამოყენებითი მეცნიერების მუშაკთათვის:

— თქვენ, გაცხარებული სწავლის პერიოდში მიატოვეთ აკადემიაში და უნივერსიტეტში წასაკითხი ლექციები და თბილისში ჩამოხვედით. გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რამდენი მიიღეთ ექსპერტიზაში და, განსაკუთრებით, ვისგან? შესაძლებლობა რომ მოგცეთ განიწმინდოთ ეჭვებისაგან, გეტყვით პირდაპირ, რომ ამ საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, თითქოს ექსპერტიზაში 5000 მანეთი მიიღეთ. დაეთანხმეთ, ეს შეურაცხმყოფელია მეცნიერების მსახურის ღირსებისათვის. თუ თქვენ აქ იმისათვის ჩამოხვედით, რომ ოქმების შემოწმებამ დაგარწმუნათ უწინდელი ექსპერტიზის უსაფუძვლობაში, მაშინ უხამსობა და ცოდვაა 5.000 მანეთის გამორთმევა ისეთი ღარიბი კაცისათვის, როგორიც ბატ. ჩქოტუაა, რადგან ბატ. ჩქოტუა წელიწადში 600 მანეთიღ ემსახურებოდა თავ. შერვაშიძეს, ხოლო თუ თქვენ დარწმუნებული არ იყავით უწინდელი ექსპერტიზის უსაფუძვლობაში და ჩამოხვედით მხო-

ლოდ იმიტომ, რომ 5.000 მან. აგეღოთ, აქაურ ექსპერტებთან იოლი კამათის შედეგად, მაშინ უნდა აღიაროთ, რომ ეს ორჯერ უფრო დიდი ცოდვა და უსამართლობაა. თქვენ თუ სიმართლეს ემსახურებით, უანგაროდ უნდა ემსახუროთ. თქვენ თუ სიმართლეს ემსახურებით, უფლება არა გაქვთ ასწავლოთ ახალგაზრდობას, ან იქნებ თქვენ გინდათ ასწავლოთ მათ, როგორ გაისქელონ ჯიბეები არა მხოლოდ მეცნიერული მონაცემებით ვაჭრობის გზით, არამედ — რეპუტაციითაც?

*

უარყავით, თუ ღმერთი გწამთ, ეს უაზრო ხმები, რომლებიც, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არც მე მჯერა. მე თქვენ პატივს არ გცემთ, მაგრამ არც იმის დაშვება შემიძლია, რომ ბატ. ვაგნერისა და ბუტლეროვის შეცდომებისა და გულაკ-არტემოვსკის პროცესში ბატ. პ. პოლევოის გამოჩენის შემდეგ, რუსეთის მეცნიერება და რუსი პროფესურა ასე დამდაბლდნენ... მე ვიცი რომ უკან დაბრუნება შესაძლებელია, ვიცი, რომ პირველი დაქირავებული მკვლელობის გამოჩენის შემდეგ, რასაც ჩეზარე ბორჯიას ეპოქაში გადავყავართ, შესაძლებელია ჩვენში დაქირავებული სოფისტებიც და ალქიმიკოსებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ახალ ბორჯიებს მოემსახურებიან... ნება თქვენია, მაგრამ მე ვერ დავიჯერებ, რომ ადამიანი, სულერთია დამსახურებულად თუ არა, რომელიც იმ უნივერსიტეტის პროფესორის სახელს ატარებს, სადაც მე ვსწავლობდი, და იმ აკადემიისას, სადაც ჩემი მეგობრები იზრდებოდნენ, გულუბრყვილო ბრბოს წინაშე გაითამაშებდა ისეთ უბადრუკ და უღირსს როლს, როგორც თქვენ გაითამაშეთ, და გაითამაშებდა არა იმიტომ, რომ არაფერი იცოდა, ან საქმემ გაიტაცა და შეცდა, არამედ ფულის, ანდრეევსკაიას და სხვა უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლით დასვრილი ფულის გამო...

... და ამის შემდეგ ჩვენ კიდევ გვაკვირვებს თანამედროვე ახალგაზრდობა! ჩვენ კიდევ არ გვეყმის, რომ ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი გაურბის მეცნიერებას, მეცნიერების ამგვარი წარმომადგენლებისადმი ზიზღის გამო; გარბის უკანმოუხედავად, სოფლებში, ცხრა მთას იქეთ, ხოლო უმრავლესობა, რომლებიც თავიანთი მასწავლებლების მაგვარნი და მსგავსნი არიან, ეგუებიან ყოველგვარ სიბინძურეს, ეფლობიან გამოძალვის მორევში და თაყვანს სცემენ მხოლოდ ოქროს კერპს, მაგრად გატენილ საფულეს! სხვას რას უნდა ველოდეთ ახალგაზრდებისაგან, როცა საუკეთესო წლებში მათი მასწავლებლები არიან ბატ. ვაგნერის, პოლევოის, ბუტლეროვის და სოროკინის მსგავსი ადამიანები!..

5. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ბევრი ჩვენი მკითხველი გაკვირვებას გამოთქვამს და გვეკითხება, რატომაა ასეთი დიდი შეუალედები ჩქოტუას საქმის შესახებ დაწერილ სტატიებს შორის. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ თბილისში სტენოგრაფისტი არ გვყავს და ასე თუ ისე ზუსტი საანგარიშო მოხსენების შედგენა უაღრესად ძნელია. შეიძლება, რა თქმა უნდა, სწრაფად ჩაიწეროს უმთავრესი აზრები, სიტყვებისა და გამოსვლების ჩონჩხი და ა. შ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამის გაკეთება. როცა საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც ექსპერტიზაა... პროფესორ სოროკინის ექსპერტიზამ უნდა გამოიწვიოს და იწვევს კიდეც მედიცინისა და სწავლულთა სამყაროში კამათსა და დავას. ამიტომ საჭიროა, რომ ყოველი სიტყვა ამ ექსპერტიზისა ჩაწერილი იქნეს რელიგიური სიზუსტით, და არა ალალბედზე, მოგონებების საფუძველზე, ცალკეულ ნაწყვეტებად, ზოგი რამის გამოტოვებითა და უამრავი შეცდომით. საჭირო სისრულესა და სიზუსტეს რომ მივაღწიოთ, საჭიროა დიდი შრომის გაწევა და არასრული სტენოგრაფიული ჩანაწერების შედარება ანალიტიკურ მონახაზებთან და სასამართლო პროცესზე მყოფი სპეციალისტების მოგონებებთან. აი, რატომ გადაწყვიტა „ობზორმა“[3] 'აღადგინოს პრესაში ბატ. სოროკინის ექსპერტიზა რაც 'შეიძლება სრულად, და ამ საქმეს მსხვერპლად შეწირა საანგარიშო მოხსენების სწრაფად და აჩქარებით გამოქვეყნება: მას, რასაც ჩვენ სიჩქარეში დაკარგავთ, საქმის სრულად და ზუსტად განხილვით მოვიპოვებთ.

ჩვენ გადმოგვცეს, რომ გარდა ახალი ჟურნალის „იმედის“ [8] დაარსებისა, რომლის გამოცემასაც აპირებს რამდენიმე ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა, ვარაუდობენ აგრეთვე დაარსებას ახალი ქართული გაზეთისას, რომელიც უპირატესად ქართველ ხალხს გაუწევს მომსახურეობას და წმინდა პოპულიზატორული დანიშნულება ექნება. ამ გაზეთის გამოცემას მგონი მომავალი წლის მაისიდან აპირებს ცნობილი ქართველი პოეტი აკ. რ. წერეთელი, რომლის ლექსები და სატირული ნარკვევები დამსახურებული წარმატებით სარგებლობს საქართ-

ველოს მკითხველ საზოგადოებაში. მთელი გულით გვსურს ამ წამოწყებების განხორციელება და წარმატებას ვუსურვებთ ყველა ჩვენ თანამოძმეს ჟურნალისტიკის ასპარეზზე.

*

ჩვენ გადმოგვცეს, რომ ახლახან, უცხოეთიდან თბილისში დაბრუნდნენ ღები დავიდოვები, რომლებიც საზღვარგარეთ მუსიკალური განათლების მისაღებად იყვნენ წასულნი. უფროსი და — ო. დავიდოვა, ლაიფციგის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, სწავლას განაგრძობდა ცნობილი კომპოზიტორების რაინიკეს, მარმონტელის, ლეშეტიცკის, ლისტის და სხვათა ხელმძღვანელობით. მის წარმატებებს არჩეულ სარბიელზე ხოტბას ასხამდენ საზღვარგარეთელი და საშამფლო პრესის სხვადასხვა ორგანოები.

ხოლო უმცროსი — ა. დავიდოვა მომღერალია და, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ განაგრძობს სწავლას.

ამბობენ, რომ ახალჩამოსული პიანისტი ქალი გამართავს კოხცერტს თავის დასთან ერთად.

მთელი გულით ვუსურვებთ მათ წარმატებას და თბილისის საზოგადოება, ალბათ, თანაგრძნობით განეწყობა მათდამი, მით უმეტეს, რომ ადგილობრივ მკვიდრთაგან ისინი პირველნი გამოდიან მუსიკალურ სარბიელზე.

6. რაღაც-რაღაცები რაღაც-რაღაცების შესახებ

(ფუჭი ვარიაციები გაცვეთილ თემებზე)

კითხვები და პასუხები. — „რუსი სოციალისტების" ახალი ნაირსახეობა და მათი დამოკიდებულება კაპიტალისადმი. — ბატ. ა. გოლოვაჩევის „მოწვევა" და „ნედელიას" სინანული. ჩვენი პუბლიცისტიკის გულისხმიერება. — აწ განსვენებული სტუდენტის ნეკრასოვას მხილება.

კითხვები, კითხვები და კითხვები...

პირადი კითხვები, საოჯახო კითხვები, საქალაქო კითხვები, ადმინისტრაციული კითხვები, საზოგადო კითხვები, სახელმწიფო კითხვები, პოლიტიკური კითხვები, საკაცობრიო კითხვები...

ვერსად გაქცევიხარ კითხვებს.

ჩვენი დრო სულ სხვაა, მითხრა ერთხელ ერთმა მეგობარმა, რომელსაც ჭვრეტისაკენ უფრო ჰქონდა მიდრეკილება, ვიდრე კითხვებისა და პასუხების მეშვეობით უწყინარი თამაშისაკენ; არ იცი მხოლოდ რა უფრო საკვირველია, სიღრმე დასმული კითხვებისა თუ მათზე გაცემული პასუხების უნაყოფობა.

რა მეთქმოდა.

— ჩვენი დრო „ფუჭი კითხვების" დროა, განაგრძობდა საკუთარი სიტყვების კატეგორიულ კომენტირებას ჩემი მეგობარი. მე ისეთ კითხვებს ვეძახი „ფუჭს", რომლებიც თუმცა ცხოვრებამ წარმოშვა, მაგრამ წყვეტენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ძალზე შორს დგანან ცხოვრებიდან და იმ ვითარებიდან, სადაც კითხვები წარმოიშვებიან. რაა საერთო აღმოსავლეთის სლავების განთავისუფლებასა და „ბრიტანეთის ინტერესებს" შორის? შესწევთ კი უნარი გასუქებულ ინგლისელ ლორდებს, გაიგონ სლავების თავგანწირვა და მოთხოვნილებები? იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს შინაგან საკითხებზეც. განა ჩვენთან მოდაში არ შემოვიდა მათი „ობიექტურად" გადაწყვეტა, ე. ი. ისე, რომ არაფერი ვიცით მათი წარმოშობის მიზეზებზე? ეპვებს გამოთქვამენ ირკუტსკში, მაგრამ წყვეტენ რიაზანში. ოდესა გაკვირვებას გამოთქვამს, საკითხს კი სერდობსკი აყალიბებს. განა მრავალგზისი და მრავალრიცხოვანი უბედურება, რაც უხვად ატყდება თავს ჩვენს უდანაშაულო

„საცოდავ მაკარებს“, არ შეიცავს კითხვას და ყველაზე სასიცოცხლო კითხვას? აღარაფერს ვაშბობ მათი ხვედრის შემსუბუქებაზე, მაგრამ რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ამგვარი მოვლენები აღარ განმეორდეს? რა? დიახ, არაფერი! ჩვენი ყურადღება ამჟამად სხვა მხრივაა მიმართული, გარდა ამისა, ჩვენ სახელი გავითქვით იმით, რომ უნარი არ შეგვწევს ვაწარმოოთ შინაგანი საქმეები და მხოლოდ მოკრძალებულად ვნაყავთ წყალს. ბოსნია და ჰერცოგოვინა, სერბიის აღორძინება, ჩერნოგორიის გმირები, ჩვენი გმირების მამაცობა — დიდი მოვლენებია, ხოლო დიდი საქმეები ყოველთვის აყრუებს ყაზანელებისა და ჩვენს ვრცელ სამშობლოში მცხოვრებ „გაჭირვებულთა“ ჩუმ ვედრებას...

რა ვქნათ? ნუთუ დავეთანხმოთ თავ. მეშჩერსკის, რომელიც ამასწინათ „გრაჟდანინის“ [9] ფურცლებზე მოქალაქისათვის შეუფერებელ მისტიციზმს ქადაგებდა; ან იქნებ მივბაძოთ ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტის მაგალითს, რომლებიც ყველა ბოროტების წყაროს იქ ხედავენ, სადაც არასოდეს ყოფილა?

სამაგიეროდ რა გახარებული უნდა იყოს ყველა, ვინც მიითვისა მყვირალა, მაგრამ არცთუ სავსებით ზუსტი სახელწოდება „რუსი ნოვატორებისა“. მათ იმედით უნდა უცემდეთ გული იმ მოვლენების გამო, რომელთა წინაშე ისევე უფერულდება ამერიკელი რკინიგზის მოსამსახურეთა ფანტასტიურობა, როგორც ლანკაშირის მუშების დღემდე გაგრძელებულ გაფიცვათა საშინელებანი. ეს მოვლენები კაპიტალის ექსპროპრიაციაა, რასაც თითქმის ყოველ დღე გვაუწყებენ ჩვენი გაზეთები... მართალია, ექსპროპრიაცია მთლად ისე არ ხდება, როგორც ამას ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მოწინააღმდეგენი მოითხოვენ: „კაპიტალთა“ რიცხვში ექსპროპრირდება აგრეთვე ღარიბი ხალხის მიერ გაჭირვებით შეგროვებული გროშებიც, მაგრამ, მკითხველო, ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ ერთბაშად მტკიცედ შევდგათ ფეხი ჭეშმარიტების გზაზე, რომელსაც განახლების წარმტაც ქვეყანაში მივყევართ.

შევაქოთ საკადრისად იუხანცევები და K°. ისინი პიონერები არიან ახალი საზოგადოებრივი წყობის, სადაც ბატონობს „ფინანსიური ოპერაციები“ და კეკლუცობა, სადაც მოურიდებლად აწყობენ ექსკურსიებს სხვისი ჯიბისაკენ და თანამედროვე ცივილიზაციის ყველა ხატიფი საქონლის „მდიდარი“ მომხმარებლებისაკენ. სხვისი ჯიბეების დაცარიელება ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ახალი ამბავი არაა, მაგრამ ამჟამად გრანდიოზული მასშტაბებით ხდება! და ისიც მაშინ, როცა რუსეთს ასეთი მძიმე დრო დაუდგა. მოკლედ, უკანასკნელი აღმოჩენა მე კი არ მეკუთვნის, არამედ ბატ. ა. გოლოვაჩევს, რომელმაც „ნედელიაში“ [10] დაბეჭდა სტატია: „დღევანდელი საჭირბოროტო საკითხი“.

„მძიმე დროში ვცხოვრობთ ჩვენ, მკითხველო!“ გაიძახის პატივცემული ავტორი და საკუთარ წუხილს ხსნის „ჩვენი საზოგადოებრივი სკივრის განურჩეველი ძარცვით“. მწუხარება ძალზე გასაგებია, გახსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბატ. გოლოვაჩევი „დაზარალებულთა“ რიცხვშია. მოვლენა ნიშანდობლივია, — ამბობს იგი შემდეგ. გახა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვის გამსესხებელი ბანკი გაძარცვეს?.. და შემდეგ მოდის: ურთიერთსაკრედიტო საზოგადოება, კიევის ბანკი, მიწის ურთიერთსაკრედიტო საზოგადოება; იქ ფული მოსტაცეს საოლქო სასამართლოს, აქ საბჭოს, გაქურდეს სასულიერო კონსისტორია.

ბატ. გოლოვაჩევს აშინებს ქურდობის საყოველთაო ეპიდემია; იგი გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამს იმ ცუდი მაგალითის გამო, რომელსაც ჩვენ გლეხებს ვაძლევთ და სთხოვს ყველა პატიოსან ადამიანს მიაქციონ ყურადღება ამგვარ ფაქტებს და კარგად დაფიქრდნენ „სად ვეძებოთ ამგვარი ზნეობრივი დაცემის მიზეზი, რაც, ეტყობა, განელილი დროის მანძილზე კვადრატულად იზრდება“. თავად ბატ. გოლოვაჩევი უარს ამბობს იპოვოს მიზეზი, რაც ამ სამწუხარო მოვლენებს იწვევს; იგი, ამ მიზეზების ძიებაში „თავის ტეხის“ დროს „ჩიხში“ ექცევა და მწუხარებით, რჩევა-დარიგებებითა და თხოვნით კმაყოფილდება. ბაგრამ ღირდა კი ამის გამო სტატიის დაწერა და ისიც ასეთი მაღალფარდოვანი სათაურით!

როცა ბატ. გოლოვაჩევის სტატია წავიკითხე, არ ვიცი რატომ, ბაგრამ ჩემს წინაშე მაშინვე წარმოსდგა გულშემატკივარი ნათლიდედას სახე, რომელიც მუცელზე ხელდაწყობილი თანაგრძნობით (გულწრფელი ან მოჩვენებითი) უსმენს მეორე ნათლიდედას და ავი ბედით დაწიხლული ყოველი სამწუხარო ეპიზოდის გაგონებაზე თავს აქნევს.

სინანული? — რის სინანული! „ჩვენ სინანული არა გვჭირდება! ... ახლა დამარხვაა საჭირო!“. ყოველივე ცუდის დამარხვა, რაც უამრავი წლების მანძილზე დაგროვებულა. ყოველივე ეს ღრმად უნდა დავმარხოთ, და ძეგლი არ უნდა დავუდგათ...

„ნედელიამ“ ბატ. გოლოვაჩევს სამსახური გაუწია და მისი სტატია(?) დაბეჭდა, ბაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და ინანა. სტატიაში „გამოძახილი“ ბატ. გოლოვაჩევის გამოწვევაზე“, გაზეთი ასეთ დასკვნამდე მიდის: „სასაცილოც კია იმის „გამოკვლევა“, თუ რატომ ქურდობენ ქურდები. ჯერ კიდევ პაპა-კრილოვი ამბობდა:

„ქურდს თუნდაც მილიონი მიეც,
ქურდობას მაინც არ მოიშლის“.

სათქმელი აქ მეტი არაფერია. მოკლედ და ცხადადაა ყველაფერი ნათქვამი. ამ საქმეში ვერც სასამართლო გააწყობს ვერაფერს და ვერც

მკაცრი სასჯელი. ერთადერთი საშუალება ისაა, რომ ძოვაციოლოთ ქურდები საზოგადოებრივ და სახელმწიფო სკივრს და ისეთი ადამიანებით შევცვალოთ, რომელთაც შეიძლება ათეული მილიონები ანდო ხელწერილის გარეშე და არაფრისა გეშინოდეს.

ასე რომ, საქმეს მხოლოდ პატიოსანი ადამიანები უშველიან. ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ისინი როდისმე შეამჩნევენ „კეთილგანწყობილ საქმოსნებს". მანამდე კი სინანულით მოვეკიდოთ ბატ. გოლოვაჩევის თხოვნას, რასაც თვით „ნედელიამაც" სასაცილო უწოდა.

•

I

ჩვენი პუბლიცისტების და მათი ორგანოებისათვის ზედგამოჭრილია ასეთი ანდაზა: „სანამ არ დაიქუხებს — გლეხი პირჯვარს არ გადაიწერს". „მოვლენათა კუდში ჩანჩალი" მათთვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. მხოლოდ „გვერდში ჩანგლის გაყრას" შეუძლია აიძულოს ისინი ამოძრავდნენ, გარკვეული მანძილი ჩორთით გაირბინონ.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება. ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის ერთ-ერთ ყოველკვირეულ ჟურნალში დაიბეჭდა რამდენიმე ნაწყვეტი მიმოწერიდან განსვენებული სტუდენტის ნეკრასოვასი, რომელიც ფერშლად მუშაობდა რომელიღაც ლაზარეთში დუნაის გაღმა. გამოქვეყნებული ნაწყვეტები საკმაოდ საინტერესოა და ფარდას ხდიან იმ ამბავს, თუ რა მდგომარეობაშია ფერშალი ქალები ბრძოლის ველზე... „მამაკაცებს აქ ადამიანური აღარაფერი შერჩათ და ნამდვილ ქაჯებად გადაიქცნენ" — წერდა იგი 17 სექტემბერს ფრატეშიდან. „მზად არიან მოაწყონ მთელი ჰარემები და თავი სულთანად იგრძნონ. ახლა მე მესამე თავხედი უნდა მოვიშორო თავიდან. და ეს მესამე სხვა არავინაა, თუ არა ედანკო. მე მხოლოდ ამისთვის მივატოვებდი ფრატეშტს, რადგან როცა ჟინმოუკელელნი მიდიან, შემდეგ ათასვვარ საზიზღრობას სჩადიან. სწორედ ასეთი საზიზღრობა ჩაიდინა სტუდენტსკიმ (ქირურგი პრედგომიტი) იგი არ უშვებს არც ერთ ქალს, უხდა ყველას მოგლიჯოს ერთი ბღუჯა თმა. მე ძალზე აღშფოთებული ვიყავი, როცა ერთმა ჩვენმა სტუდენტმა ქალმა მიამბო, რომ იგი მას სხვადასხვა ბინძური წინადადებებით მიმართავდა, ერთხელ კი პირდაპირ ეცა, კოცნა დაუწყო და გაჰყვიროდა: „მაშ თქვენ არ გინდათ?!" და ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტები იმის ღირსიც არ გახდა, რომ „საკითხად" დასმულიყო. ამ ამბავს მხოლოდ ერთადერთი ორგანო „ნედელია" გამოეხმაურა. მათ საჭიროდ სცნეს შეხებოდნენ ეგრეთ წოდებულ ქალთა საკითხის მტკივნეულ ადგილს. სხვა ორგანოები კი ამ ამბავს მხოლოდ იმიტომ გამოეხმაურნენ, რომ განსვენებული ნეკრასოვა მანიაკად გამოეცხადებინათ.

ეს წერილები, ალბათ, ბევრმა წაიკითხა. წაიკითხეს და, როგორც ხდება, გვერდზე გადასდეს. იქნებ ოდნავ მაინც ამოძრავდა გამოკვლევის გაუბედავი გრძნობა, იქნებ სულის სიღრმიდან დაიძრა დავიწყებული, საყოფაცხოვრებო წერილმანებით შეზღუდული, მაგრამ ოდესღაც ძვირფასი, მღელვარების გამომწვევი თუნდაც „მწარე“ საკითხები... შეიძლება! ყველაფერი ხდება — ისეთი უგვანო მოვლენებიც კი, რაზედაც წერდა ნეკრასოვა და, როგორც დავინახეთ, ამგვარი მოვლენებისადმი გულგრილი დამოკიდებულებაც...

ზოგიერთი, ალბათ, ამ ამბავს ბუნებრივად მიიჩნევს და საბუთად სქესის თავისებურებას მოიყვანს, რაც თითქოს საშუალებას არ აძლევს მამაკაცს ქალების დანახვისას დაივიწყონ ეს თავისებურება. ზოგიერთ ქალს თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და ჰგონია — მამაკაცებით გარშემორტყმული ციხესიმაგრეა და ამავე დროს უნდა, რომ მასზე უფრო ენერგიული იერიში მიიტანონ, რათა სასურველი კაპიტულაცია არც ისე სამარცხვინო გამოჩნდეს. ასეთი ქალისათვის სიყვარული „ნეტარების მომენტისათვის“ ბრძოლაა და მამაკაცის ცდას არა თუ ბუნებრივად, არამედ სასიამოვნოდაც მიიჩნევს... ამგვარი ქალი, რა თქმა უნდა, მედგრად არ მოიგერიებდა იერიშებს, არ გამოიტანდა სახალხოდ, მასში იმ წამსვე აღმოჩნდებოდა მოღალატე, — ნაზი, სიტკბოების მოყვარული გული და, თუ თვითონ ქალი არა, ეს გული ჩააბარებდა მტერს ციხესიმაგრის გასაღებებს, გახსნიდა კარებს და ციხესიმაგრის მფლობელი ჩუმჩუმად გაამდა მაცდუნებელ სიყვარულს სამხრეთის ცისა და კვიპაროსების ქვეშ, როცა ირგვლივ ქვემეხების სროლა ისმის და ძმები იხოცებიან...

მართლაცდა რა გასაკვირია, თუ მამაკაცს სხვანაირად ვერ წარმოუდგენია ქალთან თანამშრომლობა თუ არა თანაცხოვრებით, თუ ყოველთვის ისწრაფვის დაუახლოვდეს მას არა მხოლოდ სულიერად, არამედ ხორციელადაც. სისხლის, ყვირილის, ჭრილობის შეხვევის მეტი არაფერია და უეცრად გამოჩნდება „შავგვრემანი ან ქერა მაცდური ქალი“. როგორ არ გამოიყენო შემთხვევა, როგორ არ ისარგებლო მისი სისუსტით, გამოუცდელობით, წუთიერი გატაცებით და, რა თქმა უნდა... სხვა ამგვარი შესაძლებლობით. ხოლო თუ ამის გამო ჩვენი უმანკო საზოგადოება გაწყრება, ეს ხომ გამეორება იქნება un fap პროსტიტუციისა საერთოდ. შეიძლება აღმოჩნდეს პატიოსანი ადამიანი, რომელიც „თავგანწირულ გმირს“ სახეში შეაფურთხებს, მაგრამ რა მოხდა? მოიწმენდს და განაგრძობს „სამსახურს“. თუ მათ ზურგს შეაქცევს ყველა პატიოსანი ქალი, ამგვარი გმირები გაურბიან და თითქოს ეშინიათ კიდეც მათი, და თუ ბრძოლის ველზე ქალებს მათი სქესისათვის დამახასიათებელი „სამსახური“ სთხოვეს, ეს მხოლოდ შეცდომით, რადგან ნამდვილი „სუსტი“ ქალები მათ მახლობლად არ

იყვნენ. ხოლო თუ თავს ვერ შეიკავებ და, რომელიმე საბედისწერო შემთხვევის გამო, საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდები — ფული იყოს და ყველაფერი კეთილად დასრულდება: არსებობს სპეციალური ხალხი და სპეციალური, შემამსუბუქებელი, გამამართლებელი გარემოება: სამხრეთის მდიდრული ცა, აღგზნებული ნერვები, გახურებული თავი, ქალის სილამაზე, ურთიერთობის შესაძლებლობა... და საქმე მოგვარდება — გმირი მზადაა ახალი საგმირო საქმეებისათვის. გარემოებათა დასახელება და არგუმენტების მოყვანა შეიძლება ყველა დარგიდან, პოეზიიდანაც კი! წყეულო არგუმენტებო! რატომ ხართ მუდამ ძლიერის მხარეზე?

შეიძლება პრესამ... მაგრამ რა უნდა გააკეთოს პრესამ ყალბი თანაგრძნობითა და ხელოვნური აღშფოთებით? აღშფოთების გამოთქმა და მხოლოდ აღშფოთების გამოთქმა... ამას იქით იგი არ მიდის...

განა ეს სიმართლე არაა? განა ჩვენ მხოლოდ აღშფოთებას არ გამოვთქვამთ ყველა მოხერხებულ შემთხვევაში? განა ჩვენი პუბლიცისტიკა აღშფოთებათა გრძელი რიგი არაა? დაუშვით შეცდომა — გამოვთქვამ აღშფოთებას. გვინდა გამოვასწოროთ როგორმე, მაგრამ რაღაც არ გამოგვდის. ერთ შეცდომას მეორე, კიდევ უფრო ძნელად საპატიები, შეცდომა მოვაყოლეთ, და ისევ აღშფოთება. ბოლოს, როგორც ამბობენ, საბოლოოდ გავებით, და კვლავ აღშფოთება. ჩვენ აღშფოთებული ვიყავით (ამ ცოტა ხნის წინათ) თურქებით, სერბებით, ჩერნიაევით, ჩვენი მოხალისეებით, მოწყალების დებით, ჩვენი ფინანსისტებით, საკუთარი თავით, კოგანით, გორვიცითა და K°-ით, ინგლისელებით, ავსტრიელებით, ბისმარკით, სულთანით, რუმინელებითა და ბერძნებით. რა მოგვიტანა ამ აღშფოთებამ?

რაა ამის მიზეზი?..

საბრალო რუსო ქალო! შენ, ეს ესაა გამოხვედი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე. ჯერ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯის ვადადგმაც ვერ მოასწარი ჩვენს სისხლით მორწყულ, ტალახიან ასპარეზზე და რამდენი მწარე წუთის გადატანა მოგიხდა, რამდენი სიცრუე, ცილისწამება, დაცინვა, ლანძღვა, ნარეცხი წყალი ამოდინდა ყველა სოროდან და ბუნაგიდან და მორჩილ, დახრილ თავზე გადაგესხა! ყველა ჯურის ციტოვიჩები ახლაც ცდილობენ იძულებული გაგხადონ საკუთარი სხეულით იცხოვრო... ოჯახის სულისშემხუთავი დ Ხირადი ინტერესების სფეროდან გამოსვლას აქამდე გიხშობს მამაკაცის ხვევნა. შენ ადამიანი ხარ, მაგრამ არვის არ სურს შეეგუოს იმ აზრს, რომ მხოლოდ ძუ არა ხარ. მთელი ძალღონით ეძებ პატიოსნური მოღვაწეობის ასპარეზს, ისინი კი ცდილობენ, საწოლთან დაგაკავშირონ. რაც არ უხდა დაუჯდეთ, ცდილობენ თავს მოგახვიონ დამცველი და მფარველი, მაგრამ მე ვფიქრობ, შენ უკვე შეიცანი შენი და მისი ნამდვილი როლი.

7. „ობზორის“ რედაქტორის პროცესი

დღეს, 5 დეკემბერს, თბილისის საოლქო სასამართლო განაგრძობ-
და„ობზორის“[3] რედაქტორის საქმის გარჩევას, რომელსაც ბრალად
ედება 1029-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ორივე ძხა-
რემ თავიანთი აზრი გამოთქვა, რის შემდეგაც სასამართლო შეუდგა
კითხვების დასმას და მათ განხილვას. საკმაოდ ხანგრძლივი თათბირის
შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: სასამართლო ამართლებს
„ობზორის“ რედაქტორს ნ. ნიკოლაძეს.

თუ შესაძლებელი იქნება მთელი ამ პროცესის დაბეჭდვა ჩვენ მას
დავბეჭდავთ „ობზორში“. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიბეჭდება დე-
დაქალაქის ერთ-ერთ გაზეთში.

8. სიტყვა და საქმე

თბილისი. 7 დეკემბერი

მე მგონი უსაგნო ნივთთა სფეროში არ არსებობს ელემენტები, რომლებიც ისე ეწინააღმდეგებოდნენ შეერთებას, როგორც სიტყვა და საქმე. ამ აზრს ადვილად დაეთანხმება კაცი, თუ ოდნავ მაინც დაფიქრდება და გადასინჯავს ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივ და ჩვენს მახლობლად ხდება. ამგვარი შრომა უსარგებლო არაა და თუ სურვილი აქვს, მთელი რიგი უმდიდრესი დასკვნების გამოტანა შეუძლია. რა საჭიროა ამგვარი დასკვნები, — შეიძლება გვკითხონ ადამიანებმა, რომლებიც დასკვნებს გაურბიან, თუ ისინი ციფრებს არ შეიცავს და ეს ციფრები არ გამოხატავს მანეთებს, ან რაიმე ისეთს, რასაც თანამედროვე ადამიანები დიდ პატივს სცემენ. შეიძლება ვრცელი და საჭირო პასუხი გავცეთ ამ კითხვას, მაგრამ ჯერჯერობით საკმარისია ვთქვათ, რომ დასკვნა, როგორც გარკვეული დაპირისპირებისა და შედარებებისაგან გამომდინარე ბუნებრივი და ლოგიკური შედეგი, უეჭველად გვაძლევს რაღაც მითითებას და, ამავე დროს, სრულიად გარკვეულს, რაც ვინმეს ან რაიმეს გამოადგება. ამგვარი დასკვნა მზა კერძია — მიუჯექი და შეექეცი ყოველგვარი მომზადების გარეშე; ხოლო ყველა, ვისაც ჭამა უნდა, ვერ გამონახავს დროს, არ ეყოფა ხალისი და ცოდნა მოიმზადოს თავისთვის, რაც საჭიროა. ეს, რა თქმა უნდა, ისეთი უბრალო ამბავია, რაზედაც არც იყო საჭირო ლაპარაკი, ჩვენ რომ მხედველობაში არ გვქონოდა გამოგვეტანა რამდენიმე დასკვნა და მითითება, გამომდინარე ზოგიერთი დაპირისპირებიდან. სწორედ ის დასკვნები, რომელთაც იძულებული გაგეხადეს აღგვენიშნა თუ რა ძნელია სიტყვისა და საქმის შეერთება.

თავის პატარა შენიშვნაში გაზეთმა „კავკაზმა“ [11] (№ 275) მკითხველებს გააცნო ამ დღეებში გამოსული საკმაოდ სასარგებლო ცხრილი, სადაც სხვადასხვა საღებავების მეშვეობით დახასიათებულია ქ. თბილისის თითოეული სასწავლო დაწესებულების სანიტარული მდგომარეობა. იხილავდა რა ამ ცხრილს მთლიანად, გაზეთი ასეთ დასკვნამდე მივიდა: ცხრილი გვაკვირვებს ლურჯი და წაბლისფერი საღებავების სიუხვით (რაც აღნიშნავს ისეთი საგნების უვარგისობას ან უქონლო-

ბას, რაც აუცილებელია ჰიგიენური თვალსაზრისით სკოლის მოსაწყობად). დასკვნა საერთოა და ეხება ქალაქის ყველა სასწავლო დაწესებულებას, მაგრამ გამოქვეყნებული ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს თითოეული სასწავლო დაწესებულების შესახებ კერძო დასკვნებიც გავაკეთოთ. ამგვარი დასკვნის გამოყვანის ცდა აღნიშნულ შენიშვნაშიც არის: აღებულია ერთი კერძო სასწავლო დაწესებულება — ბატ. მანდენოვის პროგიმნაზია და დაპირისპირებულია ისეთი საგნები, რომლებიც ახასიათებს დაწესებულების სანიტარულ მდგომარეობას: არ არის მხოლოდ დასკვნა, რაც ისედაც ცხადია ყველასთვის. კერძოდ. ბატ. მანდენოვის დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობა ძალზე ცუდია. ამგვარი დასკვნის სარგებლიანობა ყველასთვის ცხადია: ჯერ ერთი, ექნებათ რა ეს მდგომარეობა მხედველობაში და ეცოდინებათ რა რომ ყოველივე ეს მართალია, მშობლები, რომლებიც შვილის ჯანმრთელობას უფრთხილდებიან, არ მიაბარებენ მათ ბატ. მანდენოვის სასწავლო დაწესებულებაში... მეორე — სასწავლო საქმის ხელმძღვანელობა, რომელიც უფრთხილდება ...ეცდება აიძულოს ბატ. მანდენოვი ან დაიქირაოს ახალი შენობა, ანდა გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა და ბოლოს მესამე — ბატ. მანდენოვი, რომელიც, როგორც ყველა, ვინც გრძნობს რომ რაღაც მურით არის მოსვრილი და უმძიმს ყოველი ხმამაღალი სიტყვის მოსმენა ამ მსუბუქ საგანზე, ალბათ, ნებაყოფლობით ეცდება აღმოფხვრას ის, რის აღმოფხვრაც მას შაინც მოუწევს. ყველა ამ სამ შემთხვევაში მოიგებენ მხოლოდ ბატ. მანდენოვის სკოლის მოსწავლეები.

ამგვარად, უბრალო და კეთილსინდისიერი დასკვნიდან გამომდინარე საჭირო მითითება სასარგებლო აღმოჩნდა. გარდა ამისა, იგი ეზას ულსნის სხვა, არანაკლებ სასარგებლო დასკვნებს... როცა გაზეთ „კავკაზის" შენიშვნა წავიკითხეთ, შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ასეთი ბროშურა: „ბატ. მანდენოვისა და ირიცპუხოვის თბილისის კერძო პროგიმნაზიების სასწავლო გეგმა". ეს ბროშურა დროულად აღმოჩნდა ჩვენს ხელში: მოგვეცა შესაძლებლობა რამდენიმე საინტერესო დაპირისპირებისა, კერძოდ, კი სიტყვისა და საქმისა. როცა ასეთ სასწავლო გეგმას წაიკითხავ, ყოველ ადამიანს, რომელსაც სწამს ბეჭდვითი სიტყვისა, და თუ იგი, ამავე დროს, დამოწმებულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის სოლიდური ხელმოწერით, მისდაუნებურად შეექმნება დიდებული წარმოდგენა დაპროექტებულ სასწავლო დაწესებულებებზე, რომლებშიც ასე თავაზიანად და მრავალი დაპირების გამომხატველი ღიმილით ეპატიჟება ბატ. მანდენოვი ბავშვებს, რომელთაც მეცნიერული განათლება სწყურიათ. მართლაც და, როგორ არ წარმოიდგინო რაღაც მშვენიერი, როცა ძალღონით სავსე და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ადამიანები გეუბნებიან, რომ ჩვენ გვსურს ჩვენი

ძალა და ცოდნა ახალგაზრდობის განვითარებას მოვახმაროთ, ვხსნით გიმნაზიას და, გარდა სავალდებულო საგნებისა, ვასწავლით აგრეთვე მუსიკას, სიმღერას, ცეკვებსა და ტანვარჯიშს. ყოველივე ამისთვის პანსიონერებს ჩვენ ვთხოვთ ყოველწლიურად 250 მანეთის დამატებას: სასწავლებლის მოსაწყობად — 13 მან., სახელმძღვანელოებისათვის— 12 მან., აბანოსათვის — 6 მან., მუსიკისათვის — 40 მან., სიმღერისათვის — 10 მან., ცეკვებისა და ტანვარჯიშისათვის — 12 მანეთი... ძართალია, ეს ციფრები გვაოცებს სიდიდით, მაგრამ იფიქრეთ ისიც, რომ სამაგიეროდ ბავშვები კარგად იგრძნობენ თავს, ექნებათ შესანიშნავი ავეჯი, კარგი სახელმძღვანელოები, იზრუნებენ მათ ჯანმრთელობაზე, განავითარებენ მათ გონებასა და სხეულს. ამგვარი მოსაზრებები გამშვიდებენ და პატივისცემის გრძნობა გიჩნდებათ იმ ადამიანებისადმი, რომელთაც თუმცა ძვირად, მაგრამ მაინც იკისრეს ბავშვების აღზრდა... ...და უეცრად რომელიღაც სტატისტიკურ-სანიტარული ცხრილი, რომელიც საღებავებითაა მოთხვრილი, თვალს გიხელთ: მშვენიერი წარმოდგენა გარდაიქმნება რაღაც ძალზე ცუდ რამედ და, ამასთანავე, თვალწინ წარმოგიდგებათ სიტყვასა და საქმეს შორის არსებული წინააღმდეგობა, ე. ი. გამოთქმულ, ნავარაუდევ დაპირებებსა და სიხამდვილეს შორის. ცხრილი მოწმობს, რომ ბატ. მანდენოვის აღსაზრდელ-გამანათლებელ დაწესებულებაში ცუდი ჰაერია, არ არსებობს არავითარი ვენტილაცია, სინათლის სიძლიერე და მიმართულება არადამაკმაყოფილებელია (რაც ძალზე მნიშვნელოვანი პირობაა მხედველობისათვის), საკლასო ავეჯი ცუდია, სატანვარჯიშო იარაღები — ძალზე უხეირო, გათბობის სისტემა — უვარგისი, სასადილო, საწოლი და პირსაბანი — უხეირო, საავადმყოფო არა აქვს, სამზარეულო — ცუდია, საპირფარეშო — სრულიად უვარგისია, ეზო — ცუდია, ასევე უხეიროა ირგვლივ მდებარე ადგილებიც. ერთი სიტყვით, ყველაფერი ცუდია. ამასთანავე, „კავკაზის“ შენიშვნაში ნახსენებია წყლიანი კასრი, რომლის ირგვლივ გუბე დგას; ეტყობა ბავშვები ამ კასრიდან ზამთარშიც სვამენ წყალს, როცა წყალი ყინულივით ცივია. მაგრამ, შეიძლება გარდა ჰიგიენური მდგომარეობისა, მიმომხილველები შეადგენენ აგრეთვე ბატ. მანდანოვის სასწავლო დაწესებულების სხვა მხარეების ცხრილსაც, რაც, მაგალითად, დაგვანახებდა, რომ სახელმძღვანელოები ბატ. მანდანოვის სასწავლებელში ცოტაა, არასაინტერესოდაა შედგენილი; ზოგიერთი საპატივცემლო საგნის პატივცემული მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი შესაფერისი არაა, და არა დაწესებულების საერთო წყობის მიხედვით, არამედ — პედაგოგიკის თვალსაზრისით და ა. შ. და თქვენ მაშინ ახალ დასკვნას გამოიტანთ. მაგრამ, სანამ თქვენ ამგვარი ცხრილი ხელთ არა გაქვთ, შეგიძლიათ მხოლოდ დაუშვათ, რომ ბატ. მანდენოვის პროგიმნაზიის სხვა დარგ-

შიც ანალოგიური მოვლენებისა და ფაქტების არსებობის შესაძლებლობაა და, ამავე დროს, მტკიცედ ეყრდნობოდეთ მხოლოდ ერთ უდავო ფაქტს: მარტო ბატ. მანდენოვის პროგიმნაზია არ ცოდავს ჰიგიენური პირობების მიმართ: მეტად თუ ნაკლებად, ცუდი ჰიგიენური პირობებია ჩვენი ქალაქის ყველა სასწავლო დაწესებულებაში, გამონაკლისს არც სახელმწიფო დაწესებულებები წარმოადგენს. ცხადია, კერძო სკოლები მეტად განიცდიან ამას, რადგან ნაკლები სახსრები აქვთ (ჩვენ მხედველობაში გვაქვს წვრილი სკოლები), თუმცა ეს სრულიად არ ამცირებს სკოლის პატრონის პასუხისმგებლობას იმ ვნების გამო, რაც სასწავლებელს მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის მოაქვს არაჯანსაღი ჰაერის, უხეირო საკლასო ავეჯის, სინათლის ნაკლებობისა და არასწორი გაშუქების წყალობით. რაც არ უნდა გააკეთოს სასწავლო დაწესებულებამ ბავშვის განვითარებისათვის, მაინც ცუდი იქნება, თუ არაფერს არ გააკეთებს მისი ჯანმრთელობის სასარგებლოდ. და მით უმეტეს მაშინ, როცა მას ვნება მოაქვს ბავშვის ჯანმრთელობისათვის. არ შეიძლება რომ ეს არ ესმოდეთ ახალგაზრდობის ჩვენს პატენტოვან და არა პატენტოვან აღმზრდელებს. არც იმის დაშვება შეიძლება, რომ მათ არა აქვთ შესაძლებლობა შექმნან სკოლებში სასკოლო ჰიგიენის უმთავრესი პირობები. ეს არც ისე ძნელია. ჩვენ გვგონია, (ეს მართლაც ასეა), რომ ეს უბრალოდ ან აპატიის შედეგია, ანდა უმნიშვნელო ანგარიშიანობის გამო უგულვებელყოფენ ყოველი სასწავლო დაწესებულების არსებით და მნიშვნელოვან პირობებს, რადგან მშობლებისათვის ეს პირობები აუცილებელი მოთხოვნილება არაა, თანაც ამ პირობების უგულვებელყოფა არავითარ პასუხისმგებლობას და მატერიალურ ზარალს არ იწვევს... არსებობს მოთხოვნილება არითმეტიკაზე, ისტორიაზე, ლათინურზე და ა. შ. და ცდილობენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო ბავშვის ჯანმრთელ ფიზიკურ განვითარებაზე კი მოთხოვნილება არ არის. ამიტომ ცხადია, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა ჩვენში ჯერ კიდევ ვაჭრული საქმიანობაა...

9. ლიტერატურული ნარჩენები

(I. გაზეთ „მშაკის“ მიხედვით)

თბილისი, 8 დეკემბერი

უკანასკნელი ორი-სამი კვირის განმავლობაში დაგვიგროვდა უამრავი პოლიტიკური და ლიტერატურული ნარჩენები. არ გვინდა ბოროტად გამოვიყენოთ ჩვენი ოპონენტების მოთმინება და შევუდგებით ამ ნარჩენების წმენდას.

იმ პოლემიკის გამო, რომელიც ჩვენ პატივცემულ გაზეთ „მშაკთან“ [12] კამათში გადავიტანეთ იმის თაობაზე, რომ ღირს თუ არა ოცნება უბედური კავკასიელი მუსულმანების მოზიდვაზე სომხურ სკოლებში და მათთვის სომხური ანბანის თავზე მოხვევა, გაზეთმა „მშაკმა“ გვიპასუხა შემდეგი სტატიით, რამაც მას თითქოს გამარჯვება მოუტანა:

„გაზეთმა „ობზორმა“ [3] კვლავ გვიპასუხა. იგი ამტკიცებს, თითქოს ჩვენ უარვყოფთ ყველა ერის მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას.

ჩვენ მუდამ მხარს ვუჭერდით, და კვლავაც დავუჭერთ მხარს, ყველა ერის პირველდაწყებითი სწავლის მიღების პრინციპს მშობლიურ ენაზე, რადგან მხოლოდ მშობლიური ენაა ხელმისაწვდომი და გასაგები ბავშვისათვის, და ამიტომ იგი უკეთ უწყობს ხელს ბავშვის გონებრივ განვითარებას და სწორ აზროვნებას, ვიდრე სხვა რომელიმე ენა. მშობლიური ენა, როგორც ერის ისტორიული განვითარების პროდუქტი, გაცილებით უკეთ უწყობს ხელს იმ ბავშვის სწორ და სწრაფ ინდივიდუალურ განვითარებას, რომელიც ამ ერის შვილია.

მაგრამ თუ ნაციონალური ენა ღარიბი და განუვითარებელია, როგორც, მაგალითად, ზოგიერთი ბთის ხალხებისა, თუ მას არ გააჩნია სიტყვები ყველაზე ელემენტარული ცნებების გამოსახატავად, თუ უნარი არ შესწევს მუდმივი განვითარებისა, თუ ფილოლოგიური ფორმის და პირველადი სიტყვაწარმოქმნის სიღარიბის გამო არ შეუძლია ადგილიდან დაიძრან, რადგან უნარი არ შესწევს შეითვისონ ახალი, თუნდაც სრულიად ელემენტარული ცნებები და ვამოხატონ ისინი შესაბამისი სიტყვებით — ნუთუ ასეთი მშობლიური ენაც უნდა

ჩაეკალოთ სასარგებლოდ ბავშვის სწორი გონებრივი განვითარებისათვის?

და ბოლოს, „ობზორის" ახალი ფილოლოგიური და ისტორიული აღმოჩენა, თითქოს თურქები მონღოლები არ არიან; მაგრამ, ვთქვათ, ეკუთვნიან კავკასიის ინდო-ევროპულ ხალხებს, რაც ეწინააღმდეგება ამავე რუსული გაზეთის ყველა მოსაზრებას, რატომ გგონიათ თქვენ რომ საჭიროა თურქებისა და თათრებისათვის თურქული ენის მიღება, თუ ეს მათი მშობლიური ენა არაა?... თქვენ ამბობთ, რომ თურქები მონღოლები არ არიანო; მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ უარყოთ, რომ ის თურქული ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ კონსტანტინეპოლიდან ასტრახანამდე და ყაზანამდე, მონგოლური ენაა. ყაზანელი თათრები, ოდესღაც რუსების მიერ დაპყრობილი მონღოლების ნარჩენები არიან და ლაპარაკობენ იმავე ენაზე, რომელზედაც კონსტანტინეპოლელი ეფენდი, განსხვავება მხოლოდ გამოთქმაშია.

ამგვარად, თქვენის აზრით, თურქები კავკასიის ხალხებს ეკუთვნიან და ამავე დროს ლაპარაკობენ არა მშობლიურ მონღოლურ ენაზე. რატომლა მოითხოვთ მაშინ თქვენ, რომ მათ ისწავლონ არამშობლიური ენაზე და ამტკიცებთ, რომ კავკასიელი ადამიანისათვის მონღოლური ენა მშობლიურია?!

აი, ბატონებო სანამდე შეიძლება მიხვიდე, როცა ლოგიკაში მოიკოჭლებ!

თუ ჩვენ შევჩერდებით რუსული გაზეთის მიერ წამოყენებულ დებულებაზე, მაჰმადიანი ხალხების უძრაობის მიზეზი შეიძლება აღმოვაჩინოთ იმაში, რომ ყველა მაჰმადიანურმა ერმა, რომელ ტომსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, მაჰმადიანობასთან ერთად მიიღოს უცხო, მათი ფიზიოლოგიური ცხოვრებისათვის შეუფერებელი ცივილიზაცია არამშობლიურ ენაზე და მათთვის უცხო დამწერლობა...

სპარსელებმა, რომლებიც არეულ რასას ეკუთვნიან, მაჰმადიანობასთან ერთად მიიღეს მათთვის უცხო სემიტური ხალხის დამწერლობა. თურქმა სელჯუკებმა, რომლებიც თქვენ ხელახლა აღმოაჩინეთ, როგორც კავკასიელი ხალხი, თავიანთი ლაშქრობების დროს მონღოლი მხედართმთავრებისაგან შეითვისეს მათთვის არამშობლიური, მონღოლური ენა, ხოლო მაჰმადიანობასთან ერთად უცხო, არაბული (სემიტიური ხალხის: ანბანი.

ამგვარად, ამ საკითხზე დაწერილი „ობზორის" ყველა სტატია წარსულს უნდა ჩაბარდეს.

ეს ორგანო თავის ულოგიკობით იქამდე მივიდა, რომ თავის ხელით ანგრევს ყველა თავის დებულებას.

ახლა რუსულმა გაზეთმა უნდა აღიაროს, რომ თურქებისა და სხვა მაჰმადიანური ერებისათვის, რომელთაც იგი იცავს და რომლებიც,

მისი აზრით, არიულ რასას ეკუთვნიან და არა მონღოლურს (ნაწილობრივ ეს მართალია), უფრო სასარგებლო იქნება მათი სწორი გონებრივი განვითარებისათვის მათთვის დამახასიათებელი არიული ენის მიღება, უფრო სასარგებლო, ვიდრე მონღოლური ენა და არაბული ანბანი, რადგან ერთიც და მეორეც მათთვის არამშობლიურია".

მიუხედავად ამ სტატიის გამარჯვებული ტონისა, იგი მაინც ძველ, დიდიხნის უარყოფილ არგუმენტს ეყრდნობა და ამიტომ ახალი რეპლიკა საჭირო არაა. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია მოვაწყოთ ჩვენი მკითხველების წინაშე დიალექტიკური ასპარეზობა, თორემ არც ისე ძნელი იქნებოდა კიდევ ერთხელ ჩამოგვეგდო ცხენიდან პატივცემული დოქტორი არწრუნი. ყველა მის აქამდე გამოთქმულ მოსაზრებებზე შეიძლებოდა ასეთი პასუხი გაგვეცა: თქვენი აზრით თურქებმა არაბული ცივილიზაცია შეითვისეს უცხო ენაზე და ახლა ამტკიცებთ, რომ ასევე შეუძლიათ მათ შეითვისონ სომხური... მაგრამ მგონი თავად თქვენ ამტკიცებთ, რომ თურქები დაეცნენ, გამოიფიტნენ, დასუსტდნენ და ა. შ. რადგან ამგვარი რამ ყველა ხალხს ახასიათებს, რომელიც განათლებას უცხო ენაზე ღებულობს, მაშინ ეს ამბავი ცხადად ამტკიცებს უცხო ენაზე ცივილიზაციის შეთვისების მავნებლობას. და რადგან, ამასთან ერთად, დამტკიცებულია, რომ სომხური ენა თურქებისა და თათრებისათვის მშობლიური არაა, აქედან გამომდინარე ის დასკვნა, რომ მუსულმანები არ უნდა მიიზიდონ სომხურ სკოლებში.

მაგრამ ამგვარ უაზრო კამათში მონაწილეობის მიღება მე საკუთარი ღირსების შელახვად მიმაჩნია. ჩვენ გავაცანით ჩვენს მკითხველებს ყველაფერი, რაც ამ საკითხის შესახებ გაზეთმა „მშაკმა" დაბეჭდა და საკმაოდ ნათლად გამოვთქვით ჩვენი უარყოფა. ამგვარად, მკითხველს ხელთ აქვს ყველა საჭირო მასალა, რათა სადავო საკითხის შესახებ საკუთარი აზრი იქონიოს. კამათის შეჯამების სურვილი ჩვენ არ გვაქვს: იგი ნათელია ყველასათვის, ვინც წინასწარ არაა დაჯერებული, და ამ ამბავს ბატ. არწრუნის სიჯიუტეც კი ვერ დაჩრდილავს, რომელსაც, გულუბრყვილობის გამო, ჰგონია, რომ რაკი კამათს განაგრძნობს, შეძლებს დაამტკიცოს თეთრი შავიაო. დიალექტიკური ფოკუსების დრო, საბედნიეროდ, დიდი ხანია წავიდა. თანამედროვე მკითხველს ვერავითარი დიალექტიკა და სოფისტიკა ვერ აიძულებს შეაერთოს და შეარიგოს ისეთი საწინააღმდეგო ცნებები, როგორიცაა მშობლიურ ენაზე სწავლების პრინციპი და დოქტორ არწრუნის მიერ წამოყენებული წინადადება — მუსულმანების სომხურ სკოლებში მიზიდვისა....

ამიტომ კამათი „მშაკთან", იმის გამო, რომ მიიზიდონ მუსულმანები სომხურ სკოლებში, ჩვენ სავსებით ამოწურულად მიგვაჩნია და არქივს ვაბარებთ.

საკვირაო საუბრები

გმირებიდან გადავიდეთ ტიპებზე. — გარემოს შესწავლის აუცილებლობა. — „სოლისთავიანთა ტიპი". — ტვინი ქაღალდის ფურცლის ფორმაზე. — ფარვანა და სანთელი. — რას ბზუის ფრთებდამწვარი ფარვანა? — განა ქალიშვილებია? — თუთიყუში. — მართლა არსებობს კრიტიკული ასაკი ქალის გონებრივ განვითარებაში? რა გვიშლის ხელს დავინახოთ მამაკაცთა მოდუნება? — „ფრანგი ბილწობს". — საინტერესო მუზეუმი. — დაჟანგებული ფლიუგერები. — რატომაა ძნელი „სოლისთავიანებთან" დარჩენა? — ტვინის გვამი. — როგორ ღებულობენ „სოლისთავიანები" ყოველ ახალ იდეას და მათ მატარებლებს? — განსხვავება „სოლისთავიანებსა" და ნამდვილ მტკიცე ადამიანებს შორის.—„სოლისთავიანების" ჭინთვა ყოველ ახალ აზრთან შეხვედრის დროს. — „მუცელი მტკივა!" — როგორ კამათობენ ისინი. დოქტორ კრუპოვის აფორიზმი. — ტვინის პერგამენტაცია. — ამ პერგამენტაციის პროცესის პროგრესი. — ავს კარგიც ახლავს.

მე საკმაოდ ბევრი საკვირაო საუბარი მიეუძღვენი ჩვენი დღეების გმირებს და ამ კვირის მოვლენებს. განა დრო არაა ავიდეთ ერთი საფეხურით მაღლა და შევუდგეთ ნაკლებ მოდური, მაგრამ უფრო გამძლე სიუჟეტების განხილვას?! ჩვენი დღეების გმირები, რომლებიც მეოთხედი საათით საერთო ყურადღებას იპყრობენ, უდავოდ საინტერესონი არიან. მაგრამ განა ნაკლებ საინტერესონი არიან ის ტიპები და მოვლენები, რომლებიც შეიმჩნეოდნენ ათეული წლების წინათ, ყოველწლიურად ვლინდებიან ჩვენს დროში და აღმოცენდებიან მრავალი წლის შემდეგაც? და თუ ამგვარ ტიპებსა და მოვლენებს მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ცხოვრებაში, თუკი ისინი გავლენას ახდენენ საქმის მსვლელობაზე და აბრკოლებენ ჩვენს განვითარებას, განა ასეთ შემთხვევაში ცოდვა იქნება ღრმად ჩავიხედოთ მათ გულში? ჩვენ მათ ვხვდებით ყოველდღიურად და იმდენს, რომ უბრალოდ მივეჩვიეთ მათ ხილვას. ამის გამო ვეღარც მათ სიმახინჯეს ვამჩნევთ და ვეღარც მათ მავნებლობას. ბანალობა ფარივით იცავთ მათ ჩვენი ხედვისა და ანალიზისაგან. ამავე დროს, იგივე ბანალობა სრულიად ვერ იფარავს საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს ამგვარი ტიპებისა და მოვლენების მომაკვდინებელი გავლენისაგან... მაგრამ არ ჯობია სანიმუშოდ შევუდგეთ ერთ-ერთი ამგვარი ტიპის განხილვას?

*

თანამედროვე ლიტერატურაში ყოველგვარი ტიპი და ხასიათია ასა-

ხული. ჩვენ ვიცნობთ „გარემოსაგან გულდაღრღნილ“ კეთილშობილი მეოცნებეს ტიპს და არანაკლებ კეთილშობილ მოაზროვნეს, რომელსაც გულზე ხელები დაუჭდვია, რადგან დარწმუნებულია, რომ „ზედმეტი ადამიანია“ და მისი აზრი ამქვეყნიური არაა. გვინახავს ჩვენ ლიტერატურაში, აგრეთვე, სიტყვისა და არა საქმის ბევრი გმირი, აღფრთოვანებული საუბრის დროს და მოდუნებული მოქმედებისას... რუდინისა[13] და ინსაროვის[14] შემდეგ გამოჩნდა ბევრი ასე თუ ისე დასრულებული, „იდეალური“ ტიპები... მაგრამ ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმ გარემოს შესახებ, რომელშიც ეს გმირები ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ. მართალია, ჩვენ გვყავს ამ გარემოში მცხოვრები უმდიდრესი ტიპები. მარტო მანილოვი[15] რად ღირს! ჩავიხედეთ აგრეთვე „ყოველგვარი საშუალებებით მხვეჭელთა“ სულში, ჩიჩიკოვების[16] სულში და „კანონიერი კეთილშობილური საშუალებებით მხვეჭელთა“ — მოლოტოვების[64] სულშიც. მაგრამ განა საზოგადოება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, მხოლოდ მოლოტოვების, ჩიჩიკოვების და მანილოვებისაგან შედგება? დააკვირდით კარგად ამ ტიპებს და თქვენ დაინახავთ, რომ ისინიც წარმოადგენენ გამონაკლის მოვლენას თანამედროვე გარემოში, რომელიც ჯერ კიდევ დახასიათებული არაა.

იმისათვის, რომ გაბედო მიზნად დაისახო ამ საზოგადოების დახატვა ერთი ლიტერატურული ტიპის მეშვეობით, ცხადია, გოგოლზე დიდი ტალანტია საჭირო. მაგრამ რადგან ამგვარი ტალანტის ნასახიც არ გაგვაჩნია, ამიტომ საძრახისი არ იქნება თუ ამ საზოგადოებიდან გამოვყოფთ რამდენიმე ორიგინალურ პირს, რათა ზერელე შტრიხებით მაინც განვსაზღვროთ თუნდაც პატარა ტიპის უმთავრესი მოხაზულობა....

თანამედროვე საზოგადოების ყველა ფენაში, საზოგადოებრივი იერარქიის ყველა საფეხურზე, გვხვდება ცალმხრივი ადამიანების ორიგინალური ტიპები, რომელთაც მე, შემოკლების მიზნით, „სოლისთავიანებს“ ვუწოდებ. მათ შეიძლება ეჭიროთ ყოველგვარი მდგომარეობა: ასწავლონ სახალხო სკოლებში, ითამაშონ სცენაზე, უხელმძღვანელონ გაზეთს, მოხნან მიწა, ან ივაჭრონ მდოგვით — ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წოდებას, ასაკს, ქონებას, საქმიანობას. ამ ტიპთა წარმომადგენელთათვის საერთო ისაა, რომ თავი სოლისებურად აქვთ მოწყობილი და გონებრივი შრომის არავითარი უნარი არ შესწევთ. მართალია, მათ ტვინი აქვთ — ტვინი ფიზიოლოგებმა ბაყაყშიც აღმოაჩინეს — მაგრამ ეს ტვინი, მათი თავის მსგავსად, სოლისებურია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი რომელიმე აზრის შეთვისება შეუძლია. მათი ტვინი თვითმოქმედი ორგანო კი

არაა, არამედ უბრალო ქაღალდის ფურცელია. ვინც პირველად აიღო ეს ქაღალდი ხელში და გამოიყვანა ამ ქაღალდზე გარკვეული ნაჯღაბნი, ანდა დაეწვეთა გარკვეული რაოდენობის ლაქა მელნით, მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მის ნაწერს ცულითაც ვეღარ აღმოკვეთ და ეს ფურცელი სხვა რაიმეს დასაწერად აღარ ვარგა. როგორც ბუნებაში მილიარდი ფარვანა მოიპოვება, რომლებიც მხოლოდ იმისთვის იბადებიან და იზრდებიან რომ იცხოვრონ იმ დღის ბოლომდე, რომელშაც მათი დაბადება იხილა, — ასევე ერთი დღის გონებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ ჩემი სოლისთავიანებიც. გამოიჩეკებიან თუ არა კვერცხებიდან, მაშინვე შლიან ჯერ კიდევ სველ ფრთებს და მიექანებიან პირველივე სანთელ-იდეისაკენ, რომელიც გზაზე ხვდებათ. სანთელი, რა თქმა უნდა, წვავს მათ ფრთებს და ამის შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, სულის უკანასკნელ ამოთქმამდე, ტრიალებენ ისინი ამ სანთლის ირგვლივ და მონოტონურად ბზუიან ერთსა და იმავე მწუხარე აგონიურ ბგერას.... რას ბზუიან ისინი? იქნებ მომავალ თაობას გადასცემენ თავიანთი სამწუხარო დაწვის ამბავს, ან იქნებ აგონიით გრძნობადაკარგულნი იმეორებენ იმ მხიარულ ყიჟინს, რომლითაც ცოცხლებმა და სიცოცხლით აღსავსეებმა სინათლეს მიაშურეს? ღმერთმა იცის მათი საქმე. მაგრამ ერთი რამ სწორი და მართალია — ბზუილი მონოტონურია და თუ მასში მართლა იმალება მოწოდება ან გაფრთხილება, აქამდე ცოცხლები და დაწვას გადარჩენილი ფარვანები, რომლებიც მაღლა დაფრინავენ, მაინც ვერ გაიგონებენ ამ ბგერებს....

•

საერთოდ, ადამიანური გონების ცხოვრება წარმოადგენს მეტად ორიგინალურ სურათს. რამდენჯერ გვინახავს ცხოვრებაში სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ქალიშვილი, რომელიც განვითარებისა და დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის. სწავლობს იგი გულმოდგინედ, მისი ნიჭი ყველას თვალში ეცემა, მისი შრომისუნარიანობა ყველას აკვირვებს. განვითარებისათვის თითქოს ყველა წინაპირობა აქვს... თქვენ უკვე ოცნებობთ, თუ რა ბრწყინვალე მომავალი ელის ამ ქალიშვილს... მაგრამ გადის წლები. თქვენ ყურადღებით ადევნებთ თვალს მის გონებრივ განვითარებას და ამჩნევთ, რომ იგი აღარ იზეპირებს და აღარ იმეორებს სხვის ფრაზებს, მისი გონება ინტენსიურად მუშაობს, რათა სხვისი აზრები დამოუკიდებლად გადაამუშავოს... მაგრამ აქვე და იმ წამსვე ამჩნევთ რომ პირველივე ამგვარი სამუშაოს შესრულების შემდეგ გონება დაიღალა და შეჩერდა პირველსავე დასკვნაზე, რომელიც გონების ამ გაცხარებული მუშაობის შედეგია. დავუშვათ, ეს დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტებს თავის უფრო ძლიერი ლოგიკა

აქვთ, ეიდრე ფანტაზია. გაკვირვებული ამჩნევთ, რომ რაზედაც არ უნდა ლაპარაკობდეს თქვენთვის საინტერესო ქალიშვილი, რაზედაც არ უნდა კამათობდეს, რაზეც არ უნდა ფიქრობდეს, აბსოლუტურად ყველაფერზე პასუხობს მხოლოდ დამაძინებელი, ყოვლის გადამწყვეტი და ყოვლის აღმომფხვრელი გამომეტყველებით — „ასეთია ფაქტების ლოგიკა“.

ვთქვათ საუბარში შეეხეთ საკითხს — თურქები ჩაგრავენ ბულგარელ ქრისტიანებს, — „ასეთია ფაქტების ლოგიკა“, გიპასუხებთ ქალიშვილი და დამშვიდდება, თითქოს ამით ქრისტიანები უკვე განთავისუფლდნენ მუსულმანთა ტირანიისაგან; ანდა ჩამოაგდეთ სიტყვა იმაზე, რომ ქურდობა ჩვენ დროში თავხედობამდე განვითარდა, — „ასეთია ფაქტების ლოგიკა“ — გიპასუხებთ თანამოსაუბრე ქალიშვილი და კვლავ დამშვიდდება, თითქოს შრომის ნაყოფი მთლიანად და სამუდამოდ გარანტირებულია მოტაცებისაგან... ჩაი უგემურია, — შენიშნეთ თქვენ, როცა არასაინტერესო სიუჟეტებზე გადახვალთ, და მაინც გაიგონებთ — „ასეთია ფაქტების ლოგიკა“, თითქოს ამ ფრაზის შედეგად ჩაი ნექტარად გადაიქცევა... ერთი სიტყვით, ყველაფერზე ასეთ სტერეოტიპულ პასუხს მიიღებთ, თითქოს სულიერ და გონიერ არსებას კი არ ელაპარაკებით, არამედ მექანიკურ თოჯინას, ანდა გაწვრთნილ თუთიყუშს, რომელიც ყოველ მისალმებაზე, კითხვაზე და ალერსზე მხოლოდ დასწავლილ პასუხს იძლევა — „დურაკ!“

*

ეს მოვლენა ისე ხშირად შეუმჩნევიათ ქალიშვილებისათვის, რომ იგი საფუძვლად დაედო საკმაოდ გავრცელებული თეორიის — რაღაც „კრიტიკული ასაკის“ არსებობას, რასაც ვითომ ქალის ტვინი და გონება განიცდის. ამტკიცებენ, თითქოს ქალებს მხოლოდ გარკვეულ ასაკამდე შეუძლიათ განვითარება, ხოლო როგორც კი გათხოვდება, ანდა პირველად დაორსულდება, კარგავს აზროვნებისა და გონებრივი განვითარების უნარს, თითქოს მათი ტვინი ციცდება, პერგამენტაციას განიცდის, ხევდება... ამ თეორიას სერიოზულად ქადაგებდნენ ძალზე სერიოზული სწავლულები და უაღრესად სერიოზულ ხალხსაც მართლა სწამდათ ეს თეორია....

ამავე დროს, ზუსტად ასეთი რამ მოსდის მამაკაცთა დიდ უმრავლესობასაც, და ეს მაშინ, როცა ცხოვრებაში ცოტა არ გვხვდება ისეთი ქალები, რომელთა გონებრივ განვითარებას ვერავითარი ასაკი ვერ აჩერებს. სინამდვილეში ჩვენ აქაც იმავე სოლისებრთავიახებთან გვაქვს საქმე, მხოლოდ ახლა ქალებში. ეს გარემოება მამაკაცების ცხოვრებაში ნაკლებად გვეცემა თვალში, რადგან მამაკაცებს გააჩნიათ

უამრავი გონებრივი სამუშაო, რომელიც შეიძლება მექანიკურად შესრულდეს. მაგალითად, როცა მასწავლებელი წლიდან წლამდე ერთი და იმავე რვეულების მეშვეობით გაკვეთილს გადასცემს —— მისი ტვინი თითქმის მთლიანად გაცივებულია და მის გონებაში არ შეიმჩნევა არავითარი მოძრაობა აზრის შემოქმედებითი მოძრაობისა, მაგრამ ვერავინ ვერ ხედავს მისი გონებრივი განვითარების შეჩერებას. ჩვევის, ადათის, ჩამორჩენილობის გამო ყველა ფიქრობს, რომ იგი გონებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, სინამდვილეში კი მისი გონება დიდი ხანია აღარ მუშაობს და ცხოვრობს მხოლოდ ინერციით, ცოხნის მხოლოდ ოდესღაც შეძენილ აზრებს. მექანიკური შრომა მას ვალდებულს ხდის — რაც შეიძლება ხშირად მოიგონოს წარსული. აი, ერთადერთი განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის: ქალი, თავის ცხოვრების მიხედვით, ისე განუდგება ხოლმე ყოველგვარ გონებრივ მუშაობას, თუნდაც მექანიკურს, რომ ხშირად წარსულის მოგონებაც კი არ უხდება.

*

ის, რაც შეუმჩნევიათ ცალკეული პირებისათვის, მისი დამოუკიდებელი გონებრივი მუშაობის შედეგად, შეიმჩნევა, აგრეთვე, არა მხოლოდ ცალკეულ პირებში, არამედ მთელ მასაში, როცა მასზე გავლენას ახდენს რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. მაგალითად: რუსეთის საზოგადოების მთელმა თაობამ, რომლის განვითარება ხდებოდა ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში, კუბოს ფიცრამდე შეინარჩუნა „რწმენა“, თითქოს ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში, თუკი სადმე რამე ხდება — ხდება მხოლოდ იმის გამო რომ „ფრანგი სიბილწეს სჩადის“! როცა ამ თაობის ტვინი ჯერ კიდევ სუფთა იყო, როცა მას უნარი შესწევდა ცხოვრების გაკვეთილები შეეთვისებინა, ერთი მოვლენა მეხივით დაატყდა თავს და დასტოვა მკვეთრი, წარუშლელი კვალი: ნაპოლეონმა ომებითა და ინტრიგებით დაიპყრო მათი გონება და გასაკვირი არაა, თუ ეს თაობა ყველგან ხედავდა მის აჩრდილს, მის ხელს. გავიდა წლები. ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე მიწას მიაბარეს, „ფრანგი“ გათელილ იქნა, ხოლო ევროპაში ახლა უკვე მეტერნიხი „ბილწობდა“, ჩვენი მოხუცები კი მაინც იმეორებდნენ „ფრანგი ბილწობს“ და მუდამ ოკეანისაკენ იყურებოდნენ... ჟანგი მოეკიდა, დაიკარგა ბეჭედი, რომლითაც ტვიფრი გამოჰყავდათ, მაგრამ ტვიფრი დარჩა, ხოლო ლუქი გამაგრდა და თავისი არსის მიხედვით არ შეუძლია თავათ შეიცვალოს საკუთარი სახე, რადგან საკუთარი თავის ამარაა მიტოვებული...

რამდენი ასეთი ფრაზა და რწმენება შეიძლება მოვიგონოთ, როცა ლაპარაკია სოლისებრთავიანებზე! მაგრამ კიდევ უფრო უცნაურია ამგვარი „ანაბეჭდის“ სიცოცხლისუნარიანობა.მაგრამ რადგან სოლისებრ-

თავიანმა ადამიანმა შთაბეჭდილება იმ წლებში მიიღო, როცა მისი ტვინი ჯერ კიდევ არ იყო დაჩლუნგებული, ეს შთაბეჭდილება, ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში, ზუსტად ისევე და იმავე ფარგლებში აღსდგება. უფრო ახლომყოფი სინამდვილიდან რომ არ მოვიყვანო მაგალითი, დავკმაყოფილდები იმავე გამოთქმით: „ფრანგი სიბილწეს სჩადის". აღსდგნენ ესპანელები რიეგოს დროს, ჩვენებურად ეს იმას ნიშნავს, რომ „ფრანგი ბილწობს", თუმცა ამ ამბავში ფრანგი არც სულიერადაა დამნაშავე და არც ფიზიკურად. აჯანყდნენ შემდეგ იტალიელები, ისევ — „ფრანგი ბილწობს". აჯანყდნენ სერბიელები და რუმინელები, აჯანყდნენ ბერძნები — ისევ ფრანგი და ფრანგი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გადასახლებულთა აჯანყებაშიც იგივე ჯერაგი ფრანგია დამნაშავე. ყველაფერი ეს სრულიად გასაგებია: რადგან კაცი, რომელიც რძემ დასწვა, წყალსაც სულს უბერავს, უბერავს ჩვევის გამო, ჩამორჩენილობის გამო....

•

არსებითად, შეუძლებელია ქვეყნად უკეთესი „კულტურული მუზეუმის" გახსნა, ვიდრე ეს იქნება ამგვარი სოლისებრთავიანების კოლექცია, — ყოველწლიური ეგზემპლიარებით. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, რა მშვენიერი რამ იქნებოდა ამგვარი კოლექცია. აი 1856 წლის მოსავლის სოლისებრთავიანი ადამიანი: „ჩვენ ჩამოვრჩით!" აი მეორე, 1857 წლისა: „თანამდებობა კი არ ამშვენებს ადამიანს, არამედ ადამიანი თანამდებობას"! აი მესამე, 1858 წლის: „საჭიროა რეფორმები ზევიდან დავიწყოთ, თუ არ გვინდა, რომ დაიწყონ ქვემოდან". აი მეოთხე, 1859 წლისა: „საჭიროა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება!" აი მეხუთე, 1860 წლისა: „ინგლისში ყველაფერი მშვენივრადაა!" მეტის ჩამოთვლა ჩვენ არც გვინდა....

ფლიუგერი, საერთოდ, განსაკუთრებული პატივისცემით არ სარგებლობს საზოგადოების წარმოდგენაში. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს იყო არა მარტო ფლიუგერი, არამედ ჟანგმოკიდებული ფლიუგერი, რომელმაც დაკარგა ღერძის ირგვლივ ტრიალის უნარი, დაემორჩილა მხოლოდ ქარის ერთ, რომელიღაც შემობერვას და ამის შემდეგ სამუდამოდ გაჩერდა... არც ვიცი რომელი ფლიუგერის მდგომარეობაა უკეთესი — მბრუნავისა თუ ჟანგმოკიდებულისა. ჩემის აზრით, ორივე კარგია. ყოველ შემთხვევაში, სოლისებრთავიანების უმრავლესობა სწორად ისეთ ფლიუგერებად წარმომიდგება, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორი მიმართულება ჰქონდა და როგორი რხევა განიცადა საზოგადოებრივმა აზრმა...

უმთავრესი კი ისაა, რომ ასეთ ხალხში უბრალოდ სული გეხუთება, მოწყენილი ხარ და გულცივად ხვდები მათ. მათგან ქვემეხის ყუმბარის

ფრენის სიშორეზე გრძნობთ ტორიჩელის სიცარიელეს, რაც ასე ეჯავრება ცოცხალი ადამიანის ბუნებას. მათთან ერთად ცხოვრება ძნელია. თქვენ თითონ არ იცით რატომაა ძნელი, მაგრამ დაუოკებელი მოთხოვნილება გაქვთ გაექცეთ მათ, თითქოს ნესტიან და ბნელ სარდაფში მოხვდით, სადაც სული გეხუთებათ... ხშირად „პატივს სცემთ“ ასეთ ადამიანებს, გიყვართ ისინი პატიოსნებისათვის, კეთილშობილებისათვის, მაგრამ არაფრის გულისათვის არ გინდათ დარჩეთ დიდხანს მათ პირისპირ, ისევე როგორც, არ დათანხმდებით ღამე გაათიოთ მიცვალებულთან ერთად, რა ძვირფასიც არ უნდა იყოს იგი თქვენთვის.....

ამ გრძნობას•ის გარემოება იწვევს, რომ სოლისებრთავიანები მართლაც ცოცხლად დამარხული გვამები არიან. მათი სხეული ჯერ კიდევ ცოცხლობს, მაგრამ ტვინსა და ნერვებს საუკუნო ძილით სძინავთ. ამაში რომ ადვილად დარწმუნდეთ საკმარისია მათ ახალი აზრი მიაწოდოთ. ისინი ამ აზრისადმი სხვას არაფერს იჩენენ თუ არა უნდობლობასა და ზიზღს. ყოველი ცოცხალი ბუნება, ყოველი ცოცხალი გონება, ახალ აზრს ხარბი ცნობისმოყვარეობით აღიქვამს. სულ სხვა საკითხია — მიიღებენ ამ აზრს თუ უარყოფენ. ´ესაა ამ აზრის ვარგისობისა და დროულობის საკითხი, მაგრამ ცოცხალი გონება იხილავს მას, ადარებს უწინდელ იდეებს, აანალიზებს უწინდელი ცოდნის მეშვეობით... ხოლო სოლისებრთავიანები მხოლოდ თვალებს ხუჭავენ და სანამ ამ აზრს მიიღებდნენ, მისგან პასპორტს თხოულობენ: საიდან მოსულხარ, ხარ კი კეთილისმზრახველი, ვინ გამოგგზავნა, რა მიზნით და ა. შ. თუ პასპორტი წესრიგშია, თუ აზრი გამოთქმულია სოლიდურ პატენტოვან გამოცემაში, თუ ამ აზრის ქვეშ ცნობილი ეთიკეტია, მაშინ ამ აზრს იმ წამსვე მიიღებენ, და იქვე ჩააბარებენ არხივში. წინააღმდეგ შემთხვევაში სოლისებრთავიანი არც კი „განიხილავს“ ამ აზრს. პასპორტის მოთხოვნას აზრისათვის ის შედეგი აქვს, რომ თუ სოლისებრთავიანმა ირწმუნა რამე შტამპი, თვალყურს აღარ ადევნებს ცხოვრებას, აღარ ვითარდება. მაგალითად, აღარ კითხულობს გაზეთსა და ჟურნალებს, აღარ აკვირდება ცხოვრების მოვლენებს და ა. შ. გავა 5-6 წელი და, ამის გამო, ისინი გადაიქცევიან მოსიარულე მუმიებად, რომლებიც მხოლოდ თავის ცხოვრების იმ დროის მოგონებებით არსებობენ, როცა ერთი გაზაფხულის მანძილზე მათი ტვინი ასე თუ ისე მუშაობდა.....

მე ძალიან შემაწუხებდა, თუ ვინმე ზემოთ ნათქვამს იმის ქადაგებად მიიღებდა, თითქოს აუცილებელია ყოველწლიურად საკუთარი შეხედულებებისა და იდეების ცვლა... მე ასეთი აზრი არ გამომითქვამს, ყველაზე მეტად მე ამ ქვეყნად შეხედულებების სიმტკიცეს და საკუთარი იდეებისადმი ერთგულებას ვაფასებ. მაგრამ სიმტკიცე მხოლოდ

მაშინაა დასაფასებელი და საქებარი, როცა იგი შეგნებული აქვს ადამიანს, როცა ადამიანი გაბედულად და პირდაპირ უყურებს თვალებში ცხოვრების ყოველ გამოვლინებას, მეცნიერების ახალ წარმატებებს და პოულობს მათში რაც შეიძლება მეტ საშუალებას ცხოვრებაში საკუთარი იდეალებისა და თეორიების გასატარებლად. ამისთვის კი საჭიროა გონების მუდმივი, დაძაბული შრომა, აზრის დაუღალავი მუშაობა, რათა დრომ არ სძლიოს სანუკვარ ოცნებებს, რათა ახალმა აზრმა და მეცნიერებამ, მოხერხებულად მომართულმა ჩვენსკენ მოქნილი მოწინააღმდეგეების მიერ, არ მოუტანოს სარგებლობა ობსკურანტებს და არ მიაყენოს ზიანი პროგრესიულ მიმართულებას.... სწორედ ასეთი სავალალო შედეგი მოსდევს ცხოვრებას, როცა სიტყვა „სიმტკიცე" ჩვენ გვესმის, როგორც თვითდაბრმავება და ჩამორჩენა, როცა მიმართულებისადმი ერთგულებად ჩვენ უმოძრაო უძლურება და სიზარმაცე მიგვაჩნია...

ხოლო სოლისებრთავიანების აზრის უმოძრაობა რომ სწორედ გონებრივი უძლურებისაგან მომდინარეობს — ეს ყველაზე უკეთ სჩანს იმ დაძაბულობაში, რასაც ისინი იჩენენ ყოველთვის, როცა, ნებით თუ უნებლიეთ, უხდებათ რომელიმე ახალი აზრის დაძლევა, ანდა როცა ასეთ აზრს ხვდებიან. ამ დროს მათი ფიზიონომიაც კი ასახავს მათ მოდუნებას, თითქოს კუჭი ასტკივდათ... გაკვირვებულნი, კითხვის გამომხატველი მზერით, გაოცებისგან ნახევრად ღია პირითა და გაშტერებულნი დგანან ისინი საათობით ყოველი ახალი იდეის წინაშე და, რადგან ვერ გადაუწყვეტიათ რომელ კატეგორიას მიაკუთვნონ, გულწრფელად სძულთ და ერეტიკოსად მიაჩნიათ ამ იდეის ავტორი. ო, რა გაბოროტებულნი არიან ისინი მაშინ მასზე; თითქოს იგია დამნაშავე იმაში, რომ სოლისებრთავიანები გახმენ და ცხოვრება დაამთავრეს! როგორ უნდა გაიგონ მათ — სასარგებლოა თუ არა ეს იდეა იმ იდეისთვის, რომელიც მათ გონებაშია აღბეჭდილი?! როგორ უნდა გაიგონ მათ, რა შეფარდება არსებობს ამ ორ იდეას შორის! მით უმეტეს, რომ ახალი იდეა ძველის ზუსტი განმეორება არაა.

სოლისებრთავიანები არა მარტო არაფერს არ კითხულობენ სერიოზულად, ე. ი. არა თუ არავითარ გონებრივ მუშაობას არ ეწევიან, არამედ არც გისმენენ, როცა მათ ეკამათებით ან რამეში არწმუნებთ... ლაპარაკის შესაძლებლობას გაძლევენ, მაგრამ არ გისმენენ. ისინი ფიქრობენ ან იგონებენ იმ ფრაზებს, რომელთაც სურთ პასუხი გასცენ თქვენს მიერ ჯერ კიდევ გამოუთქმელ სიტყვას. მათი რამეში დარწმუნება იგივეა, რომ კედელს ცერცვი შეაყარო: ისინი მით უფრო ჯიუტად იმეორებენ თავისას, რაც უფრო მეტად უპირთ რაიმეს გაგება ან გამოთქმა...

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საქმეს ვერავითარი შეგონება და

დარწმუნება ვერ უშველის. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ კაცობრიობის დიდ ნაწილს, დოქტორ კრუპოვის აზრით, „ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებია დიდი ტვინისთვის საჭირო ნივთიერება". სულ ერთია, რამდენსაც არ უნდა ცდილობდე დაარწმუნო — ამ ნივთიერებას მაინც ვერ შეცვლი და ვერ გააუმჯობესებ. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის ამ ნივთიერებას მხოლოდ რამდენიმე თვის მანძილზე, ახალგაზრდობის დასაწყისში შესწევს აღქმის უნარი (თუ შეიძლება ასე ითქვას). მიიღებს რა გარკვეულ ანაბეჭდს ხვეულებში და ნაკეცებში, ეს ნივთიერება ამის შემდეგ პერგამენტაციას განიცდის და სამუდამოდ ქვავდება. მოიხსენიეთ მაშინ იგი მარადის და ჩაუშვით სამარეში...

რა სამწუხაროა ყოველივე ეს, რამდენი მიზანტროპია არის ყოველივე ამაში, გაიფიქრებს მკითხველი.

ო, არა, ამაში ერთი ბეწო მიზანტროპიაც არ არის: აქ მხოლოდ ცხოვრების გაგებაა, ფხიზელი სიმართლეა. კაცობრიობის ყველა თაობის ტვინი რომ პერგამენტაციას განიცდიდეს და იყინებოდეს ერთი და იმავე შაბლონის მიხედვით, მაშინ, ცხადია, ხელი უნდა ჩაგვექნია და გვეთქვა:

ჩვენი მოდგმა გამოუსწორებელია,
ჩვენ არ გვსურს უქმად დაღუპვა!

მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ტვინის პერგამენტაციის პროცესშიაც კი შეიმჩნევა პროგრესი. ერთი თაობის გონება იყინება ბრიყვული აზრის შეთვისების შემდეგ, მეორესი — უფრო შესაფერისი აზრის, მესამესი — არც მთლად ადამიანურისა და ა. შ. საქმე ისაა, რომ ახალი ჰუმანური აზრების წარმომადგენლები და მატარებლები ცდილობდნენ ამ აზრებით რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეხდინათ, რათა მათი თაობის სუფთა და ჯერ კიდევ გაუცივებელ ტვინში მკვეთრი ანაბეჭდი დაეტოვებინათ, რაც შენარჩუნებული იქნება ჩამორჩენილობით მანამდე, სანამ არ გაქრება პირისაგან მიწისა ეს თაობა... აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ავს კარგიც ახლავს და რომ თვით სოლისებრთავიანებს ახასიათებთ ერთი კარგი თვისება — თუმცა პერგამენტირებული სახით, მაგრამ კონსერვატიული შენახვა იმ კარგი იდეებისა, რომლებიც მათ აღიქვეს მათი დროის გონებრივი ცხოვრების ინიციატორებისაგან....

11. თბილისის საბჭოს წევრთა არჩევნები

თბილისი, 11 დეკემბერი

ხვალ, 12 დეკემბერს, იწყება თბილისის საბჭოს წევრთა არჩევნები. სრულიად ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ არჩევნები გააზრებულად უნდა ჩატარდეს: ვინც ჩვენი თვითმმართველობის საქმეთა მსვლელობამ აქამდე ვერ დაარწმუნა ამ ჭეშმარიტებაში, მისი დარწმუნება არც სიტყვებითა და არც ფაქტებით არ შეიძლება. თუკი ამომრჩეველი თავათ არ არის დარწმუნებული, რომ ისეთი ქალაქისათვის, როგორც თბილისია, რომელიც მთელი ამიერკავკასიის დედაქალაქს წარმოადგენს და ფართო საეაჭრო ცენტრია, სამარცხვინოა ჰყავდეს ისეთი უმეცარი, აპატიური ეგოისტებისაგან შემდგარი საბჭო, როგორც აქამდე ჰყავდა, — შეგონება მას ვერას უშველის....

მაგრამ მომავალი არჩევნების მთელი სერიოზულობა და მნიშვნელობა არ ესმით იმ ამომრჩევლებსაც, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ საჭიროა თბილისის თვითმმართველობის შესაფერის სიმაღლეზე დაყენება. მწარედ სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, თითქოს ეს არჩევნები მხოლოდ ქალაქ თბილისის თვითმმართველობას ეხება. თუმცა მარტო ეს ერთი საქმეც საკმარისია იმისათვის, რომ ყოველი პატიოსანი და გონიერი ამომრჩეველი ვალდებული გახდეს მთელი გულისყურით მიუდგეს მომავალ არჩევნებს; მაგრამ ამას გარდა, არჩევნებით დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარეები....

ჩვენ ვცხოვრობთ სერიოზული რეფორმების ეპოქაში, რომლებიც, ერთხელ დადგენილნი, ჩასვამენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ისეთ ყალიბში, რომელიც შემდეგ ათეული წლების მანძილზე აღარ შეიცვლება. ასეთ ეპოქებში ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გაჩუმება, შემთხვევის ხელიდან გაშვება იმ დროს, როცა შეგვიძლია რაღაც სასარგებლო ვთქვათ, უძლურნი აღმოვჩნდეთ იმ დროს, როცა ჩვენი დახმარებაა საჭირო, — ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე არარაობად ვიქცეთ. ჩვენს თვითმმართველობას კი სწორედ ამგვარი რამ ელის...

როგორც ცნობილია, ჩვენში საერობო დაწესებულებების[17] შემო-

ღება შორს აღარაა. გარდა ამისა, მოხდება სხვადასხვაგვარი გარდაქმნები, რომელთა მიმართ ქალაქის საბჭოს დიდი მნიშვნელობა ექნება... აი, რატომაა აუცილებელი, რომ თბილისის ქალაქის საბჭომ, რომელიც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში დიდ როლს ითამაშებს, ჩვენი სამშობლოს ცხოვრებასა და ისტორიაში შეძლოს მოვლენათა სიმაღლეზე დგომა და, სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დაიკავოს თბილისისათვის შესაფერისი ადგილი, ოათა რუსეთის დიდ ქალაქებს შორის მას უკანასკნელი ადგილი არ ეჭიროს...

მწარედ ცდებიან ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქალაქის თვითმმართველობა მთლიანად დამოკიდებულია ვარგისი ან უვარგისი ქალაქის თავის არჩევაზე. შეჰქმენით კარგი საბჭო, შემდგარი ვონიერი, მცოდნე, პატიოსანი ადამიანებისაგან და, ასეთ შემთხვევაში, ქალაქს თავი იყოს თუნდაც პირველი ალაფი. მიუხედავად ამისა, ქალაქის ინტერესები ოდნავადაც არ შეიბღალება. ამავე დროს, თუ საბჭო უმეცარი და აპატიურია, საქმეს ქალაქის თავად ვაშინგტონის [illegible] ვერ უშველის... ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ჩვენი თვითმმართველობის მეგობრებს, თავი დაანებონ ქალაქის თავის არჩევაზე ზრუნვას და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გულმოდგინედ შეუდგნენ საბჭოს წევრთა არჩევას: საქმის არსი სწორედ ეს არის.

[illegible] ფენდა, სასურველია, რომ, პეტერბურგში და ჩვენში გავრცელებული გამოთქმის თანახმად, „ქალაქის თავი საბჭოსთან იყოს და საბჭო ქალაქის თავთან". მაგრამ კიდევ უფრო სასურველია, რომ ჩვენ საბჭოს ჰყავდეს თავიანი წევრები: მხოლოდ მაშინ მოიპოვებს თბილისის ხმა მნიშვნელობას და ავტორიტეტს როგორც ჩვენს მხარეში ასევე რუსეთშიც. ხოლო ეს მნიშვნელობა და ავტორიტეტი ჩშირად დაგვჭირდება...

12. კონცესიონერული ჯადოქრობის დასასრული

თბილისი, 14 დეკემბერი

სატახტო ქალაქის გასეთები იუწყებიან, რომ კონცესიონერული სამყარის უდიდესმა ვარსკვლავმა, რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების გამგებელმა, კონტრ-ადმირალმა ჩიხაჩევმა წარმოადგინა პატრიოტული პროექტი რუსეთის საზღვაო სიძლიერის შესაქმნელად.

რუსეთი, და განსაკუთრებით ჩვენი მხარე, რომელიც შავ ზღვას [illegible] ოქმა უნდა, ეერასოდეს დაივიწყებს იმ სამსახურს, რაც გამოიწვია აქაური სავაჭრო ფლოტის [illegible] სუბსიდიების მეშვეობით. სუბსიდიებს უწინ 2 მილიონის რაოდენობით აძლევდნენ, ახლა კი, მას შემდეგ, რაც 20 წელმა გაიარა, 750.000 მანეთის ოდენობით იძლევიან. ყველას თვალწინ მოხდა კონკურენციის გაძლიერება იმ სანაოსნო საზოგადოების განადგურება, რომელიც კაპიტანმა შმიდტმა შექმნა. უბადრუკი გემი „ზვიოზდოჩკაც“ კი, რომლის მეშეეობითაც ბატ. ზაბოლოცკის სურდა შეენარჩუნებინა ბათუმ-ქერჩის ხაზი, ვერ გადაურჩა წინააღმდეგობას და მიჰყიდეს სევასტოპოლის სახელოსნოებს, სადაც შესაკეთებლად იდგა. კაბოტაჟზე ლაპარაკიც ზედმეტია, იგი სრულიად დაღუპა „პერვენეცის“ და „ვოროზეის“ ტიპის ორთქლის კარპაჟების შემოღებამ, და გადაარჩინა არა რუსეთის საზოგადოების სინანულმა, არამედ იმ სიხარბემ, რომლითაც უნდოდათ ხელში ჩაეგდოთ საზღვაო ტვირთის გადაზიდვა, რისთვისაც ეს საცოდავი ბრტყელძირიანი ნავები, რომელთაც იყენებდნენ აზოვის ზღვაში გემების დასატვირთავად და ქვანახშირის გადასაზიდად, საბტვირთო გემებად აქციეს და უდროოდ დაიღუპნენ შავი ზღვის ტალღებში, თავიანთ ეკიპაჟებთან ერთად.

ამგვარად, ბატ. ჩიხაჩევის, როგორც რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების საწარმოთა მთავარი მამოძრავებელის სინდისს აწევს შავ ზღვაზე რუსეთის საზღვაო სიძლიერის განადგურება, რაც გამოიხატება ყოველგვარი კერძო სანაოსნო ვაჭრობის ჩანასახშივე მოსპობით; და ეს გააკეთა მხოლოდ სუბსიდირებული საზოგადოების ინტერესებისათვის და ჩარჩული მიზნით, რომლის შემოსავლიდან იგი იღებ-

ღა ვაჭკვეულ პროცენტს, რაც წელიწადში ოთხმოც ათას მანეთს და მეტსაც შეადგენდა.

გარდა ამისა, ბატ. ჩიხაჩევის დიდმა მეგობრობამ ოდესელ ებრაელ ბანკირებთან — ეფრუსთან და რაფაელოვიჩთან, რაც ვრცელდებოდა აგრეთვე პეტერბურგელი საქმოსნებისა და კონცესიონერული ჯადოქრების კონტიგენტზედაც, გამოიწვია რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოებისათვის ოდესის რკინისგზის გადაცემა, რომლის სამწუხარო ისტორია ძვირად უჯდება სახელმწიფო ხაზინას და რუსეთის ვაჭრობას. იმ დროს, როცა ლაპარაკობდნენ რუსეთის საზოგადოებისათვის სუბსიდიების გახანგრძლივებისათვის, ოდესის ვაჭრები პირდაპირ აფრთხილებდნენ მთავრობას, რომ სავაჭრო კრიზისის უმთავრესი მიზეზი ერთი საზოგადოების ხელში სანაოსნო გზების და რკინიგზების თავმოყრაა.

ასე რომ, არა მარტო ზღვაოსნობის, არამედ რუსეთის სამხრეთ ნაწილში ვაჭრობის მოსპობაც ბატ. ჩიხაჩევის სინდისს აწევს. ამიტომ, ბუნებრივია, როცა მან ნაყოფიერი მოღვაწეობით მილიონები შეიძინა, სანამ მოკვდებოდეს სურს გამოასწოროს თავისი გატაცებები და, ამიტომ, წარმოადგინა რუსეთის საზღვაო სიძლიერის განვითარების პროექტი. როგორ არ უნდა გიხაროდეს ამგვარი გზააბნეული მოღვაწის მოქცევა პატრიოტიზმში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დედაქალაქის ყველა გაზეთი ერთხმად აყვირდა „გვიშველეთ", რადგან ამ ამბავში დაინახეს რუსეთის კეთილდღეობისა და მისი საზღვაო ძლიერების აქამდე უნახავი ხელყოფა.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გვეთქვა რამდენიმე სიტყვა ბატ. ჩიხაჩევის პროექტის ერთ-ერთი ნაწილის შესახებ, კერძოდ კი რუსეთის გემთმშენებლობის უცხოურით შეცვლის შესახებ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს არაა პროექტის არსი. ბატ. ჩიხაჩევი, რომელმაც მილიონობით სახელმწიფო ფული შთანთქა, მივიდა ასეთ დასკვნამდე: „l'appétit vient en mangeant"[18], მისი აზრით, ყველაზე ბრძნული სახელმწიფო ღონისძიება ის იქნება, რომ სრულიად დაამშიოს ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს სჭირდება.

ვინ არ იცის ხმელეთზე მოღვაწეთაგან, რომ ფლოტი შედგება ორი ნაწილისაგან: თვით გემებისა და ეკიპაჟისაგან? გემები, განსაკუთრებით ჯავშნოსანი, ძალზე ძვირი ჯდება; მაგრამ თუ ფული გაქვს მათი ყიდვა ყოველთვის შეიძლება. სამხედრო გემის ეკიპაჟი შედგება ადმირალების, კაპიტნებისა და მეზღვაურებისაგან, რომელთაც ფულით ვერ იყიდით. მათი აღზრდა შეიძლება მხოლოდ რამდენიმე თაობის განმავლობაში.

კაპიტნის მოვალეობა იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ სამხედრო გემისათვის კარგი კაპიტნის გამონახვა ყველაზე ძნელი

ამოცანაა. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა იცნობდეს ზღვას და ყველა შემთხვევაში უნდა გამოიჩინოს მოსაზრებულობა, რის შეძენაც შეიძლება სხვადასხვა გემებზე და სხვადასხვა ზღვებში ხანგრძლივი და განუწყვეტელი ცურვის შედეგად. გარდა ამისა, მან უნდა იცოდეს ტაქტიკა, ფორტიფიკაცია, სამწყობრო სამსახური, მექანიკა, დანალმვის ხელოვნება, უნდა იცნობდეს არტილერიას და ამ დარგში ყოველ პრაქტიკულად გაუმჯობესებულ სიახლეს. ეტყობა, მეზღვაური უნდა სწავლობდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე და არა მარტო საზღვაო საქმეს; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გახდეს იგი სამხედრო გემის კარგი კაპიტანი.

ადმირალმა ჩიხაჩევმა ყოველივე ეს ჩვენზე, სახმელეთო პროფესიის ადამიანებზე, უკეთ იცის და, მიუხედავად ამისა, შეადგინა და მთავრობას წარუდგინა პროექტი რუსეთის ნაოსნობის განვითარების შესახებ, რომლის საფუძველია შემდეგი მოსაზრება: არსებული საზღვაო ეკიპაჟის სამი მეხუთედი გადაყვანილ იქნეს რეზერვში, ხოლო ამ გზით ყოველწლიურად დაზოგილი 10.000.000 მანეთი გამოყენებული იქნეს ჯავშნოსანი გემების მშენებლობის გასაფართოებლად.

ამგვარი ეკონომია რომ მივიღოთ, ამისათვის, რა თქმა უნდა, რეზერვში გადაყვანილთ არაფერი არ უნდა გადაუხადონ, ე. ი. იძულებული გახადონ სხვადასხვაგვარი ცხოვრება აირჩიონ. სავაჭრო ფლოტი ჩვენ არ გვყავს; ამიტომ მათ მოუხდებათ სახმელეთო პროფესიის არჩევა. ხოლო თუ ისინი სადმე მოეწყობიან, ცხადია, შემდეგ აღარ ისურვებენ ფლოტში დაბრუნებას, რადგან მომავალში, როგორც კი საჭირო აღარ იქნებიან, მათ კვლავ ელით განდევნის საფრთხე. მაგრამ თუ მეზღვაურები ხელს მოკიდებენ ვაჭრობას და სოფლის მეურნეობას, ამ საქმეს კი ათეულ წელს მოუნდებიან, როგორც ეს ომიდან ომამდე ხდება, ამ შემთხვევაში მათ სრულიად დაავიწყდებათ მეზღვაურობა და წარმოდგენა აღარ ექნებათ იმ გაუმჯობესებებსა და სიახლეებზე, რაც საზღვაო ტექნიკაში და პრაქტიკაში მოხდა მათი უნებური დასვენების დროს. ასე რომ, ისინი ვერ გაამართლებენ თავიანთ დანიშნულებას და ჩვენი ძლიერი საბრძოლო ფლოტი, აგებული ბატ. ჩიხაჩევის პროექტის მიხედვით, ისეთივე იქნება, როგორიც იყო თურქეთის ფლოტი უკანასკნელ ომში: სანიმუშო კონსტრუქციისა და შესანიშნავად შეიარაღებულ გემებს უვარგისი ეკიპაჟი ყავდა. ამის გამოსწორება ვერ შეძლო ადმირალად ინგლისელი გობარტ-ფაშას დანიშვნამაც კი და, ამიტომ, თურქეთის ფლოტმა მთელი ომის მანძილზე უბადრუკი როლი შეასრულა, თურქეთის ჯავშნოსანი გემები ტყვედ ჩაიგდეს ფეხოსანმა ჯარებმა ნიკოპოლის იერიშის დროს. ხოლო, ამავე დროს, ჩვენი მეზღვაურები, რომლებიც ლამბაქის მსგავს და რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების მიერ აგებულ მოუხეშავ პატარა

[illegible] [illegible]. დასცინოდნენ ჯავშნოსან ესკადრას და, ზოგ-[illegible] ჯავშნოსანს ჩაძირვით დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

ამ დროს ოვით ბატ. ჩიხაჩევმა ქერქეფელათი დუნაის წესართა-კამდე ვასცურა და უკან დაბრუნდა. ამიტომ, მან პრაქტიკულად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს ინგლისში აგებული თურქეთის ჯავშნოსანი ფლოტი. როცა მას უვარგისი ეკიპაჟი ჰყავს. ბატ. ჩიხაჩევმა კი სწორედ თურქეთის ეს ფლოტი აითვისა. ამ ბედუკულმართი პროექტის შესანიშნავად განხორციელებაც კი ვერაფერს მოგვცემს, გარდა შესანიშნავი გემებისა და ამ შესანიშნავი გემების ეკიპაჟების შევსებისა ყოველგვარი ნაძირალებისაგან, რადგან არ გვაქვს ეკიპაჟის ხანგრძლივად აღზრდის პრაქტიკა.

ნუთუ ესაა რუსეთის საზღვაო სიძლიერე ბატ. ჩიხაჩევო?

რუსეთი ევროპული სახელმწიფოა, ამბობდნენ უწინ, მანამდე, სანამ ევროპულმა სახელმწიფოებმა არ შელახეს ეს ცნება ქრისტიანების დაუნდობელი მოსპობით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ანგარებიანი მიზნებისათვის. ასე რომ, ახლა საჭიროა ამ სიტყვის შეცვლა. რუსეთი ქრისტიანული და ცივილიზირებული სახელმწიფოა. მისი არმია თურქ ბაში-ბუზუკებისაგან კი არ უნდა შედგებოდეს, არამედ ცივილიზირებულ ჯარისაგან, რომელიც მოვალეობის აღსრულებას საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა აყენებს.

რუსეთის ფლოტის ეკიპაჟი არ შეიძლება დაკომპლექტდეს ბანკის საქმოსნებისაგან, ბუღალტრებისაგან, მეფუნთუშეებისაგან, მემაშულეებისაგან და სოფლელებისაგან. კონტიგენტი ღირსი უნდა იყოს იმ ფლოტისა, რომლის დროშის ქვეშაც იცურებს! მას უნდა ახსოვდეს წარსულის ისტორიული გმირობანი და სამშობლოს უსაზღვრო ერთგული უნდა იყოს, მოკვდეს, მაგრამ დაიცვას მისი პატივი და ღირსება. ასეთი ადამიანების დაქირავება არ ხდება ბატ. ჩიხაჩევ, ასეთი ადამიანები უნდა აღიზარდოს ლაზარევის, ნახიმოვის, გრეიგის და სხვა ისტორიული მოღვაწეების ხელმძღვანელობით და არა კონცესიური წესით და ნოქრების ხელმძღვანელობით.

ვთქვათ, ბატ. ჩიხაჩევის პროექტი არადამაკმაყოფილებელია, იკითხავენ მკითხველები, მაგრამ რა შუაშია აქ კონცესიონური ჯადოქრობის დასასრული.

კონცესიონერულმა ჯადოქრობამ შეასრულა თავის [illegible] მღვდელმსახურება სახელმწიფო სკივრის ირგვლივ და, ცხადია, დააცარიელა იგი. ამის დანახვაზე ყველა შმულებმა, იცეკებმა და შლემკებმა მოიწყინეს და შეწყვიტეს თავიანთი მწყალობელი მოღვაწეობა. თვით გორვიცი, კოგანთან ერთად, უარზე დგას: ფული არაა, ვერაფერი გაგვიკეთებია!

და ამ დროს გამოჩნდა პროექტი, რომელიც საშუალებას იძლევა

ფულის მითვისებისას რუსეთის საკეთილდღეოდ არა მარტო საზღვარგარეთ დაკვეთების მეშვეობით, არამედ...ო, საოცრებავ! მიუთითებს იმაზეც, თუ სად დევს ეს ფული, რომლითაც შეიძლება სამშობლოს მწყალობლობა. ვანა ეს კონცესიონერული ჯადოქრობის გვირგვინი არაა? კრეჩინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფული ყველა სახლში მოიპოვება. მხოლოდ საჭიროა იცოდე სად დევს. ბატ. ჩიხაჩევი კი სწორედ ამას აკეთებს თავის პროექტით.

იგი გვაკარნახებს წავართვათ ცხოვრების საშუალება ათასობით მოსამსახურეს, რომელთაც სამოღვაწეოდ საზღვაო სამსახური აირჩიეს და, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ფული დაგვრჩება. მართალია, სიღატაკე და სასოწარკვეთილება ყოველმხრივ ერცელდება, მაგრამ კონცესიონერს ეს არ ესმის. რა საქმე აქვს მას კანონთან, სამართლიანობასთან, სახელმწიფო ამოცანებთან: მას სჭირდება ფული, რომელსაც ჩაიჯიბავს საზღვარგარეთ დაკვეთების მეშვეობით, ანდა რუსეთის საზაოსნო და სავაჭრო საზოგადოების მიერ სევასტოპოლის სახელოსნოებში გემთმშენებლობისათვის საჭირო უბაჟო საზღვარგარეთული რკინის შემოტანის გზით. ეს იმისათვისაცაა საჭირო, რომ ჩაძირული „ვორობეი“, „პერვენეც“ და ჩასაძირად განწირული „რიონი“ და „ბაბუშკა“ მოითხოვენ მათი სამაგიერო გემების ასაშენებლად უბაჟო რკინის შემოზიდვას, მაგრამ უეცრად რკინაზე ბაჟს აწესებენ... მოდი ვცადოთ და შევცვალოთ ეს მდგომარეობა პატრიოტული უანგარობის მეშვეობით, ფიქრობს კონცესიონერი მოღვაწე. შევადგენთ პროექტს, რათა ყველა ღარიბმა მოსამსახურემ უანგარობა გამოიჩინოს და უხელფასოდ იმსახუროს. ამით კი ფული გაჩნდება და ფინანსიური კრიზისი დაძლეული იქნება. შემდეგ შევთავაზებთ გემების აგებას უცხოური რკინისაგან. რადგან რუსული ძალიან ძვირი ჯდება და უანგარო გამომეტყველებით დავიწყებთ რუსეთის მომარაგებას დიდებული გემებით.....

შესანიშნავი, პატრიოტული და კომერციულია, ბატ. ჩიხაჩევ! თქვენ არც კი გეჭირდებათ, რომ წარმატება გისურვოთ კაცმა. რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოება წარმატებისათვის ძალზე კარგადაა მოწყობილი და თქვენ, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდით ასეთ პროექტს მანამდე, სანამ პეტერბურგელ მეგობრებსა და მფარველებს არ მოელაპარაკებოდით. რას იზამ, გაუმარჯოს ჩვენ უბედურ ზღვაოსნობას! პეტერბურგში მისთვის მომზადებულია ბატ. ჩიხაჩევის პროექტი, რომელიც ანადგურებს მეზღვაურებს. ჩვენში კი, კავკასიაში თავადი თუმანოვი და ბატ. ფონ-ლიბხარდტი ადგენენ გემთსაამშენებლო ტყეების მოსპობის პროექტს. სად გამოვნახოთ ჩვენი ზღვაოსნობის შესაქმნელად საჭირო ძალები, რაც რუსებს ასე ძლიერ სჭირდება?

13. გაზეთ „ობზორის“ პირველი პროცესი

1. „ობზორის“ რედაქტორის დასაცავი სიტყვა საოლქო სასამართლოში

ბატ. მოსამართლენო! ამ საქმის განხილვის დროს მე რომ მსურდეს მივბაძო ბრალმდებელი ხელისუფლების წარმომადგენლის მაგალითს და დავდგე წმინდა ფორმალურ, უფრო მეტიც — ფორმალისტურ თვალსაზრისზე, მაშინ ჩემთვის ძალზე ადვილი იქნებოდა ბრალდების უარყოფა და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება. მაგალითად, მე შემეძლო გამეცხადებინა, რომ კანონი ვალდებულს არ მხდის ბატ. მელიქ-მელრაბოვი ვცნო ჩემს მიერ რედაქტირებული გაზეთის „ობზორის“[3] ცენზორად და ამიტომ მე უფლება მქონდა არ დავმორჩილებოდი მის განკარგულებებს. ჩემი ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისი იყო გადამეშალა ცენზურის წესდება და წამეკითხა თქვენთვის ამ წესდების მუხლები. 139-ე მუხლი (1876 წლის გაგრძელების მიხედვით) ამბობს შემდეგს:

„კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე, შედგება ორი ცენზორისაგან, რათა ერთმა ცენზურა გაუწიოს მხოლოდ და მხოლოდ რუსულ და სხვა ევროპულ ენებზე გამომავალ გამოცემებს. ამ ცენზორებზე ვრცელდება 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესი“.

თუ რაში მდგომარეობს ეს „წესი“, რომელიც კავკასიის ცენზორებზე ვრცელდება, განმარტებულია ამავე „საცენზურო წესდების“ 24-ე მუხლში, რომელიც ადგენს:

„მუხლი 24. როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ენებზე გამომავალი გამოცემების ცენზორებად შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ისეთი მოხელეები, რომელთაც განათლება მიუღიათ უმაღლეს სასწავლებელში, ანდა რაიმე სხვა გზით შეუძენიათ საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნა, თუ ისინი საკმარისად იცნობენ მშობლიური და უცხოური სიტყვიერების ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე მოძრაობას, თითოეულის დანიშნულების მიხედვით“.

კანონმდებელმა ტყუილად არ შეიტანა 139-ე მუხლში სიტყვა „მხოლოდ“ და ტყუილად არ დაადგინა, რომ ცენზორები, რომლებიც იხილავენ და კრძალავენ ლიტერატურულ ნაწარმოებს, „საკმარისად

უნდა იცნობდნენ იმ ლიტერატურის ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე მოძრაობას", რომელზეც მათ ასეთი თვითნებური უფლება აქვთ მინიჭებული. უკიდურეს შემთხვევაში, საჭიროა, მათ იცოდნენ, რას შლიან და რას კრძალავენ. და რადგან კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ პროკურატურაში წარდგენილი 1878 წლის № 498-ე და 569-ე მიმართვებიდან ჩანს, რომ ბატ. მელიქ-მელრაბოვი ითვლება ადგილობრივ და აღმოსავლურ ენებზე გამომავალ ჟურნალებზე ცენზორად, ხოლო თქვენ, ბატ. მოსამართლენო, ხედავთ, რომ თქვენს წინაშე მდებარე გაზეთ „ობზორის" ნომრები რუსულ ენაზეა დაბეჭდილი და რუსულია. ამიტომ, მე სრული უფლება მაქვს, არ ვცნო ბატ. მელიქ-მელრაბოვი „ობზორის" ცენზორად. ზუსტად ისევე, როგორც არ შეიძლება ჩემი გასამართლება იმისათვის, რომ მე არ ვემორჩილები ყველა გამვლელის საცენზურო განკარგულებას. ამიტომ არ შეიძლება მე კანონის დარღვევაში ბრალი დამდონ მხოლოდ იმიტომ, რომ არ დავემორჩილე ბატ. მელიქ- მელრაბოვის განკარგულებებს, რომელიც რუსული გაზეთის „ობზორისათვის" უცხო პირია და არა ცენზორი. მე აღვნიშნე საქმის ეს მხარე და ბრალდების ფორმალურ საფუძველს დავუპირისპირე დაცვის ზუსტად ასეთივე ფორმალური საფუძველი, მაგრამ ამას იქით მე აღარ მსურს შევჩერდე ფორმალურ მხარეებზე და შევეხები საქმის არსს.

მე, ბატ. მოსამართლენო, ბრალად მდებენ პრესის კანონის დარღვევას, მაგრამ რას წარმოადგენს კანონი, რომლის დარღვევისათვის მე საბრალდებულო სკამზე აღმოვჩნდი? ჩემი ყველაზე დიდი დაცვა ის იქნება, თუ მე მოვახერხე დავამტკიცო, რომ ვერავითარი ადამიანური ძალა ვერ დაიცავს ამ კანონებს დაურღვევლად და, არსებითად, ამ კანონებს უკვე აღარავინ იცავს და დიდი ხანია ყველა არღვევს. ჩვენი პრესის შესახებ არსებული კანონები იმდენად არასრული, უთავბოლო, ურთიერთსაწინააღმდეგო და ცალმხრივია, რომ არა მარტო ჩვენ, ჟურნალისტებს, არამედ თვით ცენზურასაც უხდება მათი დარღვევა.

არ მინდა თქვენი ყურადღება დავღალო ჩვენი პრესის კანონმდებლობის დაწვრილებითი ანალიზით და, ამიტომ, დავკმაყოფილდები ამ კანონების სიძველისა და გამოუსადეგრობის რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითის განხილვით.

მაგალითად, კანონმდებლობას არ გაუუქმებია 1332 მუხლი, ტ. I, დამტკიცებული სამინისტროს მიერ, სადაც ნათქვამია:

„სამედიცინო საბჭოს საუწყებო საგნების არსი:

1. სამეცნიერო დარგში: ა) ცენზურის განკარგულებაში სამედიცინო თხზულებები, სახალხო განცხადებები, რომლებიც სამედიცინო პოლიციასა და სასამართლო მედიცინას ეხებიან, აგრეთვე სახალხო

სამკურნალოები, სამზარეულოები, საკონდიტროები და ქიმიურ-ეკონომიური წიგნები".

ამავე დროს, როგორც ცნობილია, საცენზურო წესდების მე-5 მუხლის 2-ე შენიშვნის თანახმად (1876 წ. გაგრძელების მიხედვით), გაუქმებულია ყოველგვარი სპეციალური ცენზურა, გარდა იმპერატორის კარის სამინისტროს ცენზურისა. ამის საფუძველზე შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ სპეციალური ცენზურა არ არსებობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ საერთო ცენზურასთან, მაგრამ საცენზურო წესდების 22-ე მუხლი თავის მხრივ აი, რას ადგენს:

„აქ მოცემული წესდების მიუხედავად, ცენზორი, რომელიც იხილავს სამხედრო, სასამართლო, ფინანსიურ და შინაგან საქმეთა სამინისტროს საუწყებო მასალებს, ვალდებულია იხელმძღვანელოს განსაკუთრებული დადგენილებებით."

ხოლო თუ რას წარმოადგენს ეს „განსაკუთრებული დადგენილებები" — ბნელითაა მოცული. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოთ მოყვანილი სამი კანონი, შესული ერთი და იმავე კრებულში, ერთმანეთს გამორიცხავს. ცენზურის მიმართ ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო დადგენილებების შესახებ ბევრი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, მაგრამ სანიმუშოდ ესეც კმარა.

ამავე კანონმდებლობაში, გარდა წინააღმდეგობებისა, რომლის ხასიათი მე თქვენ უკვე გაგაცანით, არსებობს კიდევ ბევრი ისეთი მუხლი, რომლებიც არ გაუუქმებიათ, მაგრამ გააუქმა ცხოვრებისა და საცენზურო უწყების მოღვაწეობის პრაქტიკამ. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს:

საცენზურო წესდების 17-ე მუხლი (მიაქციეთ ყურადღება, 1876 წლის გაგრძელების მიხედვით) ადგენს:

„არ შეიძლება მხოლოდ გავრცელებული ხმების მიხედვით თითქოსდა მთავრობის მიერ წამოყენებული ღონისძიებების გამოქვეყნება, სანამ ეს ღონისძიებები ოფიციალური გზით არ იქნება გამოცხადებული."

მე მგონი, ეს კანონი ფორმალურია და არ იძლევა მცდარი, ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობის საშუალებას. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ გავრცელებული ხმების მიხედვით მთავრობის ღონისძიებების გამოქვეყნება ჩვენს პრესაში არ ხდება. ამავე დროს, შეგიძლიათ ხელში აიღოთ ცენზურისადმი დაქვემდებარებული დედაქალაქის, და თუნდაც ადგილობრივი, გაზეთების ყოველი ნომერი და მაშინვე აღმოაჩენთ საწინააღმდეგოს. აღარაფერს ვამბობ ბევრ ოფიციალურ ცნობებზე და მაღალ თანამდებობის პირთა შეცვლაზე, მაგრამ მთელი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, სანამ ოფიციალურად გამოქვეყნდებოდეს, დიდი ხნით ადრე იბეჭდება, გავრცელებული ხმების მი-

ხედვით, დედაქალაქის გაზეთებში. ჩვენშიც კი, „კავკაზშიც“!! ხშირად გვსვდება ამგვარი ცნობები. და იცით რა ხდება? ზოგჯერ ჩვენ ვიღებთ ცნობებს ზუსტი წყაროებიდან და ჩვენ გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ თანამდებობის პირთა მოსალოდნელი შეცვლა, დავბეჭდოთ ახლად გამომუშავებული წესები, რათა გაეცნონ საწინააღმდეგო აზრს, ანდა საზოგადოებრივ აზრს ამ საკითხის შესახებ. ამ შემთხვევაში ცენზურა ჩვენ უფლებას გვაძლევს დავბეჭდოთ ამგვარი ცნობები იმ პირობით, რომ ჩვენ დავურთოთ შენიშვნა, თითქოს ყველაფერი ეს გავრცელებული ხმების მიხედვით ვიცით. ამგვარად, თვით ცენზურა არა მხოლოდ იძულებულს გვხდის დავარღვიოთ მისი წესდების მე-17 მუხლი, არამედ თხოულობს კიდეც ჩვენგან ფორმალურად მის დარღვევას!

ჩვენს კანონმდებლობაში პრესის შესახებ არის კიდევ უფრო მოძველებული, ჩვენი დროისათვის სრულიად გამოუყენებელი მუხლი. გადაშალეთ „დებულება დასჯის შესახებ“ (გამოცემული 1866 წ.) და თქვენ აღმოაჩენთ მასში 253-ე მუხლის 3-ე პუნქტს, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთში, ან მის მოკავშირე ოლქებში, მტრის აღმაშფოთებელი მანიფესტების გავრცელება და გავრცელებულ ნაწარმოებებში სხვა სახელმწიფოს ყალბი უფლებების მტკიცება იმპერიის რომელიმე ოლქის ნაწილზე, დანაშაულია, რასაც, არც მეტი და არც ნაკლები, სამშობლოს ღალატი ეწოდება. თუ სიტყვა სიტყვით დავიცავთ ამ კანონს, მაშინ დაგჭირდებოდათ გადაგეცათ სამხედრო სასამართლოსათვის და გაგესამართლებიათ, ომის დროის კანონების მიხედვით, არა მარტო ყველა ჩვენი რედაქტორი, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრიც, რადგან „პროვიტელსტვენი ვესტნიკში“,[19] გაზეთში, რომელიც მისი მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით გამოდის, ისევე როგორც ყველა სხვა რუსულ გაზეთში, მთელი წარსული ომის მანძილზე, როცა თურქეთი ჩვენი მტერი იყო, განუწყვეტლივ იბეჭდებოდა მანიფესტები, ცირკულარები და ოტომანთა იმპერიის მოწოდებები და დიპლომატიური ოქმები. ამავე დროს ცნობილია, რომ მითხად-ფაშასა და საფეტ-ფაშას ცირკულარები არა ერთხელ ამტკიცებდნენ სულთანის განუყოფელ უფლებას კავკასიელ მუსულმანებზე და ცნობილია ისიც, რომ თითქოს ამიერკავკასია შეადგენს თურქეთის „იმპერიის ოლქების ნაწილს“. ცხადია, ეს აბსურდია. ეს კანონი იწერებოდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ვარაუდობდნენ, რომ საკმარისია დაბეჭდო ქაღალდის ფურცელზე რა უაზრობაც გინდა და მოსახლეობა, რომელიც ქაღალდის ამ ნაგლეჯზე დაბეჭდილ ტექსტს გაეცნობა, მაშინვე აჯახყდება ძთავრობის წინააღმდეგ და მტრის მხარეზე გადავა, თუნდაც ეს მტერი თურქეთი იყოს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, შეხედულებები შეიცვალა. მთელი წლის მანძილზე იბეჭდებოდა ჩვენში დაუბრკოლებლად, ე. ი. ვრცელდებოდა მთელს რუსეთში, მითხად-ფაშას ცირკულარები, სულ-

თანის მანიფესტები, მაგრამ ამას არსად არ გამოუწვევია სამშობლოს ღალატი და არა მარტო შინაგან საქმეთა მინისტრი, არამედ გაზეთის არც ერთი რედაქტორი არ გადაუციათ სასამართლოსათვის, დასჯის შესახებ დებულების 253-ე მუხლის თანახმად. ეს იმიტომ მოხდა, რომ შეხედულება პრესაზე და მის დანიშნულებაზე, ამ მკაცრ კანონის გამოცემის შემდეგ, შეიცვალა, მაგრამ თვით კანონი შერჩა არქივს...

ყველაფერი ეს, მე მგონი, ცხადად ამტკიცებს, რომ ცნება „კანონი პრესის შესახებ“ საკმაოდ ფიქტიურია.

აქედანვე გამომდინარეობს ჩვენი პრესის კანონმდებლობის უვარგისობა და ჩამორჩენილობა.

თავისი საფუძვლების მიხედვით, საცენზურო წესდება არც ისე ცუდი და მოუხერხებელია, როგორც პრაქტიკულად განხორციელების დროს. არსებითად რას კრძალავს იგი? ამ წესდების მე-3 მუხლი პირდაპირ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე:

„მუხ. 3 (1878 წ. გაგრძელების მიხედვით). ამ წესდების საფუძველზე შეიძლება ცენზურამ აკრძალოს სიტყვიერების, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებები: 1. როდესაც ეს ნაწარმოებები შეიცავენ რამე ისეთს, რაც არყევს მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრებას, მის გადმოცემებს და წესჩვეულებებს, ანდა საერთოდ ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტებებსა და დოგმატებს; 2. როცა ნაწარმოები შეიცავს რაიმე ისეთს, რაც არღვევს უმაღლესი თვითმპყრობელური ხელისუფლების ხელშეუხებლობას, ანდა უპატივცემლობას იჩენს იმპერატორის ოჯახისადმი, ანდა ეწინააღმდეგება ძირითად სახელმწიფო დადგენილებებს; 3. როდესაც მათში შეურაცხყოფილია კეთილი ზნე და პატიოსნება. და 4. როცა ნაწარმოებში უწმაწურად შეურაცხყოფენ რომელიმე პირის ღირსებას, ანდა გაკიცხვის მიზნით ისეთ რამეს გამოაქვეყნებენ, რაც მის ზნეობას ან ოჯახურ ცხოვრებას შეეხება, ბით უფრო, თუ ცილისწამებას წარმოადგენს“.

ჩვენგან რომ მხოლოდ ამ წესების დაცვას მოითხოვდნენ, მაშინ არც საჩივლელი გვექნებოდა და არც არაფერს დავარღვევდით. მაგრამ საცენზურო წესდება არ იფარგლება ამ ჩარჩოებით, ქმნის ცენზორთა დისკრეტიულ ხელისუფლებას და ჩვენ გვემუქრება არა მხოლოდ კანონი, არა მხოლოდ ცნობილი, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული კანონი, არამედ ბატ. ცენზორების პირადი თვითნებობა, ანდა, როგორც ბატ. პროკურორმა განაცხადა, მათი „პირადი ნებასურვილი“, რაზედაც, სხვათაშორის, სრულიად არაფერი არაა ნათქვამი არც საცენზურო და არც რომელიმე სხვა წესდებაში. როცა, კანონისაგან დამოუკიდებლად ჩვენ გვემუქრება პირადი ჭირვეულობა და როცა ამ პირად ჭირვეულობას ჩვენ ვეჯ ვუპირისპირებთ კანონს, რომელიც ლაგამს გვდებს, მაგრამ ვერ გვიცავს, მაშინ ჩვენ სრული უფ-

ლება გვაქვს ცენზორების ჭირვეულობას საკუთარი ჭირვეულობა დავუპირისპიროთ და თვითნებობას თვითნებობით ვებრძოლოთ. სწორედ ლიტერატურის ამ გაურკვეველი მდგომარეობებით უნდა ვეძებოთ კარების მტვრევის, ფანჯრების მსხვრევის, ზარების ჩამოწყვეტის, უხეში ძალადობისა და აკრძალული სტატიების ბეჭედის მიზეზები.

პირადად მე არ ვადანაშაულებ ბატ. ცენზორებს. მართალია, მათი ჭირვეულობის შემდეგ მე აღშფოთებული ვარ და შემიძლია ყოველგვარი უსაქციელობა ჩავიდინო, მაგრამ როცა ვმშვიდდები, მაგონდება რომ ისინიც ადამიანები არიან, სხვებზე დამოკიდებული, ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ადამიანები, რომელთაც მათდაუნებურად უხდებათ კანონით დაშვებული სტატიების აკრძალვა... ისინი ჩვენზე, ჟურნალისტებზე ნაკლებად არ იქნებოდნენ კმაყოფილნი, რომ შეიძლებოდეს მხოლოდ საცენზურო წესდების ზუსტი გამოყენება, რომელიც საცენზურო პრაქტიკაზე გაცილებით ლიბერალურია. მაშინ ცნობილი იქნებოდა ის ჩარჩოები, რომელთა შორის თავისუფლად იმოქმედებდა როგორც რედაქტორი, ასევე ცენზორიც. მაგრამ სინამდვილე შორსაა ამგვარი მდგომარეობიდან. ჩვენ არათუ ახალ ჩარჩოებს ვერ ვეღირსეთ, არამედ წესდებით დადგენილი, არსებული ჩარჩოებიც განუწყვეტლივ ირყევა. მაგალითად, საცენზურო წესდება ამბობს:

„დანაშაულად არ ითვლება და არ ისჯება როგორც ცალკეული კანონების, ასევე მთელი კანონმდებლობისა და მთავრობის მიერ გამოქვეყნებული განკარგულებების განხილვა, თუკი დაბეჭდილი სტატია არ მოუწოდებს კანონების უგულვებელყოფისაკენ, სადაოდ არ ხდის მათ ძალას და არ შეურაცხყოფს არსებულ ხელისუფლებას“ (მუხ. 91, დამატება საცენზურო წესდების 4-ე მუხლისა, 1876 წ. გაგრძელება).

საცენზურო წესდების მეორე სტატია, მუხლი 13, პირდაპირ ამბობს:

„მუხ. 13. ადმინისტრატორებისა და სასამართლოების ნაკლოვანებათა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე მსჯელობის დროს არ შეიძლება პიროვნების, ადგილმდებარეობისა და დაწესებულების დასახელება“.

მიუხედავად ამისა, იოლი დასანახია, ბატ. მოსამართლენო, რომ ჩვენი ადგილობრივი პრესა თითქმის არ სარგებლობს იმ თავისუფლებით, რასაც მას, როგორც ხედავთ, კანონი აძლევს. ეს კიდევ ცოტაა: ჩვენი ცენზურის ინსტრუქცია პირდაპირ უთითებს პრესას, რომ საჭიროა დასახელებული იქნეს პიროვნებები და ადგილსამყოფელი, როგორც კი სადმე თანამდებობას ბოროტად გამოიყენებენ, რათა ამ ამბავმა „არასასურველი განზოგადოება“ არ გამოიწვიოს. ასე რომ, ცენზურა ჩვენ ასეთ მოთხოვნილებებს გვიყენებს რაღაც ინსტრუქციების, უმეტეს შემთხვევაში სიტყვიერი ინსტრუქციების საფუძველ-

ზე, რომელთაც, მათი აზრით, შეუძლია გააუქმონ რუსეთის იმპერიის არსებული კანონები. და მართლაც, საცენზურო წესდების 137-ე მუხლის შენიშვნა (1876 წ. გაგრძელების მიხედვით) ამბობს:

„კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან შექმნილ საცენზურო კომიტეტს შეუძლია არსებული კანონმდებლობის გარდა, იხელმძღვანელოს, აგრეთვე, მეფისნაცვლის ინსტრუქციებით.“

მაგრამ მეფისნაცვლის ინსტრუქციები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მათ არ ვიცნობთ, ხოლო ჩვენს მოთხოვნაზე — გაგვაცნონ იმ ინსტრუქციების არსი, რომლებიც ჩვენს მოღვაწეობას ეხება, კავკასიის საცენზურო კომიტეტი გვეუბნება: ინსტრუქციებს და დარიგებებს მათ სიტყვიერად აძლევენ და მათ ხასიათზე და სისტემაზე ვარაუდულად არაფრის თქმა არ შეუძლიათ. ჩვენი გაკვირვება გასაგები იქნება, როცა მოვიყვან „პრესის შესახებ მთავრობის მითითებათა კრებულიდან“ ამოღებულ შემდეგ ნაწყვეტს (1878 წ., ანიჩკოვის გამოცემა, გვ. 260):

„ძნელი გასაგებია, თუ რა კანონმდებლობაა გამოცემული (sic!) კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის: გარდა კრებულში შეტანილი კანონებისა და მათი გაგრძელებისა, სხვა დანარჩენი უცნობია. ასევე სრულიად უცნობია ამ კომიტეტის პრაქტიკაც. თუ „სუდებნი ვესტნიკში“ იბეჭდებოდა კავკასიის სასამართლო ორგანოების ზოგიერთი განჩინები პრესის საქმეებზე... აქედან მაინც არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომელიც შეძლებდა მთლიანად დაეხასიათებინა კავკასიის ცენზურა“.

ამგვარად, მიუხედავად საერთო საცენზურო სისტემის ხაკლოვანებისა, მიუხედავად ბატ. ცენზორების პირადი თვითნებობისა, ჩვენ, აქ, კავკასიაში, ჯერ კიდევ ისეთ გაურკვეველ და წარმოუდგენელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ თვით კანონმდებლები არიან დაინტერესებულნი გაიგონ, თუ არსებობს, და სად, ისეთი საცენზურო წესები, რომელთაც უნდა დავემორჩილოთ.

სხვათაშორის, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პრესის შესახებ ჩვენი კანონმდებლობის უსისტემობა, მიზანშეწონილობა და დაუმთავრებლობა სრულიად რაციონალურია. ბ. ბ. მოსამართლენო, აბსოლუტურად, ძირეულყოფილ მთავრობებს სურდათ ამ კანონებით „ზღვარი დაედოთ აზრისათვის“, რომელსაც როგორც მოგეხსენებათ, თითქმის არა აქვს საზღვარი. განა შეიძლება გამოიხატოს რომელიმე გარკვეული და ერთიანი ფორმით ადამიანის აზრის ქმედება? როგორი კედლებითაც და ზღუდეებითაც უნდა შეკვეთოდთ იგი, მაინც პოულობდა, და ყოველთვის იპოვის, არა მხოლოდ მათი შემოვლის, არამედ მათზე ფრენა დადგომის საშუალებასაც, რადგან ადამიანის აზრი ფრთებგამოსხმულია და ყოველგვარ „წესებზე“ მაღლა ფრენს. როგორც ყო-

ველი საგუშაგო, საზღვარი, შლაგბაუმი და კარანტინი უსარგებლო აღმოჩნდება, როცა გამოიგონებენ აეროსტატის მართვის საშუალებას, რადგან აეროსტატს შეუძლია გადაეცალოს ყველა საზღვარს და ჩვენი საბაჟოს მოხელეები მას ვერ დაეწევიან. ზუსტად ასევე, ცენზურის ყოველი წესი უძლურია შეაჩეროს ადამიანის აზრი. ვერავითარი ცენზურა, ვერავითარი ჩაგვრა ვერ დაბრკოლებს მწერალს — გამოთქვას ამა თუ იმ ფორმით ის, რისი თქმაც უნდა. უცხოეთის კანონმდებლობა, მას შემდეგ, რაც გამოიყენა პრესის წინააღმდეგ ყოველგვარი „გაფაფრთხილებელი" და „დაუსჯელი" ღონისძიებების არსენალი, დაწყებული სასიკვდილო განაჩენით და გათავებული ჯარიმით, დიდი ხანია უკვე დარწმუნდა ამაში. ყველა ამ ქვეყნის კანონმდებლობამ გამოცდილებით იცის, რომ აზრი არა აქვს იმ კანონების გამოცემას, რომლებიც თავიდან ბოლომდე ფარმოშობიდანვე დაძველებული და მიჩნეულია. ყველა ამ საკანონმდებლოფომ შეიგნო, რომ საჭიროა პრესისადმი შეგნებულარებლური დამოკიდებულება.

ამ დასკვნამდე მივიდა ჩვენი მთავრობაც, უცხოეთის კანონმდებლობის მაგალითისა და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. ჩვენმა მთავრობამ არაერთხელ შეცვალა საცენზურო კანონმდებლობა. წესდების სწორმა შეცვლამ მთავრობა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჯობია დაკმაყოფილდეს დროებითი და დამატებითი წესდებით, რომელთაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, სწრაფად მოუსპეს თავიანთი დრო. ბოლოს ხან ხელი ჩაიქნია პრესის ყოველგვარ კანონმდებლობაზე და, თუ პრესა თავის ნებაზე არ მიუშვა, ადმინისტრაციის მზრუნველობას დაუმორჩილა. მთავრობა დარწმუნდა, რომ შეუძლებელია ერთხელ და სამუდამოდ წესდების შედგენა ისეთი ორიგინალური შემოქმედებითი ძალის ყოველი გამოვლენისათვის, როგორიც ადამიანის აზრია და, ამის საფუძველზე, მან ნება დართო ადმინისტრაციას — იმოქმედოს პრესის ცალკეულ გამოვლენის მიმართ გარემოებათა გათვალისწინების და საკუთარი მოსაზრების მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობამ გააუქმა წინასწარი ცენზურა და შეცვალა იგი დამსჯელი სისტემით, რაც ადმინისტრაციას ჩაუგდო ხელში.

ბატ. მოსამართლენო, მე არ ძინდა ბოროტად გამოვიყენო თქვენი ყურადღება, მაგრამ ამ საქმის სხვა მხარეებზეც ბევრი მაქვს სალაპარაკო. მე იძულებული ვარ ასე მოვიქცე, რადგან თქვენ მალე მოვიხდებათ მიელი რიგი ამგვარი საქმეების გარჩევა. „ტიფლისკი ვესტნიკისა"[1] და ქართული ვაზეთის „დროების"[2] რედაქტორები მალე თქვენს წინაშე უნდა წარსდგენ იმავე ბრალდების გამო, რასაც ნე მდებენ ბრალად. კიდევ ბევრი სხვა ამგვარი საქმე დგას რიგში. რაც უფრო მრავალმხრივად განიხილავთ თქვენ, ჩემს პროცესთან დაკავშირებით, პრესის მდგომარეობის საკითხს, მით უფრო გაგიადვილდებათ მომავა-

ლი პროცესების განხილვა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ, ამ გზით, მომავალი პროცესების რიცხვიც შემცირდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მე ვხედავ როგორ დაიღალეთ, გთხოვთ აღიჭურვოთ მოთმინებით და მოისმინოთ ყურადღებით ჩემი შემდგომი ახსნა-განმარტება.

სამწუხაროდ, 1865 წლის 5 აპრილის კანონი, რომელიც რამდენიმე გამოცემისათვის აუქმებს წინასწარ ცენზურას, აქამდე არ გავრცელდა პროვინციულ პრესაზე და, მე ვფიქრობ, ამის მიზეზი მხოლოდ გაუგებრობაა. როგორც ცნობილია, ეს კანონი ხელისუფლებას საკმაო გარანტიას აძლევს, ნაკურთხია ცამეტი წლის პრაქტიკით და დამტკიცებული ცდით. ჩვეულებრივ ფიქრობენ, თითქოს წინასწარი ცენზურის გაუქმება ენებებს გააღვიძებს და „რადიკალური" პრესის მეტისმეტ განვითარებას გამოიწვევს. მაგრამ ცდამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო რამ დაამტკიცა: 1865 წლის 5 აპრილის კანონის ზეგავლენით რუსული პრესის მხოლოდ კონსერვატორული ელემენტები გაძლიერდა და განვითარდა, ხოლო რადიკალური და პროგრესული — ძლივს ითქვამს სულს. ეს გასაგებიცაა: თუკი ეს კანონი ვინმესთვის უხერხულია და ვინმეს უფლებებს სპობს და ზღუდავს, რა თქმა უნდა, არა ადმინისტრაციისას და ხელისუფლებისას, არამედ თვით პრესისას, რომლის ინტერესები და ცხოვრება მთლიანად დამოკიდებულია უმაღლესი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებზე. ასეთია ჩვენი ნამდვილი ახლანდელი მდგომარეობის დამოუკიდებლობა, ასეთია ჩვენი გაჯახირებული ურთიერთობა ცენზურის დაბალ მოხელეებთან და ჩვენ ისე ველით 1865 წლის 5 აპრილის კანონის გავრცელებას, როგორც ღვთის წყალობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი არ შეიცავს არაფერს ისეთს, რამაც უნდა დააბრკოლოს მისი გავრცელება, პროვინციულ გამოცემას მაინც არ ხვდება იგი. ამტკიცებენ, თითქოს 1865 წლის 5 აპრილის ბრძანების სიტყვები, „თავისუფლდება წინასწარი ცენზურისაგან ორივე დედაქალაქში და ა. შ.", გამორიცხავს ჩვენში ამ კანონის გავრცელების შესაძლებლობას. მაგრამ ბრძანებაში ნათქვამია: „ყველა აქამდე გამომავალი გამომცემლობები", ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრძანება გულისხმობდა ახალი კანონის გამოყენებას მხოლოდ მისი გამოქვეყნების მომენტიდან. ხოლო თვით ახალი კანონი (დროებითი კანონი, მუხ. 11) ადგენდა, და ადგენს, აი რას:

„მუხ. 11 ყველა, ვისაც სურს დროებით გამოუშვას გაზეთი, ჟურნალი ან კრებული, ვალდებულია ითხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ნებართვა, რომელზეც დამოკიდებულია ამგვარი გამოცემის გამოცემა, უცენზურად ანდა წინასწარი ცენზურის პირობებში“.

ეს მუხლი ვრცელდება როგორც პროვინციულ, ასევე სატახტო ქალაქის გამომცემლობებზე და არ შეიძლება უარყოფა მინისტრის უფლებისა, დროებითი კანონის მე-11 მუხლის მიხედვით ნება დართოს პროვინციულ გაზეთებს უცენზურად გამოსვლისა. მართალია, აქამდე ბატ. მინისტრს არ უსარგებლია ამ უფლებით, მაგრამ ამის გამო ჩვენ ვერ მივალთ იმ დასკვნამდე, თითქოს ასეთი უფლება არ არსებობდეს. ადვილი შესაძლებელია, პროვინციაში 1865 წლის 5 აპრილის კანონს იმიტომ არ იყენებენ, რომ უმაღლეს ადმინისტრაციას შეგნებული აქვს, რა დიდი უფლებები ენიჭება პრესის მიმართ და სამართლიანად და საფუძვლიანად არ სურს მით სარგებლობის უფლება ცენზურის დაბალ ორგანოებს, პროვინციულ ცენზურას, კომიტეტებს და თვით ბატ. გუბერნატორებსაც. ამგვარად, თუ დამსჯელი ცენზურის მიერ სწრაფად დასჯის საფუძველი ისაა, რომ უშუალოდ ადევნოს თვალყური „დანაშაულს“ და ხელიდან არ გაუშვას „ფსიქოლოგიური ზემოქმედების მომენტი“, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი შესაძლებლად თვლის 1865 წლის 5 აპრილის კანონის გავრცელებას პროვინციულ გამოცემებზე. იგი, ალბათ, ვარაუდობს, სანამ პროვინციული გაზეთების გაბედული სტატიები ტაშკენტიდან ან ტობოლსკიდან ს. პეტერბურგამდე მივა და სანამ მინისტრი შეძლებს გააფრთხილოს რედაქცია, პროვინციულ გაზეთს შეუძლია დაბეჭდოს მთელი რიგი გაბედული სტატიები. თუმცა მოსკოვის გაზეთებიც თითქმის ასეთ მდგომარეობაშია, მაგრამ ამგვარ შიშს არავითარი საფუძველი არა აქვს. მე არ მჭირდება ამ უხერხულობების აღმომფხვრელი საშუალებების გამოძებნა. საკმარისია შევნიშნოთ, რომ ჩვენში, კავკასიური პრესის მიმართ ამგვარი სიფრთხილე საჭირო არაა, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის და პრესის საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელისუფლება ჩვენზე არ ვრცელდება, საცენზურო წესდების 138-ე მუხლის თანახმად (1878 წლის გაგრძელების მიხედვით), შინაგან საქმეთა მინისტრისა და პრესის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფლებები და ხელისუფლება კავკასიის მეფისნაცვალის ხელშია გადასული. ამიტომ, ადგილობრივი პრესის ყოველგვარმა გადახრამ ხელისუფლებისათვის სასურველი მიმართულებიდან, ან მის წინააღმდეგ გამოსვლამ, შეიძლება მაშინვე, გაზეთის გამოსვლის დღესვე, ან უფრო მეტიც, იმავე საათს დაიმსახუროს ადმინისტრაციის უშუალო და სწრაფი სასჯელი, რაც უკვე მოხდა, როცა, მაგალითად, ფოსტაში და წიგნის მაღაზიებში „ობზორის“ 134-ე ნომრის კონფისკაცია მოახდინეს. ჩვენ 1865 წლის 5 აპრილის კანონის მიხედვითაც კი არ შეგვიძლია გამოვუშვათ ნომერი, თუ იგი წინასწარ არ შეამოწმა ადმინისტრაციამ. ამი-

ტომ ყოველთვის იქნება იმის შესაძლებლობა, რომ შეაჩერონ სახიფათო ნომრის გამოსვლა და არასოდეს არ იქნება გვიან დათრგუნონ და შეაჩერონ გაბედული ან თამამი ნომრის გამოსვლა... აი, რატომ ვთქვი მე ზემოთ, რომ კავკასიის პრესის მიმართ 1865 წლის 5 აპრილის კანონის გამოუყენებლობა გაუგებრობითაა გამოწვეული.

ამავე დროს, ამ კანონის გამოყენება აუცილებელია, თუკი გვსურს ჩვენი პრესა რამდენადმე ასატან პირობებში ვითარდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ შორსა ვართ ამგვარი პირობებიდან და, ამავე დროს, ჩვენგან მოითხოვენ ბრმად და უსიტყვოდ დავემორჩილოთ არა მარტო ურთიერთსაწინააღმდეგო და დრომოჭმულ წესებს, არამედ — ისეთი ცენზორების პირად თვითნებობასაც კი, რომლებიც ჩვენ ზედამხედველებად დაგვიყენეს; ისეთ ცენზორებსაც კი, რომლებიც არღვევენ იმავე კანონებს, რომელთა დარღვევისთვისაც მე პასუხისგებაში ვარ მიცემული, — ცენზორებს, რომელთაც ასე კარგად იცნობს რუსული ლიტერატურის ისტორიული განვითარება და თანამედროვე მოძრაობა. ისინი, მაგალითად, კრძალავენ გენერალ ბეტრიშჩევის ხსენებას, რადგან ფიქრობენ, რომ იგი მთავარსარდალის, — დიდი მთავარის ამალის ერთ-ერთი დიდებულთაგანია (მე მგონია შეურაცხყოფას არ ვიგაყენებთ ბატ. მოსამართლენო, თუ შეგახსენებთ, რომ გენერალი ბეტრიშჩევი გოგოლის „მკვდარი სულების“[20] გმირია). რატომ უნდა დავემორჩილოთ ჩვენ, ჟურნალისტები უსიტყვოდ იმ კანონებს, რომელთაც ყოველ წუთს არღვევენ ცენზორები, საცენზურო კომიტეტი და ა. შ.? რატომ უნდა დავემორჩილო მე ყველასაგან გარშემოვლილ, ყველასაგან დავიწყებულ, ყველას მიერ დარღვეულ „საცენზურო წესებისათვის“ ცენზურის წარმოუდგენელ ჭირვეულობას და ვწერო: „მოიჯარადრეს უხდება მეეზოვეს მოფერება“ და არა — „რამდენი ძაღლი ყავს მეეზოვეს?“ ეს მე მართლაც არ მესმის.

ბატ. მოსამართლენო, გარდა ამ საერთო მოსაზრებებისა, მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო თბილისის ბეჭდვითი საქმის განსაკუთრებულ ტექნიკურ პირობებს. არსებითად, თბილისში ისეთი ტიპოგრაფიაც კი არ არსებობს, რომელსაც შეეძლოს ყოველდღიური გაზეთის ბეჭდვა. „ობზორიც“ და „ტიფლისკი ვესტნიკიც“ იძულებული იყვნენ თავიანთი ხარჯით გამოეწერათ შრიფტები, ხოლო „ობზორმა“ ასოთამწყობებიც კი პეტერბურგიდან და ოდესიდან მოიწვია, მიუხედავად ამისა, ყველა ჩვენი გაზეთი დიდი გაჭირვებით იწყობა. ძლივს ვაწყობთ ნომერს, ვუგზავნით ცენზურას და საკმარისია ცენზორმა წაშალოს ან დააკავოს ორი სვეტი და რედაქციას არავითარი საშუალება აღარ აქვს გამოუშვას ნომერი: არც მუშახელია, არც ასოთამწყობები და აღარც შრიფტი გვყოფნის სათადარიგო სტატიების ასაწყობად. აქ

კი ცენზურის შესწორებები გველოდება, რაც დიდ შრომასა და დროს მოითხოვს, გაზეთის გამოსვლა ფერხდება და უბედური მშრომელი ადამიანები დილამდე, მანამდე უნდა ელოდნენ მის აწყობას, სანამ კაბინეტში გამოკეტილი და ხელებზე თავდაყრდნობილი ცენზორი, ზუსტად ისევე, როგორც ეს აღწერილი აქვს შჩედრინს ნარკვევში „ცენზორი ხვნეშის" („სოვრემენიკი"[21], 1863, № 3) — ვერ გაუგია — ამოშალოს თუ დასტოვოს წინა ორი სიტყვა წინადადებაში, „მეეზოვის რამდენ ძაღლს უნდა მოეფერო!"... ცენზორის ტანჯვა და წვალება მართლაც მძიმეა, რადგან, როგორც თქვენ თვითონ შეგიძლიათ იმსჯელოთ წაშლილი ადგილების მიხედვით, ეს წანაშალები უმნიშვნელო წვრილმანებითაა გამოწვეული... და როცა დილის სამ, ოთხ საათზე, არანაკლებ მტანჯველი ლოდინისა და ხვალინდელი ნომრის ბედზე უფრო საფუძვლიანი ზრუნვის შემდეგ, ჩემთან მოაქვთ ცენზორის მიერ შემოწმებული ფურცლები, სადაც არა მარტო უმნიშვნელო წვრილმანებია გადაშლილი, არამედ დამახინჯებულია აზრიც, სტილიც და დარღვეულია სტატიის მთლიანობაც — მაშინ სად შემიძლია ვიფიქრო რაღაც საცენზურო წესდებაზე, რომელსაც ყველა გვერდს უვლის და სურთ სავალდებულო გახადონ მხოლოდ ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის. სწორედ ასეთ მძიმე წუთებში გადავწყვიტე მე, და ახლაც გადაწყვეტილი მაქვს, დავბეჭდო ზოგჯერ საკუთარი პასუხისმგებლობით ცენზურის მიერ ამოშლილი ზოგიერთი უმნიშვნელო ადგილი და ვიმედოვნებ, რომ სახალხო სასამართლო, რომელმაც ამ დარღვევებისათვის უნდა გამასამართლოს, გაიგებს ჩემს მდგომარეობას და არ მიემხრობა იმ რეტროგრადებს, რომელთაც სურთ მოსპონ შიშის მომგვრელი საგანი და მთელი სიმძიმით ენარცხებიან მის ჩრდილს: პრესაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩრდილი და ანარეკლი. ხოლო პრესის დათრგუნვა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ აღმოფხვრილია ცხოვრებიდან ჩვენთვის უსიამო მოვლენები....

ამიტომაც მაქვს უფლება ვიქონიო სასამართლოს შემწყნარებლობის იმედი, რომ თვით სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის საფუძველზედაც მე სასამართლოს გადამცეს, ანგარიშს უწევს პერიოდული გამოცემების რედაქტორებს, რადგან სამუშაოს გადაუდებლობა და სიჩქარე ხშირად გვაიძულებს, დავარღვიოთ ცენზურის დადგენილებები და მართლაც, შეადარეთ სასჯელის დებულებათა 1029-ე მუხლი, რომელიც რედაქტორს სჯის ცენზურის მიერ აკრძალული ადგილების დაბეჭდვისათვის, 1027-ე მუხლს, რომელიც ასეთივე მოქმედებისათვის სჯის სტამბის პატრონებს... აკრძალული ადგილების დაბეჭდვისათვის პერიოდული გამოცემების რედაქტორებს უსჯიან 50 მან. ჯარიმას, ხოლო წიგნებში აკრძალული ნაწყვეტების დაბეჭდვისათვის, სტამბის

პატრონს, — სამ თვემდე ციხეს. ასეთი დიდი განსხვავება იმითაა გამოწვეული რომ წიგნის გამოცემა შეიძლება დაყოვნდეს, ხოლო აკრძალული ადგილების შესახებ სტამბის პატრონს ან ავტორს ყოველთვის შეუძლია მოელაპარაკოს ცენზურას; პერიოდული გამოცემების გადადება კი შეუძლებელია, რადგან აუცილებლად დროზე უნდა გამოვიდეს... მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ როცა პერიოდული გამოცემების შესახებ ეს კანონი გამოვიდა, მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ ყოველთვიური ჟურნალები; ყოველდღიურ გაზეთებზე მაშინ რუსეთში არავინ ლაპარაკობდა. სასჯელის დებულებათა 1027-ე და 1029-ე მუხლების ავტორებს რომ თავიანთი მუხლები ახლა შეეთხზათ, როცა შეიძლება გაეცნონ ყოველდღიური გაზეთის გამოცემის სიძნელეებს, მაშინ მე მგონი ისინი არ შეიტანდნენ კოდექსში ასეთ მსუბუქ სასჯელსაც კი.

1027-ე და 1029-ე მუხლების სხვაობასთან დაკავშირებით მე მინდა შევახსენო სასამართლოს, რომ ჩვენ ბრმად უნდა დავემორჩილოთ ისეთ ცენზურას, რომელსაც ჩვენი კანონებიც კი არ ესმით. მაგალითად: მიუხედავად მკვეთრი განსხვავებისა ამ ორ მუხლს შორის და დებულების მთელ რიგ სხვა მუხლებს შორის, სადაც დადგენილია, რომ ყოველგვარი დანაშაულისა და მოქმედებისათვის, რაც პერიოდულ გამოცემებში ხდება, პასუხისმგებელია მათი რედაქტორები, ჩვენმა საცენზურო კომიტეტმა რამდენჯერმე მისცა პასუხისგებაში სტამბის პატრონი მელიქოვი და „ობზორის“ მეტრანპაჟე ლუკოვინი სასჯელის დებულებათა 1027-ე მუხლის საფუძველზე, სადაც ლაპარაკია მხოლოდ წიგნებზე და არა პერიოდულ გამოცემებზე, რის გამოც, 1029-ე მუხლის ძალით, მხოლოდ რედაქტორი ისჯება....

თავმჯდომარე ეს საქმეს არ ეხება. ამ გარემოების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, რადგან ამ საკითხზე არაფერი თქმულა სასამართლო ძიების დროს.

ნიკოლაძე: ეს მხოლოდ ჩართული ეპიზოდია და ჩემი სიტყვა არაფერს დაკარგავს თუ ამ საკითხს არ შეეხები...

მე უკვე ცოტა რამ დამრჩა სათქმელი ბატ. მოსამართლენო, მაგრამ მე მირჩევნია ეს სიტყვები ვთქვა იმ პუბლიცისტის პირით, რომელიც იმავე საკითხს ეხებოდა, რაზეც მე ელაპარაკობ თქვენს წინაშე. მსჯელობს რა პროვინციული პრესის მდგომარეობაზე და ამტკიცებს რა 1865 წლის 5 აპრილის კანონის გავრცელების აუცილებლობას პროვინციულ პრესაზე, ა. გოლოვაჩევი თავის ცნობილ წიგნში „რეფორმების ათი წელი“, სხვათაშორის, წერს:

„ზოგჯერ ისეთ ადამიანს ავალებენ თვალყური ადევნოს მთელ გუბერნიაში აზრის გამოვლენას, და ისეთ ადამიანს აძლევენ უფლებას აკრძალოს ყოველგვარი აზრი — თუ კი იგი მას არასასურველად მი-

იჩნევს, რომელსაც არავითარი მეცნიერული განათლება არა აქვს და არაფერი წაუკითხავს, გარდა საქმიანი ქაღალდებისა. ჩვენ გვეტყვიან.. რომ თუ ცენზორი მეტისმეტად გავიწროებთ, შეგვიძლია უჩივლოთ.- მაგრამ სად? საცენზურო კომიტეტში? მაგრამ განა შეიძლება ჟურნალისტური მოღვაწეობის დროს, როცა ყველაფერი წუთებზეა დამოკიდებული, საჩივრები წერო...“ (გვ. 265—266).

ცოტა ქვევით, ბატ. გოლოვაჩევი წერს:

„განა ასეთ პირობებში მოსალოდნელია, რომ დამოუკიდებელმა თავმოყვარე ადამიანმა გაბედოს და ხელი მოჰკიდოს პროვინციული გაზეთის გამოცემას, იძულებული გახდეს ყოველდღიურად ედავოს ცენზორს, დაიცვას ისეთი ჭეშმარიტებები, როგორიც — 2×2=4 და ყოველდღიურად უკიდურესი დამცირება განიცადოს?...“

დიახ, ბატ. მოსამართლენო, სწორედ ეს მდგომარეობაა ჩვენსა და ბატ. ცენზორებს შორის მუდმივი ბრძოლისა და გაუთავებელი შეჯახებების წყარო. თუ ამ მდგომარეობას ბოლო არ მოეღება, საქმე შეიძლება გართულდეს და შეტაკებებმა აფეთქების ხასიათი მიიღოს. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ყველას, წინასწარი ცენზურის გაუქმებაა.

აი, რატომ გთხოვთ, ბატ. მოსამართლენო, გამომიტანოთ მთლიანად გამამართლებელი განაჩენი, რომელიც პირველი ნაბიჯი იქნება ჩვენში 5 აპრილის კანონის გავრცელებისა წინასწარი ცენზურის გაუქმების გზაზე.

ამით თქვენ პირადად მე კი არა, არამედ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების საქმეს გაუწევთ ჭეშმარიტ სამსახურს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: კამათი გადატანილია ხვალინდელი დღის 11 საათისათვის.

(სხდომა დაიხურა საღამოს 5 $^1/_2$ საათზე).

2. გაზეთ „ობზორის“ რედაქტორის რეპლიკა

იმის გამო, რომ ბრალმდებელი ხელისუფლების წარმომადგენელი თავის შეპასუხებაში ჯიუტად იცავს ბატ. მელიქ-მელრაბოვის კომპენტენტურობას, მე კვლავ უნდა დავუბრუნდე ამ საკითხს. საცენზურო წესდების 24-ე მუხლი მოითხოვს, რომ ცენზორს უნდა ჰქონდეს არა მარტო უმაღლესი განათლება, არამედ საკმაოდ უნდა იცნობდეს ლიტერატურის ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე მოძრაობას, თავისი დარგის მიხედვით, რაც არ გახლავთ ამაო და ფორმალური მოთხოვნა. გაიხსენეთ, ბატ. მოსამართლენო, როგორ ესმით ეს მოთხოვნილება დედაქალაქებში, სადაც ცენზორის თანამდებობაზე ნიშნავდნენ ლიტერატურის ისეთ მოღვაწეებსა და წარმომადგენელებს, როგორე-

ბიც იყვნენ ფ. ტიუტჩევი, ა. ნ. მაიკოვი, ი. ა. გონჩაროვი. მწერლისათვის დამამცირებელი არაა მისცეს თავისი სტატიები განსახილველად ასეთ ცენზორებს, ცენზორებს, რომლებმაც იციან აზრის სიმართლის ფასი, არჩევენ მნიშვნელოვანს — უმნიშვნელოსაგან, დასაშვებს — გასაკიცხისაგან. მაგრამ განა ამასვე ვხედავთ აქ, ჩვენში, კავკასიაში? აქ საცენზორო წესდების 24-ე მუხლს, უბრალოდ გვერდს უვლიან. ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დაივიწყეს შემდეგი დებულება: „თუ ისინი, ამასთანავე, საკმაოდ იცნობენ ლიტერატურის ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე მოძრაობას"; „უმაღლესი განათლება" აქ ესმით, როგორც ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის ან სასულიერო აკადემიის დამთავრება და ისიც ოცდაათი, ორმოცი წლის უკან! განა ეს კანონის გვერდის ავლა არაა?

მე არ უარვყოფ, რომ ბატ. მელიქ-მეღრაბოვი ოდესღაც იყო და უფლებაც ჰქონდა ყოფილიყო საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე: მას შეეძლო და შეუძლია ელჩობაც გასწიოს აღმოსავლეთში, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ მას არ შეუძლია იყოს „ობზორის" ცენზორი. ამიტომ მე ვთხოვ სასამართლოს, მხედველობაში მიიღოს ჩემს მიერ დამოწმებული საცენზურო წესდების 139-ე და 24-ე მუხლები. რაც შეეხება საცენზურო წესდების დანარჩენ მუხლებს, რომელთაც იმოწმებს ბატ. პროკურორის ამხანაგი — საჭირო არაა ვამტკიცოთ მათი შეუსაბამობა ჩემს საქმესთან დაკავშირებით. 64-ე მუხლი ისევე, როგორც 91-ე მუხლი ეხება ხელთნაწერებსა და წიგნებს, და არა პერიოდულ გამოცემებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დროის უქონლობის გამო, შეუძლებელი იქნებოდა ამ მუხლებით გათვალისწინებული ფორმალობის დაცვა: ხელთნაწერის ფურცელ-ფურცელ შეკვრა, მისი საერთო აღწერილობაში გატარება, მდივნისათვის გადაცემა, უკან წამოღება და ა. შ... 66-ე და 70-ე მუხლები კი სრულიადაც არ ამართლებენ ბატ. მელიქ-მეღრაბოვის დანიშვნას „ობზორის" ცენზორად.

რაც შეეხება პროკურორის აზრს, თითქოს საცენზურო კომიტეტს უფლება აქვს ბიბლიოთეკის მუშაკსაც კი მისცეს გაზეთების ცენზურაში გატარების უფლება — მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ასეთ შემთხვევაში კანონის (საცენზურო წესდების 24-ე მუხლი) მოთხოვნილების მიხედვით, ბიბლიოთეკის მუშაკი უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც ვერ აკმაყოფილებს ბატ. მელიქ-მეღრაბოვი. მეტი მე სათქმელი არაფერი მაქვს.

თავმჯდომარე: სასამართლო მიდის საკითხების დასადგენად.

სასამართლოს დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთი მისი წევრი, ა. ი. პოლტორაცკი კითხულობს შემდეგ კითხვებს: აკრძალა თუ არა ცენზურამ ის შეხედულებები, რომლებიც დაბეჭდა „ობზორის" რედაქ-

ტორმა და თუ აკრძალა, დამნაშავეა თუ არა ნიკოლაძე ამ ნაწყვეტების დაბეჭდვაში, და თუ დამნაშავეა, როგორ უნდა დაისაჯოს?

პროკურორის ამხანაგს საკითხების ასე დადგენის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა....

ნ ი კ ო ლ ა ძ ე: მე ვთხოვ სასამართლოს პირველ კითხვაში სიტყვა „ცენზორის" ნაცვლად ჩაწერონ „ადგილობრივი და აღმოსავლური ენების უფროსი ცენზორი", ხოლო სიტყვას „ობზორის" რედაქტორი" დაემატოს „რუსული გაზეთის „ობზორის" რედაქტორი".

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: (სასამართლოს თათბირის შემდეგ) სასამართლო თქვენ მოთხოვნილებას უსაფუძვლოდ თვლის და უშედეგოდ ტოვებს. სასამართლო მიდის კითხვების განსახილველად.

ნახევარი საათის შემდეგ სასამართლო დაბრუნდა და გამოაცხადა ამგვარი რეზოლუცია: „ობზორის" რედაქტორი ნიკოლაძე, რომელსაც ბრალად ედებოდა ცენზურის მიერ აკრძალული ნაწყვეტების დაბეჭდვა, გამართლებულია.

3. ბრალდებულ ნ. ი. ნიკოლაძის დასაცავი სიტყვა სასამართლო პალატაში

ჩემი დაცვა, ბ-ნო მოსამართლენო, მე ძალაუნებურად უნდა შევუხამო სასამართლო პალატის ბ-ნ პროკურორის ამხანაგის საბრალმდებლო სიტყვას, რომელიც თქვენ ახლახან მოისმინეთ, და, ასე ვთქვათ, ფეხდაფეხ გავყვე მის არგუმენტაციას. ამიტომ მე, უწინარეს ყოვლისა, შევეხები ვითომდა წინააღმდეგობას, რომელშიც ბრალდება ცდილობს გამომიჭიროს. ბრალდება ამტკიცებს, თითქოს „ობზორის" რედაქცია ცენზორ მელიქ-მეღრაბოვის კომპეტენტურობის წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ აღსდგა, როცა ცენზორმა ამ რედაქციის სტატიების აკრძალვა დაიწყოო. ბრალდებას მიაჩნია, რომ დაცვის თვალსაზრისზე თუ დადგება და ბ-ნ მელიქ-მეღრაბოვს არაკომპეტენტურ პირად აღიარებს, მაშინ მე უნდა დამსაჯონ „ობზორის" იმ მთელი რიგი ნომრების უცენზუროდ გამოშვებისათვის, რომელსაც ნება დართო იმავე არაუფლებამოსილმა ცენზორმა მელიქ-მეღრაბოვმა. ამ უკანასკნელი აზრის წინააღმდეგ მე დავას არ დავიწყებ, მაგრამ პალატა, რა თქმა უნდა, დამეთანხმება, რომ, თუ მე მადანაშაულებენ სათანადო საცენზურო ხელისუფლების ნებართვის გარეშე „ობზორის" რამდენიმე ნომრის გამოშვებაში, მაშინ საბრალმდებლო ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ეს საქმე, აღძრას ჩემს წინააღმდეგ ახალი სარჩელი და ბრალი დამდოს დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია სასჯელთა დებულების არა 1029-ე მუხლით, არამედ იმავე დებულების 1024-ე მუხლით. პირველი მუხლი, როგორც ცნობილია, მე 50 მანე-

თით მაჯარიმებს, ხოლო უკანასკნელი სამი თვის პატიმრობით მსჯის. მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ჩემს წინააღმდეგ აღძრული იქნება ეს ახალი სარჩელი, მე იმედი მაქვს, რომ სასამართლოს წარვუდგენ სრულიად საკმაო საბუთებს ჩემი უდანაშაულობის შესახებ. რაც შეეხება საბრალმდებლო ხელისუფლების შენიშვნებს, თითქოს მე არაკომპეტენტური ცენზორის მხოლოდ აკრძალვითი ქმედების წინააღმდეგ გამოვდივარ და შესანიშნავად ვსარგებლობ ხოლმე მისი დადებითი მოქმედებით, ამის გამო ბ-ნ პროკურორის თანაშემწეს, უნდა მოვაგონო, რომ ჩემს სიტყვაში საოლქო სასამართლოს წინაშე, როგორც ეს სასამართლოს სხდომის ოქმიდანაც ჩანს, მე თვითონ ვუწოდე დაცვის ამ საფუძველს არა მარტო ფორმალური, არამედ ფორმალისტურიც კი. „ობზორის“ ცენზორად ბ-ნი მელიქ-მეღრაბოვის დანიშვნის აქტი მე მოვიყვანე, როგორც ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი მრავალრიცხოვან შემთხვევებს შორის, როცა თვით ის ხელისუფლება არღვევს ხოლმე კანონებს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელმაც დღეს საბრალმდებლო სკამზე დამსვა, ამ კანონებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამო. პირადად მე კი ყოველთვის პროტესტს ვაცხადებდი ხოლმე ბ-ნ მელიქ-მეღრაბოვის ყველა ნებადამრთველი და ამკრძალავი — ქმედების წინააღმდეგ, თუკი იგი „ობზორს“ შეეხებოდა. ხოლო, თუ ჩემი პროტესტების მიუხედავად, მელიქ-მეღრაბოვი მაინც რჩებოდა „ობზორის“ ცენზორად, ამაში მე სრულებითაც არ უნდა გამამტყუნონ; არც ის ფაქტი, რომ მე მას ვუგზავნიდი ხოლმე საცენზურო ფურცლებს, სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს მე მელიქ-მეღრაბოვი როდესმე კომპეტენტურ პირად მიმაჩნდა. გაზეთის დროულად გამოშვებისათვის ზრუნვას შეეძლო ავეძულებინე, რომ დავმორჩილებოდი ხელისუფლების არასწორ განკარგულებას, მაგრამ განა ცოტაა შემთხვევა, როცა ჩვენც, ბ-ნი პროკურორის ამხანაგიც, თქვენც, ბ-ნო მოსამართლენო, იძულებული ვართ ხოლმე დავემორჩილოთ ძალაზე დამყარებულ თვითნებობას? განა ამის გამო თვითნებობა თვითნებობადვე არ რჩება? განა თქვენი მორჩილება კურთხეულ კანონად აქცევს მას? ვიმედოვნებ, რომ ამ განმარტების შემდეგ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ჩემს რაიმე წინააღმდეგობაზე საკუთარ თავთან და გადავდივარ პროკურორის სიტყვის იმ ნაწილზე, რომელშიც მოცემულია ცდა, სავსებით კანონიერ ღონისძიებად გაასაღონ აღმოსავლურ ენათა ცენზორის, ვითომდა დროებით, დანიშვნა რუსულ გამოცემათა ცენზორის თანამდებობაზე.

ბ-ნი პროკურორის ამხანაგი იმოწმებს სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების მე-12 მუხლს, რათა განმარტოს და გაამართლოს ეს დანიშვნა „კანონთა საერთო სულისკვეთებით“. იგი ამბობს, რომ თანამდებობა ვაკანტური იყო, იგი უნდა დაეკავებინა უშუალოდ მომ-

დევნო თანამდებობის პირს, ხოლო რაკი ასეთი არ გვყავდა, ეს ვაკანტური ადგილი ერგო პიროვნებას, რომელსაც შესაბამისი საქმიანი გამოცდილება ჰქონდაო. მაგრამ, ბატონებო, თქვენ თვითონ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ რომელიმე თანამდებობრივი მოვალეობის დროებით აღსრულებაც კი ჩინოვნიკებს სიტყვიერი დავალებით კი არა, არამედ უმაღლეს ინსტანციათა წერილობითი ბრძანებებითა და განკარგულებებით ეკისრებათ ხოლმე. სად ნახულა, რომ ამგვარ წერილობით განკარგულებათაგან კვალიც არ დარჩენილიყოს და სად, რომელ უწყებაშია მიღებული საქმისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება? ამავე დროს, მოწმე ფურცელაძემაც ხომ პირდაპირ განაცხადა, აქ, პალატაში, რომ არც არავითარი მითითება არ მიუღია და არც არავითარი წინადადება არ მიუცია წერილობით. ამ განცხადების გამო, მიუხედავად იმ ანალოგიისა, რომელიც ბ-ნმა პროკურორის ამხანაგმა გაატარა, არაფრით არ შემიძლია კანონიერად ვცნო რუსული გაზეთის ცენზორად ბ-ნი მელიქ-მეღრაბოვის დანიშვნა. ამ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე შევნიშნავ, რომ არავითარი თანამდებობა არ შეიძლება ვაკანტურად დარჩეს მიყოლებით რამდენიმე წლის განმავლობაში. რუსული ენის ცენზორის თანამდებობა ჩვენში ვაკანტური იყო 1874 წლიდან, ე. ი. ცენზორ კოვალენსკის გარდაცვალების დღიდან. მხოლოდ 1876 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში მას „ასრულებდა“ ვინმე ბ-ნი ველისარი, რომელმაც, ომის მოახლოებასთან ერთად, საცენზურო უწყება საინტენდანტოზე გასცვალა. მანამდე, და მის შემდეგაც, რუსულ გამოცემათა ცენზორებად იყვნენ ხან ბ-ნები მელიქ-მეღრაბოვი და ბაქრაძე, ხან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს ჩინოვნიკები: ბ-ბი ჟელიხოვსკი და რობაროვსკი (ამ სამმართველოს საიდუმლო განყოფილების გამგე), საცენზურო კომიტეტში „დროებით მივლინებულნი“, ხან ბ-ნი ბოგაჩევი, ერევნის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორი, რომელიც კომიტეტში „გამოსაცდელად“ გამოუგზავნიათ, როგორც ეს ბ-ნმა ფურცელაძემ ბრძანა. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში შეუძლებელი გახდა სინეკურებისა და ჯამაგირების მრავალრიცხოვან მაძიებელთა შორის ეპოვათ უმაღლესი განათლების მქონე და რუსული ლიტერატურის მცოდნე პიროვნება, რომელიც უპასუხებდა საცენზურო წესდების 24-ე მუხლის მოთხოვნას? ნუთუ ჩვენი მხარის რუსული პრესა იმდენ პატივისცემას არ იმსახურებს, რომ ივი ხელფეხშეკრული არ გადაეცათ უკონტროლო და უაპელაციო განკარგულებაში იმ ჩინოვნიკებისა, რომლებმაც ისიც კი არ იციან, რომ გენერალი ბეტრიშჩევი ცოცხალი „პიროვნება“ კი არ არის, დიდი მთავრის ამალიდან, არამედ მარტოოდენ გოგოლის ლიტერატურული ტიპია და რომ გაზეთს სრული უფლება აქვს მასხრად აიგდოს იგი? განა ეს არ

ნიშნავს ამ პრესის უნარის მნიშვნელობისა და განვითარების ძირშივე ჩაკვლას?

ბ-ნი პროკურორის ამხანაგი ამ საკითხზე როდი შეჩერდა. იგი აჰყვა ცდუნებას და ჩემი დამოკიდებულება ცენზურისადმი უაღრესად ულაზათოდ წარმოგიდგინათ თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო; მისი თქმით, ცენზურა და ცენზორები ქველმოქმედი მამებივით ელოლიავებიან ხოლმე რედაქციებს: ცენზორთა „შემწყნარებლობას“ ხომ საზღვარი არა აქვს თურმე. ისინი ღამით მუშაობენ ხოლმე, ღამითვე ღებულობენ რედაქტორებს პირადი ახსნა-განმარტებისათვის. თანხმდებიან, რომ გაუშვან მათი სტატიები. რედაქტორებს კი, მოგეხსენებათ, არათუ გულს ვერ აუჩუყებთ, არათუ მადლობას ვერ ათქმევინებთ და ხოტბას ვერ შეასხმევინებთ ცენზორებისადმი, არამედ ისინი კიდევაც თავნებობენ და თავდასხმასაც კი უწყობენ ხოლმე მათ ღამით! საწყალი ცენზორები!.. მაგრამ სინამდვილეში ასეთი შუქით როდი გვევლინება ცენზორთა ჩაგრული უმანკოება. ისინი იღებენ წლიურად 2400—3 000 ვერცხლის მანეთს, თუ არ ჩავთვლით ჯილდოსა და დაწინაურებებს, და საკითხავია, რისთვის იღებენ? იმისთვის, რომ საღამოობით სხედან მყუდრო კაბინეტში და აუჩქარებლად კითხულობენ იმას, რისი წაკითხვისათვის დანარჩენი მოკვდავნი ფულსაც კი იხდიან. და საყურადღებოა, რომ ჯერერთი, დღისით ბ-ნ ცენზორებს არავითარი საქმე არა აქვთ და სრულიად არაფერი აქვთ საკეთებელი, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი პრესის მასალებს კითხულობენ ხოლმე გაცილებით უკეთესი სახით, ვიდრე ის ხალხი, ვინც ფულს იხდის; ეს იმით აიხსნება, რომ ნიჭის მთელ ბრწყინვალებას, აზრის ყველა რელიეფს, ყველა საინტერესო ახალ ამბავს, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ბანალურობის რიგს სცილდება, ცენზორები უმოწყალოდ ამოშლიან ხოლმე და ხალასი შემოქმედების ნაყოფი ხალხამდე ვერც კი აღწევს.

თავმჯდომარე: ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დაცვის საგანს გადაუხვიეთ, რაკი ასე ვრცლად შეჩერდით ცენზორთა საქმიანობის შინაარსზე?

ბრალდებული: როცა საბრალმდებლო ხელისუფლება არ ერიდება იმას, რომ წარმომსახოს მე ისეთ უმადურ კაცად, რომელიც ცენზორთა ურიცხვ მოწყალებებზე გაუთავებელი ძალადობითა და უხეშობით პასუხობს, მეც მიმაჩნია, რომ ამ „მოწყალებათა“ ხასიათისა და ღირსების ზუსტი განსაზღვრა პირდაპირ ეხება ჩემი დაცვის არსს. — ბ-ნი პროკურორის ამხანაგი გამოდის იმ დებულებიდან, რომ ცენზორს შეიძლება ბრალი დასდო მხოლოდ ზედმეტ მოწყალებაშიო და პირდაპირ აცხადებს, რომ ძალადობას, თვითნებობასა და შევიწროებაში მარტოოდენ მე ვყოფილვარ დამნაშავე. ვეთანხმები მას, რომ ღმის თავდასხმები არც მოსაწონია და არც მისასალმებელი. მაგრამ განა

ღამით არ მესხმოდა ხოლმე თავს ცენზურა, ნაშუაღამევის 5-6 საათზე, თავისსავე ხელმოწერილ საცენზურო ფურცლებს ძალით რომ მართმევდა, და გაჰქონდა სტამბიდან, როცა ნომერი უკვე იბეჭდებოდა ცენზორის შენიშვნებისადმი სრული შესაბამისობით? და ეს ხომ ერთხელ, ან ორჯერ არ მომხდარა? განა ღამით არ დამესხნენ თავს პოლიციელები, როცა ისინი მოვიდნენ სტამბაში ცენზურის მიერ მთლიანად ნებადართული „ობზორის“ უკანასკნელი ნომრის კონფისკაციისათვის? დიახ, ძალადობას ძალადობით და თვითნებობას თვითნებობითვე ვუპასუხე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მე და პოლიცია ბარი ბარში ვართ. ყოველივე ამის გამო გასაკვირად და საოცრად მეჩვენება, რომ ბ-ნი პროკურორის ამხანაგი გმობს და უარყოფს მარტო ერთი, და თანაც უფრო სუსტი, მხარის ძალადობასა და თვითნებობას. თუმცაღა იგი ამბობს, რომ კარგი იყო ი.უ ავი, მართებული თუ კანონსაწინააღმდეგო, ცენზორის მოქმედება და განკარგულება უდავოდ სავალდებულო იყო რედაქციისათვისო. ხელისუფლების მართებულ და სამართლიან განკარგულებათა წინააღმდეგ, სულელების გარდა, არავინ არასდროს აჯანყებულა, ხოლო თუ თქვენ გსურთ, რომ ყველანი ხალისით და ნებაყოფლობით ვემორჩილებოდეთ, კეთილ ინებეთ მოთოკეთ საკუთარი თავი და იყავით ყოველთვის სამართლიანი და გონიერი. მაშინ თქვენ არ მოგიხდებათ ძალადობის ხმარება. სხვა მხრივ კი არავითარი ძალა არ იკმარებს საიმისოდ, რომ ყველასათვის სავალდებულო გახადოთ აშკარად არასწორი და უგუნური განკარგულებანი, რომელთა მოწონების და მხარდაჭერის უნარი თვით პროკურორის ამხანაგსაც კი არ შესწევს.

მართალია, საბრალმდებლო ხელისუფლება, რომელიც მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას თვით უგუნური განკარგულებისადმიც კი, გვარწმუნებს, რომ თქვენ გაქვთ საშუალება იჩივლოთ უმაღლეს მმართველობაშიო, მაგრამ განა ეს ასეა და განა ყოველთვის შესაძლებელია ჩივილი? განა ყოველთვის სურს ან შეუძლია, უმაღლეს მმართველობას გამოასწოროს ის ბოროტება, რომელსაც მისი აგენტების უაზრო და არასწორი საქციელი გვაყენებს? შემიძლია დავარწმუნო ბ-ნი პროკურორის ამხანაგი, რომ მე ტყუილ-უბრალოდ, არასდროს ჩამიდენია თავნებობა, პირიქით, წინასწარ ვცადე, რომ როგორმე დამეცვა პრესის უფლებები, ყველა კანონიერი საშუალებით. ვცადე ისიც, რომ მეჩივლა და ვცადე არაერთხელ. ძალიან, ძალიან ბევრჯერ წარმიდგენია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში და თვითონ დიდ მთავართანაც საცენზურო კომიტეტის მიერ აკრძალული სტატიები. სამართლიანობა მავალებს განვაცხადო, რომ მხარის უმაღლესი ხელისუფლება უმეტესწილად ამ სტატიების დაბეჭდვის ნებას მაძლევდა, ბედშავი სტატიები დამიბრუნდებოდა ხოლმე სანუკვარი წარწერით —

„ნებას ვრთავ“ — მაგრამ, საუბედუროდ, ისინი უკვე მოკლებული იყვნენ უმცირეს ინტერესსაც კი და მათი დაბეჭდვა აღარ ღირდა. ეს იქიდან წარმოსდგებოდა, რომ, სანამ ჩემი საჩივარი გაივლიდა ბიუროკრატიის ყველა ინსტანციას და ყველა წამების გზას, სანამ საცენზურო კომიტეტი თავის ახსნა-განმარტებას წარადგენდა, სანამ მოხსენება მომზადდებოდა, სანამ ამას შეუტანდნენ ჯერ მთავარსამმართველოს უფროსს, ხოლო იგი კი, თავის მხრივ, მეფისნაცვლის თანაშემწეს აახლებდა, სანამ ეს უკანასკნელი მეფისნაცვალს მიართმევდა და სანამ ქაღალდი ასეთივე სვლით უკან დაბრუნდებოდა, გავიდოდა ორი-სამი თვე. ამ დროის განმავლობაში კი სტატიისადმი ინტერესი ქრებოდა და იკარგებოდა... ხომ არ ისურვებდით, მაგალითად, რომ დღეს დავბეჭდოთ სტატია ბერლინის კონგრესზე? საოლქო სასამართლოში მე უკვე დავიმოწმე პუბლიცისტ გოლოვაჩევის აზრი ცენზორის საქციელზე ყოველგვარი ჩივილის უსარგებლობის შესახებ. მკითხველი საზოგადოება გაზეთში ეძებს გამოძახილს მიმდინარე მომენტზე, ყოველდღიურ საკითხებზე და აფერუმ იმ გაზეთს, რომელიც, თანახმად ბ-ნი პროკურორის ამხანაგის რჩევისა, ჯერ სტატიებს რამდენიმე დღით ადრე ცენზურაში გაგზავნიდა, ხოლო შემდეგ ამ თავისი სტატიებითა და ცნობებით მკითხველთან მთელი კვირის დაგვიანებით მიაღწევდა! აი, რატომ არ შეგვიძლია, ბ-ნო მოსამართლენო, ჩვენ, ჟურნალისტებს, დავუჯეროთ ბ-ნ პროკურორის ამხანაგს და ვისარგებლოთ მისი რჩევადარიგებით. ყოველდღიური პრესის საქმე სასამართლო საქმე როდია, სადაც დამშვიდებული სინდისით შეგიძლია ელოდო დარღვეული უფლების, თუ ფეხქვეშგათელილი ჭეშმარიტების, აღდგენას ათეული წლობით, როგორც ჩვენში ეს პროცესები გრძელდება ხოლმე.

მაგრამ, ყველა ამ საბუთის საფუძვლიანობის მიუხედავად, მე მთლად არ ამომიწურავს ჩემი საწინააღმდეგო მოსაზრებანი საბრალმდებლო სიტყვის ამ ნაწილის გამო, განსაკუთრებით ბ-ნ პროკურორის ამხანაგის იმ განცხადების გამო, რომ საშიშიაო მივცეთ „საზოგადოების თვითეულ ცალკე წევრს უფლება იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ“. გაკვრით შევნიშნავ, რომ „საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების ეს უფლება“ განუყრელადაა დაკავშირებული არანაკლებ საკუთარ „პასუხისმგებლობასთან“, და რაკი მე თავს არ ვარიდებ, და არ შემიძლია ვიფიქრო თავი ავარიდო სასამართლო პასუხისმგებლობას, ამიტომ განსაკუთრებულ საფრთხეს აქ ვერ ვხედავ. მაგრამ საქმე ეს კი არაა. კანონი მოითხოვს, რომ დავემორჩილოთ ძალაუფლების მქონე პირთა მხოლოდ კანონიერ განკარგულებას. ეს მბრძანი, სისხლის სამართლის ელემენტარული დებულებაა, და მე ვერ გამიგია რა საფრთხეს უნდა მოელოდე იმ ქმედებისაგან, რომელიც ცენზურის უკანონო მოთხოვნებს ეწინააღმდეგება? მაგრამ მე თავს

ვანებებ საქმის ამ მხარესაც, რათა პირდაპირ გადავიდე საკითხზე „ლეგალური ბრძოლის“ შესახებ, რომელსაც მირჩევს ბ-ნი პროკურორის ამხანაგი.

საეჭვოა ჩვენს ვითარებაში გამოდგეს ბ-ნ ბრალმდებლის რჩევა, რომ ყოველთვის ლეგალური მოქმედების წესს მივდიოთ და არასოდეს გამოვიდეთ ხოლმე ლეგალური ბრძოლის ფარგლებიდან. მე, ბატონებო, სრულებითაც არა ვარ კანონიერების თაყვანისმცემელი ამ სიტყვის ვიწრო აზრით: მე სულაც არ მიმაჩნია, თითქოს ყველა ჩვენი საზოგადოებრივი უბედურება, კანონთა დარღვევისაგან წარმოსდგებოდეს. მაგრამ ჩემს მოღვაწეობაში მე ყოველთვის მკაცრად მივდევდი ლეგალურობას. აი, უკვე ათი წელია, რაც მიზნად დავისახე — ძესინჯა საკუთარი გამოცდილებით, მესინჯა პატიოსნად და გულწრფელად, თუ რამდენად არის შესაძლებელი ჩვენში, რუსეთში, რომ საზოგადოებრივი პროგრესის სასურველი და აუცილებელი ინტერესები შეაგუო ლეგალურობის მოთხოვნებს, ე. ი. რამდენად იძლევიან ჩვენი კანონები, ჩვეულებანი და წესები საზოგადოებრივ განვითარებაზე ზრუნვის შესაძლებლობებს. ამ მიზნით მე გადავწყვიტე ბოლომდე გამომეყენებინა ყოველივე, რის ნებასაც ჩვენი კანონები აძლევენ ოპოზიციას, რა თქმა უნდა, ლეგალურს. და აი, ახლა მე გულითადი მწუხარებით უნდა განვაცხადო, რომ ჩემმა ათწლიანმა გამოცდილებამ არ გაამართლა საზოგადოების წყნარი და მშვიდობიანი განვითარების მეგობართა იმედები თუ მოლოდინი. თავისთავად ცხადია, იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდესი წარმატებით ვითარდებოდეს, ლეგალურობა ყველაზე სასურველ პირობას წარმოადგენს და რაც უფრო ფართო ასპარეზი აქვს მინიჭებული ლეგალურ ბრძოლას, მით უფრო მშვიდობიანი და მტკიცეა საზოგადოების მიერ მიღწეული პროგრესი. ამაში მე უდავოდ ვეთანხმები პროკურორის ამხანაგს. მაგრამ აქ უნდა შენიშვნა მივცე მას, რომ ლეგალურობა ყოველგვარ ნიადაგზე როდი აღმოცენდება ხოლმე, იგი ყველგან როდია შესაძლებელი ან ყველა ხალხისათვის როდი გამოდგება. იმისათვის, რომ ლეგალურობა დამკვიდრდეს რომელიმე ქვეყანაში, უდავოდ აუცილებელია, რომ კანონი იდგეს უაღრესად მაღლა ორივე მებრძოლ მხარეზე, ოპოზიციაზეც და ადმინისტრაციაზეც, ოდნავადაც არ იყოს დამოკიდებული არც ერთის, არც მეორისაგან. მხოლოდ იქ, სადაც კანონს თავის წყაროდ აქვს სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფლება, ხოლო მიზნად — ხალხის ცხოვრების გონივრული რეგულირება, და არა ერთ-ერთი მებრძოლი მხარის ინტერესები თუ კეთილდღეობა და სადაც არც ერთს, არც მეორე მხარეს შესაძლებლობა არა აქვს გვერდი აუაროს ან დაამახინჯოს კანონები, — მხოლოდ იქ, ვამბობ მე, არის შესაძლებელი, რომ ლეგალური ბრძოლა, რომელიც არავისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს,

მიმდინარეობდეს წყნარად და სახელმწიფოსათვის წარმატება მოჰქონდეს. ეს ორი მხარე და უკლებლივ ყველა ქვეშევრდომიც, მხოლოდ იქ არიან იძულებულნი პატივისცემით დახარონ თავი დამოუკიდებელი და ხელშეუხებელი კანონის წინაშე. მაგრამ განა ამას ვხედავთ ჩვენში? ჩემს აზრს ყველაზე უკეთესად ის საქმე აგვიხსნის, რომელსაც თქვენ ახლა აქ არჩევთ. ხომ დარწმუნდით, ბ-ნო მოსამართლენო, თუ როგორ უვლის გვერდს და დაუსჯელად არღვევს ხოლმე კანონს, მაგალითად, ცენზურა, როცა იგი რწმუნდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ კანონმა შესაძლებელია თუნდაც ბეწვისოდენად გააუმჯობესოს ოპოზიციური პრესის მდგომარეობა. როგორც კი გამოცდილებით მეღავნდება ხოლმე რომ ეს თუ ის კანონი ანიჭებს ოპოზიციას თუნდაც სუსტ საყრდენ წერტილს, როგორც კი გამოირკვევა, რომ ზემდგომი წრეების პირადი კეთილდღეობისათვის, მათი კომფორტისათვის მაინცდამაინც სასარგებლო არ არის რომელიმე წესის არსებობა, ამ წესს არა მარტო მაშინვე აბუჩად იგდებენ, არა მარტო მაუდს ქვეშ ამოდებენ ხოლმე, არამედ ხშირად სავსებითაც აუქმებენ. თუმცა ამის უამრავ მაგალითებს ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, მაგრამ მე მაინც დავიმოწმებ მარტო ერთ თვალსაჩინო მაგალითს, რომელიც ამ პროცესმა წარმოგვიდგინა. სასჯელთა დებულების 1029-ე მუხლი საშუალებას მაძლევდა ხოლმე, რომ ცალკეულ, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, უწყინარ შემთხვევებში მებეჭდა ცენზურის მიერ დამახინჯებული უკბილო სტატიები, რისთვისაც მაკისრებდნენ ხოლმე ფულად სასჯელს 50, 100, 200 მანეთის რაოდენობით. მაგრამ ცენზურას და ადმინისტრაციას არ მოეწონა სასჯელთა დებულების ეს მუხლი, ნამეტნავად, როცა აღმოჩნდა, რომ მის გამოსაყენებლად აუცილებელი შეიქნებოდა, თვით ცენზურისათვის უამრავი სხვა კანონის დაცვა. და აი ეს მუხლი ჩემთვის ამოშლილია კანონიდან, რაკი ახლა სტამბას გვერდით დაუყენეს პოლიციური მეთვალყურე, რომელიც წინააღმდეგობას მიწევს, ალბათ, ჩემი ჯიბის ინტერესებისათვის, რომ როგორმე არ დავბეჭდო ცენზურის მიერ აკრძალული ჩემი სტატიების უწყინარი ადგილები. როცა „ლეგალური ბრძოლის“ ერთ-ერთ მხარეს უფლება და შესაძლებლობა ენიჭება, რომ თავისი შეხედულებებისამებრ შეცვალოს ხოლმე არსებული კანონები თუ წესები, მაშინ აშკარაა, რომ სათითაოდ ყველას თვალში კანონი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და იმ ძალიდან, რომლის მფარველობით უნდა მიმდინარეობდეს ლეგალური ბრძოლა, იქცევა ბრძოლის იარაღად, რომელიც მიცემული აქვს მხოლოდ ერთ, ამასთან, უფრო ძლიერ მხარეს. შესაძლებელია კიდევაც წაიქცე ბრძოლის ამგვარი იარაღის დარტყმისგან, მაგრამ ვინმეს მოსთხოვო, როგორც ამას პროკურორის ამხანაგი სჩადის, რომ მაინცდა-

მაინც ეს იარაღი აღიარე მხსნელად და დამცველადო, დამეთანხმებით, ეს მეტად გულუბრყვილოა.

ამავე დროს პროკურორის ამხანაგი მართალია, რეკომენდაციას რომ უწევს ლეგალურობის აუცილებლობას. ჩვენ ვცხოვრობთ მძიმე დროში, როცა ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია და დაძაბულია იქამდე, რომ გააფთრებასაც კი აღწევს. ადამიანთა ძალიან დიდი რაოდენობა, მწარე გამოცდილების საფუძველზე, უნდობლობას უცხადებს სამწუხარო და არასასურველი ლეგალური ბრძოლის შესაძლებლობასა და გონივრულობას, თანაც კიდევ უფრო სამწუხარო თაყვანისცემას ამჟღავნებს ფიზიკური ძალისადმი. თუ ჩვენ არა გვსურს კანონიერებას გადავუხვიოთ, თუ ჩვენთვის ნამდვილად ძვირფასია ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების ინტერესები, მაშინ აუცილებელია გავაადვილოთ ლეგალური ბრძოლის შესაძლებლობა, რომელიც ასე საჭიროა თვით ხელისუფლების ინტერესებისათვისაც კი. მაგრამ ლეგალური ბრძოლა, როგორც უკვე მოგახსენეთ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები თანაბარ პირობებშია მოქცეული, როდესაც ისინი კანონისაგან თანაბრად არიან დამოკიდებული. ჩვენში ჯერჯერობით საჯარო სასამართლოა ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია აღძრას სახელმწიფოსათვის ესოდენ აუცილებელი პატივისცემა კანონებისადმი, შეუძლია, ყოველ შემთხვევაში გარკვეული ოდენობით მაინც, ზღვარი დაუდოს თითოეული მებრძოლი მხარის მისწრაფებას კანონის ხელყოფისაკენ და დამახინჯებისაკენ. აქიტომ მე სავსებით დარწმუნებული ვარ, ბ-ნო მოსამართლენო, რომ თქვენ ყურადღებას არ მიაქცევთ ბ-ნ პროკურორის თანაშემწის შეგონებას და თქვენი გამამართლებელი განაჩენით მოაგონებთ ყველას, რომ კანონი არსებობს ან უნდა არსებობდეს, ორივე მხარისათვის და არა მარტო ერთის, უფრო სუსტი მხარის ასალაგმავად.

საკითხავია, მაინც საით მივყავართ პრესის არალეგალური და ლეგალური ბრძოლის ამ შეზღუდვას, რომელსაც ჩვენში პრაქტიკულად უკვე დიდი ხანია იყენებენ. ბ-ნო მოსამართლენო, თქვენ ხომ არც ბერები და არც განდეგილები არ ბრძანდებით... თქვენ ხომ ყოველდღიურად ტრიალებთ სწორედ იმ საზოგადოებაში, სადაც ჩვენ ვმოქმედებთ, და განა ხშირად არ ხდება ხოლმე, რომ სწორედ ამ საზოგადოებაში თქვენ გსმენიათ გამოხმაურებანი, საუბრები თუ მსჯელობანი, რომლებიც თავისი მოურიდებლობითა და კრიტიკული სარჩულით დიდად აჭარბებს ყოველივე იმას, რისი ვითომდა უაღრესად მკვეთრი თქმაც პრესას შეუძლია. ძველ დროს, ასე 25 წლის წინათ, კიდევ შეიძლებოდა პრაქტიკაში შემოგვეღო „საყოველთაო დუმილის“ სისტემა, მაგრამ ახლა ეს სისტემა გადაჭრით უკუგდებულია. ახლა, როცა საჯარო სასამართლომ, საქალაქო და საერობო თვითმმართველობამ და

პრესამ დვრიტა დაუდეს საზოგადოებრივი აზრის მუშაობას, და როცა სამიმოსვლო გზების, ფოსტისა თუ ტელეგრაფის განვითარებამ უაღრესად გააადვილა იმავე აზრის გაცვლა-გამოცვლა, პრესის არავითარი შეზღუდვა არ გვიშველის ამ ქიმერული მიზნის მიღწევაში. სახელდობრ, იმაში, რომ ვაიძულოთ საზოგადოება ძველებურად დუმდეს და ბრმად გვენდობოდეს. ახლა ხომ პრესა ხმაჩაწყვეტილია: მასში არ არის გამოძახილი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას აინტერესებს და აღელვებს. მერე და რა, განა ამიტომ ამ საზოგადოებაში ადგილი არ აქვს მითქმა-მოთქმას, ელვის სისწრაფით არ ვრცელდება ხოლმე ქვეყნის კიდით კიდემდე ყოველგვარი ახალი ამბავი და ცნობა, რომლებიც ასახვას ვერ პოულობს უფლებაშეზღუდულ პრესაში? განა მთელმა საზოგადოებამ, ჩვენი შორეული განაპირა მხარის მიგდებულ კუთხეებშიც კი არ იცის ყველაფერი იმის შესახებ, ბ-ნი ცენზორები ასე მონდომებით რომ ცდილობენ დამალონ? შეადარეთ ხალხში საყოველთაოდ გავრცელებული ცნობები და აზრები ჩვენებურ თუ დედაქალაქის გაზეთების უტყვობას და პატიოსნად აღიარეთ, აღწევს კი მიზანს პრესის მთელი ეს შევიწროება? საით მიეყავართ ამ სისტემატურ წინააღმდეგობას, რომელსაც ჩვენ ვუწევთ საზოგადოებრივი ორგანიზმის ბუნებრივ ზრდას თუ არა ამ ორგანიზმის უძლეველი თანდაყოლილი ძალის მახინჯი გამოვლინებისაკენ, თუ არა ერთთა გააფთრებისა და მეორეთა დასუსტებისაკენ? ყოველგვარ საზოგადოებაში, ბატონებო, კმაყოფილ და ბედნიერ წევრებთან ერთად არიან უკმაყოფილნი და უბედურნიც არიან ადამიანები, რომლებიც ისწრაფვიან უკეთესი წყობილებისა და უკეთესი ხვედრისაკენ. ექნებოდა კი აზრი საზოგადოებრივ პროგრესს ასეთ ელემენტთა არსებობის გარეშე? ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის სასურველი და აუცილებელია, რომ ამ ელემენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გამოავლინონ ხოლმე თავიანთი მისწრაფებანი და დაასაბუთონ თავიანთი რწმენა. როცა ეს ელემენტები შესაძლებლობას პოულობენ ხოლმე, რომ თავიანთი აზრებისა და მისწრაფებების პროპაგანდა გასწიონ თავისუფალი პრესის ფურცლებზე, მათ უღვივდებათ მომავლის იმედი და, ამასთან ერთად, მოთმინებაც უმუშავდებათ. ისინი რწმუნდებიან, რომ ყველაფერს უეცრად ვერ გადააკეთებ, რომ ყველას უცბად ვერ დაარწმუნებ, და ისინიც ელიან ხოლმე ათეული წლების მანძილზე, არ ვარდებიან უკიდურესობაში და გამოხდომებით არ უტეხენ სახელს დროის დაბეჯითებით შრომას. მაგრამ როცა ეს სისხლხორცეული ელემენტები ძალაუნებურად რწმუნდებიან, რომ მათ თავიანთი რწმენისათვის აშკარა და ლეგალური ბრძოლის ასპარეზი არ დარჩენიათ, მაშ, უბრძანეთ სადღა შეაფარონ თავი, თუ არა ყველასათვის ასე არასასურველი არალეგალური

მოღვაწეობის დარგს? რაც უფრო ვიწროვდება ის სფერო, რომელიც ხელმისაწვდომია პრესის თავისუფალი განხილვისათვის, მით უფრო ფართოვდება და ადვილდება არალეგალური მოღვაწეობის სარბიელი, რადგან ამ უკანასკნელის ნიადაგიც, მისი ძალებიც, მისი საშუალებებიც იქმნება, ვითარდება და ძლიერდება ადამიანური აზრის შევიწროვებით.

ეს პროცესი, ბ-ნო მოსამართლენო, გამოძახილია საქმეთა იმ ვითარებისა, რომელიც ახლა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამჟამად, ბატონებო, ადგილობრივი პრესა მკვდარია. „ობზორი" შეჩერებულია. სხვა ადგილობრივი გაზეთები სულს ძლივსღა ითქვამენ. ეს კი იმისგან წარმოსდგება, რომ სწორედ იმ დროს, როცა მთელი ჩვენი საზოგადოება აღგზნებულია ცხოვრების ბევრი პირველხარისხოვანი საკითხით, ადგილობრივი პრესა მოკლებულია შესაძლებლობას გამოეხმაუროს ამ საკითხებს. თავისთავად ცხადია, მკითხველ საზოგადოებას სულაც არ აინტერესებს ის ბანალური მოვლენები, რომელთა შესახებაც შეიძლება მხოლოდ ახლა რომ წეროს კაცმა ჩვენში. არ ვიცი, რისთვის და ვისთვისაა საჭირო, ვის მოუტანს სარგებლობას ბეჭდვითი სიტყვის ეს დისკრედიტირება, არც ის ვიცი, ვინ მოიგებს იმ უკუნეთს წყვდიადში, რომელიც ცენზურამ გადმოგვაფარა. მაგრამ სამწუხაროა, რომ საჯარო სასამართლოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, სასამართლო პალატის ბ-ნი პროკურორის ამხანაგი, ამ ბრძოლისა და საქმეთა ამგვარი ვითარების დროს, ივიწყებს საჯაროობისა და საჯარო სასამართლოს ტრადიციებს და ასე გადაჭრით ემხრობა იმათ, ვინც ჰკლავს ლიტერატურას, რაკი ხელფეხშეკრულს აძლევს ბ-ნების მელიქ-მეღრაბოვების, გორდიევსკებისა და ძმათა მათთა განკარგულებაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო, საქმეს ასე როდი მიუდგებით. საოლქო სასამართლოში გთხოვეთ გამომიტანეთმეთქი გამამართლებელი განაჩენი, რომელიც მე პროვინციული პრესის განთავისუფლებისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად მიმაჩნდა. ახლაც იმავე თხოვნითა და იმედით მოგმართავთ, კვლავ გთხოვთ, დაამტკიცეთ თქვენი ავტორიტეტით გამამართლებელი სასჯელი, რომელიც საოლქო სასამართლომ გამომიტანა.

პროკურორის ამხანაგი აცხადებს, რომ უარს ვამბობ ბ-ნ ნიკოლაძის სიტყვის საწინააღმდეგო მოსაზრებათა წამოყენებაზეო.

თათბირის შემდეგ, რომელიც 4-5 საათს გაგრძელდა, თავმჯდომარემ გამოაქვეყნა პალატის შემდეგი დადგენილება: დამტკიცდეს საოლქო სასამართლოს განაჩენი, ხოლო პროკურორის ამხანაგის პროტესტი უშედეგოდ იქნეს დატოვებული.

14. „მშაკის“ შინ ჩადენილი გმირობა

ჩვენს მკითხველებს, ალბათ, არ დავიწყებიათ შეტაკება, რომელიც მოხდა „მშაკსა“ [12] და ბატ. ამერიკიანს შორის. ვინაიდან ჩვენ დავბეჭდეთ ამ უკანასკნელის წერილი, აღარ გვინდოდა ჩავრეულიყავით ამ საქმეში. სამი კვირის წინათ ბატ. ამერიკიანმა გამოგვიგზავნა ახალი წერილი და გვთხოვა დაგვებეჭდა „ობზორში“ [3]. ჩვენ არ გვინდოდა ამ წერილის დაბეჭდვა და დიდხანს ვყოყმანობდით. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ჩვენ გვეწვია ორი დუჟინი მეგობარი, რომელთაც წონა და გავლენა აქვთ ადგილობრივ სომხურ საზოგადოებაში. ყველა ერთხმად გვარწმუნებდა და გვთხოვდა რომ დაგვებეჭდა ბატ. ამერიკიანის წერილი, რათა მენუგეშებინა ეს უკანასკნელნი და პატივი მეცა ძოძაკვდავი მსახიობისათვის, რომელსაც ბატ. არწრუნის გაზეთი აბუჩად იგდებდა. ჩვენ ძალა აღარ გვეყო უარის თქმისთვის... ამიტომ გადავწყვიტეთ, მიღებული წესისამებრ, სხანამ ბატ. ამერიკიანის წერილს დავბეჭდავდით, „ობზორის“ მკითხველებისათვის მიგვეწოდებინა -„მშაკის“ სტატიის სიტყვასიტყვითი თარგმანი. დღეს ვბეჭდავთ ამ თარგმანს და ამავე დროს ამ პოლემიკის შესახებ დაწერილ იმ სტატიის თარგმანსაც, რომელიც დაიბეჭდა, ამ ცოტახნის წინათ, მეორე სომხურ გაზეთ „მეგუ“-ში.

15. კონცესიონერული მამხილებელი

თბილისი, 19 დეკემბერი

მთელი წლის მანძილზე ჩვენ იმდენი სტატია დავწერეთ კონცესიონერული მაგიის, ტაქტიკის, პრაქტიკის, ლოგიკისა და პატრიოტიზმის და სხვ. წინააღმდეგ, რომ როცა „კონცესიონერული მაგიის გვირგვინიც“ დავწერეთ, გვეგონა საქმე ყოველმხრივ ამოვწურეთ. მაგრამ, თურმე, შევცდით! ჩვენ ჯერ არ შეეხებივართ კონცესიონერულ მამხილებლებს, რადგან პეტერბურგში, კონცესიონერული მოღვაწეობის ცენტრში, კონცესიონერული მაგიის ეს ფაქტორი არ არსებობს, მხილება მაინც პრაქტიკად მიაჩნიათ. გარიგება ხდება მხოლოდ და მხოლოდ კონცესიონერული საიდუმლოების ფარდის უკან, რადგან სიბნელეში უფრო ადვილია დაარწმუნო ადამიანები, რომლებიც განათლებით და საზოგადოებრივი მდგომარეობით ვერ გაუთანაბრდებიან მოწინავე სტატიების ავტორებს. ამგვარად, კონცესიონერული სინათლე მხოლოდ ბნელში ინთება. სახალხოდ გამოტანას მზის სინათლე სპობს ამ ფოსფორულ, კონცესიონერულ სინათლეს, მყუდრო კაბინეტებში აშუქებს ისეთი ადამიანების სახეებს, რომელთა გათანასწორება საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით, პუბლიცისტებთან შეუძლებელია. აბის მაგალითია პირველხარისხოვანი მეწარმის ბატ. ჩიხაჩევის პროექტი, რომელიც, კონცესიონერული საიდუმლოების ქვეშ, შეიძლება ეკონომიური მოგვჩვენებოდათ, მაგრამ არა არაადამიანური, როგორიც სინამდვილეშია. ამიტომ, პეტერბურგში არც ერთ კონცესიონერს არ უცდია მისი სახალხოდ გამოტანა, მხილება და თავიანთი მიზნებისათვის ბნელი ცილისწამებებითა და კაბინეტური ახსნა-განმარტებებით კმაყოფილდებოდნენ. ჩვენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კონცესიონური მოღვაწეობა, ქვეყნის თავისებურებათა გამო, ეტყობა, თავის გზით მიდის და მიძართავს მხილებას, როგორც კონცესიონერული ზეიმის მისაღწევ საშუალებას. ამიტომ შევეცდებით განვიხილოთ ახალი ცნება — კონცესიონერული მამხილებელი.

სიცხადისათვის ავიღოთ მაგალითი ყოველდღიური ცხოვრებიდან.

ბევრ მკითხველს, ალბათ, ჰყავს მზარეული, რომლებიც, ჩვენი ქვეყ-

ნის თავისებურების გამო, ყოველდღიურად საშინელ ანგარიშს გიდგენთ.

რა არის ეს, ამბობს პატრონი, როცა ანგარიშს დახედავს, სადაც ერთი გირვანქის მაგივრად ათი წერია, ხოლო კაპიკების მაგივრად — მანეთები, შენ უბრალოდ ჩემი გაძარცვა გადაგიწყვეტია?

როგორ გეკადრებათ, ეუბნება შეურაცხყოფილი მზარეული, განა თქვენ ვერ ხედავთ, რა პატიოსანი ადამიანი ვარ? გუშინ მარია ივანოვნას ნათლობა და დიდი წვეულება ჰქონდა, — განაგრძობს იგი თავდაჯერებულად, — რაც თითქმის ყველა ადამიანის სისუსტეა, განა არ გაინტერესებთ ვაჟი ეყოლა მარია ივანოვნას თუ ქალი, როცა და ა. შ.

ეშმაკსაც წაუღია შენი მარია ივანოვნა, აწყვეტინებს იგი მზარეულს, რატომაა ასე დიდი ანგარიში?

როგორ გეკადრებათ, განა ასე დიდია! გუშინ პიოტრ პეტროვიჩის მზარეულმა, რომელიც მართლაც უსინდისო კაცია, გირვანქა ხორცი მანეთად იყიდა...

სტყუი, მე გუშინ პიოტრ პეტროვიჩთან ვიყავი, მან მაჩვენა თავის მზარეულის ანგარიში და თავი მოჰქონდა იმით, რომ პროდუქტები თავად იყიდა...

როგორ გეკადრებათ, როგორ უჯერებთ პიოტრ პეტროვიჩს? იგი სრულიადაც არ არის ასეთი კაცი, იგი ეკლესიაშიც კი არ დადის არასოდეს და ღმერთმა იცის როგორ ცხოვრობს, ამას წინათ...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ მანამდე, სანამ, ბრიყვული ლაყბობით გაწამებული, არ გააგდებთ მზარეულს, რათა გულწრფელი სურვილით დაიქირავოთ სხვა.

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ მხილება შეიძლება თავდაცვის საშუალებად იქნეს გამოყენებული და ახსნა-განმარტების ნაცვლად ნამდვილად განსახილველი საგანი მიჩქმალონ.

კონცესიონერული მხილების ამოცანა სწორედ ამ მიზნის მიღწევაა.

ასეთი მხილება გამოიყენა ჩვენს წინააღმდეგ თავადმა დ. თუმანოვმა. თავად თუმანოვს მიაჩნია, რომ ჩვენ არაკეთილსინდისიერად მოვიქეცით, რადგან არ გავცნობივართ საფუძვლიანად მისი და ფონ-ლიპხარდტის წინადადების არსს და კუთხეს ამოფარებულმა ტალახის სროლა დაგუწყეთ. ჩვენ კი ვუცხადებთ თავად თუმანოვს, რომ ხელთ გვქონდა როგორც ერთი, ასევე მეორე საწარმოს ნამდვილი საბუთები და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისინი ერთ მიზანს ისახავენ — გაანადგურონ აფხაზეთის სახელმწიფო ტყეები. ამის შემდეგ კი გვინდა უთხრათ თავ. თუმანოვს, რომ მან სწორი გამოთქმა არ იხმარა, როცა სთქვა, თითქოს ჩვენ კუთხეს ამოფარებული ვესროდით ტალახს. ჩვენი სტატია გაზეთ „ობზორის“ [3] მოწინავე წერილი იყო, ე. ი. რაც შეიძლება სახალხოდ გამოტანილი სტატია, მისი ხელისმოწერის უფლება ჩვენ არც გვაქვს

და არც საჭიროა. როდესაც ავტორს რწმუნება ეძლევა გაზეთის სახელით ილაპარაკოს, კარგავს საკუთარი სახელით ლაპარაკის და, დასაბუთების მიზნით, ხელის მოწერის უფლებას, რადგან მაშინ თავისთავზე ღებულობს პასუხისმგებლობას, საზოგადოებისა და კანონის წინაშე კი ასეთი პასუხისმგებლობა რედაქციას აკისრია. უფრო უცნაურია მისი წერილის დაბოლოება, სახელდობრ:

— მე ჯერჯერობით ამით ვამთავრებ და გაფრთხილებთ ბატ. რედაქტორო, რომ მე წინააღმდეგი არა ვარ ვაწარმოო მომავალში პოლემიკა თქვენ თანამშრომლებთან მთავრობისათვის წაყენებული ჩემი წინადადების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: მე ვთხოვ მას ნუ დაფარავს თავის გვარს, რადგან იმალებიან მხოლოდ მხდალები, ანდა ისინი, ვისაც თავი ბუმბულში აქვთ ჩარგული.

ჩვენ მოგვანიჭეს რწმუნება, განვუცხადოთ თავად თუმანოვს, რომ ყოველ დილით გაზეთის რედაქციაში მას შეუძლია იხილოს ავტორი იმ სტატიისა, რომელიც მას ეხება, და დარწმუნდეს, რომ ავტორს არავითარი საფუძველი არ გააჩნია ეშინოდეს თავად თუმანოვისა, რადგან არც თავად თუმანოვის საექსპლოატაციო პროექტის მონაწილეა და არც ფონ-ლიპხარდტის პროექტისა და, ამიტომ, ყოველთვის შეუძლია სწორი პასუხი გაგცეთ აფხაზეთის ტყეების განადგურების შესახებ ყოველგვარ კონცენსიურ შონაჭორზე.

თავადი თუმანოვი ვალდებულია იცოდეს, რომ მასთან პოლემიკის წარმოება, ან უარის თქმა, მთლიანად რედაქციაზეა დამოკიდებული და, ამიტომ, საკუთარი პირობების წამოყენება მეტისმეტად ნაადრევია.

ბატ. თუმანოვი ტყუილად ფიქრობს დაიკავოს პოლემიტაზორის ადგილი, რომელიც მას არ ეკუთვნის. ჩვენ მასთან ლიტერატურული კამათი კი არ გვაქვს, სადაც შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს ორი კეთილსინდისიერი რწმენა. არა. პრესაში გავრცელდა ხმები, რომ თავად თუმანოვს და ფონ-ლიპხარდტს სურთ აფხაზეთის სახელმწიფო ტყეების განადგურება, რაც ასე აუცილებელია შავ ზღვაზე მომავალი ნაოსნობისათვის. ადგილობრივი პრესის ორგანო და საზოგადოებრივი აზრი ვალდებულია ღირსეულად შეაფასოს ეს საქმე და შეახსენოს მათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები, რომელთაც საფრთხე ელის როგორც ერთი, ასევე მეორე პიროვნების მხრიდან. როცა ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, თავადმა თუმანოვმა და ბატ. ფონ-ლიპხარდტმა უნდა წარმოგვიდგინონ ისეთი საბუთები, რომლებიც მათ საქმიანობას გაამართლებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ ნდობას საზოგადოების თვალში... ყოველგვარი თავის არიდება განგვიმარტონ საქმის არსი და მისწრაფება ჩაითრიონ ამ საქმეში სხვა პირები, სულერთია დამნაშავენი არიან ისინი თუ არა, სახელმწიფო ქონების მიტაცებაში და განადგურებაში, მათ ისევე ვერ გაამართლებთ, როგორც ვერ გამართლდა იუხან-

ცევი, რომელმაც ორი მილიონი მოიპარა და თავის გასამართლებლად დაასახელა სტრუსბერგი, რომელმაც შვიდი მილიონი მოიპარა...

ამგვარად, მიუჩინეთ რა თავად თუმანოვთან „პოლემიკას“ სათანადო ადგილი, ჩვენ ცალკე სტატიაში სათაურით „ვინ ჯობია“ ერთმანეთს შევადარებთ აფხაზეთის ტყეების გასანადგურებლად შემუშავებულ ორ პროექტს: სახელდობრ თავად თუმანოვის პროექტს, რომელიც დაიბეჭდა „ობზორის“ 337-ე ნომერში, და ფონ-ლიპხარდტის პროექტს.

16. საფოსტო გამგებლობის „უარყოფის“ გამო

საკუთარი ნაკლის შეგნება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია თუ გამოსწორებისაკენ არა, მონანიებისაკენ მაინც. ადგილობრივი საფოსტო გამგებლობა, გაზეთ „ობზორის“ [3] 337-ე ნომერში დაბეჭდილ ბატ. ფენკოვის კორესპონდენციის საწინააღმდეგოდ, მეტად კეთილსინდისიერად და სანაქებოდ აღიარებს, რომ თბილისის გაზეთებში ზოგჯერ (საკმაოდ ხშირადაც) იბეჭდება სხვადასხვა ცნობა საფოსტო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და წესრიგის დარღვევის შესახებ. ფოსტის გამგებლობა მადლობასაც(?) კი უხდის ავტორებს ისეთი ცნობებისათვის, რომლებიც (ე. ი. ცნობები და არა ავტორები) გამოკვლევის შემდეგ „მართალი და ფაქტებზე დაფუძნებული აღმოჩნდება ხოლმე“; მაგრამ ასეთი ცნობები თურმე ცოტაა, ხოლო უმრავლესობა „ცოდავს“ უზუსტობით, გაზვიადებითა და ფაქტების დამახინჯებით. განა აქედან თქვენთვის ცხადი არ არის, მკითხველო, რომ თავაზიანი ფოსტის გამგებლობა თავდაუზოგავად ზრუნავს მათდამი დაქვემდებარებული უწყების კეთილდღეობაზე და ამისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსად, კერძო პირთა ცნობებითაც კი სარგებლობს. მაგრამ გამგებლობა დაჟინებით მოითხოვს, რომ ცნობები ფაქტებს ემყარებოდეს. ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა, რომ ეს ფაქტები, თუ ეს შესაძლებელია, დადასტურებულ იქნეს თვით მოწმეთა ჩვენების დროს ფიცის ქვეშ, რადგან ფოსტის გამგებლობას „თვითონვე აღარა აქვს შესაძლებლობა თვალყური ადევნოს ყოველთვის (ე. ი., ალბათ, დღე და ღამე) ყოველი საფოსტო მოხელის მუშაობას“. სწორედ ამიტომ სჭირდება მას, რომ ფაქტები, რომელთაც აცნობებენ, დადასტურებული იყოს ფაქტებითვე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევე უმართებულო იქნება, როგორიც ბატ. ფენკოვის ცნობები აღმოჩნდა. ყოველივე ეს საკმაოდ ლოგიკურია და ჩვენ მოუთმენლად ველით საფოსტო უწყების შესახებ გავრცელებულ სხვა ცილისწამებათა ამგვარ უარყოფას. აი, ერთი ცნობა ტუაფსედან უკვე გაცამტვერებულია, ახლა უნდა ველოდოთ მხილებას სხვა შეტყობინებებიდანაც:

მოსკოვიდან („ობზორი“ № 195, 1878 წ.) გვატყობინებდნენ ფოსტის მოხელეთა უხეში დამოკიდებულების შესახებ არაპრივილიგირებულ პირთა მიმართ და ასევე იმასაც, რომ ფოსტა ყოველ დღე არ ღებულობს კორესპონდენციებს;

მაიკოპიდან („ტიფლისკი ვესტნიკი“ № 257, 1878 წ.) მივიღეთ ცნობა, ორი, სამი და ხუთკაპიკიანი გადასახადის შემოღების შესახებ უბრალო წერილების გამოსასყიდად. გარდა ამისა, აქაც უარს ამბობენ გასცენ კორესპონდენციები ყოველდღიურად, გადასახადები დააწესეს მისამართის დაწერისა და დალუქვისათვის; ხდება, აგრეთვე, სხვა ძრავალი უწესრიგობაც;

ზაქათალიდან („ობზორი“ № 315, 1878 წ.) გვატყობინებენ, რომ ადგილობრივი საფოსტო განყოფილებები უწესრიგო მდგომარეობაშია; იხილეთ, აგრეთვე, „ტიფლისკი ვესტნიკის“ 194-ე ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი ელიზავეტოპოლის ტრაქტის სადგურის ასეთივე მდგომარეობის შესახებ;

პუშჩიდან გვატყობინებენ, თუ რა მოუწესრიგებელია ფოსტაში გატარებული კორესპონდენციების დარიგება და დაგზავნა.

ველით აგრეთვე იმ განცხადების უარყოფას, რომელიც დაიბეჭდა 1878 წლის „ობზორის“ 230-ე ნომერში ბატ. ვეზირგანოვის მიერ (თბილისის საფოსტო სამმართველოს უფროსის ძმაა) „ობზორის“ მიერ მისი შევიწროების შესახებ, — მის დაუკითხავად დაბეჭდილი ცნობის გამო, სადაც აღნიშნული იყო, რომ სოფელ პონის ჰოსპიტლის კორესპონდენციები მუდამ ფოთში იგზავნება; ანდა, იქნებ ბატ. ელიზაროვი აქამდე განაგრძობს მოყვარული-ცენზორის მოვალეობის შესრულებას.

ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო უამრავი საჩივარი მოგვეყვანა საფოსტო განყოფილებაზე, მაგრამ ჯერ ესეც კმარა. სხვათაშორის, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საფოსტო განყოფილება მის მიერ გამოთქმული პრინციპის შედეგად, ამ შესსენებისათვისაც ფრიად მადლიერი დარჩება, რადგან მას შესაძლებლობა არა აქვს თვალყური ადევნოს მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებებსა და მოხელეებს, რაშიც გულწრფელად გამოტყდა.

ამისთვისაც მადლობელნი ვართ. არ შეიძლება ამ ამბავში არ დავინახოთ პროგრესი უკეთესობისაკენ და ფრიად სანაქებო კეთილგანწყრახვა.

ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენ იმედი გვაქს, რომ ფოსტის გამგებლობა, რაკი შეიგნო თავის უუნარობა — თვალყური ადევნოს მათდამი დაქვემდებარებულ განყოფილებებსა და მოხელეებს, არ მოერიდება არავითარ მსხვერპლს, საკუთარი ინტერესების საზიანოდაც კი, და გამოასწორებს საფოსტო უწყებაში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას, რათა საზოგადოებას უფლება მიეცეს მადლიერების გრძნო-

ბით განაცხადოს, რომ მოხელეებს, რომელთაგანაც გამგებლობა შედგება, შეგნებული აქვთ თავიანთი ჭეშმარიტი ღირსება და საკუთარი თავისადმიც კი არ არიან მიკერძოებულნი.

მაგრამ, საფოსტო სადგურები მაინც ცუდი გვაქვს და მაინც გაუგებარია რა არის ამის მიზეზი. იქნებ იმიტომ, რომ ფოსტის პატროხისათვის ჯერ კიდევ გრძელდება სამხედრო მდგომარეობა და მათ გაძლიერებულ ხელფასს უხდიან, რაც 500 და 800 მანეთს უდრის, ხოლო ყოველ სამცხენიან ეტლში წლიურად 2—3 ათას მანეთს ღებულობენ; ანდა შეიძლება იმიტომ, რომ ფოსტის გამგებლობას, სადგურების საფოსტო ადმინისტრაციისაგან .დაშორების გამო, არ შეუძლია თვალყური ადევნოს მათ წესიერ მუშაობას. რა გაეწყობა, შეიძლება ორივე მიზეზი საფუძვლიანია? სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია დადებითი ფაქტები ამ კაზუსის გასარკვევად, მაგრამ ამგვარი ფაქტები, ალბათ, აქვს ფოსტის გამგებლობას, რომელსაც არ შეუძლია რაიმეში სცოდავდეს (რადგან იგი უცოდველია), არც უზუსტობაში, არც გაზვიადებასა და არც ფაქტების დარღვევაში. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ამაში დარწმუნებულნი ვართ ჩვენი განსაკუთრებული მოსაზრების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა თანამედროვე ფოსტის მოხელეთა ჩვეულებისა და თვისებების მართებულ გაგებას.

17. საბჭოს ახალი შემადგენლობა

თბილისი, 22 დეკემბერი

72 ხმოსნისაგან, რომლებიც თბილისის ახალი საბჭოს შემადგენლობაში შედიან, როგორც უკვე დავინახეთ, 37 კაცი პირველად გამოდის ქალაქის წარმომადგენლობის ასპარეზზე, ხოლო 35 კი ძველი საბჭოდან ახალში გადმოვიდა. ხმოსანთა მთლიანი კომპლექტი შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

ა) ეროვნების მიხედვით: სომხებს ეკუთვნით 56 ხმოსანი; ქართველებს — 9; რუსებს — 4; პოლონელებს — 2 და გერმანელებს — 1.

ბ) სარწმუნოების მიხედვით: სომეხ-გრიგორიანელებს ეკუთვნით 56 ხმოსანი (იმდენი, რამდენი სომეხიცაა ახალ საბჭოში), მართლმადიდებლებს — 11 ხმოსანი, კათოლიკებს — 4 ხმოსანი, ლუთერიანელებს — 1 ხმოსანი.

გ) პროფესიის მიხედვით: საბჭოს ხმოსანთა უმრავლესობა მოხელეებია, ასეთია ახალ საბჭოში 21 კაცი; შემდეგ ფინანსისტები (მოჯარადრეები, ბანკირები, მსხვილი კაპიტალისტები და ა. შ.), სულ 14 კაცი; ტექნიკური სპეციალისტებიდან არჩეულია 7 კაცი; ვაჭრებიდან—6; ექიმებიდან — 6; ჟურნალისტებიდან — 5; სახლის მეპატრონეებიდან— 5, სხვადასხვა (გაურკვეველი პროფესიის) წარმომადგენლებიდან — 5, ვექილებიდან — 2, ხელოსნებიდან — 1.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარი დაყოფა უფრო ფორმალურია, ვიდრე რეალურად სწორი: ბევრია ისეთი მოხელე-ხმოსნები, რომლებიც სახლების მეპატრონეებიც არიან, არიან ისეთი ფინანსისტები, რომელთაც, აგრეთვე, სახლები აქვთ და ა. შ. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენს დროში პროფესიები ძალზე არეულია, სხვაგვარი დაჯგუფება შეუძლებელია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შევადაროთ საბჭოს ახალი შემადგენლობა ძველს;

	1874 წ. საბჭო	1878 წ. საბჭო
მოხელეები	23	21
ფინანსისტები	20	14
ვაჭრები	12	6

ტექნიკოსები	4	7
ექიმები	4	6
ჟურნალისტები	2	5
სხვადასხვა	1	5
სახლის პატრონები	3	5
ვექილები	3	2
ხელოსნები	0	1

თუ ასევე პროფესიის მიხედვით შევადარებთ მომავალ საბჭოში ახლადარჩეულ წევრებს იმათ, რომლებიც საბჭოს წევრები იყვნენ და არ შევიდნენ ახალი საბჭოს შემადგენლობაში, — მივიღებთ ასეთ შედეგებს:

	ახალარჩეულნი	გადარჩეულნი
მოხელეები	12	14
ფინანსისტები	6	12
ვაჭრები	1	7
ტექნიკოსები	4	1
სახლის პატრონები	3	1
ექიმები	2	0
ჟურნალისტები	4	1
სხვადასხვა	4	0
ვექილები	0	1
ხელოსნები	1	0

ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ჩატარებული არჩევნების ერთ უპირატეს მიმართულებას: შესამჩნევად შემცირდა ამომრჩეველთა ნდობა ფინანსისტებისა და, საერთოდ, კაპიტალისტებისადმი, თუმცა მოხელე-ხმოსანთა რაოდენობა საბჭოში უწინდებურად დიდია, მაგრამ თვით შემადგენლობა შესამჩნევად შეიცვალა. იმ 14 მოხელიდან, რომლებიც ხელმეორედ აღარ აირჩიეს ახალ საბჭოში, უპირატესობა ეკუთვნოდათ იმათ, ვინც ხალხის წარმოდგენაში დაკავშირებულია სიტყვასთან „ჩინოვნიკი", ე. ი. ძველი, დახავსებული მოხელე, იმ დროს, როცა 12 ახლადამორჩეულ ხმოსან-მოხელეთა შორის შევიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც თუმცა იერარქიის დაბალ საფეხურზე დგანან, მაგრამ მოხელეთა წარმომადგენლებად არ უნდა ჩაითვალონ. ასევე უნდა დავიმახსოვროთ, რომ ახალარჩეულ ფინანსისტებს შორის არიან ისეთი ადამიანებიც, როგორებიცაა თავ. ა. ზ. ჩოლოყაევი, ვ. ი. სურგუნოვი, პ. ს. ღამბაროვი, ა. ფ. ფრიდონოვი, რომელთა გათანაბრებაც არ შეიძლება ისეთ ფინანსისტებთან, როგორებიც არიან ი. ა. ჩითახოვი, გ. გ. ცირონოვი, ნ. ე. პიტოევი და ა. შ., რომლებიც ძველი საბჭოდან ახალში არ მოხვდნენ.

ერთი სიტყვით, არ შეიძლება ითქვას, რომ ახალი არჩევნები ბრწყინვალე და კარგია, მაგრამ, წინა არჩევნებთან შედარებით, წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია და უდავოდ ამტკიცებს, რომ ამომრჩეველთა კლასმა წარმატებას მიაღწია თავის პროგრესულ მსვლელობაში განახლების გზაზე. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ დასახელებულ კანდიდატებს არც მაინცდამაინც კარგი რეპუტაცია არ ჰქონდათ და არც ნიჭით გამოირჩეოდნენ. თითქმის ყველა, ვინც რაიმე სამსახური გაუწია ამომრჩევლებს, არჩეული იქნენ საბჭოს წევრებად. თუკი ვინმეს ხმა არ მისცეს, ეს მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გუშინდლიდან, ან თითქმის დღეიდან, შეუდგნენ ცხოვრებას და, ამიტომ, მათი სახელი ხალხისათვის უცნობია.

გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ არ ველოდით რომ არჩევნები ასე კეთილსაიმედოდ წარიმართებოდა. ჩვენ გვეგონა კაპიტალის ძალა, ძოხელეები და ნათესაური კავშირი მეტ გავლენას მოახდენდა ქ. თბილისის ამომრჩევლებზე. მაგრამ ახლა, როცა ზღუდე გადალახულია, ახალი საბჭო უნდა ეცადოს, რომ არ შერცხვეს და რაიმე მაინც გააკეთოს ქალაქის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ მომავალი არჩევნების დროს თვითმმართველობის ორგანოებში არჩეულ იყვნენ საზოგადოებრივი სარგებლიანობისა და საერთო საქმისათვის ნამდვილად მზრუნველი, ნიჭიერი და უანგარო ადამიანები. ამგვარად, იმედი გვაქვს, რომ ახალარჩეული საბჭოს წევრები შეიგნებენ ამ მდგომარეობას და თავიანთი უყურადღებობით საარჩევნო კრებებზე არ გაამარჯვებინებენ იმ ელემენტებს, რომლებიც ექსპლოატაციისაკენ, და საზოგადოებისა და მთელი ჩვენი ხალხის დამორჩილებისაკენ, ისწრაფვიან და, ამიტომ, ჩვენი წინსვლის მთავარი დამაბრკოლებელნი არიან.

18. ქალაქის თავის არჩევნები

თბილისი, 23 დეკემბერი

სრულიად შემთხვევით, ამიერკავკასიის ორ მნიშვნელოვან ქალაქში — თბილისსა და ქუთაისში — თითქმის ერთსა და იმავე დროს უნდა აირჩიონ ქალაქის თავი. ერთი წლის შემდეგ ასეთივე საზრუნავი ექნება ქალაქებს — გორსა და ახალციხეს. ქალაქის თვითმმართველობის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს და სანამ ამომრჩევლები საარჩევნო ურნებთან მივლენ, უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ რითაა გაპირობებული მათი არჩევანი და რა მოვალეობა აწევთ მათ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის წინაშე, რომელმაც მათ უფლება მისცა აირჩიონ ქალაქის თვითმართველობის თავი. ამის გაკეთება იმისთვისაცაა საჭირო, რომ კანდიდატების სიმრავლემ და მათმა გულმოდგინე მეცადინეობამ — მოხვდნენ ქალაქის ადმინისტრატორის თანამდებობაზე, შეიძლება შეაცდინოს ამომრჩევლები და აიძულოს დაივიწყონ საერთო მოვალეობა, ანდა საერთო სარგებლიანობა, კერძო მაძიებლობისა და ურთიერთობის გამო.

ცხადია, ქალაქის თავის თანამდებობა საპატივო და თვალსაჩინოა, გასაგებია ისიც, რომ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც არავითარი უფლება და ღირსება არ გააჩნია ამ მაძიებლობის გასამართლებლად და მაინც ტყავიდან ძვრება იმისათვის, რომ ეს თანამდებობა დაიკავოს. მათი მაძიებლობის ასახსნელად საკმარისია პატივმოყვარეობა, თავმოყვარეობა და ერთგვარად ანგარიანობაც... მაგრამ ხმოსნებმა თავიანთ არჩევანს კანდიდატის თავმოყვარეობის თვალსაზრისით არ უნდა შეხედონ. როგორი პირადი ურთიერთობაც არ უნდა ჰქონდეს ხმოსანს კანდიდატთან, რა მეგობრობითაც არ უნდა იყოს დაკავშირებული მასთან, ამ ურთიერთობამ და ამ მეგობრობამ გავლენა არ უნდა მოახდინოს არჩევნებზე. ერთადერთი საზომი, რის გამოყენებაც შეიძლება ქალაქის თავის არჩევის დროს, მხოლოდ ერთი კითხვაა — რამდენად შეეფერება, მომავალი ოთხი წლის მანძილზე, ესა თუ ის კანდიდატი ყოველდღიურ მოთხოვნილებას, ქალაქის მეურნეობის საჭიროებასა და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანებს?

საკმარისია საკუთარ თავს ამგვარი კითხვა დაუსვა, რათა დარწმუნ-

დე, რომ ჩვენი კანდიდატებიდან ბევრი არ შეეფერება იმ პროგრამას, რომელიც თავისთავად იბადება ყოველი ხმოსნის გონებაში. ჩვენი ქალაქების მეურნეობა ცუდ მდგომარეობაშია. ეს მეურნეობა რომ სათანადო სიმაღლეზე დააყენო, ნამდვილად ჰერკულესისებრი შრომის გაწევაა საჭირო. ადამიანს, რომელიც ქალაქის თავის თანამდებობის დაკავებას ფიქრობს, აუცილებლად უნდა გააჩნდეს წმინდა ადმინისტრაციული ნიჭი და შეეძლოს თავდადებით შრომა; ასევე აუცილებელია იმის უნარი, რომ სერიოზულად უხელმძღვანელოს საბჭოს წევრების შრომას და ქალაქის, მეტად თუ ნაკლებად დიდ, ადმინისტრაციულ პერსონალსა და კანცელარიას. უამისოდ ქალაქის ადმინისტრაციაში მუდამ იქნება ანარქია და ჩვენ საბჭოებს, აღმასრულებელი ორგანოების ნაცვლად, ყოველთვის ისეთი ადამიანების ბრბო ეყოლებათ, რომლებიც ყოველთვის ერთმანეთს უსაფრდებიან, ინტრიგებს აწყობენ და ქალაქის ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ იატაკქვეშა ბრძოლას... აუცილებლად საჭიროა, რომ ქალაქის თავს, როგორც პიროვნებას, თვითონ ჰქონდეს საკმარისი ზნეობრივი ავტორიტეტი საბჭოს წევრებსა და ქალაქის ადმინისტრაციის დაბალ ორგანოებს შორის, რათა მიეცეს არა მარტო უფლება, არამედ შესაძლებლობაც მიზანშეწონილად წარმართოს ხელქვეითთა შრომა. ხოლო, როგორც ცნობილია, ამგვარ შესაძლებლობას მას აძლევს არა მარტო ქალაქის თავის ქამრის ძეწკვი, არამედ მისი გონება, პირადი ცოდნა და ღირსებები, განსაკუთრებით კი ისეთი შრომის უნარი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს შესცვალოს ნებისმიერი თანამშრომელი... ამგვარად, ამომრჩევლებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ კანდიდატების პირად მომზადებასა და გონებრივ მონაცემებს, რომელთაც ქალაქის თავის თანამდებობის დაკავების პრეტენზიები აქვთ.

საქმის მეორე მხარე, და არანაკლებ მნიშვნელოვანი, ეხება იმ როლს, რომელიც შეიძლება წილად ერგოთ და, ალბათ, ერგებათ კიდეც ჩვენი ქალაქის თავებს ახალი ღონისძიებებისა და რეფორმების განხილვის დროს, რომლებიც შეიძლება მომავალი ოთხი წლის მანძილზე გატარდეს. აღარას ვამბობთ ერობაზე [17], რომელსაც დღე-დღეზე ძოელიან. ჩვენი ქალაქის თავებს შეიძლება მოსთხოვონ აზრის გამოთქმა და შეხედულებები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებზე. ადვილი შესაძლებელია, რომ ქალაქის თავებს ადგილი დაუთმონ ჩვენი მომავალი წარმომადგენლების კრებებზე... ამის გამო აუცილებელია ქალაქის თავად არჩეულ იქნეს არა უენო და უმეცარი, არამედ ჭკვიანი და მცოდნე ადამიანი, რომელიც შეძლებს ჩვენს ხალხს შესაძლო სარგებლობა მოუტანოს გააზრებული და საქმიანი შუამდგომლობით, მისი საჭიროებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად... აუცილებელია, რომ ჩვენი ქალაქები არ

წითლდებოდნენ თავიანთ, შეიძლება ერთადერთი, წარმომადგენლის გამო, რომელსაც შეიძლება წილად ხვდეს პატივი, დაიცვას ჩვენი მოსახლეობის ინტერესები... გასაგებია, რომ ამგვარი როლისათვის წამოყენებულ კანდიდატთა უმრავლესობა არ გამოდგება, მათი არჩევა ოდნავადაც ვერ აღმოფხვრის ქალაქის მეურნეობის უწესრიგობას და გაწბილებას და დანაკლისს უმზადებს ჩვენს იმედებს, რასაც ქალაქის თავზე ვამყარებთ...

ნაკლებ საინტერესო, მაგრამ კიდევ ერთი მოსაზრება. როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, ქალაქის თავს უნდა ჰქონდეს საკმარისი თავდაჭერის უნარი და ავტორიტეტი, რათა მიზანდასახულად წარმართოს საბჭოში წარმოებული კამათი და არ მისცეს წევრებს პირდაპირი მიზნიდან გადახვევის საშუალება. აუცილებელია, რომ ჩვენ აღარ დავუბრუნდეთ ბაბილონის გოდლის დროინდელ იმ წარღვნას, რაც აქამდე ახსოვს თბილისის მოსახლეობას პირველი პრაქტიკული ნაბიჯების მიხედვით, როცა ყოველი მსჯელობა სადღეგრძელოთი იწყებოდა და შესანდობრით მთავრდებოდა, როცა დამსწრეთაგან ვერავინ ხვდებოდა ვინ რაზე ლაპარაკობს და ვინ რისთვის ღელავს, და რასაც ახლა საბჭო დავიწყებას აძლევს. ქალაქის თავის, როგორც საბჭოს თავმჯდომარის, დევიზი უნდა იყოს „სიტყვებისა და კამათის ეკონომია". მე მგონი, საჭირო არაა დავსძინოთ, რომ ყველას არ შეუძლია ამგვარი დევიზის განხორციელება, მაგრამ თუ ჩვენ გვსურს, საბჭოს სხდომა მხოლოდ ერთი საკითხის განხილვით არ დამთავრდეს, და 11—15 სხვა მორიგი საკითხის განხილვა „შემდეგ სხდომამდე", ე. ი. უსასრულობამდე არ გადაიდოს, ამ დევიზის დაცვა აუცილებელია.

19. ისევ „დროების“ შესახებ

მთელი კვირა ველოდებოდით „დროების“ [2] პასუხს ჩვენს წინადადებაზე — გამოეგზავნა ჩვენთვის ბატ. ნიკოლაძის ბრწყინვალე დახასიათების თავისი თარგმანი. თავისთავად იგულისხმება, რომ ბატ. შესხმა არავითარი თარგმანი არ გამოგვიგზავნა. საბუთად მას სამი გარემოება მოჰყავს, რომლებიც თითქოს ხელს უშლიდნენ მიეღოთ ჩვენი წინადადება. ჯერ ერთი, მას თურმე არ ცალია სათარგმნელად, მეორე — სულ ერთია, ბატ. ნიკოლაძე მაინც იტყვის, რომ მისი თარგმანი უფრო ზუსტი და უკეთესია, მესამე, არსებობს თურმე სხვა გზაც ბატ. ნიკოლაძის თარგმანის უვარგისობის დასამტკიცებლად.

და ბატ. მესხიც ამტკიცებს.

ბატ. მესხი თარგმანის უვარგისობას ამტკიცებს ჩვენს მიერ არასწორად თარგმნილი სიტყვებისა და ფრაზების ქვემოთ მოყვანილ ბაგალითების საფუძველზე.

1. მისი აზრით, სიტყვა „მასლაათი“ ნიშნავს არა „ლაყბობას“ (болтовня), როგორც ჩვენ ვთარგმნეთ, არამედ „საუბარს“ (беседа), ამავე დროს, ყველა ქართველისათვის ცნობილია, რომ „беседа“ ყველა ქართველისთვის ნიშნავს „საუბარს“, „მუსაიფს“ და არა „მასლაათს“, სასიამოვნო უქმ საუბარში დროის ტარებას, ე. ი. ეს ცნება რუსულად უნდა ითარგმნოს როგორც „ლაყბობა“ — „болтовня“.

2. თითქოს სიტყვა „ჩხუბი“ არ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „Бой“. ბატ. მესხის აზრით, „ჩხუბი“ ნიშნავს „Ссора“-ს. სხვათაშორის, სიტყვა „Ссора“-ს ქართული შესატყვისია „წაკიდება“, ხოლო „ჩხუბის“ რუსული შესატყვისია „Война“, „Бой“, „Сражение“.

3. ბატ. მესხი სწორად შენიშნავს, რომ სიტყვა „ტიტინი“, რაც რუსულად „Лепетание“-ს ნიშნავს, ჩვენ ვთარგმნეთ როგორც „Трескотня“, რაც არა სწორია და ვინანიებთ.

4. ფრაზა „დამყარდა მშვიდობიანობა“ ჩვენ თითქოს არა სწორად ვთარგმნეთ ასეთი სიტყვებით — „Упрочился мир“. თურმე უნდა გვეთქვა: „Установился мир“. მართალია სიტყვა „დამყარება“ ნიშნავს რაიმე მყარ საფუძველზე დამყარებას, მაგრამ ფრაზა „Установился мир“ უნდა ითარგმნოს სიტყვებით: „დადგა, ჩამოვარდა მშვიდობიანობა“.

5. ფრაზა „კრუპის ზარბაზნების ზუილი“ თითქოს ჩვენ არა ზუსტად ვთარგმნეთ შემდეგი სიტყვებით: „вой круповских пушек“. ბატ. მესხის აზრით, უნდა გამოგვეყენებია სიტყვა „грохот“, მაგრამ ქართულის არა მცოდნეც კი, ბგერათა მსგავსების გამო, მიხვდება, რომ სიტყვა „ზუილს“ უფრო შეესაბამება „вой“, რაც ჩვენ სწორად გამოვიყენეთ. „Грохот“ ქართულად ნიშნავს „ჭექა-ქუხილს“ და არა „ზუილს“.

6. ჩვენ მიერ თარგმნილი ფრაზა „В такое время кому пришло бы в голову слушать нашу болтовню“ ბატ. მესხმა შეასწორა ასე: „Кто стал бы слушать (внимать?) нашу (нашей?) беседу (беседе?) в такое время?“ ჩვენ ამ შესწორების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

7. ასევე მართალია ბატ. მესხი, როცა იგი გვისწორებს შემდეგ ფრაზას: „Правда, подобно ночи на новый год и после полуночи к рассвету, слышатся выстрелы“ — და ცვლის ასე: „подобно тому, как на новый год и после полуночи и пр.“

8. ბატ. მესხს მიაჩნია, რომ სიტყვა „ვეფხობა“ ჩვენ არა სწორად ვთარგმნეთ სიტყვით „тигроватость“, მაგრამ იგი თავს იკავებს და არ გვეუბნება რა ვიხმაროთ ამ სიტყვის მაგივრად, ამით კი იმას ამტკიცებს, რომ სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვქონდა.

9. იგი აღშფოთებულია, აგრეთვე, ჩვენ მიერ თარგმნილი ფრაზით: „И другия подобныя слова ему тысячами стоят дешевле гроша“. ადასტურებს რა, რომ ესაა მისი ფრაზის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, ამტკიცებს, თითქოს ჩვენ ვცდილობდით დაუდევრად გვეთარგმნა ტექსტი და გაგვეფუჭებინა სტატია. მაგრამ თავად იგი, ამ შემთხვევაშიც, თავს იკავებს და არ გვეუბნება, როგორ უნდა თარგმნილიყო ეს ძველად მოსანელებელი ფრაზა. ჩვენ ვერ შევძელით გადაგვეთარგმნა იგი რიგიანად, თავისუფალი თარგმანის გარეშე, რაც, რა თქმა უნდა, ვერ გავბედეთ, რადგან გვეშინოდა, ბატ. მესხს ჩვენთვის სტილის დამახინჯება არ დაებრალებინა.

10. ბატ. მესხი ამტკიცებს, რომ ფრაზაში „Его слова имеют влияние на противника“. სიტყვა „გავლენა“ უნდა გვეთარგმნა, როგორც „действие“ და არა „влияние“. მას რომ თავის სტატიაში ეხმარა სიტყვა „მოქმედება“, „გავლენის“ ნაცვლად, მაშინ ჩვენ ამ ფრაზას მართლაც ასე ვთარგმნიდით: „Его слова имеют действие на противника“.

11. ბატ. მესხს ნებავს, რომ მისი ფრაზა „გმირის ხასიათი“ ვთარგმნოთ: „геройская черта“ და არა „характер героя“. ჩვენ ამის გაკეთება ვერ გავბედეთ, რადგან მისი ფრაზა სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: „характер героя“.

12. ფრაზა „მაგრამ გაწყრა ღმერთი“ ჩვენ სიტყვა-სიტყვით ვთარგმნეთ „но разгневался Бог“. ბატ. მესხი ამტკიცებს, რომ ეს ქართუ-

ლიზმია, მაგრამ არ გვეუბნება, როგორ უნდა გვეთარგმნა ზემომოყვანილი ფრაზა. ამგვარი გამოთქმა მართლაც არ ითარგმნება და ყოველმა მთარგმნელმა ან უნდა ამოაგდოს ეს ფრაზა, ანდა თარგმნოს ისე, როგორც ჩვენ ვთარგმნეთ.

13. ფრაზას „было время, когда я думал, что г. Николадзе мог работать для работы" ბატ. მესხი ასწორებს ასე: „Было время, когда я думал, что г. Николадзе мог делать дело для самогоже дела". ეს შესწორება მოსაწონია.

14. სიტყვა „ზნეობა", გვასწავლის მესხი, „нрав"-ს კი არ ნიშნავს, არამედ „нравственность". მას ავიწყდება რომ ჩვენს ფრაზაში სიტყვა „нрав" ნახმარი იყო სწორედ „нравственность"-ის და არა „норов"-ის მნიშვნელობით.

15. ფრაზა „კაცი ყურს არ უგდებს" (რომლის სიტყვასიტყვით თარგმანი იქნება „человек уха не бросает") ჩვენ ასე ვთარგმნეთ: „Никто не внемлет". ბატ. მესხი ამტკიცებს, თითქოს ჩვენ უნდა დაგვეწერა „Никто не обращает внимания". მკითხველები განსჯიან — მართალია იგი თუ არა.

საბრალო ბატ. მესხი, ალბათ, გულწრფელად, მთელი სულით და გულითაა დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ თუ მის სტატიას ამ შესწორებებით ვთარგმნიდით, მისი ღრმა აზროვნება, სიზუსტე და ძალა ქვეყანას გააკვირვებდა!

ჩვენ მხოლოდ სახუმროდ მოვიყვანეთ აქ მისი შესწორებების სია, რაც თორმეტი წლის მოსწავლე გოგონას შეეფერება. მაგრამ, ბატონებო, ასეთი შესწორებებს საკვირაო ფელეტონის ნახევარს რომელიმე მოსწავლე კი არ უთმობს, არამედ ყოველდღიური გაზეთის რედაქტორი, რომელსაც ხელში ქართული ლიტერატურის დროშა უჭირავს და დაუღალავად არწმუნებს ახალგაზრდებს — ნუ შეეცდებიან ხელი მოჰკიდონ საგამომცემლო საქმეს მანამდე, სანამ ათას მანეთს არ შეაგროვებენ: განა ეს უბადრუკობა არაა?

მართლა, იცით კი რატომ ატყდა ასეთი აურზაური „დროებაში"[1]? ყველას უკვირდა, რატომ დაესხა თავს ასე უმიზეზოდ ბატ. მესხი ბატ. ნიკოლაძეს. ახლა კი გაგიმხელთ საიდუმლოებას.

რამდენიმე ახალგაზრდა, ნიჭიერ და საქმიან ქართველს, რომელთა შორის იყო ბატ. უთურგაული, უნდოდათ მომავალ წელს გამოეცათ ქართული ჟურნალი „იმედი"[8]. გვაუწყა რა ეს გადაწყვეტილება, ბატ. მესხმა ეს ჟურნალი „ივერიის"[22] გვერდით დააყენა და დაიწყო ყვირილი: „ერთ-ერთი ამ ჟურნალის გამოცემა, ალბათ, შეწყდება, ჟურნალის გამოსაცემად საჭიროა ათასი მანეთი" და ა. შ. ყველასათვის, ვინც იცნობს, თუ რა მდგომარეობაშია ქართული ლიტერატურა, ეს ნიშნავდა: „ივერიას" აქვს მრავალი ათასი მანეთი (რასაც, სხვათაშორის, არ იყე-

ნებს „ივერიის“ გამოსაცემად), ხოლო ბატ. უთურგაული და კომპანია მდიდრებად ჯერ არავის მიაჩნია და საადგილმამულო ბანკის დირექტორებად არ ირიცხებიან. „დროების“ უსაქციელობით აღშფოთებულმა ბატ. უთურგაულმა მოგვმართა თხოვნით დაგვებეჭდა — „ობზორში“[3] შენიშვნა ამ უსაქციელობის წინააღმდეგ. ჩვენ არ გვეცალა (სწორედ მაშინ ირჩეოდა პალატაში ანდრეევსკაიას საქმე, რასაც მთელი ჩვენი დრო მიჰქონდა) და დავავალეთ თვით ბატ. უთურგაულს — გაეცა პასუხი ბატ. მესხისათვის. ბატ. უთურგაულმა უპასუხა და საკმაოდაც შეჯორა ბატ. მესხი. ამჯერად ჩვენი ქართველი ახალგაზრდობის სიმპატიები ბატ. მესხის მხარეზე არ აღმოჩნდა და რადგან ბატ. უთურგაულის შენიშვნა ხელმოუწერელი იყო, ბატ. მესხმა წარმოიდგინა, თითქოს ბატონი ნიკოლაძე ესხმის თავს მის რეპუტაციას. არ ჰქონდა რა შესაძლებლობა გაემართლებინა თავი ახალგაზრდობის წინაშე, რადგან გაეცხა ახალი წამოწყება ცოხნია „ივერიის“ სასარგებლოდ, ბატ. მესხმა ბატ. უთურგაულის მეორე შენიშვნაც გადაყლაპა და შური ბატ. ნიკოლაძეზე იძია. ესაა და ეს. თქვენ დაინახეთ, რა ძლიერიც იყო ეს უკბილო შურისძიება, მაგრამ... ამით მაინც ვერ განთავისუფლდები საკუთარი ცოდვებისაგან! ამიტომ ჩვენ ბატ. მესხს ვეტყვით:

Madame, revenons à nos moutons![3]

ე. ი. დაუბრუნდეთ თქვენს პოლემიკას ბატ. უთურგაულთან! შიპასუხეთ, რისთვის, რატომ, რის გამო დაგჭირდათ თქვენ, ბატ. მესხო, გეთქვათ ქართველი საზოგადოებისათვის, რომ „იმედი“ დიდხანს ვერ იარსებებს, და რის საფუძველზე ამტკიცებდით, რომ გამომცემლობას ჩვენში მხოლოდ კაპიტალის მფლობელებმა უნდა მოკიდონ ხელი? რატომ ისურვეთ შეგელახათ, მართლაცდა, ღირსეული ახალგაზრდების საწარმოს საზოგადოებრივი კრედიტი და ავემაღლებინათ გასუქებული მდიდრების ლიტერატურული საწარმოს კრედიტი? რისთვის დაბეჭდეთ შენიშვნა, რომლის ძირითადი აზრი ნათლად მეტყველებდა, რომ ბატ. ჩითაბოვს ან თაიროვს შეუძლიათ უკეთესი ჟურნალისტები იყვნენ, ვიდრე ბატ. უთურგაულსა და კომპანიას?

აი, ყოველმხრივ საინტერესო კითხვა, და კეთილშობილებას გაბოიჩენთ თუ პასუხს გასცემთ. ხოლო საკითხი, თუ რას ფიქრობდით ადრე ბატ. ნიკოლაძეზე და რას ფიქრობთ ახლა, გახვრეტილ გროშადაც არ ღირს, რადგან ჯერ ვერაფრით ვერ დაამტკიცებთ, რომ ფიქრი შეგიძლიათ. თუ თქვენ უარყოფთ ჩვენს ამ უკანასკნელ აზრს, მაშინ მოგვიწვიეთ ჩვენ, გეთაყვა, და ჩვენ ვაჩვენებთ მკითხველებს იმ სისულელეების გრძელ სიას, რომელთაც თქვენ საკუთარ ფიქრებად აცხადებდით. სამაგიეროდ, ჩვენ უფლებას გაძლევთ მოიყვანოთ ასეთივე გრძელი სია ჩვენი ღრმა ფიქრებისა და აზრებისა, ხოლო მკითხველი ამ ორი სიის შედარებისას დაინახავს მართლა შეგწევთ ფიქრის უნარი თუ არა, ე. ი.

ფაქტების სწორად გაგების, სწორად დაჯგუფების და სწორი დასკვნების გამოყვანის უნარი.

ხომ არ გნებავთ მიიღოთ გამოწვევა ამ „ბრძოლაში“, ანდა, როგორც თქვენ თარგმნით ამ სიტყვას, „წაკიდებაში“, („ссору“). დამეთანხმეთ, ეს ერთგვარად დააინტერესებთ ჩვენსა და თქვენ მკითხველებს. მაგრამ მე წინასწარ ვიცი, რომ თქვენ ისევე აარიდებთ თავს ამგვარ დავას („ссоры“), როგორც გაექეცით ჩვენ წინადადებას — გადაგეთარგმნათ თქვენი დახასიათება და გემხილებინეთ არა ასოკირკიტობით და სიტყვებისადმი საეჭვო სიყვარულით, არამედ ტექსტის მთლიანი და ზუსტი აღდგენით. თქვენ მხოლოდ ამ ხერხით შეგეძლოთ დაგემტკიცებინათ თქვენი ბრიყვული ინსინუაცია, თითქოსდა ჩვენ სისტემატურად ვაძახინჯებთ თქვენს სტატიას თარგმანის დროს. ხედავთ, რა კარგად დააძტკიცეთ თქვენი ეს ინსინუაცია!..

20. პეტრე დიდის იდეა და კონცესიონერული იდეა

თბილისი, 27 დეკემბერი.

ჩვენ გვაცნობეს, რომ ბაქოდან მიიღეს გენერალ ლომაკინის შემდეგი შინაარსის ტელეგრამა:

„უზბოის გამოსაკვლევად კრასნოვოდსკიდან გაგზავნილი სწავლულთა ექსპედიცია, ინჟინერ ჰელმანის ხელმძღვანელობით, 3 დეკემბერს მშვიდობიანად ჩავიდა ხივაში. შედეგი ასეთია: სარკამიშთან წყალს საოცარი დინება აქვს და ისევე, როგორც ხივის არხებში, წყლის მოძრაობა წამში ორნახევარ ფუტს უდრის. დინების სიგანე 20 საჟენია. ტყუილად არ დააინტერესა ყველა ამუ-დარიის გარღვევამ, წყრს ჰელმანი. გამოგზავნილია ფოსტით“.

არ შეიძლება სიხარული არ მოგვგვაროს ამ ცნობამ, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ აღსრულდება პეტრე პირველის ერთ-ერთი დიდი იდეა, სახელდობრ, სავაჭრო გზის გაყვანა კასპიის ზღვის ნაპირებიდან ‘ბუა აზიისაკენ, საითაც, თვით გეგმის მიხედვით, პეტერბურგიდან უწყვეტი სანაოსნო გზა მიდის. სამწუხაროდ, ამ გზის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, უზბოიში წყლის გადაგდებას, ჯერ კიდევ არ სცნობს დედაქალაქის პრესა, რომელიც გატაცებულია კონცესიონერული გამონაგონით, რაც ითვალისწინებს ორენბურგიდან, ტაშკენტის გავლით, ინდოეთისაკენ რკინიგზის გაყვანას. თვით ღმერთი გვიგზავნის ინდოეთს კასპიის ზღვის ნაპირებთან, სადაც თავადაც შეგვიძლია კულტივირება და, ამასთან ერთად, ბამბის, ბრინჯის, საღებავი მცენარეულობისა და სხვა ინდური ნაწარმის იაფად გადაზიდვა, რაც ჩვენამდე, შემოვლითი გზით, ინგლისური გემებით მოდის, ძვირიც ჯდება და ბაჟსაც გვახდევინებენ. რუსეთის გარდამქმნელთა ჩვენს მებრძოლებს კი ფაქტისათვის ზურგი შეუქცევიათ და, ინგლისელთა ჯიბრზე: საზოგადოებრივ ყურადღებას ინდოეთის გზის უაზრო პროექტს მიაპყრობენ. მაგალითად, „რუსსკი მირი“ [24] (1878 წლის № 3451) დამარწმუნებლად მეტყველებს, რომ რკინიგზის პროექტს კასპიის ზღვიდან არალის ზღვამდე (რატომ უხაყოფო ზღვამდე, როცა გზა ხივისაკენ ან ამუ-დარიისაკენ უნდა ‘ბიდიოდეს?) შეიძლება სავსებით უსაფუძვლო ვუწოდოთ.

რა კარგად იცნობენ ისინი თავიანთ საქმიანობას და იმას, რაც მასში

ხდება! ამუ-დარიამ გაარღვია კაშხალი და, იმათ ჯიბრზე, ვინც ჭკუას ძალას ატანს, კასპიის ზღვისაკენ მიდის. ეს ამბავი გადაბეჭდა დედაქალაქის ყველა გაზეთმა. ვისაც ეჭვი ეპარება, რომ შეუძლებელია უზბოიში წყლის გაყვანა, მას უბრალოდ არ სურს დაინახოს ფაქტი. უზბოიში წყლის გაყვანა გვაძლევს კულტივირებული, მორწყული მიწის ფართო ზოლს, სადაც ყოველგვარი გზის გაყვანა — შარა იქნება ეს, გზატკეცილი, თუ რკინიგზა — სიძნელეს არ წარმოადგენს. რას ეყრდნობა „რუსსკი მირის" აზრი, როცა აცხადებს, რომ ამგვარი ვარაუდი შეუძლებელია? ცხადია, კონცესიურ გამონაგონს, იმის სურვილს, რომ რუსეთის ხსნა დაინახონ მხოლოდ ლესეპსის უცხოურ ავტორიტეტულ იდეებში და, ამავე დროს, დაივიწყონ იდეა პეტრე დიდისა, რომელსაც რუსეთისათვის მხოლოდ სიკეთე სურდა და არა მისი ხელისუფლების გარანტიებით გამდიდრება.

პატივცემული გაზეთის პატრიოტული პათოსის შემდეგ, ორენბურგიდან გზის გაყვანის დიდი მნიშვნელობის შესახებ, რაოდენ მკვეთრ დისონანსად გვეჩვენება „რუსსკი მირში" (№ 345) დაბეჭდილი დასკვნითი სტატია:

„რჩება ერთი რამ — გამოიყენონ მთელი ძალღონე საერთაშორისო კომპანიის შესაქმნელად აზიაში რკინიგზის გაყვანის მიზნით. რამდენიმე წლის წინათ ლესეპსს უნდოდა დაეარსებინა ამგვარი კომპანია, მაგრამ პრაქტიკულ შედეგებს ვერ მიაღწია. სასურველი იქნებოდა, რომ ლესეპსის აზრი განხორციელდეს ამჟამად და კეთილი შედეგები მოგვცეს".

ნუთუ რუსეთის წარმატებისათვის, გარდა საერთაშორისო კომპანიისა, სხვა არაფრის მოფიქრება არ შეიძლება? ნუთუ „რუსსკი მირმა" არ იცის, რომ საერთაშორისო კომპანია მსხვილ წარმოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოჰკიდებს ხელს, თუ მთავრობის გარანტია ექნება? ნუთუ ჯერ კიდევ არაა საკმაოდ გარკვეული, რომ მთავრობის გარანტია იგივე სახელმწიფოთა შორის გაღებული სესხია ცნობილი წარმოებისათვის. და ყველა შუამავალმა, კონცესიონერმა-მწყალობლებმა — ვარშავსკებმა, ლესეპსებმა, პოლიაკოვებმა და სხვებმა მხოლოდ ის სარგებლობა მოგვიტანეს, რომ სახელმწიფო ფულით აშენებული საწარმო სახელმწიფოს კი არ ეკუთვნის, რომელიც ნასესხები ფულის პროცენტს იხდის და სესხს ფარავს, არამედ ვიღაც შმულებს, იცეკებს და შლემკებს, რომელთაც ქვეყნიერების შექმნიდან, დასაკუთრებული გზის მშენებლობამდე, ერთი გროშიც კი არ ჰქონიათ არასოდეს.

ყველაფერი ეს ძალზე უცნაური და გაუგებარია! გაზეთები სავსეა ფინანსიური რეფორმების პროექტებით. ბატ. სკალკოვსკიმ „ხოვოე ვრემიაში"[25] განსაკუთრებული საგადასახადო სპეციალობაც კი შექმნა, დედაქალაქის ყველა გაზეთი ყოველმხრივ მხარს უჭერს მას, აქებენ და თვითონაც იგონებენ ახალ ხერხებს, მაგრამ როცა რჩევიდან პრაქტი-

კულ საფუძველზე გადასვლაა საჭირო, ყველას ერთი და იგივე აზრი ებადება: ან უცხო ქვეყნების სესხი, ანდა კონცესიური საწარმო, რომელმაც დაღუპა ჩვენი ფინანსიური მეურნეობა წინა პერიოდში, სანამ მმართველობა მინისტრ გრეიგის ხელში არ გადავიდა. არავის არ ჰყოფნის გამბედაობა ზურგი შეაქციოს წარსულს, რომელიც ყველას სამწუხაროდ მიაჩნია და ფინანსების გამოსწორების წყარო ეძებოს ხალხის ძალებისა და შრომის გონივრულ გამოყენებაში, იმ საწარმოთა გამოყენებაში, რომლებიც საჭიროა რუსეთის და არა ევროპისათვის.

ამუ-დარიის გარღვევა, ამ შემთხვევაში, საკმაოდ ჭკუის სასწავლებელია. ფაქტი იმისა, თუ როგორ შეიძლება მცირედი სახსრებით დიდ შედეგებს მიაღწიო, სახეზეა: ვუშველოთ ამუს, უზბოის გავლით, კასპიის ზღვამდე მიაღწიოს. მორწყეთ, გახადეთ ნაყოფიერი მიწის დიდი ფართობი, სადაც მოვა ბამბა, ბრინჯი, საღებავი მცენარეულობა და სხვა. მოიცილეთ თავიდან უცხოელ კომისიონერთა ძვირად ღირებული სამსახური, უცხოური გემების დიდი ქირა, რომელთაც სხვას არაფერს უხდიან, გარდა ოქროსი. მიეცით საშუალება ათასობით ბურლაკს, რომლებიც უსარგებლოდ იღუპებიან ვოლგაზე, მოახმარონ თავიანთი ძალღონე კასპიის ზღვაზე ნაოსნობას, მიეცით იაფი ნედლეული ბამბის მრეწველობას. იშრომეთ რუსი ხალხისათვის და არა კონცესიონერებისათვის და ეს რუსეთს კეთილდღეობას მოუტანს, შესაძლებლობას მისცემს გააუმჯობესოს სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა. ‘ბაგრამ ეს ძალზე მარტივია და ამიტომ არ მოსწონთ. ურჩევნიათ პროპაგანდა გაუწიონ ინდოეთისაკენ გზის გახსნას ინგლისთან საბრძოლველად და თვით მის მოსასპობადაც კი, ხოლო თუ სიჯიუტით კი არა, არაძედ კეთილი განზრახვით მოვკლავთ ჩვენს საკუთარ ინტერესებს, მერე რა მოხდა? დრო ყველაფერს გამოასწორებს!

მაგრამ გამოასწორებს კი?

1716 წლის 14 თებერვალს პეტრე პირველმა მისწერა თავად ბეკოვიჩ-ჩერკასსკის:

„ბატ. სენატის წევრებს. ეს საქმე შეისწავლეთ დიდის გულმოდგინებით, (ბეჯითად შეამოწმეთ დინება ამუსი და ამასთანავე კაშხალებიც, რამეთუ შესაძლებელ იყოს წყალი ესე ჯერჯერობით ძველი კალაპოტისაკენ გადააგდეთ და, მასთან ერთად, არალის ზღვისაკენ მიმდინარე სხვა ნაკადებიც ჩაკეტეთ) და რაც შეიძლება სწრაფად გადაგზავნეთ, რამეთუ ძალზე საჭიროა“.

და აი, 1716 წლიდან 1879 წლამდე, 163 წელი გავიდა და რაც მაშინ ძალზე საჭირო იყო, ახლაც ძალზე საჭიროა! გენიალური ადამიანის დიდი აზრი დაივიწყეს! ახლა განგების ნებით მოხდა ის, რის გაკეთებაც ადამიანებს არ უნდოდათ; ამუ-დარია ძველ კალაპოტში გადავიდა და ნუთუ პეტერბურგის პრესა ამ ფაქტის შემდეგაც ისევ მოუწოდებს

ხალხს აღტაცებული იყოს ლესეპსის პროექტით, რომელიც მოითხოვს მთავრობის გარანტიას საკმაოდ გრძელი გზის მშენებლობისათვის შეუსწავლელ ტრასაზე, სადაც ყოველი ვერსის ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ამოცანის გრანდიოზულობის მიხედვით:

კავკასიის მმართველობის მიერ გაგზავნილი სწავლულთა ექსპედიცია, რომელმაც უკვე დაადგინა სირკამიშთან ამუ-დარიის დინების შემდგომი მოძრაობა, სასიხარულო იმედს გვაძლევს, რომ პეტერბურგის კონცესიური მაგია უკანა რიგში არ გადასწევს რუსეთის ჭეშმარიტ ინტერესებს.

21. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲭᲝᲠᲘ

თბილისი, 29 დეკემბერი.

გუშინ ჩვენ დავბეჭდეთ საერთაშორისო სააგენტოს მიერ მოწოდებული ტელეგრამა, რომელიც გადაეცა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდის“ ინგლისის განყოფილებას ტაშკენტიდან, თითქოს ავღანეთის ემირმა, პოლკოვნიკ რიგანოვთან ერთად, ე. ი. რუსეთის ელჩთან, მიატოვა ქაბული და მთელი თავის ჯარით რუსეთის საზღვარზე იმყოფება. ასეთი ცნობა, რომელმაც უკვე მთელი მსოფლიო მოიარა, სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული ჭორი, რითაც გონებამახვილმა იანკებმა მასხარად აიგდეს ამჟამად ავღანეთში შექმნილი მდგომარეობა. ოფიციალური და კერძო ცნობების მიხედვით, რომელთაც ერთი და იმავე წყაროდან ვიღებთ — სახელდობრ ინგლის-ინდოეთის საექსპედიციო კორპუსის შტაბიდან — თურმე შირალი და მთელი მისი რეგულარული ჯარი ჯერ არსად შეხვედრია ინგლისელებს, მუდამ უკან იხევენ და გზაზე ტოვებენ ქვემეხებს, მარაგსა და იარაღს. თავად ემირის შესახებ — თუ სად არის, რას აკეთებს და რას აპირებს, არავინ არაფერი იცის. მაიორ კავანიარმა ოფიციალური ცნობა გაავრცელა, თითქოს ქაბულიდან თურქესტანში გაიქცა, ხოლო მისი შვილი იაკუბ-ხანი ქაბულში გამეფდა და ინგლისელებისათვის მორჩილების გამოსაცხადებლად ჯელალაბად'ში ჩავიდა. მაგრამ შემდეგ ეს თამამი განცხადება ნელ-ნელა გაირკვა, შეივსო და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჯელალაბადში არავინ არ ჩასულა და არავინ იცის, რას აკეთებს ავღანეთის ემირი ან სად იმყოფება. ინგლის-ინდოეთის ჯარების გამარჯვების შემდეგ, იგი უნდა გაქცეულიყო და ინგლისელებმა ჯერ ბალხაში გაგზავნეს, შემდეგ კი — თურქესტახ'ში. იანკებმა, როგორც გარეშე მაყურებლებმა, როცა ინგლისელთა ყველა ტელეგრამა წაიკითხეს, დაინახეს, რომ მარტო ემირი კი არ გაქრა, არამედ მთელი მისი ჯარიც გაუჩინარდა, ამიტომ მათ ასეთივე ვარაუდით გადაიყვანეს მთელი მისი ჯარიც თურქესტანში და დააყენეს რუსეთის საზღვარზე. ახლა კი, ალბათ, სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტენ, რადგან მთელი ევროპის დიპლომატია ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს.

და მართლაც, რა უნდა ქნან ახლა, როცა ამერიკული მონაჩმახი

მომხდარ ფაქტად მიიღეს? ავღანეთის ემირს ინგლისმა მხოლოდ იმიტომ გამოუცხადა ომი, რომ მან მიიღო რუსეთის ელჩი და მიღებაზე უარი უთხრა ინგლისის ელჩს. შირ-ალის უფლება აქვს იფიქროს, რომ ინგლისელებმა იგი გააძევეს რუსეთის იმპერატორისადმი მეგობრული დამოკიდებულებისათვის და ამიტომ სადღა უნდა ეძებოს მფარველი ძლიერი მტრისაგან თავდასაცავად, თუ არა რუსეთის სამფლობელოებში. და იგიც ცხადდება რუსეთის საზღვარზე მთელი თავისი ჯარით. მოქმედება, რა თქმა უნდა, აზიაში ხდება, მაგრამ მსჯელობა მიმდინარეობს ევროპაში, საერთაშორისო ტრაქტატებისა და ევროპის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. რუსეთი ოფიციალურად არ ეომება ინგლისს, პირიქით, ახლა რუსეთთან მეგობრობაზე ლაპარაკობენ ინგლისის ყველა გაზეთი. ასე რომ, რუსეთს არ შეუძლია მიიღოს შირ-ალი თავისი ჯარით სხვაგვარად, თუ არა ისე, როგორც შვეიცარიამ მიიღო გენერალ ბურბაკის ჯარი 1871 წელს, ე. ი. ჯარი უნდა გაანიარაღოს, როგორც ამას აკეთებენ ხოლმე ყველა ნეიტრალური სახელმწიფო და როგორადაც უნდა ჩათვალოს თავის თავი ამჟამად რუსეთმა, მიუხედავად აშკარა დიპლომატიური ომისა და არანაკლებ აშკარა დახმარებისა, რასაც ინგლისის მტრის არმიას უწევს. საჭიროა ამ ჯარის ინტერნირება და გამოკვება, რისთვისაც ხარჯი იმ სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს, რომელსაც ჯარი ეკუთვნის. მაგრამ ავღანისტანი უკვე დაიპყრო ინგლისმა და ინგლისელმა ბელადებმა უკვე განუცხადეს ავღანისტანის მორჩილ ტომებს, რომ მათ უნდა სცნონ ინდოეთის დედოფლის ხელისუფლება და არა ემირისა. ვისგანღა მიიღებს რუსეთი ფულს თავის ტერიტორიაზე ავღანეთის ჯარის შენახვისათვის? შეუძლია მას მთელი რეგულარული არმიის, ათი ათასი ჯარისკაცის ინტერნირება, რომელთაც ინგლისი ამდენი ხნის მანძილზე ამაოდ ეძებს ავღანისტანში? განა ინგლისისადმი მტრულად განწყობილი არმიის განადგურებისაგან დაცვა ინგლისის უშუალო ინტერესების შელახვა არ იქნება? იქნებ საჭიროა რუსეთის ჯარმა ბადრაგობა გაუწიოს შირ-ალის და მის ჯარს და უკანვე, ავღანისტანში გადაიყვანოს, სადაც ისინი დიდი ბრიტანეთის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმყოფებოდნენ? იქნებ ამ ჯარს უკვე ბადრაგობს ავანგარდი მამაცი მაიორისა და დიპლომატის — კავანიარისა, რომელიც ასე სწრაფად მისდევს უკანდახეულ ინგლისის ჯარს? ასეთი კომიკური და უაზრო კითხვების დასმა უსასრულოდ შეიძლება. ამგვარ მდგომარეობაში ყოველი ვარაუდი უსაზღვროა, საქმე კი მაინც გაურკვეველია, და არც გაირკვევა.

ტელეგრამის სიტყვების თანახმად, გენერალმა კაუფმანმა დეპეშა გაგზავნა იმ ინსტრუქციების მისაღებად, თუ როგორ მიიღოს ემირი, მაგრამ თუ როგორ მიიღოს მისი არმია, ამას იგი არც კითხულობს. ხოლო ყველაზე მწარე დაცინვა თანამედროვე დიპლომატიისა, რომელმაც

შესაძლებელი გახადა ამგვარი მონაჩმახის გავრცელება, სწორედ ავღანეთის ემირის გამოჩენაა, რომელიც ინგლისელების მტრული მოქმედებისაგან თავისდასაღწევად მეგობრობის საძიებლად გარბის რუსეთში! გაბედულ იანკებს სრულიად არ ესმით ის წარმოუდგენელი მერყეობა, რასაც ევროპიელები იჩენენ აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრაში. მათ სრულიად არ ესმით ჩქარი ნაბიჯით ერთი ადგილის ენერგიული ტკეპნა და ასეთი ძლიერი მოქმედება მიაჩნიათ მიუტევებელ უმოქმედობად. აღმოსავლეთის საკითხი გარეშე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამ ამბებში არ მონაწილეობენ, მთლიანად გარკვეულია: თურქეთის გამოყოფით ევროპის პოლიტიკური წონასწორობა არ შერყეულა. ოტომანთა იმპერიის მთლიანობა და დამოუკიდებლობა პარიზისა და ბერლინის ტრაქტატების მეშვეობით ისე დაიცვა ინგლისმა, რომ დაიკავა კუნძული კვიპროსი და მიიღო მცირე აზიის პროტექტორატობა, ე. ი. მოსპო სულთანის დამოუკიდებლობა და დაეპატრონა მის სამფლობელოებს. ევროპის ინტერესები ინგლისის სარგებლობამდეა დაყვანილი, ხოლო ინგლისმა განაცხადა, რომ რუსეთს უფლებას არ მისცემს გაავრცელოს თავისი გავლენა თურქეთზე, გაზარდოს თავის სამფლობელოები თურქეთის ხარჯზე და ყველაფერს გამოიყენებს იმისათვის, რომ შეაჩეროს იგი. ინგლისის პრემიერი, ხოლო მის უკან ევროპის დიპლომატიის ყველა წარმომადგენელი, დიდი მსხვერპლის გაღებისა და თურქეთზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რუსეთს წილად უტოვებს სამშვიდობო და დიპლომატიურ მიმოწერას. ახლა ამას განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვენ და იმის ასახსნელად, თუ რატომ, ჩვენ მოვიტანთ „გოლოსის“[26] მოწინავე სტატიის ქვემო მოყვანილ მოსაზრებას:

„ამგვარ პირობეში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იმოქმედებს აღმოსავლეთში იმდაგვარად, როგორც სხვა დროს იმოქმედებდა. არ შეიძლება მათ გარკვეული გეგმები ჰქონდეთ, ყველა შემოფარგლულია იმ გაურკვეველი მისწრაფებით, რომ რაც შეიძლება მეტად შესცვალონ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები, რუსეთისათვის არახელსაყრელი მიმართულებით. ძალზე რთული გრძნობაა ეს მტრული დამოკიდებულება თურქეთზე გამარჯვებულთადმი. ამ მტრობის აღმოფხვრა ჩვეხთვის ძალზე ძნელი იქნებოდა, მაგრამ ამ საერთო გრძნობის მოტივების სხვადასხვაობა ჩვენ მიგვაჩნია იმის საწინდრად, რომ საქმე ისე წარვმართოთ, რომ ჩვენი მტრების ჩანაფიქრის დიდი ნაწილი არ განხორციელდეს ისეთი წარმატებით, რომელსაც ისინი ვარადაუდობენ "შემდგომში“.

ამ ამონაწერიდან ყველას შეუძლია თავისებური მორალი გამოიტანოს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ რუსეთის მთავარ ამოცანას ახლა ფსიქოლოგიური კვლევა წარმოადგენს. „თურქეთზე გამარჯვებულთადმი

მტრული გრძნობა ძალზე რთული გრძნობაა". საჭიროა გამოვიკვლიოთ ეს გარემოება, „რადგან ამ საერთო გრძნობის სხვადასხვაობა ჩვენ მიგვაჩნია იმის საწინდრად, რომ საქმე ისე წარვმართოთ, რომ ჩვენი მტრების ჩანაფიქრის დიდი ნაწილი წარმატებით არ განხორციელდეს". დავიწყოთ ინგლისის ენერგიული და მტრული მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ, ნუ მივაქცევთ ყურადღებას ათასობით ქრისტიანს, რომელნიც ყოველდღე იხოცებიან რუმელიაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის არმია იქვე დგას, და დავიწყოთ ფსიქოლოგიის შესწავლა: ჩვენ ამით მოვსპობთ ყველა მტერს... მაგრამ რას მოვუხერხებთ ავღანეთის ემირის მეგობრულ არმიას, რომელსაც ამერიკელები უკვე რუსეთის საზღვრებისაკენ ერეკებიან?

საკვირაო საუბრები

მადლობა ღმერთს წელი დასრულდა. — მოგონებები „ობზორის“ დაარსებაზე. — ჭკუის სასწავლებელი საუბარი იმაზე, თუ რა არის ბრძოლა. — ვინ ეწინააღმდეგება ახალი იდეების ზეიმს?. — „ინტერესისა“ და „თავმოყვარეობის“ როლი. — ჩვენი უიღბლონი. — რატომ დაეაარსე „ობზორი“. — თავად კ. ა. ბებუთოვის ცოდვანი. — მისი „მაცდური გველები“. — ჩემი ფიცი „ტიფლისკი ვესტნიკის“ მათ მიერ გათხრილ სამარესთან. — რატომ ვერ შევასრულე ეს ფიცი?. — მოწინააღმდეგეთა ზნედაცემულობა. — შეიძლება თუ არა ლიტერატურის მოსყიდვა?. — ცოტაოდენი საინტერესო რამ თემაზე „თქვენ შეგიძლიათ“. — სანამდე მიეედით? — წარსული და მომავალი. — საფუძვლიანი იმედი.

ხვალ შესრულდება ერთი წელი „ობზორის“ [3] პირველი ნომრის გამოსვლიდან. ერთი წლის წინ ზუსტად ამ მაგიდას მივუჯექი ახალი გაზეთისათვის ფელეტონის დასაწერად, როდესაც ხელში კალამი ავიღე არც ილუზიებითა და იმედებით აღსავსე ყმაწვილი ვიყავი და არც საკუთარ ძალებში ნაკლებად დაჯერებული დებიუტანტი. „დიდი ხანია იმ დღეებმა განვლეს და წავიდნენ“, ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა რომ ვფიქრობდი, საკმარისია ერთი ნათელი იდეის გადასროლა, რათა ბნელეთის სამეფო და მისი ძალა გაქრეს.

„ობზორის“ დაარსებამდე დიდი ხნით ადრე დავრწმუნდი, რომ არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ეს ადრე მეგონა, ხალხთა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. ბრძოლა ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა, რომ იგი მხოლოთ ბნელეთის ბურჯთა და ძალადობის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. დიდი ხანია ამ ბურჯებს ძირი მოულპათ, საკმარისია ენერგიული ბიძგი და ისინი იმწამსვე გადმოყირავდებიან თავიანთი კვარცხლბეკებიდან. ისევე, როგორც პერუნის [27] დამხობის დღეებში, ხალხი დაინახავდა, რომ ისინი არიან უბრალონი და არა უკვდავნი ღმერთები... მაგრამ ამ იდეურ ბრძოლას ისიც აძნელებს, რომ ამ ფუღურროიან კუნძების ირგვლივ ინტერესებისა და ცრურწმენის სქელი შრეები წარმოიქმნა. როცა მეცნიერებასა და საერთო სიკეთეზე დაყრდნობით აწარმოებ ბრძოლას იმ გაბატონებული შეხედულებების წინააღმდეგ, რომლებიც შეურაცხმყოფელი უმცირესობის მიერ უმრავლესობის ექსპლუატაციას აკანონებენ, აი, მაშინ სრულიადაც არ არის ძნელი ამ შეხედულებების მიღება ან უარყოფა... მაგრამ ერთია ამ შეხედუ-

ლებათა უარყოფა, და მეორე — ხალხთა თავებიდან მათი გამოდევნა, რადგანაც უკვე ჩამოყალიბებული ჩვევები და ინტერესები ითხოვს მათ ბატონობას.

როცა ახალი იდეის წინააღმდეგ ილაშქრებენ გამეფებული იდეის წარმომადგენლები ან მათ შენარჩუნებაში დაინტერესებული პირები, ეს ბუნებრივი და გასაგებიცაა. ჩვენი უბედურება სწორედ იმაშია, რომ ყოველგვარი იდეური ბრძოლის დროს დრომოჭმული შეხედულებების სრულუფლებიანი წარმომადგენლები ისე ჩუმდებიან, როგორც დაბეჩავებულნი. ისინი თითქოს გრძნობენ, რომ მათი თეორიები დრომოჭმულია, არა აქვთ ბრძოლისათვის შესაფერისი იარაღი, არ შეუძლიათ კრიტიკასთან შებრძოლება, რის გამო მათი მზერა მიმართულია იმ ფენებისაკენ, რომელთაც ინტერესებშია, და მოვალენიც არიან, დაიცვან ეს შეხედულებები. თავის მხრივ ეს ფენებიც ჩუმად არიან, რადგანაც ბრმად სჯერათ თავისი ძალის, შექმნილი ცრურწმენის სიმაგრის, დაგროვილი სიმდიდრის შეურყევლობის და მდგომარეობის სიმტკიცის. სწორედ ამ დროს მასებისაგან დგება ლაშქარი, რომელიც უშუალოდ არ არის დაინტერესებული დაიცვას დრომოჭმული შეხედულებანი და ძველთაძველი დამოკიდებულებანი. ბრბო, რომლის საკეთილდღეოდ და გასათავისუფლებლადაა მოგონილი ეს იდეა თვითონვე ილაშქრებს მის წინააღმდეგ. პირველი ეგება ჯვარს, რათა დაიცვას ექსპლუატატორების ინტერესები; პირველი ირაზმება ახალი იდეის მატარებელთა წინააღმდეგ. ივიწყებენ, რომ ამით აძლიერებენ და ამძიმებენ ისედაც გარშემორტყმულ წყვდიადს. საკუთარი ხელებით, სრულიად უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ, უბრალო უმეცრების გამო, თვითონ იბოჭავენ ხელებს და ილაშქრებენ იმ ხალხისა და იმ აზრის წინააღმდეგ, რომელთაც მხოლოდ სარგებლობის მოტანა და ხვედრის შემსუბუქება სურთ მათთვის. ეს საპატიოა, რადგანაც ბრბო ბრმაა და ბრიყვია; ხალხს, რომელიც მისი განათლებისათვის იბრძვის, არა აქვს უფლება იწუწუნოს მის ახლანდელ სიბრმავეზე. მაგრამ რით აიხსნება განათლების მქონე ხალხის ასეთივე ბრმა და ბრიყვული საქციელი? რით აიხსნება ის, რომ ყოველი ახალი და ორიგინალური აზრის წინააღმდეგ ირაზმება ისეთი განათლებული ადამიანების გუნდი, რომელიც არ უნდა იყოს დაინტერესებული დრომოჭმულის ზეიმში?

ყოველ საზოგადოებაში არიან შესანიშნავი და კეთილგანწყობილი ადამიანები, რომელთაც გულახდილათ სურთ ხალხის ბედნიერება და სერიოზულადაც ემზადებიან „ხალხის მოკეთის“ როლის შესასრულებლად, ოცნებობენ ცინცინატისა და ვაშინგტონის დიდებაზე... მათი

აზრით, საკმარისია მხოლოდ კეთილგანწყობა, რათა თანაშედროვე ყალბი მსოფლიო გადაიქცეს ედემად და ელდორადოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, კეთილდღეობის მსუბუქი გაქროლება ვერ არღვევს საუკუნეებით შექმნილ დამოკიდებულებებს. საქმე დიდ შეუპოვრობას, შრომას, ძალების დაძაბვასა და თავგანწირვას მოითხოვს. ამასთანავე იგი კარგი და ჩინებულია: ხანდახან აუცილებლობა მოითხოვს ხელებდაკაპიწებული ჭუჭყშიც კი შეხვიდე მუხლებამდე, დაეცე, გაისვარო, ხელთათმანებითა და ლაკის ფეხსაცმელებით შორს ვერ წახვალ. ყოველი მხრიდან გსვრიან ტალახით, ლანძღვა და ცილისწამება თან გდევს ფეხდაფეხ, მუჯლუგუნები და დარტყმები გაცვივა უდანაშაულო თავზე... „ფუ, რა ამაზრზენია, ბრძოლა კი არა რაღაც ჭაობია“ ფიქრობენ პრანჭია მოღვაწენი, რომლებიც სიკეთის მსახურების კეთილშობილურ როლზე ოცნებობდნენ. და ისინი ბრძოლაში იღლებიან, პირველივე მარცხის მერე სულით ეცემიან და ტოვებენ არენას, სადაც ესოდენ მცირე პატივს სცემდნენ მათ ლაკის ფეხსაცმელებს. ისინი ივიწყებენ, უფრო ენერგიული, ჩერნიშევსკის მსგავსი მოღვაწეების სიტყვებს: „ისტორიის გზა — ხევსკის პროსპექტის ტროტუარი არ არის“; და ვისაც დარტყმისა და ჭუჭყის ეშინია, არც უნდა შეძვრეს მოღვაწეებში.

და, აი, სარბიელიდან წასვლისას, მათ მიაქვთ შურისძიების დაუკმაყოფილებელი გრძნობა, მავრამ არა იმათ წინააღმდეგ, ვინც „ისტორიის გზა“ გააჭუჭყიანა, ვინც გააჩინა ჭაობი და საზოგადოებრივი ცხოვრების საფლობი შექმნა, არამედ მათ წინააღმდეგ, ვინც შლამიან არენაზე გამოსვლამდე მოიმარაგა მალალყელიანი ჩექმები და წყალგაუძტარი ლაბადები. თითქოსდა არაფერია ასეთ მსჯელობაზე ადვილი: „ჩვენ აქ საქმე ჩაგვეშალა და იძულებული ვიყავით უკან გავბრუნებულიყავით, თუმცა გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც შეძლეს წინ წასვლა! მივბაძოთ მათ მაგალითს, წამოვიწყოთ ჩვენი საქმე!“ მაგრამ არა, ამ უიღბლოთა ლოგიკა სრულიად განსხვავებულია: „ჩვენ ჩავეფლეთ აქ, სხვები კი ჩვენზე დახელოვნებულნი და მოხერხებულნი აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, დე, სხვები დაიღუპონ, რათა ჩვენ საბოლოოდ არ შევრცხვეთ!“.

უიღბლოებში დაგროვილი ეს ბოღმა, ბოღმა თავიანთი უძლურებისა, ბოღმა მთელ სამყაროზე, მთელი ცხოვრების მანძილზე თავს ატყდება ხალხს, ვინც მათსავით არ დაიღალა ბრძოლაში, და მყარად ბიდის თავისი გზით; ვისაც არ ეშინია არც ჭაობისა და ჭუჭყის, არც ჩასაფრების, არც გარდუვალი სიკვდილის და მაგრად უჭირავს დროშა, რომელიც ოდესღაც მათ ეკუთვნოდათ.

სარბიელიდან წასვლის შემდეგ უიღბლოები არ ივიწყებენ საკუთარ თავს. აი, უყურებ და ერთმა მათგანმა „წყნარი ნავსაყუდელი“ იპოვა და შეუერთა სახაზინო სკივრს, მეორე ბატკნის ტყავში გაეხვია, შეიპარა

ფარეხში და პარსავს ცხვრის ფარას არხეინად. მესამემ ფარისევლობა დაიწყო და თავის სასარგებლოდ ათამაშებს ლატარეას. მეოთხემ სარფიანად იქორწინა მახინჯზე, მის კმაყოფაზეა და ითვლის ყოველ კოცნასა და მოფერებას. ყველა ეს და მათი მსგავსი უიღბლონი, არა მარტო ჩაეფლნენ ჭუჭყში, არამედ გაყიდეს რაც კი შეიძლება ადამიანმა გაყიდოს — ღირსება, სინდისი, ფიზიკური სილამაზეც კი.

მე თქვენ გეუბნებით, რომ ეს უბადრუკი ადამიანები ყველგან და ყოველთვის წარმოადგენენ იმ ჩინურ კედელს,[61] რომელიც ყველა ახალი იდეის და პროგრესული ადამიანის წინ აღიმართება.

ეს წარმოუდგენელი ფრანკ-მასონობა, რომელიც მოცემული ქვეყნის უიღბლოებსა და უმეცრებს აერთიანებს, უფრო ძლიერი და "ძეუპოვარია, ვიდრე — პირდაპირი ინტერესი იმ ხალხისა, ვინც ჯიბის გასქელების, ან მაღალი პოსტის მიღწევისათვის იცავს ამ დრომოჭმული იდეის ინტერესებს. ეს ხომ გასაგებია. მართალია, გოეთემ სთქვა, რომ შიმშილი და სიყვარული ადამიანის საქციელის განმსაზღვრელი ერთადერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ მას დაავიწყდა, რომ არსებობს ორივეზე უფრო ძლიერი რამ: ეს არის თავმოყვარეობა... ვერც შიმშილის დამაოკებელი დიდი ფულით, ვერც ულამაზესი ქალის სიყვარულის დაპირებით თქვენ ვერ მიაღწევთ იმას, რომ ადამიანი სიკვდილზე თვალის დაუხამხამებლად წავიდეს. თავმოყვარეობას კი შეუძლია მსგავსი სასწაულის მოხდენა.

*

„ობზორი" მხოლოდ იმიტომ დავაარსე, რომ სერიოზულად და ღრმად ვიყავი დარწმუნებული ჩვენთან ახალი ორგანოს ჩამოყალიბების აუცილებლობაში.

საჟურნალო საქმეებში არ ვიყავი ახალბედა და კარგად ვიცოდი, რომ საქმე, რომელსაც ხელს ვკიდებდი, ძალიან ძნელია. ვიცოდი, რომ ეს არ მიქადდა უცაბედ წარმატებას. წარმოება ხარჯს 5—6 წლის "შემდეგ აანაზღაურებდა, როცა მე, ალბათ, აღარ ვიქნებოდი. გაზეთს ვაარსებდი არა პირადი თავმოყვარეობის გამო. „ობზორის" დაარსებამდე დიდი ხნით ადრე, მე უკვე შექმნილი მქონდა მწერლის რეპუტაცია. ასე რომ, დაფნის ახალ გვირგვინს იგი ვერ მომიტანდა. და არც მოუტანია შემდგომში. საკმარისი იყო ჩემი შრომის ერთი მეასედი დამეხარჯა სხვა რომელიმე უკვე არსებულ და ცნობილ გამოცემაზე, რომ დეფიციტის მაგივრად, სენატორის ხელფასი მიმეღო.....

[პრესა] ვალდებულია მიიზიდოს გონებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ადგილობრივი მაცხოვრებლების ყველა ის ელემენტი, რომელთაც შეუძლიათ განვითარება... მეორე მხრივ, და იმის გამო

რომ ჩვენი მხარის ცხოვრება შერწყმულია რუსეთის ცხოვრებასთან, და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ უკანასკნელზე, ჩვენ ყველანი ვალდებულები ვართ რუსეთის საზოგადოებას, შეძლებისდაგვარად, ჩვენი შემწეობით ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ ჩვენი მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ.

მე ვშრომობდი, რამდენადაც ეს ჩემს შესაძლებლობას შეეფერებოდა, და რამდენადაც ჩემი პირადი ძალები ეხამებოდა ამ ორმაგი ამოცანის სერიოზულობას...

სხვათა შორის, რამდენიმე წელი ვიმუშავე „ტიფლისკი ვესტნიკში“ [1], რადგანაც ეს სამუშაო ზემოთ თქმული ამოცანის შესატყვისი იყო. ეს გაზეთი ჩემი მოღვაწეობის ერთადერთი არენა იყო, ამ აზრით, მაშინ, სანამ „ტიფლისკი ვესტნიკში“ მუშაობას შევუდგებოდი, ჩემი მიზნების, მისწრაფებების და თავად კ. ა. ბებუთოვის სულისჩამდგმელ მიზანთა ერთობლიობაში უნდა დავრწმუნებულიყავით. იგი, ამ დროს, გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო. ჩვენ მთლიანად მოვრიგდით, კომპრომისებისა და დათმობების გარეშე, იმ პროგრამაზე, რომელსაც „ტიფლისკი ვესტნიკი“ მტკიცედ იცავდა, რომლის რეზიუმირება შეიძლება რამდენიმე სტრიქონში.

ჩვენ ვამბობდით: გაზეთი, რომელიც თბილისში არსდება, ხალხების, სარწმუნოების, ენის და ა. შ. კალეიდოსკოპს წარმოადგენდა. მისთვის ადვილი მისაღწევი იყო თანამედროვე ცივილიზაციის კეთილდღეობა, კეთილგონიერი წესრიგი და თანამედროვე საზოგადოების კეთილდღეობა. საკმარისია ჩვენი გაზეთი გადაიხაროს პროგრამიდან, ამა თუ იმ კერძო ინტერესების სამსახურში, რომ მთელ ჩვენს საშუშაოს უხაყოფობის და უძლურობის დაღი დაესმება... მაშინ ჩვენ ვიქნებით არა მხარის პროგრესზე მზრუნველნი, მისი განვითარების მსახურნი, არა მოამხლოებელნი მისი კარგი დღეებისა, არამედ, უბრალოდ მისი რეგრესის ფაქტორები: ჩვენ აღვძრავთ მხოლოდ ურთიერთსიძულვილს რასებში, შევარყევთ პრესის კრედიტს, ნდობას — მისი ინფორმაციისადმი, ე. ი. სარგებლობას მოვუტანთ მხოლოდ კატკოვსა და მის ტაშკენტელებს...

ეს პროგრამა მიღებულ იქნა, მაგრამ გავიდა წლები და კერძო დარღვევების მოწმენი გავხდით.

ვერ ვიტყვი თითქოს თავად ბებუთოვს მისი შესრულება არ სურდა, არა! ის დღემდე დარწმუნებულია მის აუცილებლობაში, მაგრამ, ნებითა თუ უნებლიეთ, მას უხდებოდა პროგრამის დარღვევა. ის არ იყო

საკმაოდ ძლიერი, რომ წინააღმდეგობა გაეწია დინებისათვის. მას არ სურდა შეეგნო, რომ:

„Лучше пасть, как дуб в ненастье,
Чем камышом остаться жить,
Чтобы потом считать за счастье
У франта тросточкой служить!“

მე გეუბნებით, რომ ის ვერ გამაგრდა. ის იქცა ჯოხად ფრანტების ხელში, რომელთათვისაც სულ ერთია როგორი იქნება მხარის ბედი, ოღონდ კი სოლიდური თანხა დააგროვონ ბანკში, თანაც, ამავე დროს, ითვლებოდნენ საზოგადოებაზე მზრუნველებად. მან თავისი თავი დაარწმუნა იმაში, რომ მწერლის დანიშნულება იმაში კი არ არის, რომ უხელმძღვანელოს საზოგადოების ახალგაზრდა ძალებს, არამედ... იგი დათმობა-დათმობაზე წავიდა პლუტოკრატიასთან. ერთიმეორეზე უაზრო და სასაცილო შეცდომებს უშვებდა. ჟურნალისტიდან, რომელიც ვალდებულია თავისი აზრის გავლენის ქვეშ მოაქციოს სხვები, თვითონ გახდა სათამაშო ღამბაროვის, იოანნისიანის, თამამშევის და კომპანიისა, რომელთაც ლიტერატურაზე ზემოქმედების არავითარი უფლება არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ, როგორც კაპიტალის წარმომადგენლებს, შეეძლოთ ემოქმედათ მასზე და მათთვის, უბრალოდ, სასიამოვნო იყო გარკვეული როლი ეთამაშათ პრესაში, რათა, ამის გამო, მათი მდგომარეობა უფრო მყარი ყოფილიყო ბანკის ამომრჩეველთა წრეში.

•

ვიმედოვნებ, არავინ მომთხოვს ფაქტებს, რომელიც ამ სიტყვებს დაადასტურებს. მე ვთხოვ დაინტერესებულ მხარეებს, რომ არ მაიძულონ გამოვააშკარაო ფაქტები, რომლებიც მე მომეპოვება. ისინი არც თუ ისე ლამაზია და მე სიჩუმეს ვამჯობინებ. საქმე იმაშია, რომ თავად ბებუთოვის სიმპათიურმა პიროვნებამ ვერ გაუძლო ცდუნებას და ამ განგრენისაგან დაიღუპა.

მწერლური ღირსება უფლებას აღარ მაძლევდა ჩემი მონაწილეობით დამეფარა ეს გარიგებანი და მეც წავედი. ჩემს თავს მივეცი სიტყვა, რომ განვუდგებოდი ლიტერატურულ საქმიანობას. ამ დროს ომიც დაიწყო. ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, თანაც „ტიფლისკი ვესტნიკთან“ ჯერ არ მქონდა გაწყვეტილი ყველა ურთიერთობა. წინ ბრძოლის ქარ-ცეცხლი მოსჩანდა. მე ჩავიქნიე ხელი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და, როგორც უბრალო სამხედრო კორესპონდენტი, გავემგზავრე ომში.

გავბედავ და ვიტყვი, რომ ლიტერატურისაგან militante,[29] განდგომა მესალბუნებოდა, ჩემი სამგზავრო განმარტოვებისას, მხოლოდ პირველ თვეს, რადგანაც ასეთია ჩვეულება და მოწოდების ძალა.

მაგრამ რაც უფრო ღრმად ვუკვირდებით ჩვენს ჟურნალისტიკას ‘მით უფრო ხშირად ამიტანდა ხოლმე წერის ჟინი. თავისთავთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ასეთ დროს გაჩუმება ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა. იმდღესვე გავემგზავრე კოჯორს, რათა აღეძრათ შუამდგომლობა, მიმეღო „ობზორის“ გამოცემის უფლება.

პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თავიდან რომ წარმომედგინა ის სიბილწე და სიმდაბლე, რაც შემდეგში დავინახე, ამ საქმესთან დაკავშირებით, მაშინ ვამჯობინებდი ეს ჩემი დიდი სამწერლო ლტოლვა დაძმარხა ალაჯის რომელიმე სანგარში, ვინემ შევდგომოდი „ობზორის“ გამოცემას.

წარმოიდგინეთ, თვითონ თავადმა ბებუთოვმა, რომელიც წლების განმავლობაში ჩემთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა და მშვენივრად იცოდა რომ მე არანაირ დათმობაზე არ წავიდოდი ამ ქვეყნიურ კეთილდღეობის გამო, უცებ, არაფრის გამო, მომნათლა „რეხეგატად“. ხოლო მის გარშემო მყოფმა ბრბომ, ვინც სახელი და დიპლომები მიჰყიდა ჩვენი ბანკის ჩარჩებსა და კულაკებს, ამ უვიცებმა, რომლებიც ოცდაოთხი საათი მათხოვრობენ მაღალ პოსტებსა და ორდენებზე, თავისებურად, ყურში ჩურჩულით, მოსდეს მთელ ქვეყახას, ნიკოლაძე გამყიდველიაო!.. მაგრამ ძნელი არ იყო იმაში დარწმუნება, რომ ცხვრის ქურქში იმალებოდნენ გამყიდველები, რადგანაც თვალნათლივ სჩანდა იმ კანდიდატობისა და დოქტორობის სიყალბე, რითაც ისინი იბღინძებოდნენ: საიდან შეიძლება ცოდნოდა ამ კლასის წარმომადგენლებს, რომ ქვეყანაზე არის ბევრი რაღ ‘ისი გაყიდვაც არ შეიძლება... და მთელი ეს უიღბლოთა ხროვა, რომელთა თავმოყვარეობაც ოდესმე შემილახავს ან ჩემი გამარჯვებებით, ან მათზე თავდასხმით, ყველანი ერთად იმეორებდნენ ამას. თვით ბატ. მესხიც, რომელიც ბავშვობიდან მიცნობდა და ჩემს „ანგარებაზეც“ ჰქონდა სრული წარმოდგენა, მათ დაუწყო კვერის დაკრა... რაც, სისულელით მოუვიდა!

საბრალონი, მათ ეგონათ, რომ ლიტერატურაში, ისევე როგორც ბანკის აქციონერთა თუ ამომრჩეველთა კრებაზე, შეიძლება დროულად გაუშვა ჭორი თუ ეპვი და ამით საქმე გაუფუჭო შენს მოწინააღმდეგეს და ადღესასწაულო მეგობარი.

არა, ჩემო ბოროტო, მაგრამ ბრიყვო მეგობრებო, აქ მოქმედებს ისეთი ძალა, რომელიც თქვენს გაგებას აღემატება. ლიტერატურაში

კაპიტალი არაფერია, მისი დახმარებით არ შეიძლება საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა. თქვენ შეგიძლიათ შულერობას მიმართოთ პრესაში, შეგიძლიათ შეიძინოთ გაზეთი, შეგიძლიათ არაფერი სთქვათ თქვენი მეგობარი-მოიჯარადრების ოინებზე, თქვენი ახლობლებისა და ხათესავების მოღვაწეობაზე, მაგრამ ამით ვერ შეარყევთ და ვერ შეცვლით საზოგადოებრივ აზრს. თქვენ შეგიძლიათ ინტრიგების მოწყობა, მაგრამ ინტრიგა საჯარო საქმეში უძლურია, ის ხომ წყვდიადის ქალიშვილია და თქვენ ოვალნათლივ დაინახეთ ჩვენი „ტიფლისკი ვესტნიკის“ სრული დისკრედიტაცია. რასაც არ უნდა იტყობინებოდეს ეს გაზეთი, მკითხველი გრძნობს, რომ იგი შეცდომაში შეჰყავთ. გრძნობს, რომ გაზეთის უკან დგანან საქმოსნები, რომლებიც ერთი და იგივე მიზნის გამო მონაცვლეობით თამაშობენ ბირჟაზე და პრესაში.

ეს „ტიფლისკი ვესტნიკის“ ზუსტად ის დისკრედიტაციაა, რომელიც ჩემი ნებისა და მონაწილეობის დამოუკიდებლად მოხდა და რამაც ძალიან ეამოვსულიყავი ამ გაზეთიდან და დამეარსებინა „ობზორი“. მთელი წლის განმავლობაში, თქვენ ხელს უშლიდით მის წარმატებას და, პირიქით, ცდილობდით „ტიფლისკი ვესტნიკის“ წარმატებისათვის. მაგრამ „ობზორის“ ერთი ნომრის გამოჩენაც კი საკმარისი გახდა თქვენი გაზეთის დასაჯაბნად და თქვენ მოგიხდათ ახალი რეზერვების შეკრება, მიუხედავად ექვსი წლის არსებობისა და საკმაოდ კარგი სახელისა...

„ობზორს“ არ ჰქონია კაპიტალი, თქვენ კი არ განიცდით მის ნაკლებობას. თქვენ ისე დაბლა დასწიეთ ლიტერატურის დონე, რომ, როდესაც „ობზორმა“ გამოააშკარავა „საბაჟო გაქიაქება“, თქვენ მიიღეთ შეგროვებული ათი ათასი მანეთი, რათა დაგეცვათ ის პირი, ვინც ეს „გაქიაქება“ აწარმოა. დაგეხმარათ კი ეს ათი ათასი? დე, შეაგროკეთ უფრო მეტი! კიდევ გამოჩნდებიან მსურველები, რომლებიც ქალაქის თავად არჩევისათვის არ დაიშურებენ ათასებს. თქვენ მათ შეაგროვებთ, მაგრამ სალიტერატურო საქმეს ამით ვერ გააკეთებთ, რეპუტაციას ვერ აღიდგენთ, საზოგადოების ნდობას ვერ დაიმსახურებთ. იცით რატომ? იმიტომ, რომ თქვენში არსებული პირველობილი ცოდვა ყოველ თქვენს წამოწყებას უნაყოფობით სჯის: თქვენ ლიტერატურას კი არ ემსახურებით, არამედ — მის გარეშემყოფ მიზნებს, რასაც უმორჩილებთ ლიტერატურულ სიტყვასა და ქცევას. ბატონებო, ლიტერატურა მხოლოდ მაშინაა ძლიერი, მხოლოდ მაშინა აქვს ძლიერი გავლენა თანამედროვეთა გონებაზე და გადადის შთამომავლობაზე, როდესაც მას მხოლოდ ერთი მიზანი გააჩნია: სამსახური მხოლოდ ლიტერატურისადმი, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების გონებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი.

მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ გულითადი მადლობა გადავუხადო მკითხველებს, რომლებმაც, „ობზორისადმი“ გამსჭვალული სიმპატიითა

და ნდობით, უფლება მომცეს წამეკითხა ეს ნატაცია ლიტერატურის უახლესი ექსპლუატატორებისათვის. წარსული მომავლის საწინდარია, ამიტომაც დღევანდელი საუბარი მინდა დავასრულო იმედის გამოთქმით: ერთი წლის შემდეგაც, თუკი ამისათვის ფიზიკური ძალა გვეყოფა, ამ ადგილიდანვე ვუმღერო საბოლოო გამარჯვების სიმღერა სრულიად განიარაღებულ ფინანსისტებს. მათ ჯერ კიდევ სჯერათ, რომ ლიტერატურაც ისეთივე ადვილი მოსასყიდია, როგორც ბ-ნი ღამბაროვი და კომპანია.

23. მამები და შვილები არმიაში

(სალაშქრო დაკვირვებებიდან) *

ხანგრძლივი რეაქციის ხანაში, რომელიც ვენის კონგრესს მოჰყვა შედეგად, სამხედრო დიდკაცებს შორის აქსიომად იყო მიჩნეული ბურბონთა საგვარეულოს ერთი საკმაოდ ცნობილი წარმომადგენლის გამოთქმა, რომ „ომი ჯარებს აფუჭებს“. იმ ადამიანთა თვალსაზრისით, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, თითქოს ჯარი შექმნილი იყოს იმისათვის, რომ მოედნებზე ბრწყინვალე აღლუმები და საზეიმო მანევრები მოაწყოს ხოლმე, ეს შეხედულება უაღრესად საფუძვლიანად გამოიყურება. ომში მებრძოლნი ადვილად ივიწყებენ ხოლმე სააღლუმო მარშების ცნებებს, ბრძოლის დროს ხომ აღარავის ახსოვს ბრძანება: „ერთი-ორი-სამი“, ხოლო შეტევისას ყველა როდიღა უფრთხილდება ღილების მტკიცედ დაწესებულ რაოდენობას... ლაშქრობის დამთავრების შემდეგ კი, იმისათვის რომ ჯარს კვლავ დაუბრუნო გამართულად და მწყობრად სიარულის ადრინდელი იერი და ლაზათი, ხშირად აუცილებელი ხდება, რომ თავიდან ასწავლო სამწყობრო ანბანი და სიარული იმ ჯარს, რომელსაც მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები იერიშით აუღია. დამეთანხმეთ, რომ ამ თვალსაზრისით ომი, მართლაც, უხამსობაა...

მაგრამ არიან სხვაგვარი ადამიანებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჯარის შენახვა ხდება უმთავრესად ომისათვის და რომ მისი ვარგისიანობის საზომია ის, თუ რამდენად გამოსადეგია იგი ომისათვის და რამდენად უპასუხებს თავის პირდაპირ და მთავარ დანიშნულებას. ამ ადამიანთა აზრით, მხოლოდ ომი აყალიბებს ნამდვილ ჯარს, ხანგრძლივი მშვიდობიანობა კი აფუჭებს მას, აჩვევს ნებივრობასა და მაშინალურ მოქმედებას... ამგვარ ადამიანთა რწმენით, რა შესანიშნავადაც არ უნდა მოაწყო არმიის წვრთნა მშვიდობიანობის დროს, როგორც არ უნდა სცადო მისი მომზადება ომისათვის, მაინც საუკეთესო სამხედრო განათლებას იგი მხოლოდ ნამდვილი ომის პრაქტიკით ღებულობს, მხოლოდ ომს შეუძლია ჩამოაყალიბოს ჭეშმარიტი ჯარი, რა თქმა უნდა, "ესა-

* დაწერილია 1877 წლის ზაფხულში. ავტორი.

ბამისად იმ ელემენტებისა და იმ გარემოებათა, რომლებშიც ეს ჩაძოყალიბება ხდება...

ყოველი ომის დასაწყისში, რომელიც ხანგრძლივი მშვიდობიანობის შემდეგ იფეთქებს ხოლმე, არმია ყოველთვის, ცოტად თუ ბევრად, მოუქნელი, გამოუცდელი და პასიურია. საჭიროა ხანგრძლივი პრაქტიკა, რომ ჯარი ნამდვილ მებრძოლ ძალად აქციო. რაც უფრო მრავალმხრივია ეს პრაქტიკა, რაც უფრო მრავალფეროვანია მიღებული შთაბეჭდილებანი, რაც უფრო მეტი შრომაა გაწეული, მით უფრო უკეთესი გამოდის არმია, თუკი მას თავისთავად განვითარების რაიმე საწყისები გააჩნდა... ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ ჯარისათვის, რომელსაც ხსენებული საწყისები აქვს, პირველი წარუმატებლობანი არათუ საზიანო არ არის, არამედ სასარგებლოც კია. იგი ჯარში იწვევს საქმისადმი აზრიან დამოკიდებულებას, უღვიძებს რეფლექსს, აიძულებს ძალთა დაძაბვას. მართლაც, არაფერი ისე გამანადგურებლად არ მოქმედებს ჯარზე, არაფერი ისე არ რყვნის მას, როგორც დაუმსახურებელი და იოლი წარმატება. საფრანგეთის არმია გახრწნა და დაღუპა სწორედ იოლმა ტრიუმფმა ალჟირში, იტალიაში, მექსიკაში...

რაკი ამ ზოგად დებულებებს გავეცანით, ახლა საინტერესოა გადავხედოთ ჩვენს კავკასიურ არმიას. ჯერჯერობით, ძალიან ნაადრევია, რომ დავიწყოთ განვითარების იმ საფეხურების აღნიშვნა, რომლებიც მან განვლო, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, რომლებსაც გაივლის ეს ჯარი ამ მიმდინარე ომის ზეგავლენით. ეს მომავლის საქმეა, მაგრამ იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ შედეგი, საჭიროა მოვხაზოთ თუნდაც ძალიან ზერელედ ის მასალა, რომელიც ამ პრაქტიკას დასაძუშავებლად ეძლევა. საჭიროა ჩავიხედოთ თანამედროვე ჯარისკაცისა და ოფიცრის ხასიათში, დავინახოთ, რა მოუტანა მას ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ; როგორაა იგი ომისათვის მომზადებული, და შევადაროთ იმას, რაც ძველ დროს გვქონდა მსგავს ვითარებაში.

ამის გაკეთება მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს საზოგადოებას, მაპატიეთ გულახდილობა, არ აქვს არც სწორი და არც ნათელი წარმოდგენა თავის არმიაზე. უკანასკნელ წლებში ჩვენი მწერლობა, მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ ყველასათვის ხელმისაწვდომ და, ამასთან, სერიოზულ, მიუკერძებელ, პატიოსან პრესაზე, — მთლიანად უგულებელყოფდა ამ საკითხსაც და საერთოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უბანსაც კი. ხსენებული მწერლობის მიერ საკითხის აძგვარ უგულებელყოფასთან ერთად ჩვენს საზოგადოებას თვალწინ ჰქოხდა ტენდენციური ნაწარმოებები ჩვენი ვითომდა პოლიტიკური პრესისა, რომელიც, ამ საკითხში, ორ მტრულ და ერთნაირად „დაინტერესებულ" ბანაკად იყო გათიშული. პრესაში საგანგებო დარგიც კი შეიქმნა, სპეციალური გაზეთებიც კი დაარსდა იმ მიზნით, რომ, სამართლიანად თუ

უსამართლოდ, ჩირქი მოეცხო ჩვენი ახლანდელი არმიისათვის და ცაბდე აეყვანათ ძველი დროის წეს-ჩვეულებანი. პასუხად ამ თაედასსმებისა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ და აფრანსებდნენ დამხობილი კერპები, თავი რომ ჯერ კიდევ ღმერთებად მიაჩნდათ, პრესის მეორე ნაწილმა დაიწყო განურჩეველი განდიდება და ქება ყველაფრისა, რაც ახლა ჩვენს სამხედრო უწყებაში ხდება. ამასთან თანაშედროვე ღმერთების მსახურნი, ზვარაკის შეწირვის დროს, გარდასულ ყამთა ქურუმებზე უკეთ როდი ეჭცეოდნენ ჭეშმარიტებას... ნათქვამია, აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი გასრისესო: ამ შემთხვევაში კოზაკი იყო სიმართლე, [illegible] და თვით რუსეთის ინტერესებიც კი... ხოლო ამ დროს მკითხველმა საზოგადოებამ აღარ იცოდა ვისთვის ან რისთვის დაეჯერებინა. ზოგიერთებს რომ მოუსმინოთ, გამოდის, რომ ჩვენში ყველაფერი ცუდია, ჯარში მცირეოდენი დისციპლინაც კი არ არის, ჯარისკაცები თითქმის იაკობინელებად[30] იქცნენ, რომ ჩვენ რეფორმების დროს, უბრალოდ, ავიღეთ და მოვსპეთ მთელი არმია, — ეს არის და ეს. დიახ, — უნებურად გაიფიქრებთ მაშინ, — საჭიროა ახლავე დავუბრუნდეთ ყირიმის ომის წინადროინდელ წესებს: „მოგვეცით როზგები, მიეცით უფროსს განუსაზღვრელი და უკონტროლო ძალაუფლება ხელქვეითის მიმართ!“ მაგრამ აი, ალაპარაკდა მეორე ორგანო, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენ არამცთუ არ მოვსპეთ არმია, არამედ შვიდ წაბში დავიპყრობთ დედამიწას, ხოლო მერვე წამზე თვით მთვარესაც ზედ მივაყოლებთ, რომ ჩვენი სისტემაც სანიმუშოა და მასში ახლა ბოროტმოქმედებანიც კი შეუძლებელია, რომ ახლა ჩვენში ყველგან ნამდვილი არკადიაა, სადაც კი სამხედრო მუნდირი გაიელვებს. ამას რომ მოისმენს კაცი, დაფიქრდება და გადაწყვეტს: „არა, ახლა როზგები საჭირო აღარაა, ახალი წყობილება შესანიშნავია, და მოდით ახლა დავიპყროთ მთვარე!“ ხოლო ქანქარასავით მოქანავე ჩვენი საბრალო საზოგადოება კი აი, უკვე ათი წელიწადია ენაგადმოგდებული დალასლასებს ამ ორ პოლუსს შორის და აღარ იცის არც ის, თუ ვის დაუჯეროს და არც ის, თუ რა იწამოს.

ბოდა, აი, ჩვენ ახლა როგორც იქნა ხელთ ვიგდეთ სასინჯი ქვა, რომელიც, ვიმედოვნებდით, ერთბაშად გაფანტავდა ყველა გაუგებრობას, ყველა მტანჯველ ეჭვს... ნურას უკაცრავად, ჩვენ ყველანი შიჩვეულნი ვართ შევამჩნიოთ მხოლოდ ღირსშესანიშნავი მოვლენები — ბრძოლები, გამარჯვებები, იერიშები; მიჩვეული ვართ მსჯელობა დავაფუძნოთ თვალსაჩინო მოვლენებზე, იმას კი ვივიწყებთ ხოლმე, რომ მთის ფერდობიდან მწვერვალამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ღირსშესანიშნავმა მოვლენებმა კი, — მსგავსად ანტაგონისტურისა პრესაში, — მოგვცეს მკვეთრად საწინააღმდეგო ჩვენებები. ხან უეცრად ჩნდებოდნენ მხოლოდ წარმატებანი და გამარჯვებანი, რომლებიც ამტკიცებდნენ

პანეგირისტთა წარმტაც წინასწარწერეტას, ხანაც ინთებოდა „სტოპსიგნალი", რომელიც ფრთებს ასხამდა ზოილთა[28] იერემიადებს... ეს რა თქმაა, რა საფიქრელია, რას დავუჯეროთ? და ისევ დაიწყო იქვები და კითხვები.

ეს ყოველივე ორი მიზეზისაგან წარმოსდგება. ჯერ ერთი იმისაგან, რომ თავს არ ვაწუხებთ ყურადღებით დავაკვირდეთ უმცირეს ატომებს იმ დიდი სხეულისას, რომლის შესახებაც დასკვნის გაკეთება გვსურს, მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენ, მსგავსად „ინსტიტუტკებისა", მხოლოდ იმის უნარი გვაქვს, რომ ან „ვაღმერთებდეთ" ან „გვძულდეს" ესა თუ ის საგანი და მოვითხოვთ მისგან იყოს ან მხოლოდ საზიზღარი, ან მხოლოდ სრულყოფილი. უფრო მეტიც.

„ჩვენი სიყვარულიც და სიძულვილიც შემთხვევითია", დაფუძნებული წვრილმანებზე, რომლებიც სრულიად მოულოდნელად გვეცემა ხოლმე თვალში. ვერ გაგვიგია, რომ ნაწილისა და მთელის სრული ჰარმონია მხოლოდ ესთეტიკოსთა წარმოდგენაში არსებობს. ვერ გაგვიგია, რომ უმშვენიერეს საქმეშიც შეიძლება იყოს არასასიამოვნო წვრილმანები, რომ უსასიზღრეს ხასიათშიც შეიძლება შეგეხვდეს კარგი ნიშნები; ერთი სიტყვით, არ ვიცით, რომ მზესაც აქვს ლაქები. მაშასადამე, უთქმელადაც ნათელია, არ შეგვწევს უნარი ავწონოთ მოცემული საგნის, ერთი მხრივ, ცუდი და, მეორე მხრივ, კარგი თვისებები და ვიმსჯელოთ ამ საგანზე ნიშანთა სხვადასხვაობის შესაბამისად. თუმცა, მაშინ ჩვენ ვეღარ მოვახერხებდით მოვლენათა და ცალკეულ პირთა მხოლოდ „გაღმერთებას" ან მხოლოდ „შეძულებას"; შეუძლებელი იქნებოდა, აგრეთვე, პოლიტიკურ მოვლენათა და მოღვაწეთა შემკობა ეპიტეტით: „საყვარელი" ან „საზიზღარი" და საჭირო გახდებოდა მათი შეფასება სასარგებლოსა და საზიანოს ჯამთა შორის არსებული „სხვაობის" მიხედვით. მაგრამ ჩვენ სწორედ ეს არ გვსურს, ჩვენ ვეძიებთ მხოლოდ კერპებს, რომ პირქვე დავემხოთ მათ წინაშე ან კიდევ მანეკენებს, რომ ტალახში ამოვსვაროთ ისინი, და ჩვენ უსირცხვილოდ ვცრუობთ, თითქოს რაღაცის ან ვიღაცის, შესახებ ზოგადი წარმოდგენის შედგენას ვცდილობდეთ...

ახლა კი დროა, ამ გადახვევებისა და შესავლებისაგან გადავიდეთ ანალიზზე და ვნახოთ რა მოგვცა სინამდვილემ, რა გვიჩვენა მან, კარგი თუ ავი, ჩვენთვის საინტერესო უწყებაში.

მაგრამ აქ მე იძულებული ვარ კიდევ ერთხელ გადავუხვიო თემას და სიტყვა ვთქვა მხოლოდ ზოგიერთი ჩემი მკითხველის მისამართით. თბილისში ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი მათგანი თურმე (ვაგლახ!) განუხორციელებელ იმედებს ამყარებდა ჩემზე. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მე ჩემს ჩანგს „ტკბილ ხმათათვის და ლოცვათათვის" მოვმართავდი და ჩვენი დროის ერთგვარ ტირტეოსად[31] გადავიქცეოდი.

სხვები, პირიქით, ვარაუდობდნენ რომ მე გავხდებოდი იუვენალი[32] რუს მეომართა ბანაკში. ერთნიც და მეორენიც სასტიკად შეცდნენ. ისინი თუ თვალს ადევნებდნენ ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობას, უნდა სცოდნოდათ, რომ მე არ ვეკუთვნი მწერალთა იმ დრომოჭმულ სკოლას, რომელსაც მწერლობად მიაჩნია ცნობილ მიმართულებათა თუ წეს-ჩვეულებათათვის ქება-დიდების შესხმა, ანდა მათი გამათრახება ზელეხეცკის რიტორიკის ყველა წესის მიხედვით. მე ვეკუთვნი იმ მიმართულებას, რომელიც ფხიზლად და პირდაპირ უყურებს სინამდვილეს და ცდილობს ჩასწვდეს კანონებს, რომლებიც ამ სინამდვილის მოვლენებს განაგებენ, რათა ვიცოდეთ რა გზით შეიძლება მისი გაუმჯობესება. ამ მიზანს კი ვერ მიაღწევ, თუ თვალს დახუჭავ მთელ რიგ მოვლენაზე, რათა განიხილო მხოლოდ ზოგიერთი სხვა ხასიათის მოვლენა, რომელსაც წინასწარ აკვიატებული თვალსაზრისით, ვარდისფრად თუ შავად შეღებილი სათვალეებით, — ჭვრეტენ ხოლმე. როგორც ერთხელ და სამუდამოდ ვთქვი „სალაშქრო წერილებისადმი“ შესავალში, ჩვენი ამოცანაა, რომ ყურადღებით დავაკვირდეთ სინამდვილეს, დავაკვირდეთ მოვლენებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ სპეციალისტებს აღუწერიათ სხვა, საგანგებო მიზნებისათვის. მე ვცდილობდი, პატიოსნად დავკვირვებოდი ამ მოვლენებს, რამდენადაც მყოფნიდა შორსმჭვრეტელობა და მიხვედრა: ვცდილობდი არც კარგი და არც ცუდი მხარეები არ დამემალა. თუ ბევრი ჩემი დაკვირვება და შენიშვნა, ჯერჯერობით, ცალმხრივად გაძოიყურება, მე ამას ვწუხვარ, მაგრამ დიდ უბედურებად არ მიმაჩნია. მსოფლიო მარტო ერთი წუთისათვის როდი არსებობს. ამიტომ ის, რაც არ გამოდგება და ვერ გაირკვევა ახლა, შესაძლოა სასარგებლო გახდეს შემდეგ უკეთეს ვითარებაში... ამგვარ წვრილმანებს შეუშინდებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ მომავლის რწმენა და დაეჭვებულნი არიან თავიანთი მიმართულების ძალასა და გამარჯვებაში. მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს.

აი, ახლა კი ჩვენ, მადლობა ღმერთს, საბოლოოდ და ნამდვილად შეგვიძლია შევუდგეთ ჩვენს საგანს.

გახსოვთ თუ არა მკითხველო, მძიმე 1855 წელი?[33] ეს დრო თითქმის გუშინდელ დღეზე უკეთესად მახსოვს, თუმცა იმ ხანებში მე სულ ბავშვი ვიყავი და ჯერ მხოლოდ ანბანს ვუჯექი. იმ დროის საგნები და მოვლენები წარმოადგენენ პირველ სერიოზულ მონახაზებს, რომლებიც ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში აღიბეჭდა. ხომ ცნობილია რა გამძლე და ნათელია ამგვარი მოგონებები.

ჩვენს „შინაურ“ მეგობართა შორის იყო თავადი მ*. იმხანად იგი პორუჩიკის ჩინით მსახურობდა ერთ-ერთ სახაზო ბატალიონში, რომე-

* ის მოჰკლეს გასულ 1876 წელს, როცა მას უკვე პოდპოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა.

ლიც ქუთაისში იდგა, და ხშირად თვეობით ცხოვრობდა ხოლმე ჩვენს სახლში. მოსამსახურედ ჰყავდა დენშჩიკი ნელიუბინი თუ ნელუბოვი, კარგად არ მახსოვს. არსებითად იგი გულკეთილი კაცი იყო, მხიარული მთხრობელი ბევრი საინტერესო ანეგდოტისა, რომლებიც თვითონ მას, გულუბრყვილოდ, ნამდვილ ისტორიად მიაჩნდა. ცოცხალი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, უსაზღვროდ მამაცი იყო, სამსახურში — წესიერი აღმსრულებელი და ერთ-ერთ საუკეთესო ოფიცრად თვლიდნენ. ის ხშირად გაგვიმარტავდა ხოლმე, რომ სამსახური — უდიდესი რამ არის; მაგრამ, იცით, რას გულისხმობდა ამაში?

— არც საკუთარი თავი უნდა დაზოგო, არც ჯარისკაცის ზურგიო... მაშ, არც მეტი არც ნაკლები!

ბუნებით კეთილმა ამ კაცმა, საკუთარი თავი ფიცხ ადამიანად გადაექცია. მცირეოდენი უზუსტობაც კი, მისი ბრძანების შესრულებაში, — ჯარისკაცებს კი იგი სხვანაირად არ ელაპარაკებოდა, თუ არა ბრძანებით, — ამ საყვარელი ადამიანის ბაგეებზე დორბლს გააჩენდა ხოლმე. რამდენჯერ ყოფილა, რომ იგი კეთილი გულით, არხეინად მეგაასებოდა, იცინოდა, თავზე ხელს მისვამდა, მაგრამ აი, ჩექმების ბრახა-ბრუხით, უცბად შემოაბიჯებდა ხოლმე ნელიუბინი და ჩემი მ-ც გააფთრებულ ეეფხვად გადაიქცეოდა. თვალის დახამხამების უმალ მისი ხელი, რომელიც ის იყო მე მეალერსებოდა, მუშტად შეკრული, უკვე კბილებს უმტვრევდა ნელიუბინს. ატყდებოდა გულის შემზარავი კივილი; ნაკადებად მოედინებოდა უცენზურო შინაარსის უხეში სიტყვები. პანღური, ქიმუნჯი, მუშტი („რბილ ადგილებში") მუხლისა თუ ფეხის ამოკვრა ქაოტური უწესრიგობით ენაცვლებოდა ერთიმეორეს. ასეთ ეპიზოდებში ნელიუბინს ცხვირი ყოველთვის გასისხლიანებული ჰქონდა, თმები ბღუჯა-ბღუჯად ამოგლეჯილი, სხეული დალურჯებული. მთელი სახლი ფეხზე ადგებოდა ხოლმე, ნახევრადმძინარე მამაჩემი ოთახიდან გამოვარდებოდა, ცალ ფეხსაცმელს დაჰკარგავდა ხოლმე, ხალათს უკუღმა ჩაიცვამდა და შეშფოთებული გვეკითხებოდა, რა მოხდა, სახლი ხომ არ იწვის ან თურქები ხომ არ შემოგვესივნენო? შინა მოსამსახურეები გარბი-გამორბოდნენ, შეშინებული მოახლე გოგოები ჭუჭრუტანებიდან იცქირებოდნენ; თურმე ნუ იტყვით, მთელი ამ აყალმაყალის მიზეზი ის ყოფილა, რომ ნელიუბინი ფეხსაცმელს აჭრაჭუნებდა და ვაითუ სახლის პატრონი შეწუხდესო. შემდეგ ნელიუბინს კინწისკვრით კარში გააგდებდნენ და ამ უბედურს ან თვით კარებს საშინელი დღე დაადგებოდა-ხოლმე. ბ-ნი მ-კი, ვითომც აქ არაფერიაო, მხიარულად და წყნარად მოგვიბრუნდებოდა, თვალის ჩაკვრით მიგვითითებდა დაკეტილ კარზე, ერთს გულიანად გადაიხარხარებდა და გვეტყოდა:

— ამათ უნდა ჭკუა ასწავლოს კაცმა, დიახ, უნდა ჭკუა ასწავლო, ამ გაიძვერებს!

ნელიუბინი ქურდი იყო, მაგრამ ისეთი ქურდი, რომლის მსგავსი მეორე არ იქნება ქვეყანაზე: უპირდა თუ არა, მაინც ქურდობდა, ალბათ, ჩვეულების გამო, შესაძლოა მემკვიდრეობითი ჩვეულების გამოც. ამისათვის მას ყოველ დღე უმოწყალოდ სცემდნენ, და ხშირად რამდენიმეჯერაც დღეში! მასსოვს ერთხელ იგი შეძვრა ჩვენს საბძელში — იგივე მარანში — სამი ნალი მოიპარა და თანაც ერთი ბოთლი რაღაც სასმელი გამოწრუპა. მსახურმა, რომელიც შესაძლოა თვითონაც ყლაპავდა ხოლმე იმ ბოთლიდან, დანაშაულის შესახებ თავად მ-ს მოახსენა. პორუჩიკმა ჯარისკაცებს მოუხმო. ნელიუბინი ჩვენს სამზარეულოში იატაკზე გაშხლართეს და უთვალავი როზგი უთავაზეს. ნელიუბინს, პომიალოვსკისა არ იყოს, ალბათ, ის ადგილი დაკაუებული ჰქონდა. ხმაც არ ამოუღია, თუმცა ძალიან დიდხანს წკეპლავდნენ; გამწკეპელელნი დაიღალნენ, პორუჩიკი კი ადგა და წავიდა. ნელიუბინიც ადგა... გასწორდა და გავიდა ეზოდან. ერთი საათის შემდეგ იგი დაბრუნდა, თან მოათრია მეზობლისაგან მოპარული იმერული ურმის თვალი. ხოლო იმერული ურმის თვალი — ეს არასწორი, სხვადასხვა სისქის ფიცრებისაგან ულაზათოდ შეკრული, უკოტო და უსაბურავო წრეა, რომელსაც შუაში ოთხკუთხედი ნახვრეტი აქვს თვალთან ერთად მბრუნავი ღერძის ჩასადგმელად. რაში სჭირდებოდა ნელიუბინს ეს თვალი? გაყიდვით ვერ გაყიდდა, რადგან ასეთ თვალს, და ისიც ერთ ცალს, მეორის გარეშე, არავინ ყიდულობს; ეგეც არ იყოს, მისი ფასი რაღაც კაპიკებია. მალე მეზობელმაც მოირბინა, „დანაშაული" გამომჟღავნდა, და საცოდავ ნელიუბინს ისევ დაუწყეს ცემა. დღე არ გავიდოდა ამგვარი სცენების გარეშე.

მ-სთან ერთად, ჩვენსას ხშირად იყო ხოლმე სტუმრად იმავე ბატალიონის ოფიცერი თავადი წ., რომელმაც თავისი მჭექარე ხმით არანაკლებ მქუხარე სახელი ჩასწერა მაშინდელი „ნაბიჯით წრთვნის" მატიანეებში. ისიც ბატალიონის ერთ-ერთ საუკეთესო ოფიცრად ითვლებოდა და ამის გამო წ.-სა და მ.-ს შორის ქიშპი ძლიერ შესამჩნევი იყო. რა თქმა უნდა, ეს თავს იჩენდა ხოლმე მოედანზე „წვრთნისას"; ასეულები დილით ადრე გამოჰყავდათ და წვრთნაც იწყებოდა წ.-ს ულაზათო ხმით, თუ თავად მ.-ს ბარიტონით წარმოთქმული ბრძანებით: „ერთი-ორი-სამი". აქვე ფრჩხილებში დავძენ, რომ მ. ჯანელიძის „ოქტენიებთან" ერთად ეს იყო ერთად-ერთი „საოპერო სკოლა", რომელიც მე გავიარე.

ახალგაზრდა პორუჩიკთა მარად მიუღწეველ იდეალს წარმოადგენდა თოფების ფიქტიური გატენა თორმეტნაირი მოძრაობით, ისე, რომ გვერდიდან მაყურებელს ჰგონებოდა, თითქოს თოფებს ადამიანთა მთელი წყება კი არ ტენის, არამედ მხოლოდ ერთი კაცი. მუდამ ისე ხდებოდა, რომ ხან ერთ ჯარისკაცს, ხან მეორეს, ხშირად კი რამდენიმეს ერთად ან თოფი ჰქონდა ერთი თითით წინ წამოწეული, ან იდაყვი ან

ხელი; ოფიცრები მიუახლოვდებოდნენ ხოლმე დამნაშავეებს და ზურგზე ცარცით დაახატავდნენ უზარმაზარი ზომის ნულებს. წვრთნის დამთავრების შემდეგ ეს საბედისწერო წარწერა ჯარისკაცთა სამ მეოთხედს აღმოაჩნდებოდა ხოლმე ზურგზე. ამ წარწერათა მატარებლებს ტახთ გაახდევინებდნენ ხოლმე, დანაშაულის ადგილზე გააწვენდნენ და გაოგნებამდე შოლტავდნენ... და ასე ყოველდღე, წლობით, ჩვენს თვალწინ იმართებოდა ამგვარი სცენები...

დანარჩენი ოფიცრები, გამოუსწორებელი ლოთები, ჯარისკაცებს კბილებს უმტვრევდნენ და როზგავდნენ არა ჭკუის სასწავლებლად, არამედ თავის „გასართობად". ისინი დუქნებში ისხდნენ დილიდან სალამომდე, კარტს თამაშობდნენ და განუსაზღვრელი რაოდენობით სვამდნენ ნასიან ადგილელ ღვინისა თუ არაყს. ეს ვაჟბატონები, ამიტომ, წვრთნაზე უხალისოდ მიდიოდნენ. ამასთან მათ ბოლმა აღრჩობდათ ჯარისკაცების ბიმარი, რომელიც გამოც აღელვებულნი იყვნენ კარტი თამაშისათვის თავი დაენებებინათ და ღვინის სმა შეეწყვიტათ. ამიტომაც უწყალოდ ხვდებოდათ მათგან უბედურ ჯარისკაცებს, დისციპლინის ამ უენო მონებს! „საფლავის კარამდე მიგიყვანო", — ეს იყო დევიზი ყველა უფროსისა, — უნტერ-ოფიცრით დაწყებული და უმაღლესი ჩინით დამთავრებული.

მე ახლაც კარგად მახსოვს ბატალიონის უფროსი, პოლკოვნიკი იოსელიანი, რომელიც მოჰკლეს ენგურზე 1855 წლის ნოემბერში; სწორედ ის კაცი, რომელზეც ახლაც მღერიან:

„ჩვენი იოსელიანი
ჯარს უძღოდა, ლომსა ჰგავდა,
მშობლიური რუსეთისთვის,
სიცოცხლესაც არ ზოგავდა!"

ისიც „კეთილ", ფხიზელ და წესიერ ოფიცერთა რიცხვს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ბატალიონის ჯარისკაცთა ნახევარსაც გაბედულად შეიძლება ვუწოდოთ იოსელიანისა და მის ახლობელთა ყმა-მონები. მის ბაღბოსტნებსა და სახნავ-სათესს, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ამუშავებდნენ ჯარისკაცები. ეს კიდევ არაფერი; ვინმეს მის ნაცნობთა შორის, ე. ი. მთელ ქალაქს, რომ მუშები დასჭირდებოდა საკმარისი იყო პოლკოვნიკ იოსელიანისათვის მიემართა და ისიც მისცემდა ჯარისკაცთა საჭირო რაოდენობას, რომლებიც კაპიკსაც არ ღებულობდნენ შესრულებულ სამუშაოში. მისი ყველა ოფიცერიც ასევე იქცეოდა; ჯარისკაცებიც, ცხადია, ამჯობინებდნენ უცხო პირებთან ხარებივით ემუშავათ უფასოდ, ვიდრე ზემოაღწერილ „წვრთნაზე" ევლოთ. არსებითად ბატალიონი მთელი ქალაქის მაგივრად მუშაობდა: ხნავდა, ღელეებს თხრიდა,

სახლებს აშენებდა, ჭებს იღებდა, ტვირთს ეზიდებოდა, ბავშვებს უვლიდა და ა. შ.* რა თქმა უნდა, ყოველივე ეს უწყინრად როდი ბოლოვდებოდა ხოლმე, უფასო და უზომო შრომას ჯარისკაცები თვითონვე ინაზღაურებდნენ იმით, რომ იტაცებდნენ ყველაფერს, რისი მოტაცებაც კი შესაძლებელი იყო. ქურდობა ჯარში საყოველთაო და მუდმივი მოვლენა გახდა. სხვაგვარად ან კი როგორ უნდა ყოფილიყო, თუკი უფროსების დამოკიდებულება სახელმწიფო თანხებისა და შემოსავლისადმი ამის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა.

ცნობილია, რა უმნიშვნელო ხელფასს ღებულობდნენ იმ დროს ჩვენი ოფიცრები, მაგრამ რომელმა მათგანმა დაუყოვნებლივ არ შეიძინა საკუთარი სახლი, მიწა, კაპიტალი, თუკი ორი-სამი წელი მაინც დაჰყო სამსახურში? ზოგმა პრაპორშჩიკმა და პოდპორუჩიკმა ორ-ორი და სამ-სამი სახლიც კი აიშენა. მთელმა ქალაქმა, ყველამ, დიდმა და პატარამ, იცოდა, რომ ეს ყოველივე შენდებოდა ხაზინის ქონების დატაცებით, მოიჯარადრეებთან ძმა-კაცობით, ჯარისკაცთა ძარცვით და სხვა; მაგრამ დრო იყო ასეთი, — და ვაგლახ, რომ იგი ზოგი უწყებისათვის ჯერაც არ გარდასულა სავსებით; იმ დროს, რაც უფრო უსინდისოდ და მარჯვედ ძარცვავდა ვინმე ხაზინას, მით უფრო იოლად მიიწევდა იგი წინ სამსახურში, მით უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში...

ბატალიონის ხაზინადარი ადგილობრივი ვაჭრებისათვის ბანკირის როლს ასრულებდა. ნიკეგოროდის ვაჭრობაზე წასვლის წინ მამაჩემი გამოართმევდა ხოლმე ამ ხაზინადარს სახაზინო ფულიდან სოლიდურ თანხას და ექვსი-რვა თვის შემდეგ პროცენტებით დაუბრუნებდა. ეს არავისთვის, არც უფროსებისა და არც ხელქვეითებისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, თანაც ასეთი რამ ყველას სრულიად ჩვეულებრივ და მართებულ მოვლენად მიაჩნდა...

მაგრამ რაც არ უნდა ულამაზოთ იყოს ეს წესები, თუ მოვლენები, ისინი მაინც ვერ შეედრებიან იმას, რისი მომსწრენიც ჩვენ გავხდით 1855 წლის ბოლოს, როცა ჩვენთან ქუთაისში № დივიზიის ახალი ჯარები შემოვიდნენ. ქურდობის ნაცვლად შემოღებულ იქნა კარგად ორგანიზებული ძარცვა... ოფიცრები, ძილიდან დაღამებამდე, დუქნებში ქეი-

---

* კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის ყოფილი მთავარსარდალი და კავკასიის მეფისნაცვალი ნ. ნ. მურავიოვი თავის ხსოვნებაში — „1855 წლის ომი ამიერკავკასიაში" ძალიან საფუძვლიანად განიხილავს ამ ბოროტებას და ამტკიცებს, რომ ჩვენი ჯარების საშტატო რაოდენობის თითქმის ნახევარი უკავიათ არასამწყობრო ჩინებს, რომლებიც სამსახურისათვის ამკარად საზიანოდ, თავიანთი უფროსებისათვის მუშაობდნენ. შემდეგ ნ. ნ. მურავიოვი ამბობს, რომ მთელი ჩემი ენერგიის მიუხედავად, ვერაფერი გავაწყვე ამ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც იმ დროის საყოველთაო მოვლენა იყო.

ფობდნენ, „შტოსში“ აგებდნენ უზარმაზარ თანხას, რომელიც აშკარად აღემატებოდა მათ სახსრებს. ამ აზარტულ თამაშში მომხდარი თვითეული გაუგებრობის გამო წარამარა შიშვლდებოდა ხოლმე ხმლები და დაჭრის შემთხვევები ისევე ხშირი იყო, როგორც მუშტი-კრივისა. ამ სცენების თუ დანაშაულობათა მომწყობთ არავინ სდევნიდა, ვინაიდან მაშინ საჭირო გახდებოდა ერთბაშად ოფიცერთა თითქმის უდიდესი ნაწილის დაპატიმრება და სამხედრო სასამართლოსათვის გადაცემა. მაშინ ვინღა უმეთაურებდა ჯარისკაცებს? ვაჭრებს შამპანურისა და პორტერის ყუთებს ართმევდნენ, თუკი ისინი უარს იტყოდნენ „ნისიაზე“. არ მახსოვს, რომ ვინმეს თუნდაც ერთი ბოთლი გაეხსნას წესიერად; ხმლებს სცემდნენ ბოთლს ყელში და ღვინო პირდაპირ ნაკადებად იღვრებოდა. მცხოვრებთა სახლები მთელი დღეების განმავლობაში დაკეტილი იყო, დღისით ძაღლები ყავდათ აშვებული, რათა დაეცვათ თავი ამ გაშმაგებული და სრულიად განუვითარებელი ახალგაზრდების მძვინვარებისაგან; მათ კი თავიანთი საქციელი გმირობად და სილაჯათეთ მიაჩნდათ...

ახლა ჯარისკაცები? მე ისინი ხომ ადრეც მყვანდნენ ახლოს ნანახი; ორი წლის შემდეგ კი „საქმეშიც“ ვიხილე. ჯარისკაცები უდავოდ მამაცნი იყვნენ იმ აზრით, რომ სიკვდილს არ ერიდებოდნენ... მაგრამ საჭიროა გავარკვიოთ, როგორი იყო ეს მამაცობა? იმ დროის ჯარისკაცები მამაცნი იყვნენ მხეცურად, მძვინვარედ, ველურად. ოჯახისა და სამშობლოსაგან თითქმის სამუდამოდ მოწყვეტილნი, ისინი ფიქრობდნეხ, რომ სიკვდილი მათთვის მუდმივი კატალისაგან განთავისუფლება იყო. ჯარისკაცები თავს არ იზოგავდნენ ხოლმე და გააფთრებით ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს, რომლებზეც ჯავრს იყრიდნენ და მთლიანად ანთხევდნენ დაგროვილ გაბოროტებას... მაგრამ იმ დროის წესებს მაინც არ შეეძლო, რა თქმა უნდა, ძირფესვიანად აღმოეფხვრა რუს ჯარისკაცში რუსი ხალხის ყველა კარგი თვისება. მაგრამ ეს წესები ჯარისკაცს გაძოუმუშავებდა ხოლმე გააფთრებას, გულქვაობას, გაბოროტებას. მიღებული იყო, რომ სწორედ ეს თვისებები შეადგენს ჯარის ჭეშმარიტ სიძამაცეს. ერთი სიტყვით, ყველა, ვისაც ახსოვს ის დრო, დამეთანხმება, რომ მაშინდელი ჯარისკაცები მით უფრო სრულყოფილად და საუკეთესოდ მიაჩნდათ, რაც უფრო ცოტა გააჩნდათ მათ ადამიანური თვისებები, და რაც უფრო უსულგულონი ხდებოდნენ ისინი.

აი, როგორი იყო ჩვენი ჯარები ოცწლიანი მშვიდობიანობის პერიოდის დასაწყისში, რომელიც ყირიმის ომის[34] შემდეგ დამყარდა. ეს პერიოდი აღინიშნა მრავალი რეფორმით სამხედრო უწყებაში. ახალი სამხედრო მინისტრი დ. ა. მილიუტინი, რომელიც 1861 წელს ამ რეფორმებს ახორციელებდა, მიზნად ისახავდა ევროპული ნიმუშებისათვის მიეახლოვებინა ჩვენი სამხედრო ორგანიზაციისა თუ უწყების წესები.

ფიზიკური დასჯა გაუქმდა, დაბალი ჩინებისა და ოფიცრების უუფლებობა შეიცვალა კანონიერი დისციპლინის წესებით, რომლებიც სავალდებულო გახდა როგორც ხელქვეითებისათვის, ასევე — ზემდგომთათვის. გატარდა ღონისძიებანი ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად, ოფიცერთა და ჯარისკაცთა განათლების დონის ასამაღლებლად და ა. შ. რა თქმა უნდა, სრული და სწორი შეფასება შეეძლო ეხოლოდ სერიოზული ომის პრაქტიკას. მაგრამ რა გვიჩვენა ამ პრაქტიკამ სამხედრო საქმის იმ დარგში, რომელზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ე. ი. იმ დარგში, რომელიც მათი დანიშნულების მიზანს შეადგენს?

არტაანის სიმაგრეთა იერიშის დროს ახალგაზრდა ჯარისკაცები, რომლებიც შეტევაზე გადასვლის მოლოდინში ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ, გაცსო

ნებით, ქოშინით ჩვენ არ ავქოშინდებით, მაგრამ შენ კი არ შეგეშალოს ბრძანებათქო...

— იმიტომ ვუთხარი ასე, — განმიმარტა თავისი სიტყვები, ჯარისკაცმა, რომ ერთმანეთში გადაწყვეტილი გვქონდა: უკანდახევა არავითარ შემთხვევაში არ იქნება...

*

როცა ზივინში ჯარებს უბრძანეს, ბანაკისაკენ დაიხიეთო, ჯარისკაცებს, რომელთაც თურქების სიმაგრეთა პირველი ხაზი დაეკავებიხათ, არაფრის გულისათვის ამ ხაზის დატოვება და უკანდახევა არ უნდოდათ. პირიქით, ისინი მოითხოვდნენ, ვაზნები მოგვეცითო. ისინი თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ დანარჩენ სიმაგრეებსაც ავიღებთო. რაღა თქმა უნდა, რომ სასტიკად ცდებოდნენ. მაგრამ აქ საქმე ის კი არ არის, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, არამედ ის, რომ სარდლობას ცოტა დროის დაკარგვა და მცირე ენერგიის დახარჯვა როდი დასჭირდა, რათა აეძულებინა ჯარისკაცები, დაეტოვებინათ დაკავებული სიმაგრენი და უკან დაეხიათ. ამას რამდენიმე საათი დასჭირდა.

— ამ საძაგელი ზურგჩანთების მაგივრად ვაზნებით სავსე ყაბალახები რომ მოეცათ, — მეუბნებოდნენ მაშინ ჯარისკაცები, — ზივინი ახლა ჩვენი იქნებოდა.

— თქვენო აღმატებულებავ, ეუბნებოდა ერთი ჯარისკაცი გენერალ ჰეიმანს, — თურქის განადგურება ძნელი არ არის, ოღონდ ყველაფერი საქმის ცოდნით უნდა კეთდებოდეს.

არტილერია რატომ არ გვეხმარება, რატომ სროლას არ იწყებს? — წარამარა ამბობდნენ ჯარისკაცები. ბრძოლის დროს, სწორედ იმ წუთებში, სანამ მოძრაობას დაიწყებდეს ქვეითთა ნაწილები, საჭიროა ბრძოლის ნიადაგის მომზადება წინასწარი საარტილერიო ცეცხლით...

— აი, ვხედავთ, — მეუბნებოდა ზივინში ერთი ჩვენი ჯარისკაცი, — თურქებს მარჯვენა ფლანგზე კავალერია გამოჰყავთ. ახლა კი, ვფიქრობთ, ჩვენებიც მის წინააღმდეგ ჩვენს კავალერიას გამოიყვანენ-თქო. "შენც არ მომიკვდე! ველოდებით, აბა საიდან გამოჩნდება და აბა, საიდან-თქო, მაგრამ იქ ჩვენი კავალერია სულაც არ გამოუყვანიათ. განა ასე შეიძლება? კავალერია ყოველთვის უნდა იდგეს ქვეითი ჯარის ფლანგებზე, უკან კი არტილერია უნდა მისდევდეს!

მე შემეძლო ხუთი ნაბეჭდი თაბახი ამევსო ჯარისკაცთა ასეთი და სხვა მსგავსი მსჯელობებით. მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია ეს მაგალითებიც, რომლებიც მე სრულებითაც არ ამომირჩევია, არამედ მხოლოდ ის დავწერე, რაც პირველად გავიხსენე. ამასთან ერთად, სხვათა "შორის, მე უნდა აღვნიშნო ჯარისკაცთა დამოკიდებულება ჩვენდამი, კორესპონდენტებისადმი, ანუ „სკოროპადენტებისადმი", როგორც მათ შეგვარქვეს. ჯარისკაცებს არაერთხელ მოუმართავთ ჩვენთვის შეკითხვით —

იქნებით, ვითომ, თქვენ იმდენად გამბედავნი და სამართლიანნი, რომ აღწერთ ყველა ამ შეცდომას, „თუ თქვენც შეშინდებით და გაჩუმდებითო“. — ეჰ, შიშით კი არაფრის გვეშინია, — ვფიქრობთ გულში, ძაგრამ...

— ადრე თუ გვიან ყველაფერი ცნობილი გახდება, ყველაფერი გამომჟღავნდებამეთქი, — ვპასუხობ ცოტად თუ ბევრად დამაჯერებელი ტონით.

ყველა ამგვარი უთვალავი ფაქტიდან საერთო, უეჭველი და თვალსაჩინო დასკვნა ის არის, რომ ჩვენმა არმიამ აშკარა და მრავალმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, რაც, ჩემი აზრით, უფრო დასაფასებელია, ვიდრე ათობით მქუხარე, მაგრამ დაუმსახურებელი ან იოლი გამარჯვება. არმიამ დაიწყო ფიქრი, მსჯელობა, დაადგა შეგნებული დისციპლინის გზას, ურომლისოდაც არ არსებობს არმია, — არის მხოლოდ მანქანა, რომელიც დაიშლება პირველივე წარუმატებლობისთანავე, როგორც კი ჯარისკაცები დაჰკარგავენ ბრმა რწმენას უფროსთა უცოდველობის შესახებ. ჩვენმა ახლანდელმა ჯარისკაცმა შეინარჩუნა რუსი ხალხის ყველა კეთილი თვისება, რომელსაც მასში აღარავინ დევნის როზგითა თუ კაბალით, და შეიძინა ცოდნა, რომელიც მას ძალებს უორკეცებს. ის აღარც გამძვინვარებულია და არც გამხეცებული როზგებქვეშ, ხოლო ბრძოლაში იგი ახლა შეგნებული ვალდებულების გრძნობით მიდის, რადგან ახსოვს, რომ, რაც უფრო ჭკვიანად და აზრიანად მოიქცევა, მით უფრო მეტი შანსი აქვს სიკვდილს გადაურჩეს, ხოლო არმიამ — მეტ წარმატებას მიაღწიოს. ამიტომაა, რომ ახლა ის ყოველნაირად იწაფება, ცდილობს ადგილმდებარეობას შეეგუოს, მტრის შეცდომებით ისარგებლოს; ამხანაგებს ეთათბირება, თავისი ჭკუით ფიქრობს და არჩევს, როგორ აჯობებსო და ა. შ. რამდენად უკეთესი და სასარგებლოა ამგვარი ძალა ჩვენს წინანდელ შეუგნებელ ძალასთან შედარებით, — ამაზე ვრცლად ლაპარაკი საჭირო არ არის, ეს ყველასათვის გასაგები და საგულისხმოა.

მეორე გარემოება. ყველა ოფიცერი და ყველა პიროვნება, რომლებსაც ჯარისკაცებთან ურთიერთობა აქვთ, გაკვირვებულნი არიან ერთი საერთო დაკვირვებით: რაც უფრო ახალგაზრდაა ჯარისკაცი, მით უფრო უკეთესი, უფრო მონდომებული და დისციპლინირებულია ამ სიტყვის კარგი გაგებით. ახლანდელ ჯარისკაცთა შორის ყველაზე სუსტებად, თქვენი აზრით, ვინ ჩაითვლება? — ვინ და უვადო შვებულებიდან ხაძდვილ სამსახურში ხელახლა გამოწვეულნი. ამათზე უფრო არავინ ცდილობს ეშმაკობით დააღწიოს თავი სამსახურებრივ მოთხოვნებს, თავი აარიდოს მუშაობას, ფონს გავიდეს სხვის ხარჯზე, რაღაცა მოიტაცოს, ხოლო, თუ შესაძლებლობა მიეცემა, ყარაფაფახიანებსაც ამოუდგეს გვერდით ძარცვის საქმეში. ხოლო იმ ახალგაზრდა ჯარისკაცთა წრეში,

რომლებიც ჯერ შეებულებაში არ ყოფილან, ამგვარი შემთხვევები ძლიერ იშვიათია და წარმოადგენს გამონაკლისს, რომელსაც დევნის ახალგაზრდა ჯარისკაცთა საერთო სულისკვეთება. მეორე მხრივ შენიშნულია, რომ რაც უფრო მცოდნეა ჯარისკაცი, რაც უფრო მეტად კითხულობს წიგნებს, მით უფრო დიდია მისი გულმოდგინება არა იმდენად საფრონტო სამსახურისადმი, რამდენადაც საბრძოლო და სამოხალისო საქმეებისადმი. მოხალისეებად, უწინარესყოვლისა, ასეთები მიდიან ხოლმე; საბრძოლო სამსახურის მოთხოვნებსაც სიხარულითა და ხალისით სწორედ ისინი ასრულებენ. რაც შეეხება შეებულებაში ნამყოფთ, ანდა უწიგნურთ, ესენი საბრძოლო მოთხოვნებს არაკეთილსინდისიერად ასრულებენ, განსაკუთრებით პირველნი. ეს ჯარისკაცები ხომ შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ რამენაირად თავიდან აიცილონ ესა თუ ის დავალება. კიდევ ისაა შენიშნული, რომ რაც უფრო ახალგაზრდა და გახვითარებულია ჯარისკაცი, მით უფრო დიდად არის იგი ახლანდელი ომის მნიშვნელობით გატაცებული და მისდამი რწმენით გამსჭვალული. თავისთავად იგულისხმება რომ ყოველივე ეს მომავალში ხელმძღვანელ წრეებს ახალ ბიძგს მისცემს ჯარისკაცთა შორის ცოდნის კიდევ უფრო მეტად განვითარებისათვის. ბნელეთის მოციქულთა და უვიცობის მომხრეთა ქადაგება, თითქოს განათლება შეუთანხმებელი იყოს დისციპლინასთან, თითქოს იმისათვის, რომ ძლიერი არმია იყოლიო საჭიროა იგი წინასწარ დავაბრმავოთ, ბრწყინვალედაა უარყოფილი ყველა იმათ თვალში, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონდა შემთხვევა, რომ ჩვენი ახალი ჯარები ბრძოლაში ენახა. ჯარისკაცთა განათლების იდეამ ახლა მოქალაქეობის უფლება მოიპოვა ისეთი უტყუარი დამაჯერებლობით, რომ „რუსკი მირის“ [24] ბრიგადირებსაც კი აღარ შეეძლებათ მომავალში კრინტი დასძრან მის წინააღმდეგ... ჩვენი წარუმატებლობანი არაფერს არ ასაბუთებს ამ საკითხში. ისინი გამოწვეულია არა იმით, რომ ჩვენს ახალ ჯარებს აკლიათ დისციპლინა, სიმტკიცე, გულმოდგინება და ბრძოლის ცოდნა, არამედ მათი მცირერიცხოვნობით და სხვა გარემოებებით, რომლებიც სრულიად არ არის დამოკიდებული ჯარისკაცთა მომზადებაზე და კეთილნებაზე. თავის მხრივ ჯარისკაცებმა ამ წარუმატებლობათა დროს ყველაფერი გააკეთეს რისი მოლოდინიც შეიძლება ჰქონოდა კაცს, თუნდაც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო არმიისაგან. მე ვამბობ იმის შესახებ, რაც ჩემი თვალით ვიხილე და რაც ჩემთან ერთად ასობით ოფიცერმა დაინახა; და ამას ვამბობ სრული რწმენით, რომ ქვეყანაზე არ არსებობს არც ერთი თვითმხილველი, არც ერთი პატიოსანი კაცი, რომელიც გაბედავდა, ან განიზრახავდა, ამ წარუმატებლობის დაბრალებას ჩვენი ახალგაზრდა ჯარისათვის; ან კიდევ იმას, რომ ჯარს თითქოსდა არა აქვს დისციპლინა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის უნარი. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით დავა ძველისმიმდევართა და ახა-

ლი წესების მომხრეთა შორის გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს და არქივს ჩაბარდეს. გამარჯვება და თანაც უეჭველი, სრული და გადამწყვეტი გამარჯვება ამ პუნქტში განათლებისა და ახალი წესების მომხრეთა მხარეზე დარჩა.

*

ოფიცრობას თუ გადავხედავთ, ჩვენ დავინახავთ, რომ პროცენტი ახალგაზრდა ოფიცრებისა, რომლებსაც მიღებული აქვთ ზოგადი და სპეციალური სამხედრო განათლება, სულ უფრო და უფრო იზრდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მნიშვნელოვანმა ელემენტმა ჩვენს ჯარებში უკვე მოიპოვა უპირველესი როლი. ეს ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ახლა არმიაში უკვე ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სამხედრო სამსახურში რაღაცას იმაზე უფრო მეტს ხედავს, ვიდრე გამდიდრების საშუალებას! მაგრამ პროგრესი, რომელიც უეჭველად უკვე განხორციელებულია ამ მიმართულებით, კიდევ ბევრს გვიტოვებს სასურველს. ახალგაზრდა ოფიცრებში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სამხედრო გიმნაზიები, ცოტა როდი გვხვდება ისეთი, ვისაც არ დაუკარგავს „პირველი სიყვარულის ენა და მგზნებარება“ და ვინც სიყვარულით ეკიდება თავის საქმეს. ამაზე მე ქვემოთ ვილაპარაკებ. მეორე მხრივ, ამ ახალ ელემენტებსა და ძველის ნარჩენებს შორის გარდუვალად და ბუნებრივად წარმოშობილი ბრძოლა ჯერ კიდევ ძლიერ ძნელი და მძიმეა, თანაც პრაქტიკულად გამარჯვება არაერთხელ დარჩენიათ „მათ“... ომის დასაწყისში ეს ბრძოლა განსაკუთრებული გამოკვეთილებით იჩენდა ხოლმე თავს. ვეტერანები იქვნეულად ეკიდებოდნენ განათლებულ და ახალგაზრდა ოფიცრებს, დიდად როდი სწამდათ მათი მამაცობა და საბრძოლო მომზადება. პირველმა იერიშებმა, განსაკუთრებით არდაგანთან, თითქოს კიდევ მეტად დაასხეს ცეცხლს ნავთი. ჩვენი ძველი ოფიცრობის ბრწყინვალე მხარეებმა — აშკარა პირადი მამაცობა, ფათერაკის წყურვილი, სიკვდილთან პირისპირ მისვლა — პირველ ხანებში დაჩრდილეს განათლების ღირსებანი, მით უმეტეს, რომ ჭაბუკებისათვის ეს იყო პირველი ნაბიჯი გადადგმული ნამდვილ ბრძოლაში. ოფიცრებს შორის ამბობდნენ ხოლმე, რომ განათლება ცხოვრებას აყვარებს კაცს და ჰკლავს მასში მამაცობასო; თუ გინდა, რომ მამაცი ოფიცერი იყო, უნდა უწიგნური იყოო. მაგრამ უკვე არდაგანთან ბრძოლაში ბევრმა ახალგაზრდა ოფიცერმა არანაკლებ ისახელა თავი მამაცობით, ვიდრე უფროსმა თაობამ, თუმცა წარჩინებულთა პროცენტი პირველთაგან განსაკუთრებით დიდი არ ყოფილა, მეორე კატეგორიის ვაჟკაცებთან შედარებით. ომის შემდგომმა მსვლე-

ლობამ, სხვათაშორის, გამოააშკარავა, რომ ჩვენი დროის ოფიცრებისათვის არ კმარა მხოლოდ პირადი შეუპოვრობა იერიშების დროს. აუცილებელი აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ ოფიცრებმა ჯარისკაცები მოამზადონ ხოლმე შეტევისათვის, გამოიჩინონ უნარი ადამიანური ენით მათთან საუბრისა და გამოიყენონ თანამედროვე სამხედრო მეცნიერების მონაპოვარი ჯარისკაცთა სასარგებლოდ: აქ, ლაშქრობებსა თუ ბანაკად ყოფნის დროს, განათლებულმა ოფიცრობამ იწყო გადაძლევა, როგორც თვით ოფიცერთა თვალში, ისე ჯარისკაცთა შეგნებაშიც. შემდეგ, მომდევნო ბრძოლებში კი, სადაც საჭირო გახდა არა მარტო იერიშის „furua" არამედ გამძლეობა, თადარიგიანობა, საფრთხის ხანგრძლივად ატანა და, ყოველივე ამასთან ერთად, კიდევ ენერგიისა და სიმშვიდის შენარჩუნება, საყოველთაო სიმპათია აშკარად გადაიხარა განათლებული ოფიცრებისაკენ. ამ მხრივ ზივინმა მცირე როლი როდი შეასრულა მათ სასარგებლოდ. აქ შერყეულ იქნა ომის წარმოების ჩვენი ძველი სისტემის ავტორიტეტი; იერიშებისა და შუბლით კედლის გახეთქის მომხიბვლელობა უცებ გაქრა. რთული, წინასწარმოფიქრებული, შემოვლითი ოპერაციების სისტემამ უეცრად გაიდგა ფესვები ყველა დაბალ სფეროში მეტ ნაკლები თვალნათლივობით, ამასთან ერთად არმიის თვალში გაიზარდა სამხედრო მეცნიერების და ახალგაზრდა ოფიცრების მნიშვნელობაც. უფრო მეტიც: ზივინთან თვითონ ამ ოფიცრებმა თავიანთი გმირობით ბრწყინვალედ უარყვეს ის აზრი, თითქოს განათლება შეუთავსებელი იყოს მამაცობასთან. რა თქმა უნდა, აქაც იყო გამონაკლისი, — სად არ არი ხოლმე იგი, — მაგრამ ამ გამონაკლისებზე შემდეგ. უმრავლეს შემთხვევებში კი სამწყობრო ოფიცერთა შორის ახალგაზრდები მეტოქეობას უწევდნენ უფროს თაობას პირად მამაცობასა და ამტანობაში. აქ ვეტერანებმა პირველად გაუყადრეს თავი ახალგაზრდებს და დაამყარეს მათთან „თანასწორთა დამოკიდებულება თანასწორებთან".

ამ მხრივ საქმე კიდევ უფრო უკეთესად მოგვარდა ყარსთან. ახალგაზრდა ოფიცრებმა, განსაკუთრებით არტილერისტებმა, პირველივე გასროლებით ააფეთქეს მათდამი ქედმაღლური დამოკიდებულება ძველი სამხედრო პირების მხრივ, რომლებმაც, ბოლოს, მათ წინაშე სრული კაპიტულაცია აღიარეს და მთლიანად დანებდნენ. აქაც, მესანგრეებშიც, ახალგაზრდათა გამარჯვება „მამებზე" სრული და უდავო იყო. ამიტომ არის რომ, ვეტერანებმა საკმაოდ აშკარად აღიარეს ეს ფაქტი. ქვეით ჯარში საქმე ასეთ უდავო აღიარებამდე არ მისულა, მაგრამ ყოველი ყურადღებიანი დამკვირვებლისათვის უეჭველია, რომ თანასწორობა უკვე აქაც მყარდება. ყველაზე მამაცნი და ყველაზე საუკეთესონი ვეტერანთა და, აგრეთვე, იმ ოფიცერთა შორისაც, ვისაც თეორიული სამხედრო განათლება არ მიუღია, დიდი სი-

ამოვნებით შევიწროვდნენ, რათა თავიანთ რიგებში მიეღოთ და თავიანთ ღირსად ეღიარებინათ ახალგაზრდა ოფიცრები. რაც შეეხება დამყაყებულ „ბურბონებს“, მათ ნელ-ნელა უკვე იპყრობს „კონფუზი“ და ახლა უკვე აღარც მათი მანერები ხასიათდება ძველებური მოურიდებლობით. ახლა მათაც იკადრეს საკუთარ მისწრაფებათა ალაგმვა და, როგორც ჩანს, სულის სიღრმეში ისინიც ხვდებიან, რომ მათი დრო წავიდა... ყოველ შემთხვევაში, მათი წადილი, რომ როგორმე აღადგინონ ძველი წესები ანდა 1855 წლის დროინდელი ზნე-ჩვეულებანი, რომელიც ზემოთ აღვწერე, იმდენად ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა თვით ოფიცერთა შორის, რომ მათ, ყოველდღიურად, სულ უფრო და უფრო ეკვეცებათ ფრთები.

ლაშქრობათა პირველსავე კვირეებში მთელი სულითა და გულით გავიხარე, რაკი დავრწმუნდი, რომ ძველებური ღრეობანი და უმსგავსოებანი ჩვენს არმიაში სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, „შტოსსა“ და განუწყვეტელ ლოთობაზე უკვე ლაპარაკიც აღარ არის ჩვენს ბანაკებში, აქ იშვიათად თუ წააწყდებით უწყინარ პრეფერანსს, როცა ჯარს დიდხანს უხდება ხოლმე ერთ ადგილას ყურყუტი. ამასთან ამას შტაბებში უფრო აქვს ადგილი, ვიდრე მწყობრში. კიდევ უფრო იშვიათად წააწყდებით ჯარში ქეიფს. ბევრი-ბევრი, თუ გულითად ამხანაგებთან საუბრის დროს ლუდის რამდენიმე ბოთლისა და შამპანურის იშვიათი დალევის შემდეგ ოფიცრებმა სუფრა დატოვონ ხოლმე „მხიარულ“ გუნებაზე. სამაგიეროდ, მე ჯერ არც ერთხელ არ მინახავს ლოთობის ისეთი სცენები, რომლის მომსწრე ასე ხშირად ვყოფილვარ 1855 წელს, როცა ოფიცრები სვამდნენ და არა მარტო თვრებოდნენ, არამედ ტალახში გორაობდნენ. უმრავლესობა მუშაობს, დაინტერესებულია ლიტერატურით, ხარბად ადევნებს თვალს პრესას, იწერენ თავისთვის, ღმერთმა უწყის რანაირად ნაშოვნი ფულით, ჟურნალ-გაზეთებს, ბოლო არ აქვს წაკითხულის განხილვას, კრიტიკას, კამათს. არანაკლებ სასიამოვნო თავისებურებათა რიცხვს მიეკუთვნება, აგრეთვე, ის კეთილშობილი აღშფოთებაც, რომელსაც ოფიცრები გამოთქვამენ ხოლმე, როცა ისინი გაზეთებში პოულობენ არასწორ, განსაკუთრებით გაზვიადებულ და გაბერილ აღწერას იმ ამბებისას, რომელთა მონაწილენი და თვითმხილველნიც თვითონვე არიან... რაღა თქმა უნდა, რომ მათ ამ მსჯელობასა თუ გამოხმაურებაში ჩვენ მუდამ ვხედავთ სრულ გულწრფელობასა და დამოუკიდებლობას, ხოლო ურთიერთობაში უფროსებთან, რომელთა სიტყვასა და საქმეს ისინი კრიტიკულად ეკიდებიან ხოლმე, თუმცა ამით სამხედრო დისციპლინას ოდნავადაც არ ბღალავენ, ნიშანკვალსაც ვერ იპოვით ვერც პირმოთნეობისას და ვერც ლაქიობისას.

ახალგაზრდა ოფიცერთა შორის, და, უნდა ვაღიაროთ, მხოლოდ

მათ წრეში, მივაკვლიეთ მომავლის ურყევ რწმენას, ენთუზიაზმს, გულდაჯერებულობას, რომ ამა თუ იმ პირს კი არა, არამედ საქმეს ვემსახურებით, და ვხედავთ, აგრეთვე, უანგარო თავდადებას საქმისადმი, რომლის სიწმინდე მათ ბავშვური გულუბრყვილობითა და გულწრფელობით სწამთ. მათ შორის, უფრო მეტად ვიდრე სხვებში, სრულებით არ შეიმჩნევა კარიერისა და ჯილდოებისადმი მისწრაფება. სამაგიეროდ ფართოდ არის გავრცელებული რწმენა, რომ მათთვის ყველაზე საუკეთესო ჯილდოს წარმოადგენს მოვალეობის შესრულების გრძნობა. ვიმეორებ, ყოველივე ეს ჯერ კიდევ ჩანასახურ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს მონაცემებიც კი, რომლებიც უკვე ყველასათვისაა შესამჩნევი, უეჭველად ცხადყოფენ, თუ საითკენ მიდის შემდგომი განვითარება.

ახლა საკითხავია, შეიძლება თუ არა გადავწყვიტოთ, ვის მხარეზე დარჩა გამარჯვება ზემოთხსენებულ პუნქტში, ე. ი. ბრძოლაში ძველის მიმდევრებსა და რეფორმის მომხრეებს შორის. გულზე ხელს დავიდებ და ისე ვიტყვი, რომ საკითხი ჯერ-ჯერობით კიდევ ღიად უნდა დარჩეს, და აი რატომ.

ეჭვი არ არის, რომ ახალგაზრდა და განათლებულმა ოფიცრებმა სამხედრო ცხოვრება დაიწყეს უკეთესი და უფრო სასარგებლო მისწრაფებებითა და მონაცემებით, ვიდრე ვეტერანებმა... მაგრამ ეს მონაცემები ისეთ ნიადაგს ხვდებიან ხოლმე, რომლებიც სრულებითაც არ არის ხელსაყრელი მათი შემდგომი განვითარებისათვის. თუ სასურველია რომ ჩვეულებრივი ბუნების ადამიანებმა დიდხანს შეინარჩუნონ მოვალეობის სიწმინდის რწმენა და უანგარო სამსახურის სურვილი, აუცილებელია, რომ გარემო, რომელშიც ისინი ხვდებიან, მდუღრით არ თუთქავდეს და არ ახშობდეს ამ კეთილშობილურ მისწრაფებებს. ცხოვრების ილუზიები — ისეთი აზიზი მცენარეა, რომელიც შესაფერის გარემოს მოითხოვს. ამის გარეშე ილუზიები ჭკნება და იცვლება ისეთი აღვირახსნილი მიმართულებით, რომელშიც განათლება და მომზადება ამიერიდან წარმოადგენს არა სასარგებლო ელემენტს, არამედ — საზიანოს. ამის საბუთებს ჩვენ უხვად გავეცანით ჩვენი მშობლიური მხარის სამოქალაქო ცხოვრებაში, ადვოკატების მაგალითზე. აქ განათლებამ მხოლოდ აღვირი ახსნა ინსტინქტებს ექსპლოატატორებისას, რომლებიც ურცხვად შეუდგნენ მათ ანაბარა მიგდებული ბნელი და დაუცველი მასის კრეჭას...

ახალგაზრდობაში პატიოსანი რწმენა რომ არ ჩაიხშოს, ამისათვის, უმეტეს შემთხვევაში, საჭიროა, რომ თვით ის გარემო შეესაბამებოდეს ამ მისწრაფებებს, რომელშიც ჩვენს ჭაბუკებს ტრიალი და მოქმედება უხდებათ. როცა საქმისადმი უანგარო ერთგულება და მოვალეობის პირნათლად შესრულება გარშემო მყოფთა მხრივ მხოლოდ ზიზღსა

და ირონიას იწვევს, ხოლო სამსახურში — უსიამოვნებას, როცა, ამასთან ერთად, წახალისებულია მონური მორჩილება, როცა შრომისა და ტალანტის კუთვნილს დაუმსახურებლად მიანიჭებენ ხოლმე გვარიშვილობასა და პირმოთნეობას, მაშინ ახალგაზრდათა უმრავლესობას ეჭვები უჩნდება, — „ვაი, ჩემს სულელ თავს, რომ არ ვსარგებლობ ცხოვრებით და მისი უკუღმართი წესებით. მე რა, სხვაზე ნაკლებად შემიძლია თუ პირმოთნეობა, მლიქვნელობა, ქურდობა, მოყვრობა და ა. შ.“ და აი, ნაბიჯ-ნაბიჯ იწყება ჩაძირვა, „გარემოს მიერ შთანთქმა“, „სინდისით კაპიტულაცია“ და ა. შ. პირველ დაცემულთა მაგალითი, სამსახურში მათი ხელოვნური აღზევების გამო, სხვა სუსტ ადამიანებში ზიზღს კი არ იწვევს, არამედ წაბაძვის სურვილს. და აი, ახალგაზრდები დასტებად ეცემიან ხოლმე როგორც მუყაოს ხუხულები. ახლა კი მათი განათლება, რომელმაც ანგარებიანი მიმართულება მიიღო, იწყებს მავნე მხარეების გამომჟღავნებას. სწორედ ამიერიდან აშკარა ხდება, რომ რაც უფრო განათლებულია ზნედაცემული პიროვნება, მით უფრო მავნეა იგი საქმისა და ამხანაგებისათვის, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ამ დროს მთავარი ჟინი, რომელიც ეუფლება ამგვარ პიროვნებებს, ეს არის რენეგატთა სიძულვილი იმათდამი, ვინც თავისი ძველი რწმენის ერთგული დარჩა... აშკარად ყალიბდება მისწრაფება კაბალაში მოაქციონ ის პატიოსანი პიროვნებანი, ვინც შეძლო სინდისის გზაზე სიმტკიცე და ნებისყოფა გამოეჩინა. ყველა მეცნიერული ნიჭი და უნარი, იძულების წესით მოქცეულია უვიცების სამსახურში, რათა ამ უკანასკნელებმა მოახერხონ მოწინააღმდეგეთა სიმტკიცის გატეხა. ამგვარი მაგალითების მოტანას ჩვენთვის საინტერესო სინამდვილიდან მე არ შევუდგები. ჩემი სტატია ისედაც გრძელი გამოვიდა...

ახლა გადავიდეთ საქმის სხვა მხარეზე, რომელიც ნაკლებ საინტერესო როდია, ვიდრე ახლახან აღნიშნული.

ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ევროპის თანამედროვე არმიის სრულ ენერგიას, არის პრინციპი: ყველას, ვინც კი ღირსია, ხელი მიუწვდება ჯილდოზე. ცუდია ის ჯარისკაცი, თქვა ნაპოლეონ I, ვინც მარშლის კვერთხზე არ ოცნებობსო. ამ პრინციპის პარალელურად უნდა მოქმედებდეს მისი შემცვლები პრინციპებიც: ფავორიტიზმისა და პრივილეგიების სრული განდევნა. თუ მიზნის მიღწევა შესაძლებელია არა საკუთარი თავის განსაცდელში ჩაგდებით, ანდა დღენიადაგ შრომით, არამედ — სალონებში ფლატუნისა და არშიყობის გზით, მაშინ მეც ყოველთვის იმას ვეცდები, რომ როგორმე ეს სასიამოვნო საქმე შევუერთო ხოლმე სასარგებლოს, ვინემ შუბლი მივუშვირო მტრის ტყვიას. ეს ყველა-ყველა, მაგრამ, თუ ჩემს წინაშე უეჭველად და გარდუვალად იშლება კარიერისა და პატივისცემის თელილი გზა და თუ, ამასთან, ყველა ეს

სიკეთე ჩემი ქმედებისაგან დამოუკიდებლად მენიჭება ხოლმე, მაშინ მეც უნებლიედ, სწორედ იმის გამო, რომ დარწმუნებული ვარ ყველა ამ სიკეთეს თავიდან ვერ ავიცდენმეთქი, მიჩნდება მისწრაფება შევინარჩუნო ჩემი ტყავიცა და ვინაობაც. ამ თვალსაზრისით სამხედრო სამყაროში ყველაზე საშიშია პრივილეგირებული კორპერაციები, რომელთადმი მარტოოდენ კუთვნილებაც კი ადამიანს ნამდვილ, უეჭველ და სწრაფ გზას უხსნის წარმატებისაკენ. ერთხელ თუ მოხვდა კაცი ამ კორპორაციაში იგი თითქოს უკვე მიზანს აღწევს და რაც უფრო ძნელი იყო იქ მოხვედრა, მით უფრო ფრთხილად ეკიდება იგი შეძენილ უპირატესობას. ეს პრივილეგირებული მდგომარეობა, რომელიც ადამიანს ეძლევა დაბადებით, სიმდიდრით თუ განათლებით, ისევე როგორც ყველა სხვა პრივილეგია, რყვნის არა მარტო მას, ვისაც იგი მინიჭებული აქვს, არამედ იმ პიროვნებებსაც, რომელთაც მასთან ურთიერთობა აქვთ. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მთავარი საფუძველი ცრურწმენისა, — თითქოს განათლება მამაცობას გამორიცხავს. აქ მას გამორიცხავს არა იმდენად განათლება, რამდენადაც მის მიერ მინიჭებული პრივილეგიები...

იტყვიან, რა თქმა უნდა, რომ მე ლაპარაკი გავაბი დაბალ მატერიებზე, დაბალ მისწრაფებებზე თუ განზრახვებზე; სად მამაცობა და საქმისადმი სამსახური, სად ბოლოს და ბოლოს, პატივმოყვარეობა და ყველა ეს ბურჟუაზიული გულისწადილიო. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ეს მართალია მხოლოდ შედარებით იშვიათი პიროვნებების, ე. ი. გამონაკლისების მიმართ. რა თქმა უნდა, პრივილეგირებულ ფენებშიც გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც იდეას ემსახურებიან. არიან ისეთებიც, ვისაც კეთილშობილური პატივმოყვარეობა ნებას არ აძლევს, რომ უკვე მოხვეჭილი დაფნის გვირგვინით დაკმაყოფილდეს, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ არა გამონაკლისებზე, არამედ უმრავლესობაზე, ჩვეულებრივი დონის ადამიანებზე, ხოლო მათთვის, ბატონებო, წვრილმანი განზრახვანი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებიან უპირველეს მამოძრავებელ სტიმულად... ზემოთქმული სავსებით მიუდგება იმათ, ვინც მოითხოვს საგანთა ამგვარი მდგომარეობის პრინციპულ შეცვლას.

საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ, რუსი ხალხის დემოკრატიული ბუნებისა და ინსტინქტების მიუხედავად, ალბათ, არც ერთი ევროპული არმია არ იქნება ისეთ არისტოკრატიულ საწყისებზე ორგანიზებული, როგორც ჩვენი. ოფიცრობას საფუძვლად უდევს პრივილეგიები მთელი თავისი ბრწყინვალებით. თავადაზნაურული წარმოშობა ძლიერ დიდხანს იყო ერთადერთი გასაღები ჩინებისაკენ. ყველა სხვა პირობათა — განათლების, ნიჭის, ყოფაქცევის — თანასწორობისას, თავად-აზნაურნი ოთხჯერ უფრო სწრაფად აღწევდნენ ხოლმე ჩინს სამსახურში, ვიდრე

უაზნონი. დაბალ ჩინოსნებს ვერც გმირობა, ვერც განათლება ვერ მისცემდა დაწინაურების უფლებას, თუ არა რაიმე სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა. უკანასკნელი დროის რეფორმებში, სხვათა შორის, შეინიშნება ამ მოძველებული წესებისაგან თავისდაღწევის სურვილი. მაგრამ ამ გზაზე არსებითი ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული.

ამავე დროს არავითარი ეჭვი არ არის, რომ უკვე მხოლოდ ამის შედეგად არმიას ძლიერ ბევრი აკლდება წარმატებისა თუ ძლიერების და განსაკუთრებით ნიჭიერების მხრივ. თანამედროვე რუსეთის ყოველდღიურმა ცხოვრებამ საეჭვოა შეძლოს მტკიცე, ენერგიული და გულადი პიროვნებანი გამოწვრთნას; ისეთები, როგორსაც ასე ხშირად წამოსწევს ხოლმე თავის წიაღში გლეხობა, საშუალო ან სასულიერო წოდება. სხვათა შორის, ამით აიხსნება ამგვარ მშვენიერ პიროვნებათა სიმრავლე ჩვენს სამხედრო-სამედიცინო პერსონალში, სადაც დიდი ხანია შესვლის შესაძლებლობა აქვს ყველა წოდებას, და, მეორე მხრივ, უძლურ განაზებულ, ქალაჩუნა პიროვნებათა სიმრავლე ოფიცერთა წრეში...

საფრანგეთის არმია გასული საუკუნის დასასრულიდან უეცრად გარდაიქმნა და გაძლიერდა სწორედ იმის გამო, რომ მისი კარი ღია გახდა ყველა წოდებისათვის; და ყველა წოდებას შეეძლო ერთნაირად ჰქონოდა იმედი დაწინაურებისა, რაც მხოლოდ მამაცობის, ჭკუისა თუ დამსახურების საფუძველზე ხდებოდა. იმის შეგნება, რომ ეს სამი თვისება საკმარისია უმაღლეს თანამდებობათა და პატივის მისაღწევად, ისეთი უდიდესი ძალაა არმიაში, რომ მისი უგულებელყოფა ყოვლად შეუძლებელია. იგი სასწაულებს ახდენს, ენთუზიაზმსა და შთაგონებას ბადებს... ვფიქრობ დადგა დრო, გავიხსენოთ ყოველივე ეს...

აი, რა საფუძველი მქონდა მაშინ, როცა ვამბობდი, რომ ოფიცერთა საკითხში გამარჯვების შესახებ (ძველი და ახალი წესების მომხრეთა დავის შესახებ) ჯერ კიდევ შეუძლებელია საბოლოოდ, გადაწყვეტით ვილაპარაკოთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ახლა უკვე შეგვიძლია გაბედულად ვამტკიცოთ, რომ რეტროგრადებმა წააგეს ფსონი. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს იგი პროგრესისტებმა მოიგეს. მათ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვუსურვოთ მათ სრული წარმატება, თუ ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რითაც კი შეიძლება, რომ გამარჯვებას მიაღწიონ ამ მნიშვნელოვან პუნქტში...

ახლა ჩვენ ერთი საფეხურით მაღლა უნდა ავიდეთ, დაუვიწყარი ჩიჩიკოვის[16] მაგალითს მივყვეთ და გენერლების ისტორიას შევუდგეთ. მაგრამ გზა, რომელსაც უნდა დავადგეთ მოლიპული და ეკლიანია. მით უმეტეს, რომ მოგვიხდება ვიმსჯელოთ ისეთ საკითხებზე, რომელთა

შესახებაც ძლიერ შეზღუდული რაოდენობის მაგალითები გაგვაჩნია.

გენერლებს უფრო მეტად, ვიდრე ჯარისკაცებს, მხოლოდ ომი ბადებს, მხოლოდ სერიოზულ საომარ პრაქტიკას შეუძლია წამოაყენოს განათლებულ და საქმიან ოფიცერთა წრიდან ბუნებრივი სამხედრო ნიჭით, ე. ი. ომის გადამწყვეტი პუნქტის აღმოჩენის უნარით დაჯილდოებული პიროვნებანი. ყოველი რიგიანად განათლებული ოფიცერი შეიძლება იყოს შესანიშნავი ტაქტიკოსი, სტრატეგი და სამხედრო ადმინისტრატორი, როცა ზის თავის კაბინეტში და ადგენს თვითონ გეგმებს, ანდა აკრიტიკებს სხვებისას. მაგრამ ეს სრულებითაც არ კმარა მებრძოლი ტაქტიკოსებისათვის და სტრატეგებისათვის; ცოდნის გარდა, მათ უნდა გააჩნდეთ განსაკუთრებული გულისყური, რაც მხოლოდ რჩეულთა ღვთიურ ნიჭს შეადგენს. მე მინახავს, როგორ უყურებდა ბრძოლის ერთსა და იმავე სურათს სამხედრო განათლების მქონე ასობით ადამიანი. მაგრამ მათგან მხოლოდ ორი-სამი თუ ამჩნევდა, თუ სად იდგნენ მტკიცედ ჩვენი ჯარები, სად იყო მტერი ძლიერი და სად იწყებდა იგი შესუსტებას, საით იყო საჭირო მაშველი ძალების გაგზავნა, სად ღვივდებოდა ყველაზე მეტად ბრძოლის ინტერესი და, ბოლოს, სად წყდებოდა მისი წარმატებისა თუ წარუმატებლობის ბედი. უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ეს თვისებანი მხოლოდ მთავარსარდალს უნდა ახასიათებდეს. ყოველი ცალკეული ნაწილის უფროსიც დაჯილდოებული უნდა იყოს ამგვარი ნიჭით. არა ერთი ბრძოლა გვინახავს წაგებული ამ წესის დავიწყების გამო...

მაგრამ საკითხავია, სად უნდა გამოგვემუშავებინა ან, უფრო სწორად, გამოგვევლინებინა ამგვარი თვისებები ოცწლიანი მშვიდობიანობის დროს? ყოველ არმიას, რომელსაც ხანგრძლივი მშვიდობიანობის შემდეგ იწყებს ომს, გარდუვალად ჰყავს გენერალთა უაღრესად სუსტი კონტინგენტი. გავიხსენოთ პრუსიელები დანიაში, მათი გენერლების შეცდომები და უმოქმედობა. მაგრამ ომის მიმდინარეობის კვალობაზე იგი თვითონ წამოაყენებს ხოლმე სამხედრო ნიჭით დაჯილდოებულ პირთ და ამით საამკარაოზე გამოჰყავს ისინი, ვისაც ეს ნიჭი საკმარისად არ გააჩნია. ევროპის საუკეთესო არმიები სწორედ იმით აღწევენ ხოლმე თავს ამ ბოროტებას, რომ პირველი ცდებისთანავე ისინი დაურიდებლად ამსხვრევენ ძველ გენერალიტეტს და მის მაგივრად ახალ ტალანტებს აწინაურებენ. იქ, სადაც ყველაზე მთავარი მნიშვნელობა ტალანტსა და გონებრივ ძალას ენიჭება, უკვე აღარ აქცევენ ყურადღებას დამსახურებასა და უფროსობას. ასაკით უფროსობა აქ ისევე უადგილოა, როგორც გვარიშვილობით უფროსობა. ამიტომ არსებობს ევროპულ არმიებში პენსია და საპატიო ტიტულები წარსული დამსახურებისათვის, ხოლო ღია ასპარეზი — ახალი ტალანტებისათვის...

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მე სრულებითაც იმას არ ვამტკიცებ, თითქოს ამ საქმეში მხოლოდ ახალგაზრდობას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მე ვიცნობ ბევრ ახალგაზრდა კაცს, რომელიც გენერლის ჩინით უფრო აუტანელი იქნებოდა, ვიდრე ახლა-პორუჩიკის სამხრეებით. მეორე მხრივ, მე განსაკუთრებული კმაყოფილებით შემინიშნავს რამდენიმე ხნიერ ადამიანში, რომ მათი გონება ღიაა გამოცდილებისა თუ მეცნიერების შუქისათვის, რომ ეს საშუალებას აძლევს მათ ქმედითი გონებრივი მუშაობით შეითვისონ და განავითარონ ჩვენი დროის საუკეთესო აზრები.... მათი ჭკუის მოქნილობა, შეერთებული გამოცდილებით მიღებულ სიდინჯესთან, ანიჭებს მათ ისეთ ენერგიას, როგორიც მხოლოდ ზოგიერთ ახალგაზრდას თუ მოეპოვება. მაგრამ ასეთი ნათელი პიროვნებანი ჩვენშიც ისევე, როგორც ყველგან, უაღრესად იშვიათად თუ გვხვდებიან. დასანანია, რა თქმა უნდა, რომ ისინიც კი, ვინც საბედნიეროდ, ჩვენში მოიპოვებიან, მცირედ თუ ეყრდნობიან ხოლმე ახალგაზრდებს და იშვიათად თუ ირჩევენ მათგან თავის მსგავს პირებს თანაშემწეებად... სხვაზე მეტად კი მათ უფრო შეშვენით, რომ ფართო ასპარეზი გაუხსნან ნიჭიერი და საქმიანი ახალგაზრდების მთელ ფალანგას, რომელიც ჩვენ ასე გვჭირდება....

ამას წინათ, ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, რომელსაც უხვად აქვს მომადლებული ჭკუისმოქნილობა, ახლახან რომ ზემოთ მოვიხსენიე, სხვათა შორის მითხრა: საერთოდ, ყოველგვარ სიახლეთა კეთილისმყოფელი შედეგები, უწინარეს ყოვლისა, ქვედა ფენებში ვლინდება ხოლმე, ხოლო ყველაზე გვიან — პიროვნებათა და ურთიერთობათა უმაღლეს „კატეგორიებშიო". ეს აზრი უდავოდ სწორია, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც ეს-ეს არის დაიწყეს ცოტად თუ ბევრად გააზრებული ცხოვრება. რაც უფრო „განვითარებული" იყო ის ფენა, რომელსაც ხსენებული რეფორმა შეეხო, მით უფრო ძნელია იმ ტრადიციების, ჩვეულებებისა და რწმენის აღმოფხვრა, რომელიც მას, ასე ვთქვათ, დედის რძესთან ერთად შეუწოვია მ[illegible]ში, როდესაც მცირედ განვითარებულ ფენებში ახალ წესებს შეუძლიათ თავიდანვე საპატიო ადგილი დაიკავონ, რადგან მათ არაფერი აქვთ გამოსადევნი, არც ვინმესთან სადავო. აი, რატომ მგონია, რომ ჩვენმა სამხედრო რეფორმამ, უწინარეს ყოვლისა, არმიის ქვედა ფენებში მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები. რაც უფრო მაღლა ვიწევთ ამ ფენებში, მით უფრო ნაკლებ შესახები ხდება მისი შედეგები, მით უფრო გაუჭირდა რეფორმას სოლიდური ფესვების გადგმა... ეს ამტკიცებს, რომ ნახტომებით და ერთი ხელისდაკვრით ქვეყანაზე არაფერი კეთდება და რომ ჩვენი სამხედრო რეფორმა ცხოვრებას ემყარება თანდათანობითი განვითარების ბუნებრივი გზით...

მაგრამ მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს, რომ ერთი წლის წინათ, ჩემს „კალმის კაპრიზებში“, მე პირდაპირ აღვნიშნე ეს გარემოება, როცა ვთქვი, რომ მეტწილად ინიციატივას იჩენენ ხოლმე ის ადამიანები, ვისაც არც ძველი აზრები და წესები მიუტოვებიათ, და არც ახალი შეუთვისებიათ-მეთქი...

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აზრი, თითქოს სამხედრო სამყარო შეადგენს რაღაც მთელს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი და მოწყვეტილია ქვეყნის სამოქალაქო ყოფისაგან, უდავოდ მცდარი და მოჩმახულია. ერთი და იგივე კანონები და მოვლენები მართავს ერთი და იმავე მთელის ამ ორ ნაწილს. ერთი ნაწილის განვითარება გაელენას ახდენს მეორის სრულყოფაზე და ერთის ყოველგვარი შეჩერება, ყოველგვარი რეგრესი დაუყოვნებლივ აბრკოლებს მეორის წარმატებას... შეუძლებელია სხვა რაიმე ისე მოწყვეტილი იყოს სამხედრო საქმისაგან, როგორც მაგალითად, ბეჭდვითი სიტყვა და მისი მდგომარეობაა. მაგრამ ამავე დროს, არც თუ შორი მომავალი გვიჩვენებს ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის ამ ორი მხარის ურთიერთმოქმედებას, რომლის შესახებ მე ჯერჯერობით არ მსურს სიტყვის გაგრძელება... ანდა ესა თუ ის მიმართულება, რომელსაც საკლასო აღზრდა იძლევა, აგრეთვე ვითომდა გაელენას არ ახდენს ბრძოლის ბედზე. სინამდვილეში კი პირიქით გამოვიდა. მაგრამ საქმის ეს მხარე რამდენიმე დამატებითს სტრიქონს საჭიროებს.

ცნობილია, რომ ჩვენი აღზრდის სისტემას მთლიანად როგორც სამხედროს, ისე განსაკუთრებით სამოქალაქოს, ქვაკუთხედად უდევს მეტოქეობის აღძვრა ახალგაზრდებს შორის და მათგან საქმიან მოხელეთა მომზადება ინდივიდუალური წესით. ჩვენ ყველას გვიჩიჩინებდნენ სხვადასხვაგვარ ფაქტებს და გვიბიძგებდნენ „მეტიჩრებისა“ და ინდივიდუალურ შემსრულებელთა როლისაკენ. ჩვენს აღზრდაში სიტყვაც არ დაუძრავთ იმაზე, რომ ამხანაგებთან ერთად გავყოლოდით რაიმე საერთო მიზანს, ძმურად მოვმსახურებოდით ამა თუ იმ საერთო-საკაცობრიო ან საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომელთა შესრულებაში ცალკეული, თუნდაც გენიალური პიროვნებანი, მასის ხელშეწყობის გარეშე სრულიად უძლურნი არიან ხოლმე. ამიტომ არის რომ, არც ერთს ჩვენთაგანს საერთო რიგში დგომა არ შეუძლია; ყველა იმას ცდილობს, რომ „წინ გამოხტეს“ და სკოლის მოსწავლესავით, კვანტი გამოსდოს ამხანაგს, რომლის წაქცევა, არსებითად, ჩვენს საკუთარ წაქცევას ნიშნავს. პირადად მე არაერთხელ მქონია საერთო საქმე სხვებთან და ყოველთვის გაოცებული დავრჩენილვარ „ძმათა ჩვენთა“ ამ თვისებით, სახელდობრ, მათი სრული უუნარობით იმოქმედონ ერთსულოვნად საერთო საქმისათვის, შეთანხმებულად გასწიონ საერთო უღელი. პირიქით, საერთო საქმისათვის ბრძოლის დროსაც

კი ჩვენ ყოველთვის უფრო ბეჯითად საკუთარ ამხანაგებს ვეომებოდით ხოლმე, ვიდრე — მოწინააღმდეგეებს და, ამიტომ, არაერთხელ მოგვსვლია, რომ ამხანაგთა წინააღმდეგ ბრძოლითა და ინტრიგებით გართულებს, სავსებით დაგვიწყებია ჩვენი ნამდვილი მოწინააღმდეგე. არ ვიტყვი, რომ ზუსტად იგივე ხდება სამხედრო სფეროშიც-მეთქი; აქ დისციპლინა ლაგამს დებს ეგოისტურ ინსტინქტების აღვირახსნილობას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა დისციპლინაც უძლურია თუ დასჯით არა, სულ მცირე წინასწარი აზრით მაინც...

ამავე დროს კი, ცნობილია, რომ არსად ერთობლივი შრომა ასე უდავოდ აუცილებელი არ არის, როგორც სამხედრო საქმეში. აქ ერთი კაცი, ბრძენიც რომ იყოს, სრულებით ვერას ვააწყობს, თუ დანარჩენებმა ენერგიულად ხელი არ შეუწყეს. აქ მტრულად კი არა, გულგრილადაც რომ მოექცე ამხანაგს, ეს იმას ნიშნავს რომ მისიც და შენი საკუთარი თავის დაღუპვაც მოამზადო... ხოლო ასეთი რამ გარდუვალად შეგემთხვევა, როცა ხელმძღვანელობ არა იმ მისწრაფებით, რომ საერთო საქმეს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანო, არამედ სურვილით, რომ მხოლოდ შენ ერთმა დაიმსახურო ტაში ან ახალი, უფრო არსებითი სიკეთენი ყველა სხვა თანამებრძოლთა და ამხანაგთა საზიანოდ.

მე თავს ვიკავებ დასკვნებისაგან და კვლავ ვუბრუნდები იმ აზრს, რომ არმიის პირველი ნაბიჯები საბრძოლო ცხოვრებაში არასოდეს არ იქნება გადამწყვეტი, რომ ამ ნაბიჯებმა შეიძლება მხოლოდ იმის გაგება მოგვცეს, რას უნდა ველოდოთ მომავალში. წარუმატებლობა, მარცხი და შეცდომა ამ პირველი ნაბიჯების გადადგმისას სრულიად არაფერს ნიშნავს, როცა საზოგადოებას გააჩნია ძალთა მარაგი და ელემენტები ახალ ნაბიჯთა გადასადგმელად, როცა, ამასთან ერთად, ხელმძღვანელები გამსჭვალულნი არიან სურვილით ანალიზი გაუკეთონ და გამოასწორონ შეცდომები... ყოველი მიუკერძებელი მკითხველი, ნაწილობრივაც რომ იყოს გაცნობილი ჩვენს ისტორიას, გულზე ხელს დაიდებს და იტყვის, რომ რუსეთს არასოდეს არ ჰყოლია ისეთი არმია, როგორიც ახლა ჰყავს. იგი, რა თქმა უნდა, უნაკლო არაა, მაგრამ თუ კვლავაც გაგრძელდება გაუმჯობესებათა, ცვლილებათა და შეცდომებისა თუ ნაკლოვანებებისადმი ფხიზელი დამოკიდებულების სულისკვეთება, რომელიც ჩვენს სამხედრო უწყებაში დამკვიდრდა უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე, ეჭვი არ არის, რომ ჩვენი არმია შეიძლება გაუთანაბრდეს საუკეთესო ევროპულ არმიებს. ეს შედეგი განსაკუთრებით მაშინ იქნება მიღწეული, როცა ცვლილებანი რადიკალურად შეეხება იმ ფენებს, რომლებსაც აქამდე რეფორმები მხოლოდ გარეგნულად შეეხო.

მე იმედი მაქვს, რომ მკითხველი ჩასწვდება ჩემი უწესრიგო, მაგ-

რამ კარგადმოფიქრებული შენიშვნების აზრს და სათანადოდ გაითვალისწინებს უფრო კონკრეტული გადმოცემის შეუძლებლობას ახლანდელ პირობებში მაინც. და თუ იგი მხედველობაში მიიღებს ამ აუცილებლობას, მაშინ წინამდებარე ნარკვევი, ჩემი გულწრფელი რწმენით, შესაძლებლობას მისცემს მას ღირსეულად დააფასოს შრომა და შედეგი უკანასკნელი დროის ჩვენი სამხედრო რეფორმებისა ჯარის ჩამოყალიბების დარგში; შესაძლებლობას მისცემს დამსახურებული სიმართლე თქვას ამ რეფორმების დადებით მხარეებზე და, ამასთან, სულაც არ დაფაროს ის გზა, რომლის გავლაც ჩვენ მოგვიხდება.

24. საფრანგეთის საქმეები

ტფილისი, 3 იანვარი

პარიზიდან მოსული დეპეშა, გამოქვეყნებული „ობზორის"[3] გუშინდელ ნომერში, წარმოადგენს პასუხს საყოველთაო გაოცებაზე იმის გამო, თუ რატომ არ მოგვდის დეპეშები საფრანგეთში სენატორთა არჩევნების შედეგებზე. საფრანგეთის მომავალი, მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართულება, მთლიანად დამოკიდებულია ამ არჩევნებისაგან; ამიტომ, მეტი რომ არა ვთქვათ რა, გაგვაკვირვა იმან, რომ საერთაშორისო სააგენტოს დეპეშებში არავითარი ცნობა არ იყო ამ არჩევნების თაობაზე. უეჭველი იყო, აგრეთვე, რომ სენატორთა არჩევნების შედეგებს გავლენა მოეხდინა, უწინარეს ყოვლისა, სამინისტროთა შეცვლაზე საფრანგეთში. მაგრამ დეპეშებში სიტყვაც არ ყოფილა დიუფორ-მარსელის სამინისტროს გადადგომაზე. ტელეგრაფმა მხოლოდ გუშინ მოგვიტანა ცნობა, რომლის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დასკვნა გამოვიტანოთ, თუ რას წარმოადგენს, სინამდვილეში, სენატორთა ეს არჩევნები.

დეპეშაში ლაპარაკია ახალი კაბინეტის პროგრამაზე. მაშასადამე, ძველი კაბინეტი გადადგა და მარშალმა მაკ-მაჰონმა პალატის რესპუბლიკური უმრავლესობის სხვა ჯგუფს მიმართა. თუ რა ხასიათისაა ეს ჯგუფი, რომელიც ახალი სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ ახალი კაბინეტის პროგრამა შედგენილია „მემარცხენე რესპუბლიკელთა" მოთხოვნილებებისაგან, ე. ი. ისეთ ადამიანთა მოთხოვნებისაგან, როგორიც არიან ჟიულ ფავრი, გრევი, სიმონი და ა. შ. ეს კი პირდაპირ გვიჩვენებს, რომ სენატორთა არჩევნები სავსებით რესპუბლიკური იყო და რომ სენატში უკვე შედგა უეჭველი და მტკიცე რესპუბლიკური უმრავლესობა.

ამ გარემოების გამო საფრანგეთის პოლიტიკურმა ცხოვრებამ თავი დააღწია მერყეე მდგომარეობას, რომელსაც იგი განიცდიდა 1870 წ. 4 სექტემბრიდან, და მშვიდი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებს ამიერიდან შეუძლიათ იმედი იქონიონ მხოლოდ წვრილმანი შეთქმულებებისა, თუ სამხედრო გადატრიალებებისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა იოცნებონ კონსტიტუციური გზებით რომელიმე გაუქმებული დინასტიის მშვიდობიან აღდგენაზე.

25. კონტროლის მტრები

თბილისი, 5 იანვარი

„ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“[35], რომლის გამოცემაც, რუსი ხალხის განათლების მიზნით, პეტრე დიდმა დაიწყო, ხოლო შემდეგ, ასზე მეტი წლის წინათ, მეცნიერებათა აკადემიას დაავალა, თანამედროვე ცხოვრების მსვლელობის შესაბამისად, მეცნიერებათა აკადემიას გამოეყო, ბატონ უსოვის და ბატონ კომაროვის ხელში მოხვდა და ასე მოაღწია მიმდინარე 1879 წლამდე. ამ შესანიშნავ წელს კი ბ-ნმა უსოვმა და ბ-მა კომაროვმა მოახდინეს უდიდესი აღმოჩენა, რომლის მიხედვით რუსეთს ჭეშმარიტი განათლების მიღება შეუძლია არა სწავლული აკადემიკოსებისაგან, არამედ საკონცესიო დარგის აკადემიკოსებისაგან, როგორებიც არიან რუსეთში ვარშავსკი, პოლიაკოვი, ჩიხაჩოვი, ხოლო სერბიაში — პოლიაკოვი და კომაროვი. ამიტომაც არის, რომ 1879 წლიდან მათ გადაწყვიტეს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ორგანო საკონცესიო ნაწილის აკადემიკოსთა ორგანოდ აქციონ...

სერბიის სამხედრო სამსახურის ყოფილმა გენერალმა და სერბიის არმიის შტაბის უფროსმა გენ. კომაროვმა საგმირო საქმეების საზღაურად, სახელმწიფოს ნამდვილ მრჩეველ და სლავიანოფილ[36] ს. ს. პოლიაკოვთან ერთად, მიიღო კონცესია რკინიგზის გაყვანისათვის ალექსანაციდან ნიშში. აი, რას აცხადებს იგი „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ საგამომცემლო პროგრამაში 1879 წლისათვის: „ვინ არ იცის, — ამბობს რუსი პოლკოვნიკი და სერბი გენერალი, — რომ უკანასკნელ წლებში განზრახული იყო და აქამდეც განზრახულია სარკინიგზო წესდებათა ისეთი გარდაქმნა, რომელიც არსებითად შეცვლის მათს საფუძვლებს და, აგრეთვე, აქციონერულ საზოგადოებათა გამგეობების ურთიერთობას მთავრობის სარკინიგზო ადმინისტრაციასთან. ამ საკითხების გადაჭრაში რედაქცია კანონის ნიადაგზე დგას და იცავს საზოგადოებათა დამოუკიდებულებას, რათა ამ უკანასკნელებმა თავთავიანთი ფულადი სახსრები საკუთარი შეხედულებისამებრ განაგონ. სახალხო კაპიტალებზე დაფუძნებულ დაწესებულებათა ამგვარი დაცვა ხელს უწყობს საერთოდ კრედიტს და, კერძოდ, სახელმწიფო კრედიტს“.

ვინ არ იცის, ჩვენც ბანს მივცემთ ბ-ნ. კომაროვს, რომ საკონცესიო სამყაროში ბოროტმოქმედებამ ისეთ საშინელ მასშტაბებს მიაღწია, რომ მთავრობის კრედიტით აშენებული ჩვენი რკინიგზები გაქურდული და ვალებში ჩაფლული აღმოჩნდა, რომ ახლა მათ არ ძალუძთ არც გარანტიების ანაზღაურება, არც მათზე დახარჯული კაპიტალის დაფარვა. ვინ არ იცის, რომ, ჯადოსნურ ოპერაციათა საშუალებით, ფინანსურ სფეროში საზოგადოებრივი აზრი დაარწმუნეს, თითქოს ჩვენი რკინიგზები ააშენეს ადამიანებმა, რომლებსაც ჯიბეში გროშიც კი არ ებადათ, რომ სახაზინო თანხებით აშენებული ეს გზები მთავრობას კი არ ეკუთვნის, არამედ სწორედ ამ გუშინდელ ღატაკებს, რომლებსაც მთავრობამ უფლება მისცა ეწარმოებინათ რკინიგზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ხელმძღვანელობა და რაკი, საკონცესიო მაგიის საიდუმლოების მიუხედავად, ეს, ბოლოს, ყველამ გაიგო, ასეთი მდგომარეობა მიჩნეულ იქნა არანორმალურად და მთავრობამ გადაწყვიტა კონტროლი დააწესოს იმ, ეგრეთ წოდებულ კერძო გზებზე, რომლებიც კაცმა რომ თქვას სახაზინოა, რადგან მათთვის ფული ხაზინამ გაიღო და სხვამ არავინ. სწორედ ამ გარემოებამ ჩააყენა ჩვენი ფინანსები ახლანდელ მძიმე მდგომარეობაში: სესხები აღებულია, მათ გამო პროცენტებს იხდის მთავრობა, შემოსავალს კი ღებულობენ პოლიაკოვი, ბლიოხი, კომაროვი და ყველა სხვა ჯადოსანი, რომლებსაც საოცრად ემარჯვებათ სხვისი ფულის თავიანთ ჯიბეში ჩადება. თუ ამ ჯადოსნებმა ფიქტიური იურიდიული საფუძვლები გარშემო შემოიწყვეს, ვითომ და სხვისი ფულის მითვისებას ვეწეოდით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ ამის უფლებას გვაძლევსო, ამისდა მიუხედავად, სახაზინო ფულის გატაცება სხვა არა არის რა. თუ არა ქურდობა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს მოქალაქეთა უშიშროების და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ასეც შეხედა ამას მთავრობამ, რაკი აღძრა საკითხი, რომ სარკინიგზო მეურნეობის ფაქტიური შემოწმება მოხდება ხოლმე არა იმ ანგარიშების მიხედვით, რომელთა წარდგენაც აქციონერებისათვის ჯადოსნების მიერ მოსყიდული ყალბი საბუთების საფუძველზე ხდება ხოლმე, არამედ, არსებითად, მთავრობის სახსრებით აშენებული საწარმოებისა და საწარმოს შესანახად დახარჯული ფულადი შემოსავლის აკრეფის გზითო. დიდი თანხების მოპარვა არ შეიძლება სიკეთედ მივიჩნიოთ, როცა კანონი მკაცრად სჯის წვრილმან ქურდებს და თაღლითებს. თუ სარკინიგზო საზოგადოებანი ნთქავენ მათ მიერ შეკრებილ მილიონობით ფულს და სახელმწიფო ბიუჯეტს აკისრებენ იმ თანხების გადახდას, რომლებიც მათს განკარგულებაში იმყოფება სარკინიგზო საწარმოთა სახით, მაშინ ამგვარი ქურდობის წინაშე ქედის მოხრა არავის არ ეპატიება; ხოლო, შესაძლებლობის მიხედვით, მისი მოსპობისათვის ბრძოლა მოეთხოვება თავისი

ქვეყნის ყოველ კეთილ და პატიოსან მოქალაქეს და, მით უმეტეს, საზოგადოებრივი აზრის ყოველ ორგანოს. ამგვარი ორგანო პატიოსანი უნდა იყოს თვით თავისი ამოცანის არსით, თორემ ეს სხვა არა იქნება რა, თუ არა ისეთივე შეუსაბამობა, როგორიცაა პოლიციელთა გამოყოფა იმ ქურდების ინსტიტუტის სიმშვიდის დასაცავად, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა პოლიციამ აღმოაჩინა კუკიაში. ნუთუ ბ-ნ მესროპოვს უფლება აქვს იჩივლოს, რომ პოლიციამ დაურღვია მას ოჯახური კერის ხელშეუხებლობა, რაკი შეიჭრა მის სახლში, სადაც იგი ახალგაზრდებს ქურდობას ასწავლიდა. ეს ახალგაზრდები ხომ ქურდობას ეწეოდნენ მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებში და პასუხისმგებლობას ჩადენილის გამო თავიანთ თავსა და თავიანთ ანგარიშზე ღებულობდნენო — გაიძახის მესროპოვი. რაღა საჭირო იყო განადგურება ამ დაწესებულებისა, სადაც ახალგაზრდები რაღაცას მაინც სწავლობდნენ და უქმად არ დაწანწალებდნენ ქუჩაშიო. მაგრამ, სხვათა შორის, ბ-ნი კომაროვი, დედაქალაქის აკადემიური გაზეთის პუბლიცისტი და არენდატორი, სერბიის გენერალი და კონცესიონერი, თავისი პროგრამით ბ-ნ მესროპოვის პრეტენზიებზე შორს მიდის. იგი არა მარტო მოითხოვს თავის ორგანოსადმი კანონიერ პატივისცემას, არამედ კანონზე დაყრდნობით გვპირდება, რომ ბრძოლას ვაცხადებთ იმათ წინააღმდეგ, ვინც შეცდომით ფიქრობს, რომ რკინიგზებზე ქურდობა უნდა შეიზღუდოს კონტროლის საშუალებითო, რაც, თუ ბ-ნ მესროპოვს დავუბრუნდებით, იგივეა, რომ ბ-ნ მესროპოვს კანონის სახელით მოეთხოვა ჩვენგან, არავინ საზოგადოებიდან არ გაბედოს წინააღმდეგობა გაუწიოს ჩემს მიერ განსწავლულ ჯიბგირებს, თავისუფლად გამოიყენონ პრაქტიკაში თავიანთი ოსტატობაო... რა უაზროც არ უნდა იყოს კანონის ამგვარი დამოწმება, ბ-ნი კომაროვი მაინც მიმართავს მას „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ 1879 წლის გამოცემის განცხადებაში. იგი, თურმე ნუ იტყვით და, კანონის საფუძველზე დაიცავს სარკინიგზო საზოგადოებათა უფლებას თავიანთი სურვილისამებრ მოიხმარონ ხოლმე თავიანთი სახსრები.

ნუთუ შესაძლებელია, რომ ბ-ნი კომაროვი, არა როგორც პუბლიცისტი, არამედ როგორც მომავალი რკინიგზის კონცესიონერი მაინც, მართლაც, ცდებოდეს და ეგონოს, რომ მას ჩემი ფული არ მართებს, ნუთუ იგი სლავიანოფილ და სახელმწიფოს ნამდვილ მრჩეველ პოლიაკოვთან ერთად კიდევ იმედოვნებს მოსტაცოს ვინმეს ეს ფული, რომლის ნაწილს გზის მშენებლობას მოახმარს იმისათვის, რომ მეორე, ხოლო, შესაძლებელია, უფრო დიდი ნაწილი ერთმანეთს შორის გაიყონ? მისი აღმატებულება სამუილ სამუილის ძე იცნობს ამგვარ პრაქტიკას. მაგრამ ასეთი პრაქტიკის დროს, რა კანონიერი ნიადაგი შეიძლება ჰქონდეს ამ მოღვაწეებს?

ჩვენი კანონების თანახმად, მოპარული ნივთი უნდა ჩამოერთვას ქურდს და კუთვნილებისამებრ გადაეცეს მესაკუთრეს, თუნდაც რომ იგი სხვა პირთა ხელში იყოს გადასული ყიდვის საშუალებით. რატომ არ უნდა დაუბრუნდეს მთავრობას ის ფული, რომელიც სახაზინო გზის ექსპლოატაციის საშუალებით შეგროვდა, მაგრამ მოხმარდა არა კაპიტალის დაფარვასა და გადასახდელების გასტუმრებას, არამედ მოხვდა ისეთ „კეთილისმყოფელთა“ ჯიბეში, როგორიც არიან პოლიაკოვი, კომაროვი და სხვანი. აქ შუამავალი პირნიც კი არ არიან: კონცესიონერი თავისად ასაღებს ამ გზას და, მართლაც, იგი სხვა არა არის რა, თუ არა რაც კონცესიონერის კანცელარიაშია. ფული მოპარულია და ყველამ იცის, ვის მიერ: მაშასადამე, საჭიროა აღდგენილ იქნას მთავრობის საკუთრების უფლება. სხვა რამ შეუძლებელია იყოს, რამდენი გაზეთიც არ უნდა გამოსცენ თავიანთ ხარჯზე უფალმა კონცესიონერებმა: რარიგ ბნელიც არ უნდა იყოს ჩვენებური მასა, მაინც შეუძლებელია დავარწმუნოთ იგი იმაში, რომ, ქურდი თუ მოდის, ზანდუკი გაუხსენიო; რომ ქურდის შევიწროება, როცა ის ზანდუკს აცარიელებს, უზნეობაა, რადგან ეს არის ხელყოფა ყოველი ადამიანის პირადი თავისუფლებისა, ეშრომოს ისე, როგორც მას მოეპრიანებაო. ამიტომ ბ-ნ კომაროვის გულღია პროგრამა არ გვაშინებს ჩვენ: მაგრამ რაღა უნდა ვიფიქროთ რუსული პუბლიცისტიკის შესახებ, თუკი სახელმწიფო შემოსავალის ასეთ უსინდისო და უზნეო ხელყოფას შეუძლია ადგილი ჰპოვოს დედაქალაქის გაზეთში, რომელიც ამასთან, ნაქირავებია მეცნიერებათა აკადემიისაგან და დაარსებულია პეტრე დიდის მიერ!

ვთქვათ, დიდი მთავარი სვიატოსლავი პატიოსნად იქცეოდა, როცა თავის მტრებს უცხადებდა ხოლმე „მოვდივარ თქვენს დასალაშქრავადო“, მაგრამ, როცა ბ-ნ კომაროვის დროშის ქვეშ დარაზმული რუსი და სერბი კონცესიონერები ყველას გასაგონად აცხადებენ, მოვდიოართ სახელმწიფო ხაზინის დასალაშქრავადო, უნებლიეთ შიში გვიპყრობს ახლანდელი დროის გამო. ამგვარი თავხედობის მაგალითი ჯერ არ ყოფილა, და ახლა ასეთი მაგალითი მოგვცა სერბიის არმიის შტაბის მაშაცმა უფროსმა! ამასთან, ეს რომ ცარიელი ტრაბახი არ არის, არამედ იმის სურვილია, რომ ლუკმა-პური წაართვან კონცესიონერულ მომღერალ ბ-ნ ტრუბნიკოვს, — ამის დასაბუთებას ჩვენ სხვა სტატიაში წარმოვადგენთ.

26. საკვირაო საუბრები

(ჩვენი კატკოვშჩინა)

ადგილობრივი პრესის ახალი პერიოდი. — პირადი პოლემიკიდან პროვინციელზე გადასვლა. — ჭკუა და მოხერხებულობა. — ვირეშმაკობა. — ლიტერატურული მაამებლობის მაგალითები. — ბ-ნ ბორის ფელეტონი. — ბრალის დადება კატკოველობაში. რა არის კატკოველობა? — პრესის გადაქცევა ლიტერატურისათვის უცხო მიზნების მისაღწევ იარაღად. გუნდრუკის კმევა რუტინერებისადმი. — ჯალათი და აპოლოგეტი. — ცნებათა და პრინციპთა დამახინჯება. — რამდენიმე შეკითხვა „ტიფლისკი ვესტნიკს". — ჩვენი ჩალეადრები. — ჩვენი იჯარები, მოიჯარადრეები, ბანკები, საქმოსნები. — თქმულება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ასიამოვნო საკუთარ ექსპლოატატორებს ვარშავსკის ქირდეთი. — „ტიფლისკი ვესტნიკის" მოძღვრება იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგება ადგილობრივი მღელვარებანი და რა არის მათი თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება. — ამ გაზეთის ექვსწლიანი მოღვაწეობა.

?

თუ „ობზორის"[3] მკითხველებს ახსოვთ, გასული წლის შემოდგომაზე მე მივუთითე ახალი პერიოდის დადგომის ნიშნებზე ჩვენს ადგილობრივ პრესაში. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ყოველი ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი უსუსური და უნაყოფო პირადული კინკლაობის შემდეგ, ვამტკიცებდი მე იმხანად, ჩვენ მალე მოვესწრებით ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპების, ‘ეხედულებებისა და მისწრაფებების შეჯახებას, რამაც უაღრესად ნაყოფიერი გავლენა უნდა მოახდინოს ლიტერატურის განვითარებაზე-მეთქი. თუ მე დიდად არ ვცდები, ახალი, 1879 წელი ჩვენს პრესაში სწორედ ამგვარი შეჯახებით იწყება და, „დილეტანტის პორტფელის" გამო, ადგილობრივ პრესაში ამტყდარმა პოლემიკამ ცოტაოდენი სასიკეთო და ნაყოფიერი ელემენტი როდი შეიტანა, და კიდევაც შეიტანს, ჩვენს ლიტერატურულ განვითარებაში.

რა თქმა უნდა, შეცდომა ან მოუაზრებლობა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ამ ახალ პოლემიკას ერთბაშად გადავყავართ ნორმალურ ლიტერატურულ ჩვეულებათა სამყაროში, რაც სრულებით ახალი მოვლენა იქნება ჩვენს სინამდვილეში. ათობით წლების მანძილზე ჩვენებურ ჟურნალისტიკაში დანერგილი უხამსი ხერხებისა და პირადული კინკლაობის ხანგრძლივი პრაქტიკა შეუძლებელია ერთ დღეში უკვა-

ლოდ გაქრეს: განვითარების ახალ ფაზაშიც გამოვლინდება ჩვენს ქცევაში დამკვიდრებული ძველი პერიოდის ჩვეულებანი. სამაგიეროდ, ზოგადი სულისკვეთება და შინაგანი შინაარსი ისეთ ელფერს აძლევს ძველის ამ უმწეო ნაშთებს, რომ შესაძლებელს ხდის ავიტანოთ უსიამოვნო წვრილმანები. განა ვინმეს აზრად მოუვა ზურგი შეაქციოს მზეს იმის გამო, რომ ამ მნათობს ლაქები აქვს ზედაპირზე?...

ახალი პოლემიკა, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, შემდეგმა გარემოებამ წარმოშვა.

თბილისის საქალაქო სათათბიროს არჩევნების დროს, პირველი თანრიგის მიხედვით, ხმოსანთა რიცხვში ვერც ერთი ქართველი ვერ მოხვდა, რამაც საბაბი მისცა გაზეთ „დროებას"[2] თავის ფურცლებზე მოეთავსებინა თავად აკ. წერეთლის სტატია (იგი ჩვენც გადმოვბეჭდეთ „ობზორში"), რომელშიც ავტორი სომხებზე ჩიოდა იმის გამო, რომ მათ არც ერთი ქართველი არ აირჩიესო, თუმცა, თანახმად ჩვენი პრინციპისა, ყოველთვის ყოველგვარი განსაკუთრებულობის წინააღმდეგ გამოვდივართ და მიგვაჩნია, რომ ტფილისის სათათბიროს თბილისში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები უნდა ჰყავდეს თავის წრეში, ამ ეროვნებათა რიცხობრივი შემადგენლობის პროპორციულად. მაგრამ, მეორე მხრივ, საქალაქო არჩევნებისადმი თბილისის ქართველი მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულების გამო, ჩვენ არ შეგვეძლო არ შეგვენიშნა, რომ — განა ჩვენისა და საყვედურებს შეუძლია ბოლო მოუღონ ამგვარ ბოროტებას? ეს აზრი განაზოგადა და, ყველა მსგავსი თუ ანალოგიური შემთხვევისთვის გამოსადეგი, თეორიული ფორმით ჩამოაყალიბა ჩვენმა ნიჭიერმა თანამშრომელმა ბორმა, რომელმაც იგი ასეთი სიტყვებით გამოთქვა: „თუკი რომელიმე ორგანიზმმა, თავის განვითარებაში, იმ შეგნებამდე მიაღწია, რომ არას მარგებს სხვის საკვებად ყოფნა, თუნდაც უფრო ძლიერი ორგანიზმისო (რომელიც არსებითად რომ ვთქვათ მართალია, რადგან მას ჭამა უნდა), შაშინ პირველმა არსებამ, სწორედ ამ შეგნების გამო, უნდა დასთმოს სხვადასხვა პანგაე წუწუნი და, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა განვითარდეს იმ ორგანიზმის დონემდე, რომელიც მას შეუმით ემუქრება...

„ეს იმას ნიშნავს, რომ გამოიმუშავო უნარი თუ სხვისი „შეუმის" არა, უკიდურეს შემთხვევაში იმისა მაინც, რომ სხვისი „შესაუმელი" არ გახდე.

„როგორ უნდა მიაღწიო ამას?

„სრულიად უბრალოდ: უნდა განავითარო შენი თავი „მუამელის" დონემდე, ნაცვლად იმისა, რომ იწუწუნო მთელი იმ დროის განმავ-

ლობაში, სანამ იგი გჭამს, სამი სრულიად კანონიერი მიზეზის გამო: 1. ჭამის სურვილის, 2. საკუთარი ძალისა და 3. შენი უძლურების...

„ჩვილით შეიძლება გული აუჩუყოთ პიროვნებას, მაგრამ გულს ვერ აუჩუყებ ორგანიზმს, რომელსაც თავისი ღორმუცელობის გამო, არავის ვაივიშის გაგება არ შეუძლია... ხალხთა ურთიერთობის სფეროში განმარტოებული, ბავშვური გოდება ნოლს უდრის...

ისწავლეთ...!"

ამ აზრის უარყოფა, როგორც ვხედავთ, შეუძლებელია, გინდ კერძო შემთხვევაში, გინდ ყოვლად განზოგადებული სახით; იმ აზრს, რომ — „წუწუნით საქმეს ვერ უშველი", რომ „სიცოცხლე თუ გსურს, უნდა ყოველნაირად გაკაჟდე", რომ „შრომისა და ძალ-ღონის დაუხარჯავად ვერავინ ვერაფერს ვერ მიაღწევს", — მართლაც, მოსალოდნელი იყო გამოეწვია მხოლოდ იმგვარი კრიტიკა, რომ ყველა ეს ჭეშმარიტება ძველია, როგორც სამყაროო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ამას სულ სხვა რამე მოჰყვა შედეგად.

ჩვენს სინამდვილეში, სამწუხაროდ, ბევრი ფიქრობს, თითქოს ჭკუა და მოხერხება ერთი და იგივეა, ხოლო ეშმაკობა გონებრივი ძლიერების უეჭველ საბუთს წარმოადგენს. მე მაკვირვებს ამგვარი ცრურწმენის არსებობა იმ ქვეყანაში, რომლის ხალხური სიბრძნე უკვე დიდი ხანია ჩასწვდომია ეშმაკობასა და ჭკუას შორის არსებულ განსხვავებას და ბრიყვთა ეშმაკობის განმსაზღვრელი სპეციალური ტერმინიც კი შეუქმნია. მართლაც, ჩვენში, საქართველოში, ხალხური გამოთქმა „ვირ-ეშმაკა" შესანიშნავად ახასიათებს იმათ, ვინც იძულებულია ინსტინქტური ეშმაკობით შეცვალონ ჭკუა, რომელიც მათ არ გააჩნიათ...

•

თუ არა სტრატეგიით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ჭკუამოკლე „მოხერხებულ" მწერალთა თავში, მართლაც რომ, ვერაფრით ვერ ავხსნით იმ წინააღმდეგობასა და თავდასხმებს, რომელნიც ბ-ნმა ბორმა გამოიწვია ადგილობრივ პრესაში... სწორედ ამ მოხერხებულობასა და სტრატეგიაზე აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

•

არსებობს იოლი ხერხი ასიამოვნო მკითხველთა უმრავლესობას: საჭიროა სისტემატურად გვერდი აუარო ცხოვრების იმ ფაქტებსა და

მოვლენებს, რომლებმაც შესაძლებელია, მკითხველთა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ჯგუფები გააღიზიანონ, და ასჯერ და ათასჯერ ერთი და იგივე ჩამოჰკრა იმ სიმებზე, რომლებიც ამ ჯგუფებს უყვართ. მაგალითად, თუ ჩვენ, თბილისის საქალაქო არჩევნების შესახებ აღძრული პოლემიკის დროს, ოლიმპიურ სიჩუმეს შევინარჩუნებდით, მაშინ ჩვენი მკითხველების ყველა ჯგუფი კმაყოფილი დარჩებოდა, ხოლო საკმარისი იყო ამ დროს ლაპარაკი ჩამოგვეგდო, ვთქვათ, ინტენდანტობაზე, რომ ცამდე ავეყვანეთ კიდევაც... მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები მოითხოვდა, რომ სომეხი ამომრჩევლებისათვის გვეთქვა: „ბატონებო, განსაკუთრებულობა საზიანო და უსამართლოა“, ხოლო ქართველებისათვის — „ბატონებო, თვითონ თქვენი ბრალია, რას წამოწოლილხართ მხართეძოზე!“—ჩვენ ბავშვები არა ვართ ვერ გავიგოთ, რომ, საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო სომეხთა და ქართველთა მასები უკმაყოფილონი დარჩებიან ჩვენი საქციელით. მაგრამ ჩვენ მაინც გვერდზე გადავდეთ ლიბერალური შეძახილები ინტენდანტობის შესახებ, რომელიც უკვე ყველასათვის ცნობილიცაა და საკმაოდ გაცვეთილიც, და ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, ე. ი. აშკარად გამოვთქვით ჩვენი შეხედულება.

*

ხომ მართალია, რომ უფრო მარჯვე და ეშმაკური იქნებოდა ხმას თუ არ ამოვიღებდით ამის შესახებ, მსგავსად „კავკაზისა“[1] ან „ტიფლისკი ვესტნიკისა?“[1] მაგრამ მაშინ, რისთვისღა ვცემთ გაზეთებს, რაღად გვიჭირავს კალამი ხელში, თუკი ხმას არ ამოვიღებთ ჩვენი მხარის საჭირბოროტო საკითხებზე? ნუთუ მოლჩალინური „სიკეთენი“ ჩვენი დროის პუბლიცისტებსაც უნდა თან დაჰყვეს? ნუთუ ენა იმისათვის გვაქვს, რომ დავდუმდეთ ან ვიცრუოთ? ნუთუ მხოლოდ იმისათვის გამოვედით საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, რომ სისტემატურად შეცდომაში შევიყვანოთ ხოლმე ჩვენი მკითხველი საზოგადოება, — დავუმალოთ მას თანამედროვეობის არსებითი მოვლენები? დამეთანხმეთ, რომ ეს ჭკვიანური არ არის, თუმცა მარჯვე და ეშმაკურია...

*

უკაცრავად პასუხია „პუბლიცისტებში“ ამგვარი ეშმაკობა შესაძლოა კიდევ უფრო შორს წავიდეს და უფრო მეტად გაიფურჩქნოს. ხსენებულ „პუბლიცისტებს“, რომლებიც ამგვარ მოლჩალინისეულ სიკეთეში ვარჯიშობენ ხოლმე, სხვათა შორის არ გამოპარვიათ ის, რომ

ფამუსოვის დროიდან მოკიდებული დღემდე მკითხველი საზოგადოება ძლიერ შეიცვალა, რომ იგი უფრო მეტი გულისყურით უსმენს იმათ, ვინც

„...გაბედა და აღარ ერიდება,
რომ საკუთარი აზრი იქონიოს....“

გასაგებია, რომ ეს გარემოება მოლჩალინებს[37] არ მოსწონთ. მაგრამ, რადგან „მაამებლობის გმირებს“ თავიანთ „სიკეთეთა“ არსენალში არ გააჩნიათ ძალა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა პატიოსან და აშკარა ბრძოლას, ამიტომაც მიმართავენ ხოლმე სწორედ ისეთსავე სტრატეგიას, რომლითაც მოლჩალინი ლამობდა ლიზას შეცდენას. და აი, ჩვენი პრესის ვირ-ეშმაკები, თვალთმაქცურად აღშფოთებულნი, ხელს სტაცებენ ბ-ნ ბორის ფელეტონს და მკითხველ საზოგადოებას ჩასჩურჩულებენ, რომ, ჩემი თანამშრომლის პირით, „ობზორის“ პირით, სხვა ვინმე კი არ ლაპარაკობს, არამედ თვითონ კატკოვი... და აი სწორედ ამ გარემოებათა გამო ვკითხულობთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ შემდეგ სიტყვებს ბ-ნ ბორის ზემოთმოტანილი სტრიქონების თაობაზე:

„რუსულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილმა ერთმა მხცოვანმა კაცმა მასხრად აიგდო და სავსებით გაათახსირა ბ-ნი ბორი, მან „ობზორის“ ფელეტონისტის პორტფელში ჩასდო საკუთარ აზრთა ფრიად დამახასიათებელი თაიგული; საბრალო ბორმა, ხოლო მასთან ერთად „ობზორმაც“, აიღეს და... გადაბეჭდეს ეს სტრიქონები. ახლა თუ იცით ვინაა ეს ხუმარა მხცოვანი კაცი?... აბა, თუ მიხვდებით... არა, უმჯობესია ჩვენ გითხრათ პირდაპირ... ეს გახლავთ თვითონ კატკოვი, ბატონებო, კატკოვი საკუთარი პერსონით!“

მე სრულებითაც არ მეშინია იმის, თითქოს მსგავს უკბილო გამოხდომებს შეეძლოთ მცდარად წარუდგინონ მკითხველ საზოგადოებას „ობზორის“ ხასიათი და მიმართულება. მე რომ ამგვარი ეჭვი მქონოდა ჩვენი საზოგადოების მიმართ, დიდი ხანია ხელს ავიღებდი მისდამი სამსახურზე, რადგან, ასე რომ ვიფიქრო, ეს იმას ნიშნავს, რომ პატივს არ ვცემდე მას; — იმას ნიშნავს, რომ ერთი წუთით მაინც დავიჯერო, თითქოს ჩემი საზოგადოება სულ ერთიანად უტვინო არსებათაგან შედგება-თქო. „ობზორის“ მიმართულება საკმაოდ ნათლად გამოჩნდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩემი გაზეთი ამქვეყნად დაიბადებოდა, ხოლო ყოველმა მკითხველმა, რომელსაც ოდნავ მაინც შეუძლია ტვინი ამოძრაოს, იცის რომ „ობზორსა“ და კატკოვს შორის იმდენივეა საერთო, რამდენიც სინათლესა და წყვდიადს შორის, წყალსა და ცეცხლს შორის... ამ გამოხდომას შეუძლია თავგზა აუბნიოს მცირე-

ოდენ და მხოლოდ ძლიერ გონებაშეზღუდულ მკითხველს, რომლის დაკარგვა დასანანიც კი არაა. ამიტომაც მხოლოდ ამ მხრივ არის ეს გამოხდომა მარჯვე და ეშმაკური, თუმცა სრულიადაც არა ჭკვიანური... მაგრამ ეს ამბავი სხვა მხრივაც ყურადღების ღირსია...

*

საერთოდ ყოველგვარ ჟურნალისტიკაში, განსაკუთრებით კი აღმოცენებად და ჯერ კიდევ წელშიგაუმართავ პრესაში, იმაზე უფრო საშიში და მავნე შეუძლებელია რაიმე იყოს, ვიდრე ორაზროვან, ან სრულიად გაუაზრებელ, ტერმინთა ხმარება, რაც თავგზას უბნევს მკითხველებს და მარტო უაზრო თუ უნაყოფო კამათს წარმოშობს ხოლმე. ზუსტი, მკაცრად განსაზღვრული ტერმინოლოგია ისევე აუცილებელია განვითარების პროცესში მყოფი პრესისათვის, როგორც წესიერი ზნეჩვეულებანი და მტკიცედ დამკვიდრებული პრინციპები. მხოლოდ მიკიბ-მოკიბვის მოყვარული ადამიანები, რომლებიც ორაზროვან ამოცანებს ისახავენ მიზნად, არიან დაინტერესებულნი გაურკვეველ ტერმინთა შენარჩუნებით პრესაში, რადგან მხოლოდ მათი მეშვეობით ხდება შესაძლებელი მღვრიე წყალში თევზის ჭერა.

*

„კატკოველობა", ანუ „კატკოვიზმი", უდავოდ ამგვარ გაურკვეველ ტერმინთა რიცხვს ეკუთვნის. კაცმა რომ თქვას, რუსულ პრესაში ეს ტერმინი საკმაოდაა გარკვეული. მაგრამ ჩვენს ადგილობრივ პრესაში ამ ტერმინს ისე ხმარობენ, რომ მისი მნიშვნელობა კიდევაც იცვლება და უპიროვნოც ხდება... თუ სათანადოდ იქნება განსაზღვრული, ეს ტერმინი შეიძლება გამოდგეს აზრთა და მისწრაფებათა გარკვეული წყობის იარლიყად, რომელიც ახლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავისი აწინდელი, გაურკვეველი სახით კი ეს ტერმინი შეიძლება გამოდგეს — რაც ხდება კიდევაც ამჟამად პრესაში — მხოლოდ ყალბ ბაირაღად, რომლითაც მცირეოდენი ლიტერატურული კონტრაბანდა როდი ინიღბება. აი, რატომ მიმაჩნია აუცილებლად ხელი მოვკიდო ამ ორლესილი სიტყვის ახსნას, თუმცა ღ ბ-ნმა ბორმაც სცადა თავის წერილში ამ ტერმინის დახასიათება.

*

ზერელე ცოდნის მქონე ადამიანებმა, რომლებიც ჩვენს პრესაში მოღვაწეობენ, არ იციან, რომ „კატკოველობაში" იგულისხმება ისეთი საწერილო მიმართულება, რომელიც სიმართლის, სამართლიანობის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს მსხვერპლად სწირავს რომელიმე წინასწარ აკვიატებულ, ცოტად თუ ბევრად

მოსაწონ მიზანს. თანამედროვე საზოგადოების კეთილდღეობაც, მთელ თაობათა ცხოვრებაც, ლიტერატურის მიერ გამომუშავებული პრინციპებიც, წესიერი საზოგადოების მიერ შეთვისებული ზნე-ჩვეულებანიც, ამგვარი მიმართულების ხელში, „ფარული მიზნების" სამსხვერპლოს ეწირება. საქმე ის კი არ არის, თუ როგორია თავისთავად ეს მიზნები, კარგია იგი თუ ცუდი, არამედ ის, რომ არავითარი მიზანი, რა წმინდა და ამაღლებულიც არ უნდა იყოს იგი, ვერ ამართლებს ცხოვრების ამგვარ მსხვრევას და ყოველივე მის შებილწვას, რაც ძვირფასია თანამედროვე კაცობრიობისათვის. ვერავითარი მიზანი ვერ ამართლებს ისეთ ბილწ საშუალებებს, როგორიცაა შულერობა, საკუთარი ღირსებისა და საკუთარი პიროვნების გაყიდვა.. მით უმეტეს შეუძლებელია რითიმე გავამართლო ისეთ საშუალებათა გამოყენება, რითაც რყვნიან მთელი საზოგადოებისა და მომავალ თაობათა ჭკუასა თუ გონებას, და კარგ რამედ ასაღებენ საგნებს, რომლებიც წინა თაობებმა ჩვენი დროისათვის შეუფერებლად ცნეს და არქივს ჩააბარეს...

•

ბ-ნმა კატკოვმა რუსული პრესა, რომელიც მანამდე საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა, პირველად გაძოიყენა ცნობილი და განსაზღვრული ვიწრო მიზნების მისაღწევ იარაღად. მან პირველმა მოიმარჯვა ბეჭდვითი სიტყვა ინტრიგის იარაღად, პირველმა ჩააყენა იგი გარკვეული წრეების სამსახურში, პირველმა მიჰყიდა იგი არა მარტო ძლიერთა ამა ქვეყნისათა, არამედ საფინანსო და სარკინიგზო სამყაროს არამზადებს და პირველმა შექმნა რეკლამის სისტემა ზოგიერთი მოღვაწის თუ მოვლენის განსადიდებლად, ხოლო სხვების აბუჩადასაგდებად.

თანამედროვე რუსული მწერლობის ყველა მცოდნესათვის ცნობილია შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა რუს მკითხველ საზოგადოებაზე იმ ამბავმა, რომ ზოგიერთმა სარკინიგზო საზოგადოებამ, რომელთა ინტერესებს ასე გააფთრებით იცავდა ბ-ნი კატკოვი, ხელი მოაწერა მისი გაზეთის ასობით და ათასობით ეგზემპლარზე... ყველას ახსოვს ის შთაბეჭდილებაც, რომელიც მოახდინა იმ მრავალმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენის მხილებამ, რომელსაც სისტემატურად გვერდს უვლიდა ხოლმე ბ-ნ კატკოვის გაზეთი, და სხვა, საწინააღმდეგო ქმედებათა გაბერვის მიზეზების გამომჟღავნებამ იმავე გაზეთში... ბოლოს, ყველას ახსოვს, — და ამას რუსული ჟურნალისტიკის ისტორია თავის დღეში არ დაივიწყებს, რომ ბ-ნი კატკოვი ვიწრო მიზნების მისაღწევად საჯაროდ რყვნიდა თავის თანამედროვე საზოგადოებას, რაკი სისტემატურად ამახინჯებდა მის შეხედულებებს საზოგადოებრივ

ურთიერთობათა მოწყობისა და საზოგადოებრივ საქმეთა ხელმძღვანელობის თაობაზე...

არც არასდროს აპატიებს ვინმე ბ-ნ კატკოვს იმას, რომ იგი მოითხოვდა ზღვა სისხლის დაღვრას იმ ზოგადი პრინციპის საწინააღმდეგოდ, რომ სისხლი არაფერს არ ალხობს... არც არასდროს აპატიებს ვინმე ბ-ნ კატკოვს, რომ იგი ბ-ნ მურავიოვს ასახელებდა სახელმწიფო მოღვაწის ნიმუშად და მხსნელად რუსეთისა, რომელსაც თითქოს საფრთხე ემუქრებოდა, რომ იგი პრესაში იცავდა მას, და, ამასთან, ასრულებდა ისეთ ქმედებათა და ადამიანთა გათავხედებული აპოლოგეტის როლს, რომელთაც არასდროს არავითარ პრესაში, არც ერთ ქვეყანაში, არა თუ მაქებარნი, გამმართლებელნიც კი არ ჰყოლიათ...

*

ბ-ნმა კატკოვმა შეავიწროვა რუსი მკითხველი საზოგადოების გოხებრივი მხედველობის არე, როცა მას განსაკუთრებულობას უქადაგებდა და მის გარშემო სხვა ხალხებისადმი სიძულვილისა და უნდობლობის ჩინურ კედელს ავლებდა. მან უკანა რიგში გადასწია თანამედროვეობ-ს ჭეშმარიტი და ცხოვრებისეული საკითხების გამორკვევა თუ მათი დამუშავება და ხელოვნურად ასტეხა უნაყოფო ბრძოლა ისეთი საკითხების გარშემო, რომლებიც გროშის ფასადაც არ ღირდა, ან არადა, არავითარ შედეგს არ მოიტანდა... ამ გზით კატკოვმა ხელი შეუწყო მკითხველი საზოგადოების წარმოდგენათა არევ-დარევას ცხოვრების ყველა მორიგი საკითხისა თუ საზოგადოების განახლების ყველა საშუალებათა შესახებ: აშკარად უსამართლოთ იგი ყველაზე წესიერ მოქალაქეებად ასაღებდა, მჩაგვრელებს — მხსნელებად... ხოლო თანამედროვე ცხოვრების ყველა პრინციპს — მაგალითად, ახალი სასამართლოს, პრესის საჯაროობას, საერობო თვითმმართველობასა თუ სხვა მსგავს პრინციპებს იგი თავგამოდებით აძაგებდა...

აი, ბ-ნ კატკოვის მიმართულების ჭეშმარიტი და შეუფერავი დახასიათება; აი, რამ წარმოშვა მისი დროებითი ძალა და, ამასთან ერთად, აი, რა გახდა საფუძველი მისი სამარადისო თავისმოქრისა. ბ-ნმა კატკოვმა იოლად შექმნა თავისი წუთიერი დიდება, ეშმაკურად დაწნა თავისი მოჩვენებითი გვირგვინი, მაგრამ ამ ვაჟბატონს ძალა არ ეყო, რომ მოეპოვებინა მყარი ლიტერატურული დიდება, გამარჯვებულ სისტემათა თუ მიმართულებათა მსგავსად, რომლებიც თავიანთი ავტორე-

ბის სიკვდილის შემდეგაც ურყევად რჩებიან ხელი-ხელ საგოგმანებ-ლად...

მე არც ჩემს მკითხველებს მივაყენებ შეურაცხყოფას და არც ჩემს ძოწინააღმდეგეებს გავახარებ შეკითხვით: რა საერთოა ამ ტიპსა და „ობზორის“ ღვაწლსა თუ მისწრაფებას შორის-მეთქი? ეს სრულიად უქმი კითხვაა. მაგრამ სრულებითაც არაა უქმი საკითხთა ის წყება, რომელიც მე მსურს დავუსვა ამ, უკაცრავად პასუხია, „პუბლიცისტებს“, თავიანთ კატკოველობას სხვას რომ აბრალებენ.

მიმდინარე 1879 წლის „ტიფლისკი ვესტნიკის“ პირველ ხომერში ვკითხულობ შენიშვნას გადაბეჭდილს აკადემიიდან, — ასე ვუწოდე მე გაზეთ „პეტერბურგ. ლისტოკს“[38], რომელმაც „ტიფლ. ვესტნიკის“ პუბლიცისტები აღზარდა, — იმის შესახებ, რომ ბ-ნ ვარშავსკის, დუნაელი ჩალვადრების ამ ცნობილ ექსპლოატატორს, დაესიზმრა საშინელი რამ: ნახა ერთი ჩალვადარი, რომელიც ვითომ ჯერ კიდევ არასაკმარისად გაეღლიტათ მის ნოქრებს და მანაც ამ უკანასკნელთ ვითომ შავი დღე აყარა. სიზმარი, როგორც ხედავთ, უაღრესად გონებამახვილური და საგულისხმოა.

ვარშავსკიმ თავისი საქციელით სავსებით დაიმსახურა ამგვარი ჩაგონება და „პეტერბ. ლისტოკიც“ პრესის პატიოსანი ორგანოს მოვალეობას ასრულებს, თუნდაც მეათასედ რომ ამათრახებს ექსპლოატაციის ამ გმირს. მაგრამ „ტიფლ. ვესტნიკს“ უკვე იმიტომ აღარა აქვს უფლება კუდი აქიცინოს ჩვენში „პეტერბურგ. ლისტოკის“ წინაშე, რომ ჩვენც გვყავს კავკასიაში ჩვენებური ჩალვადრები, არანაკლებად გაღლეტილები, ვიდრე ბ-ნ ვარშავსკის ჩალვადრებია. ამ ჩალვადრებზე „ობზორში“ დაიბეჭდა ნამდვილი რაფსოდია, რომელმაც მთელი რუსული, ნაწილობრივ კი საზღვარგარეთული, პრესაც შემოიარა, მაგრამ დღემდე იგი ვერსად წააწყდა რაიმე წინააღმდეგობას ჩვენებური, ადგილობრივი ვარშავსკების მხრივ. საკითხავია, თუ რუსეთში არ იყო არც ერთი გაზეთი, უკლებლივ არც ერთი-მეთქი, რომელსაც მაშინ ხმა არ აღემაღლებინოს ჩვენებურ ჩალვადრებზე, რითღა ავხსნათ ის ამბავი, რომ ჩვენში, თბილისში, აღმოჩნდა პრესის ერთადერთი ორგანო, რომელსაც ერთი სიტყვაც არ წამოცდენია მათზე? ეს ორგანო იყო „ტიფლ. ვესტნიკი“. ასდის თუ არა ამას კატკოველობის სუნი, მკითხველო?

•

შარშან და შარშანწინ ჩვენში იყო იჯარაც და იყვნენ მოიჯარადრენიც, იყო ყოველგვარი ოინებიც მათგან მომდინარე... რატომ მოხდა რომ ჩვენმა ადგილობრივმა ორგანომ, რომელიც მთელი სერიოზულო-

ბით წერს თავის თავზე, რომ „საზოგადოება მიეჩვია ყურად იღოს ხოლმე მკაცრი სიმართლისმღაღადებელი ჩემი ხმაო“, სიტყვაც არ დაძრა ამ იჯარებსა და მოიჯარადრეებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ შემთხვევას, როცა ამ სტრიქონების დამწერმა 1876 წელს ამხილა იმ გაზეთში ბ-ნ ფორაქიშვილის იჯარა? რისი სუნი ასდის, მკითხველო, ამგვარ დუმილს, თუ არა კატკოვის მეთოდებისა?

ჩვენში არსებობს ბანკები, არსებობს საწარმოები, რომლებიც პრესის კრიტიკისა და, ყოველ შემთხვევაში, მკითხველი საზოგადოებისათვის მათი საქმეების გაცნობის ღირსია. ჩვენი ადგილობრივი ორგანო კი, იგივე „ტიფლ. ვესტნიკი“, ერთხელაც და ერთი სიტყვითაც არ შეჰხებია მათ*. რატომ? განა ამასაც კატკოველობის სუნი არ ასდის?

მე ვერასოდეს მოვრჩები ყველა ამგვარ, უაღრესად საინტერესო საკითხების ჩამოთვლას, რომლებიც მშვენივრად გვიხატავენ კატკოვისეულ მეთოდებს და რომლებსაც ახლა ჩვენებური, ადგილობრივი პრესის ზნე-ჩვეულებები ამკვიდრებენ, მაგრამ რაკი იძულებული ვარ ვიჩქარო, მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, რომ დიდ საკითხებზე გადავიდე.

*

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოჩნდნენ ძველი თაობის ადამიანები, რომლებმაც, წუთიერ სიძნელეთა გამო, წამოაყენეს პრინციპი, რომ ჩვენი ახლანდელი კანონმდებლობის სიკეთენი და გარანტიები, რომლებიც პიროვნების თავისუფლებას, საქმიანობას და ღირსებას იცავენ, ჩვენი ცხოვრებიდან უნდა ამოვშალოთო. ბ-ნ მურავიოვის მსგავსად, ერთი ამ ვაუბატონთაგანიც გვთავაზობდა სიკვდილით დასჯა დავაწესოთ სასამართლოს განაჩენის გარეშე, მეორე კი — გადასახლება შემოვიღოთ იმავე ფორმალობის დაუცველადო... და ამ ადამიანებმა მაქებარნი იპოვეს „ტიფლ. ვესტნიკში“, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ, სულაც ერთი კვირის წინათ, გაბედა შემდეგი სტრიქონების დაბეჭდვა:

„ხალხი მეცნიერებათა აკადემია როდია, რომ სწავლულ მმართველებს საჭიროებდეს; მიეცით ისეთი მმართველები, რომლებიც მას გაუგებენ, და გვერწმუნეთ, რომ იგი ყოველთვის კარგად იგრძნობს თავს. ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც არიან მელიქიშვილი და ჭავჭავაძე, იციან როგორ მოექცნენ ხალხს, და იმ დროს, როცა სწავლულები, განათლებული მმართველნი, კალმის დახმარებით ცდილობენ გამოიმუშაონ მთიელებისათვის ზნეობრივი თუ ფიზიკური კანონები, ჭავჭავაძეები და მელიქიშვილები ძმაბიჭურად

* ისევ და ისევ იმ შემთხვევებს გარდა, როცა მასში, ამ საგნებზე, ხმას ამოიღებდა ხოლმე ამ სტრიქონების დამწერი.

ელოლიავებიან მათ. როცა მთიელები მხიარულობენ და მღერიან, ისინიც მათ ფერხულში ჩაბმულნი ბანს აძლევენ მათ და „ოჰ-ოჰ-ოჰ-ს და უჰ-უჰუჰ-ს“ გაიძახიან; ხოლო თუ მთიელები ტირიან, ისინიც „ვაი-ვუი-ვაი-ს“ მოსთქვამენ, თავიანთ საქმეს კი მაინც არ ივიწყებენ და, ხანდახან, როცა საჭიროა, თავის ძალასაც აგრძნობინებენ ხოლმე“.

რაც შეიძლება, ღრმად ჩასწვდით, მკითხველო, ამ ამონაწერს და შეადარეთ იგი ბ-ნ კატკოვის მოძღვრებას „მხსნელთა შესახებ“. განა ეს სავსებით ერთი და იგივე არაა!... თარგმანში იგი იმავეს ნიშნავს, რასაც ბ-ნი კატკოვი ამბობდა: „ჩვენ არ გვსურს არავითარი პრინციპები, არავითარი კანონები, არავითარი წესები, რომლებიც ქმნიან და იცავენ საყოველთაო სიმშვიდეს და კეთილდღეობას, თუ ხალხები ღელავენ, ეს საკანონმდებლო სისტემის, ან მმართველობის სისტემის ნაკლოვანებათა, ანდა არასწორ თუ მოძველებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ბრალი კი არ არის, არამედ — ამა თუ იმ მმართველის. იპოვეთ უფრო მეტი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ იცეკვონ და იტირონ, უნარი აქვთ „აგრძნობინონ თავისი ძალა“ და მორჩა, ყველა ჭირი ერთი ხელის მოსმით აღმოიფხვრება! მარტივიცაა და ნათელიც“... მიბრძანეთ, ბატონო, სწორედ ეს არ არის ჭეშმარიტი კატკოვშჩინა?

•

მე არ შევეხები საკითხს — შეგნებულად თუ შეუგნებლად, სისტემატურად თუ ხასიათის სისუსტის გამო, საღი განსჯისა თუ მოუსაზრებლობის გამო ლაპარაკობენ და ქადაგებენ ჩვენში ამგვარ რამეებს. ამ საკითხის გადაჭრა მე უსარგებლოდ მიმაჩნია იმიტომაც, რომ, რანაირიც არ უნდა იყოს იმ პირთა მისწრაფება, ვინც ყოველივე ამას წერს და ასეთ რამეებს ქმნის, ერთნაირად საზიანო გავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენი საზოგადოების გონებისა თუ ჩვენი მხარის განვითარებაზე.... საზოგადოებრივი აზრის გარყვნის ასეთი ცდების მავნებლობა, „წინასწარ მოფიქრებული განზრახვით“ ხდება იგი თუ მოუფიქრებლობით, ოდნავადაც არ იცვლება... ჩვენ ხომ ასეთი „პუბლიცისტებისათვის“ განაჩენის გამომტანი მოსამართლენი არა ვართ, რომ აუცილებელი იყოს ვიკვლიოთ ის მოტივები, რითაც ისინი ხელმძღვანელობენ ხოლმე. ჩვენ ვართ, უბრალოდ, პუბლიცისტები, რომლებიც მოვალენი არიან კატკოველობის ტერმინის განმარტებით მისცენ საზოგადოებას ისეთი მასშტაბი, ერთხელ და სამუდამოდ რომ დაიცავს მას უაზრობის გაუვალ ტევრში გზის აცდენისა და დაკარგვის საფრთხისაგან; ხოლო ამ საფრთხეში აგდებენ მას ის ადამიანები, რომლებიც ყოვლად უსირცხვილოდ ტრაბახობენ „გაზეთის ექვსწლიანი მოღვაწეობით“, ე. ი. იმ მოღვაწეობით, რომლის საუკეთესო ნიმუშები ეკუთვნის „ტიფლისკი ვესტნიკის“ ახლანდელი მოღვაწეების მიერ აშკარად ან ფარულად უარყოფილ პიროვნებებს.

27. თბილისის სათათბირო

თბილისი, 14 იანვარი

დღეს შუადღისას, პირველის ნახევარზე შედგა ჩვენი ახალი სათათბიროს პირველი სხდომა, რომელზეც 72 ხმოსნიდან 68 კაცი შეიკრიბა. დ. ი. ყიფიანის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელშიც ორატორმა თვალი გადაავლო ძველი სათათბიროს მოღვაწეობას და ახლის ამოცანებს, ფიცი მიიღო ყველა ხმოსანმა; ამასთან, გაუგებარია ფიცის ფორმულად რატომ იყო გამოყენებული ნაფიც მსაჯულთა ფურცელი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში შესვლისას იყენებენ ხოლმე. შემდეგ შეუდგნენ კამათს სათათბიროს მუშაობის წესის შესახებ, წამოყენებულ იქნა სამი სხვადასხვა აზრი. ა. ა. ხარაზოვმა წინადადება შეიტანა, ჯერ განვიხილოთ საკითხი მომავალი ქალაქისთავის ხელფასის განსაზღვრის შესახებ, შემდეგ წამოვაყენოთ ქალაქისთავობის კანდიდატები და, ბოლოს, შეუდგეთ არჩევნებსო. ამის საწინააღმდეგოდ ნ. ი. ნიკოლაძემ წინადადება შეიტანა თანამდებობის პირთა არჩევნები გადავდოთ, სანამ პრინციპულად არ გადავწყვეტთ თვითმმართველობის აღმასრულებელი ნაწილის, ე. ი. გამგეობის შინაგანაწესის საკითხებსო. ა. ს. ყორღანოვმა კი წინადადება წამოაყენა პირდაპირ შეუდგეთ კანდიდატების დანიშვნას ბილეთების მიხედვითო.

სათათბირომ უარყო სამივე აზრი და დაადგინა, გადასულიყვნენ ქალაქისთავის ხელფასის საკითხის განხილვაზე. ასახელებდნენ სამ ციფრს: თავადმა ნ. ი. ამატუნმა წინადადება შეიტანა, ქალაქისთავის ხელფასი განვსაზღვროთ 4.000 მანეთით, ა. ა. ხარაზოვმა — 5.000 მანეთით, ხოლო ს. ა. ამიროვმა — 7000 მანეთითო.

ამ წინადადებათათვის კენჭის ყრამ შემდეგი შედეგები მოგვცა:

წინადადებანი:	მომხრე	წინააღმდეგი
ნ. ბ. ამატუნი (4.000)	13	45
ა. ა. ხარაზოვი (5.000)	14	44
ს. ა. ამიროვი (7.000)	39	19

ამრიგად, მომავალი ქალაქისთავის ხელფასი ძველებურად 7.000 ვერცხლის მანეთით განისაზღვრა.

ამის შემდეგ სათათბირომ გადაწყვიტა შეიკრიბოს მომავალ კვირას, 21 იანვარს, კანდიდატების დასახელებისათვის და, თუ შესაძლებელი იქნება, ქალაქისთავის არჩევისათვის.

28. პოლემიკური მარგალიტები

როგორც ჩვენ მოველოდით კიდევაც, „ტიფლისკი ვესტნიკმა“[1] არაფერი თქვა მის მიერვე აღძრული პოლემიკის არც ერთ მთავარ პუნქტზე, არც იმაზე, თუ რატომ სდუმს იგი ასე სისტემატურად ჩვენი ჩალვადრების შესახებ (О наших погонцах), არც იმაზე, თუ რატომ მფარველობს თავისი დუმილით ადგილობრივ საქმოსნებს და მოიჯარეებს, არც იმაზე, თუ რატომ ბაძავდა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“[39] გარკვეულ პიროვნებათათვის გუნდრუკის კმევაში, — ყოველივე ამაზე მან კრინტიც არ დასძრა. ამ გამოცემისათვის ჩვეული მოურიდებლობით, მისი „პუბლიცისტები“ ცდილობენ მკითხველი საზოგადოების ყურადღება ჩამოაშორონ დიდ საკითხებს, რომლებიც დამახასიათებელია გაზეთის მთელი ახლანდელი მიმართულებისათვის და ამაოდ ცდილობენ ღირსების შენარჩუნებას სხვადასხვა წვრილმანებზე ქირქილით...

ჩვენ მანამდე არ ვაღირსებთ პასუხს საქმოსანთა და მოიჯარეთა ორგანოს ყველა ამ ფანდების გამო, სანამ იგი ჩვენს კითხვებზე სერიოზულად და კატეგორიულად არ გვიპასუხებს.

საჭიროდ მიგვაჩნია „ობზორის“[3] მკითხველებს განმარტება მივცეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ მარტოოდენ ერთი ცილისწამების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კითხვებზე „ტიფლისკი ვესტნიკი“ ამჯობინებს დუმილით გვიპასუხოს, იგი მაინც აცხადებს, რომ, „ობზორის“ 349-ე ნომერში ჩვენი ფელეტონის გამოქვეყნებამდე სულ რაღაც სამი დღით ადრე, ჩვენ თანახმანი ვიყავით ორივე გაზეთის შეერთებაზე. მართლაც, ჩვენ ვემხრობოდით ამ ამბავს, მაგრამ „ტიფლისკი ვესტნიკი“ არაფერს ამბობს ამ შეერთების ყველაზე მნიშვნელოვან მუხლებზე. საქმე ისაა, რომ ამ შეთანხმებას წინ უსწრებდა განცხადებათა გაცვლა-გამოცვლა, რომელმაც ნათლად გვიჩვენა, რომ „ტიფლისკი ვესტნიკის“ ახლანდელ მესვეურთ სრულიად არაფერი აქვთ საწინააღმდეგო „ობზორის“ პრინციპებისა და მიმართულებისა. მხოლოდ მათი მხრივ ამგვარი კატეგორიული განცხადების შემდეგ დავთანხმდით ჩვენ შემდგომ მოლაპარაკებაზე; ამავე დროს ჩვენ სრული გულახდილობით გავუზიარეთ მათ ჩვენი აზრი და, ამასთან, თითქმის ყველაფერი ვთქვით იმ გადახრათა წინააღმდეგ, რომელიც „ვესტნიკმა“ იკადრა, როცა ჩვენს ოდესღაც საერთო პროგრამას უღალატა, და რამაც თავის დრო-

ზე გვაიძულა, რომ უარი გვეთქვა ამ გაზეთში თანამშრომლობაზე. „ტიფლისკი ვესტნიკის“ ახლანდელი მოღვაწენიც თანახმა იყვნენ, რომ ეს გადახრები ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ისინი მხოლოდ მოითხოვდნენ „შემამსუბუქებელ გარემოებათა“ გათვალისწინებას, იმოწმებდნენ საამისოდ შემთხვევით გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგ ჩვენც აღარ გვსურდა კამათი.

ასე ფიქრობდნენ და მჭერმეტყველობდენ „ტიფლისკი ვესტნიკის“ მესვეურები, ვიდრე ადგილობრივი კაპიტალისტები საქმეში არ ჩაერევნენ ამა წლის იანვარში და ვიდრე გაზეთის გამოცემის უზრუნველსაყოფად რამდენიმე ასეული მანეთი არ შეუგროვეს. ამით გაზეთის გაჭირვებული მდგომარეობა ერთბაშად შეიცვალა. აი, მაშინ კი მისმა მესვეურებმა, რომლებიც ერთი კვირით ადრე ჩვენს პროგრამას ეთანხმებოდნენ და „ობზორის“ მიმართულებას თაყვანს სცემდნენ, იმის მტკიცება დაიწყეს, რომ თურმე ჩვენსა და კატკოვს შორის განსხვავება არ არის, რომ ჩვენ თურმე ვქადაგებთ ერთი რასის მიერ მეორის შთანთქმას! ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ „ვესტნიკმა“ ზუსტად ასეთივე გამოხდომა მოგვიწყო ადრეც, სწორედ მას შემდეგ, როცა ერთმა პიროვნებამ, რომელმაც „საბაჟო განიავება“ მოახდინა, ისტორიული 10.000 მანეთი შეუგროვა მას და გადასცა. ერთი სიტყვით, „ტიფლისკი ვესტნიკის“ შეხედულებანი ჩვენს მიმართულებაზე იმისდა შესაბამისად იცვლება, თუ რამდენად ძლიერად უჭერენ მხარს ამ გაზეთს ადგილობრივი კაპიტალისტები. ბოლო დრომდე ჩვენ ამას არ ვფიქრობდით და ყველაფერს შემთხვევითობით ვხსნიდით, ამიტომაც „ვესტნიკზე“ ჩვენი მთელი გააფთრებული თავდასხმები სწორედ იმით აიხსნება მხოლოდ, რომ ახლა, უკანასკნელი ამბების შემდეგ, მივედით ამ სამწუხარო დასკვნამდე.

აი, ერთადერთი განმარტება, რომელიც ჩვენ უნდა წარგვედგინა „ობზორის“ მკითხველისათვის. ამის შემდეგ, რაც არ უნდა დაიწეროს „ტიფლისკი ვესტნიკში“, ჩვენ არც ერთ სტრიქონზე არ ვუპასუხებთ, სანამ ეს გაზეთი არსებითად არ გაგვცემს პასუხს ჩვენს კითხვებზე. პოლემიკის საფუძვლები და პირობები ნათლადაა გარკვეული — ჩვენ კი მოწინააღმდეგეს არც უფლებას მივცემთ და არც საშუალებას ცხვა მიმართულებით გადაუხვიონ, რათა ამით წვრილმანების ტევრში ეიიმალონ.

29. პასუხი „რუსკი მირს“

თბილისი, 16 იანვარი

ამა წლის მეოთხე ნომერში „რუსკი მირმა“[24] მკაცრად დაგვტუქსა იმის გამო, რომ ჩვენს მოწინავე წერილებში არ ვიზიარებთ ბ-ნ ვესინის შეხედულებებს ორენბურგ-ტაშკენტის რკინიგზის ხაზის მშენებლობის აუცილებლობაზე, და, შუა აზიის ექსპლოატაციისათვის, უპირატესობას ვაძლევთ გზას კასპიის ზღვის ნაპირებიდან ხივის, ბუხარის, სამარყანდისა და კოკანდის მიმართულებით, ხოლო ინდოეთთან საერთაშორისო ვაჭრობისათვის — იმ გზას, რომელიც გაივლის არა ორენბურგზე, არამედ კავკასიის ყელზე. „რუსკი მირს“ ჰგონია, რომ ყოველივე ეს ხდება საიდუმლო მიზეზების გამო, თუმცა ჩვენ სრულიად აშკარად დავასახელეთ ეს მიზეზები „ობზორის“[3] 268-ე და 269-ე ნომრებში მოთავსებულ წერილებში სათაურით „კონცესიონერული ლოგიკა“, სადაც გარჩეულია ორენბურგის გზის შესახებ „რუსკი მირში“ დაბეჭდილი წერილები. ამ მიზეზთა resumé ისაა, რომ ორენბურგიდან ტაშკენტისაკენ გზის მშენებლობა ძლიერ სასურველია კონცესიონერებისათვის; ამიტომ ისინი დავთრებს ურევენ საზოგადოებრივ აზრს და საამისოდ ემყარებიან ლესეპსის ავტორიტეტსა და მის უბადრუკ სიტყვებს, მაგრამ რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესებისათვის, ეს ხაზი უფრო ნაკლებად საჭიროა, ვიდრე სხვები.

„ობზორი“ თავს ესხმის ამ პროექტს, სამაგიეროდ გვთავაზობს საკუთარ პროექტს — ხივიდან ყარაბუღაზამდეო, — ამბობს „რუსკი მირი“. რა აზრი აქვს ასეთ გზას, ამის გაგება შეუძლებელიაო; გაუგებარია, რისთვის პროექტდება გზა ზღვის იმ უბიდან, რომელიც არ წარმოადგენს გემების კარგ საღუზე სადგომს, ამასთან აქვს ვიწრო და თხელი შესასვლელი და ქარის მოქმედებისათვის გახსნილი ვრცელი ფართობი, რომელშიც ხშირად იცის სასტიკი ღელვა. თანაც, ეს გზა პროექტდება იმ პუნქტისაკენ, რომელიც სრულებითაც არ არის დიდი სავაჭრო მნიშვნელობის და აზიის სხვა სავაჭრო ბაზრებისაკენ განცალკევებულად დგას. და მაინც, „ობზორის“ აზრით, ამ გზის გაყვანა „კასპიისა და ვოლგის დახმარებით (რომელიც უნდა გავაღრმავოთ კიდევაც), შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ყველაზე სწრაფი და იაფი

გზით მივაღწიოთ ხივას". ამრიგად, „ობზორის" რედაქციის მისწრაფების ცენტრი არის ხივა! აფერუმ „ობზორს", რომ გამოსძებნა თავსატეხად ღირებული საქმე.

ამის საპასუხოდ ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ იმ ამონაწერით, რომელიც გამოგზავნილია „ობზორის" მისამართით, თუმცა „რუსკი მირს" კი ეკუთვნის. იგი აშკარად ამჟღავნებს, რომ „რუსკი მირმა" არა თუ არ იცის, არამედ წარმოდგენაც არა აქვს იმ საქმეზე, რომელზეც ასე ავტორიტეტულად მსჯელობს. მაგრამ ასეთი უვიცობა და გაუგებრობა მაინც არ არის დიდი უბედურება; უფრო ცუდი ის არის, რომ მთელი სტატია ფაქტების ყოველად უბოდიშო დამახინჯებას წარმოადგენს.

მართლაც, „რუსკი მირმა" გააკეთა დასკვნა, თითქოს „ობზორის" რედაქციის მისწრაფებათა ცენტრი ხივა იყოს, იმ დროს, როდესაც „ობზორის" 277-ე ნომერში შემდეგი ეწერა:

„ამიტომ გასაგებია, რომ საფრთხე, რომელიც ხივის ხანის კეთილდღეობას ემუქრება (თუმცა ეს საფრთხე არსებითად არც არსებობს, რადგან ამუს გარღვევა ხივის ოაზისის საზღვართან მოხდა), მაინცდამაინც სამწუხარო აზრებს როდი აღგვიძრავს. თუ 50-იან წლებში ხივის ხანმა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, სამართლიანად ჩათვალა, რომ ჯებირით გადაეღობა ბეფთასთან მდ. ლაუდანი და მორწყვის საშუალება წაერთვა თურქმენთა მრავალრიცხოვანი და მდიდარი ტომებისათვის, რომლებიც შეძლებულად ცხოვრობდნენ ამუდარიის ძველ კალაპოტში, მაშინ ამგვარივე სამართლიანობა დაბრკოლებას ვერ შეუქმნის იმას, რომ რამდენიმე ასეული ათასი ხიველის ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს 85-მილიონიანი რუსი ხალხის კეთილდღეობას. მაგრამ, ვიმეორებთ, ასეთი მსხვერპლი სულაც არ არის საჭირო: ხივის ოაზისს შეიძლება რომ დავუტოვოთ, და ძნელიც კი არის, რომ არ დავუტოვოთ, იმდენი წყალი, რამდენიც საჭიროა ხივის სახანოში არსებული კულტურული მიწების მოსარწყავად. და თუ ის ჭარბი მოსახლეობა, რომელსაც ახლა ხივაში მიწა არა აქვს, ან ძალიან მცირე აქვს, გადასახლდება უზბოიზე, ეს უბედურება როდი იქნება ხივის ხანისა თუ თვით ემიგრანტებისათვის. უკანასკნელნი, ჩვენი უშუალო მმართველობის წყალობით, მეტ პირად და ქონებრივ უშიშროებას მიიღებენ, ხოლო ხივის ხანი სულაც არ გაღარიბდება იმის გამო, რომ მას მოაკლდება ქვეშევრდომები, რომლებსაც გადასახადების გაღება არც კი შეუძლიათ".

ამიტომ ჩვენს მკითხველებს ვანდობთ განსაჯონ, თუ რა მიუკერძებელი ანალიზი, ლოგიკა, ჭკუა და ცოდნა გამოავლინა „რუსკი მირმა", როცა ქვემო მოტანილი ადგილი დაბეჭდა:

„იჩენს რა ასეთ ნაზ მზრუნველობას ხივის მიმართ, „ობზორი“, ამასთან ერთად, დაჟინებით გაჰყვირის, რომ საჭიროა „დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები კასპიისაკენ ამუს შემდგომი დინების გასაადვილებლად“, და არ ესმის, რომ ასეთი გეგმის განხორციელებას შედეგად მოჰყვება თვით ხივის ოაზისის გაწირვა. „ტურკესტანსკი ეჟეგოდნიკის“ (გამოშვება II, გვ. 25) ცნობებით, ამუს ქვემო წელში ახლა ა.ის 1.000 ვერსის არხი, რომელიც ხივის მინდვრებს რწყავს. იმისათვის, რომ „გაადვილდეს კასპიისაკენ ამუს შემდგომი დინება“, ამ არხების წყლები უნდა გადავუშვათ ძველ კალაპოტში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მსხვერპლად შევწიროთ მხარის მორწყვა, რომელიც განაპირობებს ამ უკანასკნელში კულტურის არსებობას. შესაძლოა, „ობზორის“ რედაქცია, რომელიც ამდენ ზრუნვას იჩენს კასპიის ზღვისაკენ ამუს დინების გაადვილებისათვის, იზიარებს ვიღაც მკვლევარის შეხედულებას იმის შესახებ, რომ თუ მთელი ხივის სახანო უდაბნოდ გადაიქცევა, ამით ზარალი არ გვექნებაო, — თუმცა, ამ შემთხვევაში, რკინიგზის გაყვანა ხივაში საბოლოოდ კარგავს ყოველგვარ ადამიანურ აზრს“.

ყოველივე ეს, მართლაც, გვიჩვენებს („რუსკი მირის“ გამოთქმა რომ ვიხმაროთ) ღრმა უვიცობას, ფაქტების გაუგებლობას და დამახინჯებას, მაგრამ სწორედ დედაქალაქის ამ პატივცემული გაზეთისას, რომელმაც მოისურვა, როგორც იტყვიან, დაგვიცაცხანოს ჩვენ, რათა არ გავბედოთ და საზოგადოების ყურადღება არ მივაქციოთ სავსებით შესაძლებელ ამ საქმეს.

ეს სრულებით არასაიდუმლო აზრი გამოთქმულია ძალიან ნათლად, მაგრამ დედაქალაქის პრესის ორგანოსათვის, რომელიც ცდილობს ჭკუა გვასწავლოს, მთავარია დაგვანახოს თავისი სიბრძნე და არა ის ხერხები, რომლებსაც ვერავინ მოუწონებს.

აი, რა გვეწერა ჩვენ 323-ე ნომერში კახ-პულარიდან ყარაბუღაზისაკენ გასაყვანი გზის შესახებ:

„სტატიაში, რომელიც ჩვენ „კავკაზიდან“[11] გადმოვბეჭდეთ, ნაჩვენებია კახ-პულარიდან ყარაბუღაზის უბემდე გასაყვანი გზის უპირატესობა. მართლაც, რუკის მიხედვით თუ გავზომავთ, კახ-პულარიდან ყარაბუღაზის უბემდე სულ 200 ვერსია, ხოლო უზბოის გაყოლებით ბალხანის უბემდე — 500 ვერსი. „კავკაზის“ მიერ ნავარაუდევი გზის სასარგებლოდ ლაპარაკობს სიახლოვე, მაგრამ, სამაგიეროდ, კაპიტან ივაშინცევის მიერ გადაღებულ საზღვაო რუკებზე თვით ყარაბუღაზის უბე ნაპირებთან, და თანაც დიდ სიგრძეზე, ნაჩვენებია უაღრესად წყალმარჩხად (ათობით ვერსის მანძილზე არა უმეტეს 5 ფუტისა). უბეში შესასვლელი, ე. ი. ყარაბუღაზის სრუტე, მიხვეულ-მოხვეულ ფარვატერზე 4-დან 7 ფუტამდე. საზღვაო გემების ნაოსნობა ასეთ

სიღრმეზე შეუძლებელია, თუმცა „კავკაზის“ სტატიაში, ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობენ იმგვარად, თითქოს ახლახან დამტკიცებულ ფაქტებზე იყოს საუბარი. კაპიტან ივაშინცევის რუკის სისწორეში არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ და ამიტომ უნდა გამოვთქვათ ზოგიერთი ვარაუდი: მას შემდეგ, ან კასპიის დონემ აიწია, ანდა ფსკერი ჩაღრმავდა; ნაოსნობას აწარმოებდა ორთქლის ბარკასი, ბრტყელძირიანი გემი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ყარაბუღაზის უბეში ნავმისადგომებთან მოხერხებული მისასვლელის მოწყობა, თუ ივაშინცევის რუკის მიხედვით ვიმსჯელებთ, წარმოადგენს არა მარტო უდიდეს ტექნიკურ, არამედ ფინანსიურ სიძნელეს. კრასნოვოდსკი არის ძალიან მოხერხებული ბუნებრივი ნავსადგური და თუ მისი გავლით ხივისაკენ მიმავალი გზა 200 ვერსზე მეტით გრძელდება, ამ რკინიგზის გაყვანამ მაშინაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა იქონიოს. და, რა თქმა უნდა, ყარაბუღაზის გაწმენდა და აქ ნავსადგურის მოწყობა 200 ვერსით მეტ სარკინიგზო გზაზე უფრო ძვირიც რომ დაგეჯდეს, მაინც, უეჭველია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო მოკლე გზას ყარაბუღაზიდან კახ-პულარისაკენ, რადგან ამ გზით გადატანა ყველა ტვირთისა, რომელიც ხივიდან მოდის, ან ხივაში მიდის, ბევრად უფრო იაფი დაჯდება. მაგრამ ახლა საკითხი ეხება ამუ-დარიის შეყვანას კასპიის ზღვაში არა ნაოსნობის მიზნით, არამედ ველის მორწყვისა და შემდეგ მის გასწვრივ გზის გაგრძელებისათვის. ცხადია, რაც უფრო დიდ მანძილზე გაივლის ამუ ველს, მით უფრო მეტი მიწის რაოდენობა იქნება მორწყული. მეტი შანსი გვექნება, ვისარგებლოთ ამ მიწის კულტურით. ამიტომ ახლა, მიუხედავად ყარაბუღაზის უბის შედარებითი სიახლოვისა, ჩვენ ვემხრობით ამუს წარმართვას უზბოით ბალკანის ყურეში. თუ ივაშინცევის გადაღებათა შემდეგ ყარაბუღაზში ცვლილებანი მოხდა, მაშინ ჩვენი დიდი სურვილი იქნება, რომ ამ ცვლილებათა მცოდნე პირებმა გვაცნობონ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იმ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რაც უნებლიედ წარმოიშობა, თუ ვარაუდებს ყარაბუღაზის ყურეში გემების ნაოსნობის შესახებ არსებული საზღვაო რუკების მიხედვით შევამოწმებთ“.

მაშასადამე, მოსაზრება კახ-პულარიდან ყარაბუღაზის უბისაკენ გზის გაყვანის თაობაზე დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზში“, და ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ — ინჟინერ ჰელმანს; ხოლო ჩვენ, მიუხედავად საყვედურისა ღრმა უვიცობასა თუ უგუნურობაში, თავს ნება არ მივეცით მანამდე გვეთქვა რამე მის შესახებ, ვიდრე ბ-ნ გელმანის მოსაზრება არ შევამოწმეთ იმიერკასპიის მხარის ბოლოდროს გამოცემული რუკისა და კაპიტან ივაშინცევის გადაღებათა მიხედვით. ცუდი არ იქნებოდა ეს მეთოდი „რუსკი მირსაც“ შეეთვისებინა, როცა იგი სხვათა შრომებზე ლაპარაკობს, — და მაშინ უვიცობა და უგუნურობაც

საერთოდ ნაკლები იქნებოდა. „ობზორის“ 323-ე ნომრიდან ჩვენს მიერ მოტანილ ამონაწერში პირდაპირ გამოთქმულია აზრი, რომ ყარაბუღაზის უბეში ნავმისადგომებისა და მარჯვე შესასვლელის მოწყობა, ახლანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს, რომლის გადალახვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, 200 ვერსის მანძილზე, რკინიგზას სამდინარო გზით შევცვლით. ამ მოსაზრებაში არაფერია გაუგებარი ანდა გასაოცარი ყველა იმათთვის, ვინც იცის, რომ ვოლგა ჩაედინება კასპიის ზღვაში და რომ რუსეთის მრეწველობის ინტერესებისათვის საჭიროა ვისარგებლოთ ამ სამდინარო გზით, რომლითაც ყველაზე იაფად შეიძლება მივიტანოთ შუა აზიის ნედლეული პირდაპირ ჩვენს ცენტრალურ მანუფაქტურულ ოლქებში. ეს აზრი ხომ სულაც ჩვენი არ არის; იგი ეკუთვნის პეტრე დიდს, რომელსაც, რა თქმა უნდა, უყვარდა რუსეთი და გაცილებით უფრო მართებულად და ღრმად ესმოდა მისი ინტერესები, ვიდრე ბ-ნ ვესინს, რომელიც „რუსკი მირის“ პატივცემულ რედაქციასთან გახლავთ შეამხანაგებული.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ „რუსკი მირის“ ყველა ამ ღრმააზროვან და მკაცრ შენიშვნათა შემდგომ გარჩევას, რადგან შედეგი იგივე იქნება, რაც ჩვენთვის ჭკუისსასწავლებლად დაწერილი სტატიის პირველი სტრიქონების გარჩევისას მივიღეთ; მაგრამ ბოდიშს მოვიხდით ერთი შეცდომისათვის, რომელზეც მართებულად მიგვითითა „რუსკი მირმა“, — სახელდობრ იმისათვის, რომ პატივცემული გაზეთიდან აღებული ცნობა გადმოვბეჭდეთ წყაროს მიუთითებლად.

„რუსკი მირის“ რედაქციამ იცის, რომ შინაგან ცნობათა რუბრიკა ყველგან, დედაქალაქის გაზეთებშიც კი, უმეტესწილად გადმობეჭდილი მასალებისაგან შედგება და რომ სხვა გაზეთებიდან ცნობების ამოჭრა სულაც არ შეადგენს რედაქციის წევრთა მთავარ საქმიანობას. ამონაკერთა გროვაში ძლიერ ხშირად ერთმანეთში აირევა ხოლმე სხვადასხვა გაზეთი, საიდანაც ამოღებულია ესა თუ ის მასალა; ხოლო ზოგჯერ ეს უკანასკნელი ჩაუნიშნავადაც კი გაიპარება ხოლმე, რაც მხოლოდ იმის შედეგია, რომ ლიტერატურული გამომჭრელი, რომელმაც ეს ამონაკერი დაამზადა, დაუდევრად მოეკიდა თავის საქმეს. ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეცდომად უნდა ჩაითვალოს, თუმცა იოლად მისატევებელ შეცდომად.

30. საერობო გადასახადის ორგანიზაცია ამიერკავკასიის მხარეში*

1. საერობო გადასახადი საერთოდ იმპერიაში

თბილისი, 15 იანვარი

ამ საუკუნის დამდეგამდე მთავრობას, როცა კი საერობო[17] გადასახადს აწესებდა ხოლმე, ძირითადად, ის მიზანი ჰქონდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ნამდვილად აღსრულებულიყო; მაგრამ გამოსაღები ნატურით იქნებოდა გაღებული თუ ფულით, დაქირავებისა თუ დამზადებათა საშუალებით, — ამაში კანონმდებლობა, უმეტეს წილად, არ ერეოდა ხოლმე და მოსახლეობას უფლება ჰქონდა საკუთარი შეხედულებისამებრ მოქცეულიყო.

გადასახადთა გაწერის ამგვარი სისტემის დროს მთელი სიმძიმე მოსახლეობის მარტო იმ ნაწილს აწვებოდა ხოლმე, ვის ადგილსამყოფელშიც უნდა აკრეფილიყო ესა თუ ის გადასახადი.

საერობო გამოსაღებთა განაწილების სიმძიმე და უთანაბრობა, მაშასადამე, ის ბოროტმოქმედებაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათი აკრეფისას, მთავრობას ძველთაგანვე საზრუნავს უქმნიდა; განსაკუთრებული საქმიანობა კი გადასახადთა გასათანაბრებლად და ძის სისტემაში მოსაყვანად დაიწყო იმპერატორ ალექსანდრე პირველის მეფობიდან და ამჟამადაც გრძელდება.

1802 წელს მთავრობისეულ სენატს უბრძანეს, რომ შეკრიბე და განიხილე ცნობები მთელი სახელმწიფოს საერობო გადასახადთა შესახებო. მოპოვებულმა ცნობებმა გამოამჟღავნეს, რომ ბევრი გადასახადის აკრეფა ფულის გაღების საშუალებით ხდებოდა, რადგან ჯერ კიდევ 1805 წელს გამოიცა „წინასწარი დებულება თვითეულ გუბერნიაში საერობო ფულად გამოსაღებთა აკრეფის წესის შესახებ საერთოდ მთელს სახელმწიფოში მათს გათანაბრებამდე"; სწორედ ამ მიზ-

---

* ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ საკითხის მოსალოდნელი დაყენების გამო, საჭიროდ მიგვაჩნია „ობზორში" მოვათავსოთ დაწერილებითი ისტორიული ნარკვევი ერობის შემოღების შესახებ ამიერკავკასიაში. როცა მას ვწერდით, პრესაში გამოსაქვეყნებლად სულაც არ გვქონდა იგი ნავარაუდევი.

ნის მისაღწევად სენატთან მაშინვე შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტი.

არსი აღნიშნული „წინასწარი დებულებისა“, რომელშიც დადგენილია ზოგიერთ გადასახადთა აკრეფის წესი, იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი, ფულის აკრეფაში, ყოველი გუბერნიის აუცილებელ საერობო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მონაწილეობა უნდა მიეღო მთელ მოსახლეობას, მეორეც, მოსპობილიყო ის არამართებული და წყვდიადით მოცული გადასახადები, რომელთა აკრეფაც საერობო გამოსაღებთა სახით ხდებოდა. „დებულებაში“, სხვათა შორის, დადგენილია:

„გუბერნიაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს გამოსაღებთა რაიმე აკრეფას ან გადასახადის შემოღებას საერობო გამოსაღებთა სახელით, თუ დაცული არ იქნება საამისოდ დადგენილი წესები, სახელდობრ: გუბერნიის უფროსმა ვიცე-გუბერნატორთან და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთან, ხოლო სადაც თავადაზნაურობა არ არის ქალაქის დეპუტატებთან, ერთად მუხლობრივად უნდა დაიანგარიშოს, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ყველა ის ფულადი ხარჯები, რომელიც გაღებულ უნდა იქნეს საერობო ვალდებულებათა შესასრულებლად. თავადაზნაურობისა და ქალაქების დეპუტატები, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, მოახდენენ რაც შეიძლება თანაბარ გაწერას ყოველი წოდებისათვის. სამხედრო გუბერნატორის ან გენერალ-გუბერნატორის მიერ დამტკიცების შემდეგ გადასახადთა გაწერა, სათანადო შესრულებისათვის, ეგზავნება ადგილობრივ საერობო და საქალაქო პოლიციას. გაწერის მიხედვით განსაზღვრული და შეკრებილი გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ხაზინებში“.

1816 წელს დაადგინეს, რომ საერობო ხარჯთაღრიცხვა და გაწერა წარდგენილ იქნეს ხოლმე უმაღლესად დასამტკიცებლად.

ზემოთქმულიდან და, აგრეთვე, ამ საგანზე მიღებულ მომდევნო ღონისძიებებიდან ჩანს, რომ საერობო ფულად გადასახადთა გათანაბრებისათვის თავდაპირველად მხედველობაში მიიღებოდა ამ გამოსაღებთა ჯამი თვითეულ გუბერნიაში ცალ-ცალკე, და ეს თანხა იყოფოდა იმავე გუბერნიის ყველა მცხოვრებზე, რომლებიც იხდიდნენ სულადობრივს ან მის შესაბამის გადასახადს, ისევე როგორც ყველა გილდიის ვაჭრებზე, მაგრამ უკანასკნელებზე ყველგან ერთნაირად, ე. ი. მათ მიერ აღიარებული კაპიტალების ერთი მეოთხედი პროცენტის რაოდენობით წლიურად. მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ ზოგიერთ გუბერნიაში ფულადი საერობო საჭიროებანი დიდად სჭარბობდა იმ შესაძლებლობას, რომლის დაკმაყოფილების უნარიც გუბერნიას ჰქონდა შინაგანი გაწერის გზით. ამისათვის, გადასახადთა გასტუმრების გა-

ადგილებისათვის იმ გუბერნიებში, რომლებისთვისაც ადგილობრივ გარემოებათა გამო განსაკუთრებით მძიმე ტვირთად იქცა გადასახადები, მაშინ, როდესაც სხვა გუბერნიებში მათი მნიშვნელობა შედარებით მცირე იყო, შემოღებულ იქნა მაშველი საერობო კაპიტალი აღნიშნული გუბერნიებისათვის დახმარების გასაწევად დანარჩენთა ხარჯზე. ამ მიზნით, ყველა გუბერნია და ოლქი გაყოფილ იქნა ხუთ ჯგუფად, რომელთაგან ზოგიერთი განთავისუფლებულ იქნა დამატებითი გადასახადისაგან, ხოლო დანარჩენები, ზემოთ აღნიშნული კაპიტალის შესადგენად, დაბეგრილ იქნა განსაკუთრებული სულადობრივი გადასახადით, 2, 4 და 6 კაპიკის რაოდენობით სულზე. შემდეგ, კანონმდებლობაში გამოითქვა აზრი, რომ ფულად საერობო გადასახადთა გათანაბრებისას ისინი თანდათანობით მიყვანილ იქნან საერთო წესების დონემდე სახაზინო გადასახადთა შესახებ. რათა, დროთა განმავლობაში, ეს გადასახადი ხაზინაში შევიდეს და შემდეგ საერთო სახელმწიფო შემოსავლიდან იქნას შევსებული.

1851 წლის საერობო წესდების გამოცემით, საერობო გამოსაღებთა შესრულების ძველი სისტემა არსებითად შეიცვალა. ამასთან ერთად, ამ გადასახადთა გაღებაში მონაწილეობის მისაღებად ახალი ძალები ჩაებეს.

1851 წლის წესდებით ფულადი საერობო გადასახადები დაჰყვეს სამ კატეგორიად:

1. სახელმწიფო გადასახადები, რომლებიც იმპერიის ყველა ნაწილისათვის შეადგენენ ცოტად თუ ბევრად საერთო მოთხოვნილებას. ამ გადასახადთა, მათი ჯამი, ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილი ერთი საერთო გაწერის თანახმად, იყოფოდა ყველა გუბერნიისა თუ ოლქის სავაჭრო წოდებასა და მებეგრე პირებზე, გარდა კაზაკთა მიწებისა, ამიერკავკასიის მხარისა, მომთაბარე ტომებისა და ციმბირის ზოგიერთი ოლქისა.

2. საგუბერნიო გადასახადები, რომლებიც შეადგენენ ყოველი გუბერნიის ან ოლქის ადგილობრივ მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებათათვის საჭირო თანხა უნდა განაწილდეს ადგილზე, — თვითეულ გუბერნიასა ან ოლქში, როგორც სავაჭროებსა, სარეწაოებსა და მებეგრე პირებს შორის, ასევე, ამ უკანასკნელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად ნაწილობრივ იმ სავარგულებისათვის შეწერითაც, რომლებიც კერძო პირებს (თავადაზნაურებს, ვაჭრებსა და სხვა წოდების ხალხს), საზოგადოებებს, საუფლისწულო მამულებს, ხაზინას და ყველა დანარჩენს ეკუთვნის, სრული საკუთრების ან მხოლოდ სარგებლობის უფლებით, მიუხედავად იმისა, დასახლებულია თუ დაუსახლებელი,

აძლევს თუ არ აძლევს ეს მიწა თავის მფლობელებს რაიმე შემოსავალს.

3. კერძო გადასახადები, რომლებიც ეხებიან მოთხოვნილებებს მხოლოდ ზოგიერთი წრეებისას, რომელთა შორისაც უნდა განაწილდეს ამისათვის საჭირო თანხა.

გადასახადთა საგანი თვითეული კატეგორიის მიხედვით დაწვრილებითაა დასახელებული თვით „დებულებაში", რათა ამიერიდან ადგილობრივ გადასახადებს მიეწეროს ყველა გადასახადი, რომლებიც, მცხოვრებთა პირადი სურვილით, ნატურალურიდან ფულადად გადაიქცევა. საერობო ხარჯთაღრიცხვათა და გაწერათა შესადგენად ნაბრძანებია, ყველა გუბერნიასა თუ ოლქში, სამი წლის შემდეგ, დაწესდეს საერობო გადასახადთა კომიტეტი, ხოლო უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამგებლობისათვის ჩამოყალიბებულია საერობო გადასახადთა განსაკუთრებული საკრებულო გუბერნატორის თავმჯდომარეობით, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის, სახაზინო პალატისა და სახელმწიფო ქონებათა პალატის მმართველთა და საგუბერნიო ქალაქისთავის მონაწილეობით.

1864 წელს ზოგიერთ გუბერნიებს ებოძათ საერობო დაწესებულებანი, რომელთაც, სხვათა შორის, მიეცათ ადგილობრივ (საგუბერნიო) გადასახადთა განსაზღვრის, გაწერის, აკრეფის და ხარჯვის უფლება.

1872 წლიდან სახელმწიფო საერობო გადასახადთა გაწერისადმი დაქვემდებარებულია, გარდა სახაზინო მიწებისა, აგრეთვე, ის მიწებიც, რომლებიც მანამდე მხოლოდ ადგილობრივი გადასახადებით იბეგრებოდა. და ბოლოს, 1875 წლიდან შეწყდა ცალკე არსებობა სახელმწიფო საერობო გადასახადისა, რომელიც შეერწყა სხვადასხვა საერთო სახელმწიფო შემოსავალს, რათა აღნიშნული გადასახადით გამოწვეული ხარჯები შეტანილ იქნეს სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში. ამასთან, საერობო გადასახადთა კომიტეტები და საერობო გადასახადთა განსაკუთრებული საკრებულოებიც გაუქმდა, ხოლო მათ ნაცვლად შეიქმნა საგუბერნიო და სამაზრო განმკარგულებელი კომიტეტები. საგუბერნიო კომიტეტები იქმნება გუბერნატორის თავმჯდომარეობით და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, სახაზინო პალატის მმართველის, მთავრობის მიერ დანიშნული წევრის, საგუბერნიო ქალაქის ქალაქისთავისა და საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარის (სადაც ასეთი არსებობს) შემადგენლობით. ხოლო იმ საქმეების გამო, რომლებიც ეხება სამხედრო, ან საფოსტო უწყებას, საგუბერნიო კომიტეტის სხდომებში მონაწილეობენ აგრეთვე სამხედრო უწყების წევრი ან საფოსტო ნაწილის მმართველი. სამაზრო კომიტეტები იქმნებიან სამაზრო პოლიციის უფროსის („ისპრავნიკის") ან ამის შესაბამისი თანამდებობის პირის თავმჯდომარეობით და სამაზრო საერობო გამ-

გეობის (სადაც ასეთი არსებობს) წევრისა თუ გუბერნატორის მიერ დანიშნული საგანგებო მოხელის მონაწილეობით, რომლებიც სამეურნეო განკარგულებათა გაცემისას იწვევენ ხოლმე საქალაქო ადგილებში — ქალაქისთავებს, ხოლო მაზრებში, სოფლის საზოგადოების მიწებზე — თემის მამასახლისს, აგრეთვე, სამხედრო და საფოსტო უწყების წევრებს, როცა ხდება მათი უწყებისადმი დაქვემდებარებული საქმეების განხილვა.

2. ამიერკავკასიის მხარის შექმნა და მისი ადმინისტრაციული დაყოფა

თბილისი, 19 იანვარი

ამიერკავკასიის მხარე შეიქმნა წვრილი სახელმწიფოებისა და პროვინციებისაგან, რომლებიც რუსეთმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით შეიერთა: ზოგი — ნებაყოფლობით, ზოგიც — ძალით. ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის საფუძველი გახდა საქართველო: ძლიერი და, ამასთან, მტრულად განწყობილი მეზობლებისაგან და შინაგანი აშლილობისაგან დაუძლურებული აღმოსავლეთ საქართველო 1800 წელს ნებაყოფლობით შევიდა ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში. მის მაგალითს მიბაძეს სამეგრელომ (1803 წ.) და იმერეთმა (1810 წ.). ამის კვალდაკვალ, იარაღმა განაერცო რუსეთის ბატონობა ყველა მხრით. მაგალითად, სპარსეთს ჩამოშორდნენ ყარაბაღის, შაქის, შირვანის, დარუბანდის, ბაქოს, ყუბის, თალიმის სახანოები (1813), ხოლო უფრო გვიან კი ერევნის, ნახჭევნის, და სხვა ახლანდელ საზღვრებში არსებული მიწები. თურქეთისაგან, 1828—1829 წლების ომის[40] შედეგად, შემოერთებულ იქნა გუმრა, ახალქალაქი, ახალციხე, გურიის ნაწილი და შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო. 1859 წელს საბოლოოდ იქნა დამორჩილებული აღმოსავლეთ კავკასიის, ხოლო 1864 წელს კი — დასავლეთ კავკასიის მთის ხალხები. ბოლოს, სულ ახლახან ამიერკავკასიის მხარეს მიეკუთვნა შავი ზღვის ოლქი (1866 წ.) და იმიერკასპიის განყოფილება (1873 წ.)

1801 წელს, საქართველოს საბოლოო შემომტკიცების შემდეგ, ჩვენში შეიქმნა რუსული გუბერნია, შემოღებულ იქნა რუსული მმართველობის წესი და ჩამოყალიბდა საშუალო თუ დაბალი ადმინისტრაციული დაწესებულებანი იმის მსგავსად, როგორიც იყო იმპერიაში. ამიერკავკასიის მხარის სხვა ნაწილებში კი შემოერთების შემდეგ დატოვეს ძველი მმართველობა, მაგრამ მთავარი გამგებელნი რუსი ჩინოვნიკები იყვნენ. კავკასიის მმართველობის ამგვარი წესი უცელელად არსებობდა თითქმის 1840 წლამდე.

უკვე ოციანი წლების დამლევს, სენატორების გრაფ კუტაისოვისა. და მეჩნიკოვის რევიზიის დროს, შემჩნეულ იქნა, რომ ამიერკავკასიის თითქმის ყველა დაწესებულება დროებითი ხასიათისაა და რომ ისინი წარმოადგენენ მმართველობის რუსული წესისა და ქართული ან მუსლიმანური წესის აღრევას, რომ არ არის ერთიანობა არც მმართველობის ფორმაში, არც კანონებში, არც საფინანსო სისტემაში. ამიტომ უკვე მაშინვე აუცილებლად ჩათვალეს დაუყოვნებლივ შემოეღოთ მთელს მხარეში რუსული კანონები და სამართლის წარმოება, ამ მხარის რუსეთთან თანდათანობით შერწყმისათვის, რადგან, სენატორთა აზრით, „რაკი ამიერკავკასიის მცხოვრებნი რუსებთან ერთნაირი უფლებებით ისარგებლებენ და რუსული კანონების საფარქვეშ მოექცევიან, ისინი სახელმწიფოს სხვა ნაწილებისაგან ნაკლებად იქნებიან მოწყვეტილი, ხოლო ძველი მმართველობის წესი და ძველი წყობილება კი, პირიქით, მარტოოდენ მათ ცალკე არსებობასა და რუსეთისაგან განსხვავებულობას მოგვაგონებენ“. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ ყველა საქმე აუცილებლად რუსულ ენაზე უნდა წარმოებდეს, რომ საჭიროა ვიზრუნოთ სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებაზე, მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის სრულყოფაზე.

ამ მიზნით მხარის მოწყობისა თუ მისი ნაწილების მმართველობის შესახებ სხვადასხვა ცნობათა და მოსაზრებათა ადგილზევე დასამუშავებლად თბილისში მოვლინებულ იქნა განსაკუთრებული კომისია სახელმწიფო საბჭოს წევრის, სენატორის, ბარონ განის თავმჯდომარეობით. კომისიისათვის სახელმძღვანელოდ რეკომენდირებულ უზენაეს ინსტრუქციაში ვკითხულობთ:

„ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს შესახებ დებულების პროექტი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მოიცავდეს მხარის მმათველობის ყველა ნაწილსა და ყველა საგანს. საშუალო (საგუბერნიო) მმართველობის მიხედვით განსხვავებულ უნდა იქნეს საკუთრივ საქართველო, უფრო მცირე ოლქებით, როგორიცაა იმერეთი, სომხეთის ოლქი და მუსლიმანური პროვინციები. საქართველოში, რომელიც სხვა ნაწილებთან შედარებით მოქალაქეობრიობისა და განათლებულობის მხრივ უფრო მაღალ საფეხურზე დგას, საჭიროა გეზი ავიღოთ საგუბერნიო დაწესებულებებზე; უფრო მცირე ოლქებში კი, თუ ისინი საქართველოსაგან უნდა გამოიყონ, დაპროექტებულ იქნეს მმართველობის შეკვეცილი წესი, მაჰმადიანურ პროვინციებში კი, მაჰმადიანთა ჩვეულებისამებრ, კურსი აღებულ უნდა იქნეს უფრო მუნიციპალურ მმართველობაზე, ოღონდ რუს ჩინოვნიკთა უფროსობით. უდაბლეს სამმართველოთა შექმნის დროს უნდა ვერიდოთ ზედმეტ მრავალფეროვნებას, რადგან აქ ადგილობრივი ჩვეულებანი იშვიათად შე-

იცავენ დიდ მნიშვნელობას და მოსახლეობა მალე მიეჩვევა ახალ წყობილებას, ოღონდ კი იგი შეესატყვისებოდეს თვითეულ ამ ნაწილს“.

ხსენებული პროექტის დამუშავება რამდენიმე წელს გრძელდებოდა. ბოლოს, 1840 წლის 10 აპრილს, გამოვიდა უმაღლესად დამტკიცებული „დებულება“, რომლის საფუძველზე მაშინვე შეიქმნა მთავარი საგუბერნიო და სამაზრო მმართველობა, ხოლო თვით მხარე ორ ნახევრად გაიყო: 1. საქართველო-იმერეთის გუბერნიად, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ აღმოსავლეთ საქართველო, იმერეთი (გურიის სამთავროთურთ), სომხეთის და ჭარ-ბალაქნის ოლქები და ახალციხის პროვინცია, და 2. კასპიის ოლქი, რომელშიც შევიდა კავკასიის მხარის სხვა ადგილები, რომლებიც იმ დროს რუსეთს ეკუთვნოდნენ და უპირატესად მუსლიმანებით იყო დასახლებული.

კავკასიის სამეფისნაცვლოს შექმნის შემდეგ (1844 წ.) ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული დაყოფა არაერთხელ შეიცვალა და ახლა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ა) ხუთი გუბერნია: თბილისის, ქუთაისის, ერევნის, ელიზავეტპოლისა და ბაქოსი, რომლებშიც, 1866 წლიდან, შემოღებულია მმართველობა საერთო საგუბერნიო წესის მიხედვით;

ბ) დაღესტნის ოლქი, ზაქათლის ოლქი (Округ), სოხუმისა და იმიერკასპიის განყოფილებანი, რომლებშიც არსებობს დროებითი სამხედრო მმართველობა; და

გ) შავი ზღვის ოლქი (Округ), რომლის გამგებლობისა და მართვისათვის, 1866 წლის 10 მარტს, გამოიცა განსაკუთრებული „დებულება“.

3. საერობო გადასახადთა გადახდის წესი ამიერკავკასიის მხარეში

თბილისი, 20 იანვარი

თავდაპირველად ამიერკავკასიის მხარეში თითოეული შემოერთებული ადმინისტრაციული ერთეულისათვის საფინანსო სისტემა უცვლელი რჩებოდა. სახაზინო შემოსავალი შედგებოდა ნაწილობრივ ფულად ანაკრეფთაგან, საბეგრო განაკვეთით თუ უამისოდ, ნაწილობრივ მიწისა და ლითონთა ნაწარმებისაგან (პური, აბრეშუმი, ბამბა, სპილენძი და ა. შ.).

გარდა სახაზინო გადასახადებისა, ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობა, რუსეთთან შეერთების დროიდან, იხდიდა ეგრეთ წოდებულ საერობო გამოსაღებსაც, სახელდობრ კი:

სამოქალაქო დარგში:

1. საპოლიციო სამმართველოთა შიკრიკების შენახვა.

2. მოსახლეობისათვის ჩამორთმეული ცხენების, ხოლო შემდეგ საფოსტო ცხენების შენახვაც.

3. გათბობა და განათება კაზაკთა საგუშაგოების, რომლებიც თავდაპირველად საფოსტო სადგურების მაგივრობას ასრულებდნენ, ხოლო შემდეგში — თვით საფოსტო სადგურების.

4. მუშათა განწესება უფასოდ სამუშაოდ სახაზინო მეურნეობაში.

5. სამოქალაქო უწყების ჩინოვნიკებისათვის სათიბების გამოყოფა.

6. სამოქალაქო ჩინოვნიკებისათვის ფურაჟისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა მიტანა.

7. მთავრობის დაწესებულებათა გამგზავრების უზრუნველყოფა საზაფხულო იალაღებზე.

8. ადამიანთა განწესება სასაზღვრო ურთიერთობისათვის.

9. სამხედრო ეგზეკუციის შენახვა.

10. მშენებლობა და მოვლა-პატრონობა გზებისა, ხიდებისა, ბოგირებისა და გადასასვლელებისა, რომლებიც სამხედრო უწყებას არ ეკუთვნოდა.

11. წყალსადენთა მოწყობა და მოვლა-პატრონობა.

სამხედრო დარგში:

1. შეიარაღებულ მცხოვრებთა განწესება: ა) ცხენოსან-მუსლიმანთა პოლკისათვის ვარშავაში. ბ) ქართველთა პირველი ქვეითი პოლკისათვის, გ) ჯარის მუდმივი მილიციისათვის, დ) ლეკთა თარეშისაგან კახეთის დამცველი საგუშაგოებისათვის, ე) საკორდონო დაცვისათვის ყარაბაღში, ვ) დროებითი მილიციებისათვის.

2. საზიდართა განწესება სამხედრო საჭიროებისათვის;

3. ჯარისათვის ბინების, საძოვრების, თივის სათიბებისა და საბოსტნე მიწების გამოყოფა.

4. ჯარისათვის სათბობისა და შტაბის ბინების ასაშენებლად ხეტყის მასალის მიტანა.

5. მუშების განწესება სტრატეგიულ გზათა გაყვანისა და მოვლისათვის (საქართველოს — სამხედრო, იმერეთის — სამხედრო, დილიჟანის).

6. საკორდონო საგუშაგოთა აგება, გათბობა და განათება.

1830 წლამდე მხარეში საერობო გადასახადთა გაღების არავითარი გახსაზღვრული სისტემა არ არსებობდა და, ადგილობრივი პოლიციელის ან სამხედრო ნაწილის უფროსის მოთხოვნისამებრ, მოსახლეობა იხდიდა ხოლმე ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით. 1829 წელს საქართველოს მთავარმმართებელმა გრაფმა პასკევიჩმა თბილისში მიმდინარე სათავადაზნაურო არჩევნების გამო განკარგულება* მისცა

---

* უნდა ვიფიქროთ, რომ ეს განკარგულება შედეგი იყო არა მიმდინარე სათავადაზნაურო არჩევნებისა, არამედ იმ შენიშვნებისა, რომლებიც გამოიმუშავეს გრაფმა კუტაისოვმა და მეჩნიკოვმა საქართველოში რევიზიის ჩატარებისას.

ტფილისის სამხედრო გუბერნატორს, რომ შედგეს გუბერნიის საერობო ხარჯთაღრიცხვა და გაწერა საერთოდ არსებულ საფუძველზე, ოღონდ ადგილობრივი პირობების შესაბამისადო; მაგრამ განსაკუთრებული „საკრებულოს“ შუამდგომლობით, რომელიც შედგებოდა თბილისის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორების, თავადაზნაურთა წინამძღოლისა და სახაზინო ექსპედიციის მმართველისაგან, გრაფმა პასკევიჩმა ნება დართო, რომ 1830 წელსაც ძალაში დარჩენილიყო გამოსაღების გაღების ძველი წესი, „გარდა სადგურების შენობათა აგებისა და საფოსტო კურიერის გადარბენებისათვის საჭირო ანაკრეფებისა, რამდენადაც ეს ორი მუხლი ისეთი მნიშვნელობისაა, რომ, ყოველგვარ ადგილობრივ სიძნელეთა მიუხედავად, უნდა იქნას გადახდილი მხარის ყველა მცხოვრებთა მიერ“.

ხსენებული „საკრებულოს“ მიერ გრაფ პასკევიჩისათვის წარდგენილი აქტიდან ჩანს, რომ საერობო გადასახადთა საგანი იმდროინდელ საქართველოში მოკლებული იყო სათანადო გარკვეულობას, ხოლო ამ გადასახადთა უმეტესი ნაწილის აღება ხდებოდა უეცრად წამოჭრილი საჭიროებისდა მიხედვით, თანაც ყოველ მაზრასა თუ თემში ცალ-ცალკე; ამასთან ეს ხდებოდა სხვადასხვანაირი წესით, ერთგან — ნატურით, მეორეგან — ფულით. კიდევ მეტი: საქართველოში არსებობდა ბევრი ისეთი გადასახადი, რომელთა გამოღებაც ხდებოდა განსაკუთრებულ შემთხვევებში და მათთან ერთად უქმდებოდა ხოლმე; არსებობდა ისეთიც, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ მდგომარეობას შეესატყვისებოდა და, ამიტომ, საერთო წესიდან უნდა ამოღებულიყო. „შესაძლებლობა რომ გვქონდეს ავკრიფოთ ეს ყოველივე, — ნათქვამი იყო „საკრებულოს“ ხსენებულ აქტში, — და შემდეგ განვსაზღვროთ მთელი სიზუსტით ის მოთხოვნილებანი, რომლებიც, საქართველოს ადგილობრივ გარემოებათა და არსებულ კანონთა შესაბამისად, შეიძლება შეტანილ იქნეს საერთო საერობო გადასახადთა შემადგენლობაში. ყველა წოდებაზე გათანაბრებითი გაწერით, ამისათვის სრულიად აუცილებელია, რომ საქართველოს ყველა ადგილობრივ უფროსისაგან შეეკრიბოთ წინასწარი ცნობები, ამ მიზეზების გამო საკრებულომ გადაწყვიტა, რომ 1830 წლისათვის საერობო გამოსაღებთა გაღება საქართველოში ძველებურად დარჩენილიყო, ე. ი. ყოველ მაზრაში ცალ-ცალკე მოეხდინათ გაწერა. ამასთან ერთად, შეედგინათ ხარჯთაღრიცხვა და გაწერა მარტოოდენ საფოსტო კურიერის გადარბენისათვის და სადგურების შენობათა აგებისათვის, რაკი ისინი გადადებას ვერ ითმენდა საფოსტო სადგურების ცუდი მდგომარეობის გამო“...

1831 წლის დასაწყისში სამოქალაქო გუბერნატორმა წარმოადგინა 1831 წლის ხარჯთაღრიცხვისა და გაწერის პროექტი და განმარტა,

რომ, დადგენილი წესის თანახმად, მათს დამტკიცებამდე* ადგილობრივ უფროსთა განკარგულებაში არავითარი წყარო არ იყო ხარჯების დასაფარავად; რომ საქართველოში არასდროს არ შეუმოწმებიათ საერობო გადასახადთა მთელი მოცულობა, და რომ მხოლოდ ერთადერთმა საფოსტო კურიერის გამოსაღებმა მიიღო 1830 წელს საერთო გამოსაღების სახე, ყველა დანარჩენი კი კვლავ კერძო გამოსაღებად რჩება**, რაკი მათ არა აქვთ არც თანაბრობა და არც ვანსაზღვრული წესები: ადგილობრივ გარემოებათა გამო, შეუძლებელიც იყო რომ გამოსაღებთა განაწილების დარგში რაიმე მწყობრი მმართველობის სისტემისათვის მიგვეღწიაო.

მაგრამ ხარჯთაღრიცხვა სამოქალაქო გუბერნატორს დაუბრუნეს, რათა მას, სახაზინო ექსპედიციის უფროსთან და გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლთან ერთად, შეედგინა ხარჯთაღრიცხვა ყველა ხარჯებისა, რომელსაც კი დაიჭერდა მთელი საერობო გადასახადი გუბერნიაში. ამასთან, ყველა მაზრაში უნდა მოეწვიათ თავადაზნაურობის, თათართა პროვინციებში კი აღალართა, განსაკუთრებული კრებები, რომლებიც ორ-ორ დეპუტატს გამოგზავნიდნენ თბილისში, რომ აქ, ქალაქის დეპუტატებთან ერთად, შეედგინათ საერობო ასაკრეფთა ყველა წოდებისათვის რაც შეიძლება თანაბარი გაწერა. ამ განკარგულებასთან ერთად, საქართველოს მთავარმმართებელმა გრაფმა პასკევიჩმა უქვეშევრდომილესად მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, რომ საქართველოში შემოღებული არ არის საერობო გადასახადთა გაღების დადგენილი წესი და რომ, ამის გამო, საერობო ხარჯთაღრიცხვა და გაწერა, 1831 წლისათვის, ნავარაუდევია დამტკიცდეს ადგილზე.

1831 წლის 13 ივლისს ყველა მაზრიდან და უბნიდან ჩამოსულმა დეპუტატებმა, საქართველოს გუბერნატორის, თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლისა და სახაზინო ექსპედიციის უფროსის თანდასწრებითა და მონაწილეობით, განიხილეს ამ წლისათვის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა და გაწერა, რომლებიც შემდეგ მთავარმმართებელს წარუდგინეს.

---

* იმ დროს არსებული წესის თანახმად, საერობო ხარჯთაღრიცხვა და გაწერის პროექტი ფინანსთა მინისტრის მეშვეობით უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად მისი უდიდებულესობისადმი.

** საქართველოს გუბერნია 30-იან წლებში შედგებოდა თბილისის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, ელიზავეტპოლის მაზრებისა და ბორჯომის, ყაზახის, შაქაქადილის და ბამბაკის უბნებისაგან. საერობო გაწერის მიხედვით, გუბერნიის მოსახლეობა განისაზღვრებოდა 32 270 კომლით. საერობო გამოსაღებთა ფულადი თანხა შეადგენდა 77.411 მან. და 58 კაპ. თითოეულ კომლზე მოდიოდა 2 მან. და 46 კაპ. ამჟამად თბილისის გუბერნიაშია 77.891 კომლი, ხარჯები აღწევს 533,146 მან. და 62 კაპიკს (ზვიდ მანეთამდე თითოეულ კომლზე), გამოსაღები განსაზღვრულია 310.356 მან. (4 მან. კომლზე).

რაგორც კი ფინანსთა მინისტრმა გრაფმა კანკრინმა, აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის პირი მიიღო, დახმარების მიზნით უმალვე გადაუგზავნა ხარჯთაღრიცხვის შესადგენი ფორმები გრაფ პასკევიჩს, რომელსაც სურდა საქართველოში საერობო გამოსაღებთა მოწყობა „დანარჩენ გუბერნიათა თუ ოლქთა მსგავსად“. როცა მომდევნო წელს გრაფმა კანკრინმა, ადგილზე ხელახლა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა მიიღო, მან შენიშნა, რომ „მართალია, დადგენილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოში საერობო გამოსაღებთა გაღების წესებს, საქართველოზე არ გაუვრცელებიათ, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც აქედან მიუღიათ რაიმე: საქართველოს საერობო გამოსაღები, უმთავრეს საწყისებში, შეესაბამება მათ ვითარებას სხვა გუბერნიებსა თუ ოლქებში; ხოლო, რაკი საქართველოში წლიური საერობო ანაკრეფი 80-დან 90 ათას ვერცხლის მანეთს შეადგენდა, რაც სამ წელიწადში მილიონამდე მანეთს აღწევდა ასიგნაციებით, ამიტომაც ამ მნიშვნელოვანი საქმის დაქვემდებარებას მთავრობის უახლოესი ხელმძღვანელობისათვის გრაფი კანკრინი ძლიერ სასარგებლოდ მიიჩნევდა იმ შედეგების გამო, რომლებიც ამ ღონისძიებას მოჰყვა რუსეთის ყველა დანარჩენ გუბერნიასა თუ ოლქში“.

1832 წლის ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ერობის ხარჯები განსაზღვრული იყო 86.553 მანეთით და 40 კაპიკით, აქედან 3.860 მანეთი ნავარაღდევი იყო კერძო გამოსაღებიდან, რომელიც სათავადაზნაურო დეპუტატთა კანცელარიის შესანახად და მისთვის შენობის დასაქირავებლად იყო გათვალისწინებული; საამისოდ დამოწმებული იყო 1816 წლის 14 ივლისის ბრძანებულება და განმარტება, რომ „ქართველ თავადაზნაურობას საკუთარი კაპიტალი არ აქვს, ხოლო, მისი მხრივ, შემოწირულებანიც არ არის“. გაწერის მიხედვით, 32.270 კომლი დაბეგრილი იყო 2 მანეთითა და 56,1/4 კაპიკით საერთო გამოსაღებისათვის, ხოლო 755 კომლი საბატონო ყმებისა, ამას ზევით იბეგრებოდა კიდევ 39 1/2 კაპიკით, — ე. ი. კერძო გამოსაღებით, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიის შესანახად და მისთვის შენობის დასაქირავებლად*.

მიუხედავად ფინანსთა მინისტრის შენიშვნებისა, რომ საქართველოს საერობო ხარჯთაღრიცხვები და გაწერები წარდგენილი ყოფილიყო ხოლმე უმაღლესად დასამტკიცებლად, სინამდვილეში ეს საქმე ადგილზევე ბოლოვდებოდა თვით 1840 წლამდე, როცა ამ საგნის შესახებ გამოცემულ იქნა სპეციალური წესები.

---

* თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სათავადაზნაურო დაწესებულებათა შესანახი ხარჯები დღემდეც მიეკუთვნება მხარის საერთო საერობო გამოსაღებს, თუმცა ეს ტოლფასობა ჯერ კიდევ 1864 წელს გაუქმდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში.

4. საერობო გადასახადთა ორგანიზაცია ამიერკავკასიის მხარეში

— 1 —

თანახმად 1840 წლის 10 აპრილის უმაღლესად დამტკიცებული დებულებისა „ამიერკავკასიის სამხარეო მმართველობის მოწყობის შესახებ". საკუთრივ საერობო-სამეურნეო ნაწილის გამგებლობა შეიქმნა შემდეგ საფუძველზე: მთავარ სამმართველოს გამგეობას მიანიჭეს უფლება, რომ განიხილოს და გაითვალისწინოს ხოლმე მხარისათვის საერთო-საერობო გამოსაღებთა ხარჯთაღრიცხვა და გაწერა, და ძახვე, საბოლოოდ, დაამტკიცოს ისინი, სანამ ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდებოდეს ფინანსური უწყება. გუბერნიასა და ოლქში დააარსეს საერობო გადასახადთა კომიტეტები. მაზრის უფროსებს დაევალათ საერობო გადასახადთა განაწილება და მათი ადგილზე გაწერა. თვითეული სოფლის მამასახლისს დაეკალა, რომ შემოიღოს ზონარიანი წიგნი სოფლისათვის შეწერილ ფულად თუ ნატურალურ საერობო გადასახადთა ჩასაწერად.

კერძოდ, კომიტეტების შესახებ „დებულებაში" დადგენილი იყო შემდეგი:

ქალაქებში თბილისსა და შემაქიაში დაარსდეს საერობო გამოსაღებთა საგუბერნიო და საოლქო, ხოლო ყველა სამაზრო ცენტრში — სამაზრო კომიტეტები.

საგუბერნიო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: სამოქალაქო გუბერნატორი, თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლი, სასაზინო პალატის თავმჯდომარე, სახელმწიფო ქონებათა მმართველი და მთავრობის უშუალო წარმომადგენელი. კასპიის ოლქში, სადაც არ არის საგუბერნიო წინამძღოლი, მის მაგივრად დაინიშნოს საოლქო გამგეობის ერთი რომელიმე მრჩეველი.

სამაზრო კომიტეტების შემადგენლობაში შედიან: მაზრის უფროსი, თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლი, ზოგჯერ უმაღლესი წოდების დეპუტატები.

ამ კომიტეტთა მთავარი საქმე იყო: 1. საერობო სამოქალაქო და სამხედრო გამოსაღებთა ხარჯთაღრიცხვის შედგენა, როგორც ჩვეულებრივ, ისე საგანგებო შემთხვევებისათვის, ფულითა და ნატურით; 2. ფულად გადასახადთა განაწილება და ნატურალურ გამოსაღებთა გათანაბრება მათი მოცულობისა და იმ ადგილთა მოხერხებულობის გათვალისწინებით, სადაც ეს გამოსაღები უნდა ყოფილიყო მიღებული; 3. საგუბერნიო და საოლქო კომიტეტის განკარგულებით საჯარო ვაჭრობის მოწყობა იმ საგნებზე, რომლებიც საერობო გამოსაღებთა ანგარიშში შედის; 4. შემოღება წიგნებისა და ანგარიშებისა ყველა ნატურალური გამოსაღებისათვის, რომლებსაც ქალაქები და სოფლები

იხდიდნენ; თვალყურის დევნება იმისათვის, რომ საგუბერნიო და საოლქო კომიტეტის აღნიშნულ განაწესთა გარდა არავითარი სხვა გამოსაღები არ გაწერილიყო; 5. სწორი ანგარიშების შედგენა ყველა ფულად გამოსაღებზე, რომლითაც ქალაქი და თვითეული სოფელი იბეგრებოდა; 6. საგუბერნიო კომიტეტისათვის წიგნებისა და ანგარიშების წარდგენა იმის განმარტებით, თუ რა საშუალებებით უნდა გათანაბრებულიყო ნატურალური გამოსაღები — განაწილებით იმავე ან სხვა მაზრათა მცხოვრებთა შორის, თუ მაზრის, ან მთელი გუბერნიის საერობო ანაკრეფიდან ფულადი ანაზღაურების გაცემის საშუალებით. საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებისათვის უფლების მინიჭება, რომ დაენიშნათ ხოლმე საჯარო ვაჭრობა საერობო გადასახადთა სხვადასხვა საგნებზე, როგორიცაა შენობები, საგუშაგოები და სხვ. ეს კომიტეტები უფლებამოსილნი იყვნენ, რომ დაემტკიცებინათ ფასები საჯარო ვაჭრობის დროს, თუ მათი თანხა 3 ათას მანეთს არ აღემატებოდა. საგუბერნიო და საოლქო კომიტეტთა ნებართვით უნდა დაეკმაყოფილებინათ ხოლმე ყველა ხარჯი თუ მოთხოვნილება; ეს კომიტეტები მეთვალყურეობას უწევენ იმასაც, რომ იჯარებსა და სხვა საგნებზე გადასახდელი ფული სწორად და დროულად შემოსულიყო, ხოლო საერობო გადასახადის ნარჩენიც უეჭველად გადახდილიყო. საქმის წარმოებისათვის საგუბერნიო კომიტეტთან არსებობდა კანცელარია ერთი მდივნისა და ორი გადამწერის შემადგენლობით; სამაზრო კომიტეტის საქმეები კი უნდა ეწარმოებინა მაზრის უფროსის კანცელარიის ერთ-ერთ ჩინოვნიკს.

●

ამ დროიდან (1840 წ.) ამიერკავკასიის მხარეში ხელახლა შექმნილმა მთავარსამმართველომ, სახელმწიფო საბჭოს წევრის ბარონ გახის მონაწილეობით, მცხოვრებთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად უაღრესად ქმედითი ზომები მიიღო საერობო ნაწილის სწორ საწყისებზე მოსაწყობად. ასე, მაგალითად, მთავარსამმართველოს საბჭომ აღმოაჩინა, რომ რუსეთში არსებულ დადგენილებებს გადასახადთა შესახებ ამიერკავკასიის მხარეში არ იცავენ მთლიანად და კანონებსაც სრული ძალა არ გააჩნიათ იმიტომ, რომ თვით გადასახადები განუხილველი და კანონიერად გახსაზღვრული არ იყო.

„რამდენადაც გადასახადთა განუსაზღვრელობა და მათი აკრეფის ახლანდელი წესი უკიდურესად შემაწუხებელია ხალხთათვის, ამასთან არყევს მხარის კეთილდღეობას და მთავრობისთვისაც არ მოაქვს სარგებლობა, რომელიც მას შეეძლო ამ საქმიდან მიეღო, და არც შესრულების იმედია, აუცილებელია დაუყოვნებლივ შევუდგეთ ამ საქმის

განხილვას, რათა, ყველა ცნობის შეკრების შემდეგ დასკვნა გაძოვიტანოთ იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს საერობო წესდებაში გადასახადებზე, მთავრობის მოთხოვნილებითა და მხარის მდგომარეობის შესაბამისად. საბჭოს აზრით, ამ საქმეში ყოველგვარი დაყოვნება, რაც ხელს უწყობს ხალხის შემაწუხებელი და მთავრობისათვის ურგები ამ ბოროტების განგრძობას, სულ უფრო ძნელ მდგომარეობაში ჩააყენებს მხარის ახალ მმართველობას (ოინელსაც სახელმძღვანელოდ მიეცა შემოწმებული წესები), რომელიც, ახლანდელი სახით განკარგულებათა გაცემისას ამ საქმეში, იძულებული იქნება ყოველთვის დაარღვიოს ხოლმე. ამ დარგის მოწყობაზე დამოკიდებულია მხარისათვის ყველა ის სარგებლობა, რომელიც თან უნდა მოჰყვეს ახლადშემოღებულ მმართველობას და რომელმაც უნდა აღმოფხვრას გაუგებრობათა საბაბი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა შორის".

ამის გამო საბჭომ (1840 წ. 8 ოქტომბერს) დაადგინა:

„ახლავე დაიწყონ ცნობების შეკრება საქალაქო და საერობო, ნატურალურ თუ ფულად გამოსაღებთა შესახებ როგორც საქალაქო, ისე სამხედრო მმართველობის დარგში..."

იმავე დროს კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მეთაურმა, ინფანტერიის გენერალმა გოლოვინმა გენერალ კოზლიანინოვის თავმჯდომარეობით დააარსა კომიტეტი, რომელსაც უნდა განესაზღვრა ჯარებისათვის სათიბი მინდვრები, საბალახოები, საძოვრები თუ საბოსტნე მიწები, და, სხვათა შორის, დასძინა:

„კომიტეტი, შედგენილი ისეთ პირთაგან, რომელთათვის უცხო არ არის კეთილი მიზანი და განზრახვა, ვიმედოვნებ, სათანადო სიზუსტით შეასრულებს ამ დავალებას და, ამგვარად, გაამართლებს ნდობას მთავრობისას, რომელსაც სურს უზრუნველყოს ჯარების კანონიერი მოთხოვნილებანი მცხოვრებთა საკუთრების უფლებათა შეუვიწროებლად".

იმავე 1840 წელს, გენერალ გოლოვინისა და სენატორ განის პირადი ხელმძღვანელობით, შედგენილ და დამტკიცებულ იქნა საერობო ხარჯთაღრიცხვა და გაწერა 1841 წლისათვის საქართველო-იმერეთის გუბერნიაში.[1] ერობათა მოთხოვნილებანი 161.277 მანეთად იყო ნაანგარიშევი, ხოლო კომლთა რაოდენობა ნაჩვენები იყო 119.363. მაშასადამე, თითოეულ კომლზე მოდიოდა დაახლოებით 1 მან. და 40 კაპ.

---

[1] აღმ. საქართველოსა და იმერეთისათვის პროექტები შედგენილ იქნა თბილისში, გუბერნატორის მიერ, თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლთან და თავადაზნაურობისა და ქალაქების დეპუტატებთან ერთად; სომხეთის ოლქისათვის — მისი მმართველის მიერ, ახალციხის მაზრისათვის — ამ პროვინციის მმართველის მიერ, სამეგრელოსათვის — მისი მმართველის მიერ.

ამასთან აღნიშნულია, რომ გუბერნიის მოწყობისა და მთლიანად ჩამოყალიბების შემდეგ, ხარჯთაღრიცხვა უნდა შემდგარიყო მთელი გუბერნიისათვის [1], ხოლო გადასახადების გაწერისას თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ ზოგიერთი მაზრის მცხოვრებნი სხვადასხვა შესაწყნარებელ გარემოებათა გამო არ უნდა დაიბეგრონ სხვების თანაბარი გადასახადით. ასე, მაგალითად (მსჯელობდა საბჭო), გურიის მცხოვრებნი, მათი სიღარიბის გამო, ხოლო ძირითადად იმიტომ, რომ ისინი ეს-ეს არის ეცნობიან აშგვარ მოვალეობებს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავაყენოთ სხვა მაზრების მცხოვრებთა დონეზე; გურულები მხოლოდ 1840 წლიდან დაიბეგრნენ უმნიშვნელო ფულადი გამოსაღებით საფოსტო ცხენების შესანახად. იგივეა ნათქვამი იმერლებზეც.

იმერლებს, სხვათაშორის, გურულებთან შედარებით, უფრო ხელსაყრელი პირობები აქვთ, მაგრამ სხვა მაზრების მცხოვრებლებს დიდად ჩამორჩებიან. იმერლები, აგრეთვე, პირველად 1840 წლიდან იხდიან საფოსტო საერობო გადასახადს, თუმცა ორჯერ მეტს, ვიდრე გურულები. ბოლოს, ახალციხის მაზრის მოსახლეობა, რომელმაც ორი წლის განმავლობაში ზედიზედ განიცადა ძალებედობა შავი ჭირისგან, ჩავარდნილია უკიდურეს სიღარიბეში, რომელსაც. სხვათა შორის, იგი სავსებით იტანდა, როგორც სახსრების უკმარობის, ისე სხვა მიზეზთა გამო“.

შემდეგ საბჭომ აზრი გამოთქვა, რომ

„სხვადასხვა საერობო გამოსაღებთა დასაფარავად მოსახლეობისაგან ფულის აკრეფა, არსებული წესების თანახმად, უნდა აღიკვეთოს, რადგან ამის ერთადერთი საფუძველი ის იყო, რომ თვითონ მმართველობას არ გააჩნდა რაიმე ახალი და მყარი წესები. ამიტომ საერობო გადასახადთა საგუბერნიო თუ სამაზრო კომიტეტებს და, განსაკუთრებით, მაზრის უფროსებს და უბნის მსაჯულებს მკაცრად უნდა დაევალოთ, რომ ამიერიდან არავითარი ფულადი თუ ნატურალური საერობო გამოსაღები არავითარი სახით და არავის მოთხოვნით არ აკრიფონ მოსახლეობისაგან, გარდა იმ ბეგარისა, რომელიც შეტანილია ხარჯთაღრიცხვაში და დამტკიცებულია მთავარსამმართველოს საბჭოს მიერ; ხოლო ამის საწინააღმდეგოდ მოქმედი პირნი დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით ძალა-უფლების ბოროტად გამოყენებისათვის, რადგან მათ უფლება არა აქვთ დაბეგრონ მცხოვრებნი გადასახადებით, რომელთა დამტკიცებაც უმაღლესი მთავრობისაგან არის დამოკიდებული“.

---

[1] საქართველო — იმერეთის გუბერნიას შეადგენდა 11 მაზრა: თბილისის, დუშეთის, გორის, თელავ-სიღნაღის, ბელაქნის, ელიზავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევნის, ქუთაისისა და ახალციხის.

დასკვნაში გენერალმა გოლოვინმა და ბარონმა განმა აღნიშნეს, რომ, საერობო გამოსაღებთა აკრეფისა და ხარჯვის კანონიერი წესის შემოღებასთან ერთად, საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ამ დარგში საქმისწარმოებასა და ანგარიშების შედგენას, რაც ამჟამად უკიდურესად უწესრიგოდაა და არ შეიცავს ზუსტ და ჭეშმარიტ ცნობებს არც საერობო ანაკრეფის მოხმარებისა და არც ანაკრეფის ნარჩენის შესახებ.

ამის გამო, საბჭომ დაადგინა: 1. ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ყველა საერობო გამოსაღები შესრულდეს საჯარო ვაჭრობით იჯარის გაცემის საშუალებით. ამასთან, თავიდან აიცილონ მათი გადაცემა საკომისიოდ ან ვინმესთვის სამეურნეო განკარგულებაში, რათა ვაჭრობა მოხდეს ხოლმე თავდაპირველად და აუცილებლად სამაზრო კომიტეტებში, ხოლო შემდეგ კი საგუბერნიო კომიტეტში; 2. კომიტეტების მთავარი მოვალეობა უნდა იყოს საერობო გადასახადთა ასაკრეფი ხარჯების შემცირება და ყველაფერში ეკონომიის დაცვა; 3. განცხადებანი გადასახადის რაოდენობის შესახებ, რომელიც გაწერის მიხედვით მოდის თვითეულ კომლზე, უნდა დაიბეჭდოს რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე მთელ გუბერნიაში და ყველას საყურადღებოდ, რათა მაზრის უფროსებმა წაუკითხონ ხოლმე ისინი ქალაქებში, სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში შეკრებილ ხალხს და შემდეგ გააკრან ეკლესიების ან მიზგითების კედლებზე, ხოლო იქ, სადაც ასეთი შენობები არ არის, — საპატიო მოქალაქეთა სახლებზე.

— 2 —

თბილისი, 22 იანვარი

1841 წლის 29 მარტს შედგა მთავარსამმართველოს საბჭოს ჟურნალი ამიერკავკასიის მხარეში საერობო გადასახადთა გასტუმრების წესების შესახებ; ამ ჟურნალს შემდეგაც კი (1869 წ.) სახელმძღვანელოდ იყენებდნენ.

საბჭომ, რომელმაც სრული ყურადღებით განიხილა ეს საქმე და შეუფარდა იგი არსებულ კანონებსა თუ ადგილობრივ, მხოლოდ ამ მხარისათვის დამახასიათებელ პირობებს, აღიარა, რომ საერობო, — განსაკუთრებით ნატურალურ გამოსაღებთა არათანაბრობისა და შეუსაბამობის გამო მცხოვრებთა მდგომარეობა ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწყისებს, ვაჭრობისა და სასოფლო წარმოების განვითარებას და ყოვლად შეუძლებელს ხდიდა რაიმე საფუძველი მიეცა ფინანსიური ნაწილის ჩამოყალიბებისათვის".

და ამიტომ, მოსახლეობის მიერ გადასახადთა გასტუმრებაში კანონიერების დამყარების მიზნით, საბჭომ დაადგინა შემდეგი წესები:

1. სამოქალაქო ნაწილის გადასახადთა შესახებ:

1. სამოქალაქო ნაწილის ფულად გადასახადებს უნდა მიეკუთვნოს: ა) შიკრიკების შენახვა; ბ) საფოსტო მგზავრთა სადგურების შენახვა, რათა არავის არ ჰქონდეს უფლება მოითხოვოს ცხენები სამგზავრო ქირის გარეშე და გ) მოწყობა და მოვლა ისეთი გადასასვლელებისა, როგორიცაა ხიდები, ბოგირები და გადასატანები, თუკი ისინი სახელმწიფო უწყებას არ ეკუთვნიან.

2. სავსებით გაუქმდა შემდეგი გამოსაღები: ა) სახაზინო მეურნეობაში უფასო სამუშაოები, — „რეჩბართა" ან სხვა მუშათა გამოყვანის გზით; ბ) საძოვრების გაცემა სამოქალაქო მოხელეებისათვის; გ) ფურაჟის და მიწის ყველა სხვაგვარი ნაყოფის მიტანა და, საერთოდ, ყოველგვარი განკარგულების შესრულება სამოქალაქო მოხელეების სასარგებლოდ. დ) საერობო მოხელეებისათვის სურსათ-სანოვაგის და პურ-ღვინის მირთმევა, როგორც საძრახისი და უკანონო ჩვეულებისა; ე) ყოველგვარი არა სახაზინო ნივთების, თუ სხვა ტვირთების გადაგზავნა არა განაწესით, არამედ თავისუფალ ფასებში იჯარის გაცემით იმ ადგილის თანხების ხარჯზე, რომელსაც ეს ნივთები, თუ ტვირთები ეკუთვნის; ვ) ადამიანთა განწესება სასაზღვრო ურთიერთობისათვის; ზ) გლეხთა დასამშვიდებლად გამოყვანილი სამხედრო ეგზეკუციის შენახვა მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო ხარჯზე.

და 3. წყალსადენთა მოვლა-პატრონობა და შენახვა კეთილინდებურად დაეევალოს მოსახლეობას თავის ხარჯით, ამასთან უფროსთა ყოველგვარი ჩარევის გარეშე, რადგან იგი შეეხება საკუთრივ მცხოვრებთა სარგებლობას და შინაურ მეურნეობას.

II. სამხედრო ნაწილის სასარგებლოდ გასაღებ გადასახადთა შესახებ:

1. შეიარაღებულ მცხოვრებთა გაყვანა ვარშავის ცხენოსან მაჰმადიანთა პოლკისა და პირველი ქართული ქვეითი პოლკისათვის, ისევე როგორც მცხოვრებთა დაქირავება მუდმივი მილიციისათვის შემდეგაც ძალაში დარჩეს, უმაღლესად დამტკიცებულ დებულებათა საფუძველზე. მცხოვრებთა გაყვანა დროებით მილიციასა თუ ლეკებისაგან კახეთის დამცველ საგუშაგოებში ძველებურად ძალაში დარჩეს, ხოლო ყარაბაღის საკორდონო ხაზის დაცვაში ადამიანთა გაყვანა შეწყდეს.

2. ჯარისათვის საზიდართა გამოყვანა წარმოებდეს იმ კანონთა საფუძველზე, რომლებიც აღნიშნულია სამხედრო უწყების მოთხოვნაში. ამას გარდა, საზიდართა გამოყვანა დაშვებულ იქნას გასაკუთრებულ შემთხვევაში: ა) გარდაცვლილ თუ ბრძოლებში მოკლულ დაბალ ჩინოსანთა ამუნაციისა და იარაღის გადასატანად; ბ) ადგილ-მდებარეობის

გადასაღებად მივლინებულ მოხელეთა გადასაყვანად; გ) რაზმისათვის, რომელსაც ასეულზე მცირე მეომარი ჰყავს; დ) გამოჯანმრთელების შემდეგ თავიანთ ნაწილებში მიმავალ დაჭრილთა და სნეულთათვის; ე) სანიმუშო პოლკებში მიმავალთა გამწესებულთა გამგზავრების ანდა იქედან უკან დაბრუნებისათვის.

3. ბინები გამოეყოს ყველა იმ ჩინის მოსამსახურეს, ვისაც კანონით ეკუთვნით და ვინც ბინის ქირას არ იღებს.

4. ჯარისათვის სათიბებისა და საძოვრების გამოყოფა სახაზინო და საეკლესიო მიწებზე მოხდეს მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო და სამხედრო წესდებებითა თუ დადგენილებებით.

5. საბოსტნე მიწების გამოყოფა ხდებოდეს ცარიელ სახაზინო ადგილებზე და არა კერძო პირთა კუთვნილ მიწებზე, თუკი ისინი თანახმანი არ არიან.

6. მცხოვრებლებმა სათბობით უზრუნველყონ მხოლოდ რეკრუტები და ახალშემოსული ჯარი.

7. საქართველოს სამხედრო გზის შესაკეთებლად მუშების განაწესით გამოყვანა, ძველებურად, მთის ოლქის ოსებს დაეკისროთ, რისთვისაც ისინი, უმაღლესი წყალობის საფუძველზე, 1837 წელს გაათავისუფლეს გადასახადებისა და საერობო ანაკრეფისაგან. დანარჩენი სამხედრო გზები კი გაიყვანონ ან ჯარის, ან დაქირავებული მუშახელის საშუალებით.

და 8. საკორდონო საგუშაგოთა მოწყობა, გათბობა და გახათება წარმოებდეს საერობო ანაკრეფის ხარჯზე*.

III. ნატურალურ საერობო გადასახადთა გათანაბრებული გაღების შესახებ

1. საერობო კანონებისა და საბჭოს დადგენილების საფუძველზე, მცხოვრებთაგან ყველა განაწესის შესრულება წარმოებდეს მხოლოდ საერობო გამოსაღებთა შესახებ არსებული საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ჟურნალების მიხედვით.

2. იმ შემთხვევაში, როცა გადადება შეუძლებელია და როცა მოთხოვნა განაწესის შესახებ კანონს ან დადგენილებას ემყარება, კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს დააკმაყოფილოს იგი, მაგრამ ჟურნალში უნდა ჩაწეროს, ხელიც უნდა მოაწეროს და მდივანმაც უნდა დაამოწმოს ეს; ხოლო კომიტეტის პირველსავე სხდომაზე ყოველივე ამის შესახებ უნდა იყოს ვრცელი ანგარიში.

---

* ამჟამად საკორდონო საგუშაგოების მოწყობა და რემონტი წარმოებს ხაზინის ხარჯზე, ხოლო გათბობა და განათება — საერობო ანაკრეფის ანგარიშზე, როგორც ეს კანონითაა დაწესებული.

3. იმისათვის, რომ მივაღწიოთ დიდი გზის გასწვრივ მცხოვრებთა გათანაბრებას იმათთან, ვინც ამ გზებისაგან მოშორებით სახლობს, სამაზრო კომიტეტები ვალდებული არიან ყურადღებით განიხილონ ეს საკითხი, რისთვისაც თვით სოფლის მამასახლისები და საპატიო მცხოვრებნიც კი უნდა მოიწვიონ მოსათათბირებლად, დასახონ საშუალებანი, რომლებიც შესაძლებელს გახდიან გათანაბრებას, და წარმოადგინონ ეს წინადადებანი საგუბერნიო ან საოლქო კომიტეტში.

4. დამთავრდება რა თვითეული სამაზრო წიგნის შემოწმება ამის თაობაზე, თუ როგორ შეასრულეს მცხოვრებლებმა გასული წლის გამოსაღები, საგუბერნიო ან საოლქო კომიტეტი იწვევს მაზრის უფროსებს და, მათთან ერთად ახდენს ნატურალურ გამოსაღებთა გათანაბრებას ყველა მაზრაში.

ამიერკავკასიის მხარის მმართველი კომიტეტის (აწინდელი კავკასიის კომიტეტის) მიერ შემუშავებულ და ამჟამად უკვე უმაღლესად დამტკიცებულ 1842 წ. 3 და 18 იანვრის სამახსოვრო ბარათებში აღნიშნულია:

„კომიტეტში მოსმენილ იქნა მთავარსამმართველოს საბჭოსა და საიდუმლო მრჩეველ ბარონ განის მიერ განსაკუთრებული უმაღლესი ნების სასურველად შედგენილი მოსაზრებანი მომავალში ამიერკავკასიის მხარეში ნატურალურ გამოსაღებთა შემოღების შესახებ და, აგრეთვე, მოსმენილ იქნა უმაღლესი ბრძანებულება, რათა საბჭოს დაევალოს გადაჭრით განსაზღვროს ნატურალური გამოსაღების ფულადი ანაკრეფით შეცვლის შემთხვევები და წესები საერთოდ მცხოვრებთა შორის ამ ანაკრეფთა შესაძლებელი გათანაბრებისა და ამიერკავკასიის მხარეში ნატურალურ გამოსაღებთა შემოღების საკითხი შეუძლებელია გადაწყდეს სხვაგვარად, თუ არა საერთოდ საერობო ფულად სახელმწიფო გადასახადებთან ერთად განხილვის გზით, რადგან მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, რომ სათანადო გარკვეულობით ვიმსჯელოთ მცხოვრებთა გადამხდელუნარიანობასთან გადასახადთა შესაბამისობის შესახებ, როცა მათთვის დაკისრებული ყველა გადასახადი მთლიანად და უეჭველად არის ცნობილი. კომიტეტი, რომელიც ამ თვალსაზრისით იხილავს საბჭოს მოსაზრებებს, ნაადრევად მიიჩნევს რაიმე უცვლელი წესების შემოღებას ნატურალურ გადასახადთა შესახებ ამიერკავკასიაში, რადგან სახელმწიფო გამოსაღებნი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, საერობო (ფულად, თუ ნატურალურ) გამოსაღებთა ნამდვილი საჭიროებანიც, მართვა-გამგეობის სიახლისა და სახსრების უკმარობის გამო, გარკვეულად არაა ნაჩვენები, ხოლო წინანდელი გამოსაღები, მათი აკრეფის დროს მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამო, არ შეიძლება მიღებულ იქნეს მომავალ გადასახადთა საფუძვლად. ამავე

დროს, 1840 წლის 10 აპრილის „დებულებაში“ საბჭოს უფლება აქვს მიცემული დაამტკიცოს ხოლმე მათი ხარჯთაღრიცხვა მხარის მოთხოვნილებათა მიხედვით, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდეს საერობო გადასახადთა ორგანიზაცია, და, მაშასადამე, ამ საქმეზე განსაკუთრებული კანონის მიუღებლადაც საერობო გადასახადთა ყოველწლიური საჭიროებანი დაუბრკოლებლად კმაყოფილდება. ამრიგად, რამდენიმე წლის გამოცდილება, მმართველობის მკაცრი მეთვალყურეობის ვითარებაში, უეჭველ მონაცემებს აღმოაჩენს საერთოდ საერობო გადასახადთა დებულების მონახაზის შესაქმნელად. ამ რწმენის მიმდევარ კომიტეტს ამჟამად სასარგებლოდ მიაჩნია, რომ დავკმაყოფილდეთ სამუშაოებზე მცხოვრებთა გაყვანის შესახებ უმაღლესი ნების ზუსტად აღსრულებით, როგორც ისეთი ღონისძიებით, რომელსაც მხარის კეთილდღეობისათვის გადაუდებელი მნიშვნელობა აქვს და, ამის გამო, დაადგინა, რომ დაავალოს მთავარსამმართველოს საბჭოს:

1. უმაღლესი ნების აღსასრულებლად ზედმიწევნით განსაზღვროს სახელდობრ რა სამუშაოებზე, რა ანაზღაურებითა და რა სახსრების გამოყენებით იქნება აუცილებელი განვაგრძოთ მუშათა გამოყვანა; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებლადაა მიჩნეული ნატურალური ბეგარის ფულადი ანაკრეფით შეცვლა, დაწვრილებით იქნას ნაჩვენები, თუ სახელდობრ რა რაოდენობისა უნდა იყოს ეს ანაკრეფი და რა სახსრები არსებობს თავისუფალი მუშახელის დასაქირავებლად, რა ფასი უნდა გადაუხადონ მათ და რა წყაროებიდან. ამასთან, ყველა მითითება მიზნად უნდა ისახავდეს მცხოვრებთა შორის გადასახადთა მკაცრ გათანაბრებას. ეს ცნობები რაც შეიძლება ჩქარა უნდა იქნას წარმოდგენილი კომიტეტში;

2. ზუსტად დაემყაროს თავის მოქმედებაში 1840 წლის 10 აპრილის დებულების საფუძვლებს, ხოლო სამი წლის გასვლის შემდეგ შეიტანოს, სადაც ჯერ არს, გამოცდილებასა და ზუსტ ცნობებზე დამყარებული თავისი მოსაზრებანი მხარეში როგორც ფულად, ისე ნატურალურ საერობო გადასახადთა მისაღები ორგანიზაციის შესახებ“.

მაგრამ კომიტეტის მითითებანი ამიერკავკასიის მხარის მოწყობის შესახებ მთავარსამმართველოს შეუსრულებელი დარჩა. სხვათა შორის, ერობის ყოველწლიურად მზარდი ხარჯების გამო[1], და კავკასიის მე-

---

[1] ერობის დანახარჯები აღწევდა:

1840 წელს	123.520 მან.
1841 წელს	161.277 მან.
1842 წელს	173.704 მან.
1843 წელს	199.455 მან.
1844 წელს	229.868 მან.

ფისნაცვალმა ნება დართო დაედგინათ თვითეული კომლისათვის საერობო გადასახადის ნორმალური განაკვეთი, რათა ხარჯები შეეთანხმებინათ არა ნამდვილი მოთხოვნილებებისათვის, არამედ შემოსული საგადასახადო ანაკრეფისათვის. მაგრამ ამ ღონისძიებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ საერობო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა სესხის აღება საკრედიტო დაწესებულებაში. ყოფილ გამსესხებელ ბანკსა და ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყებაში აღებულ ამ სესხთა ჯამმა შეადგინა 586.000 მანეთი, რომლის თავნისა და პროცენტის გადახდა ვალად დაედო საერობო დაწესებულებებს და რომლის დაფარვა 26.562 მან. რაოდენობით წელიწადში ამჟამადაც ანაკრეფიდან ხდება [1].

— 3 —

თბილისი, 23 იანვარი

1849 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომელიც გამოცხადებულ იქნა მმართველი სენატის 12 ივლისის ბრძანებულებაში: 1. გაუქმდეს ამიერკავკასიაში არსებული წესი, რომლის მიხედვით საერობო შემოსვლის მუდმივი რაოდენობა მიჩნეულია საგადასახადო განაკვეთად, 2. მის ნაცვლად ამ მხარეში შემოღებულ იქნეს საერობო შემოსავლის განსაზღვრის იგივე წესი, რომელიც მიღებულია იმპერიის სხვა ნაწილებში, 3. ამ საფუძველზე შედგენილ იქნეს ერთი, და მთელი მხარისათვის სავალდებულო, ხარჯთაღრიცხვა იმ ხარჯებისა, რომელიც უნდა გაღებულ იქნეს საერობო შემოსავლიდან; შემდეგ უკვე ამ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა მოხდეს იმ ხარჯების გაწერა, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებლადაა ნავარაუდევი, 4. ამ ხარჯთაღრიცხვის და გაწერის შესადგენად დაარსდეს თბილისში დროებითი კომიტეტი ამ მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით, სამხედრო გუბერნატორების, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, ამიერკავკასიის სახაზინო პალატის და, კავკასიის მეფისნაცვლის სურვილისამებრ, ამიერკავკასიის მხარის ყველა წოდების დეპუტატთა მონაწილეობით, 5. ამ კომიტეტის მიერ შედგენილი ხარჯაღრიცხვა და გაწერა, ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოში მათი განხილვის შემდეგ, დაამტკიცოს მეფისნაცვალმა და ცნობისათვის წარადგინოს კავკასიის კომიტეტში.

---

1 სახელმწიფო გამსესხებელი ბანკიდან 1847, 1850, 1852 და 1853 წლებში ნასესხები იყო 440.000 მან., რომელიც 1859 წ. (7 აგვისტოს) განვადებულ იქნა 56 წლით. ამიერკავკასიის პრიკაზიდან ნასესხები იქნა, 1849 და 1850 წლებში, 146.000 მან., რომელიც 1862 წ. (11 აპრილიდან) განვადებულ იქნა 37 წლით.

1853 წელს ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა კავკასიის მეფისნაცვლის პროექტი, რომ ამიერკავკასიის მხარეში შედგენილიყო განსაკუთრებული წესდება საერობო გამოსაღებთა შესახებ, შეფარდებული იმავე გამოსაღებთა საერთო საიმპერიო წესდებასთან, და ინება უმაღლესად ებრძანებინა: 1. ნაცვლად იმისა, რომ ყოველ გუბერნიაში დაარსდეს საერთო წესდებით გათვალისწინებული საგანგებო „საკრებულოები" საერობო გამოსაღებთა შესახებ, დაარსდეს ეს „საკრებულოები" ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოსთან სამოქალაქო სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და საფოსტო ნაწილის მმართველის, სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის მმართველის, ამიერკავკასიის სახაზინო პალატის თავმჯდომარისა და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოადგილის შემადგენლობით; 2. დამტკიცდეს მეფისნაცვლის განკარგულება ამიერკავკასიაში, სოფლის მცხოვრებთა საერობო გადასახადების გარდა, 25%-იანი დამატებითი გადასახადის დაწესების შესახებ იმ მოწმობებზე, რომლებიც გაიცემა ხოლმე ქალაქებსა თუ სახაზინო სოფლებში სამიკიტნოების გახსნისა და შენახვისათვის: 3. შემოღებულ იქნეს ამიერკავკასიაში ფულადი საერობო გადასახადის აღრიცხვის საერთო წესები. საამისოდ გაძლიერებულ იქნეს ამიერკავკასიის სახაზინო პალატისა და სამაზრო სახაზინოთა შემადგენლობა, ხოლო საჭირო ხარჯები (ვერცხლის 8.225 მან. წლიურად) შევიდეს მხარის საერთო საერობო გადასახადებში.

კიდევ უფრო ადრე, სახელდობრ 1850 წელს, გაუქმდა საერობო გადასახადთა კომიტეტები.

მართალია, საერობო გადასახადთა საკრებულოს, საერობო საწყისის მიხედვით, დაეკისრა საკუთრივ ამიერკავკასიის მხარისათვის საერობო გამოსაღებთა წესდების შედგენა, მაგრამ ეს საქმე არასდროს არც კი დაწყებულა. ამ საკრებულოს უმთავრეს დამსახურებათა არსი შემდეგშია: 1. ნატურალური საკომლო გამოსაღების გადაყვანა ფულად გადასახადად თბილისისა და ერევნის გუბერნიებში (1862 წ.), 2. სარეფორმო და საყარაულო ბეგარის მოსპობა და მათი შეცვლა ფულადი გადასახადით ამიერკავკასიის საერობო დაცვის („სტრაჟის") შესანახად თბილისის, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში (1861-1863 წწ.): 3. ქართულ ქვეით რაზმში მცხოვრებთა გაწვევის წესის გაუქმება და მათი დაბეგვრა განსაკუთრებული გადასახადით (საბადლო ფული) მცხოვრებელთა დასაქირავებლად; 4. ქალაქის მცხოვრებთა დაბეგვრა საერობო გადასახადით (1865 წ.)

1868 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს შემადგენლობაში შემავალ საერობო გამოსაღებთა განსაკუთრებულ საკრე-

ბულოში („პრისუტსტვიე") მოვალეობად იქნა მიჩნეული ამიერკავკასიის მხარეში საერობო-სამეურნეო საქმეთა წარმართვა, სახელდობრ კი: 1. ფულად საერობო გადასახადთა ხარჯთაღრიცხვისა და გაწერის გასინჯვა-განხილვა, აგრეთვე, ანგარიშების რევიზია-შემოწმება; 2. ერობისათვის ნებართვის მინიჭება, რომ მან გაიღოს თავისათვის საჭირო ხარჯები, რომლებიც შესაძლოა წამოიჭრას სამწლეულის განმავლობაში, მაგრამ მისი გაღება ან სულ არაა ნავარაუდები, ანდა არასაკმარისი რაოდენობითაა გათვალისწინებული; 3. შეარჩიოს და შემოიღოს ხოლმე სხვადასხვა საშუალებები თუ წესები, როგორც ფულადი ისე ნატურალური გამოსაღების გასასტუმრებლად; აგრეთვე, დაამტკიცოს იჯარა და ყაირათიანი სამეურნეო ხერხები ერობის იმ ოპერაციათა შესასრულებლად, რომელთა ოდენობაც გუბერნიის ხელმძღვანელთა უფლებებს აღემატება; 4. გაარიგოს საქმეები იჯარებისა და მომარაგების დარგში წამოჭრილ სიძნელეთა წამოჭრისა და მათი შესრულებისას ერობისათვის მოულოდნელი ზარალის გამო; 5. გადაწყვეტა კანონით გაუთვალისწინებელი ყველა შემთხვევისა, რომლებიც ეხებიან ფულად თუ ნატურალურ საერობო გადასახადთა დადგენას, განაწილებასა და გასტუმრებას; 6. ნატურალური საერობო გამოსაღებთა გადაყვანა ფულად გადასახადად; 7. გადაწყვეტა საკითხთა და დავათა, რომლებიც წარმოიშობა საერობო გადასახადთა საერთო კანონდებულების ამიერკავკასიის მხარეში გამოყენებისას. განსაკუთრებული საკრებულოს („პრისუტსტვიეს") შემადგენლობაში შედის: მთავარსამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე) და დეპარტამენტის დირექტორი, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი და კავკასიის საფოსტო ოკრუგის უფროსი, როცა განიხილება საფოსტო სადგურების საქმეები. საგანგებო სხდომებზე კი ფულად ხარჯთაღრიცხვათა თუ გაწერათა და მათ შესახებ დადგენილებათა შესადგენად მეფისნაცვლის სურვილისამებრ იწვევენ ხოლმე: კავკასიის ოლქის შტაბის უფროსს, ანდა სამხედრო უწყების დეპუტატს, მხარის სხვა ნაწილთა გუბერნატორებსა და უფროსებს, სახაზინო პალატის უფროსს, თავადაზნაურობის წინამძღოლებს, სამოქალაქო ნაგებობათა მთავარ ინსპექტორს, ქალაქისთავებს და სხვადასხვა წოდებათა დეპუტატებს, რომლებიც, საკრებულოს წევრთა თანაბრად, მონაწილეობენ მთელ ამ საქმიანობაში. კავკასიის მეფისნაცვლის მიერ ხარჯთაღრიცხვისა და გაწერის დამტკიცების შემდეგ მისი შესრულება ხდება საერთოდ დადგენილი წესის მიხედვით.

— 4 —

საგლეხო რეფორმის გავრცელებამ ამიერკავკასიის მხარეზე. გუბერნიების ჩამოყალიბებამ საერთო საგუბერნიო წყობისა და 1864 წლის სასამართლო დებულებათა, ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებით, გა-

მოყენების საფუძველზე, საერთო საფინანსო თუ საკონტროლო რეფორმისადმი მხარის დაქვემდებარებამ, — ყველა ამ ღონისძიებამ, — რომელმაც გამოიწვია ევროპული რუსეთის სხვა გუბერნიებთან ამ მხარის, თუ სრული არა, მნიშვნელოვანი შერწყმა მაინც და, ამასთან, რიგმა რეფორმებმა, — სამიმოსვლო გზების და ტელეგრაფის გაყვანამ, სამიწათმოქმედო, სავაჭრო და სამრეწველო განვითარებამ — კავკასიის ხელმძღვანელებს 1873 წელს აფიქრებინეს გამოეყენებინათ ამიერკავკასიის მხარეში საერობო გადასახადებით დაბეგვრის ის სისტემა, რომელიც არსებობდა შიდა გუბერნიებში, სადაც საერობო დაწესებულებანი ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. ამ აზრს კიდევ ის გარემოებაც აღძრავდა, რომ ერობის სხვადასხვა მოთხოვნილებანი, რომლებიც ყოველ სამწლეულში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ახალ საშუალებათა გამოძებნას საჭიროებდა შესაბამისი ხარჯების გადიდებისათვის.

როდესაც, 1873 წლის ბოლოს, შედგა ამჟამად მოქმედი საერობო ხარჯთაღრიცხვა, მხარის ცალკეული ნაწილების გუბერნატორებმა და უფროსებმა ერობის საჭიროებანი 1874-1877 წლების სამწლეულისათვის განსაზღვრეს 7.179.150 მანეთით, რაც წინა სამწლეულის ხარჯებს, იმავე სამწლეულში არსებულ ზესახარჯთაღრიცხვო ნარჩენებთან ერთად, 1.813.877 მანეთით აღემატებოდა, აღნიშნული თანხის (7.179.150 მან.) გასასტუმრებლად აუცილებელი გახდა გაეზარდათ საკომლო გადასახადი — საერობო დაბეგვრის თითქმის ერთადერთი სახე, რომელიც ერობას სახსრებს აძლევდა და შემოდიოდა იმ გადამბდელი მოსახლეობისაგან, რომელიც დღემდე ერთადერთი ეწევა ბეგარში როგორც ფულად, ისე ნატურალურ საერობო გადასახადთა გასტუმრების მძიმე ტვირთს. საერობო გადასახადთა განსაკუთრებულ საკრებელოში („პრისუტსტვიეში"), საგანგებო სხდომებზე გამართული ცვლათის შემდეგ, საერობო ხარჯაღრიცხვაში შეტანილ იქნა 5.462.328 მან. და 39 კაპ. ხარჯები, ადგილობრივი მთავრობის მოთხოვნებთან შეფარებით 1.716.822 მანეთით ნაკლები, მაგრამ წინა სამწლეულის ასიგნებებთან (5.258.714 მ. 56 1/2 კაპ.) შედარებით 203.614 მანეთით მეტი. ამიტომ, შემცირებათა მიუხედავად, განსაკუთრებული საკრებულოს („პრისუტსტვიეს") საგანგებო კრება იძულებული გახდა თითქმის ყველგან, თუმცა მცირე მასშტაბით, გაედიდებინა საკომლო გადასახადი და, აგრეთვე, დაებეგრა ის გადამხდელი კომლები, რომლებიც 1874 წლამდე არ მონაწილეობდნენ ფულად გადასახადთა გასტუმრებაში. *

---

* ავტორს გაკეთებული აქვს 1874 წლის საბეგრო გადასახადის ცხრილი ქალაქებისა და მაზრების მიხედვით, რომელიც ჩვენს გამოცემაში გამოტოვებულია.

რედაქტორი.

საქმის ასეთმა ვითარებამ და იმან, რომ მომავალში უნდა საზღვარი დადებოდა მებეგრე კომლების გადასახადთა ზრდას, განსაკუთრებული საკრებულოს („პრისუტსტვიეს") საგანგებო სხდომაზე წამოჭრილმა მოსაზრებამ, რომ საერობო გაწერა გავავრცელოთ კერძო მფლობელთა გამოსადეგ მიწებსა თუ ტყეებზე, ერთსულოვანი მხარდაჭერა პოვა ამიერკავკასიის მხარის ცალკეულ ნაწილთა გუბერნატორებსა და უფროსებს შორის.

როცა საერობო გადასახადთა განსაკუთრებული საკრებულოს („პრისუტსტვიეს") საგანგებო სხდომის თავმჯდომარემ, სახელმწიფო მდივანმა ბარონმა ნიკოლაიმ უფალ მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილს მოხსენება წარუდგინა, ამის შემდეგ მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ ინება, რომ ხელი მოეწერა ცირკულარისათვის (1874 წ. 9 მაისს, № 228), რომლითაც მიუთითა ამიერკავკასიის მხარის ცალკეულ ნაწილთა გუბერნატორებსა და უფროსებს არსებული ფორმების მიხედვით შეკრიბეთ და მთავარსამმართველოში, 1875 წ. 1 სექტემბერისათვის, გვაახლეთ სათანადო ცნობები კერძო მფლობელთა სახმარი მიწებისა თუ ტყეების შესახებო; ამასთან ერთად, მთავარსამმართველოს დაევალა ამიერკავკასიის მხარის ფულადი საერობო გადასახადები დაეყო საერთო (სახელმწიფო), ადგილობრივ (საგუბერნიო და საოლქო) და კერძო გადასახადებად.

ადგილებზე ამ ცირკულარის შესრულებისას ხედებოდნენ დაბრკოლებებსა და გაუგებრობებს. ასე მაგალითად: 1. დაღესტნის ოლქის უფროსს მიაჩნდა, რომ დაღესტნის მთიან ნაწილში მოუხერხებელია ცნობების შეკრება მიწერის შესახებ, ხოლო ოლქის დანარჩენ ნაწილებში უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ნაცვლად მიწის ფართობისა, რომელიც ჯერ კიდევ არაა გარკვეული, დავემაყოფილდეთ მფლობელთა ჩვენებით მათი მიწის შემოსავლის შესახებ. ეს შუამდგომლობა დამტკიცებულია მთავარსამმართველოს მიერ. 2. ერევნის გუბერნატორი უხერხულად მიიჩნევდა დაეჯარიმებინათ ის მფლობელნი, რომელთაც ჯერ კიდევ არა ჰქონდათ გამიჯნული მიწები; მაგრამ მთავარმმართველობამ განმარტა, რომ კანონით ჯარიმა დაწესებულია მიწის ფართობის მცდარად არასწორად ჩვენებისათვის. 3. თბილისის გუბერნატორი განმარტავდა (1875 წ. 31 მარტს), რომ „ტფილისის გუბერნიის მემამულენი, რომლებიც ვალდებულნი არიან მიწებისა და ტყეების შესახებ ცნობები შეადგინონ, სრულებითაც არ ეკიდებიან ამას თანაგრძნობით და სარგებლობენ რა იმ საბაბით, რომ მათი მიწები ჯერ კიდევ არაა გამიჯნული, უარს ამბობენ მოთხოვნილი ცნობების გაცემაზე". ამ საკითხის გადასაწყვეტად მთავარსამმართველომ მიუთითა გუბერნატორს, რომ შიდა გუბერნიებშიც, ისევე როგორც ამიერკავკასიაში, ყველგან როდია ჩატარებული გამიჯვნა, მაგრამ, ამის მიუხედავად,

მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია საერობო გადასახადებით დაებეგრა იქაური მიწები ჯერ კიდევ 1851 წელს, და სწორედ ამისთვის არის დადგენილი ცნობილი წესები; ამას გარდა, ცნობები მემამულეთა მიწების შესახებ შეიძლება ამოკრეფილ იქნას საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს საზოგადოებრივი სამზრუნველოსა და პოლიციის სამმართველოთა აქტებიდან და საქმეებიდან. ბოლოს, 4. ქუთაისის გუბერნატორი შუამდგომლობდა — დაენიშნათ სამეგრელოს მაზრებში განსაკუთრებული ჩინოვნიკები, რომლებსაც სადღეღამისო განაკვეთით აუნაზღაურებდნენ შრომას და რომლებიც დაეხმარებოდნენ თავადაზნაურთა რწმუნებულებს მიწების შესახებ ცნობების შეკრებაში. ამაზე მთავარსამმართველომ უპასუხა, რომ ჩინოვნიკები შეიძლება მიეკლინებულ იქნან აღნიშნულ საჭიროებათა გამო მხოლოდ საგუბერნიო მთავრობის უშუალო მითითებით; ხოლო სადღეღამისო ტარიფის შეხედვით მათი შრომის ანაზღაურება უარყვეს.

— 5 —

თბილისი, 24 იანვარი

ჯერ კიდევ 1868 წელს, როცა ფინანსთა მინისტრმა, სახელმწიფო მდივანმა რეიტერნმა, კავკასიის კომიტეტში მოისმინა მეფისნაცვლის მიერ მოტანილი ცნობები 1868 წლიდან დაწყებული სამწლეულისათვის ამიერკავკასიის მხარის საერობო გადასახადთა ხარჯაღრიცხვისა და გაწერის შესახებ, აზრი გამოთქვა, რომ არის შესაძლებლობა, ეს საქმე საერთოდ დადგენილ წესს დავუქვემდებაროთო, მით უმეტეს, რომ მხარის საფინანსო ნაწილიც უკვე საერთო საფუძველზე მოეწყოო.

მაგრამ, მთავარსამმართველოს და საერობო გადასახადთა განსაკუთრებული საკრებულოს („პრისუტსტვიეს") გაერთიანებულ სხდომაზე ამ საქმის განხილვის შემდეგ, აღნიშნული ღონისძიება მოუხერხებლად იქნა მიჩნეული და უმთავრესად იმიტომ, რომ, არ მონაწილეობს რა სახელმწიფო ანაკრეფში, ამიერკავკასიის მხარე ამის გამო არავითარ დახმარებას არ ღებულობს მისგან, ამავე დროს კი მხარის ფარგლებში იფარება არა მარტო ყველა სავალდებულო საერობო გადასახადი, არამედ ბევრი სხვაც, რომელიც საერობო წესდებაში ნახსენებიც კი არაა, როგორც, მაგალითად, საერობო დაცვის („სტრაჟის"), ქართული ქვეითი რაზმის შენახვა და ა. შ. ამრიგად, გაერთიანებული სხდომის აზრით, თუ ამიერკავკასიის მხარეზე გავავრცელებთ საერობო გადასახადთა შესახებ საერთო კანონდებულებებს, მაშინ ბევრი მოთხოვნილება, რომელიც საერობო შემოსავლიდან კმაყოფილდება, უნდა დავაკისროთ ხაზინას, რაც არავითარ სარგებლობას არ მისცემს მთავრობას. მისი იმპერატორობით უმაღლესობის მიერ მოწონებული ეს დებულება აცნობეს კავკასიის კომიტეტს და ფინანსთა მინისტრის განზრახვა აღარ განხორ-

ციელდა. 1874 წელს სახელმწიფო-მდივანმა რეიტერნმა კავკასიის კომიტეტში კვლავ გაიმეორა თავისი წინანდელი განცხადება; ამჯერად მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ ინება თანხმობის გამოთქმა და ამას მოჰყვა უმაღლესი ბრძანებულება:

„ძალაში დარჩეს ფულად საერობო გადასახადთა ხარჯთაღრიცხვისა და გაწერის არსებული წესი ამიერკავკასიაში; უფლება მიეცეს კავკასიის მეფისნაცვალს ეს ხარჯთაღრიცხვა და გაწერა, 1877 წლიდან, კავკასიის კომიტეტის მეშვეობით წარმოადგინოს ხოლმე უმაღლესად დასამტკიცებლად“.

* *

ამრიგად, მოტანილი ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიაში საერობო გადასახადთა გაღების წესი სრულიად არა ჰგავს საერთოდ იმპერიაში დამკვიდრებულ წესებს, რომლებიც ამ დარგში მოქმედებს იმპერიის სხვა ნაწილებში. ეს განსხვავება უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს.

1. „ამიერკავკასიის მხარეში არ ხდება არავითარი საერთო-საიმპერიო ან სახელმწიფო საერობო გადასახადთა აკრეფა“ (3. 4, მუხ. 74 საერობო გადასახადთა დებულებისა). ამ კანონის ზუსტი აზრის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ევრეთ წოდებული სახელმწიფო საერობო გადასახადთა მიღება ამიერკავკასიის მხარეში ხდება იმ საერთო-საიმპერიო ანაკრეფის ხარჯზე, რომელიც დადგენილია ამ სახის გადასახადებისათვის. მაგრამ სინამდვილეში ამ გადასახადების გასტუმრება ამიერკავკასიის მხარის ფარგლებში ხდება ადგილობრივი საერობო შემოსავლიდან.

2. „ყველა მიწა, ტყე, თუ მიწის სხვა სავარგულები და მიწის საღალე მუხლები ამიერკავკასიის მხარეში განთავისუფლებულია საერობო გამოსაღების საადგილმამულო გადასახადისაგან (საერობო გამოსაღებთა წესდების 55-ე მუხლის მე-5 შენიშვნა)“. ეს გამონაკლისი, სხვათა შორის, გავრცელებული იყო კაზაკთა მიწებზე და არხანგელსკის გუბერნიაზე; ამასთან, დონის ჯარის მიწაზე უკვე დიდი ხანია არსებობს არა სულადობრივი, არამედ საადგილმამულო საერობო გამოსაღებით დაბეგვრა: რაც შეეხება არხანგელსკის გუბერნიას, 1874 წლის ბოლოს სახელმწიფო საბჭომ ფინანსთა მინისტრს მიუთითა, რომ იქაც უნდა შემოიღოთ საერობო გამოსაღებთა საადგილმამულო დაბეგვრაო.

ამიერკავკასიის მხარეში მხოლოდ დასაბეგრავი მოსახლეობის საკომლო საერობო გამოსაღებით დაბეგვრის უსამართლობა უკვე შეიგნო ადგილობრივმა მთავრობამ, რომელმაც აღიარა, რომ აუცილებელია კერძო მიწათმფლობელებიც დავბეგროთ ფულადი საერობო გამოსაღებით, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი სულ უფრო და უფრო იზრდება ყოველ ახალ სამწლეულში.

3. მთელი მხარისათვის ფულად საერობო გადასახადთა ერთი სა-

ერთო ხარჯთაღრიცხვა და გაწერა დგება; ასე რომ არ ხდება ამ გამოსაღებთა დაჯგუფება სახელმწიფო, საგუბერნიო და ყერძო გადასახადად. დაბეგვრის ახლანდელი წესის დროს ამიერკავკასიის მხარისათვის, სხვათა შორის, სულ ერთია ერთი ხარჯთაღრიცხვა და გაწერა დგება თუ რამდენიმე. — გადასახადთა სხვადასხვა სახისათვის ცალ-ცალკე: სახელმწიფო, საგუბერნიო და კერძო. ეს გამონაკლისი არ შეიძლებოდა აქ არსებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გადასახადთა თვითეული სახისათვის დადგენილი იქნებოდა დაბეგვრის სხვადასხვა საგნები, როგორც ეს მიღებულია იმპერიაში. კანონის მოთხოვნის შესაბამისად ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გადასახადთა დაჯგუფება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ერთი საერთო გაწერის შედგენის დროსაც კი, ამასთან სასურველი იქნებოდა ხაზინისაგან მოეხსნათ ყველა, მის ანგარიშზე წარმოქმნილი ხარჯები, რომლებიც მიკუთვნებული აქვთ სავალდებულო საგუბერნიო საერობო გადასახადებს, როგორიცაა: მომრიგებელ მოსამართლეთა* და გლეხთა საქმეებზე მომრიგებელ დაწესებულებათა შენახვა. ამის ხარჯები წლიურად ნახევარ მილიონს აღწევს და მისი განკუთვნება საერობო გამოსაღებისათვის, თუ მასში მონაწილეობას მიაღებინებდნენ მიწათმფლობელებს, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა, რადგან, ამ შემთხვევაში, ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის ხარჯთაღრიცხვა თვალსათლივ დაგვანახვებდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვნად აღემატება შემოსავალი გასავალს, ხოლო ეს ჭარბი თანხა სხვა არა იქნებოდა რა, თუ არა სახელმწიფო ხაზინის გაუთვალისწინებელი მატება.

4. გუბერნიების მთელი საქმისწარმოება და ანგარიშწარმოება თავმოყრილია საგუბერნიო გამგეობებში; მაზრებში ეს საქმეები მინდობილი აქვთ მაზრის უფროსებს, ხოლო მხარეში საერობო-სამეურნეო ნაწილის უმაღლესი გამგებლობა ეკუთვნის საერობო გადასახადთა განსაკუთრებულ საკრებულოს („პრისუტსტვიეს“).

ამრიგად, ნათელია, რომ ამიერკავკასიის მხარის გუბერნიებში საერობო-სამეურნეო გამგებლობისათვის არ არის სპეციალური დაწესებულებანი, როგორც ეს შემოღებულია ევროპული რუსეთის გუბერნიებსა და ოლქებში, სადაც ამ დაწესებულებებში მთავრობისაგან გამოყოფილ წევრთა თანაბრად მონაწილეობას ღებულობენ თავადაზნაურობის, ქალაქების და სოფლის მოსახლეობის (მაზრებში) წარმომადგენლები. ამიერკავკასიის მხარეში უკვე 1840-1850 წლებში არსებულ ამგვარ ადგილობრივ სპეციალურ დაწესებულებათა გამოყენება, ანუ

---

* მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატებმა და თანაშემწეებმა, რომლებიც საპროკურორო და არა სამომრიგებლო ნაწილს ეკუთვნიან, ხელფასი უნდა მიიღონ ხაზინიდან.

უკეთ რომ ეთქვათ, აღდგენა არა გვგონია დაბრკოლებას წააწყდეს ფინანსიური უწყების მხრივ, იმიტომ, რომ საგუბერნიო განმკარგულებელი კომიტეტის, სახელდობრ მთავრობის მიერ დანიშნული მუდმივი წევრის შესანახად საჭირო იქნებოდა არა უმეტეს 1.990 მანეთისა წელიწადში, ანუ ყველა ხუთივე გუბერნიასა და დაღესტნის ოლქში 11.940 მან. ამავე დროს ამ ღონისძიებას შეუძლია მოგვიტანოს მხარეში როგორც ფულადი, ისე ნატურალური გადასახადების თანაბრად განაწილება, ხოლო, მეორე მხრით, ეს მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით მცხოვრებთა მიერ ნატურალურ გადასახადთა გაღებისას ადგილობრივ კონტროლს დაექვემდებარება. ამიერკავკასიის გუბერნიებში სპეციალურ საერობო ორგანოთა დაარსების წინააღმდეგ, სხვათა შორის, ის გარემოებაც მოჰქონდათ ხოლმე, რომ ამ ორგანოების ჩამოყალიბებისათვის არ არის ის ელემენტები, რომელთაგან ეს დაწესებულებანი დგება შიდა გუბერნიებში, სახელდობრ, ყველა გუბერნიაში როდი აქვთ სახაზინო პალატები, თავადაზნაურობას წინამძღოლი მხოლოდ ორ გუბერნიაში ჰყავთ, საქალაქო დებულება გამოყენებულია მხოლოდ თბილისშიო. ეს დაბრკოლება იოლად დასაძლევია: გუბერნიებში, სადაც სახაზინო პალატები არ არის, მათი მმართველის ნაცვლად შეიძლება დანიშნულ იქნას მთავრობის მიერ წარგზავნილი წევრი იქ, სადაც თავადაზნაურთა წინამძღოლი არ ყავთ, მისი მოვალეობა შეიძლება დაეკისროს საგუბერნიო სამმართველოს ერთ-ერთ მრჩეველს; საქალაქო მმართველობა კი ახლა შემოღებულია არა მარტო საგუბერნიო ქალაქებში, არამედ ზოგიერთ სამაზრო ქალაქშიც კი, ხოლო დანარჩენებში საქალაქო დეპუტატები არიან.

6. ამიერკავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვა*

თბილისი, 30 იანვარი

რაკი ზოგად ხაზებში გადმოვეცით მთავრობის ღონისძიებანი საერობო ნაწილის ორგანიზაციის შესახებ ამიერკავკასიაში, მაგრამ ჯერჯერობით არ შევხებივართ ციფრობრივ მონაცემებს ამ საგანზე, რომლებსაც, კაცმა რომ თქვას, ისტორიული ინტერესი აქვთ, — მივმართოთ ამჟამად მოქმედ საერობო ხარჯთაღრიცხვა-გაწერას. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კავკასიის მეფისნაცვლის 1878 წ. 22 ივლისის № 276 ცირკულარის საფუძველზე, რომელიც მაშინვე გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში", ამა წლის დასაწყისში, შედგენილ უნდა იქნეს ახალი ხარჯთაღრიცხვები და გაწერები გამოსაღებთა შესახებ 1880 წლის შემდგომი სამწლეულისათვის და საკუთრივ ამისა-

* ეს სტატია დასკვნაა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილისა „საერობო გადასახადთა ორგანიზაცია ამიერკავკასიაში".

თვის უნდა ჩამოვიდნენ თბილისში ამიერკავკასიის მხარის სხვადასხვა ნაწილიდან ყველა წოდების დეპუტატები.

მომდინარე სამწლეულის (1877—1879 წწ.) ფულადი გადასახადები, გაანგარიშებული იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც 1876 წლის შემოდგომაზე საერობო გადასახადთა განსაკუთრებული საკრებულოს („პრისუტსტვიეს") საგანგებო სხდომაზე იქნა შემუშავებული, წლიურად აღწევს 2.483.978 მანეთამდე, ხოლო სამ წელიწადში 7.451.934 მანეთამდე, აქედან:

	წელიწადში
1. მხარის საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად:	1.778.545 მან.
სახელდობრ გამოსაღებთათვის:	
საფოსტო	778.363 მან.
საგზაო	105.780 მან.
სამოქალაქო მმართველობის შენობებისათვის	13.127 მან
სამოქალაქო მმართველობის შესასახად	155 571 მან.
სამეურნეო და სამედიცინო ხარჯებისათვის	68.906 მან.
საეტაპო	114.961 მან.
სამხედრო	402.192 მან.
საფოსტო დაზღვევისათვის	1.300 მან.
ერობის ვალების გადასახდელად	54.340 მან.
სათადარიგო თანხა გაუთვალისწინებელ საჭიროებისათვის	84.000 მან.
	1.778.545 მან.
2. ადგილობრივი საგუბერნიო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად:	697 846 მან.
სახელდობრ გამოსაღებთათვის:	
საგზაო	168 845 მან
სამოქალაქო მმართველობის შენობებისათვის	29.738 მან.
საერობო დაცვის შესანახად	450 595 მან.
სამეურნეო და სამედიცინო ხარჯებისათვის	6.978 მან.
სამხედრო გამოსაღები	393 მან.
სათადარიგო თანხა გაუთვალისწინებელ საჭიროებისათვის	27.400 მან.
	697.846 მან.
3. კერძო გამოსაღებთათვის, სახელდობრ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო დაწესებულებათა შესანახად	7.587 მან.
აღნიშნულ მოთხოვნილებათა დასაფარავად გათვალისწინებულია:	
1. ბაკის სავაჭრო დოკუმენტების გაცემისათვის	121.000 მან.
2. დამატებითი 25 %-იანი ანაკრეფი ქალაქებსა და სოფლებში სასმელის გასაყიდად ნებართვის მოწმობათა გაცემისათვის	34.770 მან.
3. დახმარება სახელმწიფო ხაზინიდან — თერგის ოლქში მდებარე ლარსის, ბალთის და კავკაკის საფოსტო სადგურების შენობათა შესანახად	7.538 მან. და 80 კაპ.
4. 111.115 მანეთი იმ ანგარიშისა, რომელიც სლავიკის და კომპანიას ჰმართებთ საფოსტო ეკიპაჟთა ყოფილი დაწესებელების ქონებისთვის და განვადებულია 15 წლით 1871 წლიდან	7.407 მან.
5. ჯარიმები შენობათა მოსაწყობად მომრიგებელ მოსამართლეთა განაჩენით პატიმრობაში აყვანილთათვის	7.849 მან.
6. ჩასათვლელად წარდგენილი წონა სამწლეულის თავისუფალი ნარჩენების	196.938 მან.
7. საკომლო გამოსაღები აკრებილი ქალაქისა და სოფლის მებეგრე მცხოვრებთაგან	2.108.476 მან. 6 კაპ.

ცალკე აღებულ თითოეულ ადგილში გასაელისა და საკომლო გამოსაღებით აკრეფილი თანხა შემდეგნაირად ნაწილდება:

	ყოველწლიური გასავლის თანხა	ყოველწლიური საკომლო ანაკრეფის თანხა	კომლთა რაოდენობა	თვითეულ კომლს საშუალოდ ერიცხება
	მანეთები			მან. კაპ.
თბილისის გუბერნიაში:				
საერთო გამოსაღები	546.781			5 62.6
საგუბერნიო	149.043			1 53.3
კერძო	4.061			0 04.7
	699.885	399.542 მან. 97 კაპ.	97.184	7 20.6
				ანაკრ. 4 11.1
ქუთაისის გუბერნიაში:				
საერთო გამოსაღები	65.300			0 80.7
საგუბერნიო	28.301			0 35.0
კერძო	2.086			0 03.7
	96.587	226.978 მან.		1 19.4
				ანაკრ. 2 90.5
ერევნის გუბერნიაში:				
საერთო გამოსაღები	127.313			1 82.2
საგუბერნიო	159.329			2 80.0
	286.642	391 541 მან.		4 10.2
				ანაკრ. 5 60.3
ელიზავეტპოლის გუბერნიაში:				
საერთო-სამხარეო	241.419			2 66.6
საგუბერნიო	155.114			1 71.8
	397.114	516.735 მან. 40 კაპ.	90.568	4 38.4
				ანაკრ. 5 75.5
ბაქოს გუბერნიაში:				
საერთო-სამხარეო	188.298			2 13.8
საგუბერნიო	140.247			1 59.0
	328.145	460.532 მან. 28 კაპ.	88.107	3 72.8
				ანაკრ. 5 22.7
დაღესტნის ოლქში:				
საერთო-სამხარეო	99.909			1 65.2
საგუბერნიო	30.140			— 50.0
	130.049	36.808 მან. 28 კაპ.	60.460	2 15.2
				ანაკრ. 0 60.8
სოხუმის განყოფილება:				
საერთო-სამხარეო	8.640			0 50.0
საგუბერნიო	9.716			0 56.0
	18.356	17.492	17.457	1 06.0
				ანაკრ. 1 00.0
შავი ზღვის ოლქში:				
საერთო-სამხარეო	4.727			5 08.2
საგუბერნიო	1.620			1 74.2
	6.447	699 მან. 75 კაპ.	930	6 82.4
				ანაკრ. 0 75.2

	ყოველწლიური გასავლის თანხა	ყოველწლიური საკომლო ანაკრეფის თანხა	კომლთა რაოდენობა	თვითეულ კომლს საშუალოდ ერიცხება	
	მანეთები			მან.	კაპ.
ზაქათალის ოლქში:					
საერთო-სამხარეო	16 511			1	25.1
საგუბერნიო	23.755			1	80.0
	40.296	58.145 მან. 50 კაპ.	13 220	3	05.1
				ანაკრ. 4	40.0
სულ თვითეულ ცალკე აღებულ ადგილში					
მხარის საერთო გად.	1.293.928			2	52.4
საგუბერნიო	697.846				
კერძო	7.587				
	2.004.361	2.108.476 მან. და 8 კაპ.	518.725	3	86.4
				ანაკრ. 4	06.3
გარდა ამისა მხარის საერთო გადასახადები, რომლებიც დაყოფილი არაა ადგილების მიხედვით	479.617				
სულ	2.483.978				

თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ ერობის გასავლის ცოტად თუ ბევრად არსებით მუხლებს, აღმოჩნდება:

პირველ და, თანხის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან მუხლს შეადგენს საფოსტო სადგურების შენახვა, რისთვისაც წლიურად გამოყოფილია 755.344 მან., ხოლო სამი წლისათვის — 2.266.032 მან.

ეს გასავალი ცალკეული ადგილების მიხედვით ასეა განაწილებული:

	სადგურთა რაოდენობა	„ტროიკათა" რაოდენობა	გასავლის თანხის ჯამი:	საშუალოდ ერთ ცხენში იხდიან:
თბილისის გუბერნია	50	455	319.258	234
ერევნის გუბერნია	30	128	61.267	160
ქუთაისის გუბერნია	18	46	41.056	300
შავი ზღვის ოკრუგი	2	7	4.227	201
ბაქოს გუბერნია	35	200	118.085	196
ელისავეტპოლის გუბერნია	34	232	135.555	195
დაღესტნის ოლქი	25	117	63.716	180
ზაქათალის ოკრუგი	4	21	12,180	193
	198	1.207	755.344	209

ამიერკავკასიის მხარეში, 1871 წლამდე, საფოსტო სადგურები (გარდა იმ 10 სადგურისა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზაზე — თბილისსა და კავკავს შორის მდებარეობს) ხელისუფალთ

მინდობილი ჰქონდათ მოიჯარეებისათვის, რომლებიც საჯარო ვაჭრობით ყიდულობდნენ ამ იჯარას; 1871 წლიდან კი ნება დართეს ეცადათ ჩვენში შეფასებითი სისტემის გამოყენება, რომელმაც შიდა გუბერნიებში, იმ დროისათვის, უკვე დრო მოქამა. იმ კომისიის ნაშრომებში, რომლებიც ფინანსთა სამინისტროსთან არსებობდა გამოსაღებთა და ანაკრეფთა სისტემის გადასასინჯავად, სხვათა შორის, აღნიშნულია ის ნაკლოვანებანი და ბოროტმოქმედებანი, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას შეფასებითი სისტემის დროს. მიუხედავად ამისა და მიუხედავად იმისა, რომ 1875 წლიდან ხსენებული სისტემა გაუქმდა, მხარის ადგილობრივ გარემოებათა და თავისებურებათა გამო, საკვიროდ იქნა მიჩნეული, რომ იგი მომავლისათვისაც შეენარჩუნებინათ. მაგრამ სახელმწიფო საბჭომ, მის უმაღლესობა მეფისნაცვალთან შეთანხმებით, დაადგინა: ამიერკავკასიის მხარის საფოსტო სადგურების შენახვა ამიერიდან იმპერიაში საერთოდ მიღებულ საფუძველზე მიენდოს მოიჯარეებს, რომლებიც ამ იჯარას საჯარო ვაჭრობით ყიდულობენ.

სადგურების შენახვის საყოველთაოდ მიღებულ საფუძველთა იჯარით გაცემის უმთავრესი მიზანია ხაზინის (ან ერობის) მიერ ფოსტის პატრონობისათვის დაწესებული დამატებითი გასამრჯელოს შემცირება. ამის მისაღწევად დადგენილია (უმაღ. ბრძ. 1874 წ. 21 მაისისა): 1. გადიდდეს სამგზავრო ნიხრი ფოსტის, ამანათების და მგზავრების ვადატანა-გადაყვანისათვის 3 კაპიკამდე თითო ვერსზე და თითო ცხენზე ნაცვლად აქამდე არსებული 2,5 და 1,5 კაპიკისა; 2. გაუქმდეს სამგზავრო მოწმობები; 3. ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებსაც თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ მაზრაში შესანახად აღებული აქვთ ერთი, ორი და, არა უმეტეს, სამი სადგურისა, შეღავათები მიეცეთ საიჯარო-სავაჭრო დოკუმენტთა მიღების დროს, თუ დამატებითი გასამრჯელო არ აღემატება წელიწადში 15.000 მანეთს, თვითეული სადგურისათვის; 4. მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს: ა. განსაზღვროს გაზაფხულის და შემოდგომის უგზოობის დრო, იმპერიის ყველა ადგილისათვის, თვითეული ადგილის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების შესაბამისად; შეცვალოს დადგენილი საკონდიციო წესები ცხენების სიმაღლის, კაზმულობის, საკვების მარაგის, სამგზავრო ოთხთვლების, სადგურთა სახელმწიფო შენობების გაქირავებისა და კურიერთა მოგზაურობის სიჩქარის შესახებ. ასევე, უფლება მიეცეს მინისტრს მომავლისთვისაც შეცვალოს ხოლმე სხვა მუხლთა შესახები კონდიციები, როცა ასეთი ცვლილებანი აუცილებელი შეიქნება სადგურთათვის შესანახად ხარჯების შესამცირებლად, თუკი ეს გარემოება შესრულების დროს არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნის საფოსტო შიკრიკის წესიერ და შეუჩერებელ გაგზავნას.

იმის მოლოდინში, რომ ფოსტის ხელმძღვანელობა მოკლე დროში შეიმუშავებს თავის მოსაზრებებს, რათა გამოიძებნოს საშუალებანი ფოსტის შიკრიკთა მიმოსვლის გამო ერობის უდიდესი ხარჯების შესამცირებლად ამიერკავკასიის მხარეში, მაინც არ შეიძლება უურადღება არ მიექცეს, რომ ეს გამოსაღები, მთელი თავისი სიმძიმით, მხოლოდ მებეგრე მოსახლეობას აწევს. ამიტომ, ტვირთი რომ შევუმსუბუქოთ ამ უკანასკნელთ, რომლებიც არც კი სარგებლობს საფოსტო ცხენებით მგზავრობის სიკეთით, საჭიროა დაუყოვნებლივ, ვიდრე საფოსტო სადგურთა შენახვის იჯარა საჯარო ვაჭრობით არ მისცემია მოიჯარეებს მომავალ საუწლეულისათვის (1880 წლიდან დაწყებული), ამიერკავკასიის მხარეში გადიდდეს საგზაო ნიხრი ერთ ვერსზე და ცხენზე ხუთ კაპიკამდე მაინც, ამჟამად არსებული 3 კაპიკის ნაცვლად, უკიდურეს შემთხვევაში პირადი საჭიროებისათვის მიმავალ მგზავრთათვის მაინც. ერთი მხრივ, ასეთი ფასი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სინამდვილისადმი შეუფერებლად, თუ მხედველობაში მივიღებთ სისწრაფეს და საფოსტო ცხენებით მგზავრობის უწყვეტობას. ხოლო მეორე მხრივ, ეს ღონისძიება უნდა ვიფიქროთ, რომ წესს აუგებს საფოსტო ცხენებით მძიმე ტვირთისა და საქონლის გადატანის ჩვეულებას, ბოლოს მოუღებს სადგურებზე ცხენების არსებულ კომპლექტთა მუდმივ შემცირებას და, რაც მთავარია, სასიკეთოდ იმოქმედებს მეეტლეობის განვითარებაზე უფრო გაუმჯობესებული გადასაზიდი საშუალებების შემოღებით, ვიდრე ამჟამად არსებული მიმოსვლის საშუალებანია.

31. ქალაქის თავის არჩევნები

თბილისის ახალი სათათბიროს პირველი სხდომის შემდეგ (14 იანვარს) ახლადარჩეულმა ხმოსნებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ კერძო ხასიათის შეკრება იმ საკითხის გასარჩევად, თუ ვინ დავაყენოთ ქალაქის თვითმმართველობის სათავეშიო. ასეთი კერძო შეკრება შედგა სამშაბათს, 16 იანვარს, სათათბიროს დარბაზში. ამ თათბირზე სულ 40-მდე ხმოსანი მოვიდა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ შეიქმნას განსაკუთრებული კერძო კომიტეტი, 12 ხმოსნის შემადგენლობით, რომელსაც დაეევალოს წამოყენებულ კანდიდატთა ღირსებანაკლოვანებათა განხილვა და რეკომენდაციების წარმოდგენა ყველაზე ღირსეულ კანდიდატთა შესახებ. კომიტეტის არჩევნები ჩატარდა ბარათებით. კომიტეტის წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: ალადატოვი ს.პ., დობრჟანსკი ნ. ფ., ზალცმანი ა. ფ., იზმაილოვი პ. ა., იოანნისიანი ა. ა., ნიკოლაძე ნ. ი., პიტოევი ის. ე., პოლტორაცკი ი. ი., თავ. ჩოლოყაშვილი ა. ზ. და შანშიაშვილი ნ. ნ.

მეორე დღეს კომიტეტი მუშაობას შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ დროს უაღრესად ეკონომიურად იყენებდა და მის სხდომებზეც უნაყოფო თუ ზედმეტ ლაყბობას ადგილი არ ჰქონია, კომიტეტი იძულებული იყო წამოყენებული კანდიდატურების შერჩევისადმი მიეძღვნა მთელი სამი სხდომა, რომელთაგან თვითეული 5 და 6 საათს გრძელდებოდა ხოლმე; თავისი ამოცანის შესრულების შემდეგ კომიტეტმა კვლავ შაბათს, 20 იანვარს მოიწვია ხმოსნების კერძო სხდომა და კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ბ. ი. სტატკოვსკიმ ბატონ ხმოსნებს შემდეგი მოხსენებაც კი წაუკითხა:

კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

მოწყალეო ხელმწიფენო!

თქვენს კერძო კრებაზე, 16 იანვარს, თქვენ ინებეთ ჩამოგეყალიბებინათ ასევე კერძო კომიტეტი და დაგევალებინათ მისთვის, წარმოგვედგინა მოხსენება იმ პირთა შესახებ, ვინც ყველაზე მეტად არიან ღირსნი დაიკავონ მომავალი ოთხწლეულისათვის ქალაქ თბილისის ქალაქის თავის თანამდებობა.

კამათმა, რომელიც წინ უსწრებდა კომიტეტის შექმნას, ნათლად გვი-

ჩვენა, რომ თქვენ, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდით სურვილით, რომ მომავალი არჩევნები ჩავატაროთ სრული წინდახედულებით, რისთვისაც საარჩევნო ყუთზე უნდა მოვსპოთ ყოველგვარ შემთხვევითობათა თუ ვიწრო და კერძო ინტერესთა ზემოქმედების შესაძლებლობა.

ჩვენ გავიმსჭვალეთ იმ მოვალეობის შეგნებით, რომელიც ჩვენ დაგვაკისრეთ და ღრმა პატივისცემით მოვეკიდეთ თქვენს სახელმძღვანელო აზრს; ამიტომაც ჩვენი კომიტეტი, უწინარეს ყოვლისა, შეუდგა საქალაქო თვითმმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების გამორკვევას, რათა ამ გამორკვევის გზით გამოიმუშაოს ამა თუ იმ შესარჩევ პირთა, ან სხვა კანდიდატთა, ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასების საზომი.

ეს ამოცანები ყოვლად რთული და უაღრესად სერიოზული აღმოჩნდა. თითქმის არასდროს არ დასჭირვებია ქ. ტფილისის საქალაქო მეურნეობას მთელი თავისი ძალებისა და სახსრების ისეთი დაძაბვა, როგორც ეს საჭირო შეიქნება მომავალ ოთხწლეულში. რომ აღარაფერი ვთქვათ ქალაქის თვითმმართველობის უახლოეს ამოცანებზე, ბიუჯეტის გაწონასწორების აუცილებლობაზე, ქალაქის შემოსავლის გადიდებასა და მისი არაპწარმოებლური ხარჯების შემცირებაზე, ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იმ მიზნით, რომ, ბოლოს და ბოლოს, დავაკმაყოფილოთ ქალაქის მოსახლეობის გადაუდებელი საჭიროებანი განათების, ჰაერის, წყლის, ჯანსაღი და ხელმისაწვდომი კვების, განათლებისა და ჰიგიენური პირობების მხრივ მოსალოდნელი და უეჭველი ცვლილებანი, რომლებიც თბილისს უნდა შეეხონ, მის თვითმმართველობას აკისრებენ სრულიად განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, ექსტრა ორდინალურ საზრუნავს. თუ მარტოოდენ ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ თითქმის ძირეულად შეცვალა თბილისის საქალაქო ყოფა ცხოვრების პირობები და გამოაელინა ძველი წყობის უვარგისობა, მაშინ, ბუნებრივია, კომიტეტს უნდა თავის წინაშე დაესვა კითხვა, როგორიღა უნდა იყოს იმ ცვლილებათა და ყოველგვარ გაუმჯობესებათა მოთხოვნილება, რომელიც გაჩნდება, როცა უახლოეს ხანში გაიხსნება გაყვანილი რკინიგზები: თბილისიდან ბაქომდე და შემდეგ თბილისიდან ყარსამდე და სპარსეთის საღზვრამდე. დღითიდღე სულ უფრო და უფრო იზრდება და დიდდება თბილისის, როგორც ჩვენი მხარის ბუნებრივი და ადმინისტრაციული ცენტრის, მნიშვნელობა, რაც უეჭველია, ვალად გვდებს ამის შესაბამისად განვავითაროთ ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობა და კეთილდღეობა. და, რაკი ამ მიმართულებით მომავალში გველის ძლიერ ბევრი მუშაობა, რადგან დღემდე ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, ამიტომ იმ პირის არჩევნებს, ვინც თვალსაჩინო, მე ვიტყოდი უპირველესი როლიც კი უნდა შეასრულოს ამ საქმეში, ჩვენ უნდა შევუდგეთ მთელი პასუხისმგებლობით და მისი ღირსება-ნაკლოვანებანი მკაცრადაც უნდა ავწონ-დავწონოთ. ეს პირი წარმართავს არა მარტო მთელ სა-

ქალაქო ადმინისტრაციას, არამედ, აგრეთვე, სათათბიროს ძალ-ღონესა და შრომას. ამიტომაც იგი უნდა იდგეს თანამედროვე საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დონეზე.

აი, მოწყალეო ხელმწიფენო, ის მოსაზრებანი, რომლებითაც მთლიანად განიმსჭვალა თქვენი კომიტეტი, სანამ შეუდგებოდა თავის პირდაპირ მოვალეობას — ცალ-ცალკე თვითეული წამოყენებული კანდიდატის ღირსება-ნაკლოვანებათა განხილვას.

გასაგები ხდება, მაშასადამე, რომ თქვენი კომიტეტის წევრებს, რომლებიც ამ სერიოზულ თვალსაზრისს დაადგნენ, არ შეეძლოთ არ განდგომოდნენ ყოველგვარ პირად პარტიულ მოსაზრებებს, რომლებიც მკრთალდება და კნინდება ახლახან გადმოცემული საერთო და უპირველეს ინტერესებთან შედარებით. შეგვიძლია გულზე ხელი დავიდოთ და ალალმართალად განვაცხადოთ, რომ კომიტეტის წევრებმა, რომლებიც შეუდგნენ თითოეული ცალკე კანდიდატურის გარჩევას, უარყვეს პირადი სიმპათია-ანტიპათიები, ყოველგვარი ვიწრო ინტერესები, რათა განესაჯათ სინდისიერად, განესაჯათ მხოლოდ საყოველთაო სარგებლობის თვალსაზრისით, იმ რწმენით, რომ ფაქტებისა თუ მონაცემების განხილვა დაფუძნებულია ყურადღებიან და ყოველმხრივ შეფასებაზე.

ამ ამოცანის გადაწყვეტისას კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია სწორი მეთოდის დადგენა თითოეული კატეგორიის შეფასებისათვის: ამისათვის კომიტეტმა ისე გაანაწილა თავისი სამუშაო, რომ თითოეული კანდიდატურის დაფასება ხელაღებით კი არ ხდებოდა, არამედ, ასე ვთქვათ, აფთიაქის სასწორზე თითოეული მათგანის ცალკეული მხარეების აწონ-დაწონის გზით. ამგვარი დეტალური შეფასების მიზანშეწონილებისათვის კომიტეტმა საჭიროდ ცნო განეხილა ყველა წამოყენებული კანდიდატურა შემდეგი რვა ნიშნის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერება, როგორც პირადი ღირსების, ისე საზოგადოებრივი მოვალეობებისადმი შეძლებისდაგვარად ენერგიული დამოკიდებულების აზრით;

2. ყაირათიანობა და თაოსნობა, საზოგადოებრივ ძალთა და სახსართა უმცირესი დანახარჯით ქალაქისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანის აზრით;

3. განათლებულობა და განვითარება;

4. ტაქტიანობა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაში და სათათბიროს თავმჯდომარისა თუ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლის ოფიციალურ როლშიც;

5. ენერგია, როგორც მორალური, ისე ფიზიკური, ქალაქის სასარგებლოდ შრომის გასაწევად;

6. თავაზიანობა მოსახლეობასთან და თანამოქალაქეებთან ურთიერთობაში;

7. წარსული საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რამდენადაც იგი მომავლის გარანტიას იძლევა;

8. დამოუკიდებლობა, ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან თავისუფლების აზრით.

აი, ის სასინჯი ქვები, ანუ, უფრო სწორად, რეაქტივები, რომელთა დახმარებით თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქნა გამოკვლეული ყველა წამოყენებული კანდიდატურა.

ამგვარ დეტალურ გამოკვლევას ყველაზე უტყუარად შეეძლო დაედგინა სწორი შეხედულება წამოყენებულ კანდიდატურათა ღირსებებსა თუ ნაკლოვანებებზე, მით უმეტეს, რომ ამგვარი გამოკვლევის შემდეგ კომიტეტიც ასევე წონიდა თითოეულ კანდიდატურას მთელი მისი მოცულობითა და საერთო მნიშვნელობით. ამასთან, მრავალი კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, რომ მას, ერთი მხრივ, ზოგიერთი ბრწყინვალე ნიშანიც კი გააჩნდა, მაინც არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული საერთო შეფასებისას, რაკი აღიარებულ იქნა, რომ ქალაქისთავის მოვალეობათა შესრულება ხსენებული კანდიდატურის ძალებს აღემატება. როცა თქვენმა კომიტეტმა ყოველმხრივ აწონ-დაწონა და ამგვარად შეაფასა ყველა კანდიდატურა, როგორც იმათი, ვინც ჩვენ მიერ შეტანილი იყო თქვენი კომიტეტისათვის შედგენილ სიაში, ისე იმათი, ვისაც საზოგადოებაში ახსენებდნენ და ვინც შეიძლებოდა გამოჩენილიყო თვით კენჭისყრის დროს, თქვენი კომიტეტი დარწმუნდა, რომ მას შეუძლია თქვენს საყურადღებოდ წარმოადგინოს და რეკომენდაცია მისცეს მხოლოდ სამ კანდიდატურას, შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველი, თავადი იასონ დიმიტრის ძე თუმანიშვილი;

მეორე, ნ. დ. ზუბალაშვილი.

და, მესამე, თავადი კ. ა. ბებუთოვი.

* *

ხმოსანთა კრებამ მოისმინა ეს მოხსენება და დაადგინა: „მივიღოთ იგი ცნობად“.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელი კენჭისყრის შედეგებს, სამწუხაროდ, არ დასტყობია კომიტეტის შრომა, საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვეტანა ეს მნიშვნელოვანი პრეცედენტი ჩვენი თვითმმართველობის მატიანეში. თუმცა ყველა წამოყენებული კანდიდატურის საჯაროდ განხილვა გვიჩვენებს ყველაზე ღირსეულ წარმომადგენლებს, მაგრამ, — ხმოსანთა უმრავლესობის საყოველთაო სურვილის გამო — თავიდან აეცილებინათ კანდიდატურების ღირსება-ნაკლოვანებათა საჯარო განხილვა, — განსაკუთრებულ კომიტეტში მათი გარჩევა წარმოადგენს ჩვენში ამჟამად შექმნილი ძნელი სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთ შესაძლებელ საშუალებას. მართალია, პირველი პური კუტი გამოგვივიდა, მაგრამ ეს

სულაც არ ნიშნავს, რომ მომავალში ჩვენს სათათბიროთა ხმოსნებმა პრაქტიკულად არ უნდა გამოიყენონ იგივე წესი.

კვირას, 21 იანვარს, ხმოსნები სათათბიროს ოფიციალურ სხდომაზე შეიკრიბნენ. თავისთავად ცხადია, რომ მათ შორის დაუყოვნებლივ ვერ წარმოიშობოდა უმრავლესობა. ძველი ცოდვები და ძველი ჩვეულებანი ასე იოლად როდი ქრება ხოლმე. ხმოსნებმა ბილეთების მიხედვით დაასახელეს ქალაქისთავის კანდიდატები. ამრიგად, სულ დასახელებულ იქნა კანდიდატად... ჩვიდმეტი კაცი!!! და არცერთი ამ კანდიდატთაგან დასახელებული არ ყოფილა რვაზე მეტი ხმოსნის მიერ!.. მერედა როგორი კანდიდატურები არ დაასახელეს.. აქ იყვნენ ყველა ფერისა თუ ეშხის, ყველა ყაიდის ადამიანები, უვიცებით დაწყებული და უნამუსოებით დამთავრებული!

დასახელებულ კანდიდატთა უმრავლესობამ (და მათ შორის თავ. ი. დ. თუმანიშვილმაც) სათათბიროს განუცხადა, რომ არ მსურს კენჭისყრაო. დარჩა დ. ი. ყიფიანის, თავ. ტ. ა. ხოჯამინასოვის, თავ. კ. ა. ბებუთოვის ნ. დ. ზუბალაშვილის და ა. ა. თამამშვილის კანდიდატურები.

მაშინ წამოიჭრა საკითხი — რანაირად ჩავატაროთ კენჭისყრაო. თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილმა წინადადება შეიტანა, კენჭი ვუყაროთ ჯერ ერთ კანდიდატს, მერე მეორეს და ასე შემდეგო. თავ. ნ. ი. ამატუნი, პირიქით, მოითხოვდა კენჭი ვუყაროთ ხუთივე კანდიდატს ერთად. ამაზე ნ. ი. ნიკოლაძემ უპასუხა, რომ ყველა კანდიდატის ერთობლივი კენჭისყრისას მოხდება ხმათა ისეთი გაყოფა, რომ საეჭვოა რომელიმე კანდიდატმა მიიღოს მნიშვნელოვანი უპირატესობა, ეს კი შეუფერებელი იქნება ხელისუფლებისა და მოსახლეობის თვალში ქალაქის თავის ავტორიტეტისათვისო. პ. ს. ღამბაროვმა მიიჩნია, რომ ეს წინადადება სამართლიანი არ არის, რადგან უკანასკნელი კანდიდატები მეტ კენჭს მიიღებენ, ვიდრე პირველნი. ა. ს. ყორღანოვმა სათათბიროში შექმნილი გაუგებრობა ასეთი განცხადებით გადაწყვიტა: ყოველი კანდიდატისათვის სათითაოდ კენჭისყრა დიდხანს გაჭიანურდება და ბევრი ხმოსანი წასვლას მოისურვებს... პურის საჭმელადო. ყველა განცხადებათა გამო ბ-ნმა ნიკოლაძემ შენიშნა, რომ ყველა კანდიდატისათვის ერთდროულად კენჭისყრა უეჭველად გამოიწვევს ყველა მათ გაშავებას, რაც, ღირსეულ კანდიდატთა საკმაო მარაგის უყოლობის გამო, უაღრესად არასასურველია, და, ყოველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ეს კენჭისყრა არ გადაიქცეს უღირს საარჩევნო მანევრად, აუცილებელია თავიდანვე იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ არავის, ვინც უარი თქვა კენჭისყრაზე, აღარა აქვს მორალური უფლება, რომ შემდეგში კენჭი იყაროსო.

სათათბირომ ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა კენჭი ეყარა ყველა კანდიდატისათვის ერთად.

კენჭისყრის შედეგები, როგორც გუშინ გაცნობეთ, შემდეგი აღმოჩნდა:

	ამომრჩ.	არაამომრჩ.
ა. ა. თამამშევი	21	43
თავ. კ. ა. ბებუთოვი	20	45
თავ. ტ. ა. ხოჯიმინასოვი	19	45
დ. ი. ყიფიანი	13	51
ნ. დ. ზუბალაშვილი	11	52

ესე იგი ხუთი კანდიდატიდან თვითეული გაშავებულია ყველა დანარჩენ კანდიდატთა მომხრეების კოალიციის მიერ, ამასთან გაუქმებულია ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება — დარჩენილი კანდიდატებიდან ყველაზე ღირსეულ კანდიდატების სასარგებლოდ მოეყარათ თავი გაშავებული კანდიდატის მომხრეთა ხმებისათვის.

ამ კვირაში ჩვენ არაერთხელ დავუბრუნდებით „ობზორში“[3] ქალაქისთავის არჩევნების საკითხს.

32. თბილისი, 26 იანვარი

მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე თბილისის საქალაქო გამგეობის მოხსენება, რომელიც ჩვენი გაზეთის 368-ე ნომერში დაიბეჭდა და, რომელიც ამ გამგეობაში შტატების ცვლილებებს შეეხება. ეს არ არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც საკითხი სერიოზულად იქნებოდა გარჩეული და მითითებული არსებულ უწესრიგობაზე; დასაბუთებული იქნებოდა მისი მიზეზები და დაძებნილი მათი გამოსწორების საშუალებანი. ესაა დედააზრი „ეშელუშკას სიბრძნისა“, როგორც გასულ წელს ვუწოდეთ „ტფილისკი ვესტნიკის“[1] ცდებს, რომ რამენაირად, კურსის დაცემითა თუ ღვთაებრივი ნებით, აეხსნა სასიცოცხლო პროდუქტთა ხელოვნური სიძვირე, რაც ყველასათვის უეჭველი იყო და ერთმანეთში აერდაერია, როგორც ეს ბ-ნ «Это не я»[2] -ს ფელეტონში მოხდა: საზოგადოებრივი ფაქტების ანალიზი ყოველგვარი ლოგიკის გარეშე. ამგვარ „ფინალს“ ფრიად პატივცემულ მოღვაწეებს, მათი ოთხწლიანი მმართველობის შემდეგ, რა თქმა უნდა, მტრებიც კი არ უსურვებდნენ. ყველაზე საწყენი ის არის, რომ საკუთარ საფლავზე ამგვარი ძეგლის აღმმართველი, ამ უბადრუკი მოხსენების შემდგენელი, ცდილობს საფლავში თან ჩაიტანოს ყოველგვარი იმედი, რომ ბოლოს მოისპობა თბილისის თანამედროვე ცხოვრების ეს მთავარი ბოროტება — სიძვირე, რომელიც თითქოს კვების პროდუქტებით მოვაჭრეთა და სავაჭრო პოლიციის მუშაკების საყოველთაო უსინდისობის შედეგი იყოს; თუმცა ეს ყოველივე ისეთი ორჭოფული გამოთქმებითაა გამოხატული, რომ სრულ შესაძლებლობას ქმნის კაცმა უარი სთქვას ამ ეშმაკური დიპლომატიური ფრაზებით გამოთქმულ აზრზე, რომელიც კიდევაც შეეხება ყველას, და არც შეეხება. ასეთი სტილით ლაპარაკობდნენ ბერლინის კონგრესზე, მაგრამ თავის ამომრჩეველს ქალაქის გამგეობა ასეთი ენით როდი უნდა აბარებდეს ანგარიშს. ლამაზად ლაპარაკსა და ნათქვამის უარყოფაზე ასჯერ უფრო ღირსეული იქნებოდა პირდაპირ ეთქვათ, რომ განსვენებულმა საქალაქო გამგეობამ, სიახლისა და გამოეცდელობის გამო, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, რომ ხელფასს ღებულობდა ტყუილ-უბრალოდ, რაკი არ ესმოდა, რით უნდა დაეწყო

საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესება; ამიტომაა, რომ მათ უხდებათ ისეთი დასკვნების გამოგონება, რომლებსაც სინამდვილესთან არაფერი აქვთ საერთო, ხოლო შემდეგ — ოხვრა და გოდება, რომ ხალხი საშინლად გაფუჭდა და ამას აღარაფერი ეშველებაო.

ამ მოხსენების დაწვრილებითი განხილვა ძლიერ დიდ და უსარგებლო შრომას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლებით მარტო რამდენიმე ამონაწერით იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი აზრი, სამწუხაროდ, ფრიად საფუძვლიანია.

„ოთხწლიანმა გამოცდილებამ სავაჭრო პოლიციისა იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობს, — ნათქვამია მოხსენებაში, — დაგვიმტკიცა, რომ ეს ორგანო სულაც ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. იმ ფაქტს, რომ ბაზრებში არ არსებობს მკაცრი მეთვალყურეობა, არაიშვიათად გამოუწვევია და ახლაც იწვევს ქალაქის მოსახლეობის აღშფოთებას. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ სავაჭრო პოლიციაზე მოსახლეობის ყველა საჩივარი მართალი იყოს. მაგალითად, მართალი როდია საყვედური, საკვები პროდუქტების გაძვირების გამო, რადგან ეს არასასურველი სტუმარი გვეწვია ომისა და ფულის კურსის დაცემის შედეგად; მაგრამ ამის მიუხედავად, მოსახლეობის საჩივრები პროდუქტთა უხარისხობის, ზომა-წონაში მოტყუების დაწესებულ ფასზე ძვირად გაყიდვის გამო და სხვა სავსებით სწორია. როცა ბაზრებში ყოფნის დროს ამ საჩივრებს აქვე შეატყობინებდნენ ხოლმე ქალაქის მმართველობის წევრებს, ისინიც დაუყოვნებლივ იხილავდნენ და წყვეტდნენ მათ; ამასთან, იშვიათად როდი მომხდარა, არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პოლიციის აგენტთა გაძევებაც, მაგრამ, ამის მიუხედავად სასურველი წესრიგი ბაზრებში აქამდე არაა დამყარებული, და პირველი მოთხოვნილების საგნების ვაჭრობა ჯერაც არაწესიერად ხდება“.

მკითხველებს ვთხოვთ ჩაუფიქრდნენ ამ იერემიადას: რა არის ეს? ოთხწლიანმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სავაჭრო პოლიცია არ ვარგა. აქედან ბუნებრივად კეთდება დასკვნა, რომ ბაზრებზე მკაცრი მეთვალყურეობა არ არსებობს.

იგულისხმება, რომ ამას, მცხოვრებთა საჩივრები უნდა გამოეწვია, საჩივრები თუნდაც პროდუქტთა უხარისხობის, ზომა-წონაში მოტყუების, ფასების დამახინჯების გამო, რაც სავსებით სწორია, მაგრამ სწორია მხოლოდ ბევრ შემთხვევაში; სამაგიეროდ ყოველთვის მართალი არ არის მოსახლეობაც, რომელიც უჩივის სავაჭრო პოლიციას სიძვირის გამო, რადგან ეს არასასურველი სტუმარი (გამოგონებაც ამას ჰქვია!) მობრძანდა ომისა და ფულის კურსის დაცემის გამო...

ბარაქალა ქალაქის გამგეობას! ეს რა მეცნიერულად გამოთქვა მან თავისი აზრი! მაგრამ გოგოლმა ამგვარი მეცნიერულობა შემდეგი ფრა-

ზით დაახასიათა: დავუშვათ ალექსანდრე მაკედონელი დიდი ადამიანია, მაგრამ სკამების დამტვრევა მაინც რას მიქვიან!

თუ თვითონ გამგეობასაც არ შეუძლია დამალოს რომ სასურველი წესრიგის დამყარება მის ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაშინ რა შუაშია აქ ომი და ფულის კურსის დაცემა? ეს ძლიერ შორეული მიზეზებია, არის უფრო ახლობელი მიზეზებიც, რომლებიც აგრეთვე გადმოცემულია მოხსენებაში.

„უდავოა, მათთვის (ე. ი. სავაჭრო პოლიციის არაკეთილსინდისიერი მუშაკებისათვის), რომ უფრო ფხიზლად გვედევნებინა თვალყური, ისინიც უფრო წესიერნი იქნებოდნენ, მაგრამ ამისათვის მუდამ ბაზარში უნდა იყო, ხოლო გამგეობის წევრები თუ ამ საქმეს გამოუდგებიან, მაშინ გამგეობის სხვა გადაუდებელ საქმეთა მსვლელობა უნდა შეჩერდეს, რაც, თავის მხრივ, ზიანს მოუტანს საზოგადოებრივი მმართველობის მოღვაწეობას“.

მაშასადამე, ომსა და ფულის კურსის დაცემას კი არა, გადაუდებელ საქმეებს არ მიუციათ გამგეობისათვის საშუალება, რომ შეესრულებინა თავისი ყველაზე მთავარი დანიშნულება — უზრუნველეყო თბილისის მცხოვრებთა სახალხო კვება იაფი და კარგი პროდუქტებით.

ჩვენ, მცხოვრებლებს, ოთხი წლის განმავლობაში წონასა და ზომაში გვატყუებდნენ, საკვები პროდუქტების მაგივრად დამპალ სურსათს ხელში გვაჩეჩებდნენ და ისიც გაზრდილ ფასებში, მაგრამ გამგეობა, რომელიც ამას ყველაფერს ხედავდა, არ გზავნიდა ბაზრებში თავის წევრებს რაღაც სხვა გადაუდებელი საქმეების გამო. სადღაა ეს საქმეები, რაშია მათი დიდი მნიშვნელობა, რის გამოც აუცილებელი ყოფილა თბილისის ყველა მცხოვრების ჯანმრთელობის გაწირვა, — საქმლით მოწამვლა და ბაზრებზე ძარცვა სავაჭრო პოლიციისა თუ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა მეთვალყურეობით, რომლებიც, თურმე, რაღაც უნახავ გადაუდებელ საქმეებს აკეთებენ! ასეთი საქმეები, საქალაქო მმართველობის მატიანეში, ჩვენ არ გვახსოვს: სათათბიროს სხდომებზეც ყველაფერი გადაიდებოდა ხოლმე, საქალაქო გამგეობის სხდომებზეც ყველაფერი გადაიდებოდა ხოლმე... თვით ბაზრების დათვალიერებაც ხშირად გადაიდებოდა ხოლმე... წყალსადენი — გადაიდო; გადაიდო წყალგამშვებთა მოწყობაც, რისთვისაც სანიტარულმა კომიტეტმა განსაკუთრებული თანხა გამოჰყო, აგრეთვე გადაიდო... ქუჩებიდან თვით უსუფთაობის გატანაც კი გადაიდო, ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაიდებოდა ხოლმე, გარდა ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა მიერ ხელფასის აღებისა, რადგან საქალაქო სალაროში არაფერი არაა გადადებული და არც არსებობს დანაზოგი იმ საშტატო თანხიდან, რომელიც საქალაქო გამგეობის შესანახადაა განკუთვნილი. მაშ, რაღა შუაშია აქ ომი და ფულის კურსის დაცემა? ამ უძლეველ მიზეზთა გარეშეც, მარტო

საქალაქო გამგეობის აბსოლუტური უმოქმედობა, სავაჭრო პოლიციის არაკეთილსინდისიერებასთან ერთად, სრულიად საკმარისია, რათა ავხსნათ ბაზრებზე არსებული უწესრიგობანი, რომელიც გამოიხატა იმ ვაჭართა სრული თვითნებობით, რომელთაც არავინ ხელს არ უშლის ქალაქის მცხოვრებთა ექსპლოატაციაში.

მაგრამ, იმ მიზეზებს გარდა, რომლებზეც მითითებულია ქალაქის გამგეობის მოხსენებაში, როგორც შედეგი მისივე უმოქმედობისა ვითომდა სხვა გადაუდებელ საქმეთა გამო, არის კიდევ ერთი მიზეზი (რომლის შესახებ მოხსენებაში არაფერია ნათქვამი, ხოლო „ტიფლისკი ვესტნიკში“ [1] ეკონომიური კანონების „მეცნიერული ინტერპრეტაციით“ „ახსნა“), რომელიც მძიმე ტვირთად აწევს თბილისის ღარიბ მოსახლეობას: ეს არის ვაჭრების გაფიცვა, რის შესახებაც ვიმსჯელებთ შემდეგ წერილში, რომელშიც გავაგრძელებთ გამგეობის მოხსენების განხილვას სიძვირის მიზეზების შესახებ თბილისში.

33. უთავო სათათბირო

უაღრესად არასასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქ თბილისის მთელ მოსახლეობაზე ჩვენი ახალი სათათბიროს პირველმა ნაბიჯებმა. ამ სათათბიროზე ხომ ჩვენში დიდ იმედებს ამყარებდნენ. მის შემადგენლობაში მანამდე არასოდეს ყოფილა ამდენი ახალგაზრდა „ინტელიგენტური“ ელემენტი, რომელთა სიმრავლე ყველას აძლევდა უფლებას ეფიქრა და იმედი ჰქონოდა, რომ ძველი გულგრილობა და არეულ-დარეულობა ახალ სათათბიროში უკვალოდ გაჰქრებოდა. გულუბრყვილო ადამიანები (რომელთაგან შედგება, როგორც ცნობილია, ყოველგვარი უმრავლესობა) ფიქრობდნენ, რომ პირველივე ნაბიჯებიდანვე ახალ სათათბიროში გამეფდებოდა შეთანხმებულობა და წესრიგი. აი, რატომ დასტოვა მძიმე შთაბეჭდილება თბილისელებზე იმ არეულობამ და გაუგებრობამ, რომლითაც ახალი სათათბიროს პირველი სხდომები აღინიშნა. ცნობილია, რომ იმაზე იოლი არ არის რა, ვიდრე სიყვარულიდან სიძულვილზე, იმედიანობიდან უიმედობაზე გადასვლა, ამიტომაა, რომ ბევრმა უკვე ჩაიქნია ხელი ახალ სათათბიროზე, რაკი იფიქრა, რომ მომავალი მისი მთელი მოღვაწეობაც ისეთივე უნაყოფო იქნება, როგორიც, სამწუხაროდ, ჩვენი მუნიციპალური პარლამენტის ორი პირველი სხდომა აღმოჩნდა.

უდავოა, რომ იმედები გაზვიადებული იყო, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად საეჭვოა ის, რომ გაცილებით უფრო გაზვიადებულია იმათი იმედგაცრუება და შიში, ვინც უკმაყოფილო დარჩა თვითმმართველობის ორგანოს პირველი ნაბიჯებით. შევეცდები ყოველივე ეს რაც შეიძლება მეტი სისრულით ავხსნა.

ჯერ ერთი, ახალი სათათბირო შედგება, უპირატესად, ახალბედებისაგან წარმომადგენლობითი მმართველობის საქმეში. „ახალგაზრდა ხმოსნებმა“, რომლებიც პირველად მოხვდნენ სათათბიროში, ჯერ კიდევ ვერ შეძლეს შეჩვეოდნენ კამათისა და საქმეთა წარმოების მიზანშეწონილ ხერხებს წარმომადგენლობით კრებებში. „ძველი“ ხმოსნები კი, რომლებიც წინანდელი სათათბიროდან ახლანდელში გადმოვიდნენ, ისე ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი საქალაქო საქმეთა წარმოებით გასულ ოთხწლეულში, და ამ მხრივ ისეთი ცუდი წრთობა მიიღეს წინანდელს სათათბიროში, რომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მათ გამო-

ცდილებით დიდად არ გაუსწრეს წინ ახალბედებს. მაშ როგორღა გნებავთ, რომ ესოდენ მცირედ მომზადებულმა პირებმა, რომლებიც საქმის წარმოების პირველ რიგებში მოხვდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, პირველი შეკრებისთანავე სრული თანხმობით იმღერონ და არც არავითარი დისონანსი გაეპაროთ? სად უნდა შეეწყოთ მათ ხმები? განა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება აქამდე რა შესაძლებლობას აძლევდა მათ, რომ დაჩვეულიყვნენ საზოგადოებრივ საქმეთა შეწყობილ და ერთსულოვან წარმოებას? იქნებ კლუბებში, ან კიდევ ქუჩებში, ან, ბოლოს, კანცელარიებში? ნუთუ ასე საკვირველია, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე პირველად გამოსული ადამიანები პირველი კვირეების, თუ თვეების, განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიან, შეცდომებს უშვებენ და კაკაფონიას ქმნიან? მიეცით მათ დრო, მიეცით ხანგრძლივი და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა და პრაქტიკა გამოუმუშავებს მათ გარკვეულ უნარს, რომ საერთო საქმისათვის ხელი ჩაჰკიდონ ერთმანეთს და საერთო მიზნისაკენ შეწყობილად იარონ.

ვერავითარი წარმომადგენლობითი კრება ვერ შეძლებს თავისი დანიშნულების შესრულებას წინასწარი შეწყობის გარეშე, რაც ხმებს წყება-წყებად აჯგუფებს — მოძახილის მქონენი მარცხნივ დგებიან, ბანისა — მარჯვნივ, ტენორისა — ცენტრში და ა. შ. ასევე საჭიროა ფრაქციების ჩამოყალიბება კრების წევრების მისწრაფებათა და განზრახვათა მიხედვით. როცა ეს ფრაქციები ჩამოყალიბდება, როცა თვითეულ მათგანში დაწინაურდება თუ ხელმძღვანელი არა, საქმის წამომწყები მაინც, მაშინ მთელ კრებას ძლიერ გაუადვილდება მივიდეს ამა თუ იმ გადაწყვეტილებამდე ყველა მთავარი ფრაქციის წარმომადგენელთა წინასწარი შეთანხმების შემდეგ. განა ამ გზით არ გამომუშავდება ხოლმე წარმომადგენლობით კრებებში თუ ერთხმად არა, უკიდურეს შემთხვევაში, ხმების უდიდესი უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებანი? მაგრამ სად და როგორ შეიქმნებოდა ჩვენში ასეთი ფრაქციები, სად და როდის შეიძლება დამკვიდრებულიყო ფრაქციათა უმრავლესობის ასეთი ნდობა თავიანთი ხელმძღვანელებისადმი? ჩვენი ხმოსნები ხომ თითქმის პირველად არიან თავმოყრილი ერთ კრებაში, მათ ხომ ჯერ არც კი მოუსწრიათ ერთმანეთის გაცნობა... განა საკვირველია, რომ, ამიტომ, თვითეული მათგანი განზე მიიწევს და არასასურველი და საქმისათვის საზიანო ერთსულოვნების ნაცვლად, ვღებულობთ მეორე, ასევე საზიანო და კიდევ უფრო არასასურველ უკიდურესობას — ანარქიას ცნებებში და უძლურებას გადაწყვეტილებებში?

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი ხმოსნები სავსებით ახალბედები არიან თვითმმართველობის საქმეში. მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ ყოველ-

გვარ წარმომადგენლობით დაწესებულებას უთუოდ ჭირდება შექმნას, რადაც არ უნდა დაუჯდეს, რამენაირი უმრავლესობა, მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ ყოველგვარი უმრავლესობა იქმნება კრების თითოეულ წევრის მისწრაფებებიდან საშუალო პროპორციული ხაზის გამოძებნით; მათ ჯერ კიდევ არა აქვთ უნარი აღმოაჩინონ ეს საშუალო პროპორციული ხაზი... ამიტომაცაა, რომ თითქმის ყველა ჩვენი ხმოსანი ცდილობს იდგეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თვალსაზრისზე, თანაც თვითეული მათგანი ფიქრობს, რომ სწორედ მას უნდა გაჰყვეს უმრავლესობა. საქმის შესახებ ასეთი შეხედულების დროს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ შემთხვევითი გადაწყვეტილებანი, უმრავლესობის მხოლოდ სტიქიური თანხმობა ამა თუ იმ გაუაზრებელ, გამოურკვეველ და მიზანშეუწონელ გადაწყვეტილებაზე. ასე ხდებოდა საქმის წარმოება ძველ სათათბიროში, რომელიც დღეს შემთხვევით აშუქებდა იმას, რაც ასევე შემთხვევით იყო მის მიერ მიღებული გუშინ. მე ვიცი, რომ ამას დიდი ზიანი მოაქვს თვითმმართველობის ინტერესებისათვის... მაგრამ აცალეთ და დაინახავთ, რომ დადგება დრო და ამასაც აღარ ექნება ადგილი. ბრმები ხომ არ არიან ხმოსნები და ყველა მათგანი უსინდისო ხომ არ არის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვერ ისწავლონ კამათისა თუ საქალაქო საქმეების გონივრული წარმოება!..

რა ბედენაა, თუ პირველი პური კუტი გამოვიდა, თუ პირველი კენჭისყრის შედეგები უარყოფითი შეიქნა, თუ სათათბირომ ვერც თავის წრეში, ვერც თბილისში ვერ გამონახა პიროვნება, რომელიც ღირსი იქნებოდა ქალაქისთავის ადგილი დაეკავებინა! ამ საბაბით ცხვირის ჩამოშვება სულაც არ შეგვშვენის. არ ცდებიან მხოლოდ ისინი, ვინც სრულიად არაფერს არ აკეთებენ, და შეცდომაც არავის არ ეთვლება სიყალბედ... ყაყანი პირველივე წარუმატებლობის დროს იმის შესახებ, რომ „ჩვენ უთავოდ დავრჩებით", რომ ხმოსანთა მოუხერხებლობის გამო ქალაქისთავის თანამდებობაზე შეიძლება მოხვდნენ უღირსი ადამიანები იმას ნიშნავს, უბრალოდ რომ ვთქვათ, რომ სულმოკლენი და ბეცები ვყოფილვართ. რა დიდი უბედურებაა, რომ დარჩნენ მხოლოდ „შებღალული" კანდიდატები? ქვეყანა ხომ არ დაქცეულა, და შეცდომის გასწორებაც ხომ არასდროს არ არის გვიან... მაგრამ დანაშაული და სულმოკლეობა იქნება, თუ, პირველივე შეცდომის შემდეგ, დავიწყებთ იმის მტკიცებას, როგორც ამას უკვე ბევრი თბილისელი კადრულობს, რომ პირველი კენჭისყრის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო თითქოს მთელი ჩვენი იმედები უნდა დავამყაროთ ადმინისტრაციის არჩევანზე...

...მთელი ჩვენი უბედურება შემდეგშია. ჩვენი თბილისის სათათბირო შედგება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტისაგან. ერთ მხარეზე მასში დგანან ახალგაზრდა ხმოსნები, რომლებმაც ჯერჯერობით

თავი გამოიჩინეს მხოლოდ თავიანთი „განსაკუთრებულობით“ და სურვილით, რომ მაინცდამაინც თავიანთი გაიტანონ. მეორე მხარეზე დგანან მარჯვე ადამიანები, რომლებსაც მხედველობაში აქვთ პირადი, ვაჭრული, ქონებრივი ინტერესები. უკანასკნელნი არასდროს არ დათანხმდებიან იმას, რომ ქალაქის თავად დამოუკიდებელი მსოფლმხედველობის კანდიდატი იქნას არჩეული. მათ სურთ ისეთი ადამიანი, რომელიც მათზე დამოკიდებული იქნება, საერთო ინტერესები ექნება მათთან და. ყოველ შემთხვევაში, მოურიგდება მაინც მათ. გასაგებია, რომ ამ მხრივ ეს მარჯვე კაცები არასდროს არავითარ დათმობაზე არ წავლენ. ამიტომაც აყენებენ ხოლმე ისინი ყოველნაირ შებღალულ კანდიდატებს და, რა თქმა უნდა, ცდილობენ, რომ ქალაქისთავად როგორმე თავიანთი კატეგორიის კაცი, თავიანთი თანამოძმე გაიყვანონ. ასეთი კანდიდატი მათ ორი ჰყავთ: ა. ს. ყორღანოვი და მ. ე. ალიხანოვი. ესენი, მათი აზრით, არიან „თავიანთი კაცები“, რომლებთანაც ყოველთვის შესაძლებელია საერთო ენის გამონახვა... თუ ეს კანდიდატები ვერ გაელენ, მაშინ მათ სათადარიგოდ სხვებიცა ჰყავთ; მართალია, არა ისე „ღირსეულნი“, არა მთლად მათი სწორნი და ტოლნი, მაგრამ მაინც მათი პატივისმცემელნი, რომლებსაც ჭეშმარიტი თრთოლვა აიტანს ხოლმე ყელამდე გატენილი საფულის დანახვისას და რომლებიც ნაკლებად ფიქრობენ, რომ წინ აღუდგნენ კაპიტალის ძალას. მათი აზრით, ასეთი კანდიდატები არიან ლ. შ. მელიქ-ბეგლაროვი, მ. ი. დოლუხანოვი, ა. ს. მატინოვი და მათი მსგავსი ადამიანები, რომელთაც მყარი ფინანსიური მდგომარეობა არა აქვთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მორჩილნი და ფინანსიური სამყაროს ბობოლებთან შესმატკბილებულნი არიან... „თუ თვითონ ჩვენ არა, ჩვენი სატელიტების საშუალებით მაინც მოვახდენთ გავლენას ქალაქის საქმეებზეო“, — აი ამ ბობოლების სახელმძღვანელო აზრი.

თავისთავად იგულისხმება, რომ არც ერთი მათგანი თეთრ კენჭს არ ჩაუგდებს ქალაქისთავობის ნამდვილად დამოუკიდებელ კანდიდატს. მაგრამ საბედნიეროდ ასეთი ბობოლები სათათბიროში ცოტაა. მათ ხმებს თუ დავთვლით, და იმ ხმოსანთა ხმებსაც მივუმატებთ, რომლებიც მათგან არიან პირდაპირ დამოკიდებულნი და მათ ჰყავთ დამონებული, მაშინაც კი, სულ ბევრი, მათ ექნებათ 25-28 ხმა. ეს, ცხადია, ცოტაა ქალაქის თავის არჩევისათვის.

მეორე მხარეზე დგანან ახალგაზრდა „ინტელიგენტი“ ხმოსნები, რომლებსაც არც პირადი, არც ქონებრივი ინტერესი არ უნდა ჰქონდეთ ქალაქისთავის არჩევნებში. ეს ხმოსნები მხარს უჭერენ „თავისთავადსა“ და დამოუკიდებელ პირთ — ჯერ ნ. დ. ზუბალაშვილს და მერე — კ. ა. ბებუთოვს. თავის მხრივ, არც მათ შეუძლიათ დათმობა, იმიტომ რომ, თუ დაუთმობენ, ისინი ხელში ჩაუვარდებიან იმ ფრაქციას, რომელსაც

სურს არჩევნები ჩაატაროს თავის სასარგებლოდ, თავისი ხროვის სასარგებლოდ... ასეთი ხმოსნებიც სათათბიროში აგრეთვე დაახლოებით 25-ია. აი ორი უკიდურესობა.

მაგრამ ახალგაზრდა ხმოსნები ხომ ამ რიცხვზე მნიშვნელოვნად მეტიაო, — იტყვიან მკითხველები. მეტი კი არიან, მაგრამ ყველა ისინი ერთად როდი მიდიან ერთი და იმავე მიზნისაკენ... დასახელებულ ორ ფრაქციათა გარდა, სათათბიროში არიან „თავისიან კაცთა" ცალკე ჯგუფები. ამ ჯგუფთა ნიმუშად მოვიყვან მაგალითს „ელიმირზოველთა" ჯგუფისას, რომელიც მნიშვნელოვანწილად ლ. კ. ელიმირზოვის ნათესავებისა და ახლობლებისაგან შედგება. რაკი იმის იმედი არა აქვს, რომ ქალაქისთავად თვითონ ლ. კ. ელიმირზოვს გაიყვანს, ამ ჯგუფმა წამოაყენა ა. ა. თამამშევის კანდიდატურა, რომლის ხელით, როგორც ბევრია დარწმუნებული, ქალაქის მმართველობას წარმართავს ლ. კ. ელიმირზოვი. ამ ჯგუფში იყოფებიან ისეთი ხმოსნები, როგორებიც არიან პ. ს. ღამბაროვი, ი. ს. ხატისოვი, ი. კ. ელიმირზოვი, ა. ა. თამამშევი და მათი მსგავსნი, რომელთა შესახებ ლ. კ. ელიმირზოვს შეუძლია გაბედულად თქვას ფამუსოვის სიტყვებით:

«При мне служащие чужие — очень редки:
Все больше сестрины, свояченицы детки;
Один Хотисов мне не свой, —
И то затем, что деловой...»[41]

თუმცა თვითონ ლ. კ. ელიმირზოვი ადამის ხნისაა, მაგრამ ყველა ეს ხმოსნები, უდავოდ, ახალგაზრდები არიან. ყველა ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ იმ კერძო კომიტეტის ჩამოყალიბებაში, რომლის მოხსენება, ამ ცოტა ხნის წინათ, დაბეჭდილი იყო „ობზორში". ყველა ისინი დიდი ენამკვევრობით ღაღადებდნენ შეთანხმებაზე, ფრაქციების შექმნაზე და ა. შ. და, ამავე დროს, სწორედ ისინი განუდგნენ პირველად საერთო გადაწყვეტილებას, მათ მოახდინეს ახალგაზრდა ხმოსანთა გათიშვა, მარტო იმიტომ რომ კომიტეტმა არ წამოაყენა და რეკომენდაცია არ მისცა ბ-ნ თამამშევის კანდიდატურას!..

გათიშვის ეს პირველი მაგალითი მით უფრო შესანიშნავია, რომ იგი მოასწავებდა საქმეთა მიზანშეწონილი წარმოების პირველ სასინჯ ცდას. მაგრამ ამ მაგალითს გააჩნია კიდევ უფრო სამწუხარო და საეჭვო ხასიათის ნიშანი. ბ-ნი თამამშევი არჩეულ იქნა კომიტეტის წევრად მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა, რომ კომიტეტის შემადგენლობაში არ შეიძლებოდა შესულიყო ქალაქისთავობის არც ერთი კანდიდატი, და, აგრეთვე, იმის შემდეგ, როცა მან საჯაროდ განაცხადა — არ მსურს კენჭი ვიყაროო. მესმის, რომ სხვადასხვა აფერისტებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ საჯაროდ მიცემუ-

ლი დაპირებანი წმიდათა უწმინდესია, — შეუძლიათ ცხვირსახოცივით ცვალონ თავიანთი განცხადებანი; მესმის, რომ ზოგ კანდიდატს შეუძლია სათამაშოდ აქციოს კენჭისყრა და გამოიყენოს უარისთქმისა თუ თანხმობის სამარცხვინო ფანდები... მაგრამ გაუგებარია, როგორ შეიძლება ამგვარი ოინები იკადროს ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც გარკვეული განათლება მიუღია! თუ იგი ამგვარი, მთლიანად წარსულის გაიძვერობისათვის დამახასიათებელი ხერხით შედის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაშინ როგორიღა იქნება ის ფოკუსები, რომლებითაც იგი შემდეგში გაგვიმასპინძლდება?.. ბ-ნმა თამამშევმა, კომიტეტის წევრმა, „ავადმყოფობის გამო არ მიიღო მონაწილეობა კომიტეტის პირველ ორ სხდომაში". მაგრამ როცა გაიგო, რომ კომიტეტის მუშაობა თავდებოდა, იგი მოვიდა სხდომაზე, რადგან უკვე ცნობილი იყო, რომ მისი კანდიდატურა წამოყენებული იქნებოდა. რას ნიშნავს ყოველივე ეს? თუ ბ-ნი თამამშევი ისე გულუბრყვილოა, რომ არ ესმის თავისი საქციელის უხერხულობა, მაშინ რა უფლება აქვს მას პრეტენზია განაცხადოს ქალაქისთავის თანამდებობაზე თავისი ამგვარი გულუბრყვილობისას? ხოლო თუ ესმოდა რაშიც იყო საქმე, და თუ შეგნებულად სცოდავდა, მაშინ კიდევ უფრო ნაკლები უფლება აქვს ცდილობდეს, რომ არჩეულ იქნეს. დაე, ძველი ფრაქციების წარმომადგენლებმა შეირცხვინონ თავი ამგვარი გმირობით. ახალგაზრდობას არ არგებს ასე ულაზათოდ გამოიყვანოს თავისი თავი, იმიტომ რომ ბ-ნ თამამშევის ყველა შეცდომას და ყველა ცოდვას საზოგადოება ბრალად დასდებს არა ყველასათვის უცნობ თამამშევს, არამედ ახლანდელი სათათბიროს მთელ ახალგაზრდულ ნაწილს...

საერთოდ რომ ვთქვათ, ის ახალგაზრდა ხმოსნები, ვისთვისაც ნამდვილად ღვიძლია ქალაქის თვითმმართველობის ინტერესები და ვინც ჯერ კიდევ არ გარყვნილა იმ წესის გამოყენებით პრაქტიკაში — თუ „როგორ არ ვიზრუნო ჩემიანზედაო", მოვალენი არიან, შეძლებისდაგვარად, განდევნონ სათათბიროს პრაქტიკიდან ყოველგვარი ოინები და ფანდები. წმინდა საქმე წმინდა საშუალებებით უნდა შესრულდეს და იგი არ უნდა გავაბინძუროთ გაიძვერების მამაპაპურ დროთაგან მომდინარე უბადრუკი ხერხებით, არც თუ ძალიან უნდა შეგვშურდეს მამაპაპათა დროინდელ ხრიკიანთა მემკვიდრეობა... უფლება მივცეთ მიცვალებულებს, დამარხონ მიცვალებულნი. დაე, „შებღალულ" კანდიდატურათა მომხრეებმა გამოიყენონ მათთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი და საკადრისი საშუალებანი — ინტრიგა, ფანდები, ფოკუსები, დაპირებანი და ა. შ. სათათბიროს ინტელიგენტურმა ნაწილმა არ უნდა მიბაძოს მათ მაგალითს. მან არ უნდა დაივიწყოს, რომ ინტელიგენციას სულაც არა აქვს „მისჯილი გამარჯვება". თუ იგი ვერ შეძლებს გაიმარჯვოს პატიოსანი საშუალებებით, დეე მაშინ სხვებმა გაიმარჯვონ!

მაშინ ჩვენ შეგვიძლია ხელები დავიბანოთ და უღირსი რჩეულის მიმართ დავიჭიროთ კონტროლიორთა და მამხილებელთა პოზიცია. ქალაქის მოსახლეობის სიმპათიები და საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა მაშინ, რა თქმა უნდა, სათათბიროს „ინტელიგენტური“ ნაწილის მხარეზე იქნება. ხოლო თუ ამ ტაქტიკის მაგივრად, სათათბიროს ეს ნაწილი, მოისურვებს აუცილებლად გაიმარჯვოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მაშინ უეჭველია, იგი წააგებს საქმეს და დაჰკარგავს საზოგადოების ყოველგვარ ნდობას, რადგან თავს გაისვრის უღირსი ფანდებით, ხოლო თავის რეპუტაციას შეაგდებს შემთხვევით წამოყენებულ კანდიდატურათა, როგორიცაა ბ-ნ თამამშვილის კანდიდატურა, არც თუ მართალ სასწორზე...

მე არ ვიცი, ვინ იქნება არჩეული ქალაქისთავად. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სანამ ქალაქისთავს აირჩევდნენ, ხმოსნებმა უნდა ისწავლონ კენჭისყრა. თუ ასე არ იქნა, კვლავ ჩავვარდებით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მოვხვედით გასულ კვირას, როცა სათათბირომ ყველა ღირსეული კანდიდატი გააშავა. ეს რომ მას განზრახ ექნა, რათა ადგილი გაეწმინდა სხვა, უფრო ღირსეული კანდიდატისათვის, მე არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო ამ იროდისეულ ყრმათა მოსვრისა.[62] მაგრამ სათადარიგოდ ხომ მარტო შელანძღული რეპუტაციის მქონე ადამიანები, მარტო ყოვლად მიუღებელი და ბარბაროსული კანდიდატურები რჩებოდნენ... სამართლიანობისათვის, რომლის შესახებ ასე უადგილოდ ქადაგებდა ბ-ნი ღამბაროვი, ახლა საჭირო იყო, ყველა დანარჩენებიც გაეშავებინათ... მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენი ხმოსნები ამ ბიზანტიურ კამათში[12] ვარჯიშობენ, ჩვენი ქალაქის საქმეებს საღათას ძილით სძინავს... ქალაქისთავი არა გვყავს, გამგეობა არ შექმნილა, სათათბირო არ მოქმედებს, ამავე დროს კი ჭირი კარს არის მომდგარი... სიძვირე თბილისიდან ერეკება არა მარტო უბრალო მოკვდავთ, არამედ თვით გენერლებსაც კი... სათათბიროს ენერგია სჭირდება, რათა გადამწყვეტი ზომები მიიღოს ყველა ამ და ბევრ სხვა მეტად ძნელ დაბრკოლებათა დასაძლევად. და ამ ენერგიის ნაცვლად ჩვენ ჯერჯერობით ვხედავთ მხოლოდ გაშტერებას, უუნარობას და შეუთანხმებელ ჭაპანწყვეტას. რა თქმა უნდა, თავის დროზე ჩვენ ვისწავლით ფეხაწყობილ სიარულს, მაგრამ სასურველია, რომ ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს. ვინ იცის, ჩვენი სათათბიროს მიერ უნაყოფოდ დაკარგული თვითეული კვირა, შესაძლებელია, არა მარტო ათობით და ასობით ათას მანეთად დაუჯდეს თბილისს, არამედ მისი მოსახლეობის ათასობით სიცოცხლედაც...

და ბოლოს, თავს ნებას მივცემ ვუთხრა ჩვენს ხმოსნებს: ბატონებო, გაიგეთ, რომ თქვენ შემოგყურებთ თბილისის მოსახლეობა, რომ ხელისუფლება ფხიზლად გადევნებთ თვალს. ნურავის ნუ მისცემთ მოუხერხებლობის საბედისწერო სანახაობას: თუ გვირდებათ ისწავლოთ

ოვილმმართველობის ხელოვნება, — ისწავლეთ სახლში, ჩუმ-ჩუმად. მაკრამ სათათბიროში რომ შეიკრიბებით, ნუ შეიბღალავთ ღირსებას, ნუ შეიცხვენთ თავს და ნუ დაემგვანებით იმ მოწაფეებს, რომლებმაც ...ყიან რასა იქმნიან და რატომ იქმნიან... უმჯობესია ოცჯერ გაზომოთ კერძი კრებებზე, ვიდრე ერთხელ მოუფიქრებლად გადაჭრათ სათათბიროს საჯარო სხდომებზე. როგორღა გნებავთ, რომ ქალაქის მოსახლეობა ნდობას იჩენდეს თქვენდამი და სწამდეს, რომ თქვენ გონივრულად შეძლებთ მისი ინტერესების მართვას, როცა თქვენ აქამდე ვერ უჩვენეთ, რომ შეგიძლიათ მართოთ საკუთარი თავი?

34. PATRES CONSCRIPTI[43]!..

თბილისი, 27 იანვარი

თბილისი არის ქალაქი, რომლის მოსახლეობა ასი ათასს უდრის. ამ ხალხის კეთილდღეობა გამოხატულია ევროპული ყაიდის მრავალსართულიანი ქვის სახლებით, რომლებსაც მრავალი სახელოვანი თუ უსახელო ქუჩა აუვსიათ; ქალაქი გამოირჩევა მრავალრიცხოვანი და მრავალ ენაზე მოლაპარაკე ინტელიგენციით, რომელიც წარმომადგენლობს თვითმმართველობის ევროპულ საწყისებს. ასეთ ქალაქში და ასეთი ინტელიგენციისაგან, რომელიც მისი მმართველობის სათავეში დგას, ჩვენ უკვე შეგვიძლია მოვითხოვოთ სერიოზული გონებრივი და პრაქტიკული მუშაობა და არა მხოლოდ ბავშვური ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით ტიტინი. სხვათა შორის, თბილისის ინტელიგენციის ამ ნაღებმა, რომელიც ოთხი წელიწადია ქალაქის ბედ-ილბალს განაგებს, თვითონვე აღიარა, რომ არაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მოესპო მთავარი ბოროტება — საარსებო პროდუქტთა სიძვირე, და როცა საჭირო გახდა ამომრჩევლებისათვის პასუხის გაცემა კითხვაზე: რატომ ვერ შესძელით ასეთი ამოცანის შესრულება, — აი რას გვეტიტინება ამაზე მათი მოხსენება:

„ამ ბოროტების მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: 1. საკვები პროდუქტებით ვაჭრობას უპირველესად ის პირნი მისდევენ, ვისაც საამისოდ საკმაო სახსრები არც კი გააჩნიათ და ვინც, ამიტომ, ცდილობს რამენაირად, სიმართლითა თუ ტყუილით თავისი გაიტანოს და, საშუალებათა განურჩევლად, ვაჭრობით დიდი თანხა მოიგოს. ამასთან ბევრი მათგანი ზნეობრივად აღვირახსნილია და სრულებითაც არ რცხვენია, რომ ურჩობა გაუწიოს სავაჭრო პოლიციის მოხელეებს, ხოლო არაიშვიათად კიდევაც შეურაცხყოს ისინი სიტყვითა თუ მოქმედებით; 2. სავაჭრო კლასის შეძლებული წარმომადგენლები გულგრილად ეკიდებიან საკვები პროდუქტებით ვაჭრობას, რის გამოც იგი თავმოყრილია ცალკეულ ვაჭრთა ხელში და არ ვითარდება; 3. ქალაქი ძალიან გაფანტულად არის გაშლილი, სავაჭრო პოლიციის შტატი კი უაღრესად შეზღუდულია, რის გამოც ბევრი სავაჭრო პუნქტი ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე რჩება, და ბოლოს, 4. სავაჭრო

პოლიციის მოხელენი თავიანთ მოვალეობას საკმაო ენერგიითა და კეთილსინდისიერებით არ ეკიდებიან“.

თვითეული ეს მიზეზთაგანი სინამდვილისა და ეკონომიკური მეცნიერების თავისებური გაგების მარგალიტია! შეუძლებელია ამ ახირებულ ფორმულათა აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ამიტომ საჭიროა გადმოვბეჭდოთ ისინი და თან დავურთოთ ახსნა-განმარტებანი.

საკვები პროდუქტებით ვაჭრობას უპირატესად ის პირნი მისდევენ, რომელთაც საკმაო სახსრები არ გააჩნიათ. მაგალითად, თევზით ვაჭრობის მონოპოლიით არიან დაკავებულნი ბატონები: ანანოვი, ალელოვი, მეღვინოვი; ფქვილითა და პურის მარცვლეულის ვაჭრობაში მონაწილეობენ ბატონები: თაიროვი, პიტოევი, ფრიდონოვი, ყორღანოვი და სხვ. ამიტომ ცდილობენ, სიმართლით თუ ტყუილით, მოგება მოიხვეჭონ თავიანთი ვაჭრობით.

ქალაქის გამგეობის ამომრჩევლებს შეუძლიათ გულწრფელი მადლობა გადასცენ არჩეულებს თავიანთი მოღვაწეობის ამგვარი დახასიათებისათვის.

„ამასთან ბევრი მათგანი ზნეობრივად აღვირახსნილია“.

კვლავ უმდაბლესი მადლობა!

და „სულაც არ სცხვენიათ, რომ სავაჭრო პოლიციის მოხელეებს ურჩობა გაუწიონ და არაიშვიათად კიდევაც შეურაცხყონ ისინი სიტყვითა თუ მოქმედებით“.

აბა სხვანაირად როგორღა იქნებოდა, ვიკითხავთ ჩვენ, გამგეობის მიერ სავაჭრო პოლიციის მოხელეთა იმ დახასიათების შემდეგ, რომლია მიხედვით „იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათს კეთილსინდისიერებაზე იმედის დამყარება არ შეიძლებაო“.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არაკეთილსინდისიერების გამომჟღავნება არის ბოროტმოქმედება, რომელიც კანონით ისჯება, ხოლო თავისი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შემსრულებელი დამსახურებული სასჯელის თავიდან ასაცილებლად იძულებულია აიტანოს შეურაცხყოფა სიტყვითაც და მოქმედებითაც. გამგეობა კი, ამ დროს, თბილისური ცხოვრების სანუკვარ სურათს ხატავს თავის მოხსენებაში! ვაჭრები უსირცხვილოდ ექსპლოატაციას უწევენ მცხოვრებლებს; სავაჭრო პოლიციამ, იმის მაგივრად, რომ მიხედოს ვაჭრობას და წესიერება დაიცვას ამ საქმეში, თავისი საკუთარი უნამუსობის გამო უნდა აიტანოს ვაჭრებისაგან ჭკუისსწავლება და შეურაცხყოფა. ქალაქის გამგეობა ყოველივე ამას ხედავს და არავითარ ზომებს არ იღებს. როგორღა ვიცხოვროთ ასეთ პირობებში ჩვენ, თბილისის მცხოვრებლებმა? მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თბილისის შინაური ცხოვრების გამგეობისეული სურათი კიდევაც რომ შეესაბამე-

ბოდეს სინამდვილეს, მაშინაც ამგვარი ქაოსის ერთადერთი მიზეზი არის ხელისუფლების უქონლობა და ქალაქის ადმინისტრაციის აბსოლუტური უმოქმედება.

ევროპის არც ერთ ქალაქში საკვები პროდუქტების მიყიდვას მოსახლეობისათვის მსხვილი სავაჭრო ფირმები არ ეწევიან. ამ დარგში ყველგან დასაქმებული არიან წვრილი ვაჭრები, რომლებიც, აგრეთვე, ზნეობრივად აღვირახსნილები არიან საერთოდ. პარიზელი dames de Halles-იც და რუსი ვაჭარი დედაკაცებიც, როგორც ცნობილია, ერთნაირად მოკლებული არიან ხასიათის სიმშვიდეს, თავშეკავებულობასა თუ ლაზათიან მანერებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ სცემენ სავაჭრო პოლიციას, რომელიც იქ კანონის წარმომადგენელია და არა უნამუსობის განსახიერება, როგორც ეს ჩვენში ყოფილა, თანახმად ქალაქის გამგეობის მოხსენებისა. სავაჭრო საბრუნავი კაპიტალის არასაკმაო ოდენობა როდი იწვევს ვაჭრობაში ყველა საშუალებით — ტყუილითა თუ სიმართლით — რაც შეიძლება მეტი მოგების მოხვეჭის თაღლითურ პრაქტიკას. წვრილი ვაჭრობა და ვაჭრული მოტყუება არსად, გარდა თბილისისა (მოხსენების თანახმად), არ უკავშირდებიან ერთმანეთს, როგორც მიზეზი და შედეგი. ვაჭრული მოტყუება დამოკიდებულია ვაჭრის ზნეობრივ თვისებებზე და არა მისი საბრუნავი კაპიტალის სიდიდეზე. თავისთავად ვაჭრობას შეუძლია მხოლოდ განავითაროს პატიოსანი კაცის თაოსნობა და კეთილდღეობა: თაღლითები აქცევენ ვაჭრობას განუკითხავ ძარცვად და, ამიტომ, თბილისის სპეციფიკური თავისებურება — წვრილი ვაჭრობისაგან მუდმივი მოტყუების გამომუშავება — მთლიანად უნდა მიეწეროს იმ წესებს, რომლებსაც ვაჭრობასთან საერთო არა აქვთ რა. აქ უკვე შეუძლებელია ვილაპარაკოთ სავაჭრო პოლიციისა და ქალაქის გამგეობის მარტოოდენ უმოქმედობაზე, არამედ საუბარია მათს ხელშეწყობაზეც კი. სადაც არ არსებობს მეთვალყურეობა, ბუნებრივია, სწორედ იქ არის უწესრიგობაც. მაგრამ, სადაც უწესრიგობა რაღაც სისტემადაც ჩამოყალიბდა, სადაც იგი გამოხატავს ძალას, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს სავაჭრო პოლიციისა და ქალაქის გამგეობის მიერ კანონიერ მოვალეობათა შესრულებას, სადაც, ბოლოს, ქალაქის გამგეობის სახით, მთელი საქალაქო თვითმმართველობა, თავისი ამომრჩევლების წინაშე, აღიარებს თავის უძლურებას არსებული ბოროტების მოსპობაში, იქ განა შეიძლება განტევების ვაცად წამოვაყენოთ არაკეთილსინდისიერება სავაჭრო პოლიციისა, რომელსაც ყოველთვის გადააყენებს ხოლმე გამგეობის თვითეული წევრი, როცა კი ეს უკანასკნელი ბაზარში გაივლის და მცხოვრებთა სამათლიან საჩივარს მოისმენს მოტყუების, წონაში შეცდენის თუ სხვათა შესახებ? ეს რა ისეთი უძლეველი მიზეზია უწესრიგობისა, როცა უკან იხევს და ქრება გამგეობის

რომელიმე წევრის პირველი შეხედვისთანავე? რატომ უნდა ვუჩვენებდეთ საზოგადოებრივ აზრს ამგვარ ფიქციას, ხოლო, ამავე დროს, ვდუმდეთ ყველა წვრილ სავაჭრო საამქროთა ძირითად წყობაზე, მონოპოლიაზე, მთავრობასთან დადებულ კონტრაქტებში აღიარებულ მონოპოლიაზე, რომელიც ჩუმ-ჩუმად არსებობს მოხმარების სხვადასხვა საგანთა შესყიდვის სახით! რატომ არაა მოხსენებაში არც ერთი სიტყვა კონკურენციაზე ვაჭართა შორის? რატომაა ლაპარაკი მხოლოდ ვაჭრობის თავისუფლებაზე, მაშინ როდესაც მთელი მოხსენება მიძღვნილია საკვები პროდუქტებით მოვაჭრეთა მიერ მცხოვრებლების აღვირახსნილი ექსპლოატაციის აღწერისადმი? კიდევ რაღა თავისუფლება უნდათ მათ, მოხსენების ქვემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე:

„სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის გონივრულად მოწყობისათვის, შესაძლებელია, ყველაზე რადიკალურ ღონისძიებას წარმოადგენდეს მისი გაფართოება და სწორ საწყისებზე გადაყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მიღწევა ახლა ძალზე ძნელია, რადგან ვაჭართა კლასში თაოსნობა არ არის განვითარებული. ამიტომ საზოგადოებრივი მმართველობის ამოცანა ის უნდა იყოს, რომ სახსრები გამონახოს საკვები პროდუქტებით ვაჭრობის განსავითარებლად. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად, უდავოა, უნდა მივიჩნიოთ სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის წარმოებაზე მკაცრი და კეთილსინდისიერი მეთვალყურეობა, რაც უნდა გამოიხატოს არა ვაჭრების შევიწროებითა და იმით, რომ ვაიძულოთ ისინი გაყიდონ პროდუქტები ამა თუ იმ ფასად, არამედ იმით, რომ სრულიად არ იყიდებოდეს უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტები; რომ ვაჭრებმა არ შეისყიდონ ხოლმე ბაზარზე შემოზიდული პროდუქტები დაწესებულ ვადაზე ადრე; რომ სოფლელებმაც ისარგებლონ ვაჭრობის სრული თავისუფლებით, რომ ვაჭრები ექსპლოატაციას არ უწევდნენ მათ და საერთოდ არ ხდებოდეს მოტყუება ზომასა თუ წონაში“.

ამის წაკითხვისას უნებურად გაგახსენდებათ, რომ გადაუდებელ საქმეთა გამო გამგეობის წევრებს სულაც არ დაუნახავთ არც ქალაქი თბილისი და არც მისი მოსახლეობის ცხოვრება. გეგონებათ, რომ ამათ თითქოს რაღაც წიგნები და ქაღალდები წაუკითხავთ და იქედან შეურჩევიათ ამდაუბდა სიტყვათა გროვა ამომრჩეველთა საგულისხმოდ: აუცილებელია სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის გაფართოება, მაგრამ ეს ძნელია და,ამიტომ, აუცილებელია სახსრების გამონახვა ვაჭრობის განვითარებისათვის. ვაჭრობის გაფართოების საშუალება თურმე ყოფილა ვაჭრობისადმი მკაცრი თვალყურის დევნება, მაგრამ შევიწროების გარეშე, ნიხრის დაწესების გარეშე და კიდევ ის, რომ არ იყიდებოდეს უვარგისი პროდუქტები და არ იყოს ზომა-წონაში მოტყუება... მაგრამ სადღაა, რაშია აქ ვაჭრობის გაფართოება? მე მგონია,

რომ ეს თვითონ გამგეობამაც არ იცის. ამაზე მან საკმაოდ წარმოსთქვა სიტყვები, ხოლო თუ ამ სიტყვებში ვერავინ მიაგნებს აზრს მით უარესი ცნობისმოყვარე მკითხველებისათვის და მით უკეთესი მომხსენებლებისათვის, რომლებსაც ვერავინ გაუგო, მიუხედავად ამდენი ლაპარაკისა!

ავიღოთ სიძვირის მეორე მიზეზი, ქალაქის გამგეობის მოხსენების მიხედვით:

„ვაჭართა კლასის შეძლებული წარმომადგენლები აბუჩად იგდებენ სურსათ-სანოვაგით ვაჭრობას, რის გამოც იგი თავმოყრილია ერთეულთა ხელში და არ ვითარდება“.

სხვაგვარად სად ხდება! მსხვილი კაპიტალისტი მხოლოდ მსხვილ საქმეებს ჰკიდებს ხელს და სხვანაირად მას არც შეუძლია თავისი კაპიტალის გამოყენება ვაჭრობაში. ბ-ნი მირზოევი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოიყენოს ასი ათასობით მანეთის თანხები, ბუნებრივია, საფეიქრო ფაბრიკას აშენებს, და არ აბანდებს თავის კაპიტალს პაწაწინა რესტორნის მოსაწყობად თათრის მეიდანზე. ამგვარი რამ უმსგავსოება იქნებოდა კაპიტალისტის მხრივ, და ძალიან სანაქებოც — ასეული მანეთის ოდენობის კაპიტალის მქონე მზარეულისათვის, რომელიც ამ ფულით საფეიქრო ფაბრიკის გამართვაზე ვერც კი იოცნებებს. საგანთა ძალაზე, არითმეტიკაზე დამყარებული ამ წესის შეცვლა შეუძლებელია ნაირ-ნაირი აბდაუბდით — მსგავსად „ერთეულთა ხელისა“, — გამოთქმისა, რომლითაც გამგეობა ცვლის სიტყვა „გაფიცვას“, რაკი მისი ხმარება კანონით იდევნება, და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობას თბილისში არასწორი სახით წარმოადგენს.

სიძვირის მესამე და მეოთხე მიზეზები, მოხსენების მიხედვით, ერთმანეთს აბათილებენ. თუ სავაჭრო პოლიცია ისეთია, რომ მის კეთილსინდისიერებაზე იმედის დამყარება შეუძლებელია, მაშინ რაც უფრო მცირე იქნება იგი, მით უფრო ნაკლები ბოროტმოქმედება მოხდება. მაგრამ ყველაზე უკეთესი იქნება სულ არ გვყავდეს ისეთი პოლიცია, რომელიც, ნაცვლად შემცირებისა, ამრავლებს ბოროტებას.

35. საკვირაო საუბრები

საახალწლო საჩუქრები: შავი ჭირი და კარანტინი. — როგორ ერთობოდნენ ძველად შავბნელი აზრებით? — ლხინი შავი ჭირის დროს. — ბოკაჩიოს მანერა. — მშვენიერება ჩვენს დროში. — რატომ არის ახლა მისი ფასი კაპიკი? — ლიტერატურით გართობა. — ლიტერატურული კამათი დედაქალაქებში. — დედაქალაქური პოლემიკის თავაზიანობის ნიმუში. — სხვის თვალში ბეწვსაც ეხედავთ, ჩვენსაში დირესაც ვერა. — ჩვენი პრესა. — თავად გ. მ. თუმანიშვილის ალმანახი. — ქართული ჟურნალისტიკის მიმართულება. — ორიოდე სიტყვა ამ ჟურნალისტიკის დაცემის მიზეზებისა და მისი აღორძინების საშუალებათა შესახებ. — ვინ გაიქცა? — მელა-მჭადაგებლები. — სადაა მათი ადგილი?

ვაი, რომ არც ილუზიებით, არც თვალწარმტაცი სასწაულებით, არც სასიხარულო საჩუქრებით არ დაგვაჯილდოვა ახალმა 1879 წელმა. შავი ჭირი და კარანტინი, ეს არის და ეს, რაც მან მოგვიტანა, თითქოს უამათოდაც ცოტა უბედურებას და შევიწროებას განვიცდიდით... საითაც არ გაიხედავ, ყველგან გულგატეხილობა გვხვდება. ყველას კოშმარივით სულს უხუთავს ერთი შემზარავი ფიქრი: „შავი ჭირი, კარანტინი". სევდა, და მხოლოდ სევდა...

ძველ დროს, ამგვარ შემმუსვრელ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლას ვერავინ ბედავდა, მაგრამ ხალხი მაინც პოულობდა გართობის რაღაც საშუალებებს. „ლხინი ჭირის დროს" დროებით მაინც აშორებდა მათ მაბეზარ, მტანჯველ აზრს. ბოკაჩიომ უკვდავყო მეორე წესი: შემოიღო უდარდელი საუბრების ჩვეულება, როცა, საყოველთაო შიშიანობის ვითარებაში, ისეთ საგნებზე ბაასობდნენ, რომელთაც შავ ჭირთან არაფერი საერთო არ აქვთ, „O bagatelle"... რაც მოსახდენია, მაინც მოხდებაო, — ფიქრობდნენ შუასაუკუნეთა ბრძენნი. ჰოდა, ტყუილუბრალოდ რაღაზე გავიმწაროთ სიცოცხლე, უმჯობესია რაღაცით მაინც გავერთოთ; ვისაუბროთ მშვენიერებაზე, სინარნარეზე, ცხოვრების სიტკბოებაზე... და ბრძენნიც მხიარულობდნენ, ბოკაჩიო აგიხსნით, თუ როგორ...

ჩვენს პროზაულ ხანაში კი, საეჭვოა, ვინმე წამოეგოს ამ ანკესზე. რას ნიშნავს ჩვენს დროში მშვენიერება, სინარნარე, ვის დააინტერესებს იგი იმდენად, რომ მის გამო ყოველდღიური ჭირ-ვარამი დაივიწყოს? მშვენიერებამ ჩვენს დემოკრატიულ საუკუნეში თავისი მომხიბვლელობის დიდი წილი დაკარგა იმიტომ, რომ ის თითქმის ყველასა-

თვის ხელმისაწვდომი გახდა. ფეოდალურ ხანაში კი მხოლოდ რამდენიმე ბედნიერს ჰქონდა იგი პირად განკარგულებაში; დანარჩენებს კი შორიდან უნდა ეყურებინათ და თითები ელოკათ ან კიდევ ნერწყვი ეყლაპათ იმის მოსმენისას, თუ როგორ ტკბებიან სილამაზით ბედნიერნი. ახლა კი? ახლა სიცოცხლით დატკბობა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. ადექით, გაქურდეთ ხაზინა მოხერხებულ იჯარით, ანდა დაემონეთ გაქნილ გაიძვერებს ან მდიდარი შინაბერა შეირთეთ ცოლად, ანდა აიღეთ და ჩაიჯიბეთ მოზრდილი თანხა-ხელქვეითვის, ჯარისკაცების ძარცვით და მათი ცხენებისათვის განკუთვნილი საკვების მიტაცებით, ხოლო როცა თქვენს საფულეში „ასი ათასზე მეტი აღმოჩნდება“, თქვენც შეგეძლებათ გაბედულად განაცხადოთ პრეტენზია ყოველგვარ განცხრომასა თუ სიამოვნებაზე და ნაირ-ნაირ ლამაზმანებზეც კი, არავინ მოგთხოვთ, რომ საგვაროვნო ღერბი გვიჩვენეთ როგორც ეს ფეოდალურ ხანაში ხდებოდა. არავის აზრადაც არ მოუვა გკითხოთ, როგორც ეს მომავალ დროში იქნება, რა საშუალებით შეიძინეთ ამგვარი განცხრომის უფლებაო. ეს კიდევ არაფერი. წვეულებებზე მიღების დროსაც არავინ ეკითხება თქვენს შესახებ საკუთარ თავს: „ნეტავი ეს ვაუბატონი ორი-სამი წლის შემდეგ ბრალდებულის სკამზე ხომ არ მოხვდება რაიმე თაღლითობისა ან ქურდობისათვისო“. თქვენ ყველგან სულითა და გულით მიგიღებენ და ყველაზე თავდაჭერილი დედებიც კი ადვილად განდობენ თავიანთ უმანკო ქალიშვილებს, რომლებსაც წინასწარ გააფრთხილებენ ყურში ჩაჩურჩულებით: „აბა, ნუ იმანჭები, ეცადე ასიამოვნო, ხომ იცი რომ საჭირო კაცია...“

და ამის შემდეგ თქვენ გსურთ, რომ სილამაზეს, მომხიბვლელობას, განცხრომას ვინმე აფასებდეს? ყველა ეს სიკეთე გაუფასურდა იმიტომ, რომ შესაძლებელი გახდა მათი ყიდვა და ძალიან იაფადაც, თითქმის ყოველ სახლში... აბა, ღირს კი ისაუბრო და იღელვო, თითები ილოკო კალმახის, შამპანურის ან ფეხსაცმლის გამო, თუკი საკმარისია ხელი გაიწვდინო, რათა ყველა ეს პროდუქტი შენს განკარგულებაში აღმოჩნდეს?!.

უმჯობესია მივმართოთ გართობის სხვა, არც იმდენად სახელგატეხილ საშუალებებს. ვსინჯოთ, მაგალითად, საუბრის ჩამოგდება ლიტერატურაზე, ჟურნალისტიკაზე, — სხვათა შორის, ახალი წლიდან ხომ ასე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ამ საგანზე...

* *

მაგრამ სულაც არ წერენ ხოლმე მასზე, რაზეც ლაპარაკობენ. სასამართლოებში ლაპარაკობენ ხარკოვისა თუ ხერსონის საერობო კრებებზე, ლაპარაკობენ, რომ აუცილებელია გავაიოლოთ პრესის ზრდაო,

ხოლო გაზეთებსა და ჟურნალებში წერენ იმაზე, თუ როგორი ალიკაპით შეეუკრათ პირი მწერალთა მოდგმას, თითქოს და ცოტა ალიკაპი ჰქონდეს მას ჩამოცმული... მე ცენზურაზე როდი მიგანიშნებთ, სრულებითაც არა, — ცნობილია, რომ დედაქალაქებში იგი აღარც კი არსებობს, — მე ვლაპარაკობ ისეთ პრესაზე, ისეთ ალიკაპებზე როგორიცაა ა. ა. კრაევსკი, პ. დ. ტრუბნიკოვი და ა. შ., რომლებმაც დათრგუნეს ჩვენში მიმდინარე ლიტერატურა... მაგრამ ღმერთმა განსაჯოს ისინიც და ეს პრესაც, რომელიც რაც ძალა და ღონე აქვს სწურავს ლიტერატურას... ჩვენი საქმე არ არის ჩავერიოთ დედაქალაქელ გამომცემელთა და მათი „ბიჭების" კინკლაობაში: დეე, ჭამონ ერთმანეთი რამდენიც სურთ. მაგრამ მე აქ ერთი გარემოება მაინტერესებს. ცნობილია, რომ საკმარისია მხოლოდ ორმა საწყალმა პროვინციულმა გაზეთმა, — რომლებიც მოკლებული არიან შესაძლებლობას წერონ პოლიტიკაზე, შინაგან საქმეებზე, თვალსაჩინო ღონისძიებებზე, სამხედრო, სასამართლო, საინტენდანტო, სააქციო და ა. შ. უწყებებზე — სცადონ გამოაცოცხლონ თავიანთი გამოცემები მგზნებარე პოლემიკით, რომ ყველა დედაქალაქური გაზეთი პირზე ხელებს აიფარებს ხოლმე და აურზაურს ასტეხს.

— უი, რა უხამსად, რა უზრდელად ილანძღებიან პროვინციაში, ეს ხომ სკანდალია, fi donc![44] თავდავიწყებით გაპყვირიან დედაქალაქის გაზეთები, როგორც მობერებული და ცოდვით სავსე ქალები ქირდავენ ხოლმე ახალგაზრდა გოგონებს გულიანი ხარხარისათვის.

მე ძალიან კარგად ვიცოდი დედაქალაქის პრესის მთელი არაგულწრფელობა და ფარისევლობა, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ახლა შესაძლებლობა მაქვს წარმოგიდგინოთ მისი უწესო ქცევის აშკარა საბუთები.

ვიღებ „პეტერბურგსკაია გაზეტას"[45] მე-10 ნომერს (1879 წ. 16 იანვრისას) და ვიწერ იქედან დედაქალაქში გამომავალი გაზეთების ლიტერატურული პოლემიკის შემდეგ მარგალიტებს, რომლებიც „პეტერბ. გაზეტას" მოუგროვებია მარტო ერთ დღეს:

ფაქტი 1-ლი. დავიწყოთ „რუსკი მირით"[24]. ეს გაზეთი ბ-ნ სუვორინს თავაზობს შემდეგ ამბებს: „თქვენ ბ-ნო სუვორინ, დაკარგეთ ყოველგვარი მორალური ღირსება", „თქვენ ხომ ფენომენალური მონა ხართ", „თქვენ მაგონებთ იმ ქურდს და ა. შ.", „თქვენ წერთ საძაგლობას, წერთ დაბეზღებებსაც და სიბილწესაც", მე თქვენ მძულხართ"...

კმარა! უმანკოებაა, არა?

ბ-ნ მორდოვცევზე „რუსკი მირი" ამბობს, რომ „ის შეუყეფს ხოლმე" და ა. შ., ხოლო ყეფენ, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ ქოფაკი ძაღლები!

ბ-ნ ბურენინზე იგივე გაზეთი ამბობს, რომ იგი წერს ისეთ სისაძაგ-ლეს და ა. შ.

კმარა! ლაზათიანად არის დაწერილი, ხომ?

* *

ფაქტი მე-2. ვიღებ „ბირჟევიე ვედომოსტს“ [46]. აი, რა წერია იქ: „ბ-ნი სუვორინი უბირი და ტლუ უვიცია“; „ნოვოე ვრემიას“ მონური მსოფლმხედველობა აქვს, ხოლო „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომლები რესტორნის თაგვები არიან.“

იგივე „ბირჟ. ვედ.“ ამბობს, რომ ერთ სქელტანიან, ყოველთვიურ ჟურნალში „თანამშრომლად ყავთ ისეთი უსინდისო და უღირსი არამ-ზადა, რომელიც ყოველთვიურად ცოფიანივით დორბლებს ყრის“...

კმარა! ხომ ნამდვილად მომხიბვლელია და „პრესის სალონებისა-თვისაც“ ყოვლად შესაფერისი?

* *

ფაქტი მე-3. ბ-ნ ტრუბნიკოვის „ბირჟევაია გაზეტაში“[47] ნათქვამია: „გოლოსის“[26] რედაქტორი ბ-ნი კრაევსკი ესაა საგაზეთო მოიჯარე და კონტრაბანდისტი“. შემდეგ იქვე წერია:

„ბ-ნ კრაევსკი რომ ამერიკაში ცხოვრობდეს, დიდი ხანია კუპრში ამოავლებდნენ, ბუმბულში ამოგანგლავდნენ და ამნაირად „საზეიმოდ“ გაატარებდნენ ქუჩებში“.

კმარა! მართლაც რომ გალანტერიულად ლაპარაკობს ბ-ნი ტრუბნი-კოვი, რომელიც სხვებზე მეტად ილაშქრებს ხოლმე თავაშვებული გა-მოთქმების წინააღმდეგ პრესაში!

ფაქტი მე-4: „რუსკაია პრავდას“[48] თანამშრომელ ბ-ნ გორშკოვზე ბ-ნი სუვორინი წერს, რომ „მან სხვადასხვა გამოცემებში დატოვა სა-კუთარ ყურთა შესანიშნავი ანაბეჭდი და, გასანათებლად, პირშიაც კი ჩაუდო ბ-ნ მიხაილოვსკის“!

კმარა!

„ყველა ეს შესანიშნავი მარგალიტი“, ამბობს „პეტერბურგსკაია გაზეტა“, გამოქვეყნდა ერთ-ერთ კვირა დღეს. ხოლო ენაწყლიანობის ამნაირი მომხიბვლელი ყვავილები რომ ერთი კვირის მანძილზე შევ-კრიბოთ, მაშინ რჩეულ გამოთქმათა ლექსიკონი, სულ ცოტა, ორ ტომ: სიბინძურეს მაინც შეადგენს“.

აბა, მითხარით, ღვთის მადლით, „ობზორის“[3] ძვირფასო მკითხვე-ლებო, თუ როდესმე მოუწოდებია პროვინციულ პრესას ამგვარი აღვი-

რახსნილობის, ამგვარი უბოდიშო და დაუსაბუთებელი ლანძღვა-თრევის, ამგვარი უმიზნო ურთიერთქირდვის ნიმუშები, რომლებიც ზემოთ-მოტანილი ამონაწერის სახით დედაქალაქში გამომავალი პრესის ყველაზე „სოლიდური" ორგანოებიდან არის ამოკრებილი.

პროვინციული პრესის სახელით: როგორ არ გავუმეოროთ დედაქალაქის პრესის ხელმძღვანელებს:

Какой бы шум вы подняли, друзья,
Когда б все это сделал я?

ჩვენთვის, კავკასიელთათვის, გაცილებით უფრო საინტერესოა ადგილობრივი პრესის დიდი თუ წვრილ-წვრილი ამბები. სწორედ მათ შესახებ წარმოიშვა ახლა უაღრესად საინტერესო პოლემიკა ქართულ ლიტერატურაში

გუშინ, თბილისში, ქართულ ენაზე გამოვიდა თავად გ. თუმანიშვილის ბროშურა „ალმანახის" სახელწოდებით, წიგნი მეორე (პირველი შარშან ამ დროს გამოვიდა). პუშკინისა და ბაირონის არცთუ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლექსების საკმაოდ კარგ თარგმანებთან და თავად აკ. წერეთლის ძლიერ იუმორისტულ მოთხრობასთან „კრიჭხრიშ" (დალაქის თავგადასავალი) ერთად, მასში დაბეჭდილია „ალმანახის" შემდგენლის წერილი „თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის მიმართულების (?) შესახებ". რაკი ამ ჟურნალისტიკაში ვერავითარ მიმართულებას ვერ ვხედავ, მე, რა თქმა უნდა, ვეცი თავად თუმანოვის სტატიას, იმ იმედით, რომ იქნებ მასში ვიპოვო რაიმე მინიშნება ჩემთვის უცნობი მიმართულების შესახებ-მეთქი. მაგრამ ვაგლახ, რომ ამაოდ! სწორედ „მიმართულება" ვერ იქნა და ვერ ვიპოვე, თუმცა მის მაგივრად წავაწყდი ავტორის მარტოოდენ მწარე მოთქმას შესაძლებელი სიკეთის უქონლობის გამო. სამაგიეროდ, თავად თუმანოვის საერთოდ უღიმღამო და უძლურ წერილში, აქა-იქ, გვხვდება არცთუ ინტერესსმოკლებული მინიშნებანი, რომლებზეც ზედმეტი არ იქნება, რომ ცოტაოდენი ვისაუბროთ.

* *

თავადი თუმანოვი შენიშნავს, რომ 1874 წლამდე ქართული ჟურნალისტიკა ხასიათდებოდა ტენდენციურობით (ამ სიტყვის კარგი გაგებით), რომ იგი ასწავლიდა, ქადაგებდა, ახალი აზრები და პატიოსანი შეხედულებანი შეჰქონდა მასების შეგნებაში, მაგრამ ახლა კი, პირიქით, იგი გადაიქცა ახალი ამბების უსისტემო გროვად, ყოველდღიურ საცნობარო აფიშად,—ყოველგვარ მოვლენებსა და კურიოზებზე. წიხათ 1874 წლამდე, ამბობს ბ-ნი თუმანოვი, — ქართული პრესა თავისი საზო-

გადოების სათავეში იდგა და წინ მიუძღოდა მას, ახლა კი იგი შეურიგდა ამ საზოგაოდებას და მის ინსტინქტების სამსახურში ჩადგა...

* *

ეს შენიშვნა მართებულია, მაგრამ მართებული არაა ის ახსნა-განმარტება, რომელსაც ამის გამო წერილის ავტორი გვაძლევს. ბ-ნი თუმანოვი ფიქრობს, რომ ასეთი მობრუნება მოხდა ქართველი მწერლების კეთილი ნებით; ისინი წარმატებას გამოედევნენ და მიატოვეს მქადაგებლის კათედრა, რათა ჭორიკნის შოლტი აეღოთ ხელშიო. მაგრამ, სხვათა შორის, არც ერთ ქართველ მწერალს ფიქრადაც არ მოსვლია ეს. ყოველ მათგანს ახლაც ეუფლება ხოლმე მქადაგებლის ძველი ჩვეულება, მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის უკბილო, უბადრუკი და უშინაარსო გამოუდით. მათი ეს ქადაგება აღარ აღელვებს მკითხველებს და მათს ბაგეებზე ღიმილს იწვევს, სწორედ ისეთს, როგორითაც ჩვენ, ცოდვილნი, ვაჯილდოებთ ხოლმე მოხუცს, მეათასედ რომ გვეჩიფჩიფება თავის გაცვეთილ მონათხრობს... ჩვენ ჯერ კიდევ გაჭირვებით ვუსმენთ ხოლმე ამ უკბილო მოხუცს, სანამ იგი გვიყვება კლუბში ან ქუჩაში გუშინ გაგონილ ახალ ამბებს, მაგრამ გაათავებს თუ არა იგი ამ ახალ ამბებს და თავის ბებრულ „მოგონებებზე" გადავა, ჩვენც მაშინვე ყურებს ვიხშობთ და გავურბივართ როგორც ჭირიანს. ზუსტად იგივე ემართება ახლანდელ ქართულ ჟურნალისტიკას. არც მისი სულისჩამდგმელები შეცვლილან, არც მათი მეთოდები განახლებულა და საზოგადოებაც ხომ კვლავ იგივე დარჩა. მარტო ის მოხდა, რომ ამ ადამიანებმა ამოსწურეს თავიანთი თავი, შთაგონება დაკარგეს და აღარ ძალუძთ საზოგადოების გონებრივი ცხოვრება დაიპყრონ. ეს არის და ეს. თუ გინდათ, რომ ჟურნალისტი იყოთ, ამ სიტყვის სერიოზული გაგებით, საჭიროა, რომ მთელ თანამედროვე საზოგადოებაზე ერთი თავით მაღლა იდგეთ, საჭიროა, რომ მკითხველები არა მარტო ნებაყოფლობით, თქვენდამი თუ თქვენი საქმისადმი სიმპათიის გამო, არამედ უნებლიედაც, გარდუვალადაც ექვემდებარებოდნენ ხოლმე თქვენი გონების, თქვენი ცოდნის, თუ თქვენი ხასიათის ძალას, რათა, მიუხედავად თქვენდამი თუნდაც სიძულვილისა, ისინი თქვენს გადაწყვეტილებათა და თქვენს დასკვნათა გარეშე გამოსავალს ვერ ხედავდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა ჟურნალისტს გააჩნია გონებისა და გრძნობის ასეთი ძალა, მას შეუძლია შეასრულოს ის როლი, რომელზეც ამაოდ ოცნებობს თავადი თუმანოვი... მაგრამ, ერთი მითხარით, დიდხანს შეუძლია კი მწერალს, ვინც არ უნდა იყოს იგი, რომ ფლობდეს ასეთ საგანძურს? გონებრივ ძალებსაც ხომ იგივე მოსდის, რაც ფიზიკურს: იფლანგება, ეცემა, ნადგურდება. განა არსებობს მილიონები, რომელთა გაფლანგვა არ შეიძლებოდეს? და გონებრივი კაპიტალიც ხომ იგივე

არის, რაც ფულადი — მარტოოდენ პროცენტებით აქ ვერაფერს გაანყობ; კაპიტალსაც თუ არ შეეხე, წინ ვერ წახვალ. აი, რით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართული ლიტერატურის სულისჩამდგმელებმა, რომელთაც ღმერთმა უწყის გონებრივი ძალების რა მარაგი ჰქონდათ მომადლებული, თავიანთი ლიტერატურული მოღვაწეობის ორ-სამ წელიწადში სავსებით გაანიავეს იგი და ახლა სულს ღაფავენ არენაზე, მსგავსად გაკოტრებულ მდიდრებისა, თანაც ოცნებობენ ძველი დიდების დროზე და ძველი რეპუტაციის ნამცეცებით სულდგმულობენ...

შემიძლია გულზე ხელი დავიდო და ვთქვა, რომ ამქვეყნად არავის არა აქვს უფლება ტალახი, ან ქვა, ესროლოს მათ, რადგან ამ ადამიანებმა იმაზე მეტიც კი გააკეთეს, რისი გაკეთებაც შეეძლოთ. ღმერთმა უწყის გონების რა ძალა ჰქონდათ, ცოდნის მარაგი კი კიდევ უფრო მცირე გააჩნდათ, მაგრამ მათ მაინც მოახდინეს გადატრიალება თავიანთი ქვეყნის გონებრივ ცხოვრებაში, წინ წასწიეს მისი საზოგადოებრივი განვითარება და ცხოვრების თუ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოიყვანეს ახალ ადამიანთა მთელი მასები. განა რა მათი ბრალია, რომ მომდევნო თაობებმა ჯერაც ვერ შეძლეს წამოეყენებინათ მათი მსგავსი მოღვაწეებიც კი, რომ არავინ მისდევს მათს კვალს, რომ, დავიწყებული გუშაგის ნაცვლად, ისინი რიგგარეშე მორიგეობენ არა მარტო მეორე და მესამე ცვლაში, არამედ მეოთხე და მეხუთეშიც კი. გ. თუმანოვი „ახალ თაობას“ ეკუთვნის, მაგრამ მან ჯერ არ იცის, რომ უკვე ჩამოყალიბებულ და გამოცდილ პრაქტიკულ მოღვაწეთა ჩვეულებანი და გონება რჩევა-დარიგებით და მითითებით როდი გარდაიქმნა! თქვენი რიგიც მოიგონეთ, ბატონებო, ხელი მოჰკიდეთ თქვენს მოვალეობებს, შეცვალეთ დრომოჭმული და დასუსტებული მოღვაწენი! მხოლოდ ახალი ძალების მოზღვავებით, მხოლოდ მოღვაწეთა განახლებით შეძლებთ ცხოველმყოფელობისა და გავლენის ელემენტების შეტანას ქართულ ლიტერატურაში...

პირადად ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, რომ თავადი თუმანოვი თავის წერილში იმეორებს იმ შენიშვნას, რომელიც უკვე იყო გამოთქმული „ობზორში“[3] იმის შესახებ, რომ ქართულმა პრესამ თავისი მოთხოვნები უნდა შეუხამოს არა განათლებული უმცირესობის ინტერესებსა და ცოდნის დონეს, არამედ მოსახლეობის მასისას, რომელსაც, თუ პოპულარული ახსნა-განმარტება არ მიაწოდე, არ შეუძლია ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშებისა და ტრაქტატების გაგება, „ობზორის“ მკითხველებს ახსოვთ, რომ მე კინაღამ ჯვარს მაცვეს ამ აზრისათვის და ლამის „აქაური პრესის ჩამხშობად“ და მტრად გამომაცხადეს. ძალიან მოხარული ვარ, რომ ახლა იმავე აზრს გამოთქვამს კაცი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ დაებრალებს ქართული პრესისადმი ბოროტ განზრახვას... თუმცა, დალახვროს ეშმაკმა, რას

გაიგებ ამ ქვეყნისას? შესაძლოა, მასაც იგივე დასწამონ ისეთმა მოწინააღმდეგეებმა, როგორებიც არიან ბ-ნი მესხი და ბ-ნი არწრუნი — ეს ხორცშესხმული უძლურების სიამის ტყუპები, რომლებიც შემთხვევით განასახიერებენ „აქაურ ჟურნალისტიკას“.

ბ-ნ თუმანოვის ამ ბროშურის გამო „დროება“[2] უკვე თავს დაატყდა ავტორს სრულიად მოუბოდიშებელი ლანძღვა-გინებით, „ალმანახის“ შესახებ „დროების“ რედაქციამ მოათავსა ერთი თავისი თანამშრომლის რეცენზია, ხოლო — ბ-ნ თუმანოვის წერილის გამო დასძინა, რომ ეს კრიტიკა კი არა, ბავშვური ტიტინია და, ამასთან, ურთიერთსაწინააღმდეგო ფრაზებისა, თუ ავტორის მიერ შეუსწავლელ საკითხებზე უმწიფარ მსჯელობათა გროვაო. მაგრამ „დროების“ რედაქციის ამგვარი ბრალდებანი ღირსებას უფრო მატებენ, ვიდრე ზიანს აყენებენ, „ალმანახის“ წერილს. ყოველ შემთხვევაში, საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ რეცენზენტი, რომლის წერილსაც დართული აქვს ეს სარედაქციო შენიშვნა, თავად თუმანოვის სტატიას საყურადღებოდ მიიჩნევს. მაგრამ რეცენზენტი, ქართული ჟურნალისტიკის მოღვაწეთა გასამართლებად, ასახელებს იმ გარემოებას, თითქოს თვითონ ქართველი საზოგადოებრიობა არ ექვემდებარებოდეს ლიტერატურულ პროპაგანდას: „რა ქადაგებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ხალხი ტაძრიდან გარბის, რათა აკრობატებს უყუროს?“ — ეკითხება რეცენზენტი. მაგრამ ეს აზრი უარყოფასაც არ საჭიროებს; კარგსა და ჭკვიან მქადაგებელს ხალხი არასდროს გაექცევა. ყოველ შემთხვევაში, ქართულ ჟურნალისტიკაში ჩვენ ჯერ არ გვინახავს მაგალითი, რომ საზოგადოებრიობა კარგ მქადაგებელს გაქცეოდეს, საზოგადოებრიობისაგან მქადაგებელთა გაქცევის მაგალითი კი იმავე ლიტერატურაში ცოტა როდია. ხალხი კი არ გაქცეულა „საქართველოს მოამბისა“[49] და „კრებულისაგან“[50], არამედ ამ ჟურნალების გამომცემელნი გაიქცნენ, თავიანთ გამოცემათა ბრწყინვალე წარმატების მიუხედავად, შეწყვიტეს მათი არსებობა ისეთ გარემოებათა გამო, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონიათ საზოგადოების გულგრილობასთან. არა, ბატონებო, შეძელით იყოთ საქმიანი და ცოცხალი მქადაგებლები, ასწავლეთ მკითხველებს „იყვნენ უკეთესნი, ვიდრე არიან“ და არც მსმენელები, არც წარმატებანი არ მოგაკლდებათ.

მართლაც, დაეცა ქართული ჟურნალისტიკა, მართლაც, დაკარგა მან ადამიანთა გონებაზე თავისი ადრინდელი მოქმედების უნარი. მაგრამ ამის გამოსწორება სხვანაირად ხომ ახლა უკვე შეუძლებელია, თუ არა ერთსა და იმავე დროს ძლიერი გონებისა და სოლიდური ცოდნის მქონე ახალი ლიტერატურული ტალანტების წამოყენებით. ელოდეთ მათ, რაკი ძალით ტალანტების შექმნა შეუძლებელია. მაგრამ სანამ ამგვარი გონების მოღვაწეები გამოჩნდებოდნენ, მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა იმისკენ ვისწრაფოთ, რომ დავაკმაყოფილოთ

მკითხველთა მასის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. უბედურება ის კი არ არის, რომ ბ-ნები მესხი ან ჭავჭავაძე მარტო ახალ ამბებს გვატყობინებენ, არამედ ის, რომ ისინი ცდილობენ აცნობონ ახალი ამბები იმათ, ვინც ეს ამბები თითქმის მათზე უკეთესად იციან, და ეს იმ დროს, როდესაც ქართველი საზოგადოებრიობის უდიდესი უმრავლესობისათვის ეს ცნობები, მიწოდებული გაუგებარი და მიუწვდომელი ფორმით, უცხო და მიუღწეველი რჩება. ქართული პრესის მესვეურებს უნარი არ შესწევთ, რომ იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები, მაგრამ მაინც არ ეშვებიან ამ როლს, ხოლო ისინი, რომ სახალხო სკოლაში წასულიყვნენ, უდავოდ შესძლებდნენ ხალხისათვის დიდი სამსახური გაეწიათ. მაგრამ სწორედ ეს არ სურთ მათ. ისინი გამოიფიტნენ, თვითონვე აღიარებენ, რომ „ხალხი გაგვირბისო“ და მაინც დაყუდებულან კათედრაზე, ცარიელ აუდიტორიაში. აი, სადაა ბოროტება...

საქმის მეორე მხარე, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა, თუმცა ბ-ნი თუმანოვი არ შეხებია მას, ის არის, რომ ქართულმა ჟურნალისტიკამ თვითონვე და, ამასთან, ნებაყოფლობით მოიკვეთა თავი. წინათ იგი ყველას და თვითეულს უშიშრად ეუბნებოდა პირში თავის შეხედულებას, ე. ი. მეცნიერების, ინტელიგენციის თვალსაზრისს. ახლა კი იგი უფრო პრაქტიკული გახდა და ჩუმ-ჩუმად ახშობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მგრძნობიარე და საჭირბოროტო სიმებს. წინანდელ დროს თავად ჭავჭავაძეს თავის მოვალეობად მიაჩნდა სიმართლის თქმა, მხოლოდ სიმართლისა, რაც არ უნდა მომხდარიყო. მან ქებაც კი შეასხა ამგვარ ქცევას თავის კალმისადმი ცნობილ მიმართვაში. ახლა, რაკი იგი ჩასწვდა ცხოვრების სიბრძნეს, უკვე გაიგო, რომ „სიმართლე“ უმეტეს წილად მხოლოდ მტრებს გვიმრავლებსო... აი, რით აიხსნება თავად თუმანოვის აღშფოთება იმის გამო, რომ ყველა აქაურ დიდ მოვლენებზე — სიღნაღის მღელვარებასა და ანდრეევსკაიას საქმეზე, — რომლებზეც ლაპარაკობდა, სჯიდა და ბაასობდა მთელი მხარე, თითქმის არაფერი დაწერილა ქართულ გამოცემებში. აი, სწორედ ეს „პრაქტიკულობა“ ჟურნალისტის მხრივ, ღუპავს ჟურნალისტიკას და მოლჩალინის დღიურად აქცევს მას. დღეს გვერდს აუვლი ერთ ამბავს, ხვალ არ შეეხები მეორეს, ზეგ დუმილის კალთას გადააფარებ მესამეს და ფიქრობ, რომ ყველაფერი რიგზეა. ამავე დროს კი საზოგადოებას აქვს ყნოსვა, იგი ხედავს, რას უპირებენ.

,

არის ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი და ცხოვრებისეული საკითხი, რომელთაც უკანასკნელი დროის ქართული ჟურნალისტიკა სისტემატურად გვერდს უვლის ხოლმე, რათა ვინმე არ გაანაწყენოს. ქართული ლიტერატურის ახლანდელმა მოღვაწეებმა ყური მიაპყრეს ხმას ტაქტისა თუ პოლიტიკურობის შესახებ, მაგრამ ეს ხმა მათ თავისებურად

გაიგეს, და ახლა ტაქტად მათ მიაჩნიათ სუფთა მოლჩალიხური სიკეთენი, ე. ი. დუმილით გვერდის ავლა ყველაფრისათვის, რაც შეიძლება არ მოეწონოს მკითხველთა ამა თუ იმ ჯგუფს. მართლაც, განა რა მოსაწონია მქადაგებელი, რომელიც კათედრაზე შიშით შეპყრობილი მელიასავით აქეთ-იქით აცეცებს თვალებს და შემპარავად შესაციცინებს საზოგადოებას იმ აშკარა განზრახვით, რომ რამენაირად აამოს მას? არა, ამგვარი მოქადაგეები როდი ბატონობენ ხალხზე. ნამდვილი მქადაგებლები „საშიშროებას არ უფრთხიან“ და, როცა ლაპარაკს იწყებენ, მხოლოდ ერთი ახსოვთ ხოლმე: საკუთარი სინდისი და საკუთარი რწმენა. ბრბოს მაამებლებს კი, როგორც შიშველი ძალის მაამებლებს, ადგილი უნდა ჰქონდეთ არა კათედრაზე, ხალხის წინაშე, არამედ წინა ან უკანა კარში.

36. ისევ შავი ჭირის შესახებ

თბილისი, 28 იანვარი

ერთი წლის წინათ, 1878 წლის 5 თებერვალს, „ობზორის“[3] 34-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „საკვირაო საუბრები“, ჩვენ ვწერდით: „ასენიზაცია ახლა მოდაშია, განსაკუთრებით ჩვენში. ადგილობრივმა პრესამ მას იმით გადაუხადა ღირსეული ხარკი, რომ უამრავი ძნელად მოსანელებელი სტატიები მიუძღვნა, რის გამოც შავი ჭირი სპარსეთში გაიქცა თავის დასახსნელად. თურქეთში ეს სენი კარგად ვერ გრძნობს თავს, რადგან ექიმი რემერტი მაშინ გაეკიდა ერზრუმამდე. ხოლო დასახელებულ ექიმს რომ შავი ჭირის დევნის უნარი შესწევს, მე ამის უდავო საბუთები გამაჩნია.

ამბობენ, შავმა ჭირმა შარშან სადღაც სპარსეთში იჩინა თავი. ექიმმა რემერტმა მაშინვე გაგზავნა მის წინააღმდეგ თავის ერთგული საჭურჭლეთმტვირთველები, ექიმები უშაკოვი და სკოროვი, რომელთაც მიიღეს შესაბამისი მივლინება და გაეკიდნენ დაუპატიჟებელ, მაგრამ ძვირფას სტუმარს. ყველგან, სადაც საჭირო იყო და არ იყო, მოაწყვეს კარანტინები და შავი ჭირი არა მარტო გაქრა, არამედ მათთან ახლოს მისვლაც კი ვერ გაბედა. რას ნიშნავს კარანტინების რეპუტაცია? იგი მხოლოდ ჩინოვნიკებს და ექიმებს ვერ აფრთხობს.

საჭურჭლეთმტვირთველები დაბრუნდნენ, კარანტინები, შავ ჭირთან და შვიდი ათას მანეთთან ერთად, აორთქლდა. ეს თანხა სახელმწიფომ იმისათვის გამოჰყო, რომ საშინელი სენი ჩვენს მხარეში არ გავრცელებულიყო. სამწუხაროდ, სამედიცინო ფოლიანტები დღემდე არ გამდიდრებულა ექიმების ასენიზაციური მოღვაწეობის საფუძვლიანი, ან მოკლე ანგარიშით, ექიმებისა, რომელთაც წარმატებით დაამარცხეს შავი ჭირი. ეს კი სამწუხაროა. მეცნიერებას სჭირდება „გამოცდილებათა მითითებები“. რადგან კავკასიელ მედიკებს, შავი ჭირის დამარცხების საფუძვლიანი საანგარიშო მოხსენებით, შეეძლოთ დიდი წვლილი შეეტანათ ევროპის მედიცინის განვითარებაში, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ღირებული, რამდენადაც ღირებულია ცნობა „О значении воспаления зрительных нервов для распознавания внутри черепных страданий-ის შესახებ და თუ ამ უკანასკნელ ცნობას კავ-

კასიის სამედიცინო საზოგადოება თავის ოქმებში ბევრ გვერდს უთმობს, მაშინ რატომ არ უნდა დაუთმოთ ადგილი საანგარიშო მოხსენებას ისეთი შესანიშნავი მოვლენის შესახებ, როგორიცაა შავ ჭირთან წარმატებით ბრძოლა?

„ჩემი აზრით, ყველა სამედიცინო საზოგადოებას არ შეუძლია ასეთი მოვლენებით თავის გამოჩენა. მეორე მხრივ, ამ ამბავს შეუძლია დააინტერესოს არასპეციალისტებიც. იგი საინტერესოა სხვა ადამიანებისთვისაც, — ადმინისტრატორების, კონტროლიორების, გადამხდელებისა და სხვათათვის. ადვილი შესაძლებელია ანგარიში გამოქვეყნდება იმ ეპიდემიის მოსპობასთან ერთად, რომელთან საბრძოლველადაც ახლა ექიმი რემერტი გაემართა. მაგრამ რამდენ კაცს შეუძლია ასე დიდხანს ლოდინი და რამდენ კაცს მოუღებს ბოლოს ეს ეპიდემიები, სანამ შარშანდელი შავი ჭირის ანგარიშს გავეცნობით“.

ამაზე ჩვენ გვიპასუხეს, რომ დახარჯულ იქნა ასი ათასზე ნაკლები თანხა, რომ ამ საქმეში ექიმი რემერტი დამნაშავე არ არის, რადგან მას „შავი ჭირის მოსვლა არ ჯეროდა“, არც კარანტინების მომხრე იყოო და ა. შ., რომ ყველა ეს ღონისძიება პეტერბურგიდან იყო ნაკარნახები და ა. შ. ბოლოს, რომ რეშტში არავითარი შავი ჭირი არ ყოფილაო.

ახლა ამ საქმეზე შეხედულება უნდა შეიცვალოს. ჩვენთან, რუსეთში, შავი ჭირი მძვინვარებს და მეცნიერების ავტორიტეტები ფიქრობენ, რომ იგი სწორედ რეშტიდან იქნა შემოტანილი. ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ, ახლა მაინც, ხომ არ გვიბრძანებს ექიმი რემერტი, რომ საყოველთაო ცნობისათვის გამოაქვეყნეთ დაკვირვების შედეგები გამოჩენილი მეცნიერებისა, რომლებიც ჩვენს მედიცინას მესვეურობს და, რომლებიც მან ოდესღაც რეშტში გაგზავნა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, თუ მას სურს, რომ სათანადო სიმაღლეზე იდგეს, აქამდეც ვალდებული იყო, და ახლა ასჯერ უფრო ვალდებულია, გამოითხოვოს ბ-ნების სკოროვისა და უშაკოვის ანგარიშები და განიხილოს მათი საფუძვლიანობა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამჯერად მაინც, ჩვენი მოთხოვნა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

87. მონოპოლია და გაფიცვა

თბილისი, 29 იანვარი

ჩვეულებრივად, უფროსები დასცინიან ხოლმე ბავშვებს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ ეშინიათ ბუასი, ე. ი. არარსებული ფაქტის გამომხატველი ლიტონი სიტყვისა, მაგრამ ბავშვებს მეტი საფუძველი აქვთ, რომ დაცინონ პრაქტიკულ თმაჭაღარა მოღვაწეებს, რომლებსაც არ ეშინიათ ფაქტის, — სარგებლობენ მით, ხელს უწყობენ მის არსებობას, აუწერელ ერეოლვასა და კეთილშობილურ აღშფოთებას განიცდიან თუკი მათ გაუბედავენ და შეახსენებენ, რომ ეს ფაქტი სინამდვილეში არსებობს და რომ მას ჰქვია რომელიმე საშინელი სახელი: მონოპოლია, გაფიცვა, ძარცვა, ქურდობა და ა. შ. თუ რა მიზეზით წარმოსდგება უფროსებში ამგვარი შიში და აღშფოთება, ბავშვებს, ეს რა თქმა უნდა, არ ესმით და არც შეუძლიათ გაიგონ, მაგრამ უფროსმა ადამიანებმა ხომ კარგად იციან. ყველა პრაქტიკული მოღვაწე, როცა იგი მუხლამდე ტალახში დგება, ფეხით თელავს ზნეობრივ პრინციპებსა და მოვალეობებს, თანაც იდეალური მიზნისაკენ მიისწრაფიან: მათ სურთ არა მარტო იცხოვრონ, ე. ი. სვან, ჭამონ, იმხიარულონ, კარგად ჩაიცვან, არამედ, ამასთან ერთად, — ისიც სურთ, რომ ისარგებლონ თავიანთ თანამოქალაქეთა პატივისცემითა და კეთილგანწყობით. ცოტაა ისეთი ცინიკოსი, როგორიც იყო იუხანცევი, რომელსაც ის აზრი ამოძრავებდა მხოლოდ რომ, თუნდაც სულ ცოტახანს, მაინც ვიცხოვრო ბრწყინვალედ, მერე კი ბოლო მოვუღო მომავალსო. საერთოდ კი, ყველანი, შესაძლებლობის და გვარად თავისკენ ითვლიან სხვის ნაშრომს იმ მიზნით, რომ შეიქმნან კეთილდღეობა, უზრუნველყოფილი გახადონ თავიანთი შვილების მომავალი, და, რა თქმა უნდა, რაკი სიკეთე სურთ საკუთარი შვილებისათვის ძალიან უკმაყოფილოდ გრძნობენ თავს, თუ ამ შვილებს შერცხვებათ სიმდიდრისა, რომელიც მათ მშობლებს შრომით კი არა სხვა ადამიანთა მწუხარებითა და უბედურებით აქვთ შეძენილი. ამრიგად, პრაქტიკული ადამიანები, რომლებსაც არ ეშინიათ არც საიქიო ცხოვრებისა, არც ზნეობათა კოდექსისა, არც პასუხისმგებლობისა კანონის წინაშე, როცა საქმე ეხება მონაგრებასა და მომხვეჭელობას, შემდეგში კი ამ თავიანთი ნაქურდალის მიმართ

პატივისცემას მოითხოვენ ეს ვაჟბატონები, რომლებიც ყველა ადამიანურ უფლებას არღვევენ, ოღონდ კი საკუთრება მოიპოვონ, ხოლო რაკი მას ერთხელ მოიხვეჭენ, ამის შემდეგ საკუთრების კანონთა ყველაზე კონსერვატიული დამცველი ხდებიან. ამგვარი აღმაშფოთებელი წინააღმდეგობა პრაქტიკულ ადამიანთა აწმყოში მოღვაწეობასა და მათ მისწრაფებებს შორის მომავალში განაპირობებს იმას, რომ ამ ინდივიდუმებს, რომლებიც არაფერს არ ერიდებიან, ძალიან აშინებთ მათი ენერგიული საქმიანობის არსის გამომხატველი სიტყვები. ეს სიტყვები ყველას დანაშაულებრივ მოქმედებათა გამოხატულებად მიაჩნია და ვერვინ, ვინც ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრობს, ვერ გაბედავს გამოაცხადოს, ვითომ ამ სიტყვებით სიკეთე ხასიათდებაო; ამიტომაც პრაქტიკულ ადამიანებს ერთიღა დარჩენიათ: არასდროს არ ახსენონ ეს აუტანელი სიტყვები საზოგადოებაში, ეცადონ საუბარი არ ჩამოაგდონ მათ შესახებ და სხვებს სიტყვა ბანზე აუგდონ, თუ, სამწუხაროდ, საუბარი აე საგანს მაინც შეეხება. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ძალა, საჯაროდ მხილების ძალა და მათი ზნეობრივი გავლენა საზოგადოებაზე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათი უფლებაცა და შესაძლებლობაც აქვთ არამცთუ ახსენონ ეს სიტყვები, არამედ დაბეჭდონ კიდევაც ყოველივე ბოროტმოქმედების შესახებ. კარგია, რომ ამგვარი სიტყვები გვაქვს, რომ არსებობს რომელიღაც ბუა, რომლისაც შეიძლება ეშინოდეს დანაშაულსა და ბოროტმოქმედებას, თუმცა არსებითად არავინ არ იცის, სადაა ეს ბუა და რა არის იგი?

სხვათა შორის, ამისათვის როდი მივეცით ამ წერილს საშინელი სათაური „მონოპოლია და გაფიცვა", ჩვენთვის ეს სიტყვები სრულიად უბრალო და უწყინარია და გამოხატავს გარკვეულ ეკონომიურ მოვლენებს, რომლებიც უაღრესად საზიანოა მომხმარებელთათვის და ხელს უწყობს უმცირესობის კეთილდღეობას უმრავლესობის დაზარალების ხარჯზე. ეს მოვლენები, რა თქმა უნდა, სრულიად არ არის სასურველი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ისინი ჩვენშიც, თბილისშიც არსებობენ და სწორედ მათგან წარმოსდგება სურსათ-სანოვაგის სიძვირე და არა იმ გამოგონილი მიზეზთაგან, რომელნიც ქალაქის გამგეობამ მოიყვანა თავის მოხსენებაში ამომრჩევლებისადმი.

როგორც ცნობილია, მონოპოლია და გაფიცვა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მოვლენებია, მაგრამ მოსახლეობისათვის მათი შედეგები ერთი და იგივეა. ოდესღაც მონოპოლია მთავრობის უძრავლეს ფინანსიურ ღონისძიებათა საფუძველს წარმოადგენდა და ცხოვრების ინტერესთა დაცვის საუკეთესო საშუალებად იყო აღიარებული. მაგრამ ეს დრო წავიდა: ცხოვრების ინტერესთა დაცვისათვის მონოპოლიის მნიშვნელობა ყველაზე მეტად გამოვლინდა ღვინის იჯარით შეს-

ყიდვაში, რომელმაც გამოიწვია როგორც შემსყიდველთა, ისე ადმინისტრაციულ აგენტთა უაღრესი დემორალიზაცია და, ამიტომ, მთავრობამ მოსპო ეს ბოროტება სააქციზო სისტემის შემოღებით. მიუხედავად ამისა, ღვინის იჯარით შესყიდვის მონოპოლია ჯერ კიდევ არსებობს, თუმცაღა უკვე სულს ღაფავს, რაკი სხვადასხვა ხრიკებს ეჭიდება და მთავრობის კონტროლისათვის ძნელად მისაწვდომ ადგილებში იმალება. ჩვენში, ამასწინათ, მოისპო ნივთების იჯარით შესყიდვა, ხოლო თევზის მონოპოლია ჯერ კიდევ არსებობს ამა წლის 1 ივნისამდე, როცა ვადა გაუდის ბ-ნ ანანოვის და კომპანიის კონტაქტს და, როგორც გაზეთებიდან ვიცით, დაწესებული იქნება თევზის თავისუფალი ჭერა მტკვრის შესართავში. ასევე გრძელდება ჩვენი ბ-ნ მეღვინოვის მიერ გოქჩის ტბაზე თევზის ჭერის მონოპოლია და ამის შედეგია ის, რომ მოსახლეობა მაღალ ფასად იწამლება დამპალი თევზის პროდუქტებით. მონოპოლისტს არ ეშინია, რომ მყიდველს დავკარგავო: თევზის პროდუქტები აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის; თევზი კი მხოლოდ მოიჯარეს აქვს და, მაშასადამე, ყველამ ვისაც სურს სუფრაზე მიირთვას ხოლმე თევზი, უნდა იყიდოს იგი მაინცდამაინც ამ მონოპოლისტისაგან, მის მიერ დაწესებულ ფასად და მის მიერ მოწოდებული ხარისხისა. ეს ყოველივე იმდენად მტკივნეულია თბილისის ყველა მცხოვრებისათვის, რომ მაგალითებით ამის დამტკიცება ზედმეტია. შეიძლება მარტო ის გავიხსენოთ, რომ სანიტარულ რაზმთა არსებობის ხანაში საკვებ პროდუქტთა უხარისხობისათვის ყველაზე მეტი სასჯელი თევზეულით მოვაჭრეებს დაედოთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ქალაქის გამგეობას ვერ დავადანაშაულებთ ამ ვითარების გამო. მას ეს მდგომარეობა დახვდა და იგი ვერას დააკლებდა არსებულ ვითარებას, მაგრამ ის მაინც ხომ იყო გამგეობის მოვალეობა, რომ მთავრობისათვის მოხსენება გაეკეთებინა — თევზის მონოპოლია მავნე და საზარელია, მისი მოსპობა ყოვლად აუცილებელიაო. მაგრამ ამ საქმეში ინიციატივა გამოიჩინა არა ქალაქის სათათბირომ და გამგეობამ, არამედ მხარის უმაღლესმა ადმინისტრაციამ. თავის მოხსენებაში, როგორც ამომრჩევლებისადმი, ისე მთავრობის წინაშე, ქალაქის ადმინისტრაციამ უგულვებელყო თევზის მონოპოლიის არსებობა და მთელი ის ზიანი, რომელიც მისგან წარმოსდგება მთელი მხარის სახალხო ჯანმრთელობისათვის.

ამიტომ გასაგებია, თუ ქალაქის ადმინისტრაციამ ვერ შენიშნა ისეთი თვალსაჩინო ფაქტი, როგორიც არის თევზის მონოპოლია და თავის მხრივ, სულაც არ სცადა მისი მოსპობა, ცხადია, რომ ვაჭრების გაფიცვა, რომელიც წარმოადგენდა არა ცალკეულ პირთა შეთანხმებას, არამედ სურსათ-ხანოვაგის კოოპერაციული მონოპოლიზაციისას, არა მარტო ქალაქის გამგეობას არ შეუმჩნევია, არამედ, „ტიფლისკი ვესტნიკ-

შიც“ კი ჰპოვა მეცნიერული დაცვა. ადამიანები, რომლებმაც თავს იდვეს ზრუნვა ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობაზე არა მარტო დუმდნენ, არამედ ტყუილ-უბრალოდ უარყოფდნენ თბილისში გაფიცვების არსებობის შესაძლებლობას იმ საბუთით, რომ ეს არსად არ ხდება და არც შეიძლება მოხდესო. თანაც სერიოზულად ცდილობდნენ დაჟერწმუნებინეთ, რომ თბილისელი შემსყიდველები ჩვეულებრივი შემსყიდველები არიან, ე. ი. შუამავლები, რომლებიც საქონელს ბაზარზე იძენენ მაშინ, როცა უხვად მოაქვთ და გამოაქვთ იგი თავიანთი საწყობებიდან მაშინ, როცა ბაზარზე მისი შემოზიდვა წყდებაო. მაგრამ ყოველ ადამიანს, ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა თბილისის ბაზარზე, უთუოდ ჰქონია შემთხვევა, რომ ენახა ისეთი ფაქტები, რომლებიც სხვაგან არსად არ არსებობს. ასე, მაგალითად, ყველგანაა ნიხრი და ამგვარი ნიხრი თბილისის გამგეობასაც კი დაუწესებია, მაგრამ საკვები საგნების დადგენილი ნიხრი, თბილისში თითქმის არასდროს არ შეუსრულებიათ. და ეს იმ დროს, როცა ვიღაცის უჩინარი ძალაუფლება აწესებს სხვა ნიხრს, გაცილებით უფრო მაღალს, ვიდრე ქალაქის გამგეობის მიერ დაწესებული ნიხრია და უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ნიხრს წმინდად ასრულებს ერთი რომელიმე მოხმარების პროდუქტის ყველა გამყიდველი, ამ პროდუქტის ხარისხის მიუხედავად, თანაც იგი უცვლელი რჩება. უხილავი ძალა აწესებს, რომ გირვანქა ძროხის ხორცი ღირს 12 კაპიკი, და სადაც არ უნდა მივიდეს მცხოვრები, რა დამპალი და აყროლებული ხორციც არ უნდა შესთავაზონ მას, იგი იძულებულია იყიდოს, თორემ ვაჭარი გააგდებს დუქნიდან, გალანძღავს და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი მიაყენებს, თუ მყიდველი არ დაემორჩილება ვაჭრის მოთხოვნას და მისი პირველივე სიტყვისთანავე იქაურობას ნებაყოფლობით არ გაეცლება. ამგვარ უმსგავსო ფაქტს ვერავითარი ეკონომიური ჭეშმარიტებებით ვერ ავხსნით. ყველგან არის ხოლმე ბაზარზე რამდენიმე ხარისხის საქონელი და მას ფასიც სხვადასხვა აქვს. რატომღა არ არის ეს თბილისში? ამაზე პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: იმიტომ, რომ ვაჭრები გაიფიცებიან ხოლმე და ეს გაფიცვა ისე მტკიცედაა ორგანიზებული, რომ ვაჭრებს ეპვიც კი არ შეაქვთ იმაში, რომ მათ შესწევთ უნარი აიძულონ მყიდველი დაემორჩილოს მათ მოთხოვნებს. ყველგან ბაზარზე გამყიდველი ცდილობს ხოლმე რამენაირად მიიზიდოს მყიდველი, გაიჩინოს მათ შორის ნაცნობები, ასიამოვნოს თავისი საქონლის მუდმივ გამსაღებლებს და მყიდველებს. თბილისში ეს არ არის. ვაჭრები ისე იქცევიან, თითქოს მყიდველთა ბედიღბლის ბატონ-პატრონები იყვნენ. ლანძღვა-გინების, წონაში მოტყუებისა და უვარგისი საქონლის გარდა თბილისელ ვაჭრებს არა გააჩნიათ რა, რომ მყიდველს შესთავაზონ. ეს უკანასკნელიც ვერაფრით ვერ ახერხებს, რომ თავხედური საქციელისა და მოტყუებისათვის მიატოვოს უხეში

ვაჭარი და სასყიდლებზე მეორეს მიმართოს! მეორესთან ხომ უარესი დღე დაადგება! ისმება კითხვა: რატომაა რომ თბილისში ვაჭრობა სულ უკულმართად ხდება? მყიდველები ვაჭრისაგან თხოულობენ, რომ მან, თუნდაც თავისი შეხედულებისამებრ, რაც შეიძლება კარგი პროდუქტები მიჰყიდოს მცხოვრებლებს. ვაჭარი კი, ზოგჯერ, როცა ინებებს, ამ წყალობას გაიღებს, უმეტეს წილად კი იგი თავს ახვევს მყიდველს დამპალ პროდუქტებს და, ამასთან, წონაშიც ატყუებს ხოლმე. ისევ და ისევ ეს მოვლენაც აიხსნება მხოლოდ ვაჭრების გაფიცვით, რომელიც მტკიცედაა ორგანიზებული და არ ეშინია მყიდველთა არავითარი წინააღმდეგობის. საიდანღა წარმოსდგება ვაჭრების ასეთი თვითდაჯერება? ეს არ შეიძლება სხვაგვარად ავხსნათ, თუ არა იმით, რომ ძლიერი ხელი უხილავად წყალობს წვრილ ვაჭრებს და მყიდველთა ყოველი განცხადება ხელისუფლებისადმი, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის სახით არის წარმოდგენილი, ყოველთვის განმცხადებლის დაცინვით ბოლოვდება. ამის არაერთი მაგალითი თვითონ იცის ყოველმა მკითხველმა.

მოვიგონოთ გაფიცვის ყველაზე ცნობილი, ყველაზე გამოკვლეული სახე, სახელდობრ, წყლის მზიდავების, ე. ი. თულუხჩების გაფიცვა თბილისში. ეს ფაქტი მოგვცემს იმის ახსნას, თუ როგორ მიმდინარეობს გაფიცვა; ყველამ იცის, რომ თბილისის მცხოვრებლები თულუხჩებს ერთმანეთს შორის განაწილებული ჰყავთ, რომ ისინი თულუხჩების საიჯარო კმაყოფაზე იმყოფებიან და არ შეუძლიათ მათი მეურვეობისაგან თავი დაიხსნან. თულუხჩები იმით სჯიან ხოლმე თავიანთ უმადურ და უკმაყოფილო კლიენტებს, რომ „დამნაშავეთ“ წყლით აღარ ამარაგებენ ხოლმე მანამდე, სანამ მათ არ დაემორჩილებიან. თუ საკითხს ზერელედ მივუდგებით, ე. ი. იმსჯელებთ წყლის ზიდვის წარმოების მხოლოდ საბოლოო სახეზე, თულუხჩობაზე, უნებურად გაოცდებით, როგორ შეუძლია თულუხჩს ასე დესპოტურად მოექცეს თბილისის ყოველ გავლენიან და განათლებულ მცხოვრებს? რა არის თულუხჩი? უფრო ხშირად ეს არის უსახლკარო ღატაკი, რომელიც ძლივს შოულობს ლუკმა-პურს პატრონისათვის მიტანილი წყლის ქირით. მაგრამ როგორღა ახერხებს, ყოველგვარ მატერიალურ თუ მორალურ ძალას მოკლებული, ეს უბადრუკი არსება თბილისის ძლიერთა ამა ქვეყნისათა დახრჩობას? მაგრამ ეს გაუგებარი მოვლენა თავისთავად გასაგები გახდება, თუ თქვენ უსახლკარო და ბოგანო თულუხჩის ზურგს უკან შეამჩნევთ მეპატრონეს რამდენიმე თულუხჩისას, ხოლო იმ მეპატრონის უკან შენიშნავთ რამდენიმე ამგვარი მეპატრონის მეგობრობასა და შეთანხმებულ მოქმედებას და, ბოლოს, მათი ინტერესების ერთ ხელმძღვანელს, რომელსაც შესაძლოა, არც ერთი წყლისმზიდავი ჯაგლაგი არ გაეჩნია, იცვამს უკანასკნელი მოდის მიხედვით, ეკუთვნის

უმაღლეს ინტელიგენციას და, რა თქმა უნდა, სხვებზე უფრო ძლიერად იცემს მკერდში მჯიღს, როცა საქმე ქალაქის მოუწყობლობას ეხება. ამრიგად, თულუხჩების გაფიცვა, შესაძლებელი რომ იყოს მისთვის ბოლომდე თვალის გადევნება, წარმოგვიდგებოდა ისეთივე მარტივ და თვალნათლივ მონოპოლიად, როგორიცაა ბატონების ანანოვის, ალელოვის, მეღვინოვის მონოპოლიები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ბატონების სახელები ყველამ იცის მთავრობასთან დადებული მათი კონტრაქტების გამო, თულუხჩების, ყასბების, ბაყლების და სხვა მონოპოლისტთა სახელები კი არავისთვის ცნობილი არაა, რადგან ინახება საიდუმლოდ, ურომლისოდ ვერც იარსებებდა ეს ყოველგვარი კონტროლისათვის მიუწვდომელი და, ამიტომ, ყველაზე მავნე მონოპოლია.

ჯ. ლონისძიებანი გაფიცვის წინააღმდეგ

თბილისი, 31 იანვარი

წინა სტატიაში ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ თბილისში ვაჭართა გაფიცვის ნამდვილად არსებობა უთუოდ ყოველად დასაშვები მოვლენაა, რადგან ვაჭრების მიერ მყიდველთა შევიწროების ფაქტები ყველასათვის ცნობილია. გამგეობის მოხსენების აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ მსხვილი კაპიტალისტები, თურმე, აბუჩად იგდებენ სურსათსანოვაგით ვაჭრობას და, ამიტომ, ეს უკანასკნელი თავმოყრილია ისეთ განსაკუთრებულ ადამიანთა ხელში, რომლებიც ზნეობრივი აღვირახსნილობით ხასიათდებიან და ყოველგვარი საშუალებით, მართლითა თუ ტყუილით, რაც შეიძლება მეტ მოგებას იხვეჭენ. ჩვენ ვცადეთ უარგვეყო სიძვირის ამგვარი მიზეზები, რადგან ისინი სრულებითაც არ წარმოადგენენ მხოლოდ ჩვენი მხარისათვის დამახასიათებელ, ადგილობრივ თავისებურებებს, არამედ არსებობენ ყველგან, სადაც კი ვაჭრობა არსებობს. მეწვრილმანე ვაჭარი — სალანძღავი სიტყვაა და მას ერთნაირად იმეორებენ ხოლმე დედამიწის ყველა კუთხეში, როცა ვისმეს გალანძღვა სურთ, მიუხედავად ქვეყნის სიდიდისა და ეროვნებისა. სამაგიეროდ, სოვდაგრებს ყველგან პატივისცემით ეპყრობიან, თუ ისინი სავაჭრო საქმეს პატიოსნად უძღვებიან. ყველგან არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ თანამოქალაქეთა გაჭირვებას საკუთარი კეთილდღეობის წყაროდ აქცევენ ხოლმე. ამგვარი მაგალითები გვხვდება ინგლისშიც, საფრანგეთშიც, გერმანიაშიც, მოსკოვშიც, თბილისშიც. კანონმდებელთა და კანონის აღმასრულებელთა მთელი საზრუნავი სწორედ ისაა, რომ ზღვარი დაუდონ ამგვარ ინდივიდთა გაუმაძღარ მომხვეჭელობას და დაიცვან მათი მტაცებლობისაგან ხალხის უმრავლესობა, განსაკუთრებით კი მოსახლეობის გაუნათლებელი მასა, რომელიც, საერთოდ რომ ვთქვათ, ექსპლოატატორთა ბაზას წარმოადგენს. ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ამოცანათა რიგში ეს უკანასკნელი ამოცანა, სინამდვილეში პირველი მნიშვნელობის ამოცანაა, რადგან ხალხთა მასის კეთილდღეობის უზრუნველყოფა ქალაქის განვითარების ძირითად ელემენტს შეადგენს. როცა ქალაქში კარგად და იაფად ცხოვრობს უბრალო ხალხი, მაშინ იაფად იშოვება ოს-

ტატებიც, მუშებიც, იაფდება და უფრო სასიამოვნო ხდება მოსახლეობის ინტელიგენტური ნაწილის ცხოვრებაც; მოსახლეობა გამოსაღებსა და გადასახადებს წესიერად იხდის, საქალაქო მეურნეობას საშუალება ეძლევა დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი საჭიროებანი; ცხოვრების სიიაფე ქალაქისაკენ იზიდავს ახალ მცხოვრებლებს; კერძო თაოსნობა ქალაქში ბევრ სამუშაოს პოულობს, რითაც ქალაქელებს უფრო მოხერხებულსა და კომფორტულ პირობებს უქმნის. ერთი სიტყვით, ქალაქის თვითმმართველობის პირველი რიგის საზრუნავი უნდა იყოს უბრალო კლასის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ხოლო ამ მხრივ პირველ ნომრად დგას სურსათ-სანოვაგის ფასების გაიაფება. მაგრამ დღემდე სრულიად არ არსებობს ქალაქის ადმინისტრაციის მოღვაწეობის ეს, — თვალისათვის ნაკლებად შესამჩნევი მაგრამ აუცილებელი ნაწილი. თბილისის უახლოეს წარსულში ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიც მიუთითებდეს ადმინისტრაციის ზრუნვაზე უბრალო კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამაზე ყოველთვის ბევრს ლაპარაკობდნენ ხოლმე, მაგრამ რაიმე საქმიანობას, ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ არ ვიცნობთ. ახლაც კი, როცა სიძვირემ თითქმის შეუძლებელი გახადა ხალხის უმრავლესობის ცხოვრება თბილისში, ქალაქის გამგეობა თავის მოხსენებაში მთელ ყურადღებას უთმობს გაფიცვის შედეგებს და თვითონ გაფიცვას კი არ ეხება. სავაჭრო დეპუტაციის შექმნა, თუ მის შემადგენლობაში არ იქნება ყოფილი სავაჭრო პოლიციის მსგავსი პერსონალი, რა თქმა უნდა, ძლიერ სასარგებლო და საჭიროა, მაგრამ — უფრო მეტად ბოროტმოქმედებათა შესასწავლად, თვალყურის სადევნებლად და არა მათ აღმოსაფხვრელად. თუ სავაჭრო დეპუტაცია მხოლოდ ზომა-წონაში მოტყუებას შეებრძოლება, მარტო ამით იგი ვერაფერს გააკეთებს. თბილისში ზომა-წონაში მოტყუება მხოლოდ გარდუვალი შედეგია გაფიცვისა, უამისოდ დაქუცმაცებული ვაჭრობა მხოლოდ წამგებიანი იქნებოდა. ავიღოთ ერთი მაგალითი, რომელსაც ჩვენ ზედმიწევნით ვიცნობთ. გასულ ზაფხულს მთელი ყველი შეისყიდა ერთმა მონოპოლისტმა. ყველი, როგორც ცნობილია, ყოველი მუშისათვის, პურთან ერთად, აუცილებელი შესატანია. თუ შემსყიდველმა გირვანქა ყველისთვის 30 კაპიკი დაიწესა, მაშინ იმათ, ვინც ეს ყველი ნაწილ-ნაწილ გასაყიდად წაიღო, აღარ შეეძლოთ ამაზე მეტად აეწიათ ფასი, და ამიტომ მათ ისღა რჩებოდათ, რომ დაესველებინათ ყველი, რაღაც შეერიათ მასში, ანდა წონაში მოეტყუებინათ მყიდველი. სხვაგვარად ისინი ვერ შეძლებდნენ ყველით ვაჭრობას და გირვანქის 30 კაპიკად შესყიდვას. ამრიგად, სავაჭრო მოტყუება, ამ შემთხვევაში, არის სულაც არა ზნეობრივი აღვირახსნილობის, არამედ არსებული მონოპოლიის გარდუვალი შედეგი. დავასახელოთ მეორე მაგალითიც. უაზრობაა ვიფიქროთ, რომ ბაყლებს, რომ-

ლებიც ხილს ყიდულობენ ხოლმე, ერთნაირი ხარჯები ჰქონდეთ, რადგან ისინი მთლიანად ხილის ბაღებს ყიდულობენ ხოლმე და ყიდულობენ სრულიად სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მანძილის სიშორით და სხვადასხვა ხეირით. რატომღა უნდა ჰქონდეთ ყველა მათ ერთი ფასი? რატომაა, რომ არავინ არსად და არავის უთმობს? ცხადია, რომ ეს არაბუნებრივია, რადგან ეწინააღმდეგება ყველა მეცნიერულ თუ პრაქტიკულ აზრსა და კეთილგონიერებას. ცხადია, რომ ბევრი ბაყალი იძულებულია თავისი საქონელი ბევრად უფრო ძვირად გაყიდოს ერთიანი ფასის დაწესების გამო, ვიდრე იგი გაყიდდა იმ შემთხვევაში, გაფიცვა რომ არ არსებულიყო. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, უზომო სარგებელს იღებენ არა ანგარების ან ზნეობრივი აღვირახსნილობის გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ არსებობს ისეთი ბოროტება, როგორიცაა გაფიცვა.

მაგრამ სიძვირის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ზნეობრივი აღვირახსნილობის აღიარებით დაკმაყოფილებულმა ჩვენმა საქალაქო თვითმმართველობამ სულაც არაფერი გააკეთა ამ ზნეობის გასაუმჯობესებლად. არც ერთი ქალაქი ისე ცოტას არ ხარჯავს სკოლებზე, როგორც თბილისი. მაშასადამე, კიდევაც რომ ადგილი ჰქონოდა ზნეობრივ აღვირახსნილობას, ჩვენ მაინც არ უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენი თვითმმართველობა მას ბრძოლას გამოუცხადებს. მაგრამ პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ არაფერი გვესაქმება ვაჭართა გულისწადილსა და ხასიათთან: ჩვენთვის მნიშვნელოვანია მარტო ვიცოდეთ ის, თუ რა მიზეზია, რომ ამ ვაჟბატონთა სავაჭრო მოღვაწეობას უდიდესი უბედურება მოაქვს თბილისის მოსახლეობისათვის?

რაკი იმ დასკვნამდე მივედით, რომ თბილისში არსებობს ვაჭართა გაფიცვა, ჩვენ ამით ისიც ვთქვით, რომ თბილისში არ არსებობს ის, რაც განსაზღვრავს მომხმარებელთათვის სასიცოცხლო პროდუქტების ნამდვილ ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასს; კერძოდ, სრულიად არ არის კონკურენცია. ეს, რა თქმა უნდა, საიდუმლო არ არის თბილისის არც ერთი მცხოვრებისათვის, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ ყიდულობს რაიმეს სხვაზე იაფად. ყველაფერზე არსებობს ნიხრი, ვაჭრების მიერ მყიდველთა საზიანოდ დაწესებული, ხოლო ქალაქის გამგეობა თავის მოხსენებაში უსამართლობად მიიჩნევს ვაჭრების შეეიწროვებას, ე. ი. მყიდველთათვის ხელსაყრელი ფასების ნორმის დაწესებას, და ეს იმ დროს, როდესაც ისეთი ღონისძიება, როგორიცაა გონივრული ნიხრი, ერთადერთი ლაგამია, რომელიც ზღუდავს ხოლმე მონოპოლისტთა და ექსპლუატატორთა მტაცებლობას იქ, სადაც კონკურენცია არ არის. მაშასადამე, ქალაქის გამგე-

ობა, რომელიც უარს ამბობს თავის უფლებაზე და მოვალეობაზე, რომ შემოიღოს წესიერი ვაჭრობა, უარს ამბობს, რომ ნიხრი დააწესოს პროდუქტებზე, ნებაყოფლობით ემორჩილება იმას, რასაც იტანს თბილისის ყველა მცხოვრები ძალაუნებურად, საქალაქო ადმინისტრაციის უმოქმედობის გამო.

ნიხრი, რა თქმა უნდა, სიძვირეს ვერ აღმოფხვრის, მას შეუძლია მხოლოდ შეზღუდოს ბოროტების გაქანება და ისიც მცირე ფარგლებში. მიუხედავად ამისა, როცა არ არის სხვა რადიკალურ ღონისძიებათა მიღების შესაძლებლობა, იგი რჩება ერთადერთ ღონისძიებად, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციის განკარგულებაშია. ხოლო იმის მორიდება, რომ ამ ღონისძიებებით, ვაითუ შეიზღუდოს გაყიდვის თავისუფლება და ეს იმ დროს როცა არ არსებობს ყიდვის თავისუფლება, ეს ხომ ნამდვილად უაზრობაა.

მაგრამ ყველას, ვინც ყურადღებით წაიკითხა ქალაქის გამგეობის მოხსენება, რა თქმა უნდა, უკვირს, რატომ არ მიაქცია გამგეობამ სათანადო ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჩვენ, თბილისის მცხოვრებთ შესაძლებლობა არ გვაქვს რაიმე ვიყიდოთ უშუალო გამყიდველის ხელიდან? რა თქმა უნდა, სასაცილოა მოხსენებაში გამოხატული ზრუნვა იმაზე, რომ ვაჭრებმა დადგენილ დროზე ადრე არ შეისყიდონ ხოლმე ბაზარზე შემოსული პროდუქტები, რადგან ვაჭრობა, როგორიც იგი არსებობს სხვა ქალაქებში, თბილისში სრულიად არ არის. ნუთუ ქალაქის გამგეობას ჯერაც ვერ შეუმჩნევია, რომ ქალაქში საბაზრო მოედნები თითქმის ცარიელია, რადგან ისინი სულაც არ არის მოწყობილი საბაზრო ვაჭრობისათვის? ამბობენ, თითქოს ეს გამოწვეულია ვაჭრობის უნარმოკლებული და დამოუკიდებელი მოღვაწეობისადმი შეუჩვეველი მოსახლეობის ადათ-ჩვევებითო. ვითომ საკვები პროდუქტების ყოველი მწარმოებელი ამჯობინებდა თავის სახლშივე მიყიდოს გამყიდველს ნაკლებფასად პროდუქტები, ვიდრე თვითონ წავიდეს ბაზარში! ამგვარი მტკიცებანი ჩვენ მოჭორილად მიგვაჩნია: თუკი იმერეთსა და სამეგრელოში ბაზრებზე, სასოფლო და საქალაქო იარმარკებზე მთელი გარშემო მოსახლეობა იკრიბება ხოლმე, მაშინ რა ისეთი სპეციფიკური შხამი აქცევს თბილისის ჰავას საწამლავად სოფლის მცხოვრებთათვის? რატომ თბილისში არ არის და ამბობენ, რომ არც შეიძლება იყოს არც ხმაურიანი ბაზრები, არც იარმარკები? ვფიქრობთ, ამის მიზეზი არის ერთი რამ: უმოქმედობა ქალაქის ადმინისტრაციისა, რომელიც არა მარტო არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ თავის ბაზარზე სოფლის მცხოვრებნი მოიზიდოს, არამედ ისიც კი ვერ მოასწრო შეენიშნა, რომ ქალაქ თბილისს მოწყობილი საბაზრო მოედნები არ გააჩნია.

თათრის მოედანზე არათუ სავაჭრო ადგილი არსადაა, არამედ გავ-

ლაც კი შეუძლებელია ოთხთვალებისა და საზიდრების მოძრაობის გამო. სალდათის ბაზარზე კი მხოლოდ ყველაფრისადმი შეგუებას დაჩვეულ ჩვენს ჯარისკაცებს თუ შეუძლიათ იმოძრაონ კვირადღეს. აი, ეს გაუგებარი უყურადღებობა ბაზრების მოწყობისადმი და თბილისის ბაზრებსა თუ იარმარკებზე სოფლის მოსახლეობის მოზიდვა უნდა შეადგენდეს ქალაქის გამგეობის განსაკუთრებულ საზრუნავს; მაგრამ ის, რომ შეუქმნან მცხოვრებლებს შესაძლებლობა უშუალო მწარმოებლის ხელიდან მიიღონ ხოლმე საკვები პროდუქტები, ჩვენი „ქალაქის მამათა“ ადმინისტრაციულ სიბრძნეს, ვგონებ, ვაჭართა საქმიანობის შეზღუდვად მიაჩნია და ისინიც მოერიდებიან პოლიტიკური ეკონომიის კანონთა დარღვევას.

39. პოლიტიკური მდგომარეობა

თბილისი, 1 თებერვალი

27 იანვრის დეპეშამ გვაცნობა ლონდონიდან, თითქოს ამ დღეს თავადმა ლობანოვ-როსტოვსკიმ, ყარათეოდორი-ფაშამ და ალი-ფაშამ ხელი მოაწერეს საბოლოო საზავო ხელშეკრულებას, რომელმაც დაგვირგვინა რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ომი თურქეთთან.[51] ეს უკვე მესამე ხელშეკრულებაა, რომელიც მიზნად ისახავს საბოლოოდ გადაწყვიტოს ერთი და იგივე აღმოსავლეთის საკითხი, რაც ჩვენმა ჯარებმა თვითონ უკვე გადაჭრეს ევროპის ნებართვის გარეშე, ჰალიპოლისა და კონსტანტინეპოლისაკენ მოძრაობით. მაგრამ მათი ძლევამოსილი მსვლელობა, როგორც ცნობილია, შეჩერებულ იქნა ჯერ სან-სტეფანოს წინასწარი ზავით, შემდეგ ბერლინის საერთო-ევროპული ტრაქტატით და, ბოლოს, თუ მართლაც უკვე ხელმოწერილია ახალი ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის, მაშინ რუსეთის არმიამ უნდა დატოვოს დაკავებული პოზიციები იმიერ ბალკანეთში და შინ დაბრუნდეს. აქამდე თურქეთთან ომის დამთავრების საზავო ხელშეკრულება ომს ვერ ამთავრებდა, რადგან აღმოსავლეთის საკითხს ართულებდა ნეიტრალურ სახელმწიფოთა გამოსვლა მოქმედ პირთა როლში. მაგალითად, ს. — სტეფანოს ხელშეკრულების შემდეგ რუსეთის წარმატებათა მტრად გამოვიდა ინგლისი, ბერლინის ტრაქტატის შემდეგ კი — ავსტრია-უნგრეთი, რომელიც სარგებლობდა ოკუპაციით, რათა მცირე დანახარჯებით თურქეთისათვის მთელი ორი ოლქი წაერთმია.

იმის წინასწარმეტყველება, თუ ვინ გამოვა ახლა, მესამე საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მოქმედი პირის როლში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რა თქმა უნდა, ძნელია, რადგან ევროპის ყურადღება, რომელიც აქამდე თურქეთისადმი იყო მიპყრობილი, ახლა გაიტაცა იმ მოვლენათა მსვლელობამ, რომელიც ვითარდება ევროპული პოლიტიკის გენიალური ხელმძღვანელების — თავად ბისმარკისა და ლორდ ბიკონსფილდის დიპლომატიურ და პოლიტიკურ ვარაუდთა საპირისპიროდ.

მკითხველებს, რა თქმა უნდა, ახსოვთ ღვთისნიერი დეპეშები, და

უფრო მეტად რელიგიური პამფლეტები, რომლებითაც ჩვენ გვაცნობებდნენ, რომ ღვთის წილხვდომილმა გერმანიამ დამსახურებული სასჯელი მიუზღო ფრანგების უზნეო ბაბილონსო. თავად ბისმარკს რატომღაც ძლიერ სურდა დაერწმუნებინა მთელი მსოფლიო, რომ ჩემს აზრებს თვით ღმერთი შთამაგონებდაო, მე კი, თავადი ბისმარკი, მხოლოდ ბრმა იარაღი ვიყავი სამართლიანი ფორტუნას ხელში, რომელიც სჯის სახელმწიფოებს მათი გარყვნილებისა და შეცდომებისთვისო. მაგრამ თავადმა ბისმარკმა ბოლომდე ვერ გაუძლო თავის როლს. რკინის კანცლერმა საფრანგეთი სასტიკად დასჯა იმით, რომ არნახული ზნეობრივი დამცირება აგემა მას. თავადმა ბისმარკმა — მხოლოდ ბედისწერის ამ ბრმა იარაღმა — თავისი შრომისათვის ისეთი ფულადი ლანხის მიღება განიზრახა, როგორიც აქამდე არავის ოცნებაშიც კი არ მოსვლია. ბისმარკმა ასე მოიმოქმედა შემდეგი ღვთისნიერი მოსაზრებით; ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენებ საფრანგეთს, რომ მან მალე ვერ გადაიხადოს კონტრიბუცია, ხოლო ამ ვადის გასვლამდე ქარაფშუტა ფრანგებს მოუხდებათ თავიანთი ხარჯით შეინახოს გერმანიის მთელი არმია, ვითარცა უზნეო ფრანგებზე მზრუნველი და მეურვეო. ამრიგად, მატერიალური ძალით გასრესილი და მტკიცე ხელისუფლებას მოკლებული საფრანგეთი, ამასთან ერთად, იძულებულიც შეიქნებოდა ძირი გამოეთხარა მთელი თავისი მწარმოებლური ძალებისათვის, რომ რამენაირად გადაეხადა წარმოუდგენლად მძიმე კონტრიბუცია გერმანიის სასარგებლოდ. გარდა ამისა, საფრანგეთი ამ დიდი პოლიტიკოსის ვარაუდით, უნდა გამხდარიყო ანარქიის მსხვერპლი, რაც მტრული არმიის მიერ მისი საუკეთესო პროვინციების ოკუპაციის პირობებში, ყველა შანსს მისცემდა ბისმარკს, რომ საბოლოოდ შეერყია საფრანგეთის სახელმწიფო შენობა და მოემზადებინა მისი გაყოფა მეზობლებს შორის. გერმანიაში „მოციქულნიც“ კი გამოჩნდნენ, რომლებმაც ამ მოვლენის ვადაც იწინასწარმეტყველეს. მაგრამ ოთხმოცი წლის ტიერმა, რომელმაც მოიმარჯვა თავისი უდიდესი ერუდიცია, გამოცდილება და პატრიოტიზმი, გააქარწყლა საფრანგეთის მტრების ყველა იმედი. მან მოიგონა ისეთი ფინანსიური კომბინაცია, რომლის საშუალებითაც საფრანგეთმა, მიუხედავად უფულობისა, გადაიხადა კონტრიბუცია სხვისი, ამასთან უპირატესად თვით გერმანიის ფულით. პრუსიის არმიას დაატოვებინეს საფრანგეთის ტერიტორია იმ ვადაზე ადრე, რომელიც უკიდურეს მინიმუმად იყო მიჩნეული. კომუნა გაჟლიტეს. საფრანგეთის მთელი ჩაწოლილი საქონელი ევროპაში გაასაღეს, იქამდე, რომ ყველა ფაბრიკის საწყობები დაცალეს, ხოლო გაყიდულ საქონელში მიღებული ფულით საფრანგეთის საფაბრიკო მრეწველობამ გაძლიერებულად იწყო წარმოება, რითაც სამუშაო და კეთილდღეობა მოუტანა მთელ მოსახლეობას. ნაცვლად ანარქიისა და მთავრობის

შიგნით აპათიისა, სიღატაკისა თუ უბედურებისა მოსახლეობას შორის, ევროპამ დაინახა, თუ როგორ მოუხვეშა რესპუბლიკის პრეზიდენტის გენიალურმა გონებამ და სიმტკიცემ საყოველთაო ნდობა საფრანგეთს და მანაც რა შესანიშნავი ენერგია გამოამჟღავნა ეკონომიური მოღვაწეობის ყველა დარგში. გეგონებოდათ, რომ საფრანგეთმა თვითონაც არ იცოდა თავისი შესაძლებლობა, მისი შრომის შედეგები თითქოს მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა და მით უფრო უხდა გაოცებულიყვნენ მისი მტერ-მოყვარენი. ორი წლის შემდეგ საფრანგეთმა მოიშუშა მტრის შემოსევით მიყენებული ჭრილობები, ხოლო შვიდი წლის შემდეგ მან შეძლო ისეთი მსოფლიო გამოფენის მოწყობა, რომ დაჩრდილა კიდევაც 1867 წლის ბრწყინვალე გამოფენა, რომლის მსგავსი, საყოველთაო შეხედულების თანახმად, მხოლოდ ნაპოლეონ III მთავრობას შეეძლო მოეწყო რიგი ბრწყინვალე საგარეო წარმატებების შემდეგ.

მაგრამ ეკონომიური ცხოვრების ამ უდიდეს წარმატებათა მიუხედავად საფრანგეთს მაინც არ ჰყავდა მტკიცე მთავრობა. კონსტიტუციის თანახმად, საფრანგეთი რესპუბლიკას წარმოადგენდა. ფაქტიურად კი, პრეზიდენტისა და მისი პასუხისმგებელი მინისტრების ღონისძიებათა და მისწრაფებათა მიხედვით, იგი ყველაზე ნაკლებად ჰგავდა რესპუბლიკას. ლეგიტიმისტები[52], ორლიანისტები[53], იმპერიალისტები რესპუბლიკას არ ცნობდნენ და, მთავრობის მოწონებით, აშკარად მოქმედებდნენ თავიანთ პარტიათა სასარგებლოდ, რისთვისაც მოურიდებლად სდევნიდნენ რესპუბლიკელებს უმაღლესი ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან თუ ადგილებიდან. ამგვარი გათიშვა მთავრობასა და ხალხს შორის ახარებდა საფრანგეთის მტრებს, რომლებიც შინა ომს, ანარქიას და სახელმწიფო ორგანიზმის საბოლოო დაშლას მოელოდნენ. მაგრამ ხალხის კეთილგონიერებამ, ენერგიამ და გამბეტას ოსტატობამ რესპუბლიკას გამარჯვება მოუტანა. ჯერ იყო და დაემხო ბროლის მონარქიული სამინისტრო, შემდეგ სენატი შეივსო რესპუბლიკის მომხრეებით და, ბოლოს, რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინეს დეკრეტი არმიის უმაღლესი სარდლობიდან იმ პირთა დათხოვნის შესახებ, რომელთაც რესპუბლიკური იდეისადმი ერთგულება არ ახასიათებდათ. მარშალმა მაკ-მაჰონმა არჩევნების წინ აღუთქვა ხალხს, რომ ისე ვიმოქმედებ, როგორც პატიოსან ჯარისკაცს შეჰფერისო, და კიდევაც შეასრულა თავისი სიტყვა, იგი ვერ ამაღლდა სახელმწიფოებრივ საჭიროებათა გაგებამდე და ვერც უღალატა საპოლკო ამხანაგობის იდეას. მარშალმა უყოყმანოდ გადაწყვიტა და უარი თქვა რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე, მაგრამ ვერ გაბედა უსიამოვნება მიეყენებინა თავისი ძველი ამხანაგებისათვის.

მარშალ მაკ-მაჰონის გადადგომამ და გრევის დანიშვნამ რესპუ-

ბლიკის პრეზიდენტად ძლიერი დარტყმა მიაყენეს საფრანგეთის მტრებს. რესპუბლიკის გამარჯვებამ და ერთი პრეზიდენტის მშვიდობიანმა შეცვლამ მეორეთი დაგვანახვა, რომ საფრანგეთში შინაგანი სახელმწიფოებრივი წყობილება მტკიცედ დამყარდა. ეკონომიური კეთილდღეობის, არმიის ორგანიზაციისა და სულიერად განმტკიცების გამო საფრანგეთმა კვლავ მოიპოვა უფლება, რომ ადგილი დაეკავებინა ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში. საფრანგეთის დაცემის, ზნეობრივი გახრწნისა და მომავალი დაღუპვის შესახებ ყველაზე ნაკლები ეთქმის გერმანიას, რომელსაც, ხელმძღვანელთათვისაც კი მოულოდნელად, საფრანგეთისაგან მიტაცებულმა მილიარდობით ფრანკმა კეთილდღეობა კი არ მოუტანა, არამედ — ძლიერი ეკონომიური მოშლილობა. ამ უბედურებას კიდევ ზედ დაერთო კლერიკალიზმისა და სოციალიზმის განვითარება მთავრობისათვის იმდენად მტრული ფორმითა და ზომით, რომ თავადი ბისმარკი იძულებული გახდა პარლამენტისათვის ეთხოვა განსაკუთრებული და კონსტიტუციისათვის საწინააღმდეგო კანონების გამოცემა; ხოლო პარლამენტის სხდომებზე, პარლამენტისვე წევრების მიერ, აზრის თავისუფლად გამოთქმისათვის რკინის კანცლერი იქამდეც კი მივიდა, რომ მათ წინააღმდეგ დისციპლინარული ზომების მიღება მოითხოვა. ამრიგად, ის, რაც ივარაუდებოდა საფრანგეთში, აღსრულდა გერმანიაში. ეს ფაქტი სულაც არ არის დამამშვიდებელი იმ დიპლომატებისა თუ პოლიტიკოსებისათვის, რომლებსაც უყვართ ხოლმე წინასწარმეტყველება. ხალხის მღელვარება ახლა, რა თქმა უნდა, გერმანიაში უფრო ძლიერია, ვიდრე საფრანგეთში, ხოლო პირველი მათგანის ეკონომიური მდგომარეობა უაღრესად სავალალოა.

40. სტუდენტობის პირველი დრო*

სახარე ხბოს საძოვარში შეეტყობა...
ა ნ დ ა ზ ა.

—1—

გასტუდენტების წყურვილი. — კარის წინ ლოდინი. — კანკალი და რეკვა. — პეტერბურგელი ქალის სურათი. — ღლაკი.

... ხომ ძლიერ უნდა გაველახეთ მთელი ერთი თვის ტროიკით მგზავრობას? მოსვენება ხომ ძლიერ უნდა გვჭირვებოდა იმ დილას, როცა პეტერბურგში ჩავედით? რა ბრძანებაა! პირის დაბანა რას ჰქვია, ისიც ძლივს მოვასწარით. ჩამოვხტით თუ არა, იმ წამსვე დამტვერიანებული და წელ-მოწყვეტილები ვასილის კუნძულისკენ გავეჭანეთ. სული როდი გვითმენდა: იქ იდგა ჩვენი სტუდენტობა, იქ ჩვენც გველოდა გასტუდენტება. ერთი იფიქრეთ, აბა, რა მოგვაცდეინებდა, რა გაგვაჩერებდა ან რა დროს მოსვენება იყო!...

კარგათ მახსოვს, ნიკოლოზობა დღე იყო, 9 მაისი 1861. გზაზე, რაღაც ეკლესის წინ, ხიდის ყურთან, დიდი პარადი გაემართათ. იმ ალაგს ისე გატენილი იყო ქუჩა ჯარით თუ მცქერლებით, რომ გავლა ძლივს მოვახერხეთ... ხიდზე რომ შეველით, დავინახეთ ვაება სახლის ოდენა ყინულები, რომელიც მდინარეს ზღვისკენ მიჰქონდა. ალბათ ესეც მიმზიდველი სანახავი ყოფილა, ამიტომ რომ მთელი ხიდი ხალხით იყო გაჭედილი. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უსაქმო და საქმიანი, აღტაცებით შეჩერებოდა ამ მყინვარების მტვრევა-მუსვრას. წამ-და-უწუმ მდინარე ამ უზარმაზარ მყინვარებს ხიდის ბურჯს ატაკებდა და მაშინ მთელ ხიდს ალმასის მტვერი მოედებოდა, რომელშიაც მაისის მზის შუქი აქა-იქ ცისარტყელას იკეთებდა ხოლმე. ხალხის აღტაცებას საზღვარი როდი ჰქონდა... მაგრამ ჩვენგანი ამაებს აბა ვინ ათხოვებდა

---

* რაღა თქმა უნდა, რომ ამ მოთხრობაში მოგონებული და გადასხვაფერებული არა არის რა, მოქმედი პირების სახელთა მეტი.

ა ვ ტ ო რ ი.

ან თვალს, ან ყურადღებას? რისი პარადი, სადაური მყინვარები! გა-სტუდენტება გველოდა მეთქი ვასილის კუნძულზე!

მივაღწიეთ, როგორც იქნა, მოვძებნეთ ის სახლი, სადაც ძველი სტუ-დენტი ღრეჭია იდგა: იმის ადრესი მოსკოვში გვქონდა ნაშოვი. შიშით და კრძალვით ჩამოვარაწკუნეთ ზარი მის კარების წინ. კარი მაინც დიდ-ხანს დაგდული დარჩა. ხმის ამოუღებლად ერთმანეთს მივჩერებოდით ჩვენ სამივე. ვერც კი ვბედავდით ერთმანეთისათვის გვეკითხა: „იქნე-ბა მეორეჯერ დარეკვა სჯობდესო?“

სამნი ვიყავით მეთქი. ხნითაც და გამოცდილებით უფროსი ჩვენ-განი იყო ს ა ულ ქ ე რ ა ძ ე, ხასიათიანი და ულელ-გამწევი ყმაწვი-ლი... მეორე იყო გ ი გ ო თ ა ვ ძ ა რ ა, რომელსაც ყველა მისი ამხა-ნაგები „უშნოს“ უძახდით, ამიტომ რომ სახით ყველაზე უფრო შნო-იანი იყო, და მესამე — მე. უნდა მოგახსენოთ, რომ ახლათ შესრულე-ბული მქონდა მაშინ მეთექვსმეტე წელიწადი, და ტანადობითაც ისე პატარა ვიყავ, რომ ყველა „ციდა-ნახევარს“ მიძახოდა. სამივე ჩვენი ხარჯით ვიყავით მოსული, სამივეს ეგზამენი გვქონდა დასაჭერი უნი-ვერსიტეტში შესასვლელათ. სამივეს გვეგონა, რომ ერთი საათი თუ დავკარგეთ ნამეტანი, ეგზამენი დაჭერას ვეღარ მოვასწრებთო. დრო მიდიოდა, ამისთანა საჭირო დრო, და კარს კი მაინც არავინ გვიღებდა!

გავბედეთ, ბოლოს, ხელმეორეთ ზარის ჩამოკვრა: უფრო მაგრათ და გულიანათ კი დავრეკეთ, გაქვსთ სიცოცხლე! გასჭრა ილბალმა! კარი გაიღო, თითქმის იმავე წამს. გამოჩნდა ახალგაზრდა მსახური ქალი, გვარიანათ ჩაწვირიანებული. მოხეხილ ტაშტის ძირს ჩამოგავდა, შო-რიდამ, მისი რგვალი და ბრტყელი პირისახე, რომელსაც ხან ყვითელი ფერი დაჰკრავდა, ხან წითელი. ვაება პირისახის შუაგულში ჩვენებურ ღილსავით დაკერებული იყო ერთი ნამცეცა ცხვირი, და ისიც ზეით-კენ იწევდა, ჩალისფერ თმისკენ. მარჯვნივ და მარცხნით ამ ცხვირს ჩაჩხვლეტილი ჰქონდა ერთი ცუცქნა მიწკურული თვალები, უწამწამო და უწარბო. ტუჩი კი, მაგიერათ, გაქვსთ სიცოცხლე, ყურიდან ყურამდე წვდებოდა...

კითხვის მაგიერ ქალმა — იმ ქვეყანაში, თურმე, ამ ნაირ სულიერ-საც ქალს ეძახიან — ეს ვაება პირი ღლავივით გააღო.

— უფალი ღრეჭია შინ ბრძანდებაო, ჰკითხა იმას ქერაძემ, თავისი ნაჩვევი ვედრების ხმით და თან, ჩვეულებრივ, თავი ისე მოისაწყლა, თითქო სიონის გლახა ყოფილიყოს.

— Тома, тома. ხრიწიანათ თქვა ქალმა და კარი მაშინვე მოგვიგდო.

ადვილათ მივხვდით, რომ ეს რუსულ Дома-ს ნიშნავდა. მართლაც ორიოდ-სამი წუთის შემდეგ იმავე ქალმა ხელახლავ კარი გაგვიღო და ღრეჭიას ოთახში შეგვიყვანა.

ღრეჭიას ოთახი. — ღიმილი. — რა მიამა მისი მბიარული თანაგრძნობა! — გამოკითხვა. — პირველი დაბეზღება და პირველი დარდი. — გახარებული ღიმილით შეგებება ნაგინები კაცისა. — პირველი ეჭვი. — ნაგინები მაგინებელს აქებს. — ნუთუ კაცი სასახელო საქმეს თავს დაანებებს?

მოზრდილი ოთახი იყო ეს ოთახი. ორივე მის ფანჯარაზე წიგნები და ქაღალდები ელაგა წესიერათ, რიგრიგა. ფანჯრებს შუა რომ სტოლი იდგა, ზედ სამოვარი დავიწყებოდათ, ჩაის ჭურჭლითურთ. ლოგინზე იჯდა ერთი უცნობი სტუდენტი, რომელსაც არხეინათ ფეხი ფეხზე გადაედო. მის პირდაპირ, სტოლის წინ იჯდა თვითონ ღრეჭია. ჩვენი შესვლა და მისი წამოხტომა ერთი იყო.

საშინლათ იამა ჩვენი ჩასვლა. მკვიდრი ძმის ნახვა ისე ვერ გაახარებს კაცს, უეჭველია: ოთხი-ხუთი წლის უნახავი ძმების შეყრას დავსწრებივარ, და არც ერთის პირისახეზე არ შემიმჩნევია იმისთანა გახარების და სიამოვნების ღიმილი, როგორიც ჩვენ შესვლაზე ღრეჭიას პირზე აღიბეჭდა. თვალები აუთამაშდა, ტუჩი მიეწკურა, და მთელ პირისახეს დატკბობის, ნეტარების დაღი დაესვა. მეტათ მიამა ამის შემჩნევა, საკვირველი რამეა უცხოეთში მარტოობის გრძნობა. გული ნიადაგ ისე მტკივნეულობს თითქო ვისმეს განგებ ის ძაფი დაეჭრას, რომლითაც გული სხეულს მიბმული აქვს. რა გინდ საქმე გქონდეს უცხოეთში, რა გინდ შრომაში იყო გართული, ეს გრძნობა და ეს ტკივილი მაინც გასუსტებს, გერევა, გძლევს... ეძებ ვის მიეკედლო, ვის დაუძმობილდე შენიანს, რომ ამ წყეული მარტოობის ძალას მოერიო. ნათესავათ იქცევა მაშინ შენთვის ყოველი შენი ქვეყნის შვილი, ოღონდ კი ხელი არ გკრას და თავიდან არ მოგიშოროს... ეხლა წარმოიდგინეთ, ღრეჭია რა დაახლოებულ ნათესავათ უნდა მჩვენებოდა იმ დილას, ამ ალერსიანი შეგებების წყალობით! გული ისე დამიშოშმინდა და დამიტკბა, თითქო დედაჩემის კალთაში ჩამედო თავი...

დავსხედით მორიდებით, ბევრი პატიჟის შემდეგ. მასპინძელმა დედამის მშვიდობა და სიმრთელე გამოგვკითხა, ნათესავების ამბავი, გზის გარემოება. ქუთაისში კურსი წლეულს რამდენმა კაცმა შეასრულაო, იმათგან რამდენი აპირებს რუსეთში წამოსვლასო და სხვ. და სხვ. ყველა ამ კითხვებს შესაფერი პასუხი მივეცით.

— ეს ყველა კარგიო, გვკითხა მაშინ ღრეჭიამ, მაგრამ თქვენი ხარჯით ხართ მოსული, თუ სტიპენდიის[1] იმედითო?

---

[1] ზოგიერთ სტუდენტებს მთავრობა თვეში ოცდახუთ მანეთს აძლევს, ოთხი წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ სწავლის დასრულების შემდეგ ექვსი წელიწადი ემსახურონ. ამ ფულს „სტიპენდია“ ჰქვია.

მე უპასუხე, რომ ჩემი ხარჯით ვაპირებ თავის დარჩენას. ჩემმა მგზავრებმა კი უთხრეს, რომ ჯერჯერობით ჩვენი ხარჯით უნდა ვიცხოვროთ და მერე იმედი გვაქვს სტიპენდია გვიშველისო.

— რამდენი ფული მოგივა მამიშენისგანო, მკითხა მაშინ მასპინძელმა.

— მამამ სამ-სამი თუმანი დამპირდა თვეში, ბატონო.

— ცოტაა, ცოტა, მაგრამ რა გაეწყობა! ტანისამოსის ფულს ხომ გამოგიგზავნის ამას გარდა?

— რა მოგახსენო. არაფერი უთქვამს; მითხრა თვეში სამ თუმანს გამოგიგზავნიო.

— უნდა მიწერო, რომ არ გეყოფა. ტანისამოსის ფული ცალკე უნდა იყოს.

— მივწერ, ბატონო.

— თქვენ რამდენი მოგივა შინიდამ? მიუბრუნდა მასპინძელი ქერაძეს.

— ხან თუმანი, ხან თუთხმეტი მანეთი, ბატონო. მამა ჩემი ღარიბი კაცია, მეტი არც კი შეუძლია, უპასუხა ქერაძემ და თავისებურათ გაწითლდა, თავიდან ფეხებამდი.

— არ გეყოფა, სრულებით არ გეყოფა, მწუხარე თავის ქნევით გამოთქვა ღრეჭიამ, და მიუბრუნდა თავძარას:

— თქვენა?

— მე ყოველ თვეში ოცდა ხუთი მანეთი მექნება, ტანისამოსის ფულიც ბლომათ მომივა...

— თქვენ ერთათ დადექით, ერთ ოთახში, უთხრა მასპინძელმა თავძარას და ქერაძეს, — დღესვე მოვაძებნინებ ოთახს და სადილის საჭმელ ალაგსაც აგიჩენთ. თქვენ კი, მომიბრუნდა, ბერიშვილთან დადექით. ის ეხლა მარტო დგას ორ-ორი უნდა იდგეთ ერთათ, თუ გინდათ რომ მაგ ფული გეყოთ. გიპატრონებთ აქ, ეგზამენს დაგაჭერინებთ და საქმე კარგათ წავა.

ამ დროს ღრეჭიას ძმა შემოვიდა. პირკოცნის და გამოსალმების შემდეგ იმას ორივე ჩემი მგზავრი გაატანეს ოთახის მოსაძებნელათ. დავრჩი მარტო.

— აქ თქვენი ბიძაშვილია, დათა. არ გინახავს ჯერ? სულ სხვანაირი ეჭვიანი და შემპარავი ხმით, დაბლა მკითხა ღრეჭიამ.

— არა, ბატონო, ჯერ არ მინახავს. წიგნი მაქვს იმასთან, მაგრამ არ ვიცი სად დგას.

— რა წიგნი? ვისგან?

— მამა ჩემმა გამომატანა, ჩემი თავი ჩააბარა, კარგათ მოუარეო, უპატრონეო, ნათესავი ხარო, სისხლი ერთი გაქვთო, როგორც მოგეხსენებათ...

— ჰო, კარგათ გიქნია, რომ ჯერ ჩემთან მოსულხარ, — მითხრა ღრეჭიამ და ხმა უფრო დაიმდაბლა. მერე სკამი ჩემსკენ მოიჩოჩა და ჩურჩულით დამიწყო ლაპარაკი. გამიკვირდა, ამ კაცს რა აჩურჩულებს მეთქი: ამ ოთახში ჩვენს მეტი არავინაა, ვინ გაიგონებს ქართულ ლაპარაკს? მაგრამ, ვიფიქრე, ალბათ, ასე უნდა თქო.

— დათა ურჩი ყმაწვილია, ჩვენ მოგვშორდა და ცალკე დგას, ვიღაც პოლშელებთან და რუსებთან. ცუდი ყოფაქცევისაა, იცოდე. იმას ნურაფერს დაუჯერებ... ისა და აკაკი წერეთელი ბევრ ცუდს გვიგონებენ, ყური არ უგდო, თორემ წაგახდენენ. აქ ჩვენი კაცი უცხოს არავის უნდა იცნობდეს, თორემ დაიღუპება... მორიდებით უნდა იყო, ჩვენების მეტს არავის იცნობდე... წადი, რა გაეწყობა, რაკი წიგნი გაქვს, მაგრამ თავი კი მაინც მოშორებით დაიკავე: არამც და არამც მასთან არ დადგე.

საშინლათ მეწყინა ეს სიტყვები. მეწყინა იმიტომ, რომ ყველა სტუდენტები ანგელოზები მეგონა, და ეხლა კი ვხედავდი, რომ ორი მათგანი წაწყმედილა... დავღონდი ძლიერ, მაგრამ ხმა კი ვერ ამოვიღე.

— როდის წახვალ შენ ბიძაშვილთანო, — მკითხა მასპინძელმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— არ ვიცი, ღმერთმანი. აღარც კი მინდა აწი წასვლა, ან ქე რათ წავიდე მაგისთანა კაცთან?

— არა, წასვლით უნდა წახვიდე, неловко будет... წიგნიც გაქვს გადასაცემი... ნათესავიც არის შენი... წადი, მაგრამ თავი განზე დაიჭირე...

ძაღლი ხსენებაზეო, რომ იტყვიან, სწორეთ ისე მოხდა: კარი გაიღო, და ჩემი ბიძაშვილი დათა შემოვიდა, მხიარული, უდარდელი სახით, პირმცინარე, ჟინჟღილივით ანთებული...

თავბრუ დამესხა, როცა დავინახე, რომ ეს კაციც ჩემმა მასპინძელმა სწორეთ იმ ნაირივე ალერსით და იმ გვარივე სახით მიიღო, როგორითაც ჩვენ შეგვეგება... ეს ნაგინები კაცი, რომელთანაც საქმის დაჭერა სავნებია, სათაკილოა!..

როდილა მახსოვს, როგორ გადამეხვია ჩემი ბიძაშვილი, რა მკითხა, რა მითხრა, რა მივუგე, რა უთხარი. ვიმეორებ, თავბრუ დასხმული ვიყავი, არ ვიცოდი დღე იყო თუ ღამე, სიზმარში ვიყავ, თუ ცხადათ ვმოქმედებდი.

მარტო ის მახსოვს, რომ მასპინძელი ცოტა ხანს შემდეგ ადგა და სადღაც წავიდა, ჩვენ კი გვითხრა, მომიცადეთ, ეხლავ მოვალ და ბ ე რ ი შ ვ ი ლ თ ა ნ წაგიყვანო.

გავიდა ღრეჭია თუ არა, ჩემმა ბიძაშვილმა თვალი გააყოლა და აღტაცებით მითხრა:

— რა ბიჭია, რო იცოდე! ესეც არის ეგზამენები გაათავა. სულ „პიატები“ მიიღო ყველა საგნებში; მეორე თუ მესამე კანდიდატი გამოდის... ხმას ვერ ვიღებდი მაინც.

— ვერც რუსმა ვერავინ აჯობა, ვერც პოლშელმა, ვერც მალოროსმა. მარტო ერთი ხ-ცკი იყო მაგის ტოლი, ისიც პოლშელია. ორივემ პროფესორებს წყალსავით მიაყარეს პასუხები... ეხლა მაგან დისერტაცია უნდა დაწეროს... მაგის ალაგას, რომ ვიყო, უნივერსიტეტში დავრჩებოდი, საზღვარგარეთ გამგზავნიდენ და პროფესორათ გამოვიდოდი...

ფრთა-შესხმულ ტყუილათ ჩავთვალე ეს უკანასკნელი სიტყვა. შესაძლებელი რომ იყოს პროფესორობის მიღება, რომელი გიჟი უარს იტყოდა? სასახელო საქმეა პროფესორობა, „ისტორიაში ჩაიწერს ამით სახელს კაცი“, და ამგვარ მომავალს გადარეულის მეტი აბა ვინ გაცვლის ჩინოვნიკობაზე? არა, ვფიქრობდი, უეჭველია, რომ მიუღწეველი საქმეა პროფესორობის შოვნა, თორემ აბა ღრეჭია — ჭკვიანი და მცოდნე ღრეჭია, — იმაზე უარს როგორ იტყოდა!

— წიგნი მაქვს შენთან თქო, ამოვიღე ბოლოს ხმა.

— ვისგან?

— მამა ჩემისგან. მაგრამ სასტუმროში დამრჩა, სადაც ჩამოვხტენით, ბარგში.

— ბარგი რომ გადმოიტანო, შინ მომიტანე. აი, ჩემი ადრესი. ჩვენები არ გინახავს წამოსელის დროს?

სანამ მისი სახლეულობის ამბავს და გარემოებას მოუთავებდი, ღრეჭიაც დაბრუნდა. იმას ბერიშვილი გზაზე შეხვედროდა და თან წამოეყვანა.

ჩააბარეს ჩემი თავი ბერიშვილს და გამატანეს ოთახის სანახავათ და ბარგის გადასატანათ.

— 3 —

ჩემი ოთახის სურათი. — უწიგნობა და უკითხულობა. — სტუდენტების სადილი. — რას ველოდით და რა დამხვდა? — პატრის-კუდი და მისი ატეისტობა.—ბიუხნერი წაგიკითხავს? — ატეისტის ლოცვა შუალამეზე და ამ ლოცვის შედეგი. — ღარიბი სტუდენტების მორთვა მდიდარ თეძოთან და მეჩექმესთან. — ვალი რით გადაეიხადოთ?

იმავე დილას ბერიშვილთან დავსახლდი... ერთ პატარა ოთახში, რომლის მარტოხელა ფანჯარა უზარმაზარი სახლის ვიწრო და შმორიან ეზოში გადიოდა, გამიკეთეს ლოგინი, ბერიშვილის ლოგინის პირდაპირ. მარტო პატარა სტოლი ეტეოდა ამ ორ ლოგინს შუა, ფანჯრის წინ. ორიოდე სკამი და პირსაბანი ტაშტი შეადგენდა დანარჩენ ჩვენ მოწ-

ყობილობას. საშინლათ გამიკვირდა, რომ ამ სტუდენტის ოთახში წიგნის ხსენება არსაით იყო. გაუმხილე ჩემი გაკვირვება ახალ ამხანაგს.

— წიგნის საყიდელი ფული ვინ მოგვცაო, მწუხარეთ მიპასუხა. მთელი წელიწადი აქა ვარ, და აი ამ სამშაურიანი წიგნის მეტი ვერ მიყიდნიაო. ესა სთქვა და მიჩვენა პატარა წიგნი, ლეიფციგში იაფათ გამოცემული სალიუსტის ისტორია, ლათინურ ენაზე.

— მაშ კითხვით რას კითხულობთ?

— თუ წავეყარეთ სადმე, ვითხოვთ წიგნს და წავიკითხავთ. მაგრამ ან კითხვის დრო ვისა აქვს! ჯერ დილით ლექციებია, ხომ, და ლექციები; მერე, ნასადილევს, ჩვენებური ყმაწვილები საეგზამენიოთ უნდა ვამზადო... ისე დაიქანცები, რომ კითხვა კი არა, წოლაც გაგიჭირდება...

ვერც ამისი გამეგო რა. სტუდენტი რომ არას კითხულობდეს გაგონილა? თუკი გიმნაზიაში ვასწრებდით კითხვას, ნუთუ აქ უკითხველათ უნდა გამოვიზარდოთ?

სადილობის დრო მოახლოვდა; წავედით საჭმელათ. შემიყვანეს რაღაც ბნელ და ნოტიო ოთახში, სადაც შუაგულ გრძელი სუფრა იყო გაშლილი, და მის გარშემო ოციოდე ყმაწვილი კაცი ისხდა. ჩვენი ქართველი სტუდენტობა თითქმის ერთიანათ იქ იყო თავმოყრილი. დავსხედით. ამიხსნეს, აქ სადილი ხუთ შაურათ ღირსო, ან თვეში შვიდ მანეთათო.

კარგი იყო სადილი თუ ცუდი, — ამას ვინ სდევდა, ვინ კითხულობდა! გავძეხით კი და, იმ ორი თავით, რომელიც მოგვერთვა... ჩემდა თავათ უფრო სმენათ ვიყავ გადაქცეული, ვინემ ჭამათ. მართლაც, ყურადღების ღირსი იყო მაშინდელი გაკვრა-გამოკვრული ლაპარაკი... ზოგი ტანსაცმელზე და თერძზე მუსაიფობდა, ზოგი შინადამ ფულის ლოდინზე, ზოგი სოფლათ საზაფხულოთ გასვლაზე, ზოგი ახალ-გათავებულ ეგზამენებზე. ყბედობა იყო, რაღა, უთავბოლო, უმიზნო... სულ სხვა ნაირ მუსაიფს ველოდი, სულ სხვანაირათ გამოხატული მქონდა თავში სტუდენტების საერთო სადილი... უეცრათ ჩემ პირდაპირ მჯდომმა სტუდენტმა, ბ ა ს ი ლ ა ბ ა ზ ა ძ ე მ, რომელსაც შარშან ქუთაისის გიმნაზიაში ღვთის-მაევდრებელ და დონ-ანტონის მორჩილ ყმაწვილათ ვიცნობდი, ლაპარაკი დამიწყო ამ უცნაური სიტყვებით:

— მასე პატარა რომ ხარ, როგორი სტუდენტი იქნები? შენ, ალბათ, ღმერთი უნდა გწამდეს? და პასუხისთვის არ მოუცდია, ხარხარი დაიწყო: ჯერ რა დროს შენი სტუდენტობა�აო?

რა ვიცოდი, რა მეთქვა პასუხათ? კარგია კიდევ, რომ პასუხს არავინ მთხოვდა.

— ბიუხნერის თხზულება წაგიკითხავსო? ხარხარის შემდეგ მკითხა აბაზაძემ უფრო დამჯდარი სახით.

ორი წლის წინეთ, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს,

როცა ლოგინში ვიწექ და ფიქრის გარდა საქმე არაფერი მქონდა, დაიწყო და დალაგდა ჩემში მოაზრება ამ გვარ საგნებზე. ამ ავადმყოფობის დროს, ამავე ფიქრით გატაცებულმა, აზრის გამოსაკვლევათ გარდავიკითხე და გავიცანი რაც კი რამ საღმთო წერილის წიგნი იშოვებოდა ქუთაისში. ერთი სიტყვით, ზედმიწევნით და საკუთარი შრომით, უხელმძღვანელოთ გაცნობილი მქონდა ის საგანი და ის აზრები, რომელზედაც ეხლა ეს გუშინდელი პატრის-კუდი ასე მაღალ კილოიანათ მემუსაიფებოდა.

— ბიუხნერი არ წამიკითხავს, მიუგე, მაგრამ შენ მითხარ, ასე უცებ ღმერთი რამ დაგავიწყა? შარშან არ იყო, ქუთაისში, შუბლს იმტვრევდი დონ-ანტონის წინ მეტანიებით თქო?

— ბიუხნერი წაიკითხე და ჩემსავით განათლდებიო, — დარწმუნებული ხმით მიპასუხა. წამო ჩემთან და გათხოვებ მის თხზულებასო. დღესვე განათლდები, დღესვეო.

ამის მეტი არა გამიგონია-რა ღირსშესანიშნავი იმ დღეს სუფრაზე ისეთი, რომ ტვინში ჩამჭდობოდეს.

ავდექით თუ არა სუფრიდამ, ღრეჭიამ გვითხრა — ჩემსა მოდით სამივენი, თერძთან უნდა წაგიყვანოთ, ტანისამოსი შეგიკეროსო. ასე ვერ ივლით პეტერბურგშიო, სირცხვილია, ქართველი სტუდენტები ხართ, კარგათ უნდა ჩაიცვათ, რომ აქაურებმა ჩვენზე ცუდათ არ იფიქრონო.

ახალ ნასადილევს წაველთ ნევის პროსპექტისკენ, გამოჩენილ თერძთან, რომელსაც სახელათ რაუზერი ერქვა. ჩვენ სამს ღრეჭია და ბერიშვილი წაგვყვა. ბერიშვილი სადღაც სხვაგან თავის საქმეზე მიდიოდა და გზაც იქითკენ ჰქონდა.

გზაზე ბერიშვილმა აბაზაძის ლაპარაკი გაიხსენა.

— ერთ ამბავს გეტყვი, მითხრა, იმ ვაუბატონზეო. ასე რომ ყვირის „ღმერთი არა მწამს, ბიუხნერი წამიკითხავს, განათლება ამაშიაო“ და სხვ. და სხვ., იცი, თვითონ მაგას რა დაემართა? ამასწინეთ შენი ბიძაშვილი დათა დარჩენილიყო მასთან ღამე და მის ოთახში დაწოლილიყო. აბაზაძე მაშინ ღრეჭიას ძმასთან ერთათ იდგა. დაიძინეს სამივემ. ერთიც ვნახოთ, შუაღამეზე წამამდგარა აბაზაძე, — დღისით რომ იძახის ღმერთი არ არისო, — დაუჩოქნია ლოგინზე და ფრანგულ ლოცვებს ბუტბუტებს თურმე... გამოიჭვრიტა დათამ, დაინახა ეს ამბავი. მაშინვე თურმე ღრეჭიას ძმას მიუჩოჩდა, უნდოდა ეს სეირი ეჩვენებინა, მაგრამ აბაზაძე ლოგინზე მოტრიალდა, ალბათ, რამე ხმაურობა გაიგონა, მობრუნდა და თან ლოგინიც ჩატეხა: ჩავარდა თურმე საწოლის ქვეშ. ხმაურობამ ღრეჭიას ძმაც გამოაღვიძა. დათამ იმას მაშინვე ლოცვის ამბავი უთხრა. სამთელი აანთეს, ნახეს საწოლის თავში, ბალიშის ზევით, პაწია ჯვარცმა დაუკიდია ამ ჩვენ ატეისტს... აბაზაძეს უარის

თქმა აღარ შეეძლო. ის მაშინვე გამოტყდა და შეეხვეწა — ნურავის გაუმხელთო. ეხლა ჰგონია, რომ ეს ამბავი არავის გაუგია. ის კი არ იცის, მაგ საწყალმა, რომ მთელმა ჩვენმა სტუდენტობამ შეიტყო ეს სასაცილო შემთხვევა...

მოგეცათ დღეგრძელობა, ბევრი ჩვენ ამ ამბავმა გვაცინა!...

რაუზერმა ზომა აიღო ჩვენი ტანისამოსის შესაკერავი. ფასზე ღრეჩია გაურიგდა, აგრეთვე როგორც ფულის გადახდის ვადებზე. საზაფხულო ტანისამოსი უნდა შეეკერა, ისეთი, რომ სექტემბრამდი გვყოფნოდა, ფასათ თითოსთვის ექვსი თუ შვიდი თუმნისა, და ჩვენ ეს ფული ოთხი თვის განმავლობაში უნდა გადაგვეხადა, თვეში თუმნნახევრის ანგარიშით...

რაუზერიდამ მეჩექმე გოზესთან წაგვიყვანეს. თორმეტ-თორმეტ მანეთათ შეუკვეთა იმას ღრეჩიამ თითოსთვის ჩექმა-კალოში. ესეც ნისია იყო, მაგრამ მალე კი უნდა გაგვესტუმრებინა.

დავბრუნდით შინ. ღრეჩია მისსა დავტოვეთ და სამივე ახალ მოსულები ერთათ ჩაის დასალევათ წავედით, ქერაძის და თავძარას ახალ ოთახში.

ვიმუსაიფეთ ცოტა პეტერბურგის სიდიდეზე, მისი სახლების სიმაღლეზე, მისი ქუჩების სიგძეზე, გავიკვირვეთ, შევადარეთ ქუთაისის სახლებს და ქუჩებს, ჩაი დავლიეთ, ერთი სიტყვით განცხრომას თავი მივეცით. აბაზაძის საწოლს ქვეშ ჩავარდნა თუნდ ოთხჯერ-ხუთჯერ უამბეთ ერთმანეთს. რაღა, კარგ გუნებაზე ვიყავით, სანამ ქერაძემ განცხრომა არ მოგვიშხამა ამ უადგილო შენიშვნით:

— ეს ყველა კარგი, მაგრამ დღეს რომ ეს ვალი კისერზე დამადვესამ რაუზერის და გოზეს ვალი, საიდამ და როდის უნდა გადავიხადო?

იმავ ადგილს მიწა რომ გახეთქილიყო და შიგ მთელი პეტერბურგი ჩაეტანა, ისე არ გავკვირდებოდი, როგორც ამ უბრალო კითხვამ გამაოცა.

ჯერ, რასაკვირველია, უსიამოვნო კითხვის თავიდან მოშორება მოვინდომე:

— მამას მივწერ, და ის გამომიგზავნის მეთქი.

— მამაშენი შენ გამოგიგზავნის, შენი ვალის გასასტუმრებელს. ვთქვათ გიგოს მამაც მასე იზამს. მაგრამ მამა ჩემს რომ არ შეუძლია? ლამის მთელი ერთი წლის სახარჯო ფული მივფლანგე დღეს. რაუზერს და გოზეს თუ მივეცი ეს ფული, ქე რაღა ვქამო, ან თავი რით ვირჩინო?

ვიფიქრეთ ბევრი, ვიდავეთ, მაგრამ კითხვა კი მაინც ისევ კითხვათ დარჩა: ვერ გავარჩიეთ და ვერ ავხსენით.

— ალბათ, ასე უნდა, ჩვენზე უკეთ ძველმა სტუდენტებმა არ იციან!...

ამით დავკმაყოფილდით...

ნამდვილი სტუდენტური ოთახი. — როგორ იდგენ მაშინ ღარიბი სტუდენტები — პოლშელები. — „ქეეყნის დარდი". — დაუვიწყარი თვალები. — პირველი კაცური სიტყვა. — ჩემი ბიძაშვილის სიტყვა იმაზე, თუ ჩვენებს რისთვის მოშორდა.

მეორე დღეს, საღამოს, ავდექი და ჩემ ბიძაშვილთან წაველ: წიგნი წაუღე.

შორს კი იდგა ჩვენგან, ის დალოცვილი. ეკატერინის კანალზე, უშველებელი ბინძური სახლის მეოთხე თუ მეხუთე ეტაჟაში, ერთი ნამცეცა ოთახი ექირავნა, რომელშიაც ის და ორი სხვა პოლშელი სტუდენტი ერთათ იდგენ. რაც ჯერ ქართველების ოთახში არ მენახა, ის იქ დამხვედა. მათი ოთახი სწორეთ იმ სტუდენტურ ოთახს ჰგავდა, როგორც რომანებში სწერენ ხოლმე სტუდენტების ყოფა-ცხოვრებას. ყელ-მომტვრეულ ბოთლში სამთელი ერჭო: ეს გახლდა შანდალი. სტოლზე და ფანჯრებზე უთავბოლოდ დაგდებული წიგნების ფურცლებს შუა თამბაქო და მონაწევი პაპიროსები ეყარა. იატაკზე ალაგ-ალაგ წიგნი ეგდო, სხვაგან ნაწერი ქაღალდი, კუთხეში დაგლეჯილი ჩექმები, ჩუსტებათ გადაქცეული კალოშები და სხვა ამგვარი ხორაგი. ლოგინი მთელი ერთი თვე არავის გაესწორებია. ზედ საბნობას პალტო და შინელი შვრებოდა. არც ბალიშის პირის, არც ზეწრის ხსენება არსად იყო. მუთაქის მაგიერათ ბალიშის ქვეშ წიგნები ეწყო და ერთ საწოლს რომ ფეხი მოტეხოდა, ფეხის მაგიერ იმის ქვეშ წიგნები დაელაგებიათ. ერთი თითის სისქე მტვერი ედო ყველაფერს, რაც კი იმ ოთახში მოიძიებოდა. სტოლზე უთავბოლოთ ეყარა წიგნები, შავი პურის მონაჭერი, ძველ ქაღალდში გახვეული მარილი, კუპატი, თამბაქოში არეული შაქარი, ჩაის ჭიქა, რძის ბოთლი და სხვ. და სხვ.

თვითონ ოთახიც ამ მორთულობას შეეფერებოდა. დაბალ კედლებს ერთობ ვიწრო და დაბალი ფანჯრები ქონდათ დატანებული. ზედ გაკრული შპალერი ალაგ-ალაგ აფრეწილი და გამცვდარი იყო. დროთა ვითარებისაგან ჭერს იმგვარი სიყვითლე დატყობოდა, როგორიც ერთობ მოხუცებული კაცის ჭაღარა თმას ჰფერავს. შმორის სუნი და ნოტიობა კედლებსაც შეთვისებოდა, ჭერსაც და იატაკსაც.

სამი კაცი ეტეოდა ამ ერთციდა ოთახში. ორს მათგანს კრავატი ედგა საწოლათ, ომარხნობის დროისა, დამტვრეული და წვირით გალიფული. მესამე იწვა პატარა დივანზე, რომელზედაც ხუთი წლის ბავშვიც ძლივს დაეტეოდა. ჩემი ნათესავი სტოლთან იჯდა და პაპიროსებს ტენიდა. ერთი მისი ამხანაგი დივანზე იყო გაშხლართული, და მეორე — ლოგინზე. ორივეს ხელში წიგნები ეკავა, როცა ოთახში შევედი.

გაცნობის შემდეგ ერთი იმ პოლშელთაგანი ჩაის მზადებას შეუდგა: სამოვარი შეუკეთა, პურის და ჩაის საყიდველათ წავიდა... მეორე, ზრდილობის მოთხოვნისამებრ, წამოჯდა იმავ დივანზე, რომელზედაც წინეთ იწვა.

მუსაიფი დიდხანს უმნიშვნელო საგნებზე და კითხვებზე ტრიალებდა: რუსეთი როგორ მოგეწონაო, რუსი ხალხი რა ხასიათის გეჩვენაო, გზამ რამოდენა შეგაწუხაო და სხვ. პოლშელი ძლივს ამტვრევდა რუსულ ენას. ლაპარაკი იმას თითქმის იმოდნათ უჭირდა, რამდენათაც მე; გამოთქმა და ენის კილო კი უფრო გაძნელებული ჰქონდა.

მოვიდა მეორე პოლშელიც. მისი პირისახე და გამოხედულება დიდხანს არ დამავიწყდება, თუმც ის კაცი მე მის მეტათ აღარც კი შემხვედრია ჩემ სიცოცხლეში. იქნებოდა ოცდახუთი, ოცდაექვსი წლისა, ნაკლები და არა მეტი. პირთხელი და პირსუფთა, შუბლ-მაღალი, ღრმათ ჩაცვენილი თვალებით და ერთობ თხელი ტუჩებით, ის წამებულს ან წამებისათვის გამზადებულს ჩამოგავდა. ლოყებზე იმას ის რგვლათ შემოსაზული ფერი აჯდა, რომელიც ხშირათ ისე ამშვენიერებს ჭლეჭიან ახალგაზრდა ქალს. გრძელი წაბლისფერი თმა ლომსავით გადმოშვებული ჰქონდა მხრებზე... მაგრამ საქმე არც ამ პირისახეში იყო, არც ამ თმაში, არც ამ ფერში: რაც იყო — თვალები იყო, მათი გამოხედულობა, მათი საკვირველი ძალა... მოსვენებულათ, უბრალოთ შემოგხედავდა ეს კაცი თავისი ცისფერი თვალებით, დაგაკვირდებოდა, და უცებ გაუგებარი მწუხარება გაგიჯდებოდა მთელ ტანში. როდი იცოდი თუ რა დარდი ჰკლავს ამ კაცს, რა ფიქრი აწუხებს, რა სევდა ერევა; გრძნობდი კი, რომ მთელი მისი გული, მთელი მისი სხეული ავსებულია რაღაც უსაზღვრო მწუხარებით, და უკითხავათ, გამოუკვლეველათ თქვენც თანაუგრძნობდით ამ უცნობ და უცნაურ დარდს. ერთი სურათია რაფაელისა, რომელსაც „Mater dolorosa" ჰქვია, აი, სწორეთ ამავე გვარი თანაგრძნობით და სევდით ივსება ვინც კი ამ სურათს დააკვირდება ხოლმე...

პირველი კაცი, რომელმაც პეტერბურგში პირველი კაცური სიტყვა მითხრა — ის სიტყვა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ ხასიათს ერთბაშათ მიგავიწყებს და უცებ იდეალისკენ აგწევს, აგაფრენს, გაგაუმჯობესებს — ეს კაცი გახლდათ... ამ გვარი სიტყვისთვის ვიყავ წამოსული რუსეთისკენ, მისი იმედით მიყვარდა სტუდენტობა, მისი პატივი ავერ სამი წლის განმავლობაში მემარხა გულში... მთელი ორი დღე, რომელიც ჩვენ სტუდენტებთან გავატარე, ნიადაგ იმას ველოდი — აბა როდის მომესმება ეს სიტყვა-თქო, აბა ვინ შეეხება ამ ჩემი გულის სიმს-თქო... და ამ კაცმა პირდაპირ, მოუმზადებლათ, უკითხველათ, დაჯდა თუ არა, თითი ზედვე დაადო...

მთელ ტანზე თმა ამებუძგა მაშინვე, და თავიდამ ფეხებამდი იმ ჟრუანტელმა დამკრა, რომელიც „ზეგარდამო შთაგონებას“ ჩვევია თურმე...

რაში მდგომარეობდა ეს სიტყვა? მთელ მუსაიფში, რომლის მოყვანა აქ შეუძლებელია, და რომლის დასაწყისი ამ კითხვამ დასდვა:

— თქვენ ეხლა მთელი რუსეთი გამოიარეთ, კიდიდამ კიდემდი, ამისთანა ღირსშესანიშნავ დროს... იქნება ყური მოჰკარით აქა-იქ, სადმე, გლეხი ხალხი რა აზრისაა ახლა მის „განთავისუფლებაზე?“

საჭირო არც კი უნდა იყოს მთელი ჩვენი საუბრის მოყვანა. მარტო იმას ვიტყვი, რომ გათენება მოახლოვდა, და ჩვენი მუსაიფი ჯერ მაინც არ გათავებულიყო... მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, რომ ჩემი მხრით სათქმელი ბევრი არაფერი მექნებოდა. მაგრამ საკითხავი კი ბევრი მქონდა, იმდენი, რომ კაცს ჩემთვის ნება მოეცა იქნება მთელი ერთი კვირის განმავლობაშიაც ვერ დამეცალა ჩემი კითხვების გუდა...

მართალი უნდა ვთქვა, ძლიერ გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ ჩემმა ბიძაშვილმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ბაასში. ღრეჩიას სიტყვის შემდეგ იმას როგორღაც აღერღილათ უცქერდი. დიდს რასმე, რასაკვირველია, მუსაიფში ვერ შევამჩნევდი, მაგრამ იმ ღამეს, იქ. ყრუც რომ დაგვსწრებოდა, ისიც კი მიხვდებოდა — ამ ყმაწვილს გრძნობა ჰქონიაო...

დილას ყველანი ერთათ გამოველით გარეთ და ვასილის კუნძულისკენ ერთათ გავემგზავრეთ. პოლშელები წინ მიდიოდენ. დათა და მე ქართულათ ვმუსაიფობდით, შინაურ საქმეებზე. როცა ჩვენმა მუსაიფმა გულითადი, ძმური ხასიათი მიიღო, თავი ვეღარ მოვიკავე და გამოუტყდი, დიდათ მწყენს, რომ ჩვენებურ სტუდენტობას მოშორებიხართქო.

— რა ვქნა, ძმაო, მიპასუხა, მეც ძლიერ მწყინს ეგ მოშორება, მაგრამ რა გიეწყობა! ვერ მოვთავსდით ერთათ, ერთმანეთი ვერ შევიგუეთ... ერთობ ბევრი უფროსები ჰყავთ იმ დალოცვილებს, ერთობ ნამეტანი ბრმა მორჩილება აქვთ უფროსებისა... ღრეჩიაც ნამეტნავათ უფროსობს, და, რა ვქნა, ყურმოჭრილ ყმათ ვერ გაუხდი, თუმც პატივს კი ძლიერ ვცემ და ძლიერათაც მიყვარს, ღმერთმა ხომ იცის...

პოლშელებმა ფეხი აუჩქარეს და სადღაც მარცხნით გადაუხვიეს, როგორც კი ხიდზე გავედით. მასაქეთია არც ერთი იმათგანი არ მინახავს, არც მათი ამბავი გამიგონია: იმავე ზაფხულს გაქრენ სადღაც, თითქო ჯურღმულში. ერთი იმათგანი, ის, რომელიც იმ ღამეს მემუსაიფებოდა, ბევრი ვეძიე, მაგრამ მისი კვალიც კი გაჰქრა... ორი წლის შემდეგ გაზეთში შემხვდა მისი გვარი, ომში მოკლულების სიაში. ის იყო, თუ სხვა მისი მეგვარე არ ვიცი...

ფილიპე ბერიშვილი. — ორი სული ერთ გვამში. — მისი ხასიათი. — რა აზრით თავს იკავებს ის მოქმედებისაგან? — ხვალინდელ ქათამს დღეანდელი კვერცხი გერჩიოს. — ლათინური ენის სწავლა. — ნაოსნობა.

ივნისის დამდეგამდი ისევ პეტერბურგს უნდა დავრჩენილვიყავთ — ასე გადაწყვიტა ღრეჩიამ, — და მერმე „აგარაზედ“ გადაგვიყვანდენ, საზაფხულოთ. მაშასადამე ოციოდე დღე უნდა გამეტარებია ფილიპე ბერიშვილთან, მის პატარა ოთახში.

ფილიპე და მე მალე დავძმობილდით. საკვირველი ქმნილება იყო ეს კაცი: მისთანა ახირებული და თან სასიყვარულო პირი არც მანამდი შემხვედრია სადმე, არც მას შემდეგ. ამ კაცის კანში ბედს ორი წინააღმდეგი ხასიათის პირი ჩაუკვეტებია. ერთი მათგანი თავაზიანი, თავდაკავებული, გონიერი, გულგრილი და სხვისთვის თავგამომეტებული ქმნილებაა, ფაქიზიანი, მორიდებული, ფრთხილი, სუფთა და შორს გამჭვრეტი. მაგიერათ ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რამოდნათ ჯიუტი და თავისნებაა, რამოდნათ აჩქარებული და ცეცხლმოდებულია მეორე... სანამ ფილიპე მოთმინებიდამ გამოვა, სანამ მას რამე გააცეცხლებს ან აღაშფოთებს, მასში პირველი ხასიათი სჩანს და მოქმედებს. მაგრამ „ბზიკი რო უკბენს,“ „ჯორზედ რო შეჯდება,“ ეს ხასიათი მეორეს უთმობს ადგილს. მაშინ თქვენ წინ წამოდგება გაჭარხლებული, თვალებგამოკუსული, ათრთოლებული კაცი, რომელსაც როდიღა რამე ახსოვს, და რომელიც მზათაა გალეწოს და შემუსროს ყველაფერი, რაც კი წინ დახვდება ან ხელში მოხვდება... ვერ დაითვლის კაცი, მაშინ, მის მწარე სიტყვებს, ვერ წარმოიდგენს მის შფოთვას, წყრომას და რისხვას...

წეღან ვთქვი, ფაქიზი ხასიათის არის მეთქი. ავათმყოფობამდია მისული ეს მისი სიფაქიზე. არ შეუძლია ოთახში დარჩეს მოსვენებით, თუ უწესობა რამ დაინახა შიგ, ან მტვერი, ან დანგრეულათ დაწყობილი წიგნები, ან უთავბოლოთ დაყრილი ტანსაცმელი... რაგინდ საჭირო საქმეზე იყოს თქვენთან მოსული, მაშინვე საქმეს თავს დაანებებს და ქადაგებას დაგიწყებსთ: „როგორ იქნება ასე ბინძურათ ცხოვრებაო, ვერ მიალაგებინებდი, განა, ამ ოთახსო, ან შენ თვითონ ვერ დააწყობდი რიგზე წიგნებს და ტანსაცმელსო?“ და თუ ერთობ დაახლოვებული ამხანაგი იყო თქვენი, მაშინ — ქადაგების მაგიერ — როცა დაინახავდა, რომ აქ სიტყვა როდი გადისო — თვითონ შეუდგებოდა ოთახის დალაგებას... ერთათ როცა ვიდექით, ოთახში წესიერების დამცველიც ის იყო, ჩაის გამკეთებელიც (შენ სუფთად ვერ გააკეთებო), ჩაი-შაქრის მყიდველიც, მზრუნველიც და მშრომელიც. სიყვარულით კისრულობდა

ყველაფერს... სტუმარი რომ მოუვიდოდა, თუ დაინახავდა, რომ მის ტანსაცმელს ბუნდღლი მოდებია, მაშინვე მუსაიფს შესწყვეტდა, ადგებოდა, სტუმარს ნელა მიუახლოვდებოდა და ტანსაცმელიდამ ბუნდღლს ნაზათ ორი თითით ააცლიდა; მერე სინათლეზე დამკვირვებელი თვალით გასინჯავდა, ფანჯარასთან მიიტანდა და ფაქიზათ სულს შეუბერავდა; ისე მოიცილებდა ბუნდღლს ოთახიდამ... გაქვსთ სიცოცხლე, ჩვენ ყველა ამისთანაებზე დავცინოდით ხოლმე! და თვითონ ფილიპეც იცინოდა, დიდხანს, მთელი თვეობით, სანამ დაცინება ილაჯს არ გაუწყვეტდა, და თხოვნას არ დაგვიწყებდა თავი დამანებეთო. მერე, ხვეწნა რომ არ გაუვიდოდა და გაფრთხილება არას უშველიდა, ერთ თავისებურათ შემოგვიტევდა, შემოგვკივლებდა, გაცეცხლდებოდა ორი მინუტის ვადით, იღრიალებდა, რასმეს დაამტვრევდა, გულს მოიკლავდა ან მოიქავებდა... და ისევ ძველებურათ ტკბილ, თავაზიან და ფაქიზ ფილიპეთ გარდიქცეოდა.

ფილიპე ბევრს ფიქრობდა, ბევრს კითხულობდა იმ დროს: ჩვენ ყმაწვილებში ის ცოდნით როდი ვისმეს ჩამოუვარდებოდა. მისი ნიჭი იშვიათათ გამოჩენილა, ამიტომ, რომ თუმც დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ნიჭს მიწაში მარხავს. ერთობ მძიმეთ, ერთობ სინიდისიანათ უცქერს ცხოვრებას და მოქმედებას. საქმეს კაცმა მარტო მაშინ უნდა მოკიდოს ხელიო, ამბობს, როცა ხელში ყველაფერი მზათა აქვს საქმის ბოლომდი მისაყვანათო... ყველას რომ ასე ემოქმედოს, ბევრი არაფერი გაკეთდებოდა ქვეყანაზე... ყოველი კაცი ვალდებულია ერთი ნაბიჯი მაინც წაადგმევინოს წინ თავის დროს და თავის თანამედროებს. ჩვენ რო იმას უცადოთ, თუ როდის მოგვეცემა საშუალება ხალხს სრული და საბოლოო სიკეთე ერთბაშათ მივანიჭოთ, ვინ იცის, იქნება ამისთანა საშუალება ჩვენ დღეშიაც არ გვეღირსოს?... ის ჰქენი, რაც შეგიძლია, რისიც ღონე გქონდეს, რაც მოხერხდეს, დიდი იყოს, თუნდ მცირე. გაბედე, სცადე, და თუნდ არა გამოვიდეს რა, ამ გაბედვასაც და ამ ცდასაც სარგებლობა მოსდევს: აუხოცველი კვალი მაინც დარჩება, ერთ ადამიანს მაინც გაეფხიზლება, ერთი წუთის ვადით მაინც შეწყდება ის საზოგადო დუმილი, რომელიც ხალხს გონებაზე ტყვიასავით აწევს... რამდენჯერ მოუნდომებია ფილიპეს ჟურნალის ან გაზეთის დაარსება, და ვერ გაუბედამს: საკმაო ფული არა მაქვსო, საკმაო თანამშრომელი არა მყავსო, რომ გაზეთი ნამდვილათ, ს ა მ უ დ ა მ ო თ დავაარსოო. ამის გამო ჯერ იმას არც სამუდამო რამ დაუარსებია, არც დროებითი. დაეწყო, დალოცვილს, დაე სამუდამო ნუ ყოფილიყო, დაე მარტო ორიოდ სამი თვე ეცოცხლა მის გამოცემას. განა იმ სამი თვის განმავლობაში ცოტა აზრი გამოითქმებოდა, ცოტა მოძრაობა მოხდებოდა, ცოტა სარგებლობა მოიტანებოდა? ამ მხრით მისი მოაზრება იმ თრიის მოქმედებას ჩამოგავს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ნიგოზს ბოქდა:

შოხუცებულობის დროს მოვიხმარო. დაბერდა თრია, ნიგოზი ბევრი მოაგროვა, მაგრამ, საუბედუროთ, სიბერესთან კბილები დააკლდა, და ბლომათ მოგროებული ნიგოზი ვეღარც კი მოიხმარა...

საყოველთაოთ განთქმულია მისი მიუდგომლობა, მისი ხასიათის სიმართლე და გონების სისწორე. ყველამ დაინახა, შარშან ქუთაისის ბანკის კენჭის ყრის დროს, რამოდენათ მართალი ვიყავით ჩვენ ყველანი, ვინც ამ „უმოქმედო კაცის“ ნიჭს და ჭკუას ისე მაღლა ვაფასებდით და ვაფასებთ... დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი უფრო აშკარათ გამოაჩენს ამას... მაგრამ ჩემ საგანს ერთობ დავშორდი. დაუბრუნდები ისევ პეტერბურგს.

როგორც კი დავსახლდი ფილიპესთან, იმან მაშინვე თავისი სამშაურიანი წიგნი აიღო და მომაჩეჩა: ლათინური ისწავლე საეგზამენიოთო. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ დროს გიმნაზიებში ყველას კი არ ასწავლიდენ ლათინურ ენას. ვისაც სურდა, ის ლათინურს სწავლობდა, და ვისაც არა, — ის კანონებს. რადგანც მამაჩემს არამც და არაძც არ უნდოდა ჩემი გაგზავნა მაღალ სასწავლებელში, და რადგანც ის სიყრმიდამვე ვაჭრათ მამზადებდა, ამისთვის გიმნაზიაში კანონებს ვსწავლობდი, და არა ლათინურს. და რაკი, გიმნაზიის გათავების შემდეგ, გავჯინდი და მამას ძალა დავატანე უნივერსიტეტში გასაგზავნათ, ეხლა ლათინური უნდა მესწავლა ეგზამენის დასაჭერათ. ფილიპე გახდა, ამ საგანში, ჩემ პროფესორათ.

ოამდენი წვალება გამოვარონიე იმ უბედურს! უნდა გამოვტყდე, ჩემისთანა ზარმაცი არა გაუჩენია რა ღმერთს სწავლისათვის. „ურო-კის“ დამზადება და სწავლა ყოველთვის ჟამათ მიმაჩდა. არც გაწყრომას, არც შეგონებას, არც დარიგებას, არც ხვეწნას, არც დატკბობას არასოდეს გავლენა არ ჰქონია ჩემზე, ამ შემთხვევაში, არც გიმნაზიაში, არც პეტერბურგს. ხშირათ მომინდომია, თვითონ მესწავლა ეს წყეული „ურაკები“. ხშირათ თავისთვის ძალა დამიტანებია, ხშირათ მითქვამს ჩემ გულში: „სირცხვილია, სხვა სწავლობს, და შენ კი ვერა თქო, სხვა გჯობნის, სხვა გასწრობსთქო,“ მაგრამ არც ამას გაურიგებია რა... ჩემ ბუნებას ყველაფერი, რაც კი დაწესებული, ნაჩვევი, წინათვე განსაზღვრილი და კალაპოტში ჩასმულია — ეწინააღმდეგება, როგორც ცეცხლს — წყალი. მახსოვს, გიმნაზიაში კანონებს გვასწავლიდენ, და არასოდეს იმ კანონების დასი ხეირიანათ არ დამიმზადებია, თუმც წიგნები კარგი მქონდა. მეომებოდა მასწავლებელი, სულ ნოლებს მიწერდა დავთარში, მიწყრებოდა, ინსპექტორს და მშობლებს მასმენდა, მსჯიდა, მაგრამ არა გაეწყო-რა, ვერ ვისწავლე და ვერ... ერთიც ვნახოთ, მასწავლებელი ავათ გახდა. სამი თვის განმავლობაში კლასში ფეხი არ შემოუდგამს. არავინ იცოდა ჩვენში, როდის დაიწყებდა სიარულს. ხმაც გავარდა-კანონების სწავლა მოისპობა ერთიანათო. ერთ-

ხელ, როცა თავისუფალი ვიყავით, გავშალე მისი საგნის წიგნი და უსაქმურათ კითხვა დავიწყე. გამიტაცა საგანმა, და სანამ მთელი წიგნი არ გავათავე არც ერთ სხვა მასწავლებლისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ამ კითხვით ისე შევისწავლე ის საგანი, გიმნაზიაში, რომ შემდეგ უნივერსიტეტშიაც კი გამომადგა მისი ცოდნა...

აბა იფიქრეთ, რას მასწავლიდა ფილიპე! დამიწყებდა თუ არა თარგმნას, მაშინვე თავში ათასი ოცნება და აზრი გამკრავდა. დაღუნავდა თავს ფილიპე, გვერდით რომ მომისვამდა, ჩაიყურყუმალებდა ლათინურ წიგნში და დაიწყებდა: Bellum scripturus sum, quod populus Romanus cum Jugurtha, rege Numidarum, gessit...

ის მაშინ მეტზე როდი რასმეზე ჰფიქრობდა. იმას მაშინ მარტო ის ახსოვდა, რომ bellum — ომია, scriptum sum — ეწერო და სხვ. მე კი მაშინვე თავში ის მეხატებოდა, რომ კარგი სანახავი რამ უნდა იყოს ომი, რომ დიდი არაფერი უნდა ჰყოფილიყოს იუგურტას ომი[54], რომ ამ ომსაც ომს უძახიან, და ნაპოლეონის ომებსაც — ომს, და სხვ. და სხვ. ერთობ შორს გამიტაცებდა ხოლმე ამნაირი მოაზრება, და საქმე ხშირათ იმით გათავდებოდა, რომ ვფიქრობდი: „რომაელების მაგიერ იმ ომში იუგურტას რომ გაემარჯვა და რომაელები დაელეწა, ვინ იცის, იქნება ქვეყნისა და კაცობრიობის ბედი ამით შეცვლილიყო? იქნება, მაშინ, მე პეტერბურგს კი არ ვიქმნებოდი, სადმე ტუნისის ან ტანგერის უნივერსიტეტში შესვლას ვეპირებოდი?“ ფილიპე კი თავისას კითხულობდა.

— Quascumque urbis et argos manu ceperat...

და მკითხავდა:

— ხომ გესმის, manu ceperat?... Ceperat წარმოებს ზმნისაგან Cario, Cepi, Cartum, Capere, რომელიც ნიშნავს „ვიღებ, ვიტაცებ,“ manus, manus, ხელია, manu ceperat „ძალათ აღებას, დამორჩილებას, დაპყრობას“ ნიშნავს...

მაგრამ, რაკი შემომხედავდა, იმ წამსვე ჩემ გაშტერებულ პირისახეზე წაიკითხავდა, რომ ყური არ მიგდია არც მის კითხვისთვის, არც მის ახსნისთვის.

— იმე, იმე, რავა იქნება, შე კაცო, თუ სწავლულობ ქე ისწავლე!..

— უკაცრავათ, ჩემო ფილიპე, უკაცრავათ, მეტს აღარ გაწყენინებ, აწი კი ყურს გულმოდგინეთ დაგიგდებ...

დაიწყებდა ხელახლავ თავიდამ „Bellum scripturus sum“ და კიდევ, ათიოდ წუთის შემდეგ, შემომხედავდა:

— რომ არც ეხლა მიგდებ ყურს?...

ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ტკბილათ მეტყოდა ამისთანა საყვედურს, მეექვსეჯერ წიგნს თავში მესროდა, წამოხტებოდა ბზიკსავით და გავარდებოდა გარეთ...

სინდისი და თავმოყვარეობა მაიძულებდა მაშინ თვითონ ამეღო წიგ-

ნი და გულმოდგინეთ მესწავლა. მაგრამ ტვინში რომ არც ბაშინ არაფერი შედიოდა! შტერსავით ვუცქერდი ხოლმე წიგნს, ნახევარი ან მთელი საათის განმავლობაში, ვატრიალებდი მის ფურცლებს, ფრჩხილით ვნიშნავდი მის სიტყვებს, თუთიყუშსავით ვიმეორებდი, ხან ნელი ხმით, ხან ხმა მაღლა, „Bellum scripturus sum", ბოლოს დავაფურთხებდი წიგნს, წამოვხტებოდი, ნევისკენ გავსწევდი, ავიყვანდი ნავს და ვსეირნობდი წყალზე ორი, სამი საათის განმავლობაში...

ტუჩკოვის ხიდის ახლო იდგა ჩვენი სახლი. ხიდს გაღმა პეტროვის პარკია, რომელშიაც ბევრი ტბა და თხრილებია გაყვანილი. იქ მიყვარდა ნაოსნობა. იქ პატარა ნავებს აქირავებდენ, საათში ხან აბაზათ, ხან ორ აბაზათ. პატრონი ნავს ჩაგვაბარებდა და გაგვიშვებდა, უმენავოთ. ნავის ნიჩაბი მირჩევნოდა სალიუსტისაც და იუგურტასაც...

—6—

პირველი ჩემი რობინზონობა. — რა რიგათ დავრჩით ზღვაში სილაზე? — იმედი უიმედობაში. — გადავრჩით! — საყვედური, დარიგება და სინანული.

ერთხელ, ფილიპე რომ გამექცა და წიგნს მარტო უჯექი, შემოვიდეხ ჩემთან ქერაძე და თავძარა. ორივეს ისიც იყო სწავლა გაეთავებიათ და სეირნობა განეზრახათ, რადგანაც ჩინებული, მშვენიერი საღამო იყო.

— მოდი, ყმაწვილებო, ნავით ვისეირნოთ პეტროვის პარკში, უთხარ იმათ. რა კაია, რო იცოდეთ, რა სასიამოვნოა!

ორივე დამეთანხმა. წავედით. გაველით თუ არა ტუჩკოვის ხიდზე, თავძარამ ხიდის ყურში ნავები დაინახა.

— აი ნავებიო, თქვა, აქ ვიქირავოთო.

— თვითონ პარკში ვქირაობ-მეთქი.

— სულ ერთი არაა, განა? აქვე ვიქირავოთო.

მე რომ ნავებს ვქირაობდი უწინ, ვქირაობდი იმ ადგილს, საცა პეტროვის პარკში ნევიდამ პატარა რტო შედის. ის რტო იქვე ტბათაა გაფართოებული და ასიოდე საჟენის იქით ხელახლავ ნევას შეერთვის. ჩვეულებათ მქონდა ამ რტოს მივყვებოდი ნავით, ტბას გავიარდი, ნევაში შევიდოდი, და ბოლოს ისევ იმ ადგილს ვბრუნდებოდი, სადაც ნავებს აქირავებდენ. ტუჩკოვის ხიდთან კი ნევიდამ მეორე, უფრო დიდი რტო გამოდის. ვიფიქრეთ — ალბათ, ეს რტოც იმგვარათვე უვლის პეტროვის პარკს და ნევაში მალე ჩაერთვება, როგორც მეორე პატარა რტო. ამის გამო ნავით იმ რტოს (Ждановка-ს) ავყევით.

ვიარეთ ნახევარი საათი. ნიჩბები მე მეკავა.

— ბიჭო, ამ რტოს მგონია შორს მივყავართო, თქვა ქერაძემ.

— ქე სად უნდა წაგვიყვანოს, ისევ ნევას არ უნდა შეუერთდესთქო, მიუგე.

— მოდი დავბრუნდეთ, ეშმაკს თვალი არ უჩანს, ქე არ დავიბნეთ!

— რაღა დროს დაბრუნებაა, ამდენი გზა გამოგვივლია, ბარეღამ ცოტა კიდევ გავიაროთ.

ვიარეთ კიდევ ერთი საათი: ნევა არსაით მოჩდა. დაბრუნება სჯობსთქო, მეც ვიფიქრე, მაგრამ სირცხვილით ვერ გამოვთქვი. საშინლათ კი გამეხარდა, როცა ქერაძემ ისევ უწინდელი წინადადება შემოიტანა: იმ წამსვე დავთანხმდი.

მაგრამ მაშინ თავძარამ დაიძახა: რაღა დროს დაბრუნებაა, აი ნევაც გამოჩნდა.

მართლაც, გამოჩნდა ნევა და ჩვენ ამაყათ შიგ შევცურეთ. გავიარეთ თუ არა ცოტა ოდენი ალაგი, მაშინვე შევნიშნეთ, რომ წყალი ერთობ ჩქარია: ისე გააქანა ნავი, როგორც შურდული... მივიხედ-მოვიხედეთ: ეს ჩვენი ნევა როდია, ის ნევა, რომელიც ტუჩკოვის ხიდთან და ჩვენი სახლის წინ ჩამოდის: ეს რაღაც სხვა წყალი ყოფილა... მაშინვე გამეჭრიახათ მივხვდით: ალბათ, ეს სხვა რამე შტოა ნევისა, და უეჭველია, რომ ისიც ჩვენ ნევას, დიდ ნევას, უნდა ერთვოდეს. გავყევთ ცოტათი და მალე დაგვაყენებს სწორე გზაზედო, ვიფიქრეთ. გავყევით, ან სხვა რაღა გზა და ღონე გვქონდა, წყალი თავისით მიგვაქანებდა... არ გაუვლია ნახევარ საათს, შევხედეთ, ამ გაქანებულმა წყალმა ზღვაში ამოგვაყოფინა თავი. მოგეხსენებათ, კარგ ფერზე არც ერთი ჩვენგანი არ იქნებოდა: ზაფრანის სიყვითლემ ყველას გადაგვკრა, მაგრამ შეშინების გამოჩენას ვერავინ ბედავდა. მაგარი ეს იყო, რომ შენობა როდი რამ ჩნდა გარშემო, და ღამეც შემოგვეპარა. იქნებოდა ათი საათი, ან მეთერთმეტე... მართალია, მაისში ძლიერ ღია, ნათელი ღამეები იცის პეტერბურგმა, მაგრამ მაინც ღამე იყო და ღამე...

შეგვატოპვინა თუ არა წყალმა შუაგულ ზღვაში, გაგვსილა. ავიღეთ ხელში ნიჩბები, დავაჭირეთ სილას, დავძარით ნავი, მაგრამ ორი მინუტის შემდეგ ისევ სილაზე დავრჩით. დავანებეთ თავი და დავსხედით სულის მოსაბრუნებლათ. თავიდამ ფეხამდი ისე გაწუნწუული ვიყავით — ზოგი სიმწრის ოფლით, ზოგი დაღალულობის ოფლით, — თითქო ისიც იყო წყალში ამოვეველეთ ვისშე.

მოვიბრუნეთ სული.

— რა ვქნათ ეხლაო, დაბალი ხმით იკითხა თავძარამ.

— ეს სულ შენი ბრალიაო, პასუხის მაგიერ მომიბრუნდა ქერაძე.

რაღა მქონდა სათქმელი? გავჩუმდი მუდოსავით, თავჩაღუნული.

— რაზე დაგვღუპე, შე წყეულოო, მომდგა მაშინ თავძარა, რაკი დაინახა, რომ მეც ვეკრძნობდი ჩემ პირშაობას. მომდგა და გემოიანათ, მადიანაო ლანძღვა დამიწყო: შენ ასეთო, შენ ისეთოო.

— არა, ჩვენ რისთვის ავყევით, ბანს აძლევდა მას ქერაძე: მაგ არ იყო, ფოთში კინაღამ დაგვღუპა, ნავით რომ ზღვაში შეგვიყვანა!

სათქმელი არაფერი მქონდა და სწორეთ ამან ამომაღებინა ხმა, ამან ამომიდგა ენა.

— რა მოხდა, შე კაცო, რა ვუყოთ მერე, რა დიდი საქმეა-მეთქი? ხომ არ დავღუპულვართ ჯერ, დავისვენოთ და გზას ვიპოვით. ჩემ კისერზე იყოს, თუ თქვენ რამე მოგეწიოსთქო.

ისეთი მარჯვე ხმით ვთქვი ეს, თითქო მართლა დარწმუნებული ვყოფილვიყავ, რომ ადვილი იყო ჩვენი შველა. მეტი არა აქვს ჩემ მტერს, მე იმედი მაშინ არ მქონოდეს არავითარი! ის კი გამკრა თავში, რომ „ჩემ კისერზე იყოს", და რაკი დავღუპებით, ქე ვის გაახსენდება საყვედური: საკმაოთ დასჯილი მაინც ვიქნებითქო...

ავიღეთ ხელ-ახლავ ნიჩბები და ხელ-ახლავ დავძარით ნავი. ნიავმა და წყლის მოძრაობამ გაგვიტაცა კიდევ რამდენიმე ხანი.

ბოლოს გვეღირსა იმედი. გამოჩდა შორს, ძლიერ შორს, მოოქრული გუმბათი ისაკის სობოროისა. მეტი აღარაფერი ჩნდა იმ ადგილიდამ წყლის გარდა. არც ერთი შენობა არ მოჩნდა პეტერბურგისა. ნაპირიც შორიდამ სხვილ თოკს გვანდა, წყალზე შავათ გაჭიმულს.

გადავწყვიტეთ: მოვაბრუნოთ ნავი, პირი მოოქრულ გუმბათისკენ უყოთ და ვინიჩბოთ სამივემ; მოვძებნოთ ნევა, რომელიც უნდა იყოს, დიდი, ბინდ პატარა. და ავყვეთ, ისაკის სობორომდი. იქიდამ ხომ ადვილათ ვიპოვით ჩვენ სახლს.

როგორც გადავწყვიტეთ, ისე მოვიქეცით. ვინავეთ, ვინიჩბეთ, ვიწვალეთ და მეორე დღეს დილის თერთმეტ თუ თორმეტ საათზე მივადექით ტუჩკოვის ხიდს. ოფლით ვიყავით გაღვრილნი, ხელებზე ტყავი გვქონდა გადამძვრალი, ფეხები დაბრუშებული გვქონდა, ძვლები გვტკიოდა და სხეული. გვშიოდა ისე, რომ მგელს გავგლეჯდით. ქვნეშით, ქვნესით, ვაივაგლახით მივედით შინ. მენავეს საათი დაუტოვეთ ჯირაოთ, რადგან იმდენი ფული ჯიბეში არავის გვედო, რომ თექვსმეტი საათის ქირა გადაგვეხადა.

შინ რომ მივედი, ოთახი ცალიერი დამხვდა. მაშინვე ლოგინზე გავიშხვართე: მეტისმეტმა დაღლამ შიმშილიც დამავიწყა. და იმწამსვე რომ დავიძინე, მეორე დღის საღამომდი არ გამომღვიძებია. ბევრი მაღვიძა, თურმე, ფილიპემ, ბევრი მარწია, ბევრი წყალი მასხა, მაგრამ გაღვიძებით კი ვერ გამომაღვიძა...

ამის თაობაზე მეორე დღეს საღამოს დიდი საყვედური გვერგო და დიდი ამბავი მოხდა. მოვიდა ჩვენსა ღრეჭია და სამივეს ძლიერ გაგვიწყრა: ეს რას გავსო, როგორ შეიძლება მარტო თრევაო, ვის გაუგონია ყმაწვილის ამნაირი ქცევაო, რომ დამრჩვალიყავით მერე რას აპირებდითო, და სხვ. და სხვ. მოვინანეთ დიდათ და პირობა დავდევით — მეტს აღარ ვიზამთ ამისთანა უსაქციელებასო.

ჩვენი აგარა შავ-წყალზე. — ოთახების დარიგება. — საულ ქერაძე. — ხასიათი და ენერგია. — ხუცესი და ჯორი.

იმ დროს უნივერსიტეტის სწავლა შეწყვეტილი იყო: ეგზამენებზე ჰქონდა ყოველ კაცს მივარდნილი შრომა, და ლექციები სექტემბრამდი როდი დაიწყებოდა. ამის გამოისობით ბევრი ჩვენებური ყმაწვილები, განსაკუთრებით ქართლ-კახელები, შინისკენ გამგზავრებულიყვნენ. მე რომ ძველ პეტერბურგს, იქ არც ი. ჭ. დამხვდა, არც ბევრი სხვა.

დადგა თუ არა პირველი ივნისი, შევკარით მაფრაშაში რაც ბარგი და ბარხანა გვქონდა, ვიქირავეთ ურემი და გავსწიეთ სოფლათ „შავ წყალზე". იქ ღრეჭიას თავისთვის სახლი ექირავნა და ჩვენთვისაც იქ დაენიშნა დგომა.

ბისი ნებართვით ფილიპეს ექირავნა სამ-თვალი სადგომი, ხის სახლის მეზონინში, ესე იგი სახურავ ქვეშ რო ოთახებს დაატანებენ. კარგი სუფთა სადგომი კი იყო, ფართოც, მშრალიც; არც ძვირი იყო ნამეტანი. შიგ ხუთი კაცი უნდა დავმდგარიყავით, და სამი თვის ქირათ შვიდ თუმან ნახევარი უნდა მიგვეცა. თითოს გვხვდებოდა ხუთ-ხუთი მანეთი თვეში...

სახლს წინ ბოსტანი ჰქონდა, ყვავილებით სავსე. საუბედუროთ ის ბოსტანი ქვედა მდგურს ჰქონდა მიქირავებული, და ჩვენ შიგ შესვლა არ შეგვეძლო. უკან პატარა ეზო იყო, მაგრამ ეს ეზო სახლის პატრონს ჰქონდა მიჩენილი, რომელიც იქვე ცალკე სახლში იდგა. ჩვენ მარტო გზა გვქონდა შემოსასვლელი: ბოსტნის გვერდით უნდა გაგვეარა, მერე სახლის კედელთან, ბოლოს ეზოსთან უნდა შეგვეხვია და ჩვენ კიბეზე ავსულვიყავით. ჩვენ სადგომს კიბე უკანიდამ ჰქონდა დატანებული, იმ მხრით, საცა სახლის პატრონი იდგა.

ჩინებულათ მოვთავსდით ამ სადგომში: ფილიპე და ვ. ს (ქართლელი სტუდენტი) ერთ თვალში მოთავსდენ, რომელსაც ის ბარაქა მაინც ჰქონდა, რომ სხვებსავით გასავალი არ ყოფილა. დიდ, შუაგულ ოთახში, რომელიც, ზალისამებრ, სხვაზე უფრო ნათელი და ლაზათიანი იყო, დაბარგდენ თავძარა და ქერაძე. მე მარტოხელა დავრჩი, მერგო შესავალი და გასავალი პატარა ოთახი, რომელიც ეზოსკენ და კიბისკენ იხედებოდა ერთი ნამცეცა ფანჯრით. ყველანი დავკმაყოფილდით ან განაწილებით, ყველანი მოვეწყვენით თავის ნებიერათ: გავიმართეთ სტოლები, გავშალეთ წიგნები და შეუდექით სწავლას.

თითოეულს ჩვენგანს, ახალ მოსულს, ხუთი საგნიდამ უნდა დაეკავა ეგზამენი. ქერაძეს ჩემსავით ლათინური არ უსწავლია გიმნაზიაში; და თავძარას თუმც ლათინური ესწავლა, მაგრამ ატესტატის სისუსტით სხვა საგნებში წელი უნდა გაემაგრა...

სწავლას შეუდექით-მეთქი, რომ მოგახსენეთ, მართლა ის კი არ გეგონოთ, ვითომ შრომას ყველამ ერთნაირი მუყაითობით გავებმით. წელანაც ვთქვი, სწავლაში დიდი ზარმაცი გახლდითქო. თავძარა ცოტათი მჯობნიდა ამ მხრით, მაგრამ ბევრით კი არა... მაგიერათ ჩვენ ორივეს ალაგას შრომობდა და მოღვაწეობდა ქერაძე, რომელთანაც დროა მკითხველი გავაცნო.

ესეც ერთი ახირებული ყმაწვილი გახლდათ... საზოგადოთ უნდა შენიშნოს კაცმა, რომ ჩვენ ქართველობას იშვიათათ დაჰყვება ხოლმე ხ ა ს ი ა თ ი, მუყაითობა. ბევრი ჩინებული, სასიყვარულო, აღმტაცი თვისება აქვს ჩვენ ხალხს, არც ჭკუა აკლია, ღვთის მადლით, მაგრამ ერთი ზნე ბედათ დაუტანებია ღმერთს ჩვენთვის. ნემეცივით ან სომეხსავით ვერ ეტყვის ჩვენი კაცი თავის თავს: „აი ამა და ამ მიზნის მიღწევა მინდა, და რაც უნდა დამემართოს, რაც უნდა შემხვდეს წინ, ამ ჩემ გზას და მიზანს არ ავცილდები, თავს არავის შევაცდენინებ, სხვა ახალი, უმჯობესი მიზანი რომ შემხვდეს, არ გავეკიდები: ჩემსას არ დავივიწყებ, თუნდ დავრწმუნდე, რო გროშათ არ ღირებულა.“ და თუნდ უთხრას კიდეც თავის თავს ამისთანა სიტყვა, ვერ გასტანს და ვერ აასრულებს ამ თავის განზრახვას, ვერ მიალევს იმას მთელ თავის სიცოცხლეს, ვერ დაიხშობს თვალებს ყველაფრისთვის, რაც კი ამ მიზანს არ შეეხება... ხომ მართალია, მკითხველო, რომ ჩვენ კაცს, ქართველ კაცს, იმერელი იყოს, გინდ კახელი, გურული გინდ მეგრელი, ქართლელი გინდ სვანი, არ მოსდევს ამისთანა თვისება?

აქ მე იმას კი არ ვსჯი — კარგია ეს თვისება თუ ავი, სასარგებლო თუ სავნებელი, საქები თუ საძრახი, — იმას ვამბობ მარტო, იშვიათათ გამოჰყვება-მეთქი ჩვენ კაცს ამ გვარი თვისება, და რადგანც არ მინდა, რომ მკითხველი მის ხასიათზე შეცდეს, ამ საგანს უფრო გარკვევით გამოვხატამ.

ეს თვისება „ენერგია“ როდია. ენერგია იმ შინაგან ძალას ჰქვია, რომელიც კაცს მოსვენებას არ აძლევს და მუდამ ჯლინქვებს ჰკრავს, წინ სწევს რომელიმე წინეთ განზრახვილ და ხანდისხან სრულიათ განუმარტებელ მიზნისკენ. ენერგია სისხლს უშფოთებს კაცს, და ისე სწვავს, ისე ადნობს, როგორც ალი—სამთელს. ენერგიით სავსე კაცი ხან ღობეს მოედება, ხან ყორეს, ხან მთას მივარდება, ხან ბარს. ის ყველაფერს სცდის ყველაფერს ხმარობს, ამიტომ რომ მის ენებით ანთებულ თვალებისთვის აღარაფერი არსებობს, გარდა იმ ძალისა, რომელიც მას მიზნისაკენ სწევს. ის თვითონ კი არ მიდის მიზნისკენ, მიზანი მიიტაცებს იმას თავისკენ. ის თვითონ კი არ ლაგმავს თავის თავში სხვა და სხვა ბუნების მოთხოვნილებას, რომ ერთიანათ თავის მიზანს მიეცეს. არა. ყველა ეს მოთხოვნილებები თავის თავათ ჰქრებიან მასში, ამიტომ რომ ენერგია მათ ადგილს აღარ უტოვებს, და ისე ჰკლავს, როგორც ვენახში

დარგული დიდი ნიგვზის ხე ახლო-მახლო ამოსულ ეაზს აღარ ახარებს...

სულ სხვა რიგია „ხასიათი," მუყაითობა. ამ თვისებას თვითონ კაცი აღმოზდის თავის თავში. ყოველ ქმნილებას კი არ შეუძლია ენერგიული გამოვიდეს: ამისთვის საჭიროა იშვიათი ნერვები, იშვიათი სისხლი, იშვიათი სხეული... მაგრამ ყოველ კაცს შეუძლია „ხასიათი" შეიძინოს, ყოველ კაცს შეუძლია მუყაითი შეიქნეს. ხასიათიანი კაცი თითონ ლაგმავს თავის თავს, თითონ აღშობს ზოგიერთ თავის მიდრეკილებას და აძლიერებს ზოგიერთ სხვას. ის თავის თავს ნებას არ აძლევს გადაცილდეს წინათვე აღნიშნულ გზას, და ძალას ატანს ფეხი აუჩქაროს ამ გზაზე სიარულსა. ის ემორჩილება მარტო თავის გონებას, მაშინ, როდესაც ენერგიის მქონე კაცი მარტო თავის ვნებას (страсть) ემონება. პირველი მოქმედობს და გრძნობს ტვინით, და მეორე კი — გულით...

მკითხოს იქნება ვინმემ, რომელი სჯობიაო? ხომ გსმენიათ ანდაზა: „ზოგს ხუცის ცოლი უყვარს, ზოგს ხუცის ქალიო?" ჩემდა თავათ, ორივე მიყვარს. და ხუმრობა იქით იყოს, ორივე ეს თვისება საჭიროთ მიმაჩნია საზოგადო ცხოვრებისთვის.. ზოგი დროა, როცა საზოგადოებას „ხასიათიანი" მსახურნი სჭირია, ზოგი კი იმისთანა დრო დადგება ხოლმე, როცა ენერგიული პირები აუცილებლათ საჭირონი და მეტის მეტათ გამოსადეგნი არიან... მდიდარი და ბედნიერი საზოგადოება ის არის, რომელსაც ორნაირივე ქმნილებები ბლომათ ჰყავს..

იმას მოგახსენებდით, რომ ქერაძე „ხასიათიანი" კაცი იყოთქო. ისე წვრთვნიდა თავის თავს, როგორც მონადირე მიმინოს გაწვრთნის ხოლმე... გაგონილი გექნებათ, ალბათ, იმ ხუცის ამბავი, რომელმაც მოინდომა თურმე ერთხელ თავისი ჯორი ჭამაზე გადაეჩვია. უკლო და უკლო საწყალს თივა და ქერი, და ბოლოს იქნამდი მიიყვანა, რომ ნახევარ მუჭა თივას აძლევდა დღეში და ერთ ბეწვა ქერს.

— ისე კარგათ შეეჩვია ჩემი ჯორი შიმშილსო, ამბობდა თურმე ეს ხუცესი, რომ ორიოდე კვირა კიდევ დასცლოდა, ჭამას ერთიანათ გარდაეჩვეოდაო. საუბედუროთ მომიკვდა, ის წყეული: რაღაც ავათმყოფობა დაემართა, ბატონო, გახდა ისე, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არაფერი შერჩენია, და მოკვდა, საწყალი, ისე მტერი მოგიკვდა!...

სწორეთ ამნაირათვე ეპყრობოდა თავის თავს ქერაძე. დაიწყო ჯერ შიმშილის შეჩვევა. თან და თან უკლო საჭმელი: პურსაც ნაკლებ იღებდა, ხორცსაც, წვენსაც და საკაზმსაც: აქაო და ნაკლულევანებას და სიღარიბეს უფრო ადვილათ ავიტანო, მერე მისდგა „სიამოვნების" დევნას. შრომას უნდა შეეჩვიოო, და ამისათვის საჭიროა, რომ სიამოვნებას გადავეჩვიოო. სიარული ხომ არაა, ან სეირნობა, ან გაცინება, ან მუსაიფი: ამაების ნებასაც აღარ აძლევდა თავის თავს. რაღა, დაყუდებული შეიქნა თავის სტოლთან ნიგნებთან. მერე მიაწვა, ბატონო,

ამ სტოლსა და ამ წიგნებს და დღე და ღამ აკვდებოდა გამწარებით, ოფლის ღვრით... „გამწარებითო," რომ მოგახსენებთ, ხუმრობა არ გეგონოთ. დიახ, სწორეთ გამწარებით სწავლულობდა, ამიტომ რომ წიგნს და მეცნიერებას ეომებოდა. ის იმიტომ კი არ სწავლულობდა, რომ მეცნიერება მიიტაცებდა ან მიიზიდავდა იმას თავისაკენ, რომ ყოველ ახალ ცნობაში ის დატკბობას ჰპოულობდა, რომ სწავლა მისთვის ბუნების მოთხოვნილებას, საჭიროებას შეადგენდა. არა, სრულიადაც არა. იმან იცოდა, რომ სწავლა საჭირო და სასარგებლოა, რომ უსწავლოთ ის წახდება, და ამის გამო ის იმავე გამწარებით სწავლულობდა, როგორითაც მუშა კაცი თოვლსა და ბუქში უზარმაზარ ხეს სჭრის ტყეში... არც ეხალისება ამ მუშას თავისი შრომა, არც ბუნების მოთხოვნილებათ მიაჩნია ცულდის ტრიალი. იმას მარტო ის ამოქმედებს, რომ იცის კარგათ: „ზამთარი დგას, ეს დაწყეული და ღვთისაგან შეჩვენებული. სიცივეა საშინელი. ცოლშვილი და ნათესავობა, მეზობლები და კეთილის მყოფლები შინ სიცივით კვდებიანო. მოვჭრი ამ ოხერ ხეს, შეშათ დავჭრი-დავაპობ, შინ წავიღებ, ყველა გათბება, დატკბება, და მეც ხელს მოვითბობ, დავისვენებო!"

დიახ, გამწარებულათ სწავლულობდა ეს კაცი, მოუსვენებლივ, შეუწყვეტომლათ. უნდა შეგეხედა მაშინ მის პირისახისთვის: გეგონებოდა — საძაგლათ სძულს ამ კაცს თავისი სწავლაო. იმისთანა დაღრანჯვით უყურებდა წიგნს, როგორითაც კაცი ჯულაბს ან საფაღარათო ზეთს სვამს ხოლმე... მაგრამ სწავლას კი მაინც ერეოდა, სწავლაში სხვებს მაინც სჯობნიდა და ასწრებდა. დიდი საქმეა ბეჯითობა, მონდომება, ძალის დატანება!...

ჩვენ ყველანი დიდ პატივს ვცემდით ქერაძეს ამისთანა ხასიათისთვის. ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენზე უფრო მაღლა სდგას ეს კაცი ამ თავისი თვისებით, რომ პატივ საცემია, მიბაძვის ღირსია ეს მისი მეცადინეობა და მუყაითობა. ხანდისხან სინიდისი ჩვენც გაგვაფხიზლებდა: ჩვენც წაბაძვით სტოლებს მივეკერებოდით, მოვინდომებდით მუყაითობას, მაგრამ წაგვძლევდა სული და მალე ავხტებოდით: „არ ძალგვიძს, მამაო, არ ძალგვიძს!" ვიტყოდით თავის გასამართლებლათ, და გავსწევდით ლოგინისკენ ხან დასაძინებლათ, ხან მოსასვენებლათ. ის კი ძეგლსავით იჯდა თავის სტოლთან, და ხშირათ, ძლიერ ხშირათ, როცა ნაშუაღამევს გამოგვეღვიძებოდა ხოლმე, მის წინ დანთებული სამთელი პირუტყვ საყვედურათ გვიდგა თვალ წინ...

იმ ხუცესის არ იყოს, და მისი ჯორის, ქერაძეც აკი კინაღამ მიეჩვია შიმშილს, კინაღამ აკი გარდაეჩვია სრულებით ყოველი ბუნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იმანაც აკი კინაღამ მიაღწია თავის მიზნამდი! ხუთი თუ ექვსი წელიწადი იწვალა ამ ნაირათ, და ცოტათი რომ დასცლოდა, უსათუოთ დააბოლოებდა სწავლას. მაგრამ, საუბე-

დეროთ, ცოტა რომ უკლდა გათავებამდი, რაღაც ავათმყოფობა დაეშართა. გულის კანკალი აუტყდა, ისე გახდა, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არაფერი შერჩენია, და ექიმებმა ის მაშინ ჩვენკენ გამოისტუმრეს... უთხრეს: მოისვენეო, კარგათ სვი და კარგათ სჭამეო, თორემ მალე საიქიოს წაბრძანდებიო...

—8—

აგარა. — ეგნატე ბაყაყაშვილი. — მისი ავტორიტეტობა. — „ჰაივენგო" ერთ დღეს წაკიკითხეო! — რა დროს რაზე ფიქრობდა ჩვენი სტუდენტობა! — „თვითონ ბესარიონმა თქვა!" — მაშინდელი ავტორიტეტები. — ჩვენში რეპუტაცია და სახელი როგორ ფუძნდება. — მართლა გვეხმარებოდენ ძველი სტუდენტები ახლებს, თუ მარტო სიტყვით? — წიგნის კითხვა და წიგნის კითხვის დევნა ძველი სტუდენტებისგან. — „შენც ილიკო ჰავკავაძისავით წახდებიო!"

„შავი-წყალი," სადაც ჩვენ აგარათ ვიდექით, ერთი ჭაობიანი, ნოტიო, ჩამპალი და მართლა შ ა ვ ი ადგილია, პეტერბურგის სიახლოვეს, „ახალი სოფლის" („Новая деревня") და სტროგანოვის პარკის გვერდით. შავ-წყალს პატარა ღელეს უძახიან, რომლის გაჩერებული და ხავსმოდებული წყალი კუპრსავით შავათ მოჩამს, მისი დამპალი ძირის გამოისობით... ეს ღელე დიდ ნევკას ჩაერთვის. ამ ღელის პირათ გაუშენებიათ პატარა ქოხები და სახლები, რომელსაც პეტერბურგში მცხოვრები წვრილი ან შუათანა ჩინოვნიკობა აგარათ ჰქირაობს ხოლმე, ზაფხულობით. აქ არც ჰაერია ხეირიანი, არც წყალი, არც მცენარეობა. რისთვის იხაშმავს იქ თავს კაცი, ეს მარტო ღმერთმა უწყის...

აქ, ჩვენს გარდა, ბევრი სხვა ჩვენი სტუდენტები დასახლდენ, ზაფხულის გასატარებლათ. ყველაზე შესანიშნავი, რასაკვირველია, ის მოსახლეობა იყო, რომელსაც ღრეჭია, ეგნატე და მიხა ბაყაყაშვილი შეადგენდა, ამიტომ რომ შიგ პირველი მათგანი ერია...

ეგნატე ბაყაყაშვილი ღირს-შესანიშნავი ქმნილება გახლდათ. დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა იმას ჩვენ სტუდენტობაში ჩემსობას, ღრეჭიას შემდეგ, ის ითვლებოდა მეორე მოთავეთ. ყველა ამბობდა, ძლიერ გაბოცდილი, ერთობ გონიერი და მეტის-მეტათ მოხერხებული ყმაწვილიაო, ჩინებულათ ნასწავლი და ჭკუიანიო. ჩვენ ხომ იმას ვერ გავიგებდით, მართალი იყო ეს თუ არა, ვერ ავწონიდით ხომ მის ჭკუაგონებას, და, რასაკვირველია, ჩვენც ის გვეგონა, იმას ვიმეორებდით, რასაც უფროსები, ძველები ამბობდენ. მართალია, თვალში კი გვეცა, როგორც კი ცოტაოდნათ დაუახლოვდით, ბევრი მისი ახირებული მოქმედება, მაგრამ ბრიყვობათ ჩვენ ამას როგორ ჩამოვართმევდით, ჩვენ თვალსა და ჭკუას როგორ ვენდობოდით? ალბათ, გონიერია, ეფიქრობდით, თორემ უფროსები გონიერათ რათ ჩათვლიდენ-თქო!...

რაში მდგომარეობდა მისი გონიერება, რით იყო ის სხვაზე უკეთესი, ამის ამხსნელი და დამტკიცებელი ჩვენ არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. პირდაღებული ლენჩათ დაიარებოდა; თუ იტყოდა რასმე, ისეთს იტყოდა, რომ არც ღვთის ყოფილიყოს, არც კაცისა, და ვერც ერთ ჩვენ კითხვაზე მოხერხებულ პასუხს ვერ იძლეოდა. უნდა გენახათ რა ბრძნულ სახეს მიიღებდა, როცა ვისმე ახალ ნაყიდ რამეს დაუნახავდა! იფიქრებდი — მსოფლიო კითხვებს სწყვეტსო, ქვეყნის გადასავალი ამის ხელშიაო, ისე მოიღუშებოდა და ჩაფიქრდებოდა. მერე იმ „სამჯავრო“ გამოხედულობას მიიღებდა, რომლითაც სამსაჯულოს თავმჯდომარე ბრალდებულს ჰკითხავს ხოლმე: „შენ გაბრალებენ ამა და ამ კაცის მოკვლას. აღიარებთ თუ არა 'შენ თავს დანაშაულათო“, და ამ სახით გკითხავდა: რა მიეცი ამ საგანშიო? — ფასს ეტყოდი-ბრძნულათ მიიხედ-მოიხედდა, სწორეთ ისე როგორც თავმჯდომარე თავის წევრებს გადახედავს ხოლმე, თავს ნელათ, დარბაისლურათ გაქნევდა, და ბოლოს გადაწყვეტდა: „მაგ ფასის ნახევრათაც არ ღირს. მოუტყუებიხართო.“ ამას სწორეთ იმ სახით იტყოდა, როგორც თავმჯდომარე გამოთქვამს: „ვიცანით რა ბრალდებული დამნაშავეთ...“ და საქმე ამით გადაწყდებოდა.

ორჯერ სამჯერ რომ ამისთანა „დოპროსი“ გვიყო, — ესეც უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი, რასაც ვიყიდდით, მისთვის და ღრეჭიასთვის უნდა გვეჩვენებია, — მოვინდომე მისთვის რამე ოინი მექნა. ერთხელ შაქრის საყიდლათ გამგზავნეს პეტერბურგში. წაველ და ტოლკუჩკაზე ფირკლის პერანგი ვიყიდე, ისე იაფათ, ისე იაფათ, რომ მეტი სწორეთ აღარ შეიძლებოდა: ორი აბაზი მივეცი, ალბათ, ნამკვდრეები იყო, ან მონაპარი. რო დაებრუნდი და უფროსებს ნავაჭრი საჩვენებლათ მიუტანე, მის კითხვაზე თუ ამ პერანგში რა მიეციო, აშარათ უთხარი: „სამი შაური მეთქი.“ სამშაურათ, ხომ, იმისთანა პერანგს ტოლკუჩკაზე კი არა, ვერსად ვერ იშოვიდა კაცი.

— მოუტყუებიხართო, ჰსთქვა, ძვირათ გიყიდიაო, ეს ორშაურათაც არ ღირსო.

ვინც იქ დაგვესწრო, იმათგანი ბევრი მიხვდა, რომ ამგვარი პერანგის შოვნა სამშაურათ კი არა, ექვსათაც შეუძლებელია. ზოგიერთმა ამ აზრის გამოთქმა გაბედა. უმრავლესობას კი ეგნატე ბაყაყაშვილის სიტყვა სჯეროდა: ავტორიტეტი იყო, რაღა!

შეიქნა ლაპარაკი. მიუბრუნდი იქ მჯდომ ღრეჭიას, მიუშვირე პერანგი და მოვახსენე:

— ნახეთ, ბატონო, და თქვით — შეიძლება ამისთანა პერანგის შოვნა ორშაურათ?

შეწუხდა ღრეჭია. არც ჰო უნდოდა ეთქვა, არც არა. მაინც არ მოვშორდი. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოსთქვა:

— ჰო, ეს სულ შემთხვევაზეა დამოკიდებული... ხან შეიძლება ხან არა!...

იცით, ვერ გავბედე გამემხილა, რომ იმ პერანგში ორი აბაზი მქონდა მიცემული! მარტო ფილიპეს გამოუტყდი, ისიც სამი დღის შემდეგ!

ერთხელ ამ უმაწვილთან აკაკი მივიდა (ხომ ყოველთვის უცნაურს წაატყდება, ის წყეული!). უნდა მოგახსენოთ, რომ ეგნატე ბაყაყაშვილი ბოლოკსავით წვრილი და მაღალი გახლდათ. გამოსულა ეზოში ეს ვაება კაცი, ცერებზე შემდგარა, ხტის მაღლა და ქშინავს: ჰაერს ყლაპავს. უყურა იმას აკაკიმ, უყურა, უყურა, და ბოლოს ჰკითხა: რას შვრები, რა დაგემართა, რა გახტუნებსო?

— ვა, განა არ იცი? სუფთა ჰაერს ვყლაპავ... იმ დღეს აკი პროფესორმა გვითხრა, რომ რაც უფრო მაღლა აიწევა კაცი ატმოსფერაში, მით უფრო სუფთა ჰაერს ნახავსო!.. მასაქეთ სულ ასე ვცდილობ ვისუნთქო...

მიხა ბაყაყაშვილი, რომელიც იმასთან და ღრეჭიასთან იდგა, იყო ერთი კრავი ღვთისა, შესაწირავათ განმზადებული... ის სულ ბავშვი იყო, ჩემი ხნისა, ჩემსავით, ან იქნება ჩემზე უფრო, დანდობილი და გამოუცდელი. იმასაც, ჩემსავით, „ყველაფერი მართალი ეგონა," ან, როგორც ფრანცუზები გესლიანათ ამბობენ ხოლმე, „il croyait que c'est arrivé!" [55]

ამათთან ხშირათ დაიარებოდენ ახლო-მახლო აგარებიდამ სხვა ჩვენი სტუდენტები, რომლებს შორის ბევრი მაკვირვებდა. იყო ერთი მეკუპროვი, რომელსაც სწორეთ ჩემი მუშტის ტოლა თავი ჰქონდა, და რომელიც ყოველთვის იმისთანა სისულელეს გამოთქვამდა, იმისთანა ვაება სისულელეს, რომ მისი ცნობა და დაფასება მეც ქე შემეძლო. გაოცებული ვიყავი, ამისთანა კაცი სტუდენტათ რამ გახადა, მერე მეოთხე კურსის სტუდენტათ, უფროს სტუდენტათ! დაგვინახა თუ არა, გვკითხა:

— ვალტერ სკოტის „ჰაიენგოზე" რა აზრის ბრძანდებითო?

— საჭმელია თუ სასმელი-თქო, წამცდა.

შებრალებით გადმომხედა და მითხრა: „წაიკითხე, და მაშინ შეიტყობო."

ფილიპემ ხელი მომკიდა და გამასეირნა.

— მაგას რომ ჩვენ საქმე უქენით, რომ იცოდე, სიცილით მოკვდებიო! თავის დღეში წიგნი არ წაუკითხავს. აუღია, ერთხელ, ვალტერ სკოტის რომანი „ჰაიენგო," და კითხვა დაუწყია. შეველით მის ოთახში, ვნახოთ, ეს კაცი ფურცლებს ითვლის წიგნისას. გადითვალა თავიდამ ოცდაათი ფურცელი, ნიშნათ ჩადვა შიგ ქაღალდი, და წიგნი გადადო. ამასობაში ვიღაცამ გარეთ გაიხმო, მაშინ ერთმა ჩვენგანმა წიგნი ხელში ჩაიგდო, გადმოითვალა ბოლოდამ ოცდაათი ფურცელი, და ქაღალდი

ნიშნათ იქ ჩააკვეხა. ერთიც ვნახოთ, საღამოს დაუწყია წიგნის კითხვა, იმ ადგილიდამ, სადაც ამხანაგმა ქაღალდი ჩაუკვეტა, და, რასაკვირველია, დარჩენილი ოცდაათი ფურცლის წაკითხვა მალე გაუთავებია... მეორე დღეს ვისაც კი შეხვდებოდა ყველას ამახარობლებდა: „ჰაივენგო“ ერთ დღეს წავიკითხეო, თავიდამ ბოლომდი ერთ დღეს წავიკითხეო, ღმერთს გეფიცებით წავიკითხეო...“ იმას კი ვერ მიხვდა, საწყალი, რომ შუაში ორასი ფურცელი გამოატოვებინეს!...

სხვაც ბევრი იყო ამავე ძალისა და ჭკუის პატრონი... ყველანი ერთნაირათ, გაბერილათ, ბრძნულათ დაიარებოდენ, ყველას ისე ეკავა თავი, თითქო მეცნიერების დედაბოძი ყოფილიყო, ყველა ისე მედიდურობდა, რომ წარმოდგენა შეუძლებელია. შეიკრიბებოდენ ხოლმე, ხშირათ, დასხდებოდენ ოთახში ან ეზოში, და დაიწყებდენ... სიჩუმეს. სათქმელი არა ჰქონდათ რა, თუ თქმა ეზარებოდათ, ან ეშინოდათ, ეს ვინ იცის! ხშირათ დავსწრებივარ ამათ შეყრილობას, და ღმერთმა ხომ იცის, რომ სრული უმანკოებით და გულწრფელობით მინდოდა გამეგონა მათი მუსაიფი, მინდოდა „ჭკუა მესწავლა“, შემეტყო როგორ უნდა მზადდებოდეს, რას უნდა მისდევდეს ჩვენ დროინდელი ახალგაზრდა. მაგრამ ერთი ხეირიანი სიტყვა რაა. ერთათ-ერთი, ისიც არ გამივონია. საკვირველიცაა, მართლა, 1861 წლის ზაფხულზე, როცა გლეხები თავისუფლდებოდენ[56], როცა სტუდენტების მოძრაობა მზადდებოდა[57], როცა მთელ ევროპას ის უცხო ალი ჰქონდა მოდებული, რომელიც გარიბალდის გმირობამ აანთო, პეტერბურგში, რუსეთის სატახტო ქალაქში, ოცზე მეტი ჩვენი ახალგაზრდა იდგა, და მათ მუსაიფში, მათ სიტყვებში ერთი უბრალო ხსენება არ ყოფილა რაიმე საზოგადო მიზნისა, ან საზოგადო საქმისა, ან მოვალეობისა, ან და მზადებისა. გინდ მათ შორის ყოფილიყო კაცი, გინდ მთიულებს შუა, მივიწყებულ და მიყრუებულ ოსურ სოფელში, სულ ერთი იყო: ლაპარაკი ნიადაგ უმნიშვნელო, საყოველდღეო, კერძო საქმეებზე ბრუნავდა, კერძო თავმოყვარეობაზე, კერძო ინტერესებზე, და მეტზე კი არაფერზე.

— სანამ ი. ჭ. იყო აქ, მეტყოდა ხოლმე ფილიპე, მსჯელობას და ლაპარაკს ქე მაინც გაიგონებდა კაცი, ხანდისხან, მამულის სიყვარულზე. ის წავიდა, და ეხლა რაუზერზე ან გოზეზე თუ გაიგონებ სჯას, მეტზე არაფერზე...

მაგიერათ უშველებელი „ავტორიტეტობა“ იყო დაფუძნებული ამ ყმაწვილებს შუა. აზრს კი არავინ ამტკიცებდა, საფუძველი კი არავის მოჰყავდა მსჯელობისა, სხვის ფიქრს კი არავინ არღვევდა თავისი მოაზრებით ან საბუთით, არა. ყოველი კაცი თავის აზრს მკვახეთ გამოთქვამდა: „დაიჯერე, რადგანც ვთქვიო“. ამ ნაირათ მოქმედებს კაცი ყოველთვის, როცა მას თავისი აზრი თვითონ შრომით და ტვინის ჯაფით

კი არ შეუძენია, სხვისგან მიუღია მზა-მზარეულათ. გულ-წრფელათ უკვირდა ყველას, როცა ჩვენგანი ვინმე ბავშურათ იკითხავდა: „რისთვისაა, მაგას ასე რათ ფიქრობ?“ მახსოვს, ერთხელ, ამ გვარი რეგვენუული კითხვებით მოვაბეზრე თავი ერთ ჩვენ ყმაწვილს, ხაბარდაძეს, რომელიც რაღაც ჩემთვის გაუგებარ აზრს გამოთქვამდა. ძალიან და ძალიან რომ ჩავაცივდი, ამიხსენი-მეთქი, დამიმტკიცე-მეთქი, იმან ახსნისა და დამტკიცების მაგიერ ეს აპოკალიპსური სიტყვა მითხრა:

— თვითონ ბესარიონმა (ღოღობერიძემ) სთქვა ესო...

ვინც იქ იყო, აკაკის გარდა, ყველა იმ წამსვე დარწმუნდა, რომ ცხადი და აშკარა ჭეშმარიტება ჰყოფილა ეს აზრი, რადგანაც ის „თვითონ ბესარიონმა გამოთქვა“. და თუმც მეტი საბუთი ან დამტკიცება აღარავის სჭიროდა, მოლაპარაკემ თავის აზრს ხელმეორეთ კვერი დაჰკრა და სულმთლა ძირამდი ჩაგვირჭო ტვინში ამ მეორე საბუთით:

— ღრეჭიაც სწორეთ მაგვე აზრისაა!...

ამის თქმამ, ხომ, მგონია ურწმუნო აკაკიც დააჯერა...

საკვირველი საქმეა ამგვარი „ავტორიტეტობის“ დაფუძნება. მარტო ბესარიონზე ან ღრეჭიაზე კი არ ვამბობ ამას, საზოგადოთ ყველა იმ დროის ავტორიტეტებზე ვლაპარაკობ, და ღმერთმა უწყის, რამდენი ავტორიტეტი იყო იმ დროს ჩვენ სტუდენტობაში. ერთი ხომ წელან გაგაცანით, ევნატე ბაყაყაშვილი, ცერზე შედგომილი ჰაერს რო ყლაპავდა. იმას გარდა ოთხი თუ ხუთი კაცი იყო კიდევ, სრულიათ უმნიშვნელო და ფუტურო, რომლის უძლურება და სისულელე შემდეგმა მათმა ცხოვრებამ და მოქმედებამ საკმაოთ დაამტკიცა. მაკრამ იმ დროს ყველა ისინი ავტორიტეტათ ითვლებოდა... რისთვის ითვლებოდა, რით დაიმსახურეს ნდობა, რით დაამტკიცეს ჭკუა ან ცოდნა, ამ კითხვებზე ვერავინ პასუხს ვერ მოგცემდა და დღესაც ვერ მოგცემს... ასე სჩვევია ყოველთვის უმეცარ და უგნურ საზოგადოებას. ერთ ვისმე წაცდება კაცის ქება: იტყვის წინ დაუხედველათ, წამორორტვით, „ამა და ამ კაცმა, ვთქვათ, ქიმია კარგათ იცისო.“ მეორე ამის ნათქვამს გაიმეორებს, ამიტომ რომ აწონა არ შეუძლია — იცის იმ კაცმა ქიმია, თუ არა. მესამე და მეოთხე დაიჯერებს იმავე მიზეზით, თვითონ ის კაციც თავს შეიფერებს, და ორიოდე წლის შემდეგ მთელ საზოგადოებაში სარწმუნოების მუხლათ იქნება ჩათვლილი ის აზრი, რომ ამ კაცზე უკეთესი ქიმიკოსი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნაო. რამდენი ამ გვარი ავტორიტეტი გვყავდა იმ დროს! ვის ეგონა, მაშინ, რომ ბოკლი, გიზო, ოგუსტენ ტიერრი ან სხვა რომელიმე ისტორიკოსი ღრეჭიას ნეკის ფრჩხილათ ღირდა? რა ბრძენი ისტორიკოსის სახელი ჰქონდა მას დავარდნილი! ვინ მოიფიქრებდა, რომ ისტორიის მეცნიერებას საიდუმლო ან დაფარული რამ ექნებოდა მისთვის? ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ საქართველოს მის გვამში ნესტორიც დაებადა,

ტიერრიც, კარამზინიც და გიზოც. და ეს დიდი ჩვენი ისტორიკოსი, ეს ბრძენი მცოდნე ქვეყნის ისტორიისა, ექვსი თვის განმავლობაში ჭაპანწყვეტით წერდა თავის კანდიდატურ დისერტაციას „სავონაროლაზე!" წერდაო, რომ ვთქვი, ტყვილი მოგახსენეთ, ამიტომ რომ მისი ნაწერი უბრალო თარგმანი გახლდა ერთი ფრანცუზული რომანისა სავონაროლას[58] ცხოვრებისგან. ამისთანა ფილოლოგები, კანონის მცოდნენი, ბუნების მეცნიერების გამომძიებლები სხვანიც ბევრნი გვყვანდა, ყოველ სპეციალობაზე თითო-თითო. ყველანი ფუტუროები გამოგვიდგენ ცხოვრებაში, ღლავსავით უმეცარნი, უცოდნელნი, უხეირონი... მაგრამ ასე იცის ერთხელ დაარსებულ რეპუტაციამ: ათი ან თუთხმეტი წლის უმოქმედობა და უხეირობა საჭირო იყო, მათის მხრით, რომ მათი უვარგისობა დამტკიცებულიყო... გონიერ და განათლებულ საზოგადოებაში კი ათი ან თუთხმეტი წლის შრომა და სარგებლობის მოტანაა საჭირო, რომ ვისმე რეპუტაცია დაფუძნდეს, დამტკიცდეს, დაარსდეს... უკულმართათ მოდის ჩვენში ყველაფერი!

ხშირათ, თითქმის ყოველ დღე, დაიარებოდენ ჩვენთან ჩვენი უფროსი სტუდენტები. დილას ერთი მოვიდოდა, ჩაგვიხედავდა წიგნში და გვეტყოდა: ჰო ისწავლეთ, ისწავლეთო! სადილობისას მეორე მობრძანდებოდა და სწორეთ იმავე სიტყვას გვეტყოდა, იმავე საქცელს დაადგებოდა. საღამოს მესამე და მეოთხე. ერთხელ მაინც ეთქვა როგელიმეს მათგანს, თუ როგორ უნდა ვისწავლოთ, რა სახით უფრო ადვილია სწავლა, რა ნაირათ შესაძლებელია მისი გაადვილება და ჩაღრმავება!... ეს ჩვენც კარგათ ვიცოდით, რომ უნდა გვესწავლა, მაგრამ როგორ უნდა გვესწავლა, ამის გაგება არავის ჰქონდა ჩვენთაგანს. ერთი ჩვენგანი ზეპირათ სწავლობდა მთელ სალიუსტს და ყველა მისი სიტყვების მნიშვნელობას დიაკვანსავით იზეპირებდა. მეორე მარტო დედა-აზრს იხსომებდა, მესამე გრამატიკულ ფორმებს იბეჯითებდა. რომელი ამათგანი იდგა სწორ გზაზე, რომელი იყო შეცდარი? ამას ჩვენ არავინ გვიხსნიდა, თუმც კითხვა კი არ დაკლებიათ ჩვენი მხრით. — „ისწავლეთ, ისწავლეთო"; ბრძნულათ გვიმეორებდა ყველა...

მომბეზრდა ეს სიტყვები და ლათინური ენის სწავლაც. გაგონილი მქონდა ჩვენი სტუდენტებისაგან, რომ ეგზამენის დროს ვინც სალიუსტის დასაწყისს კარგათ ახსნის და გადათარგმნისო, ის ჯეროვანათ გამოვა განსაცდელიდამო. მთელი სალიუსტი გადავიკითხე რუსულათ, კლევანოვის თარგმანში, თითოეული მისი სიტყვა დედანთან შევასწორე, ამ დედნის სიტყვები თავში ჩავიბეჭდე და გადავწყვიტე: რაც მოხდეს, მოხდესთქო. მითხრეს. ათიოდე თავის ცოდნა საკმაოაო, მითხრეს, კიდევ, პირველ ოთხ თავს არასოდეს არ გკითხვენ ეგზამენის დროსო. მეც ეს პირველი ოთხი თავი მივატოვე და სწავლას იმ ადგილიდამ შე-

უდექ, რომელიც იწყება სიტყვებით: „Bellum scripturus sum“, შევისწავლე თუთიყუშსავით შემდეგი ათი თავი და მივატოვე შრომა. დანარჩენ ოთხ საგანში საკმაოთ მომზადებულს ვგრძნობდი ჩემ თავს, და ამ მიზეზით მიუბრუნდი ნავს, ნევას, ზღვის პირს და კერძო წიგნების კითხვას...

ზემოთაც ვთქვი, „წიგნების კითხვა“ იმ დროს იშვიათი და უჩვეული საქმე იყო ჩვენ სტუდენტობაში. მე კი, ბავშვობიდამ კითხვის ნაჩვევს, ამ ჩვეულების მიტოვება არ შემეძლო. უნდა გარდამეკითხა რაც კი ჩამივარდებოდა ხელში. მესამე და მეოთხე კლასში რომ ვიყავი, გიმნაზიაში, ჩვენ ერთი ახირებული მეზობელი გვყავდა, უდაბნოელსავით მდგომი ტამოჟნის ჩინოვნიკი ტ-ი, რომელსაც შინ ასი თუ ორასი წიგნი ჰქონდა. მთელი მისი ბიბლიოთეკა გადავიკითხე, თუმც იმ დროს რუსული ენა არც კი მესმოდა... გიმნაზიის გათავების დროს რაც კი რამ წიგნი ჰქონდა ვისმე ქუთაისში, რაც კი რამ ჟურნალი მოდიოდა ამ ქალაქში, ქართული თუ რუსული, სულ გადაკითხული მქონდა, კარგიც და ავიც. რასაკვირველია, იმის გაგება და დაფასება სად შემეძლო, რა იყო ამ წიგნებში ხეირიანი, და რა — საანებელი ან უხეირო, რა იყო ჭკვიანური, და რა — ბრიყვული... ვკითხულობდი ყველაფერს, ამიტომ რომ კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურომლოთაც გაძლება არ შემეძლო. პეტერბურგში, რასაკვირველია, წიგნებს დავეწაფე. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ორი-სამი წიგნი არ მეყიდა ტოლკუჩკაზე, ზოგი ორ შაურათ, ზოგი აბაზათ. ხშირათ დამმართნია, რომ უფროსი სტუდენტები შემოსულან ჩვენსა და უნახავართ ლოგინზე წამოწოლილი, წიგნის მკითხველი, მაშინ, როდესაც ჩემი ამხანაგები ლათინურს სწავლულობდენ. ყოველთვის იმას მეტყოდენ ის დალოცვილები, მაგ კითხვაში დროს ნუ ჰკარგავო, შენი სასწავლელი ისწავლეო, აი როგორც შენი ამხანაგები შვრებიანო...

ერთხელ ღრეჭია მოვიდა ჩვენსა და „Современник“[21]-ის კითხვაზე წამესწრო. ისე გატაცებული ვიყავი ამ კითხვით, რომ მისი შემოსვლა ვერც კი შევნიშნე და ფეხზე ვერც კი წამოვხტი... დაათვალიერა ყველაფერი, ნახა, რომ თავძარა და ქერაძე საქმეს აკეთებდენ, ლათინურს სწავლობდენ, მე კი „დროს ვკარგავდი,“ შემობრუნდა ჩემ ოთახში, წიგნი გამომართვა და ტკბილათ დარიგება დამიწყო:

— შენ ამაებში დროს ნუ კარგავ, საქმე გააკეთე, ურროკები ისწავლე... თორემ ეგზამენს ვერ დაიჭერ და დარჩები უსაქმოთ...

დიდხანს მიქადაგა ამ საგანზე, ძლიერ ბრძნულათ, მაგრამ, რა ვქნა, განა ქადაგებით შეიძლება სძას ან ჭამას გადააჩეიო კაცი? წავიდა თუ არა, ისევ იმ წიგნს დავუბრუნდი...

ჩემ დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა

სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა, გამოთქვა ჩვენსა, როცა „Современник“-ის კითხვაზე წამესწრო:

— გაიხსენე ჩემი სიტყვაო, მითხრა, თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილლერის, ბაირონის და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა, და, დაესხა თავსლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა უდიპლომოთ წაბრძანდა... აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?...

სასაშიშრო იყო ეს გაფრთხილება, დამაჯერებელი იყო ეს დარიგება, მაგრამ... წავიდოდენ თუ არა უფროსი სტუდენტები, ისევ ჩემ წიგნებს დავეწაფებოდი, და როცა კითხვით დავიღლებოდი, ავიყვანდი ნავს და ნღვისკენ მარტო გავწევდი. ნევას უჩემოთაც მიჰქონდა ნავი, მე კი ოცნებას თავს მივანებებდი და ვფიქრობდი იქამდი, სანამ თავბრუ დამეხვეოდა....

—9—

ჩემი ბიძაშვილის ავადმყოფობა, სიკვდილი და დამარხვა. — ღატაკის მდიდრათ გამოყვანა. — მდიდრები მათხოვრობენ. — საათების დაგირავება. — ვის დაატყდა თავზე მდიდრული დამარხვა? — ბესარიონ ღოღობერიძის ნახვა. — რა ნაირი კვანტი მოსდო მას ღრეჩიამ?

ივნისის დამდეგს ღრეჩია მოვიდა ჩვენთან დაღონებული.

— ესეც არის წიგნი მომივიდაო, — მითხრა, — შენი ბიძაშვილი ძალიან ავათ გამხდარა, მასთან გვიბარებენო.

მაშინვე წაველით სამნი: ღრეჩია, ფილიპე და მე.

დათა ძლიერ შორს იდგა ჩვენგან. ოხტას მაღლა რაღაც სოფელია, პეტერბურგზე ხუთიოდე ვერსით მოშორებული, და იქ ვიღაც რუსის ჩინოვნიკის ოჯახში ოთახი აეღო. მითხრეს, იმ ოთახში ახალგაზრდა ქალი იყოო, ოჯახის პატრონის და, ცოლათ აპირებდა მის შერთვას, როცა კურს გაათავებდაო.

წაველით ორთქლის გემით საზაფხულო ბაღამდი, იქედამ ერთი ნაწილი გზა ეტლით გავიარეთ, და მეორე — წყალს გაღმა — ქვეითათ. გზაზე ბევრი არავის ულაპარაკნია, და, მართლაც ვთქვა, არც ლაპარაკის თავი ჰქონდა ვისმე. ოციოდე სიტყვა დახარჯა ღრეჩიამ იმაზე, თუ „აი რა ცუდია ამხანაგების მოშორება, თავის ნებაზე სიარული და სხვ. ჩვენთან რო ყოფილიყო, ის დალოცვილი, ხომ არაფერი დაემართებოდაო!“ ღრმათ ჩამებეჭდა თავში ეს აზრი, რომელიც იმ დროს უეჭვო ჭეშმარიტებათ მიმაჩდა.

მიველით, ავადმყოფი ვნახეთ. მისთანა სანახავი თქვენ მტერს! სამთელსავით დამდნარიყო საბრალო, ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა... ექიმმა გამოგვიცხადა — მაგის მორჩენა ჯაინოზ-ექიმსაც არ შეუძლიაო:

საშინლათ გაციებულაო, ანთება დამართნიაო და თან „ჩქარი ჭლექი“; ბევრი გაძლოს კიდევ, ბევრი, ერთ კვირას თუ გაატანს, მეტს ვერაო.

იმ დღეს საღამომდი სამნივე იქ დავრჩით. საღამოს კი მარტო მე დამტოვეს, ავადმყოფის მოდარაჯეთ. თუ რამ დაემართოს, იმ წამსვე შეგვატყობინეო. ავადმყოფს აღარც ლაპარაკის სალავათი ჰქონდა, აღარც ცნობა შეეძლო კაცისა. ხანდისხან გამოიხედდა, თითქო ბობრუნდაო, გვიცინოდა ყველას, და ორიოდე სიტყვის თქმას მოახერხებდა. მერე ისევ სიცხე მოერეოდა...

ხუთი დღე რიგით გავატარეთ მის სასტუმალთან. ერთ დღეს ერთი უდარაჯებდა და უვლიდა, მეორე დღეს — მეორე, მესამეს — მესამე და სხვ. მარტო ის მიკვირს: მარტო ჩვენ, ახალ მოსულებს, რათ გვერგო დარაჯი? მე, ვთქვათ, ნათესავი ვიყავი და ქეც რომ ვისმე დაეშალა, არ მოვშორდებოდი. მაგრამ თავძარა და ქერაძე რათ გაამწესეს და მიუჯიხეს, მაშინ, როცა ძველებს თავი არავის შეუწუხებია ღამე დარაჯით, ფილიპეს გარდა?

პეტრეპავლობა დღეს საწყალი დათა გარდაიცვალა. მაშინ მთელი ჩვენი სტუდენტობა დატრიალდა. შეიქნა მოუსვენარი წასვლა-წამოსვლა, ფაცა-ფუცი, პატიჟი, მზადება... დაიბარეს ყველა ჩვენებური სტუდენტები და კანვოელები, ვინც კი მოიძიებოდა პეტერბურგის ახლომახლო. ღრეჭიამ გამოაცხადა, ქართველი კაცი მოკვდა და დიდი პატივით უნდა დავმარხოთო. არავინ იფიქროს ქართველები ღარიბნი არიანო. ამას ყველა დაეთანხმა, და მეც ძლიერ გონიერათ მიმაჩდა ეს გადაწყვეტილება. მარტო ერთმა გარემოებამ შემაჩერა და ჩამაფიქრა. მეორე დღესვე ღრეჭიამ ფილიპე უნივერსიტეტში გაგზავნა და თხოვნა შეატანია — ამა და ამ გარდაცვალებული სტუდენტის დასამარხათ ფული მოგვეცითო. წესი ყოფილა თურმე, ღარიბი სტუდენტი რომ მოკვდება, მის დასამარხავათ შვიდ თუმანს ხარჯავდა უნივერსიტეტი თუ სასტუდენტო კასსა, კარგათ არ მახსოვს რომელი. თავში გამკრა „ბიჭო, ეს რაღას ჰგავს: თუ გვსურს ღარიბებათ არ გამოვჩდეთ, ღარიბათ თავს რაღათ უწოდებთ, და თუ სამოწყალოს ვთხოულობთ, ქე რაღათ ვაპირებთ ქვეყნის გაკვირვებას მდიდრული დამარხვით?“ ამხანაგებს გაუზიარე ეს ჩემი ეჭვი, მაგრამ ძველებმა მითხრეს „ასე სჯობიაო“ და დიდი დაკვირვების დრო ჩვენგანს, მართალი ვთქვა, არავის ჰქონია...

იმავ დღეს ღრეჭიას განკარგულებით შევკრიბეთ რაც ვისმე ჩვენ ყმაწვილებთაგანს ოქროს ან ვერცხლის საათი ჰქონდა, და ლომბარდში გავგზავნეთ დასაგირავებლათ. მოგვივიდა ოცდა-სამი თუმანი. დიდათ მიამა ეს გარემოება. ძმობა ამისთანა უნდა თქო, ვიფიქრე. ასე უნდა გაჭირვებაში ერთმანერთის დახმარება!...

დიდი ამბით და სიუხვით დავმარხეთ საბრალო დათა. კუბო ისე მდიდრულათ იყო გაწყობილი, რომ უკეთესი შეუძლებელი იქნებოდა. მღვდლები და დიაკვნები უთვალვანი იყვნენ, მგალობლების რაზმი აუარებელი... ტახტრავანგი, ეტლები გამყოლი ხომ იყო და იყო... მართლაც ყველას უკვირდა, ყველას ასე ეგონა, ძლიერ მდიდარ კაცს, ძლიერ გამოჩენილ კაცს მარხავენო...

...როცა დავბრუნდით, ღრეჭიამ მძიმეთ მითხრა:

— მიწერე მამა შენს — ფული გამოაგზავნინოს საბრალო მიცვალებულის დედას. ის საათები უნდა დაიხსნა და პატრონებს დაუბრუნო...

— არაფერი აქვს, ბატონო, იმ საწყალ ჩემ ბიცოლას... ღარიბია და ღატაკი, საიდამ მოახერხებს ამდენის გამოგზავნას?..

— მაშ მამა შენი დაეხმაროს...

— მივწერ, ბატონო...

მივწერე, მაგრამ მიწერით რა გამოვიდოდა? მთელი ერთი წელიწადი ვიხადე ეს ვალი: ჯერ ერთის საათი დავიხსენი, მერე მეორესი, მესამესი და სხვ. და სხვ. ჩემი საკუთარი საათი კი იქ ჩარჩა...

ამ დამარხვის დღეს ვნახე პირველათ ბესარიონ ღოღობერიძე. ის ჩვენ ყმაწვილებს ნაკლებათ ეკარებოდა. ვიკითხე ამის მიზეზი: მიამბეს შემდეგი:

— ამას წინეთ კავკასიელი სტუდენტები შევკრიბეთ და ერთობის დაარსება მოვინდომეთ. გვინდოდა ბიბლიოთეკა და კასსა გაგვემართათ. ატყდა უთანხმოება იმაზე, მარტო ქართველები უნდა მივიღოთ ამ ჩვენ წრეში, თუ სხვა კავკასიელებიც, მაგალითათ, სომხები, ლეკები, რუსები და სხვ. ბესარიონი იმ აზრისა იყო, ყველანი უნდა მივიღოთ, აქ ჩვენ სადავო რა გვაქსო, ერთი ქვეყნიდამა ვართო. მაგრამ ნიკო ღრეჭია ამას არ ეთანხმებოდა. მართალიც უნდა ვთქვათ, არ უყვარდა იმას ბესარიონი და რაკი დრო და შემთხვევა იშოვა, კვანტი მოსდო. გადიბირა თავისკენ ქართველები, და ბესარიონი ჩვენი წრისგან უნდა გასულიყო. მასაქეთ იშვიათათ გვწყალობს... განზე დგას...

— ახ, ნეტავი იმათ შეტაკებას დავსწრებოდი-თქო, ვიფიქრე და ვთქვი: რა კაი იქნებოდა მათი ბაასი, რა კარგათ დაიწყებდენ მსჯელობას, რა საბუთებს და მოსაზრებებს მოიყვანდა ორი ამისთანა ჭკვიანი კაცი!...

— დავესწარი, მაგრამ არც ბაასი ყოფილა, არც აზრების შეტაკება, არც ახსნა. ერთბაშათ აყაყანდა ყველა, ვინც კი დაესწრო. და გასაკვირველიც იყო ამ ორი ავტორიტეტის შეტაკება: არ ვიცოდით, რომელს გავყოლოდით. მაგრამ მერე საქმე ჩურჩულით გათავდა. ღრეჭიამ გვითხრა — ჩვენ რომ ბიბლიოთეკა დავაარსოთ, სომხები ბევრნი მოვლიან და წაგვართმევენო, და ყველა ამით დაჯერდა...

ეგზამენი. — თავის თავის იმედი. — რა ადვილათ დავიკავეთ სასაშიშრო ეგზამენები. — მარგო. — ახალი ქუდი. — სიხარული და ცელქობა. — ხბო.

ივლისი უმნიშვნელოთ დაილია: არაფერი მომხდარა ამ თვეში ისეთი, რომ დიდი, სამახსოვრო შთაბეჭდილება ჰქონოდა ჩემ გონებაზე. მუდამ დღე ვსწავლულობდით, ან ვკითხულობდით, ან დავსეირნობდით, ყოველ დღეს ერთნაირათ ვატარებდით. მაგიერათ შემთხვევებით და შთაბეჭდილებით მდიდარი შეიქნა ჩემთვის შემდეგი აგვისტო. ჯერ ხომ მით, რომ ამ თვეში ეგზამენი უნდა დამეჭირა და ნამდვილი სტუდენტი უნდა გავმხდარვიყავი, მერე მით, რომ ამ თვეშივე პეტერბურგს უნდა დავბრუნებულვიყავით ყველანი, და ბოლოს მით, რომ ამ თვის განმავლობაში ბევრი ახალი სტუდენტი მოვიდა საქართველოდამ: მათ შორის იმყოფებოდა ოთხიოდე ქუთაისელიც — ჩემი ამხანაგები...

მარიამობის წინ დღეებში ღრეჩიამ და ფილიპემ პეტერბურგში წაგვიყვანეს და უნივერსიტეტში შეგვიძღვენ ეგზამენის დასაჭერათ. ბევრს ჩვენგანს ათაქთაქებდა შიში იმ დილას, ბევრს ცოდვილსავით აკანკალებდა... საკვირველია ეს გარემოება: საულ ქერაძე ისეთი შესახედავი იყო ამ დღეს, როგორც გინახავთ კუბოდამ ამოღებული შესუდრული მკვდარი. დამზადებული კი ჩვენზე უკეთესად იყო და ყველაზე უფრო მეტი კი იცოდა! რით აიხსნება ეს თვისება? ათასჯერ ნაკლებ ვიყავი დამარაგებული. ათასჯერ ნაკლები ვიცოდი მასზე, მაგრამ ერთი წუთის განმავლობაშიაც ეჭვი არ შემპარვია გონებაში, რომ ვაი თუ ეგზამენი ვერ დავიკავო და უნივერსიტეტში ვერ შევიდეთქო. არავითარი საფუძველი არ მქონია მეფიქრა, რომ უსათუოთ დავიჭერ ეგზამენს, და მტკიცეთ დარწმუნებული კი ვიყავ, რომ დავიჭერდი. ბრიყვობაა ეს, რასაკვირველია, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ დიდ ძალას აძლევს ხოლმე კაცს ამგვარი რწმუნება, ამ ნაირი იმედი თავის თავისა ან თავის ვარსკვლავისა...

ნუ დაივიწყებთ, რომ ციდა-ნახევარი ტანი მქონდა, რომ პირტიტველა ვიყავ, როგორც ბაღანა, რომ რუსულ ენას ძლივს ვამტვრევდი. ნუ დაივიწყებთ ამას, და წარმოიდგინეთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში, ეგზამენატორებს წინ წამომდგარა ამ სახის ბაღანა ოთხასიოდე წვერ-ულვაშიან მუტრუკებს შუა... ბევრს ეგონა — ვისმე სტუდენტს პაწია ძმა მოჰყოლია სეირის საცქერლათო... პროფესორს რომ მიუახლოვდი (იმ წელიწადს პროფესორები და გიმნაზიის მასწავლებლები აჭერინებდენ ეგზამენს,) გაკვირვებით მკითხა: ნუთუ შენც საეგზამენოთ მოსულხარო? რუსული მწერლობისგან უნდა დამეჭირა მასთან ეგზამენი. მკითხა განა წაგიკითხავს რამე რუსული ლიტერატურიდამო?

გამეცინა და მიუგე — დიახაც წამიკითხავსთქო. პუშკინს იცნობო? — დიახაც-მეთქი. — გოგოლსო? — კი ბატონო. — რა წაგიკითხავს მათი ნაწერიო? — ყველაფერი, რაც კი უწერიათთქო, — „Кавказский пленник“ წაგიკითხავს, გახსოვსო? — ზეპირათაც მახსოვს-თქო. — აბა წადით და დამიწერეთ თქვენი შეხედულება ამ თხუზულებაზე, თქვენი ქვეყანაა შიგ აწერილი, კავკასია, და გასინჯეთ, რამდენათ სწორეთ არის გამოხატული შიგ თქვენი ქვეყნის ბუნება, ჩვეულებები, ხალხი ან ცხოვრება.

დავჯექი თუ არა საწერათ, პროფესორიც გვერდით მომიჯდა. პირდაპირ მითხრა: მინდა ჩემი თვალით დავრწმუნდე, მართლა თქვენ დაწერთ, თუ სხვა ვინმე დაგიწერსო (ეს ხშირათ ხდებოდა ხოლმე იმ დროს. იმავე დღეს მე თვითონ დაუწერე თხზულება ორ ჩვენებურ ყმაწვილს). ვწერდი მარდათ და პროფესორი იმავე წამს კითხულობდა ყოველ სიტყვას, რა წამსაც დავწერდი.

მოიწონა ჩემი ჩქარი წერა, მოიწონა აზრის სიახლეც და ენის სისწორეც.

— ამას თქვენ წიგნებში ვერ ამოიკითხავდითო, მითხრა, ვინ გითხრა ეს აზრებიო, ვინ გასწავლიდა ქუთაისს რუსულ ლიტერატურასო?

— არავინ, ბატონო, თვითონ ვკითხულობდი და ეს ფიქრები მომდიოდა კითხვის დროსთქო.

— სხვა საგნებიც ასე კარგათ გაქვს დამზადებულიო, მკითხა.

— არა, ლათინურში ვარ მეტის მეტათ სუსტი, თითქმის არაფერი ვიცი, ზეპირათ ვისწავლე რამდენიმე თავი „იუგურტას ომისა“ — მეტი არაფერი ვიცი სრულებით.

წამიყვანა მაშინვე იმ სტოლისკენ, საცა ლათინური ენიდამ აჭერინებდენ ეგზამენს, და რაღაც ჩაუჩურჩულა პროფესორს. მაშინვე მომიბრუნდა ეს უკანასკნელი და მითხრა — მობრძანდით, რა იცით, მითხარითო.

გამოუტყდი და უთხარი — არაფერი ვიცი, „იუგურტას ომისა“ ათიოდე თავის მეტითქო.

გაშალა სალიუსტი, მიათითა „Bellum scripturus sum“-ს, მიათითა და მთხოვა წაიკითხეო.

გადავაბულბულე უცებ: ზეპირათ ვიცოდი ის თავი.

— ჩინებულათ გცოდნია ეს თავიო, დაცინვით მითხრა, სხვა რა იცი კიდეეო?

— ცხრა პარაგრაფი კიდევ მაქვს ნასწავლი, მეტი კი ვერ მოვასწარითქო.

— გეყოფა ესეცო. სამი დაგისვა თუ ოთხიო?

— რაც თქვენი ნება იქნეს, ის დამისვით...

— მაშ ოთხს დაგისვამთ, რადგანც რუსული ლიტერატურა კარგათ გცოდნიათ...

თავი დაუკარ და მოვშორდი. დამრჩა საღმთო-წერილი, რომელიც ჩინებულათ ვიცოდი, და ფიზიკა, რომელიც გულით მიყვარდა. ორივე ამ საკანში კარგი ნიშანი მივიღე. უკანასკნელ საგანში კი — ფრანცუზულ ენაში — წავფორხილდი გვარიანათ: იმ წყეულმა მარგომ გარდამიშალა თავისი დაწერილი წიგნის ბოლონდელი თავები, და მითხრა გადმომითარგმნეო. მეც არ ვიცი რას გადაუთარგმნიდი, როცა წიგნის პირველი ფურცლებიც ძლივს მქონდა შესწავლული. დამისვა ორი. — ფეხებზე მეკიდა მისი ნიშანი. ნოლიც რომ დაეწერა, უნივერსიტეტში მაინც მიმიღებდენ.

ერთი სიტყვით, ადვილი იყო იმ წელიწადს ეგზამენები, რომ ვინც კი იყო მისული იმ დღეს ჩვენი ყმაწვილები, ყველა ჩინებულათ გამოვიდა განსაცდელიდამ; ყველანი სტუდენტათ მიიღეს. ცეკვა-ბუქნით დავბრუნდით შინ, გახარებულები, ფრთა-შესხმულები... თავძარამ ვერც კი მოითმინა: იმ წამსვე ახალი ქუდი იყიდა გზაზე, ლურჯი მაუდით შემოყოლებული, სტუდენტური ფორმის ქუდი... ღმერთო შეგცოდე, მეც რომ იმ დღეს ჯიბეში ფული მქონოდა, იქნება მეც გავბრიყვდებოდი და თავძარას მაგალითს წავბაძამდი...

მიველთ შინ თუ არა, იმ წამსვე დავწვი სალიუსტი და ყველა ის წიგნები, რომელიც საეგზამენიოთ დასამზადებლათ გვქონდა: ისე შემძულდა მათი თვალით დანახვა... სამი დღე და სამი ღამე სულ არ მივკარებივარ ჩემ სტოლს. გათენებიდამ შუაღამემდი სულ ნავში ვიჯექ. ისე გადვირიე სიხარულით, ისე გავცელქდი, ისე გავგიჟდი, რომ იმავე დღეს, ყველანი რომ ერთათ სანაოთ წავედით, შევხტი ფეხებით ნავის ნაპირებზე, გადავალაჯე ნავს და შუაგულ ნევაში ნავის რწევა დავიწყე იმოდნათ, რომ ნავის ნაპირი წყალს ხვრეპდა ხოლმე... ფილიპემ და თავძარამ კივილი გაიბეს, ქერაძემ ისეთი შემომიტია, რომ ლამის ხმით გადამაგდო წყალში... ძალათ დამაჯინეს, ძალათ მიიყვანეს ნავი ნაპირზე და მიმატოვეს მარტო. მაინც ისე ვხტოდი და ეცქმუტავდი, როგორც გინახავთ აკუნტრუშებული ხბო, ახალ გაზაფხულზე... გაიგეთ, სტუდენტი გავხდი, ნამდვილი სტუდენტი, პირველი კურსის სტუდენტი, ეგზამენი აღარ მქონდა დასაჭერი, რაც მინდოდა მისი კითხვა შემეძლო... როგორ არ გამხარებოდა, როგორ არ მეთამაშნა! ქვა ხომ არ ვიყავ!..

—11—

ახლების მოსვლა. — ჭიჭიკო, ღრეჭიას ძმა. მისი სახე და ხასიათი. — ქალური კაცი. — ქალის აზრი ამ საგანზე. — ლენჩი. — მისი უმანკოება. — ღმერთი ნუ გწამსო! — ბრძოლა და ავადმყოფობა. — ახალი კაცი. — ჩვენი დაძმობილება და ჩვენი მესაიფი.

ახალი გათავებული გვქონდა ეგზამენი, როცა აგვისტოს დამლევს თფილისიდამ ყმაწვილები ჩამოვიდენ, სახელმწიფო ხარჯით გამოგზავ-

ნილები. მათ რიცხვში ორი ჩემი ამხანაგი ერია, ქუთაისის გიმნაზიაში კურს დასრულებულები: — ღრეჭიას უნცროსი ძმა ჭიჭიკო და გოგიტა ლენჩი. ჭიჭიკო თავის ძმასთან ჩამოხტა, ლენჩი კი — ჩვენსა.

ჭიჭიკო ლამაზ-ლამაზი ბიჭი იყო, პირ-სუფთა, პირ-წითელა, და ერთი შეხედულობით გასათხოვარ პატარძალს ჩამოგავდა. სწორეთ პატარძალსავით კი ეკავა თავი: იცოდა ლამაზი ვარო და თავს იფერებდა, ნაზობდა, კეკლუცობდა თავის სილამაზით. სულ თავისი ცხვირისა და თითების სწორებაში იყო, სულ ტანსაცმელის შნოზე ეკავა თვალი. სულ იმას ფიქრობდა — მოსწონს ყველას ჩემი სილამაზე თუ არაო. ქალის ხასიათი ჰქონდა, რაღა! სიარულშიც ისე არხევდა ტანს, და კურტუმს ისე მიიქნევდა, როგორც კეკლუცობაში გავარჯიშებული ქალი. მისი პირისბანა და თმის ვარცხნა სწორეთ თითო-ოროლა საათს გრძელდებოდა. ჩვენც ყველას ის მართლა ლამაზ და მშვენიერ რამეთ მიგვაჩნდა. რადგანც ჩვენ თვალში სილამაზე ქალის სურათში მდგომარეობდა, და რადგანაც ჭიჭიკო ქალს ჩამოგავდა, ჩვენც ვფიქრობდით მშვენიერიაო. ის კი არ ვიცოდით, მაშინ, რომ ვაჟის სილამაზის დამფასებელი მარტო ქალი ყოფილა, და ქალებს თურმე არაფრათ მოსწონს ქალური პირისახის ან ხასიათის პატრონი ვაჟი...

მახსოვს, ერთხელ ჩ-ის ცოლმა ხუმრობით მითხრა:

— ამბობენ, კავკასიელები და გახსაკუთრებით ქართველები ძლიერ ლამაზები არიანო, და თქვენებში კი ჯერ არც ერთი მართლათ ლამაზი, მშვენიერი კაცი არ შემხვედრიაო.

— ნუ თუ ჭიჭიკოც არ მოგწონსთქო, გაკვირვებით ვკითხე.

— ჭიჭიკოო? მომიგო და გადაიკისკისა. განა ისიც კაცებში ითვლება, მერე ლამაზ კაცებში? ის ხომ ვაჟი არაა, ის ქალია, გასათხოვარი ქალი!... ის ქალს კი არ მოეწონება...

მისი კოპწიობა იყო ამის მიზეზი, თუ სხვა რამე, არ ვიცი, მაგრამ თავისდღეში ვერ მოახერხა ამ კაცმა, ვისმე ჩვენგანს დაახლოვებოდეს, ვინმესთან ამხანაგობა ან მეგობრობა, ძმური, გულითადი მეგობრობა გაემართა. იყო თავისთვის, ყველას იცნობდა, ყველასთან ტკბილი განწყობილება ჰქონდა, მაგრამ არც მეგობარი, არც ძმა-კაცი იმას თავის დღეში არ ღირსებია, არც გიმნაზიაში, არც შემდგომ, უნივერსიტეტში, არც ბოლოს, ცხოვრებაში... ისე დაჭკნა, ისე გამოფუტურდა, რომ ხორცშესხმულ ადამიანს აზრადაც არ მოსვლია, ერთხელ მაინც ჩაეხედა მის გულში, ერთხელ მაინც ეკითხა მისთვის — რას გრძნობ, რას ფიქრობო...

მაგიერათ, მასთან ერთათ მოსული გოგიტა ლენჩი ერთბაშათ ჩვენი ამხანაგი შეიქნა, გულითადი ამხანაგი, ისეთი, რომელსაც კაცი არც თავის აზრს დაუმალავს, არც მის აზრს დაუტოვებს გამოუკვლეველათ... მართალია, პირველი კვირის განმავლობაში ცოტაოდენი უთანხმოება

ატყდა ჩვენსა და იმის შუა, მაგრამ რა მალე მოვთავსდით, რა მალე დავძმობილდით!...

ეს უთანხმოება აი რის გამოისობით ატყდა. ლენჩი ღვთის-მავედრებელი კაცის შვილი იყო, ღვთისა და უფროსების შიშში და მორიდებაში აღზრდილი პეტერბურგს ის მოვიდა ყმაწვილური სარწმუნოებით სავსე, უწინ, გიმნაზიაში, არაფერ ეჭვს და არავითარ ფიქრს მასთან საქმე როდი ჰქონდა თურმე. მარტო უროკების სწავლაში იყო გართული, და უროკების მეტი სრულიათ არაფერი იცოდა... რაღა ბევრი გავაგრძელო — ხორცშესხმული უმანკოება იყო ყველაფერი, რაც ეჭვს, ანალიზს, კრიტიკას შეეხება...

მოვიდა თუ არა, ჩვენმა ყმაწვილებმა, ბასილ აბაზაძის მსგავსებმა, გამოხუმრება დაუწყეს: „არ გრცხვენიაო, მაგაები როგორ გწამსო, ეხლანდელ დროში კაცი აი როგორ უნდა ფიქრობდესო, სისულელე და ამაოთმორწმუნება არის ეს ყველაფერიო, ბიუხნერი წაიკითხეო," და სხვ. და სხვ.

გარეტდა კაცი, გამოლენჩდა ერთიანათ, დაიბნა... ნაფიქრი არ ქონია თავის დღეში ამ გვარი რამ, და ამის გამო ამ სიტყვებს მასზე სწორეთ იმისთანა გავლენა ჰქონდათ, როგორიც თქვენზე ექნება კაცს, უკნიდამ რომ მოგეპაროს და თავზე კეტი გშვლიპოს. დააღო პირი და გაჩუმდა.

ამ გაჩუმებამ სხვები წააქეზა. მოხსნეს თავი დაცინვის გუდას, და მიაყარეს ამ გაოცებულ კაცს ახალი და ახალი ფრაზები...

— თავი დამანებეთ, თქვენი ღვთის გულისთვისო, მორიდებით იხვეწებოდა ლენჩი, არ მსურს მაგნაირი სიტყვების სმენაო, ყურს ნუ მიბილწავთო, ცოდვაა დიდიო...

ვინ დაუჯერებდა? ბოლოს ილაჯი გაუწყდა და წაეჩხუბა ყველას. მაგრამ არც მაშინ მოუსვენეს. გათავდა მით, რომ ამ ყმაწვილმა ტირილი დაიწყო: ისე გულ-ამოსკვნილათ იტირა, როგორც გინახავთ ძუძუმწოვარა ბავშვი.

ლენჩი რომ ბევრი სხვა ყმაწვილებსავით უნიჭო ან უტვინო კაცი ყოფილიყო, იმას რომ შესძლებოდა სხვადასხვა აზრის მიღება მოუნელებლათ, ჩაუღრმავებლათ, შეუთვისებლათ, ის არც იტირებდა, არც იწუხებდა. ის იმავე უდარდელი სახით გაიმეორებდა ახალ-მოდურ სიტყვებს, როგორითაც ბასილ აბაზაძე და მისი მსგავსი ყმაწვილები მოქმედებდნენ, მაგრამ ეს სულ სხვა კაცი იყო. მისთვის აზრი ფრაზა როდი იყო, რომლის ხმარება,მიღება ან მიტოვება ისე ადვილია, როგორც პერანგის ჩაცმა და გამოცვლა. არა. მისთვის აზრი მთელი ცხოვრება იყო. ეს ახალი სიტყვა უნდა შეედარებია და შეემოწმებია იმას ყველაფერთან, რაც მანამდი განაგონი ან ნასწავლი ჰქონდა, და ეს შრომა ერთობ მძიმე და ხანგრძლივი რამ არის ყოველი ტვინიანი კაცისათვის. უწინ შეთვისებულ აზრებს და ახლათ გაგონილ ფიქრს შუა ტვინიანი კაცის

თავში ტყდება უშველებელი, გამწარებული ბრძოლა... მთელი სხეული მონაწილეობას იღებს ამ ბრძოლაში: ხშირათ ამ შინაგან, უჩინარ ბრძოლას დიდი ან მძიმე ავათმყოფობა მოსდევს...

ლენჩსაც ასე დაემართა. ჯერ გაჩუმდა და თავის კუთხეში მიჯდა. მერე ფიქრს შეუდგა ყველაფერზე, რაც კი გაეგონა. ბოლოს ხურვება დაეშართა. ჩაწვა ლოგინში და მთელი ერთი კვირა სიცოცხლისა და სიკვდილს შუა იყო გარჩენილი. ძმურათ უვლიდით ყველანი. მორჩა როგორც იქნა — სიყმაწვილემ თავისი გაიტანა. მორჩა, და ორნაირათ მორჩა. წამოდგა ეს კაცი და ვეღარ ვიცანით. გაეცოცხლებია ის ფიქრს და აზრის მუშაობას. წამოდგა აღტაცებული, ენერგიით სავსე, ახალი ოცნებებით და მიზნით გატაცებული, მოსიყვარულე, ოავდასადებლათ გამზადებული... ძველი აღარაფერი დარჩენილა მასში, სხეულის მეტი. წამოდგა, და წარმოუდგენელი ენებით შეუდგა წიგნების კითხვას, აზრების გამოკვლევას, ძმურ მუსაიფს ჩვენთან, ვისაც ადრე გვქონდა გამონავალი მისგან ახლათ გავლილი გზა...

მალე ჩვენ პატარა სახლობაში ახალი, უფრო პატარა წრე შედგა თავისთავათ: მივჯდებოდით ხოლმე კუთხეში ჩვენ სამნი — ქერაძე, ლენჩი და მე, ხანდისხან ფილიპეც მოგვიჯდებოდა, და ვიწყებდით სჯას, მოაზრებას „ხმა მაღლა ფიქრს". გადავარჩევდით რაც მანამდი გვსმენოდა ან წაგვეკითხა, ვსჯიდით თითოეულ აზრს, რომელიც კი თავში გაგვკრავდა, ვაშენებდით ოცნებებს, როგორც პაწია ბავშვები ბანქოს სახლებს აწყობენ, ან და ვისხედით ჩუმათ, ჩაფიქრებულნი... მერე მოვშორდებოდით ერთმანეთს, კითხვას ვიწყებდით, და ისევ ერთათ ვსჯიდით ახალ ამოკითხულ აზრებს... ასე ვფიქრობდით ერთათ, და ასე ვსჯიდით ერთმანეთის გამოკითხვით ყველაფერს, რასაც კი დავინახავდით, ვიგრძნობდით ან შევხვდებოდით... ასე მიფრინავდენ დღეები და კვირეები, თითქო ერთი წუთის მეტი არ გაგვეტარებია...

მაშინდელი ჩვენი დაახლოება ხანგრძლივი შეიქნა. ერთათ გავატარეთ მთელი ის დრო, რომელიც ჩვენ პეტერბურგს დავრჩით, და შემდეგაც ხშირათ შეგვხვედრია ერთათ შრომა, ან ერთათ ყოფნა... ჩვენ ოთხს ბევრი ახალმოსული ყმაწვილები დაგვიახლოვდენ შემდეგში, და გვარიანათ გადიდდა, გაძლიერდა ის ერთი-ნამცეცა ნრე, რომელიც ბავშვებს შუა განუზრახველათ დაარსდა „შავი-წყლის" აგარაზე. გარწმუნებთ, იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრათაც არ ჰქონია თავისი კერძო თავმოყვარეობა ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი ან რა სახით უფრო სჯობია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლათ... რამდენს იცინოდენ უფროსი სტუდენტები, ამ ჩვენი სჯისთვის ყური რომ მოეკრათ ან რა ბრძნულათ დაგვიწყებდენ დამტკიცებას, რომ ჯერ ლექციები უნდა შეისწავლოს

სტუდენტმა, დიპლომი მიიღოსო, კარგი შემოსავლიანი და გავლენიანი ადგილი იშოვოსო სამსახურით, და მერე, თუ უნდა, ხალხის ბედზე იფიქროს ან იზრუნოსო!... მაგრამ ჩვენ როდილა უმხელდით იმათ არც ჩვენ სჯას, არც ჩვენ აზრებს. ისინი თავიანთ გზაზე იდგენ, ჩვენც ჩვენსას დავადექით...

—12—

პეტერბურგში დაბრუნება. — კრუხი და მისი პუპულები. — ღრეჩიას გავლენის დავარდნა. — ახალი ჩვენი სადგომი. — საღვიძარი საათის ყიდვა. — ღრეჩიას რისხვა. — ჩემი აბუნტება. — სტუდენტების პირველი სამდურავი ჩემზე. — მწუხარება.

აცივდა თუ არა, აგვისტოს მიწურულში, აგარა მივატოვეთ და პეტერბურგს დავბრუნდით. ღრეჩიას უნივერსიტეტის კურსი დასრულებული ჰქონდა, და უნივერსიტეტში სიარული აღარ სჭიროდა. დისერტაცია უნდა წარედგინა და დიპლომი უნდა მიეღო; ამას კი, ხომ, ორჯერ-სამჯერ მისვლაც ეყოფოდა. ალბათ, ამ მიზეზით იმან ვასილის კუნძული მიატოვა და შუაგულ ქალაქში, მეშჩანსკის ქუჩაზე სადგომი მოძებნა. ჩვენც თავის გვერდით, ახლო მახლო ქუჩებში, მოგვიძებნა ოთახები, თუმც სამი ვერსტი გზა იყო იქედამ უნივერსიტეტამდი, და თუმც ყოველდღე ორჯერ, და ხან მეტჯერაც, უნდა გაგვევლო ეს გზა. მართალია, იმ დროს გვარიანათ შერყეული იყო ჩემ თვალში, აგრეთვე როგორც ზოგიერთი ჩემი ამხანაგების თვალშიც, მისი ავტორიტეტი ან გავლენა, მაგრამ ჩვენ ყველანი იმას ვჯერდებოდით, რომ ჩვენ საკუთარ გულში აღარ გვწამდა მისი სიტყვა, აღარ გვქონდა მისი ნდობა. პირდაპირ წინააღმდეგობას კი ვერც ვბედავდით, არც ვფიქრობდით. გვესმოდა, რომ სუსტი ქმნილება ყოფილა, წვრილმანი მიზნის მდევარი, მაგრამ ვიცოდით და ვხედავდით, რომ ჩვენი წინააღმდეგობა სხვებს თვალს ვერ აუხელდა, რადგანც სხვებიც მისივე მსგავსნი იყვნენ. ამიტომ ვფიქრობდით — თავი დავანებოთ, წაუყრუოთ, ხომ მაინც მალე უნდა მოგვშორდეს, ნულარ ვაწყენინებთ რასმე თქო... ასე ვფიქრობდით, მაგრამ, თუმც მის განკარგულებას ვემორჩილებოდით, ღიმილს ან დაცინვას კი არ ვაკლებდით ჩუმჩუმათ...

გადავსახლდით პეტერბურგს. ფილიპე და მე ისევ ერთათ დავდექით, ქერაძე და ლენჩი ჩვენს ახლო დადგენ. თავძარა ვიღაც ახალ-მოსულ ყმაწვილს მიეკედლა. ღრეჩია და მისი ძმა იმ სახლში დადგა, საცა სადილის საჭმელათ უნდა გვეარა ჩვენ ყველას. ამნაირათ ის ყოველ დღე, სადილობის დროს, გვათვალიერებდა...

საზამთრო ტანისამოსი ისევ რაუზერს შეუკვეთა ჩვენთვის ღრეჩიამ. ას მანეთზე მეტი გვიჯდებოდა თითოეულს ეს ტანისამოსი, რად-

განაც მარტო ერთი შინელი, ბობრის ტყავის საყელოიანი, ხუთ თუმნათ ღირდა. ყველას კარგათ გვესმოდა, რომ საშუალება არა გვაქვს ამ გვარი ტანსაცმელის შეკერვისა, მაგრამ ღრეჭიას წყენას მოვერიდეთ. მარტო ლენჩმა დაიძრო თავი: წავიდა ჩუმათ ტოლკუჩაზე და თვრამეტ მანეთათ იყიდა ჩინებული საზამთრო შინელი, თითქმის იმისთანა, როგორშიაც ჩვენ ხუთი თუმანი უნდა მიგვეცა რაუზესათვის. დიდი საყვედური უთხრა იმას ღრეჭიამ, ძლიერაც გაუჯავრდა, მაგრამ ნაყიდ შინელს ხომ ვერ შეამგუნებდა...

უნივერსიტეტში ლექციები იმ დროს დილის რვა საათზე იწყებოდა. ენკენისთვეში, პეტერბურგში, რვა საათზე ჯერ ისევ ბნელა, ღამით ექვს საათზე უნდა ავმდგარიყავით, ჩაი დაგვემზადებია და გვესვა, რომ ლექციების დაწყებისთვის რვა საათზე მიგვესწრო რადგანაც ქვეითათ უნდა გაგვეარა სამი ვერსტი. არც ერთს ჩვენგანს საათი არ გვქონდა: აკი დათას დასამარხავათ დავაგირავეთ ყველა ჩვენი საათები. ამის გამო ფილიპემ და მე გადავწყვიტეთ, ერთი უბრალო კედლის საათი ვიყიდოთ ასეთი, რომ ჩვენი გაღვიძება შეძლოს-თქო. წავედით და ვიყიდეთ სამ მანეთ ნახევრათ „საღვიძარი საათი“ რომელიც საათობასაც შვრებოდა და დანიშნულ დროზე გამწარებულათ რაწკუნს იწყებდა, სანამ არ გამოვიღვიძებდით. თორმეტი წელიწადი სინიდისიანათ გვემსახურა ფილიპეს ამ სამ მანეთ ნახევრიანმა საათმა...

როცა დავბარგდით და ღრეჭიამ ყველა ჩვენი ყმაწვილების ოთახები ჩამოიარა დასათვალიერებლათ, იმან ამ საათს ყურადღება მიაქცია.

— სახლის პატრონის არის, ხომ, ეს საათიო, გვკითხა.

— არა ეს საათი მე ვიყიდე, სამმანეთ ნახევრათ.

უნდა გენახათ, რა სახით გაცეცხლდა მაშინ ეს მუდამ თავდაკავებული და ნიადაგ ტკბილი კაცი!

— რას გავს ესო, შემომძახა, როგორ შეიძლება ასე ფულის ფანტვაო, რატომ არ ჰკითხავ უფროსებსო, შენ ჯერ ქვეყნის ვალი გაწევს დაგირავებული საათების და რაუზერისაო, ჯერ გოზეს ვალიც არ გაგისტუმრებია, და ფულებს ასე უსარგებლოთ ფლანგავო! სხომის არ ქნა ამ გვარი საქმე, თორემ...

ეს ის უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც ჩემი გამწარების ფიალა აავსო და გადაღვარა.

— რაც უნდა თქვათ და რაც უნდა ქნათ, მიუგე იმას, მაინც ვერ დამაჯერებთ, რომ სტუდენტისთვის შესაძლო იყოს უსაათოთ ლექციების მისწრება, ეს საათი სამ მანეთ ნახევარი ღირს, საჭირო იყო მისი ყიდვა, და მისი უყიდველობა არც რაუზერს გამასტუმრებინებდა, არც გოზეს. მასე მაგრათ თუ გიყვარდათ ეკონომია, რაუზერის და გოზეს ვალი არ უნდა დაგეტეხათ ჩვენ თავზე: უსარგებლო ფულების ფანტვა თუ გნებავთ — აი იმათი ვალის აღება იყო...

გაშრა და გაყვითლდა ეს კაცი. ალბათ, თავის დღეში არ გაეგონა ამ გვარი წინააღმდეგობა, ალბათ აზრშიაც არასოდეს მოსვლია, რომ ბეღლარტები კრუხს ჭკუის სწავლებას გაუბედავენ...

ხმა აღარ ამოუღია: ადგა და გავიდა...

უშველებელი ყაყანი და ხმაურობა ატეხა ჩვენებურ ყმაწვილებში ამ ჩემმა „წინააღმდეგობამ.“ რასაკვირველია, ყველანი ერთ-ხმით მამტყუნებდენ, ყველა იმას ამბობდა — როგორ გაბედა, როგორ მისცა თავის თავს ნებაო, ყველას ღრეჭიას მხარე ეკავა, ფილიპეს, ლენჩის და ქერაძის მეტს. ესენი კი დავობდნენ, კარგათ ჰქნა ნიკოლაძემ, კარგათ უთხრაო, გვეყოფა ამდენი გაჩუმება და ყურმოჭრილობაო...

ერთიც ვნახოთ, სადილათ რომ მივედი ამ „ბუნტის“ შემდეგ, ჩვენმა ყმაწვილებმა, გან-განზე ცქერა დამიწყეს. ზოგი თითქო ვერ მნიშნავდა, ზოგი თითქო უკადრისობდა ჩემთან ლაპარაკს, ზოგს თითქო ეშინოდა ჩემი ხმის გაცემა... რა იყო ამის მიზეზი? ღმერთმა იცის! ბეტისმეტათ კი მეწყინა ეს გარემოება. ვფიქრობდი ჩემთვის: რა დაუშავე ამ კაცებს, რა ვქენი საუკადრისო, რით ვაწყენიე?.. ნუთუ მარტო ჩემი საკუთარი თავის გასათავისუფლებლათ ვეწინააღმდეგე ღრეჭიას? განა ძმებათ არ მწამს, ძმებსავით არ მიყვარს ყველა ეს ყმაწვილები, რომელნიც ეხლა ზურგს მაქცევენ? განა თვითონ იმათთვის უკეთესი არ იქნება, ღრეჭია რომ ასე უხეიროთ არ უხვევდეს იმათ თვალს? ან თუნდ მარტო ჩემი თავის გასათავისუფლებელათ მექნა ეს წინააღმდეგობა, იმათ რაღა ხელი აქვთ ჩემთან, რათ უნდა მემდურიდენ, რომ ჩემი საკუთარი ღირსება სხვა ნაირათ მესმის და ჩემ პიროვან უფლებას სხვა გვარათ ვიცავ? მე ხომ არ ვემდური იმათ: როგორც უნდათ, როგორც ესმით, ისე იცხოვრონ და იმოქმედონ. მაშ ისინი ძალას რაღათ მატანენ, რათ ცდილობენ ისე მაცხოვრონ ისე მამოქმედონ, როგორც იმათ სურთ? რათ მაიძულებენ თაყვანი ვცე იმ კერპს, რომელიც იმათ სწამთ და მე კი აღარ? რას ჰგავს, ღმერთო ჩემო, ეს საქციელი? ამდენი კაცი, ამდენი სტუდენტი ასე უსამართლოთ რათ მექცევა? ვაი თუ მტყუანი ვიყო, ვაი თუ ისინი იყვენ მართალი? მაგრამ რომ არ მესმის რა დავაშავე? ისე მოვიქეცი, როგორც მესმოდა, როგორც ჭკუა მიჩრიდა: სხვის უფლებას არ შევხებივარ, არაფერი დამიკლია სხვისთვის, მაშ რაში შევცდი, რა ვქენი ცუდი ან სავნებელი?

გულწრფელათ გაუზიარე ეს ჩემი აზრი და მწუხარება ფილიპეს, ლენჩს და ქერაძეს. ერთათ ვიწუხეთ, ერთათ ვშინჯეთ საქმე, და ბოლოს გადავწყვიტეთ: კაცმა ისე უნდა იმოქმედოს, როგორც სინიდისი და ჭკუა უბრძანებდეს: თუ დაემდურება ამისთვის ვინმე ან დაუმადლებს, ეს მისი საქმე როდია. ვისაც უნდოდეს, ის დაენდუროს ან გაუწყრეს, ვისაც უნდოდეს, ის დაუტკბეს ან დაემადლიეროს... გადავწყვიტეთ და დავისვენეთ...

ღრეჩიას პროგრამა. — ჯერ გავმდიდრდეთ, მერე ხალხს ვემსახუროთ. — მისი ხასიათი და მოქმედება. — რათ მოვშორდით იმას? — გზა ბედნიერი!

საკვირველი ის იყო, რომ ყველა ჩვენებურ სტუდენტებზე ნაკლებ თვითონ ღრეჩია მიწყრებოდა და მემდუროდა. ისე ალერსიანათ შემხვედებოდა ყოველდღე, სადილობის დროს, თითქო ჩვენ შორის თავის დღეშიაც არ გამოთქმულიყოს საწყენი სიტყვა. მეფერებოდა უწინდლურათ, რჩევას მაძლევდა, მემუსაიფებოდა, მიტკბებოდა უწინდელზე უფრო მეტათ, და არა ნაკლებ. მართალია, მესმოდა კი, რომ ეს ფარისევლობაათქო, მაგრამ ქე რა უნდა მექნა? ნუთუ პირდაპირ ზურგი უნდა შემექცია? უეჭველათ შევაქცევდი ზურგს და ერთიანათ მოვშორდებოდი, ერთი წელიწადიც რომ ჰქონოდა ჩვენთან გასატარებელი. მაგრამ დღე-დღეზე წასვლას აპირებდა. ღირდა განა ახალი წინააღმდეგობის ატეხათ? ამის გამო ვიფიქრე — თუ ძალა არ დამადგა, თუ ხელ-ახლავ არ გამამწარა, ხმას არ ამოვიღებ: დაე, წავიდეს თავისთვისთქო. — ჩემ გულში კი უკვირდებოდი ყოველ მის სიტყვას, ყოველ მის საქციელს ვწონავდი. მინდოდა გამეგო: რა ამოქმედებს ან რა აძლიერებს ამ კაცს დანარჩენ სტუდენტებშითქო. ღრმა დაკვირვების და მოაზრების შემდეგ აი რა აზრს დავადექ:

ერთობ უგრძნობი კაცი იყო ეს ჩვენი ღრეჩია, ერთობ წვრილმანი მიზნის მდევარი, მაგრამ ეს მისი წვრილმანეობა შეადგენდა მთელ მ-ს ძალას. თავის დღეში არ დაკარგვია იმას მხედველობიდამ ეს მისი მიზანი, და მთელი მისი მეცადინეობა, მთელი მისი ჭკუა და გონება იმაში იხარჯებოდა, რომ ამ მიზნამდი მიეღწია. მიზანი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველანი დაეკმაყოფილებია, ყველანი •მოემადლიერებია, ავიც და კარგიც, მტერიც და მეგობარიც... ჩვენ სუსტნი ვართო, ამბობდა, წელი უნდა გავიმაგროთო, და მარტო მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ ხალხის ან მამულის სიკეთეზეო. ეს პროგრამა ერთობ მოხერხებულია ყველასთვის, ვისაც შრედრინის ქალწულივით — კაპიტალის შეძენაც სურს და უმანკოების დაცვაც... თავს იმდაბლებს კაცი, თბილი ადგილის საშოვნელათ — შეუძლია თქვას — ამას საკუთარი სარგებლობისთვის კი არ ვშვრები, მამულის სიყვარულისთვის ვითმენო: მინდა წელი გავიმაგრო და მერე სარგებლობა მოუტანოო. უსინდისობას ჩადის კაცი, ფულის ან სიმდიდრის შესაძენათ, კიდევ თავის გამართლება შეუძლია — ხალხის სიკეთისთვის მომაქვს ეს მსხვერპლიო, მინდა გავძლიერდე, რომ ხალხს უკეთ გამოვადგეო... იმას კი ივიწყებს ამისთანა კაცი, რომ ორიოდე, თუნდ ასიოდე პირის გაძლიერება არც მამულს არგებს, არც ხალხს. ისევ ძველებურათ ბნელი

რჩება ეს ხალხი: ძველებურათვე გაუგებარი რჩება მისთვის მისი მდგომარეობის სიმწარე და მისი მომავალის უხეირობა; ძველებურათვე დახშულია მისთვის ის აზრი, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა, ამ მომავლის გაუმჯობესობა საჭიროც არის და შესაძლებელიც... იმის მაგიერ, რომ ეს აზრი გაუთქვლიფოთ ხალხს თავში, იმის მაგიერ, რომ თვითონ ხალხი გავაღვიძოთ და გავაძლიეროთ, ჩვენ თუ მარტო საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ვიზრუნეთ, ხალხს ქე რა უნდა ვარგოთ? მაგარი ისაა, რომ ბოლოს ჩვენ მიზანს ვივიწყებთ, და რაც უწინ საშუალება გვეგონა, ის მიზნათ გვექცევა. რაკი ჩვენ საკუთარ მდგომარეობას გავაუმჯობესებთ, რაკი გავლენიან ადგილს შევიძენთ, რაკი გავდიდაცდებით, ჩვენ მარტო იმაზე ვიწყებთ ზრუნვას, რომ ადგილი არ დაგვეკარგოს, სიმდიდრე არ წაგვერთოს. ეს ერთი. მეორეც ისაა, რომ თუკი მთელ ჩვენ ყმაწვილურ ალს და ძალას ადგილის ან სიმდიდრის ძებნაში ჩავლევთ, რაღა ღონე დაგვრჩება შემდეგისთვის ხალხის ან მამულის სასარგებლოთ? ცოტა გვინახავს, განა ამ პროგრამის მქონე პირი, რომელთაც ადგილიც დიდი უშოვნიათ, ფულიც ბლომათ შეუგროვებიათ. და ქვეყნისთვის კი მაინც არა ურგიათ რა? ან დღეს რაღას უკეთებენ ქვეყანას, ხალხს და მამულსაც ეს ღრეჭიები, დღეს, როცა იმათ გავლენიანი ადგილიც ხელში აქვთ და ფულებიც ბევრი შემოუსია? რა გააკეთეს? რა რჩევა მისცეს იმათ ქვეყანას, ეხლა, როცა ხმა დიდი აქვთ და თქმის მეტი არა დაეხარჯებათ? რა მსხვერპლი უძღვნეს იმათ მამულს ან ხალხს იმ სიმდიდრიდამ, რომელიც ამ ოცი წლის განმავლობაში ბოჭეს და ჰკრიბეს? რა სარგებლობა მოუტანეს? ხომ ყველამ იცის, რომ არაფერი. იმასაც კი ნუ დავივიწყებთ, რომ სიმდიდრის ბოჭვა და კრეფა იმათ ჩვეულებათ დაჰყოლიათ, ზნეთ გადაქცევიათ. და იმის მაგიერ, რომ გაძლიერების ან გამდიდრების შემდეგ ხალხს ან მამულს ვემსახურებითო, ისინი დღეს ხალხს და მამულს ატყავებენ და უშველებელ ჯამაგირს ახდევინებენ, იმისთანა სამსახურისთვის, რომელიც გროშათაც ძლივს ღირს...

ამ ადგილი პროგრამით დაიარაღებული ღრეჭია საქმეს მით იადვილებდა, რომ ყველას ეფერებოდა, ყველას იეზუიტურათ პირში უცინოდა, ყველას ემსახურებოდა, ცდილობდა ყველა მოეყიდა ტკბილი სიტყვით თუ ადვილი სამსახურით. თავისას არაფერს დაიკლებდა, გროშსაც არ გამოიმეტებდა — ამიტომ, რომ ურიაზე უფრო ძუნწი და კრიჟანგი იყო, — მაგრამ ისე ტკბილი თანაგრძნობით მოაჩვენებდა კაცს თავს, ისე ჩაუძვრებოდა სულში, ისე დაფაცურდებოდა, რომ ყველა ჰფიქრობდა — რაც შეუძლია შვრებაო... სადაც არაფერი დაეხარჯებოდა, იქ მაგისთანა დამხმარე ღმერთმა ყოველ ჩემ კეთილს მისცეს: ოთახსაც მოგიძებნიდა (შენი ხარჯით), წიგნსაც გითხოვდა (სხვისგან), მასწავლებელსაც აგირჩევდა (სხვებში), ლექციებსაც კი დაამზა-

დებინებდა (სხვებს)... შემდეგში, ცხოვრებაში, შვილსაც მოგინათლავდა, დასაფლავებაზედაც დაგამშვენებდა, ადგილსაც ითხოვდა შენთვის, შემწეობასაც შეგპირდებოდა. ერთი სიტყვით წვრილმანი დახმარებით ან ხელის გაწყობით, შემწეობით, მოგიყიდავდა, გადაგიბირებდა... კეთილშობილურ გრძნობას და აზრებს კი არ აღვიძებდა ან ზდიდა შენში, ისეთ სიმებს შეეხებოდა შენი გულისას, რომელიც პიროვან სარგებლობას, კერძო კომფორტს და თავმოყვარეობას მოსდევს... იქნება გონიერ ანგარიშათ ჩათვალოს ვინმემ ეს მოაზრება, და მართლათაც ოსტატური არის. კეთილშობილური გრძნობა და თავგაწირულობა იშვიათია ქვეყანაზე: ას კაცზე იქნება მარტო ერთს ჰქონდეს გულში ამ გვარი სიმები... მაგიერათ ყოველ კაცს უყვარს კომფორტი, ადგილის შოვნა, სიმდიდრე... ფული ან დიდკაცობა რომ დაანახო და დაპირდე ხალხის გროვას, იქნება მარტო ორმა სამმა შემოგაქციოს ზურგი, დანარჩენი კი ყველა შენ გამოგზდევს. მაგიერათ მარტო კეთილშობილურ გრძნობაზე რომ მიიწვიო ესვე გროვა, ქადაგება ან ხვერწნა რომ დაუწყო თავგაწირვით ემსახურეთ ხალხს, თავი დადვით მის სიკეთისთვისო, იქნება მარტო ერთი-ორი გამოგყვეს, სხვანი კი ყველანი გაგექცევიან...

ამისგამო ღრეჩიას ყოველთვის ის პირები მიეკედლებოდნეხ — და ეხლაც ის პირები ეკედლებიან, — ვისაც ყველაფერზე მაღლა თავისი კერძო სარგებლობა აქვს დაყენებული. ადვოკატები, ადგილის მაძიებელი ჩინოვნიკები, კერძო თავმოყვარეობით გატაცებული პირები — აი ვინ შეადგენდა ყოველთვის, და ვინ შეადგენს დღემდინაც, მისი მომხრების რაზმს, ორიოდე გამორიცხვით...

ერთი და იგივე მისი დარიგება სულ სხვადასხვა ნაირათ მოქმედებდა სხვადასხვა პირზე. ჩვენ ოთხს ზიზღს მოგვგვრიდა ხოლმე მისი ქადაგება იმაზე, თუ „თავი როგორ უნდა დაიკავოს კაცმა, როგორ უნდა მოაჩვენოს ყველას მცოდნეთ, მდიდრათ, დამყოლათ და მორჩილათ“, ან მისი აზრი, რომ მარტო ამისთანა საქციელით შეიძლება ამაღლდეს და ვაძლიერდეს კაცი. სხვებზე კი ამავე ქადაგებას სულ სხვანაირი გავლენა ჰქონდა: „ბარაქალა, რა მოხერხებული, რა ჭკუიანი კაციაო, რა სასარგებლო რამეებს გვასწავლისო!“ მის წახედვით სუსტი და კერძო სარგებლობის მდევარე ყმაწვილი ზურგს იმაგრებდა: „ცუდი რო იყოს ჩემი მიზანი, ღრეჩია როდი გვიქებდაო, აი, ჭკუიანი ღრეჩიაც მაგას გვირჩევსო...“—ბევრი ყმაწვილი გარყვნა და წაახდინა ამ მაგალითმა, ბევრს იმისთანას ფრთა შეასხა და სიაშრე მიანიჭა, ვინც უამმაგალითოთ ჩუმათ, მალულათ, მორცხვათ მოჰყვებოდა ფულის ბოჭვას... აი, ჩემი აზრით, მისი გავლენის საფუძველი ეს არის, ეს გახლავს, აგრეთვე, ის განუსაზღვრელი ენება, ის საწამლავი, რომელიც ამ ფარისეველთ

შკოლამ ჩვენი ახალგაზრდობის და ჩვენი ხალხის ცხოვრებაში შეიტანა და გააძლიერა...

თავიდანვე, ბავშვობიდამ, მძულდა ყოველგვარი ფარისევლობა და თვალთმაქცობა: ჭირივით მიმაჩდა თავის მოჩვენება იმათ, რაც არ ვიყავი. რასაკვირველია, ამ გრძნობის პატრონს არაფრათ უნდა მპიტნაევებოდა ღრეჩიას ქადაგება და საქციელი. რაკი გავშინჯეთ ეს ქადაგება ან ეს საქციელი, რაკი ავწონეთ და შევადარეთ ჩვენ მოვალეობას, სულ სხვა აზრს და საქციელს დავადექით. სულ სხვა გზა და მოვალეობა გვეხატებოდა ჩვენ წინ, სულ სხვა ნაირი საქციელი საჭიროთ გვეჩვენებოდა, სულ სხვა რიგ აზრებს შეუდექით... ამის გამო ღრეჩიაძალე შორებულ კაცათ გაგვიხდა. იმას თავისი საკუთარი გზა აქვსთქო, ვფიქრობდით, და ჩვენ — ჩვენი. ღმერთმა ხელი მოუმართოს, გზა დაულოცოს, ჩვენ კი ჩვენ გზას უერთგულოთთქო...

—14—

ლექციების დაწყება. — კოსტომაროვი. — სტასიულევიჩი. — სპასოვიჩი. — სხვა პროფესორები. — სტუდენტების არეულობის დასაწყისი. — ქარიშხალი მყუდრო ღღეს. — სხოდკა. — ჩვენი ყრილობა.

გაიხსნა უნივერსიტეტი. პროფესორებმა ლექციების კითხვა დაიწყეს. ისეთი სიხარულით და სურვილით დავიარებოდი ამ ლექციებზე, რომ კაცს ეგონებოდა საქეიფოთ მიდისო. პირველი ლექცია ჩემ დღეში არ დამავიწყდება. გული ისე მიძგერდა, ისეთი აღელვებული ვიყავ, და ისეთი მოწიწებით გადავიქეც სმენათ, თითქო პირველჯერ საყვარლის ნახვა მღირსებოდეს და მისი ტიკტიკით ვტკბებოდი. კოსტომაროვი კითხულობდა ამ პირველ ლექციას, და მისი საგანი იყო რუსული ისტორიის წყაროების აწერა. რომ იცოდეთ რა ნაირი ყურადღებით ვისმენდი ნესტორის მატიანეს გარკვევას: პროფესორის ტუჩებს შევყურებდი, როდის იქნება შემდეგი სიტყვა გამოთქვასთქო... მაშინაც მოხუცებული იყო კოსტომაროვი, მაგრამ მაინც დიდი ენერგიით კითხულობდა თავის საგანს: ხმა მაღლა, გარკვევით, თითოეულ სიტყვას კვერს ჰკრავდა ხოლმე, და ექვსასი თუ შვიდასი მისი მოწაფე ისე გულმოდგინეთ უგდებდა მას ყურს, რომ ბუზის ფრენაც კი შეიტყობდა იმ სიჩუმეში. სტუდენტებს გარდა ათიოდე ქალიც დაიარებოდა იმ ლექციებზე — ყველანი შავათ ჩაცმული თავიდამ ფეხებამდი, ყველანი წარბშეღუშული, თავ-მოკავებული... ისინი პირველ რაზმში ისხდენ, და თითოეული მათგანი ცდილობდა პროფესორის სიტყვების ჩაწერა მოესწრო...

მეორე ლექცია სტასიულევიჩის იყო, საშუალო საუკუნოების ის-

ტორიიდამ. ეს სულ სხვა ნაირათ კითხულობდა. მსწრაფლათ, სხარტულათ, გადაბმულათ ისე მოგვაყარა სიტყვები და ფრაზები, რომ გათავებამდი არც კი შეჩერებულა. როგორც გინახავთ დიმპლიპიტო, ისე არაკუნებდა სიტყვებს, და შორიდამ ჩვენ ტი-ტი-ტი-ტის ან ტა-ტა-ტა-ტას მეტი არაფერი გვესმოდა. რამდენათაც ღრმათ ჩაფიქრებული და შუბლ-შეკრული იყო კოსტომაროვი, იმოდნათ მოშაქრული, ალერსისმთხოვი და მომღიმარე იყო სტასიულევიჩის პირისახე. პირველი თითქო არც კი გვნიშნავდა, თითქო მარტო თავისთვის ან მარტო ეიღაც სხვებისთვის კითხულობდა თავის ლექციას. მეორე კი თვალებში შემოგვჩერებოდა. თითქო ჩვენ დათანხმებას ან მოწონებას თხოულობდეს: იმას ნიადაგ იმისთანა გამოხედულობა ჰქონდა, თითქო მოწმეთ მოვყავდით — ხომ კარგათ ვკითხულობო, ხომ ენა არ მიჩერდებაო, ხომ უცფათ ვლაპარაკობო, ხომ კაი ბიჭი ვყოფილვარო? პირველი უხეიროთ იყო ჩაცმული: ძველი მოდის პერანგი ეცვა, რომელსაც აქა-იქ ფოლაქები აკლდა, გახეხილი და მოფლაშული სურთუკი, შემოცვეთილი და გაწვერიანებული შარვალი. მეორე კი გაწკიპარტებული იყო: სარკესავით ბზინავდა მისი თოვლისფერი პერანგი, და ახალ-ახალი ტანისამოსი ტანზე ისე ადგა, როგორც კალაპოტზე... ერთი თითქო საგანგებოთ იმისთანა სიტყვებს ამბობდა და იმისთანა აზრებს გამოთქვამდა, რომ ჩვენ ყველას უნდა გვწყენოდა. ეხლაც მახსოვს ერთი ამისთანა აზრი, „ეხლანდელ დროშიო, თქვა, მოდით მიღებულია წინ-წაწევის, პროგრესის აზრებიო. სჯობია უკან დავიხიოთ, ჩვენი ძველების ცხოვრებას დაუკვირდეთ და ჭკუა იმათგან ვისწავლოთო!“ შეუპოვრათ გვესროლა ეს აზრი, სწორეთ იმავე სახით, როგორათაც რაინდი მოწინააღმდეგეს გამოითხოვდა ხოლმე შუბის სროლით: აბა შემეტაკეო, დამცი, თუ ბიჭი ხარო. მართლაც, ერთიანათ მთელ ჩვენ მოაზრებას და რწმუნებას ეწინააღმდეგებოდა ეს ახირებული აზრი, მაგრამ მისი მამაცობა, მისი გამბედაობა მომეწონა... სტასიულევიჩი კი ტკბილათ ლიბერალობდა: თავის საგანს აქა-იქ ჩაურთვიდა ხოლმე ზოგიერთ იმისთანა ფრაზას, რომლითაც იმდროინდელ შემთხვევებს ან გარემოებას შეეხებოდა... იმისთანა რასმე იტყოდა, რაც ჩვენ ყველას ტვინში გვიჯდა, და რისი გამოთქმაც ჩვენ ყველას გვიამებოდა, გულს მოგვიფხანდა, დაგვაკმაყოფილებდა... მთელი უნივერსიტეტი ტაშს დაუკრავდა მაშინვე, აღტაცებით ხრიალს დაიწყებდა... მაგრამ ჩემ საკუთარ თვალში კოსტომაროვის გაბედულობა უფრო ძვირფასი იყო და მოსაწონი, თუმც კოსტომაროვის აზრის მომხრე არ ვიყავი და დიდ შეცთომათაც მიმაჩდა მისი შეხედულობა... მართალიც ვთქვათ, არაფერი გმირობა გახლავს იმისი გამოთქმა ან იმის გამეორება, რაც ყველას სწამს და ყველამ იცის... გმირობა ისაა, როცა კაცი შეუპოვრათ მთელ ხალხის გროვას შეეტაკება, მისი აზრის წინააღმდეგ წავა, ახალ შეხედულობას ბურთივით წინ წაუგდებს, ახალ ნა-

თელს ოვალში მიახალებს... რა უყოთ, გინდ შემცდარიც იყოს ეს ახალი აზრი ან სინათლე — ტვინს ხომ მაინც აუთამაშებს და მოძრაობაში მოუყვანს ხალხს, ხომ უფრო მტკიცეთ დაარწმუნებს ნაცნობ ჭეშმარიტებაზე!.. მაგიერათ, რა კარგია, როცა ეს ახალი აზრი თან ახალ ჭეშმარიტებათაც გამოდის!...

მესამე ლექცია, რომელსაც დავესწარი, სპასოვიჩის ლექცია იყო. ეს სულ სხვა ნაირათ კითხულობდა. რუსულ ენაში ხშირათ წაუბორძიკდებოდა ხოლმე ფეხი, და საჭირო სიტყვების მოძებნა ან გახსენება ხშირათ ჭირდებოდა. მაგრამ რა ეშხიანათ კითხულობდა მაინც, რა ცეცხლით, რა გულითადი აღტაცებით! ყველაფერს ივიწყებდა, რაკი ლაპარაკს დაიწყებდა. ენებით აივსებოდა მისი თვალები, ეშმაკი გაუჯდებოდა ტანში, და ლოთიანათ, შეუპოვრათ იწყებდა ის მაშინ თავის აზრების მტკიცებას. გეგონებოდათ — მემუსაიფება, მაგრამ ვერ მხედავსო, მაჯერებს, მაგრამ ვერ მნიშნავსო, მის წინ ვდგავარ, ხელს მკიდებს, მანძრევს, მატრიალებს, ჯლინქვებს მკრავს, მაგრამ აღარ ახსოვს, თუ მის წინ კაცი დგასო... და როცა ერთიანათ ყველა თავის საბუთებს ან დამტკიცებებს ამოგილაგებდათ, უკან დაიხევდა და შემოგაჩერდებოდა გაჩუმებული: ნუთუ ეხლაც არ დარწმუნდიო? იყო ერთ მოუსვენარ ხელების შლაში, თითების ტრიალში, ცმაცურში. ხან საზარელი ხმით შესძახებდა წარმოდგენილ აზრის მოწინააღმდეგეს, თითქო ტან-და-ტან შეტაკებია მტერს და მისი განგმირვა უნდაო. ხან ჩურჩულით, ნაზი, დაბალი ხმით ლაპარაკობდა, თითქო საყვარელს ეევედრებოდეს — თუ გიყვარდე დამიჯერე, გამყევი, მასიამოვნეო... ისე გაგიტაცებდა, ისე დაიპყრობდა შენ აზრს, ისე გამუშავებდა ტვინით, რომ დაქანცული, დაღალული, თავბრუ დახვეული გამოდიოდი მის ლექციიდამ. მაგიერათ არც ერთი მისი ნათქვამი აზრი აღარ დაგავიწყდებოდა სიკვდილამდინაც...

მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს იმ აღტაცებას, რომლითაც მივფრინავდი ხოლმე უნივერსიტეტში, ამისთანა ლექციების ყურისსაგდებლათ. სხვა პროფესორებიც ბევრი გვყავდა, არც ერთის ლექცია არ გამომიტოვებია, რასაკვირველია, მაგრამ ყველას ეს სამი სჯობდა. სხვანი რაღაც უფერულები იყვენ, უძვლო-უფხონი, წელ-მოწყვეტილები. კითხულობდენ რაღაც უხალისო საგნებს სრულიათ უხალისო ხმით... კაცს ეგონებოდა — წიგნი აუღიათ, ცუდათ გაკვეთილი, და შიგ კითხულობენო... მაგრამ, როგორც წეღან ვთქვი, მათ ლექციებზე მაინც მუყაითათ დავიარებოდი: მინდოდა ყველა მენახა, ყველა გამესინჯა, ყველასთვის ყური დამეგდო, რომ შემდეგში უფრო გონიერათ შემძლებოდა უმჯობესის უარესისგან გარჩევა, და იმ საგნის ამორჩევა, რომელსაც გულდაგულ უნდა მივწოლოდით...

საუბედუროთ, ან, იქნება, საბედნიეროთაც — ერთ კვირასაც არ დამცლია ლექციების ყურის გდება.

შაფათი დღე იყო. კოსტომაროვის ლექცია იყო იმ დღეს უკანასკნელი. მის ლექციებზე ყოველთვის თითქმის მთელი უნივერსიტეტი ესწრებოდა. გათავდა თუ არა ლექცია ზოგიერთმა სტუდენტებმა დაიყვირეს — დიდ ზალაში წავიდეთ ყველანიო, იქ ს ხ ო დ კ ა უნდა მოვახდინოთო, ჩვენ მდგომარეობაზე და ჩვენ საჭიროებებზე მოვილაპარაკოთო. წარმოიდგინეთ შემოდგომის ტკბილი, უმოძრაო ტაროსი. წარმოიდგინეთ იმისთანა დღე, როცა სრული მყუდროებაა ბუნებაში, როცა ნიავიც კი არ ჰქრის და მზე ალერსიანათ დაცქერის ქვეყანას, წარმოიდგინეთ რომ ამისთანა მყუდრო დროს უცებ, უეცრათ, მოულოდნელათ თქვენ წინ ოცს ნაბიჯზე მეხი ვარდება, ქარიშხალი ტყდება და მთელი არემარე ბნელდება... რა გავლენა ექნება თქვენზე ამნაირ შემთხვევას? აი სწორეთ ამისთანა გავლენა იქონია ჩემზე — და ყველა ჩვენებზედაც — იმ მოულოდნელმა გამოცხადებამ „სხოდკა გავმართოთ, ჩვენ საჭიროებებზე მოვილაპარაკოთო.“ არც ერთი ჩვენგანი არ ელოდა ამას, არც ერთი მომზადებული არ იყო...

სხვა ლექციებიდამ გამოსული სტუდენტებიც აქტის დიდ ზალისკენ მიიჩქარებოდენ. ორი ათასი სტუდენტის ტალღამ გაგვაქანა და შეგვყარა ყველა იმ ზალაში...

იმავე საღამოს ღრეჭიამ ყველანი დაგვიბარა. ბესარიონიც მასთან მოსულიყო. ორივემ გამოგვიცხადა: სტუდენტები მთავრობისთვის თხოვნის მირთმევას აპირებენ, უნდათ „დემონსტრაცია“ მოახდინონო, და ჩვენც, ქართველებს, გვპატიჟობენ, მონაწილეობა მიიღეთო. რუსებიც ამას გვითვლიან და პოლშელებიცო, და სირცხვილი იქნება იმათ რიცხვში რომ გამოვწყდეთო...

რა მოხდა დილინდელი სტუდენტების „სხოდკაზე“ ან რა მუსაიფი და შეტაკება იყო ჩვენი ქართველობის ყრილობაზე — ამის აწერა ცალკე თხზულების საგანს შეადგენს. როდისმე იმასაც გიძღვნით...

ამ გარემოებით თავდება ჩემი „სტუდენტობის პირველი დრო,“ ის დრო, როგორიც, მგონია, არც ერთს ჩემ შემდეგ წასულს, არც ერთს ეხლანდელ სტუდენტს არ შესწრებია, — პატრიარხობის და პატრიარხული დრო ჩვენი ქართველი სტუდენტობისა...

41. მამულის სიყვარული და მსახურება

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჯდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია... ამ ოცი, თუთხმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფილა, მოვიგონოთ ის წყეული და ბნელითმოსილი დრო, რომელიც ამას იქით ღმერთმა ნუ მოასწროს, ჩვენს მამულს! გახსოვთ, ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავისთავად და თავისთვის მოქმედებდა. მას მეტი რამე მიზანი როდი ჰქონია — ჩინი ვიშოვნო, სამსახურში დავწინაურდე, შეძლება შევიძინოო. მისი კეთილის-მყოფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დაწინაურებაში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს უწყობდა. ქვეყნის დამღუპველიც რომ ყოფილიყო ის კაცი, რომელიც ჩვენ ჩინის ან ადგილის მიღებაში გვშველიდა, ჩვენ მაინც თაყვანს-ვცემდით მას, მაინც ღმერთად მიგვაჩნდა: ყოველი მისი სურვილი ჩვენთვის კანონი იყო. რაკი ეს კაცი პირადათ ჩვენ გვაბედნიერებდა, როდიღა ვგრძნობდით, რომ მთელის ჩვენის ქვეყნისთვის ის იქნებ მავნებელი ყოფილიყო. სხვის რა ჯავრი მაქვსო, ფიქრობდა ჩვენი კაცი, მე ხომ მრგებსო, მე ხომ მწყალობსო! ჩემთვის კი კარგი იყოს, და დანარჩენმა ქვეყანამ თუნდ თავი შავ ქვას ახალოსო!... ყველა ჩვენგანი ამ აზრის იყო, ყოველი კაცი ცალ-ცალკე სდევდა თავის ბედს, კერძოდ ეძებდა საკუთარ კეთილ-დღეობას... თუ დავინახავდით, რომ ეს ჩვენი კერძოდ გამაბედნიერებელი ჩვენს მეზობელს არ წყალობს, ჩვენც მის წაბაძვით, მის მოსამადლიერებლად, ამ მეზობლის მტრად ვიქცეოდით. ვაბეზღებდით ამ მეზობელს, ვდევნიდით, ვაწვალებდით... იმის მოსაზრება ჩვენ როდი გვქონდა, იქნება ბედის ჩარხი უკუღმაც დატრიალდეს, და ხვალ საკუთრად ჩვენ დაგვიწყონ დევნა ან წვალება, ისე, როგორც დღეს ჩვენს მეზობელს ეპყრობიან ჩვენის შემწეობით... ხშირად ვხედავდით ხოლმე, რომ ჩვენს ხელის-გამწყობელს ჩვენი ენა არ მოსწონდა, ჩვენი ჩვეუ-

ლება არ ეპიტნავებოდა. ჩვენც, მის სასიამოვნოდ, შეურაცხყოფით ვეპყრობოდით ამ ენას და ჩვეულებას. ვიმეორებდით: ქართული ენა რაღათ ვარგაო, ქართული ჩვეულება რის გამოსადეგიაო... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღების, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა, გვეგონა გლეხ-კაცად, „მუჟიკად" ჩაგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთო... ვის ჰქონდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტყოდა, რომ ჩვენის პირადი კეთილდღეობისთვისაც საჭირო არისო დედაენის ცოდნა თანამემამულეების ძმობა, მათი დახმარება...

.გახსოვთ, კიდევ, ოთხიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცი წლის წინათ, რომელთაც ქადაგება დაიწყეს, წერით თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო, ერთობა და ძმობა ვიქონიოთო, ერთმანერთს ხელი გავუწყოთ და დავეხმაროთო, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებაო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობა... რა ხარხარი დააყარა მათს ქადაგებას ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც იმ დროს მარტო ჩინოვნიკებისა და აფიცრებისაგან შედგებოდა!

— ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო, ფიქრობდენ და ბრძანებდენ მაშინ ჩვენი ტუზები, ჩვენი ჩინიანი და გავლენიანი ქოსები. მე თქვენ მოგახსენებ, ჩინს მომცემენ ან ჯამაგირს მომიმატებენ ქართული ენის ცოდნისთვის! რა საჭიროა ეს ქართული ლექსები ან ჟურნალები? უსაქმოობის გამო სჯღაბნიანო ეს ჩვენი თერგდალეულები... ბევრს უნდა ახსოვდეს დღესაც ეს და ამგვარი „გონიერი" სიტყვები ჩვენის ქოსებისა...

გავიდა ოცი წელიწადი. რაღას ვხედავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერლობის საჭიროებას. გამოუგდეს რომელსამე მათგანს შვილი გიმნაზიიდან ან უსამართლოდ გადაუწყვიტეს საქმე სამსაჯულოში, ან გზა აღარ მისცეს სამსახურში თუ სასწავლებელში, მაშინ თვითონ ეს ქოსები ხელში კალამს აიღებენ და „დროებაში"[2] წერენ: „ვიღუპებით, ბატონო, — გზა შეკრული აქვს ჩვენებურ კაცს, დამშევასა და დაბრმავებას გვიპირებენო". მარტო კალმით და წერით კი არ ქადაგობს ამას: იგი თავის მეზობელს უახლოვდება და ხედავს, რომ ორნივე ერთ ტაფაზე იწვიან თურმე, რომ მათთან, იმავ ტაფაზე, ბევრი სხვა ჩვენებური კაცი ყოფილა დამწვარ-დადაგული... გრძნობს ამას, და თანდათან უფრო უახლოვდება მასავით შეწუხებულს ადამიანებს, მათთან ერთად ტყობილობს, რომ ნიავი კარგი რამ არისო, რომ ღვთის გაჩენილი ქვეყანა და ბედნიერება ყველა მათგანისათვის დახშული და მიუწვენელი ყოფილა... თუკი ეს ყველაფერი ქოსებმაც გაიგეს, რაღა თქმა უნდა, რომ ახალგაზრდობას, ახალთაობას ათასჯერ უფრო ადვილათ და ღრმად შეეძლებოდა ამ გრძნობის შეთვისება... ჩინიან ქოსებს, უწინდელ დროში მაინც, დედობრივი სი-

ყვარულით ეპყრობოდენ... იმათ ძველი ამაგიდანაც დარჩენილი აქვთ ხსოვნა მაინც... ახალთაობათ კი თავიდგანვე დედინაცვალი ერგოთ ბედაო, კაპასი, უმოწყალო, ძუნწი და მძულვარე დედინაცვალი... ძველ ქოსებს უკეთესი მაგალითები მაინც არ ენახათ, რომ თავიანთი ბედი მათთან შეედარებიათ. ახალთაობათა კი ბევრი სხვისი ოჯახი ენახათ, ისეთი ოჯახი, საცა დედამთილი, კი არ კაპასობს, ნაზად, როგორც მოსიყვარულე დედა, საყვარელ შვილებს ალერსით აბედნიერებს... რაღა გასაკვირველია, მაშასადამე, რომ ახალგაზრდებს ათასჯერ უფრო მწვავედ უნდა ეგრძნოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლულევანება, ჩვენი დაფანტულობა და უთავობა...

ამასთან დრომაც იმოქმედა, ცოტათი არ იყოს. რაკი რუსეთის მთავრობამ, საკუთარი მიზნის მისაწევნელად, საჭიროდ დაინახა, გამოეფხიზლებია სხვადასხვა სლავიანური ხალხების თვისტომობა, და რაკი მათი მაგალითის წახედვით ჩვენს საზღვარზედაც შეიძრა სომხობა,— ჩვენ ქვის გული და თიხის ტვინი ხომ არ გვქონდა, რომ ჩვენც არ გვეგრძნო თვისტომობის ღირსება ან პატივი? ჩვენს საკუთარ თვალწინ, ორიოდ-სამი წლის განმავლობაში, სომეხს ერთი მტკაველი ტანი მოემატა. გუშინ რომ წელმოხრილი იყო ეს კაცი, გუშინ რომ მის ხმის გაცემას არავინ კადრულობდა, დღეს ჩვენს თვალწინ ის გაიმართა, გამაგრდა, გაამაყდა. მან დღეს თავისპატივი იგრძნო, თავისი ფასი შეიტყო. დღეს მას ყველა ერიდება, ყველა პატივს-სცემს, ყველა თავაზიანად ეპყრობა და ფართო გზას აძლევს... რამ მიანიჭა მას ეს ბედნიერება? „სომხობამ", „მთელი სომხობის ძალამ". ჩვენც მივხვდით, ამისგამო.,. რომ „ქართველობაც" რომ სადმე იყოს, „მთელი ქართველობის ძალაც" რომ სადმე არსებობდეს, იქნება ჩვენც გავიმართოთ წელში, იქნება ჩვენც გაგვიადვილდეს ცხოვრება, იქნება სხვისი სათრევი აღარ ვიყოთ, იქნება სხვის პატივისცემას ველირსოთ... სხვათა შორის ამანაც თვალი აგვიხილა, ამანაც გამოგვაფხიზლა და გვაგრძნობინა ჩვენი საკუთარი თვისტომობა...

იქნება ყველა ეს საფუძვლები ჩვენგანს არავის ჰქონდეს კარგად გამოკვლეული, ნათლად ახსნილი, მაგრამ მათს ძალას ყველა ვემორჩილებით, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებ. ყველა ვგრძნობთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში რაღაც ახალი, უცნობი ძალა წინ გვწევს ან მოსვენებას არ გვაძლევს. ზოგს ჩვენგანში ერთობ ღონიერად მოქმედებს ეს ძალა, ზოგში — ნაკლებად. მაგრამ ყველა კი მის გავლენის ქვეშ არის. ახლანდელი ჩვენი მოძრაობა ამით განირჩევა: იმას სტიქიური ძალა აქვს. ის ერთ კაცს კი არ მოუხდენია, ან საზოგადოებას კი არ გაუზრდია: დრომ მოიტანა, გარემოებამ გააძლიერა... ყოველი სტიქიური მოძრაობა ღირსშესასწავლია, თუკი კაცს სურს, რომ ეს მოძრაობა მისი საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გამოდგეს, და არა დამღუპველად. სჯობს მა-

გალითით ვილაპარაკოთ. წყალიც სტიქიური ძალაა. ჩინებული რამ არის ქვეყნისთვის წვიმა, რომელიც მოსავალს ზრდის და აუხვებს ან მდინარე, რომელშიაც ხალხი პოულობს საშუალებას წყურვილის მოსაკლავად, ტიკების სატარებლად, ყანების მოსარწყავად და სხვ. მაგრამ თუ მაისის წვიმა ნიაღვრად იქცა, ყანებს ერთიანად წალეკს და თესლს გადარეცხს... თუ მდინარეს კაცმა უადგილო ადგილს წვალება დაუწყო, თუ სარწყავი ღელეების ან საწისქვილე ტოტების თავი ცუდ ადგილს გაუკეთა, მდინარე რომ მოდიდდება, მთელ ყანებსა და მინდვრებს გადაიარს, წალეკს, დააქცევს. გონიერმა ხალხმა კარგად უნდა შეისწავლოს წყლისა და მდინარის თვისება, კარგად უნდა მოიხმაროს ის ღონე, რომელიც ამ სტიქიისთვის ბუნებას მიუცია, თუ სურს, რომ ამ ძალამ ახეიროს... ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს ან მარტო მავნებელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი მკურნალობს და უტვინო ბავშვი რძის საჭამანდშიაც კი დაიხრჩობა.

თუ ამ მოსაზრებას გავიხსენებთ, ადვილად მივხვდებით — რა სასარგებლო უნდა იყოს ჩვენის საზოგადოებისთვის დამჯდარი, მეცნიერული გამოკვლევა და გაცნობა იმ ახალი ძალისა, რომლის აღძრვა ჩვენში დიაღ საიმედო საქმედ, დიაღ ბედნიერ ნიშნად მიმაჩნია... ამ ნაწერის მიზანიც — თუ დარი დამიდგა — ეს ვამოკვლევა იქნება.

—1—

მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არ მომხდარა, რომ ხალხს დიდ-ხნობით დავიწყებული ჰქონოდეს თავისი თვისტომობა და შემდეგ აღძრულიყოს მასში, შემდეგ გაძლიერებულიყოს საზოგადოებრივი გრძნობა, მამულის სიყვარული, მამულის მსახურება. დედამიწაზე ერთი ძლიერი ხალხი არ არის ისეთი, ერთი კაკალი, რომელსაც ეს მდგომარეობა არ გამოელოს, რომლისამე სხვა ხალხის გონებითს გავლენის ქვეშ არ ეცხოვროს და, ბოლოს, თავისი თვისტომობა არ გაეხსენებიოს. ზოგმა დიდი ხანია რაც მოიპოვა ეს თავისი თვისტომობა, ზოგმა გუშინ შეიძინა ის. ზოგი კი დღესაც მისი შოვნისთვის იბრძვის ან მის მოპოებაზე შრომობს და ზრუნავს. მაგრამ ყოველგან და ყოველთვის ერთნაირი გზა გამოუვლიათ ყველა იმ ხალხთა, რომელთაც ეს ბედი ღირსებიათ. მათი გაზრდა, გაძლიერება და განვითარება ერთგვარის გზით მიდის წინ, ერთგვარის კიბით ადის უმაღლეს განვითარების წერტილამდი. თითოეულ საფეხურს ამ კიბისას თავისი სწორი და მსგავსი საფეხური აქვს, როგორც ყველა სხვა ხალხების აღსამაღლებელ კიბეებს. ნაბიჯ-ნაბიჯად იდგამს

ფეხს კაცობრიობა და წინ მიდის. რა გზაც ხუთს, ექვსს ან ოცს ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი სხვა ხალხი ერთის გადახტომით ვერ გაივლის. მართალია, ზოგი ხალხი ადვილად ან უცფად გაირბენს ამ ნაბიჯებს, ზოგი კი ლოკოკინასავით ფორთხვით გადაჩოჩდება ამ გზაზე. ზოგი ამ ერთი-ორი ნაბიჯის გადადგმას ოცს, ოცდაათს წელიწადს მოასწრებს, ზოგი კი ორ-სამ საუკუნესაც მიალევს ამ გავლას... მაგრამ ეს კია ყოველთვის, რომ აღნიშნული გზა და ნაბიჯები აუცილებლად გასავლელი აქვს ყოველ ხალხს, რომელიც გონებითს ცხოვრებას ეჩვევა ან საზოგადოებრივ ჩვეულებას ითვისებს...

ავიღოთ, მაგალითად, თუნდ რუსეთი, და ვნახოთ, რა სტადიები გამოუვლია რუსების საზოგადოებას მისი თვისტომობის შეგნებისა და შეთვისებისათვის.

მოგეხსენებათ, რუსეთი ჯერ სწორედ ისე განკერძოებულად ცხოვრობდა და უცხო ქვეყნელებს ისე ერიდებოდა, როგორც უწინდელ საუკუნოებში საქართველო იქცეოდა. პეტრე პირველამდი რუსეთი მარტო თავის თავს იცნობდა და მარტო თავის ჭკუით ცხოვრობდა. ერთობ უკან ჩამორჩა ის ამის გამო, ერთობ დასუსტდა, ერთობ დაგლახაკდა. ეს მიძინებული და დაუძლურებული ხალხი პეტრე პირველმა აიყვანა და ევროპის განათლებულ ცხოვრებაში შეაგდო. ბევრი რუსთაგანი წაფორხილდა მაშინ, ბევრმა უარი თქვა, ბევრმა თვალი დახუჭა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, იმისი არ იყოს, დრომ თავისი ჰქმნა (თითქმის ამგვარივე საქმე მოხდა ჩვენში, როცა, ამ საუკუნის დამდეგს, აქ რუსის წესი შემოვიდა...). არეულ-დარეული იყო მაშინ რუსეთის საზოგადოება: ზოგი ძველს ცხოვრების გზას ადგა, ზოგი მაიმუნსავით ბაძვიდა ახალს. ბევრი სისხლი დაიღვარა ამასობაში, ბევრი წინააღმდეგობა ატყდა... შემდეგ გამეფდა ეკატერინე დიდი, რომელმაც პეტრესავით ძალადობა კი არ იხმარა, უფრო ოსტატურად შეუდგა საქმეს. ის იშვიათად ხმარობდა ძალდატანებას. ვისაც გსურთ, ძველებურად წვერი მოუშვითო, მაგრამ ვისაც ჩემი დაახლოება უნდა, ვინც ჩემგან რასმე მოელის, მან ევროპიული განათლება უნდა მიიღოსო. ის აჯილდოვებდა მწერლობას, რომელიც იმ დროს ევროპიული მწერლობის ბრმა წამბაძავი იყო. თვითონ აარსებდა თეატრს, რომელიც ვითომც ევროპიული თეატრის მსგავსი იყო, დიდკაცობაში ევროპიულ ცეკვასა, მორთვასა და მოკაზმვას ავრცელებდა, ევროპიულად ცხოვრობდა და თავის საზოგადოებას ევროპიულად მდიდრულ ცხოვრებას აჩვევდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ის სწორედ ისე ეპყრობოდა რუსის საზოგადოებას, როგორც ვორონცოვი ჩვენს ქვეყანას... და რასაც პეტრე პირველმა — გენიოსმა — რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, რაც ჩვენში ერმოლოვმა — დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა — ვერ მოახერხა, ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა ალერსით თუ ოსტატობით შეაპარა.

შეაპარა ბრმა... გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრების...

უეჭველია, ყველა მათგანს, გულში, იქნება კეთილი და პატიოსანი მიზანი ჰქონდა: უთუოდ ყველას უნდოდა თავისი სამმართველო ხალხი უცხოეთის განათლებით გაებედნიერებია, აღეჭურვა იგი დაწინაურებული ხალხების იარაღით, თუ გამოცდილებით. მაგრამ ეს იარაღი და გამოცდილება არსად სჩანდა, ხალხს კი მარტო უცხოეთის გარეგანს ტანისამოსს აცმევდენ. ცდილობდენ, რომ რუსის ხალხი გაენემეცებიათ ან გაეფრანცუზებიათ, და ქართველები — გაერუსებიათ. ის ავიწყდებოდათ, რომ ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს; შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ — წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება... და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს... მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას აკნებ... ამნაირ გარეგან წაბაძვას გამოეკიდა ყველა; ამგვარ მასკარადულ „გადასხვაფერებას“ მიალიეს ხალხის უმჯობესი დრო და თითქმის მთელი საუკუნე... მაინცადამაინც სრულიად უმნიშვნელო ან უნაყოფო როდი დარჩენილა ეს გარეგანი წაბაძვაც. ბევრი სიკეთეც მოუტანა მან ხალხს. მაგალითად, თუნდ თეატრი ან მწერლობა ავიღოთ. უწინ ჟურნალ-გაზეთებს მარტო წაბაძვით აარსებდენ, თეატრებსაც წაბაძვით მართავდენ... „როგორ იქნებაო, პარიჟში და ლონდონში თუ იმდენი ჟურნალ-გაზეთები გამოდის, იმდენი თეატრები მოქმედებს, ჩვენში კი რატომ არ უნდა იყოსო. ვინც ამას შეიტყობს ან დაინახავს, ხომ მაშინვე ბარბაროზს დაგვიძახებსო!“ ამ მოსაზრების ძალით, მარტო წაბაძვით, არსდებოდა ჩვენში და რუსეთში „წამხედავი“ მწერლობა ან თეატრი. დიდხანს საქმე მართლა მარტო „წამბაძველობით“ ბრუნავდა. როგორც საფრანგეთში ან გერმანიაში იყო რასინი, კლოპშტოკი, კორნელი, ისე რუსებსაც ეგონათ, რომ ამ მწერლების წამბაძავი ჩვენი მჯღაბნელები „რუსეთის რასინები“ ან „კორნელები“ არიანო. მაგრამ შემდეგ ამ წამბაძავ მჯღაბნელებს გამოერიენ და მოერიენ ნამდვილი მწერლები, ნამდვილი ნაციონალური, ნიჭით შეიარაღებული, და წერა და ბეჭდვა მათ ხელში მართლა მწერლობად გადაიქცა. მიმბაძავი მწერლობის დამაარსებლებმა ბევრი ირტყეს მაშინ თავში, ბევრი ინანეს — რათ მოვიხვიეთ თავზე ამგვარი „მოწინააღმდეგობა“, მაგრამ მწერლობის მოსპობა კი აღარ შეეძლოთ. „ჩვენ გვსურდა გასართობი, საამო დროს გამატარებელი, თავის შემაქცევარი რაიმე დაგვეარსებინაო, ამბობდენ ისინი, და ამის მაგიერ კი ისეთი მწერლობა დაარსდა, რომელიც საქმეებში ერევა, მჯელობას იწ-

ყენს, უფროსებს ჰკიცხავს, ხალხს ზრდის და აღვიძებსო!“ — ასე ხშირად, მარტო წაბაძვით იწყებს ბალებში სიარულს ჩვენებური ვაჭარი, მარტო იმ განზრახვით, რომ სხვებს უკან არ ჩამოვრჩეო... მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ ის ხედავს, რომ სუფთად ჩაცმასაც შეუნიშნველად შეეჩვია, თავაზიან და პოლიტიკურ ლაპარაკსაც და, ამას გარდა, ბევრ საკვირველს, გონების განმავითარებელს აზრებს და ფიქრებს გაეცნო, საზოგადოებაში ბაასობის დროს...

ესარგებლო არ ყოფილა მეთქი თვით წაბაძვაც. მართლაც, ქვეყანაზე ყველაფერი ახირებულად ბრუნავს. ხალხი და კაცობრიობა გონიერი ან გამოცდილი ქმნილება როდია, წინათვე აღნიშნულ მიზნისკენ გადაუხვევლად მიმავალი... დედამიწაზე ის ბრმასავით დაეხეტება, ხელების ფათურით, სანამ სადმე ღობეს ან კლდეს, ან ღრეს არ წაატყდება... შუბლს რომ მიახლის, ანა და ფეხს რომ იღრძობს, მაშინ მიხვდება — ამ გზაზე სვლა არ ვარგებულაო, და მეორე, სხვა გზას ირჩევს, რომელზედაც მალე ახალი ხრამი ხვდება. იქაც რომ ხიფათი დაემართება. ბრუნდება და თავის ბედს რომელსამე ახალს, შუათანა გზას მიანდობს... მერე მეოთხეს, მეხუთეს, და სხვ. ასე დახეტიალობს ქვეყანაზე კაცობრიობა, ერთი შეცთომიდგან მეორისკენ, და ვინ იცის, როდის ეღირსება მას იმნაირ გზაზე დადგომა, რომელზედაც უხიფათოდ ან დაუბრკოლებლად წაგოგიალდება მისი საქმე... ამ ბედნიერებისგან ჯერ-ჯერობით კი მეტის მეტად შორსა ვართ. ჩვენ დროს, ორმოცი, სამოცი წლის განმავლობაში ადგია ხალხი ბრმა-წაბაძვის გზაზე, ცდილობს გადაკეთდეს, გადასხვაფერდეს უცხოეთის კალაპოტზე. შუბლს რომ გაიხეთქს ამისთანა ცდაში და მიხვდება, ამდენიხანი უხეირო მიზნისთვის შემილევიაო, ის მობრუნდება და მეორე გზას ადგება: ცდილობს მაშინ საკუთარი წინაპრების წარსული დრო მოიბრუნოს, მათი მივიწყებული ჩვეულებანი გაიხსენოს, მათს ძველ ცხოვრებას და წესებს დაუბრუნდეს... ამ ცდაშიაც გაივლის ხოლმე ნახევარი საუკუნე, ხან მეტი, ხან ცოტად ნაკლები... რასაკვირველია, არც ეს გზა აბედნიერებს ხალხს... მაშინ რაიმე ახალი მიზანი გამოუჩნდება, რომლის დევნაში კიდევ ერთი იმდენი ხანი ილევა.

მაგრამ თვით ეს მიდებ-მოდება და ხეტიალი დიდათ სასარგებლოა ხალხის გონების განვითარებისთვის. ხალხიც სწორედ ისე იზრდება, როგორც ბავში. მართალია, როცა ის აკვანში ჩაწვენილია, როცა მას ხელ-ფეხი შეკრული აქვს და თვალები ახვეული, ის ვერც შუბლს მიახლის კედელს, ვერც ფეხს მოიტეხს ღრეში. მაგრამ რომ წამოიზდება, ყარგი მომვლელი სჭირია, და რაგინდ დახელოვნებული ან გულ-მტკივნეული იყოს ძიძა, ხომ ველარ მოერევა წვერ-ულვაშიან გაზდილს, აკვანში ხომ ვერ ჩააწვენს, ხომ ვერ მოუვლის? როცა ბავში ჯერ ფორთხვას იწყებს, მერე სიარულს, განა შესაძლოა მისი ფეხის ადგმა და გაზრ-

და ისე, თუ ბევრჯერ ხან კედელს არ მიეხალა, ხან იატაკზე არ დაეცა, ხან კიბეზე არ გადავარდა? თვით ეს ხიფათები ბავშვს აჭკვიანებს, გონებას უვითარებს და სწორე გზას უჩვენებს... თითოეული შეცდომა, იქნება, ათასი სხვა შეცდომებისაგან იხსნიდეს მას შემდეგისთვის... ხალხის ზრდაც აგრეევ წარმოებს, დასაწყისში, როგორც ბავშის ზრდა. კაცმა რომ ეს ზრდა გაკვრით ასწეროს, აი რას დავინახავთ: დასაწყისში თითოეული ხალხი უძლური და უსუსურია. მალე მას ძიძა ან მომვლელი უჩნდება, რომელიც აკვანში აწვენს და ხელ-ფეხს მაგარი არტაშნებით უკრავს... მთელი საუკუნოებით რჩება ხალხი ამ უბედურ მდგომარეობაში. მერე კბილები ამოდის, ღონე ეძლევა, გონება მოეწიფება. მაშინ ის ჯერ ფორთხვას იწყებს, მერე ხეტიალს, და ბოლოს ადამიანურ სიარულსაც. თავდაპირველად, როგორც კი გონებაზე მოდის, მას მარტო მიბაძვა შეუძლია: რა საქმის კეთებასაც სხვას შეამჩნევს მის გადაღებას მოინდომებს... ბოლოს, როცა დიდძალ გამოცდილებას ან ჭკუას შეიძენს, როცა დავაჟკაცდება, ცხოვრებას გაეჩვევა, გაგონიერდება, ის თავის საკუთარ ჭკუას მიენდობა, მის ხელმძღვანელობით მოქმედებას იწყებს, და ისე ცხოვრობს, რომ სხვისი გამოცდილებაც გამოიყენოს და თავისი საკუთარიც; კარგი თავისიც დაიცვას და სხვებისგანაც შეიძინოს; ავს სხვებისასაც ასცილდეს და თავისასაც.

თუ კაცმა ამ სტადიების სისტემებრივ გამოსახვა და დაწყობა მოინდომა, ვნახავთ, რომ ყოველი ხალხის ცხოვრებაში შემდეგი განვითარების ოთხი პერიოდი მოიძებნება.

პირველ პერიოდს ის დრო შეადგენს, როცა ხალხი თავის საკუთარი გონებით ან ტვინით არ ცხოვრობს, როცა მის მაგიერ სხვა ვინმე ზრუნავს და მოქმედობს, და როცა ხალხი მცონარეობს, საზოგადოებრივ ინტერესებს არ გრძნობს, ერთი სიტყვით ის დრო, რომელსაც ყ რ მ ო ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი ჰ ქ ვ ი ა.

მეორე პერიოდი, რომელსაც მ ი მ ბ ა ძ ვ ე ლ ო ბ ი თ ს ეძახიან, იმ დროს წარმოადგენს, როცა ხალხი უცხოეთის დაწინაურებას ხედავს, და მის მონურ მიბაძვას იწყებს, თავის უძლურებას ან სისუსტეს იზიზღებს და ცდილობს გადასხვაფერდეს გარეგნულ წაბაძვით.

მესამე პერიოდს, ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ო ბ ი ს ა ღ მ ა დ გ ე ნ ე ლ ს, ის დრო შეადგენს, როცა ხალხი რწმუნდება, რომ ასეთი მიბაძვა დიდ ხეირს არას მაძლევსო, და საკუთარი წინაპრების წესების აღდგენას მოინდომებს, მათს ყურ-მოჭრილ მონად ხდება. ზოგიერთი ისტორიკოსები მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ს პ რ ო გ რ ე ს ი ულ-მ ი მ ბ ა ძ ა ვ ს არქმევენ, და მესამეს — რ ე გ რ ე ს ი ულ-მ ი მ ბ ა ძ ა ვ ს.

მეოთხე პერიოდი კი მაშინ იწყება, როცა ხალხი ამ მესამე პერიოდის უნაყოფოებასაც იგრძნობს. მაშინ ის გაბორკვევას იწყებს, თუ მისი საკუთარი ბუნება რას მოიტანოს, მისი ძალა რის ნებას აძლევს,

სხვა ხალხის ძლიერება რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ კარგი, ისეთი, რომლის შეთვისებაც მის ბუნებას შეუძლია, და თვითონ მას რა ჰქონია ცუდი, ისეთი, რომლის თავიდგან მოშორებაც შესაძლოა. ამ პერიოდს ჩვენში საკუთარი სახელი არ აქვს, ამიტომ რომ ჩვენ ეს დრო არ გვღირსებია. რუსულად კი ამას ჰქვია период самобытного творчества და ჩვენებურად, თუ გნებავსთ, ასე იყოს: თ ა ვ ი ს ებ ურ ი შ ე-მ ო ქ მ ე დ ებ ის პ ერ ი ო დ ი.

—2—

მიბაძვის პერიოდი ერთობ გრძელი იყო ჩვენში. ბუნებას ჩვენი ქვეყანა იმისთანა ადგილს მოუთავსებია, საცა ათასნაირი ხალხი იყრიდა თავს, თითქო ისეთს მოედანზე, რომელზედაც ერთბაშად ოცი თუ ოცდაათი ქუჩა გამოდის... ჩვენს სამშობლოს ჯერ ერთი ხალხი მოადგებოდა კარზე, მერე-მეორე, მერე-მესამე და სხვ. თითქმის ყველანი კი ჩვენზე გაძლიერებული ყოფილან. ერთის გაცნობას ვერ მოვასწრებდით, მისი დაწინაურება გაგვეგო, მისი ხეირიანი ჩვეულებანი შეგვეთვისებია, აკი მეორე მოგვადგებოდა, პირველზე უფრო ძლიერი ან დაწინაურებული. ვიწყებდით, მაშინ, ამ ხალხის გაცნობას ან შეთვისებას... ერთიც ვნახოთ, მესამე მობრძანდებოდა, ორივეზე უმჯობესი, მერე, მეოთხე და მეხუთე. რა უნდა გვექნა ამ მდგომარეობაში, რა გვეშველებოდა? უბრალო სტუმრად რომ მობრძანებულიყო ყველა ეს ხალხი, კიდევ რასმე მაინც მოუხერხებდით. შეგვეძლებოდა მათი კარგი და ავი, გონიერად გაგვეცნო, მათი სიკეთით გვესარგებლა ან მათს ცუდს ავშორებოდით. მაგრამ ისინი სტუმრად კი არა, გამგლეჯ-გამაოხრებლად მოდიოდენ ჩვენსა. თითოეული ეს წვეულება ჩვენი ხალხისთვის აკლება იყო. თითოეული მათგანი ჯერ თავ-პირს დაგვამტვრევდა, მერე ბატონად გვიჯდებოდა სახლში, მშიერად და ღატაკად გვტოვებდა... ვის ექნებოდა დრო გონიერად დაკვირვებოდა მათს კარგს და ავს? განუმარტებლად, უ ბ რ ა ლ ო შ ე ჩ ვ ე ვ ის ძ ა ლ ი თ, გვრჩებოდა თითოეულ ამ ხალხისგან უმთავრესი მისი ზნე, სწორედ ისე, როგორც დიდ ჯარში, ან ვაება ხალხის გროვაში გარეულ კაცს ყოველი მისი შემხვდომის ჩირქი ან ტალახი ედება, და კარგი რამ კი ძვირად ხვდება...

ამ სახით მონგოლებსაც კი ვბაძავდით დიდხანს ძალა-უნებურად, სპარსელებსაც, თათრებსაცა და ლეკებსაც. ზოგმა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა შარვალი, ზოგმა სიზანტე, ზოგმა ორპირობა... ხეირიანი და მაგარი ბუნება რომ არ გვქონოდა, ჩვენ სისხლში რომ ის დაუნდობელი და დაუშრეტელი ძალა არ მდგარიყო, რომელიც ზოგიერთს რჩეულ ხალხს უკვდავებას აძლევს, დიდი ხანია რაც დედამიწის პირიდგან ქართველებისა და საქართველოს ხსენებაც კი გაქრებოდა. ყველასაგან

იმოდენი ჩირქი გვრგებია, ყველას ჩვენთვის იმდენი ტალახი და მტვერი მოუცხია, რომ, სხვა, უფრო სუსტი ხალხი, კიდეც დაიმარხებოდა აქაც. ამ სისქე ტლაპოს ქვეშ... ვინ, რომელი ბრძენი, ისტორიკოსი ან ეტნოგრაფი გვეტყვის დღეს, როგორი იყო ნამდვილი და პირველ-დროინდელი ქართველების ბუნება, ზნე, ხასიათი, თვისება? რა შეგვრჩა ჩვენი საკუთარი ან რა გამოგვყვა და მოგვედო სხვისი? ჩვენი რა გვაქვს დღეს და სხვისი რა, ან რომლის რა? ვინ იცის ეს! მართალია, ბევრს არც საჭიროდ უნდა მიაჩნდეს ამ ნაირი გამოკვლევა, მაგრამ დღეს ამ უბედურ მიმბაძველობის პერიოდი რომ, ღვთის მადლით, ჩვენთვის გათავდა, და ვიწყებთ შემდგომს ისტორიულ პერიოდს, პერიოდს ჩვენის თვისტომობისკენ დაბრუნებისას, მეტის მეტად საჭიროც არის და გამოსადეგიც ვიცოდეთ — ჩვენი თვისტომობა ნამდვილად რაში მდგომარეობს ან რომელ თვისტომობას უნდა დავუბრუნდეთ, დავუახლოვდეთ? რომელს დროსა ან რომელს ზნეს უნდა დავუბრუნდეთ: როცა ქართველობას სპარსეთის დაღი ეკრა, თუ როცა თათრების გავლენის ქვეშ ყოფილა ჩვენი ქვეყანა, როცა თათრების ჯკუით ვცხოვრობდით და ვიკვებებოდით, თუ როცა საბერძნეთი გვპატრონობდა, როცა ბიზანტიის სწავლით გაბრწყინვებულ იქნა მოკლე ვადით ჩვენი ბნელი ცხოვრება? რა ზნე და წესი უნდა გვიყვარდეს, რა წყობილებისკენ უნდა მივესწრაფებოდეთ, რაში უნდა ვხედავდეთ ჩვენს იდეალს, რას უნდა ვსთვლიდეთ კარგად და ავად? ხომ შეუძლებელია ყველა ამ კითხვის განმარტება და გარჩევა, სანამ არ დაარსდება ჩვენში ხეირიანი ისტორიული შკოლა, სანამ ისეთი ხეირიანი ისტორიკოსები არ გაგვიჩნდებიან, რომელთაც ჩვენის ხალხის ძველი ცხოვრება გამოიკვლიონ და ის სიბნელე თვალიდან მოგვაშორონ, რომელიც ჩვენს წარსულს გვიმალავს!

სანამ ამნაირი ისტორიკოსები არ გვეღირსებიან, სანამ მათის შემწეობით ჩინებულად არ გაიგებს ჩვენი ხალხი თავის წარსულ ცხოვრებას, მანამდი იმ ახალ პერიოდში, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა ამ ხანებში შესულა, ერთობ დაბნეულად, უთავბოლოდ და უმნიშვნელოდ წაჩოჩდება ჩვენი ხალხის გონებითი წინ-წაწევა. დღეს რომ ამისთანა ისტორიკოსები გვყვანდეს, დღესვე ზედმიწევნით რომ ვიცნობდეთ ჩვენს წარსულს, ეს ისტორიული პერიოდი იქნება მარტო თუთხმეტიოდე წელიწადს გაგრძელდეს ჩვენში, მეტს კი არა. მაშინ, რაკი ასე მალე მოვიხდით ამ სახადს, ადვილად შეგვეძლებოდა ისტორიულ ცხოვრებაში შემდგომი ნაბიჯი გადაგვედგა და ჩვენი საკუთარი მუხლების ძალა გვეშინჯა... დღეს კი უთავბოლოდ უნდა ვიბოდიალოთ, და ეინ გვეტყვის — რამდენს ხანს, რამდენს წელიწადს ან იქნება საუკუნესაც, გასწევს ეს „დროებითი“ პერიოდი ჩვენის ხალხის ისტორიული განვითარებისა?...

უფრო გარკვევით გამოვსთქვამ ჩემს აზრს, და ამ მიზნით ერთ მაგალითს მოვიყვან რუსეთის ისტორიული ზრდისაგან.

პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის მეოხებით დაწყებული და გაძლიერებული პერიოდი მიბაძვისა (მეორე პერიოდი) რუსეთში ეხლანდელ საუკუნემდი განიგრძო. ალექსანდრე პირველის უკანასკნელ წელიწადებში რუსეთში პირველჯერ მოიჩენა შემდგომი პერიოდის წინამორბედი ხმები. შიშკოვმა და აქსაკოვებმა ქადაგება დაიწყეს, რომ მიბაძვა სასირცხოა, განა ჩვენ ხალხი არა ვართო, განა ჩვენ წარსული არ გვქონიაო? ჩვენ ძვლებს დავუახლოვდეთო, მათგან ვისწავლოთ ბეჟა-გონებაო, მათ წესებს დავუბრუნდეთო. ატყდა უშველებელი ბრძოლა ამ პირებისა და ევროპიულ- განათლების ან წესების შემოტანლებს შუა. ორ ბანაკად გაიყო რუსული მწერლობა და საზოგადოებრივი ცხოვრება: ერთი (მედასავლეთენი [60]) ევროპის წესებსა და თავისუფლების შემოღებას ცდილობდა, მეორე კი (სლავიანოფილები [36]) მამა-პაპური ცხოვრების დაბრუნებას. პეტრე პირველმა რუსეთი დაღუპაო, ამბობდენ და სწერდენ ეს უკანასკნელები: საჭიროა ის წესი ალვადგინოთ, რომელიც პეტრემ ევროპის მიბაძვით დაარღვიაო. დაიწყეს ამ ძველი წესებისა და ცხოვრების შესწავლა: მაშინ ხომ არავის გაეგებაც არ ჰქონია ძველი ისტორიისა, სწორეთ ისე, როგორც ჩვენში არავის აქვს ეხლა ჩვენი წარსულის ცნობა. გამოჩდენ ნიჭიერი და ეშრომელი ისტორიკოსები ორსავე ბანაკში. ზოგი ძველ დროში მარტო მოსაწონ მხარეებს ეძებდა, ზოგი მარტო საძრახს და სასაცილოს. მათი შრომა მიდგომითი შრომა იყო, მართალია: მიდგომით და მრუდეთ ხატავდენ ისინი წარსულს, მაგრამ მათი გამოკვლევით წახალისებული ხალხი მარტო იმათ კი არ შეაჩერდა. მათ შემდეგ ახალი, უფრო მიუდგომელი და სინიდისიანი ისტორიკოსები გამოჩნდენ, რომელთაც პირველებმა შრომა გაუადვილეს და გზა აჩვენეს. ამ ახალმა მწერლებმა კარგიცა და ავიც ერთნაირად გამოიკვლიეს, არც ცუდი რამ დამალეს, არც კარგი, და ნელ-ნელა გაიფანტა ის სიბნელე, რომელიც რუსეთის წარსულ ცხოვრებას ფარავდა... ამას გარდა, იმავე მოძრაობის მეოხებით, რუსები მიხვდენ, რომ მათს ცხოვრებაშიაც ყოფილა ზოგიერთი იმისთანა მხარეები, რომელიც ევროპის განათლების მომხრესაც კი მოეწონება ან აღტაცებაში მოიყვანს. გამოჩნდა, მაგალითად, რომ ჩინებული რამ ყოფილა რუსეთის ძველი ჩვეულება შრომის განაწილებისა (артели) და მიწის მფლობლობისა (община), თითქმის ისეთი ყოფილა, როგორც იდეალად უჩვენებენ ევროპის რეფორმატორები. გამოჩნდა, აგრეთვე, რომ რუსის ხალხს მშვენიერი საკუთარი მუსიკა ჰქონია, ისეთი, რომ იტალიის მუსიკას უკან არ ჩამოუვარდება. გამოჩნდა კიდევ რუსული ს ტ ი ლ ი შენობაში ან მოწყობილობაში, რუსული გემოვნება, რუსული სახალხო პოეზია (ეპოსი, ლირიკა და სხვ.), გამოჩნდა

ბოლოს, რომ თვით გონების ცხოვრებაშიაც, — რომელიც ყველას ერთიანად დახშული ეგონა, — რუსეთის ხალხს თავისი თვისტომური მხარე ჰქონია, განსაკუთრებით სარწმუნოების კითხვებში. ზოგიერთი მისი სექტები, ერეტიკოსობის მიმდევრობა, მეტის-მეტად თვისფეროვანი გამოვიდა... და როცა სინიდისიანმა ისტორიკოსებმა ან ეტნოგრაფებმა კარგად გულმოდგინედ გამოძებნეს ყველაფერი, რაც თვისფეროვანი ან დასაფასებელი ყოფილა რუსეთის წარსულში და მისი ხალხის ზნეში, მაშინ სრულებით გაადვილდა რუსებისთვის საკუთარ მუხლებზე სიარული, სხვისი და თავისი ხეირიანი წესების დაფასება ან დაფუძნება... მაშინ რუსეთისთვის მოისპო მეორე და მესამე პერიოდი, მისი ისტორიული განვითარებისა და გარდაიშალა მეოთხე პერიოდი...

ეს მაგალითი იმისთვის კი არ მომიყვანია, რომ რუსეთი ვაქო ან ვაძაგო: ბავშობა იქნებოდა ამისთანა სურვილი. მინდოდა გარკვევით მეჩვენებია ყველასთვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში იმ პერიოდს, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში იწყება...

კერძო პირი ხშირად ვერც კი ხედავს, თუ თვითონ მას რა ისტორიული ძალა ამოქმედებს, რა ბუნების ძალას მიჰყავს ის ხან წინ, ხან უკან. ვისაც ზედმიწევნით არ შეუსწავლია „ისტორიის ფილოსოფია", მას ყოველთვის ჰგონია, რომ რასაც მე დღეს ვშვრები, იმას ჩემი საკუთარი ჭკუით ვშვრებიო, ჩემი გონებით ვმოქმედობ, და სხვებს ვამოქმედებო. დიდი შეცდომაა ეს, დიდი სიბრიყვეა, კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ძალა და ჩარჩო ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ იხტუნოს ამ პაიკმა, ათასიც რომ თავის ნებით გაიწიოს, ქვეყნის ჩარხის ბრუნვა მას მაინც უპოვის თავის ადგილს და თავის ნებაზე დაატრიალებს. მართალია, კაცის გონიერებასაც ბევრი შეუძლია ამ საქმეში, მაგრამ ეს ბევრის შეძლება მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი პაიკი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს იმას, და ამ ძალით ისარგებლებს, ამ ძალას დაეხმარება; ზოგი კი ამას ვერ მიხვდება და ბრიყვულად თავს გაალახვინებს ან მთელ თავის ღონეს ამ ძალასთან შეუფერებელ ბრძოლაში დალევს... ეს უნდა გვახსოვდეს კარგად, შეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ზოგიერთს ყმაწვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდებაო...

ამ საგანზე ლაპარაკი იმისთვის გავაბი, რომ მინდოდა მეთქვა, თუ რამსიდიდე მსგავსება სუფევს ეხლანდელ ჩვენს მოძრაობასა და რუსეთში სლავიანოფილობის დაარსებას შუა. ადვილად შემეძლო ასეთივე მსგავსება რომლისამე სხვა ხალხის ისტორიიდგან ამეღო. შემეძლო, მაგალითად, მომეყვანა ის ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში იყო გამართული ცრუ კლასიკებსა და რომანტიკებს შუა, ან გერმანიის ცხოვრებიდგან — ლესინგის დროს დაბოლოვებული ომი საფრანგეთის წამბაძავებს და ძველი გერმანიის მომხრეებს შუა... ორივე ეს ბრძოლა

სწორეთ იმავე ხასიათის იყო, როგორიც რუსეთში ატყდა და ჩვენშიაც იწყება... მაგრამ რუსეთის მაგალითი მისთვის მომყავს, რომ ეს მაგალითი უფრო ნაცნობი და ადვილად გამოსაკვლევია ჩვენი ყმაწვილების უმეტესი ნაწილისთვის.

სლავიანოფილობის პირველი თვისება ის იყო, რომ თავიანთს ყველაფერს იწონებდა ან თაყვანს-სცემდა, და უცხოეთისას ყველაფერს იძულებდა ან აძაგებდა. წაბილწულიაო ყოველი კაცი, ვინც რუსულ ენას არ ხმარობსო და ვისაც უცხო ენაზე გინდ ერთი სიტყვაც წაცდებაო. როცა რუსულ ლაპარაკში ვინმე იმისთანა სიტყვას იხმარდა, რომელიც რუსულში სულ არ იყო, სლავიანოფილები კიჟინს იწყებდენ: „რათ ხმარობთო სიტყვას პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ს, ეს ხომ რუსული სიტყვა არ არისო!“ — რომ გვჭირდება მისი ხმარება, და მის მსგავსს სიტყვას რუსულ ლექსიკონში ვერ ეპოულობთო, უპასუხებდენ მოწინააღმდეგენი. — „სიტყვა-სიტყვით გადათარგმნეთო, მოიგონეთ, მაგალითად, სიტყვა говорильная (სალაყბო) და ის იხმარეთო. — რა ვქნათ, მიუგებდენ მაშინ მოპასუხენი, ჩვენ ენაზე უფრო მდიდარი და შემუშავებული ენა აქვთ ნემცებს ან ფრანცუზებს, მაგრამ თუ კი ისინი არ უკადრისობენ ინგლისური სიტყვის „პარლამენტის“ ხმარებას, ჩვენ რათ უნდა ვიუკადრისოთო?

შენიშნეთ, რომ ამ საგანში სლავიანოფილები, ჩვენი პატრიოტების არ იყოს, იმას კი არ ქადაგობდენ — მწერლობა ხალხის ენას ყურს უნდა უგდებდესო, ხალხის მდიდარი ლექსიკონით უნდა ხელმძღვანელობდესო, სამწერლო ენა ხალხის ლაპარაკს უნდა უახლოვდებოდესო. ეს რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება გამოითქმოდა მათი პირით. არა, ისინი იმას ქადაგობდენ — სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენი პატრიოტები ამბობენ, რომ მწერლობამ სიტყვებიც და სიტყვის წყობილობაც უნდა აიღოსო ძველის მწიგნობრულის, დავიწყებულისა და მკვდარის ენისაგან. შენიშნეთ, რომ რუსული ენის გამამშვენებლად და გამამდიდრებლად სლავიანოფილები კი არ გამოდგნენ, არა. ევროპის განათლების მოძმრე მწერლებმა: პუშკინმა, ლერმონტოვმა, გოგოლმა, გერცენმა და სხვ. გაამდიდრეს ეს ენა მით, რომ ხალხის ლაპარაკს დაუახლოვეს მწერლობის კილო, რომ ხალხის ენისგან მწერლობაში ათასობით შემოიტანეს ახალი სიტყვები და სიტყვისწყობილობა... შენიშნეთ, კიდევ, რომ არც შიშკოვის, არც ხომიაკოვის, არც კირეევსკის, არც აპ. გრიგორიევის ენა რუსის ხალხს არ ესმოდა, სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენს ხალხს „ივერიის“ [22] მწერლების ენის გაგება უჭირს...

სლავიანოფილობის მეორე თვისება ის იყო, რომ უცხოეთის ცხოვრებას, ძალას, მოძრაობას და განზრახვას ყურს სრულიადაც არ უგდებდენ. ჩვენს დროში ვერც ერთი ხალხი, რაგინდ ძლიერი ან დიდი იყოს, თავისთავად ვერ იცხოვრებს ისე, რომ სხვა ხალხთან დამოკიდებულება

ან განწყობილება არ ჰქონდეს. თუნდ მართლაც შეეძლოს ამ ხალხს თავის თავად განკერძოებული ცხოვრება, იმას ხომ მაინც ვერ იტყვის, ჩემს დღეში არც ერთ სხვა ხალხთან შეტაკება არ მომიხდებაო? რუსეთზე ათასჯერ უფრო ძლიერი იყო საფრანგეთი; მას მარტო თავისი ღონითა და ძალით ცხოვრება შეეძლო, არც სხვისი დახმარება სჭიროდა, არც სხვა ქვეყნების მწერლობისგან ან ტეხნიკურ მეცნიერებისგან ჰქონდა რამ მისაღები, არც სხვისი ჭკუა და გამოცდილება ენდომებოდა, არც ფული ჰქონდა სასესხებელი, არც არაფრის ყიდვა იყო მისთვის საჭირო უცხოეთში, მაგრამ ხომ ყველამ იცის, ახლა რა საშინელი ზიანი მისცა მას უცხოეთის დაუკვირვებლობამ, უცხოეთის ენის, ძალის თუ მიმართულების შეუსწავლელობამ... თუ ამისთანა ზიანი საფრანგეთს დაემართა, რუსებს აბა როგორ გამოადგებოდა უცხოეთის მიეწყება, რაცა მისი გონებითი, ეკონომიური და ტეხნიკური ცხოვრების უმთავრესი საჭირო მასალები რუსეთმა უცხოეთს უნდა მოთხოვოს? სლავიანოფილებს ეს არ ესმოდათ. მათ ეგონათ, რომ ჩვენს დროშიაც შესაძლებელი იქნება ისე „მოწყვეტილად“, ისე განუვითარებლად იცხოვროს რუსეთმა, ისე ყური და თვალი არ ათხოვოს უცხოეთს, როგორც ივანე მრისხანეს დროს იყო. ამისგამო სლავიანოფილები არც უცხოეთის მწერლებს ადევნებდენ თვალს, არც უცხოეთის გონებითს მოძრაობას, არც მის მიმართულებასა და სურვილს. მაგრამ მათი უმთავრესი განზრახვის — სლავიანების გათავისუფლების თუ შეერთების ასრულება ისე ხომ ვერ მოხდებოდა, რომ უცხოეთს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიეღო, ესე იგი არ ეწინააღმდეგებია? მაშასადამე, სლავიანოფილებს მარტო რუსეთში კი არ უნდა ემოქმედათ, მარტო რუსეთის ხალხის გაღვიძებისათვის კი არ უნდა ეშრომათ, უცხოელების შეგონებაც, შეჩერებაცა და შეკავებაც უნდა დაეწყოთ. უცხოეთლების გულში სლავიანების შესახებ კაცობრივი გრძნობა უნდა გაეღვიძებიათ, უნდა უცხოეთი აეღელვებიათ იმ სურათის გამოსახვით, როგორსაც სლავიანების გაჭირვებული მდგომარეობა წარმოადგენდა. მათ უხდა აეხსნათ უცხოეთისთვის, რომ სლავიანებიც ღვთის გაჩენილი ადამიანები არიან, რომ გონება მათაც ჰქონიათ, რომ სლავიანების პოეზია, მწერლობა, მუზიკა, ჩვეულებანი და სხვა ამგვარი თვისებანი ყოველი განათლებული კაცისგან პატივისცემას მოითხოვენ იმ ხალხისთვის, რომელსაც ამდენი გაჭირვება გამოუვლია, ამდენი უშრომია და დღეს კი საცოდავი მონობა ღუპავს. რაკი ამისთანა ქადაგებით სლავიანებს ბლომად გაუჩნდებოდენ მომხრენი თუ თანამგრძნობნი უცხოეთლებს შორის, სლავიანოფილებს თვითონ ეს სლავიანები უნდა გაეძლიერებიათ იმ ცოდნისა და აზრების გადმოღებით, რომელნიც დღეს მარტო უცხოეთში იპოებიან, და რომელნიც ხალხს აღვიძებენ, აძლიერებენ, გაბედვას და გამარჯვებას აძლევენ... მაგრამ სლავიანოფილებს მთელი

ეს ნაწილი შრომისა სრულიად მივიწყებული და უკუგდებული ჰქონდათ.

იმის მაგიერ, რომ ეს მათი საქმისთვის საჭირო მოვალეობა შეესრულებიათ, ისინი — სწორეთ ჩვენებურ პატრიოტებსავით — ზოლალატედ სთვლიდენ იმ მწერლებს, ვინც ამ გზას ადგა... ზოლალატედ სთვლიდენ და შეურაცხყოფდენ ბრიყვულად, ამიტომ რომ ბოლოს გაიგეს, შეშცდარი ვიყავითო, და ბოლოს თვითონვე დაიწყეს უცხოეთში წერა და მოქმედება, დაიწყეს უცხოეთის ენებზე ბროშურების ან გაზეთების გამოცემა, უცხოეთში ქადაგება... ზოგიერთ ჩვენს პატრიოტებსაც კი დაემართათ ამისთანა სირცხვილი...

სლავიანოფილების მესამე თვისება ის იყო, რომ გარეგან შეხედულებას, გარეგან საქციელს და სიტყვას ისინი ყოველთვის მეტს ზნეობრივ ნელობას აძლევდენ, ვინემ თვითონ საქმეს ან მის არსებითს მხარეებს ისინი ცდილობდენ, რომ რუს-გლეხივით ჩაეცვათ ტანისამოსი, თმა ირგვლივ შემოეკრიჭათ, წვერი მოეშვათ, ვოტკა ესვათ... მათ ეგონათ ხალხთან დაახლოება, ხალხის ამაღლება ამაში მდგომარეობსო. ხავერდის შარვალს ჩაიცვამდენ, აბრეშუმის წითელ პერანგს, მოყვითლულ ქამარს შემოირტყამდენ, თავზე ქუჩრულ ქუდს იხურავდენ და ისე მიპრძანდებოდენ თავიანთ სოფელში, რომლის ყველა გლეხები მათი ყმა და მონა იყვენ. ხალხისთვის მათი ენა გაუგებარი იყო, მათი ტახსაცმელები უცნობი და, რასაკვირველია, მათი სიტყვა უნდო, ამიტომ რომ საქმით უშველებელი წინააღმდეგობა და მტრობა იყო ამ „განათლებულ და კეთილის მოსურნე მებატონეებსა“ და მათი გლეხებს შუა. — „ჩვენი ბატონია, ჩვენი გამტყავებელი ბატონი, მაშასადამე, ჩვენი მტერი უნდა იყოსო, მაშასადამე, ყოველი მისი სიტყვა მტრული უნდა იყოსო“. აი რას ფიქრობდა გლეხკაცობა ამ ვაებატონების ლაპარაკის დროს...

ავიწყდებოდათ სლავიანოფილებს, რომ მარტო ცარიელი სიტყვით კი არ მოიგება ხალხის გული, რომ მარტო „ერთმანერთი გვიყვარდესო“, „ერთობა ვიქონიოთო“, საკმაო როდია, ნამდვილი ერთობის დასაარსებლად... ამის გამო ისინი სრულიათაც არ იკვლევენ მეცნიერულად იმ კითხვას, თუ რუსეთის ხალხში რას მოუხდენია ერთობის დარღვევა, რა ძალა უშლის ერთობის დაარსებას, რა ჰყოფს ცალ-ცალკე, რა აშორებს ხალხის სხვადასხვა წოდებას... იმის მაგიერ, რომ ეს კითხვა გამოეკვლიათ, გაცალცალკევების ნამდვილი მიზეზი მოეძებნათ და ეს მიზეზი მოესპოთ, ისინი ცარიელ ქადაგებას იმეორებდენ: „ერთმანეთი გვიყვარდესო, ერთობა ვიქონიოთო!“ და ამ ერთობის მოსაპოვებლად მათ საკმაო ეგონათ ერთნაირი ტანსაცმელის ხმარება, ერთფეროვანი სიტყვების წამოროტვა...

მეოთხე თვისება სლავიანოფილებისა იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველდღე რომელსამე უცხო ნაციონალობას დევნიდენ. დღეს ნემცებს ჩაეჯიბრებოდენ და ღრიალს იწყებდენ: შეგვეჭამეს ნემცებმა, რაც ადგი-

ლია, მათ დაიკავესო, რაც დუქნებია, მათ ხელში არისო, რაც ვაჭრობა ან აღებ-მიცემობა მოიპოვება, მათიაო, პურსაც ისინი გვიცხობენ, ხორცსაც ისინი გვიჭრიან, წაღებსაც გვაცმევენო, ტანსაცმელსაც გვიკერავენო და სხვ. ხვალ ფრანცუზებს აუტყდებოდენ და ფრანგული ენის, საქონლის დევნას თუ კიცხვას იწყებდენ; ზეგ იტალიურ ოპერას ჩაექიშპებოდენ, მაზეგ დააწესებდენ — ინგლისურ სასმელებს ნურავინ სვამსო, ინგლისიდგან მაშინები ნურავის მოაქვსო და სხვ. და სხვ. აი სწორეთ ისე, როგორც ამას წინათ ერთმა ჩვენმა პატრიოტმა დაუბოლოებელი სტატია დაწერა, როგორ შეიძლება, თფილისში ვინმემ მოსკოვიდგან კალაჩების (პურის) მცხობელი დაიბაროს, განა ჩვენ ხაბაზი ცოტა გვყავსო, განა პურის ცხობა ჩვენ წინაპრებს არ სცოდნიათო და სხვ. საქმე, რასაკვირველია, სლავიანოფილების კიჟინით არც კეთდებოდა, არც იცვლებოდა. სულ სხვა იქნებოდა, მათ რომ საქმით ეშველათ ამ შენიშნულ ვნებისთვის, ან ხეირიანი რჩევა მიეცათ ხალხისთვის, თუ როგორ, რა გზით შეუძლია მას ნემცების ან ფრანცუზების უპირატესობისაგან თავის დახსნა. ესწავლებიათ, იმ დალოცვილებს — ნემცებივით იმუყაითეთ, მათსავით ისწავლეთ ხელოსნობა და შრომაო, ეს სირცხვილი კი არა, ჩინებული საქმე იქნებაო, და სხვადასხვა. ან გაეხსნათ სამოსწავლო და სახელოსნო სასწავლებლები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი, მაშინ რუსობას ადვილად შეეძლებოდა იმ ადგილების ან მდგომარეობის დაპყრობა, რომელიც ნემცებსა თუ ფრანცუზებს ჩაეგდოთ ხელში. ისიც მოიფიქრეთ, თუ რა გასაკვირველი უნდა ყოფილიყო, რკინის გზის ან სპეციალური სამსახურის ადგილები ნემცებს რომ კავებოდათ, რაკი სლავიანოფილები დილიდგან საღამომდი იმას ქადაგობდენ, უცხოეთის მეცნიერება ჩვენ გვაენებსო, საჭირო არ არისო უცხოეთის გამოცდილების მიღება, და მისი სწავლის შეძენა! რათ უნდა გაკვირვებოდათ, რომ ამ ცრუ-ქადაგების გამგონთ არც უცხოეთის მეცნიერება ესწავლათ, არც იქაური გამოცდილება მიეღოთ, და მაშასადამე, არც უცხოეთის წესზე გამართული სამსახურის ასრულება შეეძლოთ? რასაკვირველია, მთელი ეს სამსახური და მთელი ის საქმეც, რომელსაც უცხოეთის სწავლა ან გამოცდილება სჭიროდა, მარტო უცხოეთლების ხელში ჩარჩებოდა. ამის გამო, მართლა მთელ რუსეთს რომ დაეჯერებია სლავიანოფილების ქადაგება, მართლა ყველა რუსებს რომ სლავიანოფილების ჭკუაზე ეარათ, ყველანი უმეცარნი დარჩებოდენ, და მთელი სახელმწიფოს უმჯობესი ადგილები, ყველა მისი რკინის გზები და ორთქლის გემები, ყველა მისი ფაბრიკები და ქარხნები, მთელი მისი აღებ-მიცემა, ვაჭრობა, წარმოება და შეძლება სულ ერთიანად მარტო უცხოეთლების ხელში ჩავარდებოდა. მაშინ რუსები თავის საკუთარ ქვეყანაში სხვის სასარგებლოდ მეწველ ძროხად გადიქცეოდენ და მართლა ნემცების ან ფრანცუზების შინაყმად გახდებოდენ, პარიების

მდგომარეობაში ჩავარდებოდენ... ეს ხომ უეჭველია, ამიტომ რომ რუსული შკოლა, რუსული მეცნიერება, რუსული გამოცდილება და სწავლა ვერც მაშინ აძლევდა, ვერც ახლა აძლევს რუსეთის შვილებს საშუალებას — უცხოეთის გამოცდილებით დახელოვნებულ უცხოეთლებს შეედარონ და ბრძოლაში ადგილი არ დაუთმონ...

რომ ვინდომო ამგვარი შედარების გაგრძობა, ერთ თვეშიაც ვერ გავათავებდი ყველა მსგავსების ჩამოთვლას, — იმ სიდიდე ანალოგია არსებობს სლავიანოფილებსა და ჩვენ ვიწრო პატრიოტებს შუა... ბგონია კი, რომ გონიერი მკითხველის დასაჯილდოებლად და მისი თვალის ასახილველათ ეს ოთხი მსგავსებაც საკმაო უნდა იყოს ჯერჯერობით. თუ ვინმემ ამ აზრისა და შედარების დარღვევა მოინდომა, თუ სადმე მისი უსაფუძვლობის შეწამება მოისმა — მზათა ვარ, უფრო დაწვრილებით დავუბრუნდე ამ საგანს და უფრო საფუძვლიანად დავამტკიცო ეს ხელმეორედ...

—3—

წელანაც ვახსენე, სამჯერ თუ ოთხჯერ, ჩვენი პატრიოტები. მართლაც, იმ მოძრაობამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეღირსა ბოლოს, ჩვენში ბლომათ დაბადა ის მავნებელი და საზიზღარი ტიპი, რომელსაც მწერლობის უმჯობესი და უპატიოსნესი ნაწილი ყოველგან დევნის და რომელსაც ზოგან „შოვინისტებს“ ეძახიან, ზოგან „ვიწრო პატრიოტებს“, ზოგან „квасные“ და სხვ. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენშიაც გამოჩნდა ამ ტიპის ხალხი, ჩვენშიაც ხმა და გავლენა მოიპოვა მათმა ვიწრო და თვალებ-დახუჭულმა ტვინმა...

საკვირველი ესაა, რომ ამ ვიწრო ან ცრუ პატრიოტებს შუა ბევრი ისეთია, რომ ხმას როდი იღებდენ და ხალხს როდი აღვიძებდენ იმ დროს, როცა მამულის სიყვარული საშიში რამ იყო, რომ მამულის ერთგულ კაცს საზოგადოების ტაშის კვრა კი არა, უფროსების რისხვა და ლახვრა ელოდა...

ისიც არის საკვირველი, რომ მას აქით, რაც საზოგადოებამ აშკარად გამოსთქვა თავისი მხურვალე თანაგრძნობა მამულის ბედზე, ისეთი პირებიც გაპატრიოტდენ — გაცრუპატრიოტდენ, — ვინც უწინ პატრიოტობას სისულელედ სთვლიდა, ვინც აშკარად კოსმოპოლიტობდა, ვინც მე, მაგალითად, სულელად იმიტომ მთვლიდა, რომ პატრიოტია, მაშ, რასაკვირველია, სულელი იქნებაო! დახეთ ბედის ჩარხის ტრიალს! ეგეგე პირები დღეს იმდენათ გაცრუპატრიოტდენ, რომ ათიათასჯერ გადამაჭარბეს პატრიოტობაში!.. ადვილათაც შესაძლებელი იყო ჩემი გადაჭარბება: კრივი ჩემი ქვეყნის ბედნიერებად არაოდეს არ მიმაჩნდა, უმეცრებას ჩემს დღეში არ ჩავთვლიდი ჩვენის ხალხის იდეალად, არასოდეს არ ვიფიქრებდი და არ ვიტყოდი, ნეტავი იმ დროს მოვესწრო, რომ

ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიეღოს მეთქი... მაშასადამე, ახლა ყოველ ჩვენს ცრუპატრიოტს, ამგვარი ხეპრული აზრების ცრუ-მომხრეს, ადვილად შეუძლია სთქვას ჩემზე, რომ მამული არ მყვარებია და მისი კეთილდღეობა არ მწამებია... მაგრამ ეს ყოველიფერი გაკვრით არის აქ თქმული. იქნება ეს ჩვენი „ცრუპატრიოტები" მარტო ფარისევლობით არ იქცეოდენ, იქნება სასწაულებრივი მათი უცები გაცრუპატრიოტება მარტო ანგარიშით არ იყოს მომხდარი, იქნება ზოგიერთს მათგანში მაინც მამულის მსახურების გულწრფელი სურვილი მოქმედებდეს. ამის გამო თავი დავანებოთ მათი საქციელის დაცინვას, მათს პიროვანს მხარეს, და მათი საქმე ისევ გულდამჯდარათ, გულგრილად, მეცნიერულად გავარჩიოთ.

აქ საჭიროდ ვსთვლი ხეირიანად განვმარტო ის ჩემი სიტყვა, რომლითაც ამგვარ კაცებს ეხატავ. „ცრუპატრიოტებს" რომ ვარქმევ იმათ, ამ სიტყვით, იმას კი არ ვფიქრობ, ვითომც მამული მართლა ფეხზე ეკიდოთ, ან მარტო ფარისევლურად ეძახდენ თავის თავს პატრიოტათ. არა, მხოლოდ ის მაქვს მხედველობაში, რომ მათი მამულის სიყვარული შემცდარი და შემაცდენელი სიყვარულია, რომ უსაფუძვლო და უაზროა, მათი მოსაზრება, მათი გრძნობის საფუძველი, რომ ეს სიყვარული ხანდახან მტრობაზე უარესი გამოდის... მაგალითს მოვიყვან, ამიტომ რომ მაგალითით, ხშირად, საქმე უფრო ადვილად და მალე აიხსნება, ვინემ ფილოსოფიური მოსაზრებით. მეტისმეტათა და გულწრფელად უყვარს დათვს თავისი ბელი, ეს ხომ ყველამ იცის. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ ეს დათვი, სიყვარულით გატაცებული, ბელს ისე მაგრად იხუტებს გულ'ში, რომ სრულებით ახრჩობს და ჰკლავს. ესეც ხომ ყველას გაეგონება. ფარისევლობით კი არ შვრება ამას დათვი, განგებ კი არ უნდა იმას ბელის სიკვდილი, გრძნობის უქონლობის გამო კი არ ჰკლავს იგი თავის შვილს, არა. ეს უბედურება მას იმიტომ ემართება, რომ უგნურია, არ ესმის, თუ რამდენად საჭიროა ჰაერი და მოძრაობა მისი ბელისთვის, თუ როგორ მომაკვდინებელია მისთვის ნამეტანი ალერსი და მოფერება... ნამდვილი გულწრფელი გრძნობა აქვს ამ დათვს, მაგრამ მისი სიყვარული მაინც „ცრუსიყვარულია", ამიტომ რომ მის ბელს ეს სიყვარული ჰკლავს, სწორედ იმავე ნაირად, — ან იქნება უფრო ადვილათაც — როგორც აშკარა და ნამდვილი მტრობა მოჰკლავდა. ყოველთვის, როცა რომელსამე გრძნობას, თავის გამოფენაში გრძნობის წინააღმდეგი შედეგი მოსდევს, როცა, მაგალითად, სიყვარულის გამოფენას მტრობის შედეგი მოაქვს, ამნაირად გამოფენილ გრძნობას ცრუ-გრძნობას უძახიან. მეც სწორედ ამის გამო ჩვენებურ პატრიოტობას „ცრუ-პატრიოტობის" სახელს ვარქმევ... ამ ჩვენი ცრუ-პატრიოტობის დედა-აზრი, ბურჯი, მოედანი და ბურთი იმაში მდგომარეობს, რომ „ჩვენი მამული გვიყვარსო!"

„ჩვენი მამული გვიყვარსო", — აი რით ამპარტავნობს დღეს ჩვენებუ-

რი კაცი. ეს სწორედ იმას ჰგავს, ამპარტავნობა იმით რომ დავიწყო — წმინდა ჰაერი მიყვარს ან პური, ან წყალი მეთქი.

ვის არ უყვარს თავისი მამული? სად მოიძებნება იმისთანა ქმნილება, რომელსაც დაბადებიდგანვე თანდაყოლილი არ ჰქონდეს ამისთანა გრძნობა? კაცს კი არა, პირუტყვსაც კი აძლევს ბუნება იმ ადგილის სიყვარულს, საცა დაბადებულა, გაზდილა და გათამამებულა ეს პირუტყვი. აიყვანეთ ძაღლი, თუნდ ხურჯინში ჩასვით, თავი მოუკარით, თვალი აუხვიეთ და ისე მოაშორეთ მის სოფელს, გადაატარეთ ცხრა მთა, — ხახავთ, რომ რამდენსამე დღეს იქით ის თავის სოფელს მოძებნის, თუნდა ახალ ადგილს უმჯობესი სასმელ-საჭმელი და მოვლა დახვდეს. — ძისთვის ეს სოფელი მ ა მ უ ლ ი ა. სხვაგან ის წუწუნობს, იტანჯება, და ხშირად კიდეც კვდება იმ ავათმყოფობით, რომელსაც ყველა ხალხის ენაზე ჩინებული სახელი აქვს — „მ ა მ უ ლ ი ს ს ე ვ დ ა". აიყვანეთ ცხენი, შეჯექით ზედ, გადაატარეთ ისევ ცხრა მთა, კარგად ასვით და აქაძეთ ახალ ადგილს, და გაუშვით თავისუფლად. ნახავთ, თუ ისევ თავის სოფელში არ დაბრუნდეს, თუ გზაზე არავინ მოიპარა ან მგლებმა არ "შეჭამა. ეს მაგალითი იშვიათი და ძვირი საშინჯია, მაგრამ ის ხომ ყველამ იცის, რომ როცა ცხენი თავის პატრონის სახლს მიუახლოვდება — სიხარულით ხვიხვინს იწყებს და ფეხს აუჩქარებს, თუნდ კარგა ლაზათიანად იყოს გამაძღარიც... თუკი პირუტყვისთვის არ დაუკლია ბუნებას ამგვარი გრძნობა, ნუთუ კაცს მოაკლებდა? მართლაც, იმისთანა კაცის შეხვედრა, რომელსაც მამულის სიყვარული არ მოეძებნებოდეს გულში, სწორეთ იმნაირადვე იშვიათია, როგორც კუზიანის ან ცალ-თვალა კაცის დაბადება, ბუნებამ მარტო ათასში ერთჯერ იცის ხოლმე ამნაირი ნაკლის გამოჩენა...

რომელი კაცია ისეთი, რომ მამული არ უყვარდეს? ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცს ამ სიყვარულის გაგება თვითონაც არა აქვს, მაშასადამე, ადვილად შეიძლება, სხვებმა სრულიად ვერ შენიშნონ მას ეს გრძნობა. მაგრამ აიყვანეთ ეს კაცი და თავის მამულს მოაშორეთ, მაშინ ნახავთ, ყვარებია მას მამული, თუ არა!! ან მეორე მაგალითს გირჩევთ: სრულიად უსწავლელი კაცი გამოიყვანეთ მიყრუებული სოფლიდგან, ისეთი, რომ არც პატრიოტობა რაა გაეგონოს, არც მამულის-სიყვარული წიგნებში ამოეკითხოს, და ამისთანა კაცის წინ მისი სამშობლო უგინოს ვიხმე გარეშე პირმა, ან მისი ხალხის ძაგება დაუწყოს, ნახავთ, მაშინ, რა ნაირი ენებით აენთება მას პირისახე, როგორ გაწითლდება და გამწარდება, რა ნაირად დაიწყებს თავისი ქვეყნისა და ხალხის დაცვას ან გამოსარჩლებას!..

ამგვარი სიყვარული ყველას აქვს, ვისაც კი სული პირში უდგია, სწორედ ისე როგორც დედისა ან დის სიყვარული ყოველ ხორც-შესხმულ

ადამიანს დაბადებიდგანვე გამოყვება. ვის არ აევსება თვალი ცრემლებით, რომ და უგინონ ანდა გაუუპატიურონ? ვინ იქნება იმდენად უსუსური, რომ მათთვის თავი არ გამოიდვას? ადამიანის გულში მამულსაც სწორედ იმისთანა ადგილი უკავია თავისთავად, როგორიც დედის ან დის სიყვარულსა და პატივისცემას უჭირავს...

მაშასადამე, არც დიდი ვაჟკაცობაა, არც სატრაბახო რამ არის, იმით ვიქადოდეთ — „მამული გვიყვარსო!" ამის თქმა მარტო ჩვენს საკუთარ რეგვენობას გამოააშკარავებს და მარტო დაანახებს ყველას, რომ ერთობ დაბლა ვმდგარვართ გონების განვითარებით, თუ ამგვარი უბრალო ბუნებითი გრძნობა იშვიათს ან განვითარებულ გმირობად ჩაგვითვლია. რომ გამოვიდე მინდორზე და კვეხნა დავიწყო — ძლიერ მიყვარს მე დედა ჩემი, რას ემსგავსება ეს ჩემი ლაპარაკი? ხომ ყველას შეეძლება ჰიპასუხოს სრული საფუძვლიანობით: ბიჭო, რას მიედ-მოედები? დედა ვის არ უყვარსა, დედის პატივისცემა ვის არა აქვს? ისეთი რამ უნდა დაიტრაბახო, რაც მართლა ძნელი ან იშვიათი იყოს, თორემ „კაცი არ მომიკლავსო" რომ სთქვა, ან „ტალახის მაგიერ პურსა და ყველსა ვჭამო", ეგ ხომ ყველას შეუძლია სთქვას!

როგორც ამის თქმაა სისულელე, სწორედ იმნაირივე ხეპრობაა იმით იკვეხნიდეს კაცი, რომ მამულს ვემსახურები, მის სიკეთეს ვეძებ, ძის სასარგებლოდ ვშრომობო. რომელი გონიერი კაცი დაიწყებს ქადილს, რომ დედაჩემს პატივს ვსცემო, კარგად ვასმევ და კარგად ვაჭმევო, მის ხეირიანად რჩენას ვცდილობო, მისი კეთილდღეობისთვის ვშრომობო? ხომ არავინ? ხეირიან და გონიერ საზოგადოებაში სწორედ ამნაირათვე საუკადრისო იქნებოდა ქადილი, რომ მამულს ვემსახურებიო.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა სიცილს და ხარხარს დააყრიდენ საფრანგეთში ან ინგლისში იმისთანა კაცს, რომელიც იმის თქმას გაბედავდა — ჩემი მამული მიყვარს და ჩემი სამშობლოს სიკეთისთვის ვშრომობო!.. ეს საყოველთაო მოვალეობაა, ისეთი, რომელიც ყოველ ხეირიან კაცს, ვინც ხეპრე, ქურდი ან უსულო არ არის, უნდა ჰქონდეს. და იმაზე უმეტესი სიტუტუცე რაღა იქნება, კაცი პირდაპირ ამტკიცებდეს, არც ხეპრე, არც ქურდი, არც უსულო ვარო!

მაგრამ, თუმცა საერთო და საყოველთაო მოვალეობაა ეს მამულის მსახურება, ჩვენში ის ჯერ იმდენად როდია გავრცელებული, რომ ყველამ კარგად იცოდეს, რაში მდგომარეობს ეს მოვალეობა ან ყველას ესმოდეს, თუ რაგვარად უფრო ადვილი და გამოსადეგია მისი ასრულება.

მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსახურება? რაში მდგომარეობს ის საზოგადო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭირია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა ემსახუროს?

სხვადასხვა პირს სულ სხვადასხვა ნაირად ესმის ეს კითხვა, სულ სხვადასხვა ნაირად ეხატება თავში ეს სიკეთე. ჩვენს ქვეყანაში იმისთანა პირიც მოიძებნება, რომელსაც იქნება ეგონოს, რომ საქართველოს სიკეთე მაშინ იქნებაო დაფუძნებული, როცა ყოველი ქართველი, ყოველი კაცი, საქართველოს ნიადაგზე მცხოვრები, მართლმადიდებელი სარწმუნოების იქნებაო. შესაძლებელია, რომ იმგვარი მოაზრენიც მოვხახოთ ჩვენში, რომელთა აზრით საქართველოს სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა ქართველმა ან საქართველოში დასახლებულმა პირმა წერა-კითხვა და თვლა იცოდესო. სხვებს, უფრო მომეტებულ რიცხვს, ის აზრი სწამს, კარგი მაშინ იქნებაო, როცა ქართული ენა ყველას ჩინებულად ეცოდინებაო... ყველას შეხედულობას აქ არ მოვიყვან. რამდენი კაცია, იმდენი შეხედულობაც არის ჩვენში. საქმე ისაა, — რომელი ამ შეხედულებათაგანი სწორეა, და რომელი — შემცდარი.

მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რომ ათასი ამისთანა შეხედულება რომ ჩამოვთვალო, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული, ყველა ერთიანად ცალმხრივი იქნება. ვინც იტყვის, მაგალითად, რომ წერა-კითხვის და თვლის ცოდნა კარგი ან სასარგებლო არ იყოს? მაგრამ საკმაოა, განა, მარტო წერა-კითხვის ცოდნა კაცის ბედნიერებისთვის? რამდენი იმისთანა კაცი გვინახავს, რომ წერა-კითხვა კი არა, ისტორიაცა და გეოგრაფიაც ცოდნოდეს, მაგრამ მაინც უძლური ან უბედური დარჩენილიყოს? ასე ითქმის ქართული ენის ცოდნაზედაც. იყო დრო, როცა მთელი საქართველო მარტო ქართულ ენას ხმარობდა, მარტო ქართული იცოდა, და კარგადაც იცოდა: როცა შკოლებში კი არა, სასამართლოებშიაც ხმარობდენ ამ ჩვენს ენას... მაგრამ ნუთუ იმ ბედნიერ დროში არაფერი ჰკლებია ჩვენს ქვეყანას და ხალხს? ნუთუ მარტო ქართული ენის ცოდნამ გააბედნიერა საქართველო, და ნუთუ ჩვენი მამულის დაცემის მიზეზი მარტო ის იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა ქართული ენა დაივიწყეს? რასაკვირველია, დედა-ენა ძვირფასი რამ არის: ის ისეთი მძლავრი კავშირია, რომელიც საზოგადოებრივ ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისკენ წინ წაწევას უადვილებს. მაგრამ, როგორც კავშირი, როგორც ძალა, ის მარტო საშუალებას შეადგენს, და არა მ ი ზ ა ნ ს, მაშასადამე, საქმე ის უნდა იყოს, თუ თვითონ ეს მიზანი რაში უნდა მდგომარეობდეს?

გაკვრით კიდეც ვსთქვი წელან, რომ ამ კითხვის გარჩევა იმ კითხვის გამოკვლევაზეა დამოკიდებული — თ უ რ ა მ დ ა ს ც ა ჩ ვ ე ხ ი მ ა მ უ ლ ი.

როცა ამ უკანასკნელ კითხვას გამოვიკვლევთ, პირველიც განმარტებული გვექნება.

— როგორ თუ რამ დასცაო ჩვენი მამული, შემომიკივლებს ვიხმე

ცრუპატრიოტი, იმან დასცა, რომ პატარა ხალხი ვიყავით, და დიდრონები შემოგვესიაო. ვერ გაუძელით, და ის იყოო ჩვენი დაცემის მიზეზი! მოითმინეთ, ბატონო. პატარა, ძლიერ პატარა ხალხი იყო საქართველოს ხალხი, სპარსელებთან შედარებით, მაგრამ ხომ ვერ დასცა ჩვენი მამული დიდმა სპარსეთმა? დიდრონი ხალხნი გახლდენ ის ხალხნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მურვან-ყრუმ, ჩინგის-ყაენმა ან თემურლენგმა დაასია, მაგრამ ამ ხალხებმა ხომ ვერ მოსპეს ვერც ჩვენი განვითარებული არსებობა, ვერც ჩვენი თვისტომობა? ოსმალეთი ჩვენზე ათასჯერ უფრო ძლიერი და დიდი იყო, მაგრამ ხომ ვერ მოგვერია მაინც, ხომ ვერ ამოხოცა ისტორიიდგან ჩვენი სახელი და დიდება? თუკი ოცი საუკუნე გავუძელით ამდენ დიდრონ ხალხებს, თუკი ამ ოცი საუკუნის ბრძოლამ იმდენათაც ვერ დაგვღალა, რომ მათს დამძლევს ჩვენს ქვეყანას იმისთანა ბრწყინვალე და სახელოვანი მეფობა ეღირსა, როგორც ერეკლე მეორისა, — რომლის მსგავსიც ჩვენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის აქით აღარ გვინახავს, — ნუთუ ეს იმას არ მოასწავებს, რომ ამ შემთხვევაში მარტო დაღალულობას კი არ უმოქმედებია, მარტო მცირე ტომობას კი არ უმუშავნია? პატარა ხალხი ვიყავით, დიდრონებთან შეტაკებული, დიდრონების მებრძოლი, მაგრამ მაინც ვძლებდით, მაინც მარჯვენი ვიყავით. რა იყო მიზეზი? ის იყო, რომ თვითონ ეს დიდრონი ხალხი ჩვენ მარტო რიცხვით გვერეოდენ, და ხანდისხან მარტო იმით გვჯობნიდენ, რომ თითო ჩვენს მეომარს ოცი ოსმალოს ან სპარსეთის მხედარი წინ უხვდებოდა. მაგრამ თითო თითოდ რომ შეგვედარებია ერთი ჩვენი მხედარი ერთი მტრის მხედრისთვის, ეს უკანასკნელი ვერაფრით ვერ სჯობნიდა პირველს. ორივეს ერთნაირი იარაღი ჰქონდა, ორივე ერთხაირად გაზრდილი იყო, ერთნაირი სწავლის პატრონი... ჩვენს მხედარს ის უპირატესობაც კი ჰქონდა მტრისაზე, რომ თავისი მამულის, სახლკარის, ცოლშვილის დასაცველად იბრძოდა, და მტრისა კი ომობდა სხვის ასაკლებად. მტრისთვის სულ ერთი იყო, აიკლებდა — ქართველს, თუ ლეკს, თუ ოსს, თუ რუსს. რაკი იმას ქართველი გამწარებულად უწინააღმდეგებდა, მტერი მას თავს ანებებდა და სხვაგან მიდიოდა, იქნება გამარჯვება და აკლება იქ უფრო ადვილად შეეიძლოო... ყველამ იცის რამ-სიდიდე ძალას შეადგენს ომში და ბრძოლაში ის თავგანწირულობა, რომლითაც კაცი თავის ოჯახსა და კერას იცავს... ეს გრძნობა ხშირად გვაშარჯვებინებდა მტერზე, ამ გრძნობით ვსჯობდით მტერს, ეს გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ ასი ქართველი ათას ამკლებს ერეოდა და უკუაქცევდა... თორემ სხვა მხრით ყველაფერში სწორნი ვიყავით მტერთან, რიცხვს ან რაოდენობას გარდა.

ასე წარმოებდა ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ბოლოს ქვეყნის ისტორიაში ახალი ძალები გაჩნდა. ზოგიერთი ხალხი მეცნიერებამ ერთობ დააწინაურა, და ვინც ამ მეცნიერებას არ მიეკარა, ის უწინდელივით სუსტი დარ-

ჩა. ომის ხასიათიც შეიცვალა. ჯარებისთვის ახალი იარაღი შემოიღეს, რომლის გაკეთებასაც და ხმარებას დიდი ცოდნა და მოხერხება სჭიროდა. ისეთი ზარბაზნები მოიგონეს, რომელსაც წინ ვეღარ დაუდგა ვერც ერთი ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი მამაპაპური ციხეები ქართლში და იმერეთში, თათრებმა ამ ახალი ზარბაზნებით ცხრა მთის სიშორიდან დაგვინგრიეს. იმათ ევროპაში ეშოვნათ ეს ზარბაზნები, და ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამ ნაირი მანქანა სადმე არსებობდა.... და რაც ბატრის რიცხვს ჩვენთვის ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო, ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დაწინაურებამ წაგვართვა: მაშინ უცხოეთის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ რწმუნება დავკარგეთ ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრად ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდამ გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ" წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. აი, მარტო მაშინ გაგვიჯდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისგან შემდგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს... ამის მაგალითს ჩვენ დღესაც ვხედავთ ინდოეთში. ორასი მილიონი ინდოეთლები მორჩილებაში ყავს ოცი ათას ინგლისელებს... რას უზამს ეს ოცი ათასი კაცი, თუ გინდ თითოს კრუპის ზარბაზანიც ჰქონდეს, მთელ ორასი მილიონისაგან შემდგარ ხალხს, ეს ხალხი რომ გონებითად დაჩოქებული არ იყოს ამ ოცი ათასი კაცის მეცნიერების წინ?

აი, ბატონო ჩემო ცრუპატრიოტო, რამ დაჩაგრა, რამ დასცა და უკან დასწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიაო, რომ ვსთქვი, სწორი სიტყვა არ მიხმარია. დამიჯერეთ, დღევანდელი საქართველო ათასჯერ უფრო წინ წაწეულია იმ საქართველოზე, რომელიც მეთექვსმეტე, ან მეჩვიდმეტე, ან მეთვრამეტე საუკუნეში ისე მამაცურად თავს იჩენდა. ხალხიც მომეტებულია დღეს შიგ, სწავლაც დღეს უფრო გავრცელებულია, — ერთი სიტყვით, ყველაფრით უფრო მძლავრია დღეს ჩვენი ხალხი, ვინემ უწინ იყო. საუბედუროდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსავით განვითარებული და განათლებული იყვნენ, და არა ჩვენზე უმეტესად. დღეს ყველა ჩვენი მეზობლები და მთელი უცხოეთი, ათიათასჯერ ან ასიათასჯერ უფრო დაწინაურდნენ უწინდელზე, ჩვენ კი მარტო ათასჯერ უფრო გავმაგრდით... აი, ეს გარემოება შეადგენს ჩვენს უბედურებას, თორემ ჩვენი მეზობლები რომ ჩვენზე უფრო არ დაწინაურებულიყვნენ, დღესაც ისე ადვილად შეგვეძლებოდა მათი მორევა და მათ შუა მარჯვედ გამოჯგიმვა, როგორც უწინ გვჩვეოდა...

ეს მიბრძანეთ ახლა, რა წაგვწევს წინ, რა დაგვაწინაურებს იმოდ-ნათ, როგორც სხვა ხალხი დაწინაურებულა? ამაში ხომ ყველა თა-ნახმანი ვართ, რომ მათი მოწევა, მათთან გასწორება შეუძლებელი საქმე არ არის, მაგრამ ის უნდა გავშინჯოთ, რა გზით შეიძლება ამ მიზნის მიწევნა?

ნუთუ შესაძლებელია სხვის ჯობნა, თუკი ჩვენ ამ სხვას არ გავიც-ნობთ? ნუთუ მარტო ის დაგვაწინაურებს, თუ ჩინეთის კედლით[61] შე-მოვსაზღვრეთ ჩვენი ქვეყანა? თუკი სხვის მწერლობას არ შევისწავ-ლით, სხვის მეცნიერებას არ შევიძენთ, სხვის გამოცდილებას არ დავიმკვიდრებთ, ნუთუ მარტო ძველი ჩვენი ენის გაზეპირებით, ძველი ხელნაწერების ტრიალით, ძველი ჩვეულების გახსენებით შეგვეძლება იმ ძალის მოპოება, რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვძენს? ნუთუ მარტო ქართული ენის შემწეობით შეგვეძლება ჩვენ — ან შეეძლება ჩვენს ახალგაზრდობას — ის მეცნიერება შეიძი-ნოს მოკლე დროში, რომელიც სხვებს მთელი საუკუნეების განმავ-ლობაში მოუგროვებიათ? ნუთუ პატრიოტულ გრძნობას ახშობს ან სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი ცხოვრების გაცნობა? ნუთუ ვაშინგტონი ნაკლები ან უხეირო პატრიოტი იყო იმით, რომ ფრანგული ენა იცოდა, ან ინგლისის კარგი და ავი ჩინებულად შესწავლილი ჰქონ-და? ნუთუ ბატ. ილ. ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძგერის და ნამდ-ვილი ქართული გრძნობა არ აღელვებს, რაკი მარტო რუსული წიგნე-ბით გამოზრდილია, რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა, და რუსულ სასწავლებლებში გაუტარებია მთელი თავისი ახალგაზრდობა? კაცი იყოს, თორემ, სადაც უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება. მარტო უსუსურები ხდებიან და ფუჭ-დებიან სხვის გავლენის ქვეშ, და უსუსურს გინდ სიკვდილამდე ძიძად გაუხდე, გინდ ნიადაგ ჭკუას ასწავლიდე, ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ შეეძლება...

რასაკვირველია, ჩინებული საქმე იქნებოდა, ჩვენ რომ ახლა საშუა-ლება გვქონდეს მთელი ევროპის მეცნიერება გადავცეთ ჩვენს ხალხს ან ჩვენ ახალგაზრდობას ქართულ ენაზე, ქართულ სასწავლებლებში. მშვენიერი რამ იქნებოდა ეს, და მთელი ჩვენი შეძლება ან ღონე იმას უნდა მივმართოთ, რომ ოდესმე დაარსდეს ჩვენში ამ გვარი ნეტარი მდგომარეობა. მაგრამ დღეს, როცა ამის საშუალება არა გვაქვს, და როცა აუცილებლად საჭიროა, რომ უწინდელს გონებითს სიბრმავეში არ დავტოვოთ ჩვენი საზოგადოება, ბრმაც კი უნდა მიხედეს, რომ ყოველი საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას გონებას განუვითა-რებს და გააძლიერებს, რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს ან მხარში ძალას მისცემს, სასარგებლო იქნება ჩვენის ხალხისათვის. ნუ-თუ, მაგალითად, კარგს იზამდენ ილ. ჭავჭავაძის მრჩევლები 1856-ში,

რუსეთში წასვლა რომ დაეშალათ მისთვის და ეთქვათ — სჯობს ქართულად გამოიზარდო, რომ ქართველობის გრძნობა არ დაგეკარგოსო? ნუთუ ამით სარგებლობას მოუტანდენ ისინი საქართველოს? ხომ არა? მაშ სწორედ ამნაირადვე შამცდარია ის, ვინც ახალგაზრდობის აღზრდის და საზოგადო განათლების საქმეში მარტო ენას ან გარეგან გამართულებას შეჩერებია, და არსებით მხარეს, — სწავლის შინაარსს ან მიმართულებას კი ივიწყებს...

მაცხოვარმა ბრძანა, — როცა ჰკითხეს, რომელს ტაძარში უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთთან უფრო ადვილად მიაწიოსო, — „ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს, და სადაც უნდა ითქვას, ყოველგნით ზეცას ავაო: ტაძარშიაც რომ არ იყოს კაცი, თუნდ მინდორში ლოცულობდეს წრფელის გულით, ღმერთი მის ლოცვას მაინც შეისმენსო“. ჩვენს მდგომარეობას მეტის-მეტად შეეფერება ეს მცნება. დიახ, სადაც უნდა ვისწავლოთ, ვის შკოლაშიაც ჩვენ უნდა მოვეძზადოთ, ოღონდ კი გულში მამულის მსახურების წრფელი ან მხურვალე სურვილი ვიქონიოთ და ჩვენი შრომა ნაყოფიერი იქნება, მამულს გამოადგება... საუბედუროდ, ჩვენ ეს გულწრფელობა და გულმხურვალება, ან უფრო სწორედ ვსთქვათ ენება (страсть), გვაკლია.

—5—

დიდი უბედურებაა ჩვენის ქვეყნისთვის ეს ნაკლულევანება. ჩვეხის ყმაწვილების უმეტესი ნაწილი თითქო მარტო წაბაძვით მოქმედებს. მათ ჰგონიათ, თუ საზოგადო მოქმედი პირის გარეგანი მოვალეობა შევასრულეთ, თუ წარმოვიდგინეთ, რომ ვშრომობთო, მეტი აღარაფერი მოგვეთხოვებაო. მათთვის თითქო ერთია, გარიგდება რამ ამ ცრუ შრომით, თუ არა, გაძლიერდება ამით მამული, წამოიზრდება ხალხი, მოახლოვდება მომავალი, თუ არა. თითოეული მათგანი ბურჟუაზულად ცხოვრობს. მას თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი კერძო სარგებლობა, და ამ საქმეს, ამ სარგებლობას უნდება უმეტესი ნაწილი მათის დროისა, უმჯობესი ძალა მათის გონებისა და ენების. ზოგი თავის კერძო სამსახურს მიწოლია, და უფროსების თვალში შეჩერებას უნდება, ზოგი ვენახს უვლის და დილიდგან საღამომდი იმაზე დარდობს, ვაი თუ სეტყვამ ვაზი წამიხდინოსო, ზოგი მარტო იმაზე ზრუნავს — მომავალი კენჭის ყრის დროს გამაშავებენ, თუ გამათეთრებენო, ზოგი მის ზრუნვაშია, გაკვეთილებს ვიშოვნი, თუ არა, ჯამაგირს მომიმატებენ, თუ არაო... ორი, სამიც არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ისეთი კაცი, რომ მამულის ან ხალხის მეტი საზრუნველად და საადარდებლად არა ჰქონდეს რა, რომ საზოგადო საქმის მეტი არაფერი ახსოვდეს, რომ მამულის სიკეთის მეტის ა რ ა ფ ე რ ი მ ა დ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს, არას გრძნობდეს... ჩვენში ამნაირი კაცის სურათი მწერლობას ჯერ იდეალა-

თაც არ გამოუხატავს. ამის გამო ავიღოთ რუსული მწერლობიდგან თუნდ ამისთანა უფერული და სუსტი იდეალი, როგორსაც ტურგენევის ინსაროვი[14] წარმოგვიდგენს მოთხრობაში „Накануне". დააკვირდით და ნახავთ, რომ თავის მამულის მეტი ამ ინსაროვს როდი რამ უყვარს, როდი რამ სწამს. მსხვერპლად კი არ სწირავს იგი მამულისთვის თავის კერძო სურვილს ან მადას, — არაფერი სხვა მადა არა აქვს, არაფერი სხვა კერძო სურვილი მის გულს არ ებადება, ამიტომ რომ დილიდგან საღამომდი, უნებურად, მის გონებას მარტო მამულის მდგომარეობა ეხატება... ენებით აღვსებულია ის ამ მამულისთვის. ფეხებზე ჰკიდია, თუ რას იტყვიან მასზე, ან საჭმელი რა ექნება სიბერეში, ან მისი ნათესავები როგორ მდგომარეობაში ჩავარდებიან ბოლოს — ამგვარი აზრები მას, კიდეც რომ მოინდომოს, აზრად არ მოდის. ავად ხდება ინსაროვი. წამლობაზე კი არ ფიქრობს, მოსვენებას კი არ ეძებს — იქ მიდის და იქ შრომას ეწაფება, სადაც მამულის სარგებლობა მოითხოვს. მისდა უნებურად ქალი შეუყვარდება, ისეთი ქალი, რომელიც მზათაა მთელი თავისი სიცოცხლე ამავე მამულის სასარგებლოდ შესწიროს. მაგრამ ამ ქალთან განცხრომას კი არ მიეცემა, მის სიყვარულში კი არ ივიწყებს მამულის სიყვარულს, მის სიკეთისთვის ან კეთილდღეობისათვის სამსახურში კი არ შედის, ან ადგილს და შეძლებას კი არ გამოეკიდება: ამ ქალსაც იგი ისე მიათრევს თავის მამულში, ბრძოლის ველზე, თითქო ხურჯინი თან წაეღოს. ერთი სიტყვით, ის ენებით ავსებულია, მას ენებით უყვარს მამული, და სხვა არც მადა აქვს რამე, არც სურვილი, არც ინტერესი. თუ მამულის საქმე კარგად მიდის, ის მხიარული და ბედნიერია. თუ მამულს უჭირს, ისიც გაჭირვებულია. კერძო გრძნობაც არ სუფევს მის გულში. მამულის ნანგრევებზე ვერ დაამყარებს იგი თავის კერძო ბედნიერებას, მამულისთვის ფუჭი ოხვრით ვერ მოინდომებს და ვერ მოახერხებს, შეძლება ან კეთილდღეობა შეიძინოს. ის ვერ გასუქდება, როცა მისი მამული ასე მშლელ არის, ვერ გამდიდრდება, როცა მისი თანამემამულენი გაღატაკებული არიან, და ნეტარებას ვერ მიეცემა, ვერ დაისვენებს, ვერ დაცხრება, სანამ მამული კეთილდღეობაში არ შევა... ამიტომაც ის კვდება უდროოდ იმ შრომაში, რომელიც მარტო მის მოსვენებას და ბედნიერებას შეადგენს...

გვყავს ჩვენ ამისთანა მოქმედი? თქვენ თვითონ მიეცით პასუხი ამ უბრალო კითხვას. ნეტავი თქვენ, თუ შეგხვედრიათ სადმე, ჩვენსში, ამგვარი გმირი. მე კი გული მიკვდება, რომ ამნაირი კაცის ლანდსაც ვერ ვპოულობ ჩვენს ქვეყანაში. მათ მაგიერ ვხედავ, რომ ჩვენი მოქმედი პირნი გულმოდგინედ ყველაზე უფრო თავის კერძო ბედნიერებას ემსახურებიან, მამულზე კი მარტო მაშინ მოიფიქრებენ, როცა საკუთარ საქმეებს მოილევენ, ყველა თავის კერძო მადას დააკმაყოფილებს და

ჩინებულ სადილს შემდეგ, მშვენიერად მორთულ დარბაზში განცხრომას მიეცემა. მაშინ, სამასლაათოდ, ხან ქალების შნოზე ჩამოაგდებენ მუსაიფს, ხან მამულის უბედურებაზე... რასაკვირველია ამგვარ კაცებს ნამდვილი მეცადინეობა მარტო იმაზე აქვთ მიქცეული, რომ მამულის აჩქარებულმა მოძრაობამ მათი კერძო კეთილდღეობა არ შეარყიოს...

დაფიქრდით ამაზე, და მაშინვე მიხვდებით, მაგალითად, იმ საკვირველი შემთხვევის განმარტებას, რომელსაც ჩვენ, ვსთქვათ, ქართული მწერლობა წარმოგვიდგენს. ხომ ყოველდღე გვესმის ამ „მოქმედი პირებისგან“ საჩივარი, ჩვენს მწერლობას საშუალება არა აქვს კარგი წიგნები ბეჭდოს ან თარგმნოსო, ხეირიანი სახელმძღვანელოები გაჰოსცეს ჩვენი შკოლებისთვის, ჟურნალი ან გაზეთი გააუმჯობესოსო, და სხვ. და სხვა? ვისგან გვესმის, უფრო ხშირად, ამ ნაირი ჩივილი? იმისთანა პირებისგან, ვინც მარტო თავის თავზე, მარტო თავის მუცელზე ან სხეულზე, ხუთას და ექვსას თუმანს ხარჯავს წელიწადში, ვინც არც მდიდრულ ცხოვრებას იკლებს, არც ბატონობას, და ას მანეთს კი არ იმეტებს წელიწადში, სამშობლო მწერლობის შესაწევნად. ჩვენი თეატრი წელ-მოწყვეტილად მიდისო, ჩვენი მწერლობა დაცემულიაო, — ამას ხომ ყველასგან გაიგონებთ. ყველას კარგად ესმის, რომ ეს ყველაფერი უფრო საშუალების, ფულის უქონლობისგან გვემართება. და ამ საშუალებას, ამ ფულს კი არა კაცი იმეტებს, თუმცა იგივე ყმაწვილი, რომელიც ამბობს: „ღარიბნი ვართო“, მიბრძანდება და ორასი მანეთის ტანსაცმელს ყიდულობს ან ყოველ საღამოს ხან სამ თუმანს აგებს ბანქოში, ხან ხუთს, ხან ათს, ხან ასსაც და უფრო მეტსაც! გულწრფელად რომ უყვარდეს მას თავისი მამული და მწერლობა, ნუთუ შესაძლო იქნებოდა ამგვარი მოვლენა? მაშინ ეს ყმაწვილი ტანსაცმელსაც უბრალოს დაჯერდებოდა, ბანქოს თამაშისგანაც ხელს აიღებდა, დიდ კაცობასაც გამოეთხოვებოდა, და მარტო მამულს ან მარტო მწერლობას მიალევდა მთელ თავის ქონებას, ამიტომ რომ სხვისი მადა და სურვილი არც კი ექნებოდა. ნათქვამია, კაცს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროსო, და ეს სიტყვა მტკიცე ჭეშმარიტებაა. ვერ ემსახურება კაცი, ერთსა და იმავე დროს, თავის კერძო ინტერესებს და მამულის სარგებლობას, ვერ გაიჩენს ორ ღმერთს, ვერ გაუძლებს ორ ბატონს. ან ერთი უნდა დაივიწყოს, ან მეორე, ან ერთისგან უნდა აიღოს ხელი, ან მეორისგან... და სანამ იგი ამ გადაწყვეტილებას არ დაადგება, ორივეს სამსახური უხეირო, ულაზათო და უსარგებლო გამოუდის...

—6—

დავუბრუნდეთ, ისევ, წელანდელ ჩვენს საგანს, და ისევ იმაზე ვიფიქროთ, თუ რამ დასცა ჩვენი ხალხი, ან რა სჭირია მას დღეს, გასაძლიერებლად? ჩვენის ხალხის დასუსტების ერთი მიზეზი

წელან მოვიყვანე. მეორე მიზეზიც იყო, აგრეთვე მეტისმეტად შესანიშნავი, და ეს მიზეზი ახლა უნდა გამოვიკვლიოთ, ამიტომ რომ ჭის თავიდან მოშორებას უნდა ცდილობდეს ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ უცხოეთლების შემოსევას გარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა.

ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი... როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერების იარაღით აღჭურვილი, ჭის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოთ ჰფლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე იმ პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოთ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხის ძალა იღლება, სუსტდება და სრულიადაც ჰქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფანტება უხეიროდ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც ილევა ხალხის გონებითი და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშპობა და სამდურავი იბადება, ერთობა იკარგება, და ხალხი ორ ბანაკად იყოფა, ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანაკად... რასაკვირველია, უმიზეზოდ როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად, ეს უბედური განაწილება და განხეთქილება. ჩვენს ქვეყანას ძველად მეომრები სჭიროდა, და მეომრებს რჩენა უნდოდა. ზოგი გარეშე მტერს ებრძოდა, რომ მშრომელი ხალხი უცხოეთლების შემოსევისგან დაეხსნა, და ეს მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით არჩენდა, გულწრფელის გრძნობით ემსახურებოდა მის დამცველ ჯარს, რომელიც მაშინ მისი კეთილი, მფარველი ანგელოზი იყო.

მაგრამ დროთა ვითარებისაგან ამ ნაირი გონიერი შრომის განაწილება ჩვეულებად გადაიქცა, და ბოლოს მშრომელ ხალხს რჩენა და ბეგარა ისეთმა პირებმა მოსთხოვეს, რომელნიც მას არც მტრისგან იფარავდენ, არც უცხოეთლების წინ ეხმარებოდენ... მიწა-წყალი ხალხს ხელიდგან გამოეცალა და მთელი ხალხი იმ კაცთ ყურმოჭრილ ყმად გადაიქცა, რომელნიც უსაქმოდ ცხოვრობდენ და უსაქმობის გამო მარტო სიამოვნებაში ან ქეიფში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს...

ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი

ხალხი ბეწველი ძროხის მდგომარეობიდგან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვიახლოებს, ჩვენის ბაბულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის გათავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულ-მდგომარეობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება, მაშინ დაძმობილდება, მაშინ შეადგენს ერთ ძმურს ოჯახს, როცა სადაო არა ექნებათ რა სხვადასხვა წოდებას, როცა ყველანი შრომას გაერთობიან და შრომას ისე გაინაწილებენ, რომ თითოეულის შრომა ყველა სხვის შრომის გაადვილება იქნება და არა გაძნელება.

ამის მაგიერ, რომ ნამდვილი განხეთქილების შემცირებას ან მოსპობას ვცდილობდეთ, ჩვენ რას ვშვრებით? გვინდა გავყუჩდეთ ამ საწყენს საგანზე, გვინდა ხმა არ ამოვიღოთ, გვინდა გაჩუმებით დავაჯეროთ გარეშე პირები, თითქო ჩვენსა, ჩვენის ხალხის ოჯახში, მართლა ერთობა და ძმობა მეფობდეს. ბრიყვობა და ბავშვობაა ეს ჩვენი ანგარიში. ხალხის ცხოვრება და მდგომარეობა კერძო ოჯახი ხომ არ არის, რომ ხალხის სხვადასხვა ნაწილის ქიშპობის ან განხეთქილების დამალვაც ისე ადვილად შეიძლებოდეს, როგორც გადამტერებული ცოლქმარი სტუმარს მხურვალე მოსიყვარულედ ეჩვენებიან ხოლმე? როგორც ჭლექს ვერ დამალავს კაცი თავის აგებულებაში, ისე ხალხის ცხოვრებაში არ დაიმალება შინაგანი განხეთქილება და ინტერესების მტრობა. ვინც გონიერია, ის ექიმობას უნდა შეუდგეს, ამიტომ რომ დღეს ჭლექსაც არჩენენ თურმე, არათუ უბრალო ავადმყოფობას...

ათასი რომ ვიყვიროთ — ჩვენში ერთობა სუფევსო, ძმობა მეფობსო, კეთილი განწყობილება არსებობსო, ამით ჩვენ მარტო საკუთარს თავს მოვატყუებთ, ჩვენ ხალხს ვავნებთ, მის მომავალს წავახდენთ... ჩვენს ცრუპატრიოტებს კი — ამ უკანასკნელის წლის განმაელობაში — მეტი შრომა არა ჰქონიათ რა, რომ ეს ბრძოლა, ეს განხეთქილება დამალონ, მათზე ხმა არ ამოიღონ, მათი ხსენება მოსპონ მწერლობაში და საზოგადოებაში. სირაქლემამ იცის ასე: მონადირეს რომ დაინახავს, მაშინვე ბუჩქში თავს შეჰყოფს და თვალებს დახუჭავს: ჰგონია, რაკი მტერსა და მის თოფს ველარ ვხედავ, ვერც მონადირე დამინახავს და ვერც მავნებსო.

ჩვენი ცრუპატრიოტები რომ თავის მამულის გონიერნი მსახურნი იყვნენ, მათი პირველი და უმთავრესი შრომა ჩვენის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე იქნებოდა მიქცეული. „მიეცით ხალხს სარჩო, და სწავლას ის თვითონაც შეიძენსო“, გონიერად სთქვა იმ მწერალმა, რომელსაც ჩვენი ცრუპატრიოტები ოდესმე დიდ პატივს სცემდენ... გაუ-

ადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისგან, მიწა დაუმკვიდრეთ, და მუქთახორებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე მოუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება... აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მ ი ს ი მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ც გ ა ო ნ ე ბ ი ა თ.

ზემოთ ვსთქვი, რომ ჩვენის ხალხის სხვადასხვა წოდებას შუა ბრძოლა არსებობს. ბრძოლა ორნაირია ქვეყანაზე. არის ერთი ბრძოლა, მავნებელი და დამღუპველი, ბ რ ძ ო ლ ა ლ უ კ მ ა პ უ რ ი ს ა თ ვ ი ს, დამშეულებს შუა ბრძოლა, როცა ერთი მეორეს პირიდგან საჭმელს სტაცებს და თითოეული მარტო სხვისგან წართმეულით რჩება. ამგვარი ბრძოლა კიდეც კლავს, მაგრამ მეორე ნაირი ბრძოლაც არის ხოლმე ხალხში გამართული, თ ა ვ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ი ს ბ რ ძ ო ლ ა, ქიშპობა იმაზე, თუ ვინ როგორ ისახელებს თავს, ვინ აჯობებს თავის ტოლს, ვინ უკეთესად წაიყვანს საქმეს. რამდენადაც ხალხის ბედისთვის მავნებელია პირველი გვარი ბრძოლა, სწორედ იმდენად სასარგებლოა მეორე ნაირი. ჩვენს პატრიოტებს კი ამ ორნაირ ბრძოლას შუა განსხვავება არ ესმით. იმათ სადღაც ყური მოუკრავთ, რომ ბრძოლა მავნებელიაო, და ის კი ვერ გაუგიათ, თუ რანაირი ბრძოლა ყოფილა მავნებელი, და რანაირი — სასარგებლო. იმ ნამდვილსა და დამღუპველ ბრძოლას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ისინი კალთას აფარებენ და მალავენ. მაგიერად ცდილობენ მოსპონ ჩვენში მეორე ნაირი ბრძოლა, რომლისგანაც ჩვენ ყველანი მარტო ამ მეორეს უნდა ველოდეთ, ცდილობენ კაზარმული წესი შემოიღონ და დაუხშონ გონება ყველას, ვინც მიზნისკენ მათსავით ზანტად არ მ ი ი კ ლ ა კ ნ ე ბ ა.

რაც უფრო რომელიმე ხალხი მდიდარია გონებითის ძალით, რაც უფრო მოძრავია, ძლიერია მისი შვილების ჭკუა-გონება, მით უძლურია მასში ეს მეორე ნაირი ბრძოლა. მაგალითად, თუნდ საფრანგეთი დავასახელოთ, ან ინგლისი. სადაა იმოდენა ქიშპობა, ან ბრძოლა მოქმედ პირებსა ან მწერლებს შუა, როგორც ამ ორ ქვეყანაში? იქ ყოველი დეპუტატი, ყოველი მწერალი, ყოველი მოქმედი პირი თავის შეხედულებას პირდაპირ გამოსთქვამს და ცდილობს სხვები დააჯეროს, ყველანი თავის ჭკუაზე ამოქმედოს. შეიტაკებიან ხოლმე ამ სურვილით ავსებული პირები და მათი ბრძოლა უშველებელ ომს ემსგავსება: მტვერი ადის მებრძოლებს... დაუზოგველად, გამწარებულად სთხრიან ისინი მოწინააღმდეგეს... რამდენჯერ მომხდარა ხოლმე, რომ ლუი ბლახი გამბეტას შეტაკებოდეს, ან გამბეტა ლუი ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და მთელი ევროპის წინ. ხან ერთს მათგანს გაუმარჯვია,

ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებლია, ამიტომ რომ ბრძოლის შემდეგ მისთვის უფრო ნათლად გამოსახულა საქმის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამოჩენილა ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა დასდგომოდა. საფრანგეთის ხალხი მარტო მით არის ძლიერი, მარტო იმით სჯობს სხვა ხალხს, რომ ათას და ათიათას ამგვარ ბრძოლას მისი გონება განუვითარებია, მისი გამოცდილება გაუდიდებია, და საკუთარის ჭკუით სიარული უსწავლებია ყველას აზრის გამოკვლევის შემდეგ. ოსმალეთში კი, ან სპარსეთში ამგვარი ბრძოლის ხსენებაც არ არის. იქ რასაც ერთი ბრძანებს ან რასაც ერთი წამოროტავს, ყველა ისე იქცევა. მიბრძანეთ, ახლა, რომლის ჩვეულების შემოღებას უნდა ვცდილობდეთ, ჩვენის მამულის სიკეთე თუ გვაქვს მხედველობაში, და არა ჩვენი პირადი სარგებლობა ან კერძო თავმოყვარეობა?

აზრების ამნაირი ბრძოლა მით უფრო სასარგებლოა, რომ ის სრულიადაც არ სჯობს ნამდვილ დისციპლინას, რომელიც ყოველი მ ო ქ მ ე დ ი საზოგადოებისთვის აუცილებლად საჭიროა. დაბნევის, გაცალკევების საჭიროებას კი არ ვქადაგობ, როცა ვამბობ, აზრების ბრძოლა და შეტაკება სასარგებლოა ჩვენი საზოგადოებისთვის მეთქი. სრულიადაც არა. ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა, და მერმე, თუ ნამდვილად მამული გვიყვარს, თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობაზედ უფრო დიდათ მიგვაჩნია, ყველა იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ მიიღოს. ამ უმრავლესობისგან მიღებულის გადაწყვეტილების ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გამოსადეგ დისციპლინას და არა ფელდფებლური მონობა ერთის რომელისამე კერპისა, — და არა თვალდახუჭული დაჯერება იმისა, რასაც ეს კერპი წამოროტავს ან ბრძანებს.

ათასჯერ შეტაკებულან მწერლობაში და პარლამენტში გამბეტა და ლუი ბლანი, მაგრამ არც ერთის მათგანისთვის ამ შეტაკების სიმწარესა და დაუზოგველობას არ დაუშლია ერთად ყოფნა ყველა იმ კითხვებისა და იმ საგნების განრჩევასა და განსჯაში, რაც რესპუბლიკის ინტერესებს ეხებოდა, საქმე რომ კენჭის ყრაზე მივარდებოდა, გამბეტას კენჭი და ლუი ბლანის კენჭი ორივე ერთსა და იმავე უჯრაში ერთად ვარდებოდა, ორივე ერთად ან „ჰოს“ ამბობდენ, ან „არას“. ერთი მეორის ჯიბრით კი არ მოქმედებდა, ერთი მაშინ როდი იძახოდა „არაო“, როცა მეორე „ჰოს“ იტყოდა. უთანხმოება მათ შორის მარტო იმაზე იყო, — მტერს რა გზით მოვერიოთო, მაგრამ მტერზე რომ საქმე მივარდებოდა, ორივე ხან ერთნაირად ებრძოდა მტერს, ხან თითოეული თავისებურად... ერთი ფიქრობდა ან ამტკიცებდა, სჯობია მუშტი თავში ვკრათო, მეორე

ყვიროდა, არა, ფერდში ან ზურგშიო. მტერს ხომ თავისი საკადრისი არ აკლდებოდა... სახეირო დისციპლინა ამაში მდგომარეობს მეთქი. დისციპლინა მარტო მაშინ იქნებოდა დარღვეული, მოწინააღმდეგე მტრისათვის თავი რომ დაენებებიათ და მუშტები ერთმანეთისათვის დაერთოთ, მტრის სასარგებლოდ და სასიხარულოდ. ამას კი ხომ მარტო ჩვენში შვრებიან, და არა საფრანგეთში, უმეცრები, და არა გონიერები.

რაც ჩვენის მომავლისთვის საჭიროა, იმას ჩვენ როდი ვიკარებთ, მაგიერად მავნებელს კი გულში ვიხუტებთ. აზრების სიუხვეს, შედარებას, წინააღმდეგობას არ ვითმენთ, ცოდვათ ვთვლით, ვდევნით; გვგონია საჭირო დისციპლინა ჩვენში მარტო მაშინ დაარსდება, როცა ყველა ჩვენის ქვეყნის შვილები თვალ ახვეულად ერთს მოთავეს გაყვებიან... ამას ვეძებთ და საჭირო დისციპლინას კი ვერ ვახერხებთ, ვერ ვაწყობთ. განა ეს უბედურება არ არის, მაშ რა ოხრობაა?!

დისციპლინა დიდი რამ არის ხალხის ცხოვრებაში. დიდი უბედურებაა ხალხისთვის, როცა მისი გონებითი და ფიზიკური ძალა დაფანტულად, უთავბოლოდ, უგზო-უკვლოდ იხარჯება. შრომისა და ძალის შეერთებით და ერთი მიზნისკენ მიმართვით ხალხი იმისთანა საქმეებს ახერხებს, რომელსაც ვერც ერთი კერძო პირი, რაგინდ გონიერი იყოს, მარტოხელად ვერ მოერეოდა, და ვერც ათასი ან ათი ათასი გენიოსი, ცალ-ცალკე მშრომელი, ვერ გაარიგებდა. დიდი ეკონომია, დიდი სარგებლობა ან სიადვილე მოსდევს შრომის გონიერ შეერთებას: ჯაფა მაშინ ყველას უადვილდება და შრომის ნაყოფი ყველასთვის მატულობს. მაგრამ შრომის შეერთება იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა მშრომელი მარტო ერთ მოთავეს თვალში უნდა შეაჩერდეს ან ბრმად ასრულებდეს მის ბრძანებას. ათასიც რომ იყოს ამისთანა მშრომელი, მათი შრომა მაინც მარტო ერთი კაცის გონებით იმუშავებს. გონიერი შრომის შეერთება, რიგიანი დისციპლინა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ათასი კაცის ტვინი და გონება საქმეს ეხმარებოდეს, რომ რაც მათ ძალა ან მოხერხება აქვთ, სულ ერთიანად შრომაზედ იყოს მიქცეული, რომ ამ ძალისაგან ან ამ მოხერხებისაგან არაფერი იკარგებოდეს... მაშინ საქმე კარგად წავა და ერთი მოთავის ბედზე როდილა იქნება დამოკიდებული საქმის, ქვეყნის იღბალი. თუნდ მოკვდეს ეს მოთავე, თუნდ წახდეს, თუნდ შეცდეს, თუნდ ათს სხვა მოთავეს დაემართოს ამგვარივე უბედურება, მშრომელების საქმე მაინც ხეირიანად წარმართული იქნება: მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს, თითქმის, თითოეულს ამ მშრომელთაგანს მოთავედ გახდომა შეეძლება, და სადმე უპატრონოდ თავის დღეში აღარ დარჩება. მაშინ მოთავე მარტო დროშაა საქმის, ის დროშა, რომლის გარშემოც რიგზე დგებიან გონიერი მშრომელები. მაშინ ეს დროშა მარტო მას მიებარება, ვინც ყველაზე უფრო მაღალია, ვისაც სხვაზე უფრო შორს უკრის თვალი... სულ

სხვანაირად მიდის საქმე, როცა გროვას დისციპლინად ბრმა მორჩილება მიაჩნია, მაშინ მოთავეს, მედროშეს დაცემა, ან უბრალო შეცდომა ოცი ან ოცდაათი წლით ახდენს საქმეს. მისი რაზმი მაშინ ან ცხვრებსავით იფანტება, ან ბრმად მიჰყვება ხრამისკენ, სადაც ტალახში ჩაფლვა ან დაღუპვა ელის... ჩინებული, გონიერი, უნაკლულო რომ იყოს ამგვარი ბრმა გროვის მოთავე, ამას მაინც ის ემჯობინება საქმისთვის, რომ გონიერ რაზმს თუნდ უხეირო მოთავე ჰყავდეს...

ნუ დავივიწყებთ ამას, და ამ მხრით გადავხედოთ აბა ჩვენს მდგომარეობას. აქაც შევეყრებით ზოგიერთს ისეთს კანონს ისტორიული განვითარებისას, რომლის ცოდნაც უსარგებლო არ იქნება ჩვენთვის.

—7—

უწინდელს დროში ჩვენს საზოგადოებაში მარტო ბრმა დისციპლინა არსებობდა. მთელი მხარე ან მთელი ხეობა, ან მთელი სოფელი ერთს კაცს მიჰყვებოდა, ადგილობრივს დიდ-კაცს, დიდს მებატონეს, დიდ შეძლებულს კაცს... ბევრს უნდა ახსოვდეს ჩვენში, რა ხმა და გავლენა ჰქონდათ თავთავის მაზრებში ამგვარ მებატონეებს, ან ერისთავებს. რასაც ისინი „ბრძანებდენ“, იმას მთელი ხალხი გამოუკვლეველად იჯერებდა. როდი ვინმე კითხულობდა, თუ რისთვის ბრძანეს, რა საფუძვლით ან ამ ბრძანებას რა შედეგი მოსდევს. გიორგი ბატონმა ბრძანაო, „გეორგ-აღამ ასე ი ნ ე ბ ა ო“, და დანარჩენი ხალხი ისე თვალახვეულად მისდევდა ამ ბატონების სიტყვებს, როგორც ცხვრის ფარა თხას გაჰყვება ხოლმე. დღესაც ბევრს ალაგს მინახავს, რომ დიდი ჩინით ან დიდი სიმდიდრით აღჭურვილს კაცს, გონებით კი ღარიბს და ხასიათით სუსტს, უშველებელი ხმა და გავლენა ჰქონდეს საზოგადოებაში. ათასი და ათიათასი უჯერის მას, და იმას კი არავინ კითხულობს, მართლა ჭკუისთვის ან პატიოსნებისთვის მისცეს ეს ჩინი, მართლა ჭკუითა ან პატიოსნებით მოიგო ეს გავლენა?.. ჩვენში ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ამ პირველ-დროინდელს მდგომარეობაშია.

მარტო ახალგაზრდობის მცირედი ნაწილი გამოვიდა, როგორც იქნა, ბრმა მონების კლანჭებიდგან და, რასაკვირველია, როგორც ამ წერილის დასაწყისში ვამბობდი, რომ კაცობრიობა თვალახვეულად დაეხეტება ერთი ხრამიდგან მეორესკენ-მეთქი, ჩვენი ახალგაზრდობაც ისე მოიქცა... ადვილად მიხვდა, რომ უშველებელი უგუნურობა ყოფილა ეს ბრმა მორჩილება: რაკი ამაზე შუბლი მიახალა, ის მოტრიალდა და პირდაპირ მეორე გზას დაადგა: „აღარავის დავემორჩილები, სხვისას აღარაფერს ვიწამებ, მარტო ჩემს საკუთარ შეხედულებას გავყვები, მარტო ჩემს გონებას ვიცნობო!“ უწინდელს მონობას უეჭველად ეს შედეგი უნდა მოეტანა. ამის გამო, ეხლანდელი ჩვენი ახალგაზრდობა დაფანტულია გონებითად: ზოგი მარჯვნივ მიდის, ზოგი მარცხნივ, ზო-

გი წყლისკენ მიიწევს, ზოგი ტყისკენ, ზოგი ხტის, ზოგი წევს, ზოგიც სეირნობს... ორ კაცს ვერ მოძებნი ამ ახალგაზრდობაში, რომ ერთი და იგივე რწმენა ჰქონდეს, ერთი და იგივე იმედი ან შეხედულობა, რომ ყველაფერში, რაც კი საზოგადო ცხოვრების უმთავრეს მხარეებს შეადგენს, თანახმანი და ამხანაგნი იყვნენ. ერთს ასე უჭრის გონება, მეორეს ისე, და ორივე თავისებურად მოქმედობს. ჩვენი ძველების რწმენა, ტრადიცია, დანდობა, მიყოლა, სიყვარული მათში იმავ დღეს დაიკარგა და გაჰქრა, როცა ძველი „ბრმა-მონება" შეეზიზღათ. მაგიერად ახალი მეცნიერების ძალას ჯერ კიდევ ვერ დაუპყრიათ მათი გონება, ვერ აუხსნია მათთვის, თუ რა გამოსადეგია, რა საჭიროა გონების ან ფიზიკური ძალის შეერთება და ერთ მიზნისკენ მიმართვა. ჩვენს ახალგაზრდებს რომ ამ ახალი მეცნიერების სიღრმე გაეზომათ, ნამდვილად რომ გაეცნოთ მისი უმთავრესი მხარეები, კარგად ეცოდინებოდათ, რომ ძველი, ბრმა რწმენის მაგიერ გვარიანი ხანია აშენებული ყოფილა ახალი მეცნიერება, რომელიც ყველასთვის საერთოდ დასაჯერებელია... მაშინ საზოგადო ცხოვრების უმრავლეს კითხვებზე ყველას ერთი და იგივე შეხედულება ექნებოდათ, სწორედ ისე, როგორც ვერავინ იტყვის დღეს, ჩემის გონებით მინდა ვიარო და ამიტომ არ მინდა დავიჯერო, რომ ორჯერ ორი ოთხიაო!.. საზოგადოებრივი მეცნიერება ხელრიანად შესწავლული და გაცნობილი რომ ჰქონდესთ ამ ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენი საზოგადო კითხვების უმეტეს ნაწილზედაც ერთი აზრისა და შეხედულობის იქნებოდენ, ისე, როგორც ყველა, თანახმაა ახლა იმისი, რომ ორჯერ ორი ოთხია, ან იმისი, რომ სახლის-ასაშენებლად ჯერ საძირკველი უნდა გათხაროს კაცმა, მერე კედლები ამოიყვანოს, და მერე ჭერი გააკეთოს, და არა ამ ჭერის გამართვით დაიწყოს სახლის შენება... ჩვენი საზოგადოება ჯერ არ მოსწრებია ამ უკანასკნელ განვითარებას. დღეს ჩვენ იმ პერიოდში ვდგავართ, როცა ჩვენი ხალხის უმეტესი ნაწილი ისევ ძველებურს გონებითს სიბრმავეში იმყოფება, და ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი კი ამ სიბრმავის სიძულვილით დაფანტულად ცალ-ცალკე დახეტიალობს. ამ ხეტიალის უსარგებლობა და მავნებლობა ბევრს ესმის. ბევრი ქადაგებს, არ ვარგა ამგვარი დაფანტულობაო. ბევრი იხვეწება — ერთობა ვიქონიოთო, ერთი მიზნისკენ წარვემართოთო. მაგრამ რადგანაც ამ ქადაგებას მიზნად მარტო უწინდელი ბრმა მორჩილების აღდგინება აქვს, რადგანაც ჩვენ მოთავეებს ის არ ესმით, რომ აუცილებლად საჭიროა ადგილი და კმაყოფილება მიეცეს კერძო პირის გონებას, ამისგამო „ერთობის ქადაგებას" ნაყოფი არ მოაქვს ჩვენში. როგორც ხალხში ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა ამისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად გათავისუფლდება

და შ ე ე რ თ ე ბ უ ლ შ რ ო მ ა ს შ ე ე ჩ ვ ე ვ ა*, სწორედ ისე ახალგაზრდობის ცხოვრებაში, გონიერი და საჭირო დისციპლინა მარტო მაშინ დაარსდება, როცა ჩვენი მოთავეები ბრმა მორჩილების ძებნას დაივიწყებენ, და მარტო თავისი გონების ძალით, მარტო თავისი მიზნის სიწმინდით ან საფუძვლების შეურყევლობით მოიგებენ ახალგაზრდობის შემუშავებულს მოწიფებულს, თვალახელილს გონებას...

ამის მაგიერ ჩვენი მოქმედი პირები იმ საქციელს ადგიან, რომელიც მხოლოდ მცირე საქმეს, ვიწრო ამხანაგობას, უმომავლო მიზანს შეეფერება, და არა დიდს, სახალხო, საქვეყნო საქმეს. მე და შენ რომ დაეძებილდეთ, მკითხველო, მარტო ჩვენი კერძო სარგებლობისთვის, და რამე პატარა საქმე გამოვიწყოთ, ვსთქვათ დუქანი გავაღოთ, იმ მიზნით, რომ სიმდიდრე შევიძინოთ, გავდიდკაცდეთ, გავკეთდეთ, — ამისთანა საქმეში ჩვენ იქნება ყოველი საშუალება გამოგვადგეს: სიცრუეც, მოტყუებაც, ინტრიგაც და გაგლეჯაც. თუ ვიშოვეთ ამით რამე, ხომ კარგი, თუ არა და — დავკეტთ დუქანს, გავიტანთ საქონელს, და მერე რაც უნდა ის ჰქნას მოტყუებულმა ხალხმა, რაც უნდა ის სახელი დაგვარქვას. ხომ ასე შვრებიან ყველა „ვიწრო მიზნის მიმდევრები“? მაგრამ თუ იმისთანა საქმეს ვიწყებთ, რომელსაც საშვილი-შვილო ხასიათი აქვს, რომელსაც არც გაქცევა მოეხმარება, არც აკრეფა, მაშინ ხომ სულ სხვანაირად უნდა მოვიქცეთ? ხომ აღარ გამოგვადგება მაშინ ო ი ნ ო ბ ა, ხომ ვერაფერს მოვახერხებთ ინტრიგით, სიცრუით ან ტყუილით? მაშინ ხომ თითოეული ჩვენი სიცრუე ჩვენს შვილსა და შვილის-შვილს დაატყდება თავზე? ხალხის საქმეც ამნაირია. რაც კი რამ გაკეთებულა ქვეყანაზე დიდი ან სახეირო, ხალხისთვის, გაკეთებულა ა შ კ ა რ ა დ, საქვეყნოდ, პირდაპირ, მარტო პატიოსანი საშუალებით, მარტო ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ძ ა ლ ი თ, გონებითის ან ფიზიკურის ძალით, და არა ო ი ნ ო ბ ი თ, პირფერობით, ფარისეველობით, და სხვა ამ რიგი საშუალებით. მარტო „კლიკას“, ავაზაკურს ბრბოს შეეფერება ქვეშქვეშურად მოქმედება საზოგადო ასპარეზზე, მარტო უმომავლო ხალხს, დაცემულს და უიმედო საზოგადოებას მოუხდება დაფაროს თავისი თავი, თავისი მიზანი და საშუალება, და ჩუმჩუმად, მალულად ეძიოს თავის ხსნა... ნუთუ იქამდი დაეცა ჩვენი ხალხიც, იქამდი ბოლო მოეღო საქართველოს, რომ ამნაირ უმომავლო და უიმედო ქვეყნად უნდა ჩავთვალოთ? ნუთუ მარტო იეზუიტური გზა დარჩენილა მის საშველად, მარტო ოინების, სიცრუის და თვალების ახვევის გზა? ნუთუ ჩვეხი

---

* ამ საგნებზე, განსაკუთრებით იმაზე, რომ ამ განთავისუფლების შეძენა მოხერხდება ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების აგრალურსა და მელიორატიულს პოლიტიკაზე დამყარებით, ბევრი ვიქადაგე ამას წინათ 1873—1876 წლების მწერლობაში და საზოგადო კრებებზე.

დამწერის ახალი შენიშვნა.

ხალხი იმდენად დაცემულა, იმისთანა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ვეღარ აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ გზას, ვერ მოინელებს იმ საზრდოს, რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან აძლიერებს? თუ კი ის იმდენად უიმედოა, რომ არც პირდაპირი აზრის მუშაობის მონელება შეუძლია, არც საკუთარის უსწორ-მასწორობის გადასწორება, არც შინაგანის ნაკლულევანების შემჩნევა და მორჩენა, არც გონიერად შრომა თავის კეთილდღეობისთვის, — ხალხი კი აღარ ყოფილა, ველურთ უბანი ყოფილა, სულითა და გულით დაცემული, და რაღას უშველის მასზე ზრუნვა ან მისთვის შრომა?.. მაინც ხომ ვერ აღადგენს მკვდარს ეს იეზუიტური და მიმაძინებელი გზა, ეს საზოგადო გონების დამხშველი მოქმედება!

—8—

მაგრამ ეს ტყუილია. — ჩვენი ხალხი, ღვთის მადლით, შორს არის ამგვარ უიმედო მდგომარეობისაგან. ღმერმა ნუ ჰქნას, ამისთანა უბედურებაში რომ ჩავარდეს. მაშინ ის ჩვენგან აღარავის ეყვარება, თავს მაშინ მისთვის არავინ დასდებს, შრომას აღარავინ იკისრებს... მაშინ ყოველი კაცი მას ისე მოეპყრობა, როგორც თითოეული ჩვენგანი ეკლესიის წინ დავარდნილ კუტს ექცევა: შეიბრალებს, გული დაეწვის, მოწყალებას მიაწოდებს, მაგრამ პირს მაინც მიიბრუნებს: ხომ მაინც ფეხზე ვერ დავაყენებ, კაცად ხომ მაინც ვერ გავხდი ამ საბრალოსო! მარტო ის აიყვანს, მარტო ის უპატრონებს, ვისაც სურს, რომ ამ კუტის საკუთარი თავი ირჩინოს... ამგვარი კაცები კი ხანდისხან განგებ ამახინჯებს უიმისოთაც ბუნებისგან გალახულ კუტს... უგულო კაცის მეტი აბა ვინ დაადგება ამგვარ საქციელს?

არა, ჩვენი ხალხი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდნილა. ის სულ სხვანაირი სამსახურის ღირსია. ღირსია, რომ მისი საქმეც ისე წაიყვანოს მისმა მეთაურებმა, როგორც ყოველი ხეირიანი ხალხის საქმე წაყვანილა ქვეყნიერებაზე. ეს ჩვენი ხალხიც ღირსია, რომ გონება განვუვითაროთ, აზრის მუშაობას შევაჩვიოთ, საკუთარის ხელით მოვაწმენდინოთ მისი წყლულები, საკუთარის შრომით გავამართვინოთ სამართლიანი განწყობილება, საკუთარის მუხლით სიარული დავაწყებინოთ, და ყველა ამას, ხომ, მარტო პირდაპირი, ყველასთვის აშკარა თვალსაჩინო შრომა მოიტანს... მაშ ტირილსა და გოდებას თავი დავანებოთ, დავივიწყოთ უხეირო ოინები, ნუღარ ვიკადრებთ იმ გლახურ ცრემლის ჩვენებას, რომელსაც ამოდენა ხანია მისცემია ჩვენი მწერლობა! ათასიც რომ ვიბღავლოთ ქართულ ენაზე „ვაიმე, დედა, გვკვლავენ, ვაიმე, დედა, გვამშევენ, ვაიმე, დედა, არვინ გვწყალობს“, — ეს

მარტო კუტის ჩვენებას ან კუტის ექსპლოატაციას ემსგავსება. ამით მარტო ათიოდ გროშს შევაგროვებთ, მეტს ვერას მოვახერხებთ, ჩვენი სისუსტისა და გლახაკობის გამოჩენას გარდა. თუ მართლა საიმედოთ მიგვაჩნია ჩვენი ხალხი, თუ მართლა გვწამს მისი მომავალი, თუ მართლა და გულწრფელად გვინდა მისი მსახურება, ერთი სიტყვით, თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გ ა ვ ა ძ ლ ი ე რ ო თ, რო-გოც მატერიალურის მხრით — სამართლიანი ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით — მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თითონ გვაქვს, იმ მომავლისკენ უნდა მიუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა. მარტო ის ხალხიაო ღირსი ბედნიერების, სთქვა ვიქტორ ჰიუგომ სომხებზე, რომელიც მომავალს შეჩერებიაო; და ვინც მარტო წარსულს შესცქერის, ის სამარეს ითხრისო...

მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მ ა რ ტ ო ჩ ვ ე ნ ს ძ ა ლ ა ს მ ი ვ ე ნ დ ო თ, მ ა რ ტ ო ჩ ვ ე ნ ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა ს ა და გ ა-ნ ა თ ლ ე ბ ა ზ ე ვ ი შ რ ო მ ო თ — მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩხდება და ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც*. ხალხის ცხოვრებაშიაც ის კანონი მოქმედებს, რომელიც აღებ-მიცემის დედაბურჯად დგას: ყველა მარტო იმ კაცს ენდობა, მარტო იმას ასესხებს ფულს ან კრედიტს გაუხსნის და შემწეობას მისცემს, ვისაც თავისი რამ აქვს შესაფერი. — აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, ჯერ ჩვენი რამ შევიძინოთ, ჩვენდათავად გავძლიერდეთ, ჩვენი მუხლი და წელი გავიმაგროთ და მაშინ ერთი დასტვენის მეტი არაფერი დაგვჭირდება: მაშინ ყველას ჩვენი ნდობაც ექნება, პატივიც და რწმუნებაც. მაშინ ყველა მეგობრებად გაგვიხდება და შემწეობას არავინ დაგვაკლებს. მაშინ ჩვენ-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზლუქუნი, არც ჩურჩული. და სანამ ამ „ს ა კ უ თ ა რ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს“ გზას გულდაგულ და პირდაპირ არ დავადგებით, მანამდი კი ათასიც რომ იბღავლოს ჩვენმა მწერლობამ, ათასიც რომ იჩურჩულონ ჩვენმა მოქმედმა პირებმა, კაცი ყურადღებას არ მოგვაქცევს და შემწეობას არ გვაღირსებს, ყველას ის აზრი ექნება თავში: „სუსტი ხარ, ქვეყანაზე ადგილი რათ გიკავია, თვალს რათ გვიჭრი შენის წყლულების ჩვენებით, რა გიყო, რა გიშველო, ხომ ფეხზე ვერ დაგაყენებ, თუ შენდა-თავად წამოდგომა არ შეგიძლიაო“!

---

* აი, ქართულ მწერლობაში ამ მიმართულების შემომღებს ახლა აზეფის და გაპონის ბრმა მიმდევრები ცილს სწამებენ, ვითომდა ხალხს სულ იმას უქადაგებდა, — მარტო ბიუროკრატიის იმედით იყავითო, მის გარეშე საქართველოს შველა არ მოელისო! ნახავთ, არც აწი მოინანებენ ამ ცოდვას!

დამწერის ახალი შენიშვნა.

მოახერხებს ეხლანდელი ჩვენი თაობა ამ საქმის წაყვანას, ამ ძიზ-ნის მიწევნას კი არა, ძებნას? არა მგონია. ერთობ შეჩვეულია ის ხლუ-ქუნსა და ტირილს, ერთობ ნაჩვევია სხვისი იმედით ყოფნას, ერთობ გადაჩვეულია სიარულს, საკუთარის ძალით სარგებლობას... დროა, დიდი ხანია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედ-მოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რომელსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებლობა მოითხოვს...

... თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა... ოცი წელიწადი არ გაივლის ისე რომ ჩვენი ქვეყანა ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნები, მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... მაშინ რუსეთისთვის საჭირო და დასაფასებელი იქნება ჩვენი ხალხის დახმარება... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზა-მზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინა. მარტო ამნაირად დამარაგებულ ხალხს ექნება მაშინ ადგილი ხალხთან საერთო ტაბლაზე... და ვინც მაშინ დაფანტული, უძლური იქნება, მას არავინ ყურადღებას არ მიაქ-ცევს...

მხედველობაში ვიქონიოთ დაახლოებული მომავალი. ნუ ვიზამთ კი, რომ უწინდლურად უძლური და დაფანტული დაესწროს ჩვენი ხალხი ამ გადამწყვეტს ბრძოლას... ნუ მოვინდომებთ, რომ ჩვენი მეზობლები ვაჟბატონურად ტაბლას გარშემო დასხდენ, და ჩვენ კი ჩაულაპვა მოგვინდომონ, ამ სიტყვით:

«Покорись — о, ничтожное племя!
Неизбежной и горькой судьбе,
Захватило вас трудное время
Неготовыми к трудной борьбе.
Вы еще не в могиле, вы живы,
Но для дела вы мертвы давно,
Суждены вам благие порывы,
Но свершить ничего не дано!»

42. სადღეისო საკითხები

თბილისი, 1880 წ. 3 იანვარი

ამას წინათ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კედლებში საზარელი ამბავი მოხდა: ერთ-ერთმა მასწავლებელმა რევოლვერითა და დანით ანგარიში გაუსწორა სასწავლებლის ზედამხედველს.

ჩვენ არ გვსურს ამ წერილში საუბრის გაგრძელება არც ჩადენილი ბოროტმოქმედების და არც ამ ამბის დეტალების შესახებ — ნაწილობრივ ეს უკვე ცნობილია საზოგადოებისათვის; გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ შეუძლებელიცაა ჯერჯერობით რაიმე წინასწარი დასკვნის გამოტანა საქმის გამო წარმოებული გამოძიებიდან. ჩვენი მიზანი სულ სხვაა...

ცნობილია, რომ იმ თითქმის აბსოლუტური იზოლირებულობის გამო, რომელშიც ყოველთვის იყო ხოლმე და ამჟამადაც იმყოფება, სასულიერო უწყება, საზოგადოებრივი მეთვალყურეობა ამ უწყების შიგნით მიმდინარე მოვლენებისადმი სავსებით გამორიცხულია... კიდევ მეტი, ამ terra incognita-ᲛᲘ[63] გარს შემოიკრა ჩინური კედელი[61] და ამიტომაა, რომ არაერთ ლივინგსტონსა თუ სტენლის უხდება ახლა თავის მტვრევა იმაზე, თუ რა უნდა იღონოს საზოგადოებამ, რომ ეს მოჯადოებული წრე გაარღვიოს. ამასთან, ხსენებული უწყება წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების, ვგონებ, ერთადერთ სფეროს, სადაც საჯაროობის შუქმა ჯერაც ვერ შეაღწია.

ხოლო ამასობაში კი ირკვევა, რომ ამ, გარეგნულად თითქოსდა წყნარ უბანშიც, თურმე, ადგილი აქვს ადამიანთათვის საერთოდ დამახასიათებელ ვნებათაღელვას, რომელიც საზარელი აღგზნების ᲒᲐᲛᲝ ხანდახან (სამწუხაროდ, ყოველთვის უაღრესად გვიან) ზედაპირზეც კი აღმოხეთქავს ხოლმე. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ აქაც, ამ სფეროშიც ისევ და ისევ საქმე გვაქვს ადამიანებთან, ხოლო ამ უკანასკნელთ უარი არ უნდა ეთქვას იმაზე, რომ საზოგადოებამ თავისი მსჯავრი გამოუტანოს ხოლმე. ჩადენილია სავალალო და საშინელი ბოროტმოქმედება: ორი ადამიანის სიცოცხლე ერთბაშად და მოულოდნელად

შეწყდა. მაგრამ ამ საქმისადმი ჩვენი დამოკიდებულება სრულებითაც არ მთავრდება უბრალო სინანულით... მომხდარმა ბოროტმოქმედებამ ჩვენს წინაშე უამრავი საკითხი წამოჭრა... მკვლელი, რა თქმა უნდა, დამნაშავეა, როგორც მკვლელი, მაგრამ საკითხავია, რამ მიიყვანა განათლებული კაცი იმ მდგომარეობამდე, რომ მან ცივად ხელი აღმართა ამ ველური საქციელის ჩასადენად?... ნუთუ არ იყო სხვა საშუალება, რომ შუღლი ამ ორ ადამიანს შორის სხვაგვარად გათავებულიყო? ანდა, რა შუღლია ეს შუღლი, რა არის მისი მიზეზი? რით მიიყვანა თავისი თავი ამ შემზარავ დასასრულამდე მოკლულმა ასათიანმა? მართლაც, ეგოდენ დამნაშავეა ღვინიაშვილი, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება, თუ არა? აი, ნაწილობრივ ის საკითხები, რომლებიც პირველ რიგში გვაწუხებს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი პრესა, რომელიც გამოძიებასაც და სასამართლოსაც თვალყურს ენერგიულად ადევნებს, შემთხვევას ხელიდან როდი გაუშვებს, რომ ნაწილობრივ მაინც არ გაარღვიოს სასულიერო პირთა ცხოვრების გარემომცველი წყვდიადი. ამით იგი, უეჭველად, დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, რადგან ცნობილია, რომ იქ, სადაც წყვდიადია გამეფებული, სწორედ იქ მიაჩნიათ, რომ ერთადერთი გამოსავალი დამყაყებული ცხოვრებიდან და უუფლებობიდან მხოლოდ თვითნებობა და ბოროტმოქმედებაა.

43. ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრება 1879 წელს

—1—

ჩვენი ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების ქრონიკა, გასულ წელს, სულაც არ იყო მდიდარი არც სასიხარულო მოვლენებით და არც რაიმე სასარგებლო წამოწყებებით. მაგრამ ამ სფეროშიც — ისევე როგორც ყველა სხვა დარგში — ამ პერიოდში, სამწუხაროდ, ვგონებ, მარტოოდენ უარყოფითი მხარეები უნდა აღვნიშნოთ...

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ასეთი უსიხარულო დასკვნა უნდა გავაკეთოთ არა მარტო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებისა თუ მოვლენების შესახებ, არამედ იმ იდეებისა და ცნებების შესახებაც, რომლებიც ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა შემოიღეს, იმ მეთოდის თანახმად, რომელიც შევიმუშავე გასული წლის ქართული ლიტერატურის მიმოხილვისათვის; ჯერ უნდა აღვნიშნო ამ მოვლენის ზოგადი და ძირითადი მიზეზები, ვიდრე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების დეტალურ აღნუსხვასა და გარჩევას შევუდგებოდე.

საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობა, უმთავრესად, დამოკიდებულია ორი უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორისაგან: საზოგადოებრივი წყობილების საერთო პირობებისაგან, რომლებიც ცოტად თუ ბევრად, ხელს უწყობენ ხოლმე წინსვლას, და იმ პიროვნებათაგან, რომელთაც ბედმა არგუნა თვალსაჩინო როლის შესრულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულ ფაქტორთაგან პირველის შესახებ არა მგონია საჭირო იყოს სიტყვის გაგრძელება. განა არის ვინმე ჩვენს შორის ისეთი, რომელმაც არ იცის, რომ ჩვენი ცხოვრების პირობები სრულებითაც არ უწყობს ხელს ძალუმ წინსვლასა და პროგრესს?... ამიტომ ურიგო როდი იქნება, თუ უმთავრეს ყურადღებას მეორე ფაქტორს მივაპყრობთ, მით უმეტეს, რომ საქმის ეს მხარე ჩვეულებრივ, მხედველობის გარეშე რჩებათ, როდესაც საზოგადოებრივ საქმეებს განიხილავენ ხოლმე.

საზოგადო მოღვაწენი... ხმოსნები, ქალაქის გამგეობის წევრები, ბანკების დირექტორები, სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მმართველები, ორატორები, პუბლიცისტები და ა. შ. — გარკვეულ

გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი საქმეების მსვლელობაზე, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისა და ოდენობის ტალანტი ან ცოდნა გააჩნიათ თვით მათ: ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. მაგრამ როგორ გავლენას ახდენენ ისინი საზოგადო საქმეებზე, ეს დამოკიდებულია აგრეთვე, ამ მოღვაწეთა გარჯილობასა თუ სიმარჯვეზე და რაც მთავარია, იმ სტიმულზე, რომელიც მათი მოღვაწეობის სახელმძღვანელო პრინციპს შეადგენს... ამის გამო იმ საკითხის გარჩევა, თუ რა ამოძრავებს საზოგადო მოღვაწეს, რისი გულისათვის მოქმედებს, რისკენ მიილტვის, რისთვის იბრძვის იგი, ანდა რას აკლავს ხოლმე თავს — უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი საქმეების მსვლელობისა და ამ საქმეთა ხასიათის შესაფასებლად. დიდი ხანია ყველასაგან შენიშნულია, რომ „საზოგადო მოღვაწემ თავისი სულიც კი არ უნდა დაიშუროს საერთო საქმისათვის, იგი სავსებით მტლად უნდა დაედოს მას!“ და მართლაც, არა მგონია, მოქმედების რომელიმე სხვა დარგი მოითხოვდეს მოღვაწისაგან ყველა ძალთა ისეთს განუწყვეტელ დაძაბვას, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა. არც მოხელეს, დილის ცხრა საათიდან შუადღის ორ საათამდე კეთილსინდისიერად რომ იღწვის ქაღალდების შედგენაზე, არც მოსამართლეს, ყურადღებითა და კანონიერად ექვსი-შვიდი საათის განმავლობაში თავაუღებლივ რომ არჩევს საქმეებს, არც ოსტატს, დილიდან საღამომდე რომ ჩასციებია თავის სამუშაოს და არც თვით მუშასაც კი, კამეჩივით რომ ეზიდება თავის ტომრებს, არ უხდებათ ხოლმე იმდენი ძალისა თუ ენერგიის დაძაბვა, როგორც ეს თავის საქმისადმი ერთგულ საზოგადო მოღვაწეს სჭირდება: რა თქმა უნდა, ჩვენ ისეთი საზოგადო მოღვაწეებიც გვყვანან, რომლებმაც მოახერხეს თავიანთი საქმიანობა წმინდა საკანცელარიო უსულგულო სამუშაოდ ექციათ და, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, გაცილებით უფრო ფორმალისტურად ეკიდებიან საქმეს, ვიდრე რომელიმე ბიუროკრატი. მაგრამ ჩვენ ხომ ახლა ასეთ პიროვნებებზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ ვეხებით მხოლოდ ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწის ტიპს, ისეთს როგორიც უნდა არსებობდეს ამჟამად ჩვენში.

ჩვეულებრივ, იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებული და შეგნებული საზოგადოებრივი ცხოვრებაა, ფრიად იშვიათი ღირსებების მქონე პიროვნებანი გამოდიან ხოლმე საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე. ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, უაღრესად ფართო მომზადება, რომ აღარაფერი ვთქვათ მოღვაწის მრავალმხრივ ნიჭსა თუ უნარზე. იმისათვის რომ რიგიანი მეწარმე, ინჟინერი ან მოსამართლე გახდე საჭიროა მოემზადო არჩეული სპეციალობის მიხედვით. ამ მხრივ ყოველ საშუალო ადამიანს სავსებით საკმარისი უნარი გააჩნია საიმისოდ, რომ ერთ-ერთ ამ სპეციალობას დამაკმაყოფილებელად მაინც დაეუფლოს. სულ სხვა საქმეა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სადაც

არ კმარა, რომ იყო ჩინებული სპეციალისტი, უნდა იყო, აგრეთვე, ფილოსოფიურადაც საკმაოდ განსწავლული, უნდა მრავალმხრივი ცოდნით იყო აღჭურვილი მეცნიერების თითქმის ყველა დარგში და ამასთან, გქონდეს ენციკლოპედიური და განმაზოგადებელი გონება. მხოლოდ იშვიათი პიროვნებანი არიან ხოლმე ასეთი ღირსებებით დაჯილდოებულნი. ყოველივე ამას გარდა, ფრიად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ თვითეულ ასეთ მოღვაწეს ჰქონდეს მტკიცე სასიათი. საკმარისია რიგიანად იცოდე შენი სპეციალობა და ცოტათი მაინც კეთილსინდისიერად ეკიდებოდე შენს მოვალეობებს, რომ ჩინებული მოსამართლე, პატივცემული ფაბრიკანტი, ბრწყინვალე ინჟინერი ან წარმატებული ხელოსანი გამოხვიდე. არავის აზრადაც არ მოუვა სდევნოს ან ნელ ცეცხლზე შეხრაკოს ასეთი სპეციალისტი და დიდი-დიდი, მათ დროდადრო, ჩუმ-ჩუმად, აუგად იხსენიებენ ხოლმე მათივე პირადი მეტოქეები. განა ასეთია საზოგადო მოღვაწის მდგომარეობა? რაც უფრო ფართოა მისი მოღვაწეობის სფერო, რაც უფრო ხელშესახები ხდება მისი გავლენა, რაც უფრო მაღლდება იგი თავისი მდგომარეობით, მით უფრო მძვინვარედ და შეუბრალებლად თავს ესხმიან ხოლმე მას ყოველი მხრიდან. არა მარტო მისი პირადი კომპეტიტორები, არამედ ყველანი, ვინც მის შეხედულებებს არ ეთანხმებიან. ასეც რომ არ იყოს, მისდამი უნდობლობას, იშვნეულ დამოკიდებულებას, ცილისწამებასა და სხვა მისთანებს ხომ არც საზღვარი აქვს და არც მიჯნა. საზოგადო მოღვაწეზე ყველანი კბილებს ილესავენ, ამასთან სჯიან თავიანთი შეხედულებისამებრ და თავიანთივე საზომით, ტყუილისა და სამართლის განუკითხავად, ხოლო ამ ათვალისწინების საფუძვლად, უმეტეს შემთხვევაში, რაიმე უცილობელ ფაქტებს კი არ იყენებენ, არამედ ქარის მიერ მოტანილ მიხვედრილობებს, ჭორებს, ნათქვამ-გაგონილს... საჭიროა კაცს გქონდეს რკინის ნერვები ან წმინდა წყლის ფანატიზმი გიბრძავებდეს თვალებს ან კიდევ ფრიად გარკვეულად და უაღრესად მომგებიანი მერკანტელური მიზანი გამოძრავებდეს, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი... ამიტომაა, რომ, მაგალითად, ევროპაში ჩვენ ხშირად ვაწყდებოდით ხოლმე ისეთ ფაქტებს, როდესაც უდიდესი გონების მქონე ადამიანები, შესანიშნავი ნიჭით უხვად და ყოველმხრივ დაჯილდოებული პიროვნებანი, ფიცს დებდნენ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების ძანძილზე აღარასოდეს აღარ დავუბრუნდებით და ახლოსაც აღარ გავეკარებით საზოგადოებრივ მოღვაწეობასო. ამ ადამიანებს აღარ სურდათ, რომ ძალღონე შეელიათ ისეთი ბრძოლისათვის, რომელიც ძათს ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამიტომაც ამჯობინებდნენ ხოლმე ისინი წმინდა მეცნიერებისათვის შეეწირათ თავი, „კერძო ცხოვრებას“ დაბრუნებოდნენ, მრეწველობისათვის მოეკიდათ ხელი, ანდა სულაც სამსახური დაეწყოთ ხოლმე, ოღონდ კი კვლავ თავი არ

ამოეყოთ პარტიათა გააფთრებული შეჯახებების ორომტრიალში, რომელიც ვნებათაღელვის გამო არავის და არაფერს არ ზოგავს.

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი სხვადასხვა ტიპის მოღვაწენი ასრულებდნენ ხოლმე: ფანატიკოსები და მოანგარენი. იმ სიძნელეებს, რომლებიც საზოგადო მოღვაწენი იტანენ ფანატიზმის, თუ ანგარებისა და პატივმოყვარეობის გამო, ე. ი. იმ ანგარიშით, რომ საჭიროა ასეთი ვაება ავიტანო და ასეთი შრომა გავწიო, რათა ბრწყინვალე საზოგადოებრივ მდგომარეობას მივაღწიო და მნიშვნელოვანი თანამდებობანი დავისაკუთრო სახელმწიფოშიო და ა. შ. კაცმა რომ თქვას, „პატივმოყვარეობა“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ე. ი. სახელის წყურვილი, თანამედროვეთა და შთამომავალთა პატივისცემის დამსახურების სურვილი, მეტნაკლებად, ორივე ამ ტიპს ახასიათებს. ასევე ერთხაირად სჩვევიათ მათ წადილი, აიტანონ ყველა ვაება და სიძნელე, რაც მათს მდგომარეობას ახასიათებს, ოღონდ კი მიზანს მიაღწიონ, ე. ი. ფანატიკოსმა — თავისი სანუკვარი იდეა განახორციელოს, ხოლო მოანგარემა — ბრწყინვალე საზოგადოებრივ მდგომარეობას მიაღწიოს... ვიმეორებ, მხოლოდ ამგვარ ყოვლისშემძლე სტიმულს, რომელიც მოიცავს ხოლმე მოღვაწის მთელს არსებას, შეუძლია აიძულოს იგი, რომ გაუძლოს თავისი მდგომარეობის სიძნელეს და ძალღონე მოიკრიბოს უთანასწორო ბრძოლისათვის ერთისა და ყველას წინააღმდეგ.

ასე ხდება ხოლმე ევროპაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ძველთაგანვე განვითარებულია და სადაც, საერთოდ, ყავთ ყოველხაირი ადამიანების უმდიდრესი კონტინგენტი.

ახლა კი ღირს, რომ ჩვენს ცხოვრებას დავუბრუნდეთ და ერთი ვიკითხოთ, რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში, რომ გასაგები გავხადოთ ჩემი აზრი. საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ,იდეათა ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას. პატივმოყვარეები... უაღრესად პატივმოყვარე ადამიანთა შორისაც კი არ გვყვანან ისეთები, რომ გონების თვალით გაზომონ თავიანთი შანსები და მშვიდად მიაშურონ თავიანთ მიზანს. და თუ კიდევაც გვყვანან ასეთები, ისინი მაინც ძალზე ცოტანი არიან.

სამაგიეროდ, ჩვენ გვყვანან უამრავი შესანიშნავი და კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებსაც ალალი და წრფელი გულით სურთ სამშობლოსათვის ყოველგვარი სიკეთე, მაგრამ, რომელთაც არ შეუძლიათ ამის გამო უარი თქვან ისეთ სიამოვნებაზეც კი, როგორიც არის პაპი-

როსის მოწევა ან ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა წვიმიანსა და ცივ ამინდში... ამათ გარდა, კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულებითაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უხარი, რომ საკუთარი ძალღონით და მეტ-ნაკლებად რიგიანი უწყინარი საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს. და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორ ტიპს, წეღან რომ დავხატე; სათნო აზიზ-მაზიზებს, ერთი მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს, მეორე მხრივ.

ახლა საკითხავი ისაა, როგორიღა უნდა იყოს ბრძოლა ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა ამ ორ ტიპს შორის? ყოველი მკითხველი, თუნდაც რომ იგი სრულებითაც არ იცნობდეს ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების მსვლელობას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, წმინდა გონებაპვრეტითი გზით მიპასუხებს ამ ჩემს კითხვაზე და მიპასუხებს, აი, რას:

„თავისთავად ცხადია, რომ თქვენი სათნო პოლიტიკოსები საქმეს ეკიდებიან უთუოდ ყოველგვარი მგზნებარებისა თუ გატაცების გარეშე — ყოვლად უსულგულოდ, თითქოსდა მხოლოდ თავიანთი სინიდისის გასაწმენდად; რაც შეეხება ცუდი მომზადების მქონე მოანგარეებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ უფრო ხელშესახები და მათთვის უაღრესად წამახალისებელი სტიმულის მქონე შეძენის იმპულსით, ეს ვაჟბატონები ან უნდა ფოკუსებს ახდენდნენ, ან უნდა თაღლითობდნენ და სხვა მისთანებს სჩადიოდნენ, რათა თავიანთ მოწინააღმდეგე აღფრთოვანებულ პოლიტიკოსებზე გამარჯვება იზეიმონ ხოლმე. ამიტომ ყოველგვარი ბრძოლა ჩვენს ზეზეულად მკვდარ აზიზ-მაზიზებსა და იმ ანგარებიან ვაჟბატონებს შორის, რომლებიც არავითარ საშუალებებს არ თაკილობენ, შეუძლებელია არ დამთავრდეს ამ უკანასკნელთა გამარჯვებით პირველებზე“.

აი, რას გვიპასუხებს ყოველი გონიერი მკითხველი, თუნდაც რომ არ იცნობდეს ჩვენი საქმეების მსვლელობას. ახლა შეადარეთ ეს პასუხი ჩვენი ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ, ამ შემთხვევაში, საქმეზე თეორიული შეხედულებანი სავსებით მართლდება და მტკიცდება პრაქტიკით. სხვაგვარად არც შეიძლება რომ იყოს.

მართლაც, სხვანაირად როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები, როდესაც ჩვენს მოღვაწეთა უმრავლესობას, ე. ი. იმათ, ვინც პირადი მიზნებისათვის კი არ იღწვის, არამედ სურს სარგებ-

ლობა მოუტანოს მშობელ მხარეს, იოტისოდენადაც არ გააჩნიათ ის აუცილებელი ძალა, რომელსაც მგზნებარება ეწოდება?

მართალია, უმთავრესად ეს ადამიანები თავიანთ თავს არ სვრიან, არც რაიმე უმსგავსოებას სჩადიან და არც თავიანთ თანამედროვეების ექსპლოატაციას ეწევიან, ერთი სიტყვით, პირადად წმინდა აზიზ-მაზიზებად რჩებიან. მაგრამ განა ეს არის დამსახურება, მით უმეტეს სერიოზული დამსახურება? რა ხეირია იმისგან, რომ ისინი ყოყოჩობენ თავიანთი უმანკოებით და იკვეხნიან თავიანთ, ყოველ შემთხვევაში, უვნებლობას? აკი დიდი ხანია ცნობილია, რომ:

«Страшись их участь разделить,
Богатых словом, делом бедных.
И не иди во стан безвредных,
Когда полезным можешь быть...»

არსებითად, ისინი უკვე იმით არიან ხოლმე მავნენი, რომ არას გვარგიან: თავიანთი ურგები არსებობით ასპარეზს უხსნიან და ძალას ჰგვრიან მეორე კატეგორიის პირთ, რომლებზეც საზოგადოება ხშირად მხოლოდ იმიტომ შეაჩერებს ხოლმე თავის არჩევანს, რომ ვერ ხედავს თავის წინაშე უფრო შესაფერისს, უფრო სასარგებლო მოღვაწეებს...

მეორე კატეგორიის პირნი ძლიერნი არიან, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მათს მოწინააღმდეგეებს, პატიოსანი მიმართულების ბანაკიდან, არც პრაქტიკული მომზადება გააჩნიათ და არც სათანადო ენერგია; მეორეც იმით, რომ ისინი ბინძურ საშუალებებს არ ერიდებიან, არ სცხვენიათ ისარგებლონ ფართო მასების ცდომილებით, და უტიფრად ხელს უწყობენ ამ მასების სუსტი მხარეების, ვნებებისა თუ შეცდომების გაღრმავებას.

ჩვენი განაპირა მხარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ უკანასკნელ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და ჩვენი განვითარების ამოცანათა განსამარტავად, ალბათ, სასარგებლო იქნება რამდენიმე სიტყვა ითქვას საქმის ამ მხარეზე.

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ჩვენი ადგილობრივი საზოგადოება განსაკუთრებული განვითარებით არ გამოირჩევა და რომ მასში, წარსული ისტორიული ცხოვრების თავისებურებათა გამო, ჯერ კიდევ ღრმა ფესვი აქვს გადგმული უამრავ ცრურწმენას, ცთომილებას, წიხასწარ აკვიატებულ და უკვე დრომოჭმულ იდეებსა თუ სხვა მისთახებს. ყოველი ცოტაოდენ მაინც განათლებული ადამიანისათვის იმაზე იოლი რაღაა, რომ დიდი პოპულარობა მოიხვეჭოს ამგვარ საზოგადოებაში და მისი მისანი, კერპი ან ფიქტიური ხელმძღვანელი გახდეს. საამისოდ საკმარისია თუნდაც ის, რომ ყალბი მეცნიერული და ცივილიზებული გამართლება გამოუძებნო ამ მასების მისწრაფების მოტივსა თუ ცთო-

მილებას და მათი გამომხატველი თუ მესიტყვე გახდე. მასების ქვეგრძნობებისა და ცთომილებათა ასეთი წაქეზება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ცოტაოდენ მაინც გაქნილი და პატივმოყვარე საქმოსნისათვის, სამაგიეროდ არაჩვეულებრივად დიდ პატივისცემას უხვევს მას. მაგრამ რაოდენ სასირცხოა „განათლებული კაცისათვის“ რომლის ვალია მეცნიერებისა და ლიტერატურის გონივრული ცნებების ცხოვრებაში დანერგვა, იყოს ამ გონივრული ცნებებისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებებისა და მისწრაფებების გამომხატველი და მეხოტბე; და რა განუზომლად დიდი ზიანი მოაქვს მას ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისათვის, როდესაც „განათლებულობის“ ავტორიტეტი მხარს უჭერს საზოგადოების მასების ჩამორჩენილ მისწრაფებებსა და ცრურწმენებს! ახალი ცხოვრება, მისი შესანიშნავი თვისებებით, შემოდის ჩვენში ისევე, როგორც მთელი დედამიწის ყველა ხალხის ცხოვრებაში, იმ საშინელი „კონფუზის“ მეშვეობით, რომელიც დაეუფლება ხოლმე მასების გონებას უშუალოდ იმის ბუნდოვანი შეგნებით, რომ ცხოვრების ადრინდელი ფორმები რატომღაც ჩამორჩნენ ახალ მოთხოვნებს და უსაფუძვლონი აღმოჩნდნენ. ამასთან, სწორედ ეს ბუნდოვანი შეგნებაა, რომელიც ხელს უშლის გამოდევნოს ამ მასების გონებიდან უკვე დამკვიდრებული ჩვეულები და ცხოვრების ძველი ფორმებისადმი სიყვარული. სანამ ეს შეგნება ძლიერია, საზოგადოება ამ „კონფუზის“ ზედადაწოლას განიცდის და, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მზად არის მიიღოს ყველა სხვა ფორმა, უაღრესად სრულქმნილიც კი, სავსებით დარწმუნებული, რომ ამას მოითხოვს „თანამედროვე მეცნიერება“, რომლის შესახებაც მას, კაცმა რომ თქვას, არავითარი წარმოდგენა არ აქვს, გარდა იმისა, რომ იგი სუფევს სადღაც ძლიერ შორს; ჩვენთვის — კავკასიელებისათვის — პეტერბურგში, რუსებისათვის — პარიზში, ფრანგებისათვის — გერმანიაში და ა. შ. მაგრამ ინსტიტუტები ხომ ცოცხალია; მართალია კონფუზირებული და ალაგმულია, მართალია, მათ ეშინიათ გამომქღავნების, მაგრამ ინსტიტუტები მაინც არსებობენ. ამიტომ საკმარისია, რომ განათლებული კაცი მიუახლოვდეს ასე „კონფუზირებულ“ საზოგადოებას და ყურში ჩასჩურჩულოს: „კი მაგრამ ესენი ხომ სულ ცრუობენ, მეცნიერების ადგილსამყოფელი სულაც არ არის პეტერბურგში; ამასთან, იგი სულაც არ მოითხოვს თქვენგან, მემამულეებო, ან თქვენგან, კაპიტალისტებო, რომ ადამიანურად მოექცეთ თქვენს მიწისმომქმედთ ან თქვენს ბეშებს. ამას მხოლოდ რამდენიმე სწავლული მოითხოვს, თორემ ამათ შორის ბევრი სხვა მოღვაწე სავსებით ეწინააღმდეგება ამ ამბავს. ამ სიტყვებთან ერთად მთელი კონფუზირების მომხიბვლელობაც ჰქრება, როგორც აჩრდილი. საზოგადოება იღვიძებს, ჩამოიშორებს ხოლმე კონფუზირების უღელს და კვლავ იწყება მისი დროებით ალაგმული

შებატონური თუ შედუქნური ინსტინქტების აღვირახსნილობა. საზოგადოება სულაც არ თანხმდება, რომ „გაიღოს აუცილებელი დათმობები“ და თავგამოდებით ებღაუჭება თავის უფლებებს, ინტერესებსა თუ პრივილეგიებს.

მე არ მსურს მწარე სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ მერწმუნეთ, რომ სერიოზულად და (ყოველგვარი მაღალფარდოვანი ფრაზების გარეშე) ღრმად მწამს, რომ, ძველი განსწავლული ადამიანების მხრივ, უდიდეს დანაშაულს წარმოადგენს ის, რომ საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგ კვერი დაუკრას საზოგადოების განუვითარებელი ფენების ამგვარ ცთომილებას. აქ მნიშვნელოვანია არა თვით ის ფაქტი, რომ კვერს უკრავენ ცთომილებას, არამედ კვერის დაკვრის შორეული შედეგები, რაც მდგომარეობს ამ ცთომილებათა განმტკიცებასა და გამრავლებაში, მათს, ასე ვთქვათ, დაკანონებაში მასების თვალში განათლებულობისა და მეცნიერების ავტორიტეტით, რომელიც, ვითომდა, ყოველივე ამას ადასტურებს...

მერედა ჩვენში ხომ ჩვეულებრივ ამოტივტივდება ხოლმე უამრავი მოღვაწე, რომელთა ერთადერთი სპეციალობა მხოლოდ ის არის, რომ ამგვარად კვერი დაუკრან ჩვენი უმწიფარი საზოგადოების ფართო მასების ეგოისტურსა და ჩამორჩენილ ინსტინქტებს. ამგვარი სისტემის პირველ რაინდთა წარმატებამ შეაცდინა და თან გაიყოლა „განათლებული ახალგაზრდობის“ მთელი მასა; დღითი დღე სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება ჩვენში იმ პირთა რაოდენობა, ვინც თავის კარიერისტულ იმედებს ამყარებს არა თავაუღებლივ მუშაობაზე, არა სარგებლობაზე, რომელიც მათ თან მოაქვთ, არამედ სწრაფი და იოლი აღზევების საშუალებებზე, განუვითარებელი მასების უხეში ინსტინქტების წაქეზებით!..

თუ ყოველივე ზემოთაღნიშნულს გავითვალისწინებთ და, ამასთან, მხედველობის არედან არ გამოვტოვებთ რიცხობრივად იმ უმნიშვნელო ჯგუფს ადამიანებისას, რომლებიც საქმეს ჯეროვნად ეკიდებიან, მაშინ გასაგები გახდება, რომ ჩვენი მხარის საზოგადოებრივი ცხოვრება წინ ვერ წავა მწყობრი და სერიოზული ნაბიჯებით. ჩვენ აქ ვხედავთ არა დაპირისპირებულ იდეათა და მიმართულებათა ბრძოლას, არამედ პირადი აპეტიტების და მისწრაფებების დაპირისპირებულობას; ამიტომაცაა, რომ ბრძოლის მთავარი ინტერესი, სამწუხაროდ, კონცენტრირებულია არა იდეურ განხეთქილებებზე, არამედ ერთი და იმავე ყაიდის მეანგარეებზე. ვის შეხვდება საიმედო ხელფასი, ვინ დაიჭერს მნიშვნელოვან და საპატიო ადგილს — ანგარებიანი ივანე, თუ მექრთამე პეტრე? აი, ჯერჯერობით, საკითხავი რა არის! თუ კიდევაც გამოდიან ასპარეზზე უფრო წმინდა მისწრაფების მქონე ადამიანები, ისინი მხო-

ლოდ იმით იფარგლებიან, რომ თავიანთ აზრს გამოთქვამენ და დიდი კმაყოფილებით დასხდებიან ხოლმე, თითქოს ამით საესებით იხსნეს სამშობლო განსაცდელისაგან... ჯერ კიდევ ბევრმა დრომ უნდა გახვლოს, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ჩვენს განაპირა მხარეშიც მიმართულებათა და პროგრამათა შეგნებული იდეური ბრძოლის ხასიათს მიიღებს, და ვიდრე ჩვენი საზოგადო მოღვაწენი ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა თავიანთი ცხვირების სიგრძით, არა ტანსაცმლის შეკერილობით, არა მუნდირზე გამოყვანილი ოქრომკედით, არა რწმენითა თუ ენით, არამედ მისწრაფებებით, მიზნებითა და განზრახვებით...

„ჯერ კიდევ ბევრმა დრომ უნდა განვლოს"-მეთქი ვამბობ გახსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა შორის ყველაზე პატიოსანი და საუკეთესონიც კი, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ-ჯერობით სრულებითაც არაფერს არ აკეთებენ საიმისოდ, რომ ერთი ნაბიჯით მაინც მოგვიახლოვონ უკეთეს დროთა სუფევა...

რაკი, ამრიგად, გამოვთქვი ჩემი ზოგადი მოსაზრებანი 1879 წლის მანძილზე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ამბების ჯეროვნად შესაფასებლად, ახლა შემიძლია გადავიდე ამ ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებისა და ამბების ჩამოთვლაზეც.

—2—

გადავიდეთ 1879 წლის საზოგადოებრივი ცხოვრების დაწვრილებით განხილვაზე და, უწინარეს ყოვლისა, შევჩერდეთ თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის პირადი შემადგენლობის განახლების საკითხზე.

ცნობილია, რომ ჩვენი წარსული სათათბირო ხმოსანთა სახარბიელო შემადგენლობით სრულებითაც არ გამოირჩეოდა. აქ, უმთავრესად, მსხვილი მესაკუთრენი და კაპიტალისტები ისხდნენ. ინტელიგენცია კი, რომელიც ძალზე მცირერიცხოვანი იყო, ამ სათათბიროში საესებით უმნიშვნელო როლს ასრულებდა. ქალაქის მოსახლეობას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება სათათბიროს ამ შემადგენლობაზე. მას ბეჯითად აძლევდა ბანს პრესაც და, ამრიგად, ჩივილსა თუ საყვედურებს ქალაქის მმართველობის მიმართ დასასრული არ ჰქონდა. ამიტომ, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ახალი არჩევნები, რომელიც 1878 წ. შედგა, დამაკმაყოფილებელ შედეგებს მოგვცემდა და, წინანდელი უხმო ხმოსნების მაგივრად, ამომრჩევლები უფრო ენერგიულ, ახალგაზრდა და უანგარო მოღვაწეებს წარგზავნიდნენ სათათბიროში. არჩევნების პირველი შთაბეჭდილებაც სწორედ ასეთი იყო. პართლაც, მრავალი კაპიტალისტი და სახლის მეპატრონე არ მოხვდა ხმოსანთა შემადგენლობაში, ხოლო ახალგაზრდა მოღვაწეები, რომლე-

ბიც ცოტაოდენ მაინც ცნობილნი იყვნენ, არჩეულ იქნენ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი უმრავლესობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამავე საარჩევნო კამპანიის დროს გამოაშკარავდა კენჭისყრისადმი თვით ამომრჩეველთა, ერთიშეხედვით გაუგებარი, გულგრილობა. საქმე ის არის რომ, კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღია პირველი კატეგორიის ამომრჩეველთა ნახევარსაც კი, მეორე კატეგორიის — ერთ მეოთხედს, ხოლო მესამე კატეგორიის — მეოცედ ნაწილსაც კი.

ჩვენ დიდხანს არ შევჩერდებით ამ ბოროტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე, რომელიც უნდა ვეძიოთ თვით საარჩევნო კანონში, რომელიც ამომრჩევლებს ჰყოფს კატეგორიებად, აწესებს ცენზს და სავსებით დევნის მენარჩენეებს საზოგადობრივ საქმეებში ყოველგვარი მონაწილეობისაგან — თუმცა ამ საქმეების ცუდი წარმართვის მთელი სიმძიმე სწორედ მათ აწვებათ — და პირდაპირ გადავალთ ახალი სათათბიროს საქმიანობის მიმოხილვაზე, უწინარეს ყოვლისა, ქალაქის გამგეობის შემადგენლობის განახლების საკითხზე.

უწინდელ ქალაქისთავს, დ. ი. ყიფიანს, როგორც ჩვენ ეს თავის დროზე აღვნიშნეთ „ობზორში“ [3], სამწუხაროდ, წინანდელი სათათბიროს ხმოსნები განაწყენებულნი დარჩნენ, და ეს წყენა, მემკვიდრეობით, სათათბიროს ახალ შემადგენლობაზეც, ყოველ შემთხვევაში, მის ხმოსანთა უმრავლესობაზე გადმოვიდა. ასეთი „განაწყენების“ მიზეზი ხომ ცნობილია. ჩვენი პირადი აზრის თანახმად, ბ-ნი ყიფიანი სრულებითაც არ არის დამნაშავე იმ საქმეში, რომელიც საფუძვლად დაედვა ამ მტრობას. როცა ბ-ნმა ყიფიანმა წება არ მისცა ხმოსანს, რომ მშობლიურ ენაზე დაედვა ფიცი, ამით უფალი ქალაქისთავი თვითნებურად კი არ მოქმედებდა, არამედ იძულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მარტო მის მხრებს დააწვა. მიუხედავად ამისა, ბ-ნ ყიფიანის კანდიდატურას 1879 წ. დასაწყისში არავითარი შანსები აღარ ჰქონდა წარმატების მოსაპოვებლად და დიმიტრი ყიფიანმაც კერძო ცხოვრება არჩია...

საჭირო გახდა ვაკანტური ადგილის შევსება. ეს კი სრულებითაც არ იყო იოლი ამოცანა, მით უმეტეს, რომ, კანდიდატთა არაჩვეულებრივი სიუხვის მიუხედავად, მათ შორის არ იყო არც ერთი ისეთი პიროვნება, ვინც თავისი ამაგით უცილობლად ღირსი იქნებოდა, რომ უსიტყვოდ ყოფილიყო არჩეული. ახალგაზრდა მოღვაწეებმა გახიხილეს საკითხი სპეციალურ კომიტეტში და წამოაყენეს ნ. დ. ზუბალაშვილისა და თავად კ. ა. ბებუთოვის კანდიდატურები. მაგრამ იმ მიზეზთა გამო, რომელთა შესახებაც თავის დროზე უკვე დავწერეთ „ობზორში“, სახელდობრ, რომ თვით ეს ახალგაზრდები გაითიშნენ-თქო, ვერც ერთმა ამ კანდიდატთაგანმა ვერ შეაგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა. ამასობაში კი სათათბიროს „მარჯვენა მხარემ“ მიაღწია

ერთმანეთში შეთანხმებას და წამოაყენა ა. ს. ყორღანოვის კანდიდატურა, რომელიც აირჩიეს კიდევაც, რადგან მას ბევრმა ახალგაზრდა ხმოსანმაც დაუჭირა მხარი. ყველას ახსოვს ბ-ნ ნიკოლაძის მკვეთრი პროტესტი ამ არჩევანის წინააღმდეგ და თვით ა. ს. ყორღანოვის განცხადება, რომ უეცარი ავადმყოფობა ხელს მიშლის დავიკავო ქალაქისთავის თანამდებობაო. ამ განცხადებით თბილისში კვლავ დაიწყო არჩევნების ეპოქა... დიდი ხნის ძიებისა თუ შეხლა-შემოხლის შემდეგ, რომლის დროსაც „მარჯვენა მხარე" ამაოდ ეძებდა თავის კანდიდატს, ხოლო „მარცხენა მხარე" ვერავისზე ვერ შეთანხმებულიყო, ბოლოს, როგორც იქნა, აირჩიეს აწინდელი ქალაქისთავი — ა. ს. მატინოვი. მართალია ახალგაზრდებს იგი თავად ბებუთოვზე ნაკლებად უყვარდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მოწინააღმდეგე მხარესაც ნაკლებ ეჯავრებოდა, რასაც ვერ ვიტყვით ბებუთოვის კანდიდატურაზე... ყოველ შემთხვევაში, ამ არჩევანმა ორივე მეტოქე მხარის ხმოსანთა უმრავლესობა დააკმაყოფილა. ახალგაზრდა თაობას მოსწონდა, რომ ქალაქისთავის თანამდებობა წილად ხვდა მათ თანატოლს, რომელსაც უნივერსიტეტის განათლება მაინც ჰქონდა და, რომელსაც ამასთან, შეუბღალავი წარსული გააჩნდა. გარდა ამისა, ახალი ქალაქისთავი შრომისმოყვარეობითა და გარჯილობით გამოირჩეოდა. მოხუცები კი იმით დარჩნენ კმაყოფილნი, რომ ქალაქისთავად გახდა არა მკვახე და შფოთისთავი თავადი ბებუთოვი, არამედ გაცილებით უფრო რბილი და ხათრიანი კაცი, რომელსაც უფრო ადვილად მიუდგებიან კაცნი დარბაისელნი, ძალაუფლებისა და კაპიტალის პატრონნი. აქედანვე ტყუილად როდი ემჩნევა ახალ ქალაქისთავს მოწიწება ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ... რაც არ უნდა იყოს, აქამდე, ე. ი. მთელი ერთი წლის განმავლობაში, არც ერთი და არც მეორე მხარე ჯერჯერობით არ ამჟღავნებს სინანულს და ნიშანდობლივია, რომ გამგეობა თავისი ახლანდელი შემადგენლობით, უფრო ხშირად სარგებლობს ხოლმე ინტელიგენტ ხმოსანთა უმრავლესობის მხარდაჭერით, ვიდრე მარჯვენა ფრთისა, რომელიც, პირიქით, არაერთგზის შეეცადა, რომ გამგეობას თავს დასხმოდა...

უკეთესი ხვედრისაკენ თანდათანობითი და შეუმჩნეველი მოძრაობის თვალსაზრისით სათათბიროს არჩევნების ასეთი დასასრული შეუძლებელია, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებლად არ აღიაროს კაცმა... მაგრამ აბსოლუტური თვალსაზრისით, ჩვენ აღმოვაჩენთ უამრავ თვისებას, რომელიც მოითხოვს, რომ დავგმოთ კიდევაც და გარდავქმნათ კიდევაც ამ არჩევნების შედეგები. ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ იმისაგან, რომ ქალაქის საქმეებს სერიოზულად და „ყარათიანად" გავუძღვეთ. აწინდელი გამგეობა, უეჭველია, პატიოსანი ადამიანებისაგან შედგება. ამაში დარწმუნებული ვართ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ თავი ვერ დააღწიეს კაბინეტურ, დოგმატურ, ბიუროკრატიულ [illegible]

ბას საგანთა და მოვლენათა შესახებ მსჯელობისას. ჯერ კიდევ უამრავ დაბრკოლებათა გადალახვაა საჭირო, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ, რომ ქალაქის საქმეები მეურნეობის გაუმჯობესების პრაქტიკულ ნიადაგზე დავაყენოთ, გავამარტივოთ საქმეთა მმართველობა, გავადიდოთ შემოსავალი და, მაშასადამე, საფუძველი იმ საზოგადოებრივად სასარგებლო დაწესებულებებისა, რომელთა გარეშეც ჩვენს დროში შეუძლებელია ერის განვითარება... სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენში, თბილისში, ჯერ არაფერი გაკეთებულა. არსებობს ვარაუდები, პროექტები, იმედები, მაგრამ საქმით ჯერ არაფერი განხორციელებულა... იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ახალდაწყებული წელიწადი, ამ მხრივ, გასულ წელზე შეუდარებლად უფრო ბედნიერი იქნება...

ის იყო მიწყნარდა მითქმა-მოთქმა, ჩვენს საზოგადოებაში საქალაქო არჩევნებით გამოწვეული, რომ 1879 წლის მარტის დამდეგს მოვიდა ამბავი ბ-ნ ბ. ლ. ღოღობერიძის უეცარი გარდაცვალების შესახებ. ყოველგვარი მოულოდნელობა, საერთოდ, ძალუმად მოქმედებს ხოლმე, ადამიანის შთაბეჭდილებასა თუ გრძნობაზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ყურადღება, გარდა ამისა, კიდევ უფრო იყო აგზნებული, ჯერ ერთი, თავგამოდებული ვაი-უშველებელით განსვენებული მოღვაწის „მემკვიდრეების“ მხრივ, რომელთაც სწადდათ ბ. ლ. ღოღობერიძის საფლავის გამოყენება თავიანთი აღზევების კვარცხლბეკად, რათა, რამენაირად, ვაკანტური ადგილი დაეკავებინათ და, მეორე მხრივ, ბ. ღოღობერიძის იმ გულუბრყვილო მოწინააღმდეგეების მხრივ, რომლებიც ოცნებობდნენ იმაზე, რომ განსვენებულის ქებადიდებით, მასთან ერთად, მის პარტიასაც დავასამარებთო. რაღა თქმა უნდა, რომ ორივე მხარის ასეთი საძაგელი ანგარებიანი ექსპლოატაცია მიცვალებულის უდროვო საფლავისა, გულაჩუყებული საზოგადოებისადმი ასეთი შემპარავი დამოკიდებულება, ნაკარნახები ამ საზოგადოების განწყობილების გამოსაყენებლად, ზიზღის მომგვრელია, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ უფრო დაწვრილებით შეეჩერდეთ ამ გარემოებაზე, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ ბ. ლ. ღოღობერიძეს თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, ამ სტრიქონების დამწერი დევნიდა, ვითარცა მიხეილის საადგილმამულო ბანკის მმართველს ქუთაისში. ეს გარემოება სრულებითაც ვერ წაგვართმევს უფლებას სათანადო მივუზღათ როგორც განსვენებულის კეთილ თვისებებს, ასევე იმ, ჩვენი რწმენით, მავნე როლს, რომელსაც ბ. ღოღობერიძე თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ასრულებდა. ჩვენ მასში ვდევნიდით არა მის პიროვნებას, ჩვენ სრულებითაც არ ვცდილობდით მისი პიროვნების თავიდან მოშორებას, რომ, მის სიკვდილთან ერთად, რამდენადაც იგი პირადად ვეღარ გვიშლის

ხელს, ვაპატიოთ მის ხსოვნას საქმისათვის მიყენებული ვნება. განსვენებულის საფლავს შეუძლია შეარიგოს იგი მხოლოდ პირად მეტოქეებთან, რომლებისთვისაც ბ. ღოღობერიძე უკვე უვნებელია, მაგრამ არა მათთან, ვინც, მართალია, პირადად ამ ადამიანისადმი არავითარ მტრობას არ გრძნობს, მაგრამ ვისაც ყველა საფუძველი ჰქონდა, რომ უკმაყოფილო ყოფილიყო ბ-ნ ღოღობერიძის საზოგადოებრივი როლით. იგი გარდაიცვალა, მაგრამ იმ საქმეს, რომელსაც ბ. ღოღობერიძემ თავისი ხასიათის უმანკოებით დიდი ავტორიტეტი შეუქმნა, დღესაც თავისი მავნე და დამღუპველი ნაყოფი მოაქვს... ბ. ღოღობერიძე დასამარებულია, მაგრამ ის ხროვა, რომელსაც მან სისხლი და ხორცი შეასხა და ძალა შთაბერა, ჯერ კიდევ დიდხანს იბოგინებს ჩვენში მის სახელს ამოფარებული...

ბ. ლ. ღოღობერიძე იყო უდავოდ შესანიშნავი ადამიანი თავისი სხვა, მეტად ძვირფასი თვისებების გამო. უწინარეს ყოვლისა, ამ ჩვენს საუკუნეში, როდესაც ყველანი გამორჩენისაკენ მიისწრაფვიან, იგი არასოდეს სიმდიდრეს არ ეძიებდა და თანამდებობისაკენაც სხვებზე ნაკლებად მიისწრაფოდა. მას უყვარდა ახალგაზრდების ჭკუის დარიგება და, ვითარცა მასწავლებელი, ასწრებდა და ახერხებდა კიდევაც, რომ სასარგებლო ყოფილიყო მათთვის. არაჩვეულებრივი მეხსიერების პატრონი და სწავლაშიც უაღრესად ბეჯითი, იგი ისეთი ნაკითხი კაცი იყო, როგორიც ჩვენში ძლიერ იშვიათად გვხვდება ხოლმე. ამიტომაც, სრულიად სამართლიანად შეიძლებოდა გვეწოდებინა მისთვის „მოსიარულე ენციკლოპედია". სამწუხაროდ, ყველა ამ იშვიათი თვისების მიუხედავად, ბ-ნ ღოღობერიძეს ჰქონდა ისეთი ნაკლოვანებანი, რომლებიც, ნაწილობრივ, მისი ჩამოყალიბებისდროინდელმა ეპოქამ, ნაწილობრივ მისი მოღვაწეობის გარემომ დაღად დაასვა, ხოლო, ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, მის ბუნებასაც ახასიათებდა. დავიწყოთ ამ უკანასკნელით. ბ-ნ ღოღობერიძეს სრულებითაც არ გააჩნდა განმაზოგადებელი ფილოსოფიური გონება. იმ ამონაწერებისა და ციტატების გროვიდან, რომლებიც განსვენებულს უხვად ჰქონდა მეხსიერებაში შემონახული, მას თითქმის არასოდეს არ შეეძლო დამოუკიდებლად რაიმე დასკვნის გამოტანა ან განზოგადება. ყოველი ცხოვრებისეული მოვლენის შესახებ მას შეეძლო ყველა ქვეყნისა და ხალხის ისტორიიდან ასობით მაგალითი მოეყვანა, შეეტყობინებინა თქვენთვის ყველა მწერლისა თუ მეცნიერის აზრი, მაგრამ მას კი ვერ გეტყოდათ გადაწყვეტით, პირადად თვითონ ვისკენ იხრებოდა თავისი შეხედულებით. განსაკუთრებით არ ემარჯვებოდა მას მთელი ამ თავისი ცოდნის საარქივო ნაწილის შეფარდება თანამედროვე ცხოვრების ვითარებასთან და აქედან რაიმე დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ რაზე უნდა შეაჩეროს კაცმა თავისი არჩევანი. მეორე ნაკლოვანება, რომე-

ლიც, აგრეთვე, დამახასიათებელი იყო განსვენებულისათვის, მდგომარეობდა იმაში, რომ ბ. ღოღობერიძე იყო უაღრესად გაუბედავი, სუსტი ნებისყოფის და საკუთარ ინიციატივას მოკლებული ადამიანი, რომელიც მზად იყო სხვის გავლენას დამორჩილებოდა.

გარემოს მიერ გამომუშავებულ ნაკლოვანებათა შორის უნდა აღვნიშნოთ, უმთავრესად, უკიდურესობამდე მიღწეული სიფრთხილის გრძნობა... განსვენებულს ყველაფრისა ეშინოდა, ყველაფერი გარდაუვალი მეხის მიზეზად მიაჩნდა და ამ მეხის გავარდნის მუდმივ მოლოდინში მყოფ ბ. ღოღობერიძეს თითის განძრევისაც კი ეშინოდა. თავისი მოღვაწეობის დროს მან მხოლოდ იმიტომ ვერსად ვერ შეძლო თავისი გეგმების შესრულება, რომ სულ ამ მოჩვენებითი „მეხის გავარდნის“ შიშის ზარი სცემდა. ჩვენ გვახსოვს, რაოდენ აქტიურად ოცნებობდა იგი იმ დროზე, როდესაც ადგილობრივ პედაგოგიურ სამყაროში გაიმარჯვებს საღი აზრი მშობლიური ენის როლის შესახებ ბავშვთა სწავლების საქმეში. ხოლო, როცა მოხდა ისე, რომ ბ. ღოღობერიძემ, მართლაც, მიიღო თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის პოსტი, რომელიც, ამ მხრივ, დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობას ანიჭებდა მას, ჩვენმა სანაქებო მოღვაწემ არც კი მოინდომა, რომ, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, განეხორციელებინა თავისი სანუკვარი რწმენა. სამაგიეროდ, მომდევნო დირექტორმა, ბ-მა სტრელეცკიმ, ერთბაშად და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოახდინა ეს რეფორმა და, ამასთან, არამცთუ არსად მეხი არ გავარდნილა, არამედ უბრალოდ ქარსაც არ დაუბერავს... ჩვენ გაკვრით ვეხებით საზოგადო მოღვაწის ამ თვისებას, მაგრამ მკითხველი უთუოდ გაიგებს ჩვენს აზრს....

ამას მიუმატეთ კიდევ ნაკლოვანება, გამომუშავებული იმ ეპოქით, რომელშიც ბ. ღოღობერიძის ჩამოყალიბება ხდებოდა, სახელდობრ, მისი რწმენა, რომ საჭიროა არა მასებზე ვახდენდეთ ზეგავლენას და მათი შეგნების დონეს ვამაღლებდეთ, არამედ — გავლენიან პიროვნებებზე, მათი აზრებისა და სუსტი მხარეების მხარდაჭერითა და წაქეზებით. ახლა თქვენთვის, ალბათ, სავსებით ნათელია, თუ რა საზოგადოებრივი როლის შესრულება შეეძლო ასეთ მოღვაწეს! მართლაც, თავის ზრახვებში გაუბედავმა, გარშემო მყოფ პირთა გავლენის ამყოლმა, მეტად მფრთხალმა, მასების წინაშე უენომ, ხოლო გავლენიან პირთა წინაშე დამთმობმა და მათი მფარველობის მაძიებელმა, ბესარიონ ღოღობერიძემ ვერ შეძლო განეხორციელებინა ვერც ერთი თავისი სანუკვარი მისწრაფება, რომელთა შესახებაც ყოველთვის გრძნობითა და გულწრფელობით ლაპარაკობდა ხოლმე. პირიქით, მას ისეთი საქმეების შესრულება მოუხდა, რომლებიც მის საკუთარ მისწრაფებებს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ მოხდა, რომ ბესარიონ

ღოღობერიძის პიროვნება უფრო მარჯვე და გაცილებით უფრო ნაკლებად წმინდა ადამიანებმა გამოიყენეს შირმად, რომლის უკან მათ თავიანთი ბნელი საქმეები გაარიგეს...

დამეთანხმეთ, რომ რაც უფრო წმინდაა ის ადამიანი, რომელიც ამგვარ როლს ასრულებს, მით უფრო მეტად მავნებელია საზოგადოებისათვის, მსგავსად იმ ციხესიმაგრისა, რომელიც რაც უფრო მაღლა დგას და რაც უფრო მტკიცედ დგას, მით უფრო საშიშია ასაღებად, რადგან მით უფრო მეტი დარტყმა უნდა მიიტანო მის წინააღმდეგ... გულუბრყვილო ადამიანებს, რომლებიც ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ, არ ძალუძთ ამის გაგება: ისინი მხოლოდ ცალკეულ ფაქტებზე, მხოლოდ სუბიექტურ გრძნობებზე მსჯელობენ. ამიტომაც გვადანაშაულებდნენ ხოლმე ისინი სულ მუდამ იმის გამო, რომ ჩვენ გააფთრებით ვდეევნიდით ამ პატიოსან მოღვაწეს.

ბ. ლ. ღოღობერიძეზე არანაკლებ პატიოსანი და გაცილებით უფრო დიდი გაქანებისა და უფრო სერიოზული მოღვაწე იყო ნ. ი. პიროგოვი, მაგრამ იმის გამო, რომ მან თავისი მავნე მაგალითით დიდი ზიანი მიაყენა პედაგოგიურ სამყაროს, ეს გამოჩენილი მეცნიერი დამსახურებულად ჩააქვავა რუსული პრესის საუკეთესო ნაწილმა... ყველას ახსოვს ეს მარადდაუვიწყარი ფაქტი და ისიც, რომ რუსული ლიტერატურის ისტორიამაც დიდი ხანია გადაჭრით აღიარა, რომ პრესა სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო იმ დიდი პიროვნების მიმართ, რომელმაც თავისი ავტორიტეტით მხარი დაუჭირა და წააქეზა პედაგოგიურ სამყაროში მოკალათებული ანგარებიანი ხროვის ბინძური ინსტინქტები.

უფ. ღოღობერიძის სიკვდილი ძლიერ მარჯვედ გამოიყენეს თავიანთი ინტერესებისათვის მისმა მემკვიდრეებმა. მათ მკვდრეთით აღადგინეს იმერული დატირების უკვე მივიწყებული წეს-ჩვეულებანი და ჩვენც არაფერი გვეთქმის ამგვარი, სავსებით გასაგები, საქციელის წინააღმდეგ. მაგრამ ძლიერ გვეუცხოვა, როცა დავინახეთ, რომ ადგილობრივმა პრესამაც, რომელიც თითქოს სრულიად საწინააღმდეგო მიზნებისათვის იღწვოდა, როგორ მისცა ბანი განსვენებულის ამგვარ თვალთმაქცურსა და საარაკოდ გაზვიადებულ ქება-დიდებას. საქართველოს რომ ბედნიერება ჰქონოდა და ისეთი პიროვნება გასჩენოდა, რომელშიც შეერთებული იქნებოდა გარიბალდის მამაცობა და ვაშინგტონის ღირსებანი, ხოლო შემდეგ რომ ჩვენს სამშობლოს ისეთი უბედურება შემთხვეოდა, რომ მას ეს სახელოვანი გმირი დაჰკარგოდა, მაშინაც კი, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენებურ პუბლიცისტებს არ გადმოსცვივდებოდათ მეტი ცრემლი და არ აღმოხდებოდათ მეტი ქება-დიდება, მეტი ვაი-ვაში და მეტი დითირამბი, რითაც ადგილობრივმა პრესამ პირმოთნედ აღნიშნა ბ. ლ. ღოღობერიძის ხსოვნა...

სავალალოა იმ პრესის მდგომარეობა, რომელიც ამგვარ შეცდო-

მებს სჩადის, და კრავი სპილოდ ეჩვენება, მაგრამ კიდევ უფრო გაკაღონებს და გვანაღვლიანებს ის გარემოება, როცა გავიხსენებთ, რომ აღნიშნულმა პრესამ ყველა ეს გაზვიადება, თუ თვალთმაქცური ქებადიდება, იმიტომ გამოიყენა, რომ თავისი მიზნებისათვის მიეღწია მომავალ არჩევნებში. ამ გაუთავებელი ხოტბის შესხმის დროს მას წამოსცდა, რომ ბესარიონ ღოღობერიძესთან ერთად მისი ხროვაც დავასამარეთო. განსვენებულს კარგად ესმოდა თავისი მემკვიდრეების უვარგისობა და ერცხვინებოდა მათთან თანამშრომლობაო. ადგილობრივმა პრესამ თურმე იმისათვის გააზვიადა განსვენებული მოღვაწის ზნეობრივი სახე, რომ უფრო მკაფიოდ გამოეაშკარავებინა მისი მემკვიდრეების არარაობა... მაგრამ ხრიკიანობა, რაც საერთოდ ყველა შემთხვევაში შავნებელია, წარუხოცელ ლაქად მიეცხება ხოლმე პრესას და აღმოუფხვრელ ზიანს აყენებს მის გავლენას საზოგადოებაზე. ამიტომაც, ხალხმა, რომელიც სულაც არ იყო მომზადებული ამგვარი ხრიკების შესაფასებლად, აქედან ის ერთადერთი დასკვნა გამოიტანა, რომ ბ. ლ. ღოღობერიძე იყო „დიდი მოღვაწე". ამავე დროს, რაკი საზოგადოებას ისიც ახსოვდა, რა თქმა უნდა, რომ პრესა თავისი ზოგიერთი სხვა პუბლიცისტის სახით, ოდესღაც სდევნიდა და გმობდა ამ „დიდ მოღვაწეს", იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამჯერად მოსდგნენ და, რა თქმა უნდა, ასევე უსაფუძვლოდ ლანძღავენ ბ. ლ. ღოღობერიძის მემკვიდრეებსო. ამიტომაც მოხდა, რომ ჩვენებური პრესის ყველა შარშანდელი გალაშქრება ნ. ბ. ღოღობერიძის წინააღმდეგ, სრული წარმატებით იქნა მოგერიებული ამ უკანასკნელის მიერ, რომელიც ამბობდა: ხომ ხედავთ, ბატონო ამომჩრევლებო, ახლა როგორ ხოტბას ასხამს ჩვენებური პრესა ჩემს დაუვიწყარ ბიძაშვილს, მერედა რამდენს ლანძღავდა იგი ამ საწყალს სიცოცხლეში! სწორედ ასევე, სრულიად დაუმსახურებლად, მლანძღავენ მე, ხოლო მე რომ ხვალ მოვკვდე, იგივე პრესა მოითხოვს, რომ საქართველოს, და განსაკუთრებით იმერითის, ყველა გზაჯვარედინზე ძეგლი დამიდგანო.

გასაგებია, რომ ამით ყველაფერი ითქვა, სხვათა შორის ისიც, რომ ჩვენებური პრესის ზემოთ აღნიშნული ბრმა ხრიკები სწორედ იმდენადვე გამართლდა, როგორც გამართლდა მათი ავი წინასწარმეტყველება, რომ ბესარიონ ღოღობერიძესთან ერთად დაიმარხება მთელი მისი ხროვაც, რომელმაც, ვითომდა, მისი სახით ხელმძღვანელიც დაჰკარგა და დროშაც.

თუ რამდენად დასამარებული აღმოჩნდა ეს ხროვა, ამას გვიჩვენებს საარჩევნო ბრძოლის ამბები მიხეილის სახელობის საადგილმამულო ბანკში და ამ კენჭისყრის შედეგები. სწორედ ეს იქნება ჩვენი შემდეგი ნარკვევის თემა.

44. ქართული ლიტერატურა 1879 წელს

—1—

გასული წელი მაინცადამაინც იღბლიანი ვერ იყო ქართული მწერლობისათვის, რომელიც კარგა ხანია უკვე შეფერხების პერიოდს განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ შარშან გამოვიდა მრავალი წვრილი ბროშურა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე არსებობს სამი პერიოდული გამოცემა, ჩვენმა მწერლობამ ვერ გაგვახარა ვერც ერთი შესანიშნავი ნაწარმოებით, რომელსაც ის ღვთიური ნიჭი მაინც ექნებოდა მომადლებული, რომ დღეგრძელი იქნებოდა და ამქვეყნად გაჩენის მომენტშივე არ გამქრალიყო. მხოლოდ ორი-სამი წვრილი ნაწარმოები თუ იმსახურებს ამ მხრივ ყურადღებას და ისიც მხოლოდ როგორც თავდები იმისა, რომ ჩვენი მწერლობის ახლანდელი ვითარება მომავალში მაინც გაუმჯობესებას გვიქადის... მაგრამ ვიდრე „ობზორის“ [3] მკითხველს ამ ნაწარმოებებს გავაცნობდეთ, და ვიდრე წარმოვადგენდეთ სიას იმ ლიტერატურული ფენომენებისას, რომლებმაც, ასე ვთქვათ, გაიელვეს გასული წლის ქართულ მწერლობაში, ჩვენ უნდა ზოგადად მიმოვიხილოთ ის მიზეზები, რომლებმაც უკანასკნელი როლი როდი შეასრულეს იმ მხრივ, რომ ჩვენს მწერლობას ამჟამად წილად ხვდა ეგოდენ სავალალო ბედი.

განა საჭიროა სიტყვის გაგრძელება იმის თაობაზე, რომ ყოველ აღმოცენებად ლიტერატურაში, რომელიც კი იძულებულია მკითხველი მიიჩვიოს, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ხოლმე იმას, ახასიათებს თუ არა სიტყვაკაზმულ ნაწარმოებებს ფორმის მიმზიდველობა და ყველასათვის ხელმისაწვდომობა. როცა კითხვა ხალხში იმდენად მოიკიდებს ფეხს, რომ იგი, ფუჭი გართობის საგნად კი არა, საზოგადოების სერიოზულ და თითქმის ორგანულ მოთხოვნილებადაც კი იქცევა, მაშინ შესაძლოა ხალხმა კიდევაც წაიკითხოს ჩვენი ნაწერები, რაგინდ ძნელად გასაგებიც იყოს იგი თავისი ფორმით. ამ შემთხვევაში ნაწარმოების შინაარსი გააბათილებს ფორმის გარეგნულ ნაკლოვანებებს, მის დახვეწილობას, მაგრამ სულ სხვა საქმეა, როცა საზოგადოება ჯერ კითხვას არ არის შეჩვეული, როცა იგი ვერ გრძნობს ლიტერატურული ნაწარმოებისადმი დაუოკებელ სწრაფვას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მწერლობა, უწინარეს ყოვლისა, ვალდებულია თავისკენ

მიიზიდოს მკითხველი საზოგადოება მსუბუქი ფორმით, თითქმის ყველა თავისი ნაწარმოებისათვის ბელეტრისტული იერის მინიჭებით, საინტერესო შინაარსითა და ამ უკანასკნელის ცხოველი გადმოცემით. სამწუხაროდ, დღემდე ყველას ჯეროვნად როდი შეუგნია, რომ აღმოცენებადი მწერლობისათვის — ვგონებ უფრო მეტად, ვიდრე უკვე წელგამართული ლიტერატურისათვის — საინტერესო შინაარსი არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია. როდესაც კითხვისადმი სიყვარული სავსებით ჩამოყალიბებულია, მაშინ უამრავი რაოდენობით ჩნდებიან ხოლმე დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე პირნი, რომლებისთვისაც ფორმის სიმშვენიერეს, ვგონებ, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ღირსეულ შინაარსს. ამ პირთათვის (უმეტეს შემთხვევაში ისინი უხვად არიან ხოლმე დაჯილდოებულნი ყველა ამქვეყნიური სიკეთით) რაიმე უშინაარსო, მაგრამ ლაზათიანად გადმოცემული ლიტერატურული ნაწარმოები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და მიმზიდველია, ვიდრე ძნელად მოსანელებელი ან ტლანქი, მაგრამ სასარგებლო თხზულება. ეს ვაკბატონები, უეჭველია, ბ-ნ ტურგენევის „აჩრდილებს“ („Призраки“) უფრო მაღლა დააყენებენ, ვიდრე ბ-ნ პომიალოვსკის „მეშჩანინის ბედნიერებას“ („Мещанское счастье“), და ასე მხოლოდ იმიტომ მოიქცევიან, რომ პირველი ნაწარმოები თავისი სტილითაც, გადმოცემის მოხდენილობითაც და დახვეწილი ფორმითაც უფრო მომხიბვლელია, ვიდრე მეორე. ლიტერატურულ „ძარგალიტთა“ ასეთი შემფასებლები აღმოცენებად მწერლობას თითქმის არც კი გააჩნია. აქ ჩვენ, უფრო ხშირად, გვხვდებიან ხოლმე ისეთი პიროვნებანი, რომლებისთვისაც საქმის უტილიტარული მხარე, თუ იგი მათთვის გასაგები და ხელმისაწვდომია, უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე წმინდა ესთეტიკური.

იქამდე, ვიდრე მხედველობის გარეშე რჩება ეს უტილიტარული ხასიათი აღმოცენებადი მწერლობისა, ამ უკანასკნელს ყოველთვის შეუძლია თავისკენ მიიზიდოს მხოლოდ ათეული, დიდი-დიდი ასეული უზრუნველყოფილი და მოქეიფე დარდიმანდებისა, რომელთაც პრაქტიკულ ცხოვრებაში არც რაიმე საზრუნავი გააჩნიათ და არც არსებითი ინტერესები. ასეთ ვითარებაში მწერლობა იძულებულია დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ უმნიშვნელო უმცირესობის უქმი და უმიზნო გაძრთობის როლით, რომელიც გონებრივი პროგრესისათვისაც ბკვდარია და, განსაკუთრებით, საერთო სარგებლობის მომტანი ცხოველი მოღვაწეობისათვისაც საესებით ურგები. ხოლო იმისათვის, რომ მწერლობისადმი სიყვარული მოსახლეობის ფართო ფენებში აღვძრათ, საჭიროა, რომ აღმოცენებადმა ბეჭდვითმა სიტყვამ თავისი ნაწარმოებების შინაარსით ამ მასების არსებითი ინტერესები წამოჭრას ხოლმე, საჭიროა, რომ იგი, ფიცხლად ეხებოდეს ამ ფენებისათვის სასიცოცხლო საკი-

თხებს, უპასუხებდეს და ეხმაურებოდეს მათს ფიქრებს, დარდსა თუ სატკივარს, ერთი სიტყვით, სასარგებლო იყოს მათთვის, — გახდეს არა მარტო მათი გონებრივი განვითარების, არამედ მათი საზოგადოებრივი წინსვლის ორგანოდ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი შინაარსი აღმოცენებადი ლიტერატურისა აუცილებლად შეეხამება ყველასათვის ხელმისაწვდომ და მიმზიდველ ფორმას, მხოლოდ მაშინ-მეთქი, მოხდება მწერლობის პოპულარიზაცია. მხოლოდ მაშინ გვევლინება იგი არა როგორც სათბურის მცენარე, არა როგორც მიბაძვით წამოწყებული საქმე, არამედ — როგორც ჭეშმარიტად ეროვნული მწერლობა.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მიზნის წარმატებით განსახორციელებლად უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც ემსახურება ესა თუ ის მწერლობა, არსებობდეს ინტერესების, ამოცანების, დარდებისა თუ მისწრაფებების ერთობა. რა თქმა უნდა, არ არსებობს ხალხი, რაგინდ განუვითარებელიც იყოს იგი, რომ არ ჰქონდეს დარდი თუ საზრუნავი, იმედი თუ მისწრაფება; მაგრამ განა ყოველთვის და ყველას შეუძლია ალღო აუღოს ამ მისწრაფებათა ერთობას, განაზოგადოს ანდა ცალკეული ფაქტების და მოვლენების სინთეზი მოახდინოს... მხოლოდ იმ პერიოდებში, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია გადატრიალებებით და ახალი წესების დამყარებით, ეს ერთობა ყველას თვალში ეცემა, ყველასათვის გასაგები ხდება გაბატონებული ჭირ-ვარამი და ხელშესახები — საყოველთაო მისწრაფებათა და აზრთა უპირატესი მიმართულება. ასეთ მომენტებში, რომლებიც ფრიად იშვიათია ხოლმე ხალხთა ცხოვრებაში, მწერლობა უაღრესად ადვილად მიაგნებს ხოლმე ხალხის აზრის ცოცხალ სიმს, ადვილად ესაუბრება მას, ხდება ხალხის პირუთვნელ მესაიდუმლედ და მეგობრადაც კი. ამიტომ გასაგებია, რომ ასეთ წლებში ყოველგვარი მწერლობა, ერთბაშად და კალმის ერთი მოსმით, უაღრესად დიდ წარმატებებს აღწევს ხოლმე ერთი წლის მანძილზეც კი — უფრო დიდს, ვიდრე სხვა დროს იგი მიაღწევდა, ვთქვათ, მთელი ათწლეულის განმავლობაში. ასეთ მომენტებში ყოველი ადამიანი უნებლიეთ მოსწყდება ხოლმე თავის ყოველდღიურ საქმეებს. იგი უფრო მეტ ინტერესს იჩენს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, საერთოდ ყოველივე იმისადმი, რაც ქვეყნიერებაზე ხდება და რაც სხვა დროს, ე. ი. ჩვეულებრივ ეპოქაში, სხვათა შორის, არც კი აღელვებდა ხოლმე.

ქართულ მწერლობას ბედმა გაუღიმა და მან ორგზის — ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების დამდეგსა თუ დამლევს — მიაგნო ასეთ სიმს. როდესაც ჩვენში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გლეხთა განთავისუფლების საკითხი აღიძრა და როდესაც ამის შესახებ მითქმა-მოთქმამ დააინტერესა და დამუხტა ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენა, სწორედ იმ დროს ჩვენმა მწერლობამ ალღო აუღო მთა-

ვარ სადღეისო ჭირვარამს და ფრიად გაბედულად, უაღრესად გონივრულად და პატიოსნად გამოეხმაურა მას. ის ინტერესი, რომელიც იმხანად ჩვენებურმა პრესამ ქართველ მოსახლეობაში გამოიწვია, ეგონებ ამ პრესის ახლანდელი განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენს. თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, რომლის უპირატესობა და ღირსება ისაა, რომ სამოციანი წლების დამდეგს მან ეგოდენ გონივრული მიმართულებით წარმართა ეს საქმე, იყო სწორედ ის ადამიანი, ვინც უაღრესად ესაჭიროებოდა ქართულ მწერლობას. მისი ნიჭი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელი ეპოქის მოთხოვნილებებს. თავადმა ჭავჭავაძემ, რომელიც აღზრდილი იყო ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების რუსული ლიტერატურის ნაწარმოებებზე, როდესაც ბატონყაცობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტი რუსი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა მთავარ იდეას წარმოადგენდა, შეძლო მტკიცედ ჩასდგომოდა საქართველოში მოძრაობას და ფრიად ხელშესახები სარგებლობა მოეტანა როგორც ქართული მწერლობისათვის, ასევე ჩვენი მხარის საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

უფრო გვიან, სამოციანი წლების დამლევისათვის, როდესაც ჩვენში შემოდიოდა სასამართლო რეფორმა, რომელიც ჩვენი სახალხო ცხოვრების ფრიად არსებითს მხარეებს შეეხო, და როდესაც საფრანგეთ-გერმანიის ომის[65] ქუხილმა ჩვენში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, ქართულმა მწერლობამ კვლავ შეძლო სანუკვარი სიმისათვის მიგნება და მასების ინტერესის გაღვივება... ქართული ლიტერატურის მაშინდელმა წარმომადგენლებმა, გიორგი წერეთელმა და თავადმა აკაკი წერეთელმა, რიგი გაბედული და საქმიანი ნაწარმოებით, შეძლეს ჩვენი ცხოვრების მანამდე ხელშეუხებელი საკითხების წამოჭრა, ხოლო გულისხმიერმა ქართველმა საზოგადოებამ იმხანად კიდევ უფრო დიდი ხალისი და მონდომება გამოამჟღავნა თავისი მწერლობისადმი, ვიდრე თვით სამოციანი წლების დამდეგს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მწერლობა გამდიდრდა და შეივსო უამრავი ნაწარმოებით, ნარკვევითა თუ სტატიით, რომლებიც ლიტერატურული თვალსაზრისით გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე წინა პერიოდის ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი. ამ თხზულებათა წარმატება, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთ სხვა ლიტერატურულ ნაშრომს არ ჰქონია, ყველაზე უფრო დამაჯერებლად გვიმტკიცებს, რომ ქართველი საზოგადოება დიაღაც წაიკითხავს, ოღონდ კი ექნეს რაიმე წასაკითხი...

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ ხომ სავსებით გაუგებარია, თუ რატომ ვერ შეძლო ქართულმა პერიოდულმა ლიტერატურამ ამგვარი მომენტის გამოყენება მესამედ, როცა მთელი ქართველი საზოგადოება უაღრესად აღტკინებული იყო ომის მოლოდინითა და თვით 1877 წლის

ომით? ეს ომი [51] ხომ ქართველი ხალხის უაღრესად არსებით ინტერესებს შეეხებოდა, საქართველოს საზღვრებზე მიმდინარეობდა და საქართველოს მემკვიდრეობითი თუ ისტორიული მტრის წინააღმდეგ წარმოებდა. ეს ომი ჩვენს ხალხს მოულოდნელობებითაც ემუქრებოდა და, ამასთანავე, უეჭველ პოლიტიკურ სარგებლობასაც უქადდა...

არ დარჩენილა ჩვენში არც ერთი კაცი, როგორი განვითარების, წოდებისა თუ მდგომარეობისაც არ უნდა ყოფილიყოს, რომ თვალყური არ ედევნებინა ტრაგიკული მომენტებით აღსავსე ამ ომის ყველა პერიპეტიისა თუ შემთხვევითობისათვის. სოფელსი თუ ქალაქში, ქუჩასა თუ გზაში ადამიანები ერთმანეთს აჩერებდნენ ხოლმე ლაშქრული ამბის გასაგებად; გულისფანცქალით მოელოდნენ ხოლმე ისინი ახალ ცნობებს, ამოწმებდნენ დარხეულ ხმებს, თუ მსჯელობებს. ნაგლეჯებად ქცეული გაზეთის ფურცლები ხელიდან ხელში გადადიოდა, საყოველთაო და ნაირნაირ კომენტარებს იწვევდა, ხოლო წამკითხველის ირგვლივ მიტინგები იმართებოდა ხოლმე... დიდი გასავალი ჰქონდათ ისეთ გაზეთებსაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ დროს ქრთამითაც კი ვერ იზიდავდნენ მკითხველებს. ადამიანები, რომლებმაც ორი-სამი სიტყვაც კი არ იცოდნენ რუსულად, ყურადღებით უსმენდნენ რუსული გაზეთების ხმამაღალ კითხვას და უცნობებს თხოვდნენ, გვითარგმნეთ, რაც ეს-ეს არის წაგვიკითხესო. და აი სწორედ ასეთ დროს, როდესაც მთელი ქართველი საზოგადოება და მთელი ქართველი ხალხი ასე დაძაბულად ადევნებდა თვალყურს ომის მსვლელობას, ქართულმა მწერლობამ ვერც ის სანუკვარი სიმი ააჟღერა, ვერც მკითხველი ძიიჩვია და ვერც თავისი საზოგადოებრივი წრე გააფართოვა. „ალბათობის თეორიის თანახმად“ ქართულ გამოცემათა ხელისმომწერლებისა და მკითხველების რაოდენობა ამ ხნის მანძილზე, თუ ხუთჯერ არა, ოთხჯერ მაინც უნდა გაზრდილიყო. მართალია, ამ დროს ქართულ ენაზე გამოდიოდა ორი პოლიტიკური გაზეთი — „დროება“ [2] და „ივერია“ [22], მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო პოპულარობის მოხვეჭა, თავისი საზოგადოების დაკმაყოფილება და მყარად გავრცელება ჩვენს მხარეში: ომის შემდეგაც, ისევე როგორც ომამდე, ორივე ეს გამოცემა, კვლავ თავის ადრინდელ, ასე ვთქვათ, საზოგადოებისაგან „იზოლირებულ“ მდგომარეობაში იმყოფება. ყველა იმათთვის კი, ვისთვისაც ძვირფასია მოქალაქეობრივი შეხედულებების განვითარება ჩვენში და ჰუმანური ცნებების გავრცელება ხალხთა მასებში, ეს მოვლენა არ შეიძლება ყოველმხრივ სავალალო არ იყოს...

ჩემი აზრით, ამ საკვლევით გაუგებარი უცნაურობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქართული მწერლობის ახლანდელმა წარმომადგენლებმა, ბ-ნებმა ჭავჭავაძემ და მესხმა უკვე თავიანთი დრო მოჭამეს. ისინი სრულებითაც აღარ დგანან ქართველი საზოგადოების თანამედროვე საჭი-

როებათა თუ მოთხოვნილებათა დონეზე. ამის საუკეთესო საბუთს ის წარმოადგენს ჩემთვის, რომ თავად ჭავჭავაძის გამოცემაში უხვად მოიპოვება სტატიები და ბელეტრისტული ნაწარმოებები, რომლებიც დღემდე ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძვიან და ჩვენი ცხოვრების მარტოოდენ საარქივო საკითხებს ეხებიან, ხოლო ბ-ნ მესხის გამოცემაში კი სულ მუდამ ერთი და იმავე საკითხების გადაღეჭვას ვხედავთ, რომლებიც ქართულმა მწერლობამ ჯერ კიდევ ათი წლის წინათ გასინჯა და გადაწყვიტა კიდევაც. მიმდინარე მომენტის არსებითი საკითხები კი, სამწუხაროდ, ძლიერ იშვიათად განიხილება მათს გამოცემებში, ხოლო თუ კიდევაც განიხილება ხოლმე, ეს მაინც ხდება უვიც, არაკომპეტენტურ პირთაგან და, ამასთან, სხვათა სიტყვის გამეორებას წარმოადგენს: მკითხველი აშკარად ხედავს, რომ თანადროული საკითხები სრულებითაც არ არის ღვიძლი ამ ავტორებისათვის, სრულებითაც არ შეადგენს მათს სისხლსა და ხორცს, მათი განცდისა და წვის ნაყოფს... ქართულ ბეჭდვითს სიტყვას, რომელიც სულ მუდამ გვერდს უხვევს ცხოვრებისეულ საკითხებს, ანდა უთავბოლოდ განიხილავს ხოლმე მათ, არ ძალუძს გავლენა მოახდინოს თავისი საზოგადოების გონებაზე; უკანასკნელი უაღრესად მძაფრად გრძნობს თავისი „ხელმძღვანელების“ უნიათობას.

ხელმძღვანელ მოღვაწეთა ასეთ ჩამორჩენილობას შეუძლებელია თავისთავადაც არ მოეხდინა დამღუპველი გავლენა ქართული ლიტერატურის მნიშვნელობასა და პრესტიჟზე. მაგრამ არის კიდევ მეორე გარემოება, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ამ მდგომარეობის სივალალეს. ამ გარემოების უაღრესად დიდი მნიშვნელობა გვაიძულებს უფრო დაწვრილებით შევეხოთ მას.

საქმე ის არის, რომ ახლანდელი ხელმძღვანელები ქართული ბეჭდვითი სიტყვისა, და განსაკუთრებით თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, უნებლიეთ დიდ შეცდომას სჩადიან, როდესაც ნებაყოფლობით გზას იკვეთენ თავიანთი გამოცემების გაფართოებისაკენ. მათ რატომღაც წარმოიდგინეს, რომ თავიანთი მოღვაწეობის მთავარ მიზანს — ქართველ საზოგადოებაში მწერლობისადმი სიყვარულისა და პატივისცემის დანერგვას — ისინი მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, როდესაც ეს მწერლობა აღარ ხელყოფს ხოლმე მკითხველთა ცოტად თუ ბევრად გავლენიან და ძრავალრიცხოვან ჯგუფს, ამ უკანასკნელთა პრივილეგიებისა თუ ინტერესების შეხებით. მაგალითად, თავადაზნაურობა მკითხველი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ კონტინგენტს შეადგენს, მაგრამ მისი ეკონომიური ინტერესები უპირისპირდება გლეხობისას. ამიტომ, ზემოხსენებულ ლიტერატორთა აზრით, ვითომდა მიზანშეწონილი არ არის ამ ინტერესების ხსენება, საერთოდ მიწათმფლობელთა თუ მიწათმოქმედთა რთული და მძიმე ეკონომიურ ურთიერთობათა საკითხების შეხება.

წინააღმდეგ შემთხვევაში თავადაზნაურობა ზურგს შეაქცევს ქართულ ლიტერატურასაც და ქართულად კითხვასაც. როგორღა იყო, რომ თავადაზნაურობამ არათუ ზურგი არ შეაქცია ჩვენს მწერლობას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო დაეწაფა მას, როდესაც იგივე თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, სამოციანი წლების დასაწყისში, თავს ესხმოდა თავადაზნაურობის ბატონყმურ ინსტინქტებსა თუ ზრახვებს, ხოლო ახლა ვითომდა ჩამოსცილდება იგი ქართულ მწერლობას, გაკვრითაც რომ შეეხოს ბ-ნი ჭავჭავაძე ჩვენში ამჟამად დომინირებულ აგრარულ საკითხსა თუ მისგან გამომდინარე იმ აუტანელ სიძნელეებს, რომელშიც ხალხთა მასები ჩასცვივდნენ — ჩემთვის ეს სავსებით გაუგებარია. თავადაზნაურობისა და მისი ინტერესებისადმი დამოკიდებულება ეს აქ მოვიყვანე როგორც ნიმუში, როგორც თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ სისტემატურად უვლის გვერდს თანამედროვე ქართული მწერლობა ქართული სინამდვილის ამ ფრიად არსებითს მხარეებს. გასაგებია, რომ ასეთ საკითხებზე დუმილით, ყოველივე იმის შესახებ ხმის ამოუღებლობით, რამაც შესაძლოა მსხვილი კრებითი ერთეულების „გულისწყრომა" გამოიწვიოს, ქართულმა მწერლობამ შეუძლებელია იმედი იქონიოს, რომ მკითხველთა მასების ყურადღება დაიმსახუროს.

მესამე გარემოება, რომელიც მნიშვნელოვან წილად ვნებს ქართული ბეჭდვითი სიტყვის ინტერესებს, ეს არის ქართული სამყაროს მორიგი საკითხებისადმი ამ პრესის წარმომადგენელთა დამოკიდებულება. იგივე თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, რომელიც არის „ივერიის" რედაქტორი, ხოლო ამჟამად „დროების" თანარედაქტორიც, ქართველი ხალხის საზოგადოებრივს ცხოვრებაში უაღრესად თვალსაჩინო როლს ასრულებს, ვითარცა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველი და სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა თუ დაწესებულებათა ვიცე-პრეზიდენტი. ეტყობა, სწორედ ამ გაორებულობის გამო ილია ჭავჭავაძეს მიზნად დაუსახავს პრესაში კრინტიც კი არ დასძრას ყველა იმ პრობლემისა თუ გაუგებრობის შესახებ, რაც ჩნდება ხოლმე ამ საზოგადოებათა თუ დაწესებულებათა საქმიანობაში. რა თქმა უნდა, ეს ფრიად სანაქებო თვისებაა, და ჩვენც რომ კერძოდ თავად ჭავჭავაძის შესახებ ვლაპარაკობდეთ, მაშინ სხვა არა გვეთქმოდა რა, თუ არა ის, რომ პოეტის გადაწყვეტილება — არამცა და არამც არ გამოიყენოს არც თავისი ბეჭდვითი ორგანო და არც თავისი ლიტერატურული ნიჭი საკუთარი საქმიანობის ინტერესებში ან ამ მოღვაწეობის სასარგებლოდ — მის უდიდეს პირადს ღირსებას შეადგენსთქო. მაგრამ მწერლობა და საზოგადოებრივი საქმე ხომ სრულებითაც არ ემთხვევა ჩვენს წარმოდგენას თავად ი. ჭავჭავაძეზე. ის, რაც უდიდეს ღირსებას ჰმატებს პირადად თავად ჭავჭავაძეს, სწორედ იმას

მოაქვს ზიანი უშუალოდ ქართული ლიტერატურისა და ქართველი საზოგადოებისათვის იმით, რომ ლიტერატურული მსჯელობის საჯარო ასპარეზიდან იდევნება ქართული ცხოვრების უამრავი და უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები. რამდენადაც ყველასათვის მნიშვნელოვანია თავად ჭავჭავაძის ლიტერატურული უმწიკვლობა, ამდენადვე მაინც, თუ ათასჯერ უფრო მეტად არა, ყველასათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ საზოგადოებრივი საქმეები ჩვენში წყდებოდეს წინასწარ და ყველას მიერ საჯაროდ განხილვის შემდეგ პრესის ფურცლებზე, რათა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რას იხილავს იგი თავის კრებებზე და რატომ გამოაქვს მას ესა თუ ის გადაწყვეტილება და არა სხვა რომელიმე. რა თქმა უნდა, რომ ბოლო დრომდე თავად ჭავჭავაძისა და მისი ბეჭდვითი ორგანოს დუმილი ამგვარ საკითხებზე სრულებითაც არ იყო საშიში საზოგადოებისათვის. მეორე, გაცილებით უფრო გავრცელებულ გაზეთს „დროებას", შეეძლო ამ საკითხების ასე თუ ისე განხილვა. მაგრამ ახლა, როდესაც ეს გაზეთიც მოექცა თავად ჭავჭავაძის გამგებლობაში, სერიოზული საშიშროება ჩნდება... მე ამას ვაცხადებ არა უეცრად და ანაზდეულად ან როგორც მოსალოდნელ შესაძლებლობას, არამედ — მომხდარი ფაქტის საფუძველზე. ასე მაგალითად, თვენახევრის წინათ, მას შემდეგ რაც „დროება" და „ივერია" შეერთდნენ, აქაურ სათავადაზნაურო ბანკში წამოიჭრა საკითხი ურთიერთთავდებობის შემოღების შესახებ. ეს საკითხი, რომელიც უაღრესად სერიოზული შედეგებით არის დამძიმებული, „დროების" ფურცლებზე არც წინასწარ, ბანკის დამფუძნებელთა კრების მოწვევამდე, ყოფილა განხილული და არც კრებიკ შემდეგ ყოფილა რამენაირად შეფასებული. თუ ასეთი უნდა ყოფილიყო შედეგი იმისა, რომ შეერთდა ორი ქართული გამოცემა, რომელთაც ერთადერთს ჰქონდათ უფლება შეხებოდნენ ქვეყნის ეკონომიური განვითარების საკითხებს, მაშინ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ვინანოთ მათი შეერთება... მაგრამ ჩვენ მაინც გვიღვივის სადღაც იმის იმედი, რომ საღი გონება უკარნახებს თავად ჭავჭავაძეს, რომ არ აჰყვეს თავის ვნებათაღელვას და, ამ მხრივ, შეიკავოს თავი...

რაკი ზოგად ხაზებში გადმოვეცი ქართული მწერლობის შეფერხების ძირითადი მიზეზები — ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორც იგი მე წარმომიდგენია, — ახლა, შემდეგს პარასკევს, შევუდგები თვით ქართული ლიტერატურის მოძრაობის ზოგად მიმოხილვას გასული 1879 წლის მანძილზე.

—2—

1879 წლის ყველაზე მნიშვნელოვან და სერიოზულ მოვლენად უეჭველად უნდა მივიჩნიოთ ბ-ნ გ. უთურგაულის ერცელი სტატია

„რამდენიმე შენიშვნა", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროების" 1879 წლის 95-ე, 96-ე და 97-ე ნომრებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გაზეთის რედაქციამ სტატიას, დაბეჭდვისას, დაურთო თავისი შენიშვნები, რომლებშიც გვარწმუნებდა, ავტორის აზრს არ ვეთანხმებითო. ვიდრე „ობზორის" მკითხველებს ამ სტატიის შინაარსს გავაცნობდე, უნდა რამდენიმე წინასწარი შენიშვნა წარვუმძღვარო მას.

საერთოდ რომ ითქვას, თანამედროვე ქართული ლიტერატურა სრულიადაც არ არის ღარიბი არც ტალანტებით და არც მაშვრალებით. მას არც პოეტები აკლია, არც დრამატურგები, არც ნოველისტები, არც ფელეტონისტები თუ პუბლიცისტები; გვყვანან, აგრეთვე, ისტორიკოსებიც და ხალხურ სიმღერათა, თქმულებათა და ა. შ. შემგროვებლებიც კი. ქართული მწერლობის ამ არსებულ ძალებს თუ სხვა რომელიმე ადგილობრივ ლიტერატურას შეავადარებთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენი მწერლობა ათასჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე სხვა დანარჩენი, ერთად აღებულიც კი. ამასთან შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ ქართული მწერლობის ეს მდიდარი ძალები, რამდენიმე გამოხაკლისის გარდა, სრულებითაც არ აძლევს თავს ქეიფსა თუ უქნარობას, არამედ შრომობს და იღვწის თავის შესაძლებლობისდაგვარად. სამწუხაროდ, ქართული მწერლობის ამ ძალთა შემოქმედებითს მოღვაწეობას ჯერ-ჯერობით არ მოაქვს მთელი ის სარგებლობა, რომელსაც იგი ქართული საქმის განვითარებას უნდა უწევდეს. ერთი უდიდესი ნაკლოვანება ახასიათებს ჩვენს მწერლობას: მას არ გააჩნია არც სისტემაში მომყვანი და არც კრიტიკულად შემფასებელი საწყისი, რომელიც შეძლებდა ადრინდელი თხზულებების ღირსება-ნაკლოვანებათა გაანალიზებისა და გარკვევის საშუალებით საჭირო მიმართულებით წარემართა მომავალი მოღვაწეების ღვაწლი. ქართულ მწერლობას სრულებით არ გააჩნია კრიტიკა. ათიოდე წლის წინათ ამ მხრივ განხორციელებული სუსტი ცდები, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა და კრიტიკამ ფეხი ვერ მოიკიდა ჩვენში. ამის მიზეზი ის არის, რომ ავტორებმა, რომელთა ნაწარმოებებსაც ჩვენებური კრიტიკა შეეხო, უმალვე პირადული სარჩული დაუდვეს მას და ამით ყოველგვარი ხალისი დაუკარგეს კრიტიკოსებს, რათა დაწყებული საქმე განეგრძოთ. ახლაც კი ყველაზე გაბოროტებული ქართველი მწერლები არაჩვეულებრივ შეუწყნარებლობას ამჟღავნებენ ხოლმე კრიტიკის მიმართ. მოვიყვანოთ ამასწინანდელი მაგალითი. რამდენიმე დღის უკან „ობზორში" დაიბეჭდა ფრიად მოკრძალებული რეცენზია. მკითხველს მოეხსენება, თუ რა უბოდიშო ტონით წერენ ხოლმე რუსეთში კრიტიკულ წერილებსა და რეცენზიებს ისეთ მწერალთა ნაწარმოებებზეც კი, როგორიც არის ა. ნ. ოსტროვსკი. ცნობილია, აგრეთვე, რომ არასოდეს არც ბ-ნ ოსტროვსკისა და არც სხვა რომელიმე სერიოზულ ავტორს თავში არ მოსვლია უხეში აზრი,

რომ პოლემიკა აეტეხა თავისი კრიტიკოსებისა თუ რეცენზენტების წინააღმდეგ. სამაგიეროდ „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ (№ 16)[1] ჩვენს წინააღმდეგ წარმოთქვა ნამდვილი ფილიპიკა, რომელშიც ბ-ნ ნიკოლაძის მედიდურობაზე უფრო მეტია ნათქვამი, ვიდრე კომედია „კინტოს“ დამახასიათებელ თვისებებსა თუ თავისებურებაზე.

ეს ფაქტი მომყავს მხოლოდ როგორც მაგალითი იმ შეუწყნარებლობისა, რომელსაც ქართველი მწერლები ამჟღავნებენ ხოლმე ბეჭდვითი სიტყვის მსჯავრისადმი.

თქმა არ უნდა, რომ კრიტიკის უქონლობა, მეტადრე სერიოზული ფილოსოფიური კრიტიკისა, რომელიც განვლილ გზას შეაჯამებდა, შემდგომი განვითარების გეზსაც დაგვისახავდა და მორიგ ამოცანებსაც ჩამოაყალიბებდა, უაღრესად უკეთურ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე. საზოგადოება კითხულობს ქართველი მწერლების ნაწარმოებებს და მეტწილად არც კი უფიქრდება ხოლმე მათს შინაგან აზრს, არ ახდენს აღწერილი ფაქტების განზოგადოებას, არც რაიმე დასკვნები გამოაქვს წაკითხულიდან, რომ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს. არავინ გვყავს ისეთი, ვინც ერთ ფოკუსში გააერთიანებს მრავალ მწერალთა შრომისა თუ უნარის ნაყოფს, რომ, ამრიგად, შეაჯამოს მათი ნაწარმოებების მთავარი თვისებები და, ამ ნიადაგზე, თავისი მსჯავრი გამოიტანოს თანამედროვე ცხოვრების შესახებ...არც დამაკავშირებელი საწყისი, არც ერთიანი გეზი და, ძაძასადამე, არც გონივრული მიმართულება ჩვენებური ლიტერატურისა არსად ჩანს. გამოდის, რომ ყველანი მუშაობენ შემთხვევით და დაქსაქსულად, რის გამო იშვიათად რომ ვინმეს რაიმე სარგებლობა მოუტანოს ჩვენმა მწერლობამ. ამიტომაც, სრულიად არ უნდა გაგვაკვირვოს ისეთმა მოვლენებმა, როდესაც ზოგიერთი ქართველი მწერალი თავის უნარს ანდომებს იმას, რომ კრუპის ქვემეხები ბაყაყებს დაუშინოს ხოლმე, ხოლო მეორენი, დამწყებნი, თავიანთ ნიჭს და უნარს შეალევენ ხოლმე დრომოჭმულსა და სრულიად უაზრო ჰანგების გადამღერებას, რასაც ჩვენი დღევანდელობისათვის არავითარი სასიცოცხლო მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენ უფრო აშკარად შეგვეძლო დაგვესაბუთებინა კრიტიკის აუცილებლობა, მაგრამ მოვერიდეთ, რომ ჩვენს მკითხველს თავი არ მოვაბეზროთ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა მტკიცებით...

მაგრამ ქართული მწერლობის კიდევ უფრო დიდ ნაკლოვანებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ სერიოზული კრიტიკა არასოდეს შეხებია მის საერთო მიმართულებას... მხოლოდ ერთხელ მოახდინა ამგვარი, თუმცა ფრიად გაუბედავი, ცდა თავადმა ი. გ. ჭავჭავაძემ, რომელმაც 1861 წელს მაშინდელ ლიტერატურულ მოღვაწეთა წინააღმდეგ პამფლეტი მოათავსა[66] ჟურნალ „ცისკარში“[4]. ამ პამფლეტში წვრილმანები

ეყო ნიშანში ამოღებული: მწერლების ენა, მათი გონებაშეზღუდულობა, მათი ერთად-ერთი ზრუნვის საგანი — მარხვანი თუ დღესასწაულები და ა. შ. სამაგიეროდ, ყველას ახსოვს, თუ რა ფასდაუდებელი სარგებლობა მოუტანა ქართულ ლიტერატურას ჩვენი მწერლობის საერთო მიმართულების საკითხისადმი ამ სუსტმა შეხებამაც კი: ატყდა ერთი ყიჟინა და დავიდარაბა; თავად ი. გ. ჭავჭავაძეს ლანძღვა-თრევით იხსენიებდნენ ყველა გზაჯვარედინზე. ღმერთმა უწყის, რას აღარ წერდნენ და ბეჭდავდნენ მის შესახებ და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ძველ მიმართულებას ქართულ ლიტერატურაში სამუდამოდ მოეღო ბოლო, ხოლო მის ნაცვლად ახალმა, უფრო კეთილისმყოფელმა და მაცოცხლებელმა სიომ დაჰბერა.

ამ გამონაკლისის გარდა-მეთქი, ვიმეორებ, ქართულ ლიტერატურაში არასოდეს ყოფილა ცდა, რომ ვინმეს კრიტიკულად განეხილოს ჩვენი მწერლობის საფუძვლები და საერთო მიმართულების ხასიათი. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი ცდისათვის უპირველესი პირობაა, ჯერ ერთი, თვით კრიტიკოსს ჰქონდეს ზოგადი ფილოსოფიური განვითარება, რომ მის გონებას გააჩნდეს განზოგადოების უნარი; პირადად იგი თანამედროვე გონებრივი მოძრაობის დონეზე იდგეს, ხოლო მეორე მხრივ კი, ყოველგვარ წრეობანასა და პირადულობაზე მაღლა დადგომა შეეძლოს... მხოლოდ ახალი ადამიანი, რომელსაც, ამასთანავე, შესისხლხორცებული ექნება თანამედროვე აზრის ძოძრაობა და რომელიც სრულებით ინერტიული იქნება ჩვენში უკვე არსებული ვნებათაღელვისადმი, შეძლებს იმდენად ამაღლდეს, რომ ერთი თვალისგადავლებით, მთელი სამოქმედო ასპარეზი დაიხახოს, მოღვაწეთა ძირითად მიმართულებას ჩაწვდეს და ამის თაობაზე საკუთარი მსჯავრიც კი შეიმუშაოს, თუ საბოლოო არა, ისეთი მაინც, რომელიც ახალი სჯა-ბაასისა და კამათისათვის, აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და შემდგომი განვითარებისათვის გამოდგება...

ასეთ კრიტიკოსად ჩვენს ლიტერატურას შარშან ბ-ნი უთურგაული მოევლინა. უთუოდ იცოდა მან, რა ძნელია ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც აპირებდა. თავისი სტატიის დასაწყისში ავტორმა შესანიშნავად მოხაზა „ურთიერთი ქება-დიდების“ ის ჯადოქრული წრე, რომელშიც ქართული მწერლობის მოღვაწენი ჩაიკეტნენ...

„ეს წრე შეადგენს რაღაც მამულის შვილების სამსჯავროს, საცა ისინჯებიან და ფასდებიან საქმენი ყოველთ მოქმედთ და მოაზრეთ, ყოველთ ხალხისთვის მუშაკთ, საცა ჯილდოვდებიან და ისჯებიან, და თანახმად ამისა იწერებიან წიგნსა შინა ცხოვრებისა... ვაი მას, ვინც დაარღვევს ამ წრეში მიღებულ კანონებს, ვინც შეეხება კრიტიკულათ იმ კულტებს, რომლებსაც პატივსა სცემენ და აღმერთებენ საზოგადოებრივ — ლიტერატურულნი მსაჯულნი, ვინც სხვა კილოზედ და-

იწყებს ბაასს, სხვა გზაზედ შესდგამს ფეხს!.. ვაი მას, ვინც არ შეაქებს იმ მოქმედ პირთ მამულის ერთგულთ, ვისაც ესენი აქებენ, ვინც არ აძაგებს მათ, რომელთაც ესენი აძაგებენ! ყოველი მათი კანონების გადამხვევი და უარისმყოფელი მამულის ორგულთ დასში ჩაირიცხება, მოღალატე და მაბეზღარი გახდება, ის იქნება სამშობლოს და ენის მოღალატე, საენებელი მწევრი საზოგადოებისა"...

აი, ამგვარად წარმოგვიდგინა აღნიშნულ მოღვაწეთა სინედრიონი ბ-ნმა უთურგაულმა და გაბედულადაც მოსთხოვა პასუხი: ერთი ჰკითხეთ, ვინ ჩაბარა მათ ამგვარი უფლებაო, ხოლო შემდეგ დასძინა:

„მათ ქეიფურ თაოსნობას და წინამძღოლობას არავითარი საფუძველი არა აქვს, მათი ნაწერ-ნამოქმედარი სრულებით არ შეეფარდება მათ პრეტენზიებს, სრულებით არ იძლევა საფუძველს, რომ მათ თავს უყურონ როგორც მიწის მარილს, როგორც საზოგადოების მოძრაობის ბელადებს და მედროშეებს.

ყველა ამ სხვა-და-სხვაობაში გამოსჩანს ერთი საზოგადო ნიშანი — ძალის და სიძლიერის მექონესთან სიმშვიდე და გემრიელობა. ერთმანერთსთანაც მშვიდობიანად, შეურყეველათ, უბრძოლველად ყოფხა, დადგინებული წესების პრინციპულათ დაცვა, შეურყეველობა; დაბალ მადლობისა, უთანასწორობისა, გლეხ-აზნაურისა, ვაჭარ-გლეხისა კანონიერათ მიღება და დაცვა..."

თქვენ ხედავთ, ერთი მხრივ, სინედრიონს უმაღლესი მსაჯულებისას, რომლებიც თავიანთი შეხედულებისამებრ არიგებენ ხოლმე ოქროს თუ ეკლის გვირგვინებს, მეორე მხრივ კი — ამ სინედრიონის დამოკიდებულებას ცოცხალი სინამდვილისადმი... განა მარტოოდენ ეს დაპირისპირებულობაც კი არ კმარა იმისათვის, რომ სავსებით კანონიერად აღიაროს შეხედულება, რომლის თანახმადაც ქართულ ლიტერატურაში, მისი განახლებისა და განვითარებისათვის საჭიროა ახალი მოძრაობისა და ახალი ადამიანების გამოჩენა?

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ მარტო ამ შესანიშნავი ანტითეზით დავკმაყოფილდეთ. აქ საჭიროა მოვიყვანო ბ-ნ უთურგაულის მთელი მოკლე რეზიუმე. ქვემოთ მკითხველები წაიკითხავენ კიდევაც ამ დასკვნას, რომელიც, ჩემი თხოვნით, თვითონ ავტორმა დაურთო თავის სტატიას.

„როცა კარგად დავაკვირდებით ჩვენს ახლანდელ მოწინავე საზოგადოებას, „კეთილშობილურ" ინტელიგენციას, ჩვენს თვალწინ სავალალო სურათი წარმოგვიდგება. ამ პირთ, რომლებიც განსაკუთრებულ დახშულ წრედ გვევლინებიან, თქვენ შენიშნავთ ყოველგვარი იდეალების, გონებითი უნარისა და ზნეობითი სიმტკიცის უქონლობას. კაცმა რომ თქვას, ისინი არც შეადგენენ ორგანიზებულ, გარკვეული პროგრამის მქონე პარტიას. საზოგადოებრივი და ლიტერატურული საკითხები

მათ მხოლოდ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც ეს უკანასკნელი მათს პირად ინტერესებს შეეხება. ესენი არიან რაღაც ინტრიგათა ბრძენყობნი, წვრილმანების მკრეფელნი, ღრმად დარწმუნებულნი, თითქოს თავიანთი უშინაარსო თხზულებათა გამოცემით დიდ ამაგს სდებენ თავიანთ სამშობლოს".

„თუმცა, როგორც აღვნიშნე, ისინი არ შეადგენენ რაიმე გარკვეულ ლიტერატურულ პარტიას, მაგრამ თქვენ მაინც შეამჩნევთ რაღაც კრებულს მათი მთავარი სათაყვანებლო საგნებისას, რომლებსაც ისინი თავიანთ „პრინციპებს" ეძახიან. პირველი, ამ პრინციპთაგან, „არის სახელი ქართველი". გარწმუნებთ, რომ ეს არის მათთვის, მათ წარმოდგენაში ცარიელი სიტყვა, უშინაარსო და უაზრო. მაგრამ მაინც ისინი თავიანთ რელიგიურ კულტად ხდიან და თაყვანსა სცემენ მას. ისინი სინანულს გამოსთქვამენ, რომ „ეს სახელი, რომელიც ოდესღაც ყველას გვერქვა", რომელიც იყო „გამაერთიანებელი, დიდებული და შემკრებელობითი აზრი, დიდი ხანია დაირღვა, გონებიდან ამოშრა", და რომ მან ამრიგად თავისი ადრინდელი მაგიური ძალა დაჰკარგა. ისინი არც აანალიზებენ და არც შემადგენელ ელემენტებად ანაწევრებენ ამ „დიდებულ სახელს". მათთვის უმთავრესი მიზანი და საგანი არის — ოღონდ კი ყველას ეს სახელი ერქვას, ოღონდ კი ის იფარებდეს თავადსა და გლეხს, ვაჭარსა და მღვდელს, მაღალსა და დაბალს, ღარიბსა და მდიდარს, მოსამართლესა და ქვეშევრდომს, გაჭირვებულსა და ძლიერს, მყვლეფელსა და გაყვლეფილს — ოღონდ ყველა ამ სოციალურ ელემენტს იფარებდეს ერთი სახელი და სხვა არაფერი საჭირო არ არის. მაშინ იქნება დამყარებული ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილი ბედნიერება, ნეტარება, სასუფეველი. მათთვის არ არსებობს ის საკითხი, რომ ამ სახელით დაფარულია განსხვავებული ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე ადამიანთა სხვადასხვაგვარი სოციალური ჯგუფები და რომ დამოკიდებულება ამ ჯგუფებისადმი, ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწისა, რომელიც თავისუფალია მისტიკური სიტყვებისა თუ ცნებების ბურუსისაგან და რომელსაც სურს ესწრაფებოდეს გარკვეულ მიზნებს, ნაცვლად იმისა, რომ აზრის უსასრულო უდაბნოში უგზოუკვლოდ იხეტიალოს, განსხვავებული უნდა იყოს...

„მეორე კულტად მათ აქვთ ძველებური დრო, ისტორიული წარსული. ეს წარსული, რომელსაც ისინი, კაცმა რომ თქვას, რიგიანად არც კი იცნობენ, თვალწარმტაცი ფერებით აქვთ წარმოდგენილი და ბოკაშკაშე შუქით გასხივოსნებული. წარსული არის მათი ცხოვრებისა და უკეთესობის იდეალი, იქიდან იღებენ ისინი გმირობისა და ყველა სხვა კარგი საქმის მაგალითებს, წარსულიდან იღებენ ისინი თავიანთი ნაწარმოებების ყველა შესანიშნავ სიუჟეტებს. ხოლო თუ ყოველგვარი წიხასწარ აკვიატებული აზრის გარეშე შეეხედავთ ამ წარსულს, იგი წარმო-

გვიდგენს რღვევისა და გახრწნის სავალალო სურათს... ჩვენი წინაპრები რომ საგმირო საქმეებს სჩადიოდნენ — ეს უდავოა; ისინი გარეშე მტრებთან გაუთავებელ ომებში ატარებდნენ ცხოვრებას, მაგრამ რატომ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ომები, ჯერ-ერთი, მომეტებულად დინასტიურ ან წოდებრივ ინტერესთათვის ხდებოდა; ხოლო მეორეც, რომ ჩვენი „სახელოვანი წინაპრები" თვითონ იწყებდნენ ამ ომს და სტანჯავდნენ ხალხს, არღვევდნენ მის შინაურ კეთილდღეობას და სჩადიოდნენ ბევრ სხვა უსამართლო საქმეებს, რომლის ნაყოფს ვხედავთ ჩვენი საკუთარი თვალით და რომლისთვისაც ვერაფერი წამალი ჯერაც ვერ მოგვიძებნია; რომ ჩვენი სამშობლო აწინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უმთავრეს აწეწილ-დაწეწილ საქმეს ფესვები გადგმული აქვს „სახელოვან წარსულში" და ყველა იქედან მომდინარეობს. რა იყო ანდა ვინ იყო მიზეზი ჩვენი სამშობლოს იმ სავალალო მდგომარეობისა, რომელსაც ახლა ჩვენებური „მოღვაწეები" ძისტირიან და ნიანგის ცრემლებს ღვრიან, თუ არა იგივ წარსული და იგივ ინტრიგანები, ვისაც ახლა ჩვენებური პატრიოტები იდეალად გვიხატავენ და ხოტბას ასხამენ თავიანთ „პოემებში". არა, მთელი იმედი ძომავალს უნდა დავუკავშიროთ, ხოლო ის ადამიანები, ვინც მარტოოდენ წარსულზე ფიქრითა და წარსულის მოგონებებით ცხოვრობს, ვიხც სათაყვანებელ იდეალს წარსულში პოულობს, სიცოცხლის უნარს მოკლებულნი არიან და, ადრე თუ გვიან, ისტორიული ცხოვრების მოულოდნელი ქარიშხალი უეჭველად აღგვის მათ პირისაგან მიწისა...

„მესამე მათი უწმინდესი და მიუკარებელი კულტი არის ენა. სადამდის მიაღწია ენის ამ გაღმერთებამ, მის წინ გონების დაბნელებამ, — ამას ცხადია გვიჩვენებს მათი მსჯელობანი ჩვენს შკოლებზე და ჩვენს განათლებაზედ. რამდენი უგუნური აზრი გამოთქვეს ძათ სამშობლო ენის ვითომდა დასაცავად, მაგრამ არც ერთში არ გამოსჭვივის არც საღი გონება და არც გულწრფელობა. ენის ტაძრის პატივისმცემელთ ენის იქით აღარაფერი მიაჩნიათ. ისინი თვალს ხუჭავენ შკოლის ცხოვრების ყველაზე უმთავრეს და აღმაშფოთებელ მოვლენაზე. ისინი ხედავენ სახალხო შკოლების უნაყოფობას ან მეტად ნაკლები ნაყოფის მიზეზს მარტო ენაში და სხვა არაფერში, როდესაც ცხადად ჩანს, რომ უმთავრესი მიზეზი შკოლების უნაყოფობისა და ნაკლები სარგებლობისა სულ სხვა იყო... ამ ყალბი შეხედულებით დაბნელებულთ მათ მხედველობის გარეშე რჩებათ აღზრდისა და სწავლების თვით შინაარსი...

„ენის სიწმინდის დამცველთ სამშობლო ენად მიაჩნიათ ის, რომელიც დამყარებულია ანტონ კათალიკოზის და „ვეფხისტყაოსანის" ენაზე.

„აი, მათი მთავარი დოგმატები, სათაყვანებელი კულტები, რომელთა თვალსაზრისითაც ისინი აშუქებენ ცხოვრების ყველა წვრილმანს თუ მნიშვნელოვან მოვლენას. ამასთან ისინი, რომ მთელი ენერგიითა და გულწრფელობით, საქმის ცოდნით იცავდნენ ამ უკრიტიკოდ აღიარებულ დებულებებს, კიდევ არაფერი. მაგრამ, მთავარია, რომ ამის ნიშანკვალიც არსად შეიმჩნევა. სერიოზულ დამცველებად ისინი ვერ გამოდგებიან, რადგან არ აქვთ სათანადო არც ცოდნა, არც გულწრფელობა, არც ენერგია. ყოველი მათი საქციელი გაურკვეველია და ბურუსით არის მოცული.

თავიანთი პაწაწინა ცოდნით გაყეყეჩებულმა ამ ადამიანებმა შექმნეს რაღაც არეოპაგი, საცა იშინჯებიან და ფასდებიან სამშობლო ლიტერატურის მოღვაწენი თავიანთი დამსახურების მიხედვით, და საცა ისინი ამის შესაბამისად ჯილდოვდებიან... ასე, სხვათა შორის, მათ ბევრი უცრემლოთ იტირეს, ბევრი იოხეს და იგოდეს ბ. ლ. ღოღაბერიძე. ნეტა ვინ არიან ეს პირნი, ვფიქრობ მე, რომლებიც მთელი საქართველოს სახელით ლაპარაკობენ. რა საქმეებით დაიმსახურეს მათ ქართველი ხალხის წინაშე ამგვარი უფლება? როგორ ვერ ამჩნევენ ისინი, რომ ნაღვერდალი, რომელიც 61-იანი წლების ლიტერატურულმა გაძოცოცხლებამ თითქოს აანთო მათს გულში, რომ ეს ნაღვერდალიც საკვესებით ჩაქრა და არავითარი კვალი არ დატოვა მათს სულსა და გულში“.

ამ სტატიის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ თანამედროვე მდგომარეობას ქართული ლიტერატურისას, რომელიც ღმერთმა უწყის რა მანქანებით, აღმოჩნდა იმ ადამიანთა განკარგულებაში, ბ-ნმა უთურგაულმა რომ ეს არის აღწერა... რა თქმა უნდა, — სასაცილო პრეტენზია იქნებოდა, რომ გვეფიქრა, თითქოს ბ-ნ უთურგაულის შენიშვნები სრულებითაც არ ვრცელდება მეორე კატეგორიის მოღვაწეებზე, თუნდაც, მაგალითად, პირადად ჩემზე, ვითარცა ქართველ მწერალზე. არა, ჩვენ ყველას, ცოტად თუ ბევრად, ბრალი მიგვიძღვის იმ ცოდვაში, რომელსაც ბ-ნი უთურგაული აღნიშნავს, ბრალი მიგვიძღვის, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ საკმაოდ არ ვიბრძოდით ამ ლიტერატურაში აღწერილ მოღვაწეთა ვიწრო და ცალმხრივ მიზანთა წინააღმდეგ და, პირიქით, ხანდახან კიდევაც ხელს ვუწყობდით მათს აღზევებას... მაგრამ აქ საკითხავი ის კი არ არის, ვინ არის ჩვენს შორის მართალი და ვინ მტყუანი, არამედ თავსამტვრევი სწორედ ის არის რომ ბ-ნ უთურგაულის შენიშვნები სრულიად საფუძვლიანია და რომ მათი უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი აზრით, ეს შენიშვნები ახლო მომავალში მოსალოდნელი და სასიხარულო შემობრუნების წინასწარმაუწყებლად შეიძლება მივიჩნიოთ მშობლიური მწერლობის ბედ-იღბალში...

მაგრამ ერთი ნიშანდობლივი მოვლენაც შეიმჩნევა: ამ სტატიაშ,- რომელმაც ამდენი თავსატეხი საკითხი წამოჭრა მკითხველთა გონების წინაშე და ლიტერატურული მოღვაწეობის ეგოდენ საარსებო მხარეებს- შეეხო, — აქამდე ვერავითარი გამოძახილი ვერ გამოიწვია ქართულს პრესაში. გეგონებათ, ჩვენებური პრესის მოღვაწეებმა „დუმილის შეთქმულება“ მოაწყვეს მის წინააღმდეგო, რომელიმე ახირებული კორესპონდენცია თუ ფარატინა ცნობა ხშირად აურზაურს ახდენს- ხოლმე ქართულ პრესაში: მის წინააღმდეგ წერენ უარყოფითს სტა- ტიებსა და უარყოფის უარმყოფელ წერილებს, რეპლიკებსა და მხი- ლებებს, ხოლო ამგვარ საქმიან, სერიოზულ და ღრმა ნაშრომს კი არც ერთი საპასუხო სტრიქონი არ მოჰყოლია. განა ეს მრავლისმეტყველი არ არის? ბ-ნი უთურგაული ხომ საქმის მარტოოდენ ლიტერატურულ მხარეს შეეხო. მან განიხილა მოღვაწეთა ნაწარმოებების მხოლოდ ში- ნაგანი არსი და იდეა. ავტორი ერთი გადაკრული სიტყვითაც კი არ შეხებია ვისმეს პიროვნებას. მაშასადამე, თუ ბ-ნ უთურგაულის აზრები მცდარი ან უმართებულო იყო, ხოლო მისი მსჯავრი ახირებული ან ტუტუცური — ასევე ადვილი იყო ყოველივე. იმის გაბათილებაც, რაც მან დაწერა... მაგრამ ეს თავში არავის მოსვლია.

45. ი. ს. ტურგენევის წერილი „ვესტნიკ ევროპის“ რედაქტორისადმი

რამდენიმე კვირის უკან პარიზის გაზეთ „Le Temps“-ში დაიბეჭდა რუსი ემიგრანტის ბ-ნ პავლოვსკის წერილები სათაურით „განმარტოებით პატიმრობა“. ეს წერილები გაზეთ „Le Temps“-ის რედაქციას გადაუგზავნა პატივცემულმა ი. ს. ტურგენევმა, რომელმაც თან დაურთო ყოველად უწყინარი და წმინდა ლიტერატურული ხასიათის წინასიტყვაობა. სწორედ ამ წინასიტყვაობის გამო გაზეთმა „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“[39] გამოაქვეყნა ერთ-ერთი თავისი მორიგი ბეზღი, რომელთა თითხნვა ბ-ნ კატკოვის სპეციალობას შეადგენს. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ბ-ნ ტურგენევს ბრალად დებდა, არც მეტი, არც ნაკლები, „კრამოლასთან“ სოლიდარობას...

ყოველივე ამით აღშფოთებულმა ი. ს. ტურგენევმა ამ ბეზღის საპასუხოდ „ვესტნიკ ევროპის“ [67] რედაქტორს მ. მ. სტასიულევიჩს უმალვე გაუგზავნა ქვემოთ მოყვანილი წერილი, რომელიც „მოლვაში“ გამოქვეყნდა:

„ძვირფასო მ. მ.

თქვენ, ჩემს ძველ მეგობარს, კარგად მოგეხსენებათ, რომ მე სრულებითაც არ მიმიწევს გული გავართო ხოლმე საზოგადოება საკითხებით, რომლებიც პირადად მე მეხება; მაგრამ ამასწინათ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე წავიკითხე ბ-ნ „ინოგოროდნი ობივატელის“ კორესპონდენცია, რომელიც მაიძულებს კალამი ავიღო ხელში.

ხსენებული კორესპონდენცია დაიბეჭდა იმ ჩემი წერილის გამო, რომელიც გაზეთ „Le Temps“-მა გამოაქვეყნა. იგი წინასიტყვაობის სახით წარემძღვარა მოთხრობას ერთი დევნილი კაცისას, რომელმაც განმარტოებულ პატიმრობაში ოთხი წელი დაჰყო. აღნიშნული თხზულება უაღრესად ფსიქოლოგიურსა და, მე ვიტყოდი, სასამართლო ინტერესსაც კი წარმოადგენს-მეთქი.

ბატონი „ინოგოროდნი ობივატელი“ რომ მარტოოდენ ჩემი ლანძღვა-გინებით დაკმაყოფილებულიყო, არ მივაქცევდი ამას ყურადღებას, რადგან ვიცი, თუ რა ღვთის წყრომაცაა ყოველივე ეს. მაგრამ უფ. „ინოგოროდნი ობივატელი“ თავს ნებას აძლევს, რომ ჩემს მსოფლ-

მხედველობაში, ჩემს შეხედულებაში შეიტანოს ეჭვი, და მეც უფლება არ მაქვს ამაზე მარტოოდენ ზიზღით ვუპასუხო.

ბ-ნი „ინოგოროდნი ობივატელი“ არათუ მომაწერს ნაირ-ნაირ უხამს სურვილებს და, ვგონებ, დანაშაულებრივ ზრახვებსაც კი, არამედ ბრალად მდებს მლიქვნელობას, პირფერობასა და, ასე გასინჯეთ, „მალაყების თამაშსაც“ კი ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის წინაშე. ამგვარი პირფერობა კი გულისხმობს საკუთარ შეხედულებათაგან განდგომას და სხვისი აზრებისადმი შეგუებას. ამის გამო, ყოველგვარი ყბედობისა თუ ლათაიების გარეშე, უნდა ვაღიარო და დაბეჯითებითაც დავიცვა ის ფაქტი, რომ ჩემი შეხედულებანი, რომლებიც ოდითგახვე გამომითქვამს თუ წერილობით, თუ ზეპირად, იოტისოდენადაც არ შემიცვლია ამ ბოლო ორმოცი წლის მანძილზე. ამასთან, არასოდეს და არავის წინაშე არ დამიმალავს ჩემი მრწამსი. ჩვენი ახალგაზრდობის თვალში კი, — საუბარი ხომ სწორედ მას შეეხება, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, — მე ყოველთვის ვიყავი, და დღემდეც ვრჩები, უბრალო „მეთანდათობითედ“, ძველი ყაიდის ლიბერალად, ინგლისური დინასტიკური გაგებით, ე. ი. ისეთ ადამიანად, რომელიც რეფორმებს მხოლოდ ზემოდან მოელის ხოლმე, პრინციპული მოწინააღმდეგეა რევოლუციებისა, თუ რომ აღარაფერს ვიტყვით ბოლოჟამინდელ უმსგავსოებებზე. ახალგაზრდობა სავსებით მართალი იყო ამ თავის შეფასებაში და ამიტომ ვერც ჩემს თავს ვაკადრებდი, და არც ამ ახალგაზრდობისათვის მიკადრებია, რომ თავი სხვაგვარ შუქზე მეჩვენებინა. ის ოვაციები, რომლებსაც ახსენებს ბ-ნი „ინოგოროდნი ობივატელი“ ჩემთვის მეტად სასიამოვნო და ძვირფასი იყო სწორედ იმიტომ, რომ მე კი არ გადამიდგამს ნაბიჯები ახალგაზრდა თაობისაკენ, რომლის ცუდ დამოკიდებულებასაც ჩემდამი ფილოსოფიურად ვიტანდი აგერ 15 წლის განმავლობაში (მას აქეთ, რაც „მამები და შვილები“ გამოქვეყნდა), არამედ იმიტომ, რომ ეს თაობა თვითონ გამოემართა ჩემსკენ; ძისი ოვაციები ჩემთვის, მართლაცდა, ძვირფასი იყო, როგორც დამამტკიცებელი საბუთი იმ თანაგრძნობისა ჩემი შეხედულებებისადმი, რომელთა ერთგულიც მე ყოველთვის ვიყავი და რომელთაც ხმამაღლა ვღაღადებდი ჩემს სიტყვებში, როდესაც ჩემდა საპატივცემულოდ მოწყობილ ზეიმზე გამოვდიოდი ხოლმე ხალხის წინაშე.

რისთვის მჭირდებოდა ტყუილები და ლაციცი მათ წინაშე, როდესაც ამ ახალგაზრდებმა თვითონვე გამომიწოდეს ხელი, როდესაც ძათ ასე სწამდათ ჩემი?

იმას აღარ იკითხავთ, ვისი პირიდან ამოდის ეს ბეზღი და ეს ბრალდება? იმ კაცის პირიდან, ვინც ჭაბუკობიდანვე, „ქვემძრომობის“ და მალაყების თამაშის მხრივ ვირტუოზის სახელი მოიხვეჭა ჯერ ნებსით, ხოლო ბოლოს უნებლიეთაც კი. მართალია, იგი ახლა არხეინად არის,

რადგან ამით არაფერს ჰკარგავს: მისი სახელი გახდა განმაზოგადოებულ სახელად, — და იგი აღარ მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც შეიძლება პასუხი აგებინო. მაგრამ, მის მდგომარეობაშიც, არ იქნებოდა ურიგო, რომ ცოტაოდენ მაინც მოგვრიდებოდა: ყოველ შემთხვევაში, მას არ უნდა ეხსენებინა „შერცხვენილი ჭაღარა“ და ამით მკითხველი საზოგადოების ყურადღება საკუთარ თავზე არ უნდა მიექცია. საზოგადოება უამისოდაც კარგად იცნობს მას... და ვბედავ რომ ვთქვა, მიცნობს აგრეთვე მეც.

ივ. ტურგენევი“.

ამ წერილის გამო, ჩვენ ერთი მცირე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. მკითხველი შენიშნავს, რომ ბ. ტურგენევის წერილის ეს მძვინვარე, მაგრამ სამართლიანი, შემაჯამებელი სტრიქონები მიმართულია მ. ნ. კატკოვის წინააღმდეგ. მერედა ვინ აღარ იცის, რომ ბ-ნი ტურგენევი კატკოვს გუშინდელი დღიდან როდი იცნობს? ისინი ერთად იზრდებოდნენ და ერთადვე მოქმედებდნენ და, მაშასადამე, ის ჭეშმარიტება, რომ ბ-ნმა კატკოვმა „ჭაბუკობიდანვე ქვემძრომობისა და მალაყების თამაშის მხრივ ვირტუოზის სახელი მოიხვეჭა“ უთუოდ ბ-ნმა ტურგენევმა არათუ ახლა, არამედ მრავალი წლის წინათ დაადგინა, ჯერ კიდევ „ჭაბუკობიდანვე“. მაშ რითღა აიხსნება, რომ ბ-ნ ტურგენევს არ შერცხვა 1862 წელს ამგვარ ვირტუოზთან კავშირში გამოსულიყო რუსული ლიტერატურის საუკეთესო მოღვაწის წინააღმდეგ?

ბ-ნ ტურგენევის ნებაა, რა თქმა უნდა, რომ „ფილოსოფიურად აიტანოს“ ახალგაზრდა თაობის ცუდი დამოკიდებულება; მაგრამ მას კარგად ესმის და თავის „ლიტერატურულ მოგონებებში“ ნათლად გამოხატა, რომ ის ლაქა, რომელიც მის ხსოვნას მოეცხო, არასოდეს აღარ ჩამოერეცხება... უეჭველია, მწერალმა კარგად იცის, რომ პირადად მას ეკუთვნის ინიციატივა — რუსული ლიტერატურისა და ცხოვრების ახალი მიმართულების წინააღმდეგ დაგეშოს ბ. ბ-ნების კატკოვის, ლესკოვის, პისემსკის და სხვა მსგავს დამბეზღებელთა ხროვა, რომ პირადად მას ეკუთვნის ტერმინ „ნიჰილიზმის“ შეთხზვა... მიმბაძველებმა ხომ თავიანთ მასწავლებელსაც კი გადააჭარბეს, მაგრამ შეუძლებელია, რომ მათ ამ გზაზე დადგომა გაებედათ, ი. ს. ტურგენევის ავტორიტეტული ინიციატივა რომ არა. ბ-ნმა კატკოვმა ისარგებლა ბ-ნ ტურგენევის გულუბრყვილობით, ამ უკანასკნელის ხელით ბზარი გაავლო კედელს, ხოლო შემდეგ ამ ბზარში შეაპარა თავისი სიკოფანტები, რომლებიც თავიანთ წარმგზავნელთა ნებას ასრულებდნენ და პატივცემული ლიბერალის მოსასხამითაც იმოსებოდნენ...

კიდევ ერთი შენიშვნა. ჩვენი აზრით, ბ-ნი ტურგენევი რამდენადმე სახეს უცვლის მნიშვნელობას იმ ოვაციებისას, რომლითაც ეს ახალ-

გაზრდობა მიეგება ბ-ნ ტურგენევს. მიესალმებოდნენ და მისდა საპატივცემულოდ ზეიმებს აწყობდნენ არა მისი გაინგლისელებულობის, ანდა არა მისი „თანდათანობლობის“ გამო, არამედ—როგორც გამოჩენილ ბელეტრისტს, რომელმაც ოდესღაც ცოტაოდენი სამსახური როდი გაუწია მშობლიურ ლიტერატურას. ამ დასკვნას საკუთარი დამოკიდებულებით ვაკეთებთ, რადგან არაფერი ხელს არ შეგვიშლიდა, მაგალითად, ჩვენ მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ ვუთანაგრძნობთ „თანდათანობლობას“ ტაში დავუკრათ რუსულ ლიტერატურის ისეთ ვეტერანს, როგორც არის პატივცემული, მაგრამ 1862 წელს უაღრესად შემცდარი ი. ს. ტურგენევი.[68]

46. „კლუბურ ზნე-ჩვეულებათა“ გამო

„ობზორის“ [3] პირველ ნომერში გამოქვეყნებულმა ფელეტონმა რატომღაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ჩვენს ჭიანჭველეთში. ჩვენს ყურამდე მოაღწია საყვედურებმა, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ დავბეჭდეთ ვითომდა დაუჯერებელი და მთელი საზოგადოებისათვის შეურაცხმყოფელი ფაქტები, რომ არ ვარგა შინიდან ნაგვის გარეთ გატანა; ბოლოს, გვაბრალებდნენ იმასაც, რომ სირცხვილის გრძნობა დაგიკარგავთო, როგორც ეს „ტიფლისკი ვესტნიკმა“ [1] ბრძანა.

გაუგებრობის განსამარტებლად, და ყველა ამგვარი საყვედურების საპასუხოდ, დავბეჭდავთ რამდენიმე ამონაწერს ჩვენს ხელთ მყოფ დოკუმენტებიდან, რომლებიც არავითარ კომენტარს არ საჭიროებენ, რადგან ჩვენ ისინი ამოვკრიფეთ თბილისის საკრებულოს საქმეებიდან; ამ საკრებულოს წესდების 37-ე მუხლის ძალით, მამასახლისთა საბჭოს ოქმები ყველა წევრისათვის და ყველა დროს არის ხელმისაწვდომი. ამასთან, რაკი ამ ამონაწერებს ვაქვეყნებთ, არ შეგვიძლია ჩვენდათავად არ დავძინოთ, რომ გარეთ ნაგვის გატანა შინიდან, სადაც ათასზე მეტი კაცია, ყოვლად საჭიროდ მიგვაჩნია, და რომ საჭიროა ეს ნაგავი რაც შეიძლება ხშირად გაიგავოს ხოლმე, ხოლო სირცხვილის ალმური იმ გამოთქმების გამო, რომლებიც „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ მოიყვანა, უნდა იმათ მოედოს ხოლმე, ვინც ამ გამოთქმებს ხმარობს (იხ. ქვემოთ, 1878 წლის 22 აგვისტოს ოქმი).

1. თბილისის საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს 187.. წ. 8 მარტის სხდომის ოქმი. დაესწრნენ მამასახლისები მ. პ., გ. ს., მ. ზ.

მოისმინეს საკრებულოს წევრის თავად ნ. ა-ს განცხადება იმის თაობაზე, რომ საკრებულოს წევრებმა გ.-მ შეურაცხყოფა მომაყენაო.

დაადგინეს: უხამსი ქცევისათვის გ. დაჯარიმდეს 3 მანეთით.

2. 187.. წ. 29 აგვისტოს ოქმი. დაესწრნენ. მამასახლისები: გ. შ., პ. მ., ა. მ. მოისმინეს საკრებულოს წევრის პ. ხ.-ს განცხადება იმის შესახებ, რომ საკრებულოს წევრმა ა. მ.-მ, საკრებულოს შენობაში საუბრის დროს, მიიპატიჟა აბანოში და, ამასთან, უცენზურო გამოთქმები იხმარაო. ამის დასადასტურებლად მომჩივანმა მოწმეც კი დაასახელა. მამასახლისთა საბჭომ, რომელმაც მხედველობაში მიიღო, რომ ხსენებულმა მოწმემ დაადასტურა ეს განცხადება, იხელმძღვანელა

წესდების 66-ე მუხლით და დაადგინა, რომ ჩადენილი საქციელისთვის მ. დაისაჯოს 5 მ. ჯარიმის გადახდევინებით. ამასთან, მამასახლისთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ მომჩივანი ხ. ამ საქმის გარჩევისას თავის ახსნა-განმარტებებს აძლევდა მამასახლისთათვის ფრიად უპატივცემულო ფორმით და აგდებულად, წესდების 91-ე მუხლის ძალით დაადგინა, რომ დაჯარიმდეს 3 მანეთით.

3. 187.. წლის 8 თებერვლის ოქმი. დაესწრნენ მამასახლისები: პ. ს., გ. მ., მ. რ.

მოისმინეს მამასახლის რ.-ს განცხადება, რომ საკრებულოს დაძლაგებლებმა შენიშნეს, თუ როგორ მიაქვს საკრებულოს ორ წევრს ა. შ.-ს და ა. ს.-ს უნებართვოდ და ჩუმჩუმად ბიბლიოთეკის მაგიდიდან გაზეთები, რომლებსაც ისინი უკან აღარ აბრუნებენო. ხოლო საკრებულოს წევრი კ., შინ წასვლისას შანდლებიდან იღებს სანთლებს და მიაქვს. გარდა ამისა, მანვე წაიღო ბიბლიოთეკის მაგიდიდან გამადიდებელი შუშები, რომლებსაც მკითხველები ხმარობენ ხოლმეო. მამასახლისთა საბჭომ დაჰკითხა ბატონები შ., ს., და კ. და, რაკი დარწმუნდა, რომ ორ მათგანს, მართლაც, მიჰქონდა ხოლმე ჩუმად ბიბლიოთეკის მაგიდიდან გაზეთები, დაადგინა — ამჯერად დაკმაყოფილდეს იმით, რომ თვითეულს გადაახდევინოს ჯარიმად 10—10 მანეთი, ხოლო რაც შეეხება საკრებულოს წევრ ბ-ნ კ.-ს, საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში ამ უკანასკნელის ხანდაზმულობა და ყურთასმენის უქონლობა, დაადგინა, რომ დაკმაყოფილდეს ბ-ნ კ.-ს ნათესავების გაფრთხილებით, თვალყური ადევნონ ხოლმე მის საქციელს და შთააგონონ მოხუცს ამ საქციელის უხამსობა.

4. 187... წ. 6 დეკემბრის ოქმი. დაესწრნენ მამასახლისები: რ. პ., მ. შ., გ. ა.

1. მოისმინეს მამასახლის მ.-ს განცხადება იმ აყალმაყალის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკრებულოს ბანქოს სათამაშო ოთახში და საკრებულოს წევრების ჩ.-სა და დ.-ს უხამსი ქცევის შესახებ. ამ განცხადების საფუძველზე საბჭომ გამოიძახა ბ. ბ-ები ჩ. და დ. მოწმეებითურთ. საკრებულოს წევრმა ჩ.-მ თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ ნარდის თამაშის დროს დ.-ს კამათელი გაუვარდა. იმისათვის, რომ მას უკეთესი შესაძლებლობა ჰქონოდა დაკარგული კამათლის მოძებნისა, მე განზე გადავდგი დ.-ს სკამი, მაგრამ დ.-მ ვერ შენიშნა, რომ მისი სკამი გადადგმული იყო და წაიქცა. როგორც კი იგი ზეზე წამოდგა, მაშინვე სილა გამაწნა. თავის ჩვენებაში დ-მ აღნიშნა, რომ, ავდექი თუ არა სკამიდან კამათლის ასაღებად, ჩ.-მ სიცილით სკამი განზე გადადგა და უმალვე ხალხში გაერია... მე ვერ შევნიშნე, რომ სკამი გადაადგილებული იყო და არა მარტო უეჭველად წავიქცეოდი, არამედ თავსაც გავიტეხდი, რომ იქვე მდგომ ერთ-ერთ წევრს არ შევე-

ჩერებინე. როგორც კი ზეზე წამოვდექი და მომცინარი ჩ. დავინახე, გაბრაზებულმა სილა გავაწანი.

მოწმე მამასახლისებმა თავიანთ ჩვენებაში დასძინეს, რომ ჩ.-მ სკაბი ხუმრობით გადადგა. ამასთან ესენი ერთმანეთში ფრიად შელაზღანდარებული არიან, როგორც ეს კეთილ ნაცნობებს სჩვევიათო.

მამასახლისთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ დ. და ჩ. ძლიერ იყვნენ ერთმანეთთან დაახლოებულნი და შელაზღანდარებულნი, რომ ისინი მანამდე არასოდეს და არავითარ აყალმაყალში შემჩნეულნი არ ყოფილან, რომ საბჭო იცნობს მათ, როგორც მშვიდ და წესიერ მოქალაქეებს, დაადგინა, ურჩიოს საკრებულოს, რომ ჩაეთვალოს ორივეს სასჯელის მოხდად ის ორი კვირა, რომლის განმავლობაში ისინი უკვე დათხოვნილები იყვნენ საკრებულოდან, წესდების 62-ე მუხლის ძალითა და მამასახლისთა სათანადო განკარგულებით.

2. იმ შეჯახების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხ.-სა და ზ.-ს შორის, დაკითხეს მოწმეებს დ.-სა და შ.-ს. ამათგან დ.-მ განაცხადა, რომ ნარდს ვეთამაშებოდი ხ.-ს. ეს უკანასკნელი ფრიად უკმაყოფილო იყო, რომ ზ., რომელიც ნივრით იყო აყროლებული, მაინცა და მაინც იმ მაგიდას მოუჯდა, სადაც ჩვენ ვთამაშობდით. მართალია, ხ.-მ ეს აშკარად თქვა, მაგრამ მე, დასძინა დ.-მ, არ გამიგონია, რომ ამასთან ერთად მას რაიმე უხამსი სიტყვა ეხმაროს. მოწმე შ.-მ თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ, მართალია, გავიგონე, თუ როგორ უწოდა ხ.-მ ზ.-ს „შან ლაქოთ", მაგრამ მან ეს სიტყვა პირში კი არ მიახალა ზ.-ს, არამედ თავისთვის ჩაილაპარაკა, თუმცა ზ.-ს გასაგონად. მამასახლისთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ხ.-ს საქციელი უნდა მიჩნეულ იქნეს ნამდვილ უხამსობად, დაადგინა, დააჯარიმოს იგი ათი მანეთით.

5. ამონაწერი თბილისის საკრებულოს წესდებიდან, რომელიც დამტკიცებულია თავად ბარიათინსკის მიერ 1860 წლის 12 დეკემბერს.

§ 26. შენიშვნა: მამასახლისთაგან 4 კაცი უნდა ეკუთვნოდეს თავადაზნაურთა წოდებას, ხოლო 4 წევრი — სხვა დანარჩენი თავისუფალი წოდების წარმომადგენელი უნდა იყოს.

§ 56. მოლარის თანამდებობაზე წარდგენილ უნდა იქნას ორი კაცი, რომლებიც კენჭს იყრიან, და ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს მტკიცდება მოლარედ. მოლარის ხელფასს საკრებულო აწესებს.

47. ჩვენი აგრარული ურთიერთობის დასახასიათებლად

ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საკითხს ჩვენს მხარეში, როგორც ცნობილია, შეადგენს აგრარული საკითხი. ადგილ-მამულის მოუწესრიგებელი მფლობელობისა და სარგებლობის მხრივ არა მგონია სხვა ქვეყნებშიც ხდებოდეს იმის მსგავსი რამ, რასაც ადგილი აქვს ჩვენში. გენერალური გამიჯვნა, რომელიც მიისწრაფვის, რომ დაამყაროს მართებული საადგილ-მამულო ურთიერთობანი, ძლიერ ფერხდება იმ გაუთავებელი შეხლა-შემოხლის გამო, რომელიც ერთმანეთში აქვთ, ჯერ ერთი, თვით მიწათმფლობელებს, ხოლო მეორე მხრივ, მიწათმფლობელებსა და გლეხებს. ძალიან იშვიათად თუ გაიმიჯნება რომელიმე მამული ისე, რომ არ ატყდეს დავა გარეშემო მიჯნის შემოვლებისას, ანდა ამ ნაკვეთიდან წილხვდომილი ნაწილის გამო. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ყველა ამგვარ დავას არავითარი საფუძველი არა აქვს და მთელი ეს შეხლა-შემოხლა მონაწილეთა მარტოოდენ პირადი მტრობისა თუ ათვალწუნების შედეგს წარმოადგენს. კარგია თუ კი ისე მოხდება, რომ ამტყდარ გაუგებრობას სწრაფად განიხილავენ სასამართლო ინსტანციებში და მოდავე მხარეების უსიამოვნო განხეთქილება, სადავო ნაკვეთების მფლობელობის გამო, უმნიშვნელო ზარალით აღმოიფხვრება ხოლმე. მაგრამ ჩვენი სასამართლოები ხომ ვერ დაიკვეხნიან სწრაფად მუშაობას? ამიტომაც არის, რომ საადგილ-მამულო დავა ხშირად მეტად სავალალოდ მთავრდება. რაკი წერილობითი საბუთები სადავო მიწის ნაკვეთის მფლობელობის შესახებ მოდავე მხარეებს, უმეტესად, არა აქვთ შემონახული, ისინი ხშირად ყოველგვარ ხრიკებს მიმართავენ ხოლმე, რომ, თუნდაც უსაქციელო მოქმედებით, თავიანთი გაიტანონ. გასაგებია, რომ ასეთი მოქმედება სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ძალადობა.

ასეთი სადავო და სადავიდარაბო მამულის კატეგორიას მიეკუთვნება, აგრეთვე, გორის მაზრის კასპის აგარაკი, რომელიც 1874 წ. გამიჯნეს. ამ მამულის გამო ამტყდარი დავა, სამწუხაროდ, ახლაც არ არის გარჩეული. ამის შედეგია ამჟამად საქმის შემდეგნაირი ვითარება ამ მამულში.

თავადმა ამილახვრებმა, აღნიშნული მამულის ყველაზე თვალსაჩინო თანამონაწილეებმა, ჩამოაყალიბეს 60-მდე კაცისაგან შემდგარი

რაზმი, რომელშიც შედიან თათრები, ოსები, ქისტები და ქართველები.. ურიადნიკის ხელმძღვანელობით მომქმედი ამ რაზმის მოვალეობას შეადგენს: იმის მეთვალყურეობა, რომ, ამილახვართა ნებართვის გარეშე, ვინმემ რაიმეთი არ ისარგებლოს ამ მამულის რომელიმე ნაწილში, იქხება ეს ამილახვართა კუთვნილი ნაწილი, თუ სადავო ნაწილი — სულ-ერთია, და საზოგადოდ — აკრიფოს შემოსავალი საბალახოდახაც. ამ დაქირავებულებმა, რომლებიც კასპის მამულში ყველა მიმართულებით დაძრწიან და ბარონთა და ოპრიჩინინთა ხანას მოგვაგონებენ რუსეთში, შეაშფოთეს ამ მამულის ყველა დაინტერესებული მფლობელი და შიშის ზარი დასცეს იქაურ გლეხებს. რაზმელებს, მაგალითად, ასეთი განკარგულება ეძლევათ: ხვალ დილით, უთენიაზე, გაჩნდით ფარებში, რომელიც დავუშვათ, თავად ერისთავის სარგებლობაშია, და სახამ ფარა არ გამოუშვიათ ფარეხიდან, შეაგროვეთ საბალახო, ვითომდა ეს ფარა ამილახვრების მიწაზე ბალახობს. მხედრებიც გულმოდგინეობას იჩენენ. დანიშნულ დროს სამოცი კაცი, თავიანთი ატამანით სათავეში გაჩნდება ხოლმე აღნიშნულ პუნქტში და, თუ ვინიცობაა მწყემსებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, თვითნებურად იტაცებენ ყოველ ას ცხვარზე 5 ცხვარს და ზეიმით შინ ბრუნდებიან. ეს ერთი, ახლა მეორე მაგალითი. ერთ-ერთმა მხედარმა, რომელმაც ფარეხების რეკოგნოსცირება მოახდინა, მოახსენა მეთაურს, რომ ამა და ამ მწყემსებს სისულელე მოსვლიათ და, წარსულისამებრ, საბალახოც, დავუშვათ, აზნაურ ქარუშიძეების ან ზაალიშვილებისათვის გადაუხდიათ. დაქირავებულთა რაზმი დაუყოვნებლივ ცხენებზე ჯდება და ყიჟინით მიჰქრის უბედური მწყემსისაკენ. ხშირად მათ თან მიჰყავთ ხოლმე, აგრეთვე, სოფელ კასპის მამასახლისი ან მსაჯული, ეს, ასე ვთქვათ, ასაკრები გადასახადისათვის ვითომდა კანონიერების მისაცემად: აქაოდა მხედრებს არავითარი ძალადობა არ უხმარიათ და მწყემსებმაც საბალახო ნებაყოფლობით გაიღესო. კარგი ნებაყოფლობაა, ჩემმა მზემ, თუკი იგი გამოძალულია ველური მუქარითა და, ხშირად, თავაშვებული ბრბოს მიერ გამართული მუშტი-კრივით. დღეს ისინი „ნებაყოფლობით" აძლევენ საბალახოს ერისთავს, ხვალ — ქარუმიძეს, შემდეგ — ზაალიშვილს დაბოლოს, — ამილახვარს!.. გორის მაზრის უფროსის მოადგილესთან აზნაურ ზაალიშვილის მიერ თავად ამილახვრის თვითნებობის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის გამო ეს მოხელე ჩამოვიდა კასპში ამილახვართან მოსალაპარაკებლად დაქირავებული რაზმის შესახებ, მაგრამ ამ შუამავლობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პოლიციის მოხელემ მომჩივანთ გამოუცხადა, რომ თქვენი საჩივრის გარჩევის უფლება პოლიციას არა აქვს, რადგან ეს სასამართლოს საქმეაო. ამასთან, განა ყველაზე უკეთესად სწორედ მაზრის საპოლიციო ხელისუფალთ არ მოეხსენებათ, რომ ამილახვრის ცხენოსანი რაზმის ასეთმა თარეშმა

შეიძლება გამოიწვიოს შეჯახება, რომელიც მკვლელობასა თუ დაჭრის გარეშე არ დამთავრდება, ხოლო ასეთ შეჯახებათა შესაძლებლობის თავიდან აცილება სწორედ პოლიციის პირდაპირი მოვალეობაა.

ამ სავალალო ფაქტებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს რიგი უარესი სამწუხარო მოვლენები, უნდა დაემატოს მთელი სერია ძარცვისა და ქურდობისა სოფელ კასპში, იგოეთსა და სამთავისში. კასპში ღორი დაეკარგათ ქარუმიძეებს, ხბო — ამილახვრებს, მარანი დაურბიეს ერთ გლეხს, იგოეთში დარბეულია: წისქვილი, ერთი ქვრივი ქალის სახლი, ზაალიშვილის ეზოდან წაასხეს ძროხა, სამთავისში დარბეულია: წისქვილი, იგურაძის სახლი და მღვდელ ცხვეტაძის ნალია. იქნებ არც ეს ეხება ადგილობრივ პოლიციას?

48. პოლიტიკური მიმოხილვა

თბილისი, 1880 წ. 5 იანვარი

ყველაზე თვალსაჩინო როლს ბერლინის კონგრესზე[69] დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ლორდი ბიკონსფილდი ასრულებდა. იგი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა ყოველ გადაწყვეტილებას, რომელსაც რუსეთისათვის რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლო. სწორედ ამიტომ მიიღო ბერლინის ტრაქტატმაც ისეთი ფორმა და შინაარსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერც ბალკანეთის ნახევარკუნძულის რომელიმე ეროვნებას და ვერც ერთს იმ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრაში იარაღის ძალით.

ბერლინის ტრაქტატით კმაყოფილი დარჩა მხოლოდ თვითონ ლორდი ბიკონსფილდი, რომელმაც საყოველთაოდ განაცხადა, რომ მე შევაჩერე რუსეთის შემდგომი წინსვლაო; კმაყოფილი დარჩნენ, აგრეთვე, კეთილშობილი ლორდის თანამემამულენიც, რომლებმაც ბრწყინვალე და ჯერ არნახული ტრიუმფი მოუწყვეს თავიანთ პრემიერს. "ოვინისტური ბურანით აღტყინებულთ, მათ არ შეეძლოთ შეენიშნათ, რომ ბერლინში შედგენილ ქაღალდს სრულებითაც არ ძალუძდა ხალხთა ცხოვრების განვითარება შეეჩერებინა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე... ვერც თურქეთს შეეძლო ბედნიერების მინიჭება იმ ხალხებისათვის, რომლებმაც სისხლიანი მსხვერპლი გაიღეს თავისუფლების მოსაპოვებლად და არა იმისათვის, რომ ავსტრიისა და თურქეთის ორმაგი უღელი დაედგათ კისერზე..

ლორდი ბიკონსფილდი, რომელიც უგულვებელყოფდა ევროპული დიპლომატიის მოძველებულ ხერხებს, მოურიდებლად გამოთქვამდა კონგრესზე რუსეთისადმი თავის სიძულვილს. ყოველ თავის მოთხოვნას იგი აშკარად ასაბუთებს სურვილით, რომ რამენაირად ზიანი მივაყენო რუსეთსო; თანაც ყოველივე ამას იგი გამოხატავდა უაღრესად მწვავე ფორმით, რათა რაც შეიძლება ღრმად შეელახა რუსების პატრიოტული გრძნობა. კეთილშობილმა ლორდმა მიაღწია თავის მიზანს... მან რუსეთსა და ინგლისს შორის სიძულვილი ჩამოაგდო.

და ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ორ ხალხს შორის შეიქმნა,

უმთავრესად, ლორდ ბიკონსფილდის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად — რამენაირად ყველასათვის განემარტებინა თავისი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის დამცირებას, რადაც არ უნდა დაჯდეს. პატივცემულმა პრემიერმა, ინგლისის ინტერესების სახით, ყველგან დაბრკოლებანი აღუმართა რუსეთს თავისი განვითარების გზაზე. ამიტომაც არის, რომ რუსეთის წინაშე მხოლოდ ერთი არჩევანიღა არსებობს: ან იგი უნდა იქცეს ინგლისის კეთილდღეობის უზრუნველმყოფელ იარაღად და დარჩეს იმ ფარგლებში, რომლებიც მას ლორდმა ბიკონსფილდმა სამოღვაწეოდ შემოუსაზღვრა, ანდა საკუთარი კეთილდღეობისათვის იზრუნოს და თავი არ შეიზღუდოს იმ ხელოვნური დაბრკოლებებით, რომლებსაც მის მოღვაწეობას უქმნიან. და რაკი ვერც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ უგულვებელყოფს თავის ძირითად მიზანს, რომ იღვწოდეს საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის, ამიტომ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ რუსეთი მოინდომებს ინგლისის ინტერესების სადარაჯოზე დგომას და საკუთარი მიზნების მივიწყებას. ამიტომაც, რუსეთს უეჭველად მოუხდება გალაშქრება წინააღმდეგ ამ თავისი მოქიშპის ინტერესებისა, სადაც და რა სახითაც უნდა გამოვლინდეს იგი.

მაგრამ რაც უნდა მეცნიერული იყოს ეს ინტერესები, პრაქტიკულად მათი გამოხატვა ყოველთვის ხდება ისეთი ფაქტებით, რომლებიც საერთაშორისო შეჯახებებს იწვევს ხოლმე. ამრიგად, ინგლისის უპირველესი შენაძენი, მას შემდეგ რაც სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს, არის ის, რომ მან თავის წინააღმდეგ აამხედრა რუსეთი, ხოლო ეს ამხედრება შეუძლებელია დამთავრდეს სხვაგვარად, თუ არა ომით ახლო ან შორეულ მომავალში.

ჯერ კიდევ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ომი რუსეთსა და ინგლისს შორის მიჩნეული იყო ისეთივე შეუსაბამობად, როგორც ბრძოლა სპილოსა და ვეშაპს შორის. მაგრამ სწორედ ლორდ ბიკონსფილდის მეცადინეობით ბერლინის კონგრესზე, და უკანასკნელის მიერ შემუშავებული ტრაქტატის წყალობით, რუსეთს ამჟამად არ შეუძლია რომ უბრალოდ გაინძრეს და ამით ინგლისი არ შეაშფოთოს, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამით ინგლისის ინტერესები არ შელახოს. ხოლო ეს ინტერესები ახლა რუსეთს წინ ეღობება ყველგან, თვით საკუთრივ რუსეთის ტერიტორიის ფარგლებშიც კი. ჩვენთან, ბათუმში, ლორდ ბიკონსფილდის წინადადებით, შექმნილია ინგლისური საქონლის დეპო, ოფიციალურად ვითომდა ამ საქონლის გასავრცელებლად მცირე აზიის ბაზარზე, ხოლო საიდუმლოდ კი — ამიერკავკასიაში კონტრაბანდისტული ვაჭრობის გასავრცელებლად. ჩვენში, შავ ზღვაზე, იქმნება სამხედრო ფლოტი, რომელსაც შეუძლია საშიშროება შეუქმნას ინგლისელთა

ინტერესებს ხმელთაშუა ზღვაზე; ჩვენში, შუა აზიაში, შესამჩნევი ხდება იმ გავლენის ზრდა, რომელსაც შეუძლია საშიშროება შეუქმნას ინდოეთის იმპერიას და ა. შ. და ა. შ. ამიტომ საბაბი იმისათვის, რომ ინგლისს მოვთხოვოთ ახსნა-განმარტება ნაირ-ნაირი საკითხის გამო, ანდა ‘ბარი მოვდოთ სხვადასხვა გაუგებრობისათვის, რომელთა გადაწყვეტაც დიპლომატიური გზით შეუძლებელია, ამჟამად ბევრზე ბევრია ყველგან და ყოველთვის. ინგლისის პროტექტორატის დაწესებამ მცირე აზიის ‘იმართ და ავღანეთის დაკავებამ ერთმანეთს მიუახლოვა რუსეთისა და ინგლისის საზღვრები და, მაშასადამე, ის ადგილებიც, სადაც შეიძლება, რომ ერთმანეთს ეკვეთონ მოწინააღმდეგე სახელმწიფოები, ისევე ბევრია, როგორც საბაბი შეჯახებისათვის. ამიტომ არის, რომ თუ ჩვენ აქამდე არ შევრკინებივართ ინგლისს, ეს საოცარი მოვლენა უნდა ავხსნათ ჩვენი მთავრობის ღრმა სურვილით, როგორმე განმუხტოს სახელმწიფოს სახალხო და ეკონომიური ძალები დაძაბულობისგან, რომელიც ბოლო ომმა გამოიწვია. მეორე მხრივ, ინგლისიც მეტისმეტად დაკავებულია ომებით აფრიკასა და ავღანეთში. და ამიტომ მას სურს თავისი დიპლომატიური აბეზარობა აშკარა განხეთქილებით განამტკიცოს.

ინგლისმა, ბერლინის ტრაქტატითა და ამ ტრაქტატის მომდევნო 1878 წლის 4 ივლისის სეპარატული ხელშეკრულებით, თურქეთთან ‘ბიღო უდიდესი უფლებები ჩაერიოს მის შინაგან საქმეებში. მაგრამ იმისათვის, რომ ეს უფლებები არ გადაიქცეს მარტოოდენ დიპლომატიური ჩარევის უფლებად, რითაც ადრიდანვე სარგებლობს ინგლისის ელჩი კონსტანტინეპოლში, ამისათვის საჭიროა აქტიური ძალა, ჯერ ერთი მხრივ, სამხედრო ესკადრის სახით, რომელიც კონსტანტინეპოლის ელჩის განკარგულებაში იქნება, და მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებული მებრძოლი არმიის სახით, რომელიც დაბინავდება სადმე ახლო-მახლოს, თუნდაც, მაგალითად, კუნძულ კვიპროსზე...

კვიპროსის დათმობისათვის აღთქმული პროტექტორატი ‘ცირე აზიის მიმართ უნდა ფაქტიურად განხორციელდეს და გამოვლინდეს ადმინისტრაციის გარდაქმნით და ისეთი რეფორმების შემოღებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნად უკეთესი წესების დამყარებას და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს თურქეთის მთავრობას აყენებს სავალდებულო, ასე გასინჯეთ, კაბალურ დამოკიდებულებაში ინგლისის მი‘მართ, რომელსაც არასოდეს ომის გზით არ დაუპყრია თურქეთი და, უფრო მეტიც, არასოდეს მის წინააღმდეგ არც უომნია. თუ კუნძულ კვიპროსის მეგობრულმა დათმობამ ასეთი შედეგი გამოიღო, მაშინ ამან არა‘ცთუ უნდა განაცვიფროს, არამედ კიდევაც უნდა აღაშფოთოს ოტო‘მახთა მთავრობაცა და ოტომანთა მთელი ადმინისტრაციაც და, მაშასადამე, გამოიწვიოს მათში არა მარტო უკმაყოფილების გრძნობა ინგლისელე-

ბისადმი, არამედ, აგრეთვე, სურვილიც, რომ როგორმე თავი დააღწიონ ინგლისელთა მეურვეობას. ამიტომ საკითხი მცირე აზიაში რეფორმების გატარების შესახებ, რომელსაც ასე დაჟინებით აყენებს ინგლისის მთავრობა, ჯერჯერობით ვერ გამოვლინდა ვერც ერთი ისეთი ფაქტით, რომ კაცმა იმედი იქონიოს, მომავალში მაინც გადაწყდება იგი სასურველი მიმართულებითო.

ბეკერ-ფაშას გამგზავრებას მცირე აზიაში, ნაირ-ნაირი ინსტრუქციებით, უთუოდ არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგან ამ ინსტრუქციებს ჩვენები უფრო საჭიროებენ, ვისაც ქვეყნის მმართველობა აბარიათ, და არა — ტურისტი, რომელიც ესტუმრება მათ ყავის მისართმევად.

არანაკლებ საკვალალო დასასრული წილად ხვდა ლორდ ბიკონსფილდის მეორე ბრწყინვალე გასკონადას, სახელდობრ, კონსტანტინეპოლის დაცვას რუსეთისაგან ინდოეთის ჯარების მეშვეობით. დიდი ჭაპანწყვეტითა და მსხვერპლის გაღებით შეძლო ინგლისის მთავრობამ, გადმოესხა კუნძულ მალტაზე დაახლოებით 7000 ინდიელი მეომარი, რომლებიც ევროპის ჰავისადმი სრულებით შეუჩვეველნი იყვნენ და ამიტომ, ყველანი დასნეულებულნი აღმოჩნდნენ. ამგვარმა შეიარაღებულმა ძალამ, რომელიც დაუპირისპირდა ევროპის კონტინენტალურ სახელმწიფოთა კმაყოფაზე მყოფ მილიონიან არმიებს, ვერავითარი პატივისცემა ვერ აღუძრა მათ ინგლისის სამხედრო ძლიერებისადმი და, პირიქით, თავსლაფიც კი დაასხა. მეორე მხრივ, ისიც არის მოსალოდნელი, რომ შვიდი ათასი ინდიელის წარუმატებელმა ლაშქრობამ ევროპაში მაინცადამაინც ვერ გაზარდა ინდოეთის ხალხთა პატივისცემა ინგლისის ძლიერებისადმი; ბუნებრივია, რომ ისინი ახლა დარწმუნდებიან იმაში, რომ ინგლისს, თავისდათავად, არ გააჩნია საკმარისი რაოდენობით საკუთარი ძალები რუსეთთან საბრძოლველად, და რომ იგი იძულებულია ეს ძალები ინდოეთიდან გაიწვიოს. მაშასადამე, თუ რუსეთი დახმარებას აღმოუჩენს ინდოეთს, მაშინ ამ ქვეყნის განთავისუფლება სავსებით შესაძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, და თუ ამასთან ვისარგებლებთ ამ შემთხვევაში მიღებული უცხოური სიტყვებით, ლორდმა ბიკონსფილდმა, რომელსაც სურდა იმპოზიცია მოეხდინა ევროპაში ინდიელთა ჯარებით, სინამდვილეში ძლიერ შეარყია ინგლისის ძლიერების პრესტიჟი ინდოეთში.

თქმა არ უნდა, ბიკონსფილდის სამინისტროსათვის სასიამოვნო იქნებოდა ის აზრი, რომ გამარჯვებამ სეტავაოზე განამტკიცა ინგლისელთა მდგომარეობა აფრიკაში, ხოლო ავღანეთის წარმატებით დაკავებამ მოუპოვა მათ ინდოელთა მტკიცე მორჩილება, — მაგრამ ინგლისის სამხედრო ისტორიის ორივე ამ ბრწყინვალე ეპიზოდმა, ეტყობა, სხვას უფრო

მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე ინგლისელებს. პრინც ლუი ნაპოლეონის სიკვდილმა, რომლის წინასწარმეტყველება თვით ლორდ ბიკონსფილდსაც კი არ შეეძლო, ბევრად გააუმჯობესა საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა და მთელი მისი ყურადღებაც, ამრიგად, საგარეო საქმეებზე იქნა გადატანილი. საფრანგეთი ამჟამად გატაცებულია პროექტების შედგენით თავისი კოლონიებისა და, განსაკუთრებით, ალჟირის გაძლიერების, თუ კიდევ უფრო მტკიცედ მოწყობის, შესახებ. პარლამენტმა ნება დართო, რომ გაიღონ დიდი თანხა რკინიგზის გრანდიოზული პროექტის შესადგენად და განსახორციელებლად ზღვის სანაპიროდან აფრიკის სიღრმეში. ეს, რა თქმა უნდა, გარდუვალად ხელს შეუწყობს საფრანგეთის ზღვაოსნობასა და ვაჭრობას ხმელთაშუა-ზღვაზე, რასაც აგრეთვე გარდუვალად მიჰყვება მარტოოდენ ინგლისის მნიშვნელობის შესუსტება ამ რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფლობს კუნძულებს კვიპროსსა და მალტას.

ავღანეთის შემომტკიცება ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა. კავანიარის მკვლელობა და ავღანეთის თითქმის ყველა ტომთა აჯანყება ინგლისელთა ამოსაწყვეტად ზამთარში, როდესაც მათ აღარ შეუძლიათ მოხერხებულად მიიღონ ხოლმე დახმარება ინდოეთიდან, — გვიჩვენებს, რომ ამ ველურებს სრულებითაც არ სურთ მიიღონ ინგლისის მთავრობის მოწყალება, რომ ისინი ახლაც უწევენ მას წინააღმდეგობას და მომავალშიც გაუწევენ უეჭველად. გენერალ რობერტსის გამარჯვება ქაბულთან ვერ შეცვლის ავღანელ ტომთა საერთო განწყობილებას, ხოლო ავღანისტანის დაკავება წარმოადგენდა და ყოველთვის წარმოადგენს ინგლისისათვის უაღრესად სარისკო წამოწყებას. ამ ხარჯების გამო ინგლისი სრულებითაც არ უზრუნველყოფს თავის ინდურ სამფლობელოებს, არამედ საბედისწეროდ აჩქარებს შეჯახების ვადას ორ მოქიშპე სახელმწიფოს შორის. ახლა უკვე არავისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, თუ სად არის დამარხული ინგლისის ძლიერების აქილევსის ქუსლი. ახლა უკვე სრულებითაც არ არის ნაადრევი ვიფიქროთ, რომ ყოველგვარი სამხედრო შეჯახება რუსეთსა და ინგლისს შორის შესაძლებელია მოხდეს ავღანეთისა და დიდი ბრიტანეთის ინდური სამფლობელოების საზღვარზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მეგობრული დამოკიდებულება რუსეთსა და ინგლისს შორის უნდა შეადგენდეს ორივე ამ სახელმწიფოს მომავალი კეთილდღეობის საფუძველს, რომ ასეთი დამოკიდებულება ერთნაირად აუცილებელია ორივე ქვეყნისათვის და, ამიტომ, მიუხედავად ლორდ ბიკონსფილდის გენიალობისა და ბერლინის კონგრესის შემდეგ მისი ტრიუმფით მიღებისა, ჩვენ როდი გვაქვს საფუძველი არ გავაკეთოთ დასკვნა,

რომ პატივცემულმა პრემიერმა, რომელიც ააცუნდრუკა ბერლინ'ში, იოლად მოპოვებულმა დიპლომატიურმა გამარჯვებამ, მრავალი მძიმე განსაცდელი შეუქმნა თავის სამშობლოს მომავალში, რის შეგნება ინგლისში უკვე დაიწყეს, თუმცა ფატალურად შექმნილი მდგომარეობის შეცვლა ახლა უკვე შეუძლებელია, კიდევაც რომ მიატოვოს ინგლისმა ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკა და დაუბრუნდეს გლადსტონის მშვიდობიან პოლიტიკას.

49. პოლიტიკური მიმოხილვა

თბილისი, 1880 წ. 7 იანვარი

არსებობს ქვეყანაზე ისეთი მადლიანი წოდება და მდგომარეობა, რომ კაცს, რომელსაც იგი უჭირავს, სხვა აღარაფერი დარჩენია, თუ არა არხეინად იყოს და ფხიზლად გამოიყენოს, რაც კი მის გარშემო კარგი ან ავი ხდება. ასეთია, უდავოდ, მაკლერის მდგომარეობა. რაც უნდა ხელსაყრელი იყოს რომელიმე გარიგების შედეგები, საჭიროა დიდი ვაი-ვაგლახი, რომ ამ შედეგებს მიაღწიო, ხოლო, როდესაც მიაღწევ, ძლიერ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ მიიღო ის, რასაც მოელოდი. მაგრამ მაკლერს, რომელიც ამ გარიგებას აწყობს, ამ ამბებთან აღარავითარი საქმე აღარ აქვს...სრულებითაც ნუ იქნება ხელსაყრელი გარიგება არც ერთი მონაწილე მხარისათვის, მაკლერს არც ეს არ ადარდებს, მისთვის მხოლოდ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი, რომ გარიგება რამენაირად მოხდეს, რადგან, ამ შემთხვევაში, იგი ერთნაირად მიიღებს ამ გასამრჯელოს, როგორც მტყუანის ისე მართლისაგანაც. მაკლერი შუამავალია ორივე მხარეს შორის, რომლებსაც სურთ მარტოოდენ ის, რასაც ისინი მაკლერისაგან მოითხოვენ. ამ უკანასკნელს კი „პატიოსნად“ და სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლია დაარწმუნოს ორივენი, რომ მათ უნდა გააკოტრონ ერთმანეთი. და კლიენტებისათვის ამ „ფრიად სასარგებლო“ ოპერაციის ჩატარებისათვის მაკლერი მაინც მიიღებს მადლობასა და გასამრჯელოს.

თავადი ბისმარკი, მთელი თავისი გენიალობის მიუხედავად, პრაქტიკული ადამიანია და ამიტომაც, აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტისას მან თავისთვის მაკლერის როლი აირჩია. ხოლო დავის გადასაწყვეტად კანცლერმა მაღალი მოპირდაპირე მხარეები მოსალაპარაკებლად თავისთან, ბერლინის კანტორაში, მიიწვია. ამასთან, მან წინასწარ განაცხადა რომ მოვიქცევი ისე, როგორც პატიოსანი მაკლერი, ე. ი. შეეცდები, რომ მოლაპარაკება მოხდეს, რადაც არ უნდა დაჯდესო. მართლაც, პატიოსანმა მაკლერმა თავისი გასამრჯელო მიიღო.

თავადი ბისმარკი საყოველთაოდ აღიარებულია ჩვენი დროის ყველაზე გენიალურ პოლიტიკურ მოღვაწედ და თუმცა მან მოახერხა გერმანიის ერთიანობის შექმნა, ე. ი. ისეთი პოლიტიკური კომბინაციის

განხორციელება, რომელიც ბისმარკამდე მიჩნეული იყო მიუღწეველ, რომანტიკულ ფანტაზიად, მიუხედავად ამისა, ეს რომანტიკული წამოწყება სრულებითაც არ წარმოადგენდა რომანს პოლიტიკაში, რომლის შეთხზვა შესანიშნავად ემარჯვება პატივცემულ ლორდ ბიკონსფილდს, ბისმარკის კონკურენტს გენიალობაში. თავადი ბისმარკი არა მარტო მოქმედების კაცია, არამედ უხეში ძალის მოტრფიალეცაა". Beati possidentes" [70] — წამოიძახა მან იმ მშიშარა დიპლომატების საგულისხმოდ, რომლებიც საკუთარი წარმატებებით იყვნენ გაყეყეჩებული. მფლობელობის სიამოვნება, თავად ბისმარკის აზრით, მხოლოდ სისხლითა და მახვილით მოიპოვება. სწორედ ამ ქვაკუთხედზე ააგო მან გერმანიის სიდიადე და საამისოდ მოიშველია არა მგზნებარე ფანტაზია, რითაც ასე დაავადებულია ლორდი ბიკონსფილდი, არამედ სისტემატური თავშეკავებულობის, მარჯვე შემთხვევის შერჩევისა და წმინდა გერმანული სიზუსტით გაანგარიშების უნარი.

პოლიტიკისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, თავადი ბისმარკი თავისი სამშობლოს არსებითი ინტერესების მსახური ხდება. იგი სულაც არ თხზავს პროგრამებს გერმანიის მომავლისათვის, სამაგიეროდ მისი ფიქრი დღენიადაგ ერთ რამეს დასტრიალებს: რა შეიძლება რომ გავიგო აწმყოშიო. უფ. კანცლერი სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ მისი სახელმწიფოს ეს თანამედროვე ინტერესები მართებულად არის დაკმაყოფილებული, ხოლო მათი მომავალი განვითარება მოხდება არა სხვანაირად, თუ არა ხალხის ინტერესების სასარგებლოდო. ამიტომაა რომ, თავად ბისმარკის მოღვაწეობაში შესამჩნევია უაღრესად მკვეთრი გადასვლები ერთი პარტიიდან მეორეში, ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში... თავისი პირადი ოცნებები რკინის კანცლერს სულაც არ მიაჩნია ზეშთაგონებად და ამიტომ არის, რომ იგი არასოდეს ცდილობს განახორციელოს ისინი პრაქტიკაში. იგი არაფერს არ თხზავს, ხოლო თავისი ფანტაზია საღი გონებისადმი აქვს დამორჩილებული. იგი ყოველივეს შეიცნობს გარემოს ღრმა შესწავლით, ხოლო რასაც შეიცნობს ჯერ განიხილავს, შემდეგ გაიაზრებს და გაიანგარიშებს, რა ოდენობის სარგებლობაა ამა თუ იმ ფაქტში და რა ოდენობით არსებობს საშუალებანი ამ სარგებლობის მისაღწევადო. ამიტომ არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ რკინის კანცლერს, ვერ ბიუხვდებიან ხოლმე, თუ რა გეგმები აქვს მას და იმის მაგივრად, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ, ყოველთვის ბრმა იარაღის როლში აღმოჩნდებიან ხოლმე. დახვეწილი დიპლომატიური გონებით განთქმული გრაფი ბეისტი და მისი სასაცილო ბრძოლა თავად ბისმარკის წინააღმდეგ საუკეთესო ილუსტრაციად გამოდგება აქ მოყვანილი აზრისათვის.

თავად ბისმარკის შორსმჭვრეტელობა შედეგია არა შთაგონებისა,

არამედ ღრმა და ფართო გონებრივი შრომისა: სწორედ იმიტომაც აქვს მის გეგმებს ისტორიული ბედ-იღბლის უცილობელი ხასიათი, რომელშიც საკუთრივ ბისმარკისეული მხოლოდ საგანთა ჭეშმარიტი ვითარებისა და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივი შედეგების ნათელი გაგებაა.

რამდენიც არ უნდა ვაკრიტიკოთ და ვაანალიზოთ ბისმარკის მოქმედება ყველა იმ დიდ გარდაქმნაში (გინდა მათი მომზადებისა, გინდა შესრულების მხრით), რომელიც მან ევროპის პოლიტიკურ ორგანიზმში თუ ევროპის მომავალში მოახდინა, ჩვენ მათში ვერ აღმოვაჩენთ ვერც იმის ნიშანკვალს და ვერც იმის პარალელს, რაც ლორდ ბიკონსფილდს ამოქმედებდა, როდესაც იგი დედოფლისათვის იმპერიას ქმნიდა ინდოეთში. ინდოეთის შემომტკიცებით, ინგლისი, მართალია, ცალკერძა, მაგრამ მაინც იმპერიად იქცა და ამ მხრივ იგი აღარ ჩამოუვარდება არც რუსეთს და არც პრუსიას. მაგრამ საკითხავია, რა იმპერიაა ეს იმპერია და რამდენად განამტკიცა მან სახელმწიფოს ძლიერება, ან რა შეცვალა ინგლისის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაში?

ეს ხომ სხვა არაფერი გამოვიდა, თუ არა აღმოსავლური ზღაპარი, გინდა რომანი თუ მოთხრობა, მოჩმახული ინდოეთის ხალხთა მოსატყუილებლად და წაკითხული მეფისნაცვლის მიერ დელში. მან ვერ შეცვალა ვერც ინგლისის ძალები, ვერც ინდოეთის შინაგანი მდგომარეობა, ვერც მისი დამოკიდებულება მეზობლებისა თუ გაბატონებული ტომისადმი. ეს ზღაპარი გამოწვეული არ იყო არც დროის მოთხოვნილებით, არც ინგლისელი ხალხის სურვილით. პირიქით, იგი შეთხზული იყო ამ ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ და დაფუძნებული იყო ლორდ ბიკონსფილდის აკვიატებულ აზრზე, რომ აუცილებელია ინგლისის პრესტიჟი გავაძლიეროთ, ე. ი. შევქმნათ ინდოელთა გონებაში ყალბი წარმოდგენა ინგლისის ძლიერებაზე. პრაქტიკული ადამიანი, როგორიც არის ბისმარკი, უმალვე მოისაზრებდა, რომ დიპლომატების შეცდენა ადვილია, მაგრამ 240 მილიონიანი მოსახლეობის მოტყუილება შეუძლებელი ამოცანაა, რადგან ისტორია არ იცნობს მაგალითს, რომ ასეთ უამრავ ხალხში საკმარისად არ მოიძებნოს საღი გონების ადამიანები, რომლებიც მიხვდებიან, რომ უხეშ სიცრუეს გვეუბნებიანო.

ზემოთქმულის შემდეგ საკვლევით გასაგებია, თუ რატომ არგუნა თავადმა ბისმარკმა ლორდ ბიკონსფილდს ტრიუმფატორის ღირსება ბერლინის კონგრესზე. როგორც პატიოსანი მაკლერი, რომლისთვისაც აუცილებელია მხოლოდ, რომ მიეღწია ისეთი გარიგებისათვის, რომელიც შეაჩერებდა სლავიანთა საქმის წარმატებას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თავადმა ბისმარკმა არც ერთი სიტყვით არ შეაჩერა კეთილშობილი ლორდის ორატორული გატაცება და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ შიგა და შიგ შეარბილა პრემიერის შეურაცხმყოფელი აზრი რუსეთის რწმუნებულთათვის. თავისთვის თავად ბისმარკს არა-

ფერი უთხოვნია; ავსტრიის სასარგებლოდაც არაფერი გამოუტყუებია, მაგრამ, „მარტოოდენ რუსეთისადმი კეთილგანწყობილებისა და მისი სიმშვიდის გამო“, მან დაითანხმა ავსტრია-უნგრეთი, რომ დაიკავოს ბოსნია და ჰერცოგოვინა; თურქეთი, რუსეთი, ინგლისი — ერთხაირად უნდა უმადლოდნენ მას, რადგან უმისოდ ბერლინის კონგრესი[69] უშედეგოდ დამთავრდებოდა, რაც, ბატონ დიპლომატების აზრით, საერთო უბედურებას მოასწავებდა: ომი გაგრძელდებოდა, ევროპის დაშოშმინება შეფერხდებოდა, თურქეთის დაცემა მოახლოვდებოდა, ხოლო რუსეთის მშვიდობიანი განვითარება შეჩერდებოდა მძიმე ომის გამო. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ოკუპაციამ იხსნა ყველანი ამ უბედურებისაგან და, ამასთან, დააბოლოვა ის, რაც მხოლოდ იწყებოდა დამოუკიდებელი რუმინეთის, სერბიისა და ბულგარეთის ჩამოყალიბებით: სახელდობრ, ამ ოკუპაციის წყალობით რუსეთი ფაქტიურად გადაყენებული აღმოჩნდა: იგი აღარ მონაწილეობდა აღმოსავლეთის საკითხის შემდგომი განვითარების განსაზღვრაში. ამიერიდან ეს უფლება, პატიოსანი მაკლერის ჩაურევლად, სრულიად თავისთავად გადავიდა ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის ხელში, რომლის ზურგს უკან საკმაოდ შესამჩნევად გამოიკვეთა გერმანიის იმპერია.

ყოველივე ეს მოხდა ბუნებრივად და უბრალოდ, რუსეთის დიპლომატიის წარმომადგენელთა თანხმობითაც კი. ერთი შეხედვით, ეს მოხდა თითქოსდა შემთხვევით, ყოველგვარი მომზადების გარეშე, მაგრამ განა სინამდვილეში ასეა? ნუთუ აქ თავადმა ბისმარკმა, თავისი სამშობლოს დაუღალავმა მსახურმა, მართლაც დაივიწყა გერმანიის ინტერესები და მარტოოდენ სხვა სახელმწიფოთა მშვიდობისათვის მოაწყო გარიგება, ამასთან იმათთვის, ვისადმიც მას, არც კი აქვს განსაკუთრებული სიყვარული? არაფერი ამდაგვარი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება რომ მოხდეს, სანამ თავადი ბისმარკი ცოცხალია.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ თავად ბისმარკის პრაქტიკულ მიმართულებას საკადრისი მივუზღათ, მაგრამ, ამასთან, შეუძლებელია მოვთხოვოთ გერმანიის კანცლერს, რომ, ნუ იქნები თავგამოდებული გერმანელი და, ვითარცა ასეთი, ნუ დააყენებ შენი ერის ინტერესებს მთელი დედამიწის ყველა ხალხების სარგებლობაზე მაღლა-თქო. რაგინდ ფართო ჰორიზონტებიც არ უნდა ესახებოდეს თვალწინ პრაქტიკოს ბისმარკს, ეს ჰორიზონტებიც უმალვე ჰქრებიან, როგორც კი უფალი კანცლერი თვალს მოავლებს პლანისფერას და გაიხსენებს იმ კვადრატული მილების რაოდენობას, რომელიც ისტორიამ გერმანელთა ტომს არგუნა გასამრავლებლად. ეს ყოვლად დასანანი გარემოება, საყოველთაო სამხედრო ვალდებულებასთან, მჭიდრო დასახლებასთან და მაღალ გადასახადებთან ერთად, განაპირობებს იმ სრულიად ნორჩი და ყველაზე უნარიანი ძალების ემიგრაციულ მოძრაობას, რომლებზეც

დამოკიდებულია გერმანიის კეთილდღეობა. ამისათვის ხელის შეშლა— ეს არის ყოველი გერმანელი პატრიოტის უდიდესი ამოცანა, მაგრამ ხელის შეშლა პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ ახალი, მეზობლად მდებარე მიწა-წყლის შემოერთებით გერმანელთა სამშობლოსათვის. სამწუხაროდ, გერმანელი მოსახლეობის ბირთვი იმყოფება გერმანიის ჩრდილოეთში, სადაც მან უკვე შთანთქა სლავიანთა მრავალი ტომი, რომელიც პომორიეში, მდინარე ლაბესა და ვისლაზე მოსახლეობს. შემდეგ მოდის რუსეთის საზღვარი, სადაც არის ოლქები, რომლებსაც აქვთ უნარი, რომ შეისისხლხორცონ გერმანული კულტურა, მაგრამ საუკუნეობრივი მეგობრობა, რომელიც ამ მეზობელ ხელმწიფეებს ერთმანეთთან აკავშირებთ, დაუშვებელს ხდის აქ სისხლისა და მახვილის არგუმენტაციას. გერმანიის სამხრეთით არსებობს ავსტრია-უნგრეთი, რომელიც სრულებითაც არ არის გერმანული სახელმწიფო: მას ძალიან დიდხანს მართავდა გერმანიის იმპერატორი, რომელმაც, როგორც ცნობილია, თავისი ტიტული კენიგრეცის მიდამოებში დაჰკარგა. ამ სახელმწიფოში არსებობს გერმანელი მოსახლეობით დასახლებული ზოგიერთი ოლქი, როგორც არის ტიროლი და ავსტრიის ერთი საჰერცოგო, ხოლო უფრო შორს, ადრიატიკის ნაპირებამდე, მოსახლეობენ იტალიელები და სლავები, რომელთა გადაქცევა კულტურულ გერმანელებად, თუ პრუსიის ისტორიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ განუხორციელებელი ამოცანაა. ამიტომ თავგამოდებული გერმანელი პატრიოტების აზრით, მთელი კაცობრიობისათვის ხელსაყრელია, რომ არსებული გერმანიის იმპერია გავრცელდეს თვით ტრიესტამდე, ხოლო აქ დაიწყოს გერმანიის უშუალო ვაჭრობა აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთთან. მაგრამ ტრიესტისაკენ მიმავალ გზაზე ძევს ავსტრიის მიწა-წყალი. მისი შემოერთება უომრად იქნებოდა დიპლომატიური ხელოვნებისა და პატრიოტიზმის უმაღლესი მწვერვალი, ხოლო ამისათვის უმჯობესია, თუ მოვახერხებთ და, რამენაირად, გავცვლით მას სხვის მიწა-წყალში, ნაცვლად იმისა, რომ გერმანულ პატრიოტულ ლიტერატურაში დიდი ხანია უკვე ქადაგებენ საკითხს Olsterreich-ის გადაქცევის შესახებ Ostreich-ად, ე. ი. ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს, რომელსაც გერმანელი მოსახლეობის ფრიად მცირე პროცენტი გააჩნია, გადაქცევას აღმოსავლეთის სლავიანთა, უნგრელთა და რუმინელთა სახელმწიფოდ, რომლის დედაქალაქი იქნება კონსტანტინეპოლი. ასეთი ვითარება შექმნის თურმე მშვიდობიან ევროპას და დააკმაყოფილებს ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს, გარდა რუსეთისას, რომლის ინტერესებიც, კაცმა რომ თქვას, არც არის მხედველობაში მისაღები ამგვარი კომბინაციის დროს. ევროპამ საკუთარი მშვიდობისათვის არ უნდა დაუშვას სლავთა შეერთება ერთ სახელმწიფოდ, კიდევ მეტი, — არ უნდა დაუშვას მათი ჩაბოყალიბება დამოუკიდებელ ორგანიზმებად ეროვნებათა მიხედვით და,

რაც მთავარია, რუსეთის მეთაურობით. აქედან ჩნდება მოთხოვნილება გასთიშონ სლავიანები ორ ნაწილად: პოლონელები, ჩეხები და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ყველა ტომი (ამათ უნდა შეუერთდნენ უნგრელები და რუმინელები), რომელთაც სათავეში უნდა ჩაუდგეს ავსტრია დედაქალაქით კონსტანტინეპოლში, რომლებიც უნდა დავაყენოთ ევროპის ინტერესების სადარაჯოზე, ხოლო ეს ინტერესები დავიცვათ რუსეთისაგან, დასახელებული სლავი ტომების კონგლომერატის მეშვეობით. რუსეთმა კი საჭიროა ცოტაოდენ გაიწიოს ურალისაკენ და რაც შეიძლება მოსცილდეს დუნაისა და შავ ზღვას, სადაც რუსეთის ინტერესების ჭაჭანებაც არ უნდა იყოს.

ამ გეგმას, რა თქმა უნდა, ჩვენი მკითხველები დიდი ხანია იცნობენ და ჩვენც იგი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ გავიგოთ, თუ რაში მდგომარეობს გერმანიის ინტერესები, როდესაც იგი აკურთხებს ავსტრია-უნგრეთის წარმატებებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, და როგორ მოუვიდა პატიოსან მაკლერს, რომელმაც ახლახან სასტიკად დაამარცხა ავსტრია-უნგრეთი, როცა იგი გზად გადაეღობა გერმანიის ერთიანობას, ანუ პრუსიის ჰეგემონობას, რომ მან ბერლინის კონგრესზე სავსებით მიივიწყა გერმანია და მარტოოდენ მოწინააღმდეგეთა დაშოშმინებაზე ფიქრობდა.მაგრამ, ამ შემთხვევაში, თავადი ბისმარკი რამდენადმე მიუახლოვდა თავის მეტოქე ლორდ ბიკონსფილდს, რადგან მისებრ ძალიან აჰყვა ფანტაზიას და დაივიწყა, რომ სხვისი ქონების დარიგება, პატრონის თანხმობის გარეშე, ყოველთვის როდია ხელმისაწვდომი. ამიტომ, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნება Ostreich-ი სხვანაირად, თუ არა, ჩვეულებრივი გზით, ე. ი. როდესაც ამა თუ იმ ხალხს სხვის უღელს ადგამენ ხოლმე, მაშასადამე დ ა პ ყ რ ო ბ ი ს გზით. მაგრამ განა უფ. დიპლომატებმა ბერლინის ტრაქტატი იმისათვის შეთხზეს, რომ იგი გახდეს სასტიკი ომის დასაწყისად ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობისათვის, რუსეთსა, გერმანიასა და ინგლისს შორის? ასეთი დასასრული თუ განხორციელდება, იგი საყოველთაო უბედურებად თავს დაატყდება ხალხებს, რომელთა ერთადერთი მისწრაფებაა მშვიდობის განმტკიცება ევროპაში. მაგრამ სხვა დასასრული, რა თქმა უნდა, შეუძლებელია რომ მოხდეს, თუ Drang nach Osten [71] გამოხატავენ სურვილით შთახთქან ბალკანეთის ნახევარკუნძული.

50. გენერალ პოლიაკოვის ცელქობა

თბილისი, 1880 წ. 8 იანვარი

ბოლო წლები მაინცადამაინც სასიკეთო ვერ იყო მისი აღმატებულება სამუილ სოლომონის ძისათვის. საქმე ის არის, რომ ღრმა ეჭვი გამოიწვია ამ კაცის დახელოვნებამ რკინიგზების მშენებლობის დარგში. მარტოოდენ სამხედრო ვითარების წყალობით, რომელთა გამოც, როგორც ცნობილია, ხდება ხოლმე გამონაკლისები, მოახერხა უფ. პოლიაკოვმა თავისი ცოდნის გამოყენება და დუნაიზე მდგომი ჩვენი არმიის გაბედნიერება. სამაგიეროდ, მთელი თავისი ენერგია ს. ს. პოლიაკოვმა, ამ ხნის განმავლობაში მოახმარა საკუთარი მეურნეობის გაუმჯობესებას სარკინიგზო მეურნეობის საშუალებით და, ამ მხრივ, ბრწყინვალე შედეგებსაც მიაღწია. აი, ორი მაგალითი, რომელთა შესახებაც „პეტერბურგსკაია გაზეტა“ [45] მოგვითხრობს:

საქმე ის არის, — წერს ეს გაზეთი, — რომ ს. ს. პოლიაკოვმა დააგირავა კოზლოვ-ვორონეჟის, ორიოლ-გრიაზის და სხვა რკინიგზების ყველა გარანტირებული აქცია, რომლებსაც იგი თითქმის ერთპიროვნულად ფლობს და, ამ გირავნობის საფუძველზე გამოუშვა ბერლინში 36 მილიონი მარკის (12 მილიონი ტალერის) 5-პროცენტიანი ობლიგაცია, რომელთა დაფარვა ტირაჟებით ხდება. ამ გზით მოგებული მთელი თანხა გადავიდა ს. ს. პოლიაკოვის კერძო განკარგულებაში, ხოლო გირაოდ გამოყენებული აქციები შეტანილია პეტერბურგის სახელმწიფო ბანკში განსაკუთრებული ქვითრით, რომელიც ბერლინელ ბანკირებთან ინახება. ამავე დროს, ის ხუთპროცენტიანი გარანტია, რომელსაც ამ აქციების გამო რუსეთის ხაზინა იხდის, იმავე ბერლინელი ბანკირების სეიფებში მიედინება გამოშვებულ ობლიგაციათა კუპონების დასაფარავად.

თუმცა ფინანსიური ოპერაცია ხომ მეორე, უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს საკონცესიო მაგიისას, რომელიც შექმნილია ჩვეხში უცხოური კაპიტალის მოზიდვის სისტემით. პირველი საფეხური იმაში მდგომარეობდა, რომ უფულოდ, კეთილსაიმედობის მეშვეობით, ისესხო რუსეთის ხარჯზე ათობით მილიონი მანეთი და შენს საკუთარ თავს მოახმარო. ამ ხელოვნების აღმოჩენა თუ არა, მისი უზარმაზარ მასშტაბებამდე გაზრდა მაინც გენერალ პოლიაკოვს ეკუთვნის. მაგრამ, ადრე

თუ გვიან, ყველაფერს ბოლო ეღება ხოლმე: ს. ს.-ის კეთილსაიმედობამ, ბოლოს, ვეღარ გაუძლო იმ მხილებებს, რომელიც თან მოჰყვა საზოგადოებრივი აზრის კონტროლს, როდესაც შემოწმდა ბ-ნ პოლიაკოვის ნაყოფიერი (მისი შვილებისათვის) საქმიანობა. ამიერიდან მას უარს ეუბნებოდნენ ახალი რკინიგზების გაყვანაზე, ხოლო შემდეგ რკინიგზის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის რევიზიისათვის უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამაც არ დააყოვნა და ამხილა უამრავი აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება, რომელთა მიზანი იყო რუსეთის ერთიანი გაძარცვა იმ რკინიგზების ექსპლოატაციის საშუალებით, რომლებიც მისი აღმატებულების განკარგულებაში იმყოფებოდა. ასე რომ, სამუილ სოლომონის-ძე, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა — დამიტოვებენ კი ამიერიდან ჩემს განუყოფელ მფლობელობაში იმ ქონებას, რომელიც საკუთარი გარჯით სხვადასხვა დროს მოვტაცე ხაზინასო. საჭირო იყო ზომების მიღება ამ უკანასკნელის გადასალახავად. თუმცა ამგვარი შემთხვევა ჩიხში ჩააყენებდა ბევრ სხვას და აიძულებდა ქრთამისათვის მიეშართა.

თვით ის ქონება, რომელიც ბ-ნ პოლიაკოვს უნდა გადაემალა ხაზინისაგან, ამ უკანასკნელის მიერ უკვე ორგზის იყო გამოსყიდული და, ამასთან, გირავნობაშიც იმყოფებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ისეთი კომბინაციის გამოგონება, რომლის დროსაც, თუ მთავრობის ნებართვით არა, მისგან დაუფარავად მაინც, ხაზინის კუთვნილი გირაო, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო ხაზინის მიერ უკვე გაღებული ხარჯები, ხელმეორედ უნდა დაგირავებულიყო, ამასთან ეს ახლად გაღებული თანხა კვლავ ბ-ნ პოლიაკოვს უნდა ჩაჩხრიალებოდა ჯიბეში. მისმა აღმატებულებამ გადაწყვიტა ეს საკითხი: მან კეთილ ინება შეეკრიბა თავისი აქციები და ჩაებარებინა ისინი შესანახად სახელმწიფო ბანკში. ეს უკანასკნელიც უთუოდ ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ ბ-ნი პოლიაკოვი მას ანდობს თავის თანხებს, რომლებიც სავსებით კმაროდა ბ-ნ გენერლის სარკინიგზო ცოდვების გამოსასწორებლად; არავის აინუნშიც არ ჰქონდა, რომ ს. ს. პოლიაკოვმა დააგირავა გერმანელ ებრაელებთან ქვითარი ამ აქციების კრედიტზე და, ამრიგად, ხელზე მიიღო მათი ღირებულების მთელი თანხა; რომ იგი. მაშასადამე, გაჰყიდის ამ აქციებს სწორედ იმ დროს, როდესაც მთავრობა არხეინად იქნება, რაკი პოლიაკოვს მთელი თავისი ქონება სახელმწიფო ბანკში აქვს მიბარებულიო და, მაშასადამე, იგი ყოველთვის შესძლებს თავისი ქონებით მაინც პასუხი აგოს ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო.

ყველამ იცის ახლა საკონცესიო პრაქტიკიდან, რომ ჩვენი რკინიგზების აქციები ბრინჯაოსია, ე. ი. რომ ამ აქციების საფუძველზე მიღებული ფული სულაც არ არის შეტანილი მშენებლობაში. როგორც წესი, ეს აქციები ჯერ კიდევ გამოშვებამდე გირავდებოდა უცხოელ ბანკირებ-

თან, ხოლო გამოშვების შემდეგ ინახებოდა რომელიმე მეგობრულ ბანკში იმ გირაოებთან ერთად, რომლებიც აღნიშნულია რუბრიკით „სესხი, გაცემული პროცენტიანი ქაღალდების გირავნობით". ნელ-ნელა, გზის მშენებლობასთან ერთად, ე. ი. ხაზინის მიერ საობლიგაციო კაპიტალის თანდათანობით გადახდასთან ერთად, ხდებოდა ამ აქციების გამოსყიდვაც იმ ეკონომიის ხარჯზე, რომელსაც კონცესიონერები ეწეოდნენ სამუშაოთა შესრულების დროს; ხოლო რაც აღარ კმაროდა ამ ოპერაციის დასამთავრებლად, ამ დანაკლისს დაფარავდნენ საექსპლოატაციო შემოსავლის ხელყოფით. სახაზინო ფულის ასეთი გადასვლა სრულიად ჩვეულებრივ პროცესს წარმოადგენს საკონცესიო პრაქტიკის ფულადი მიმოქცევისას, ხოლო საამისო რიცხობრივი მაჩვენებლები შეიძლება ამოიკრიბოს იმ კომისიის შრომებში, რომელმაც შეისწავლა ბ-ნ პოლიაკოვის გზები. მიუხედავად ამისა, ხაზინის ფულით გამოსყიდულმა ამ უიმედო აქციებმა შესაძლებლობა მისცა გენერალ პოლიაკოვს ხელთ იგდოს, და თავის განკარგულებაში მოაქციოს, რკინიგზების ყველა შემოსავალი, რომელიც კი აღნიშნულია ამ აქციებზე, და მათი ექსპლოატაციით კიდევ ერთხელ მიიღოს ასეთივე თანხა. როგორც ცნობილია, როდესაც მთავრობა გარანტიას აძლევდა რკინიგზას, მან მოითხოვა, რომ საჭირო კაპიტალის ერთი მეოთხედი კერძო პირებმა შეიტანონო. ასეთი ხარჯის გამო, ამ უკანასკნელთ ნება დართეს შეექმნათ საზოგადოება, რომელიც ამასთან, გზისათვის გაღებული მთელი თანხის განმკარგულებელი იქნებოდა ამრიგად, აქციონერთა კაპიტალი, როგორც ჩანს, შეადგენს ფონდს, რომელიც უზრუნველყოფს რკინიგზის წესიერ ექსპლოატაციას — ამიტომაც არის რომ გამგეობის ყველა წევრის არჩევა ხდება აქციონერთა საერთო კრებით. კონტროლი გზის გამგეობასა და საამისოდ გაღებული თანხების მიმართ ეკუთვნის იმავე აქციათა მფლობელების კრებას და, მაშასადამე, თვით ეს აქციები, ე. ი. ამ წამოწყებაში მონაწილე ნაწილი, და არა ამ აქციების მფლობელი პერსონალურად, წარმოადგენენ საბოლოო ანგარიშში, გზების სწორი ექსპლოატაციის ნივთიერ გარანტიას. გენერალმა პოლიაკოვმა, რომელმაც თავისი აქციები დააგირავა, ამ საშუალებით სრულად მიიღო კუთვნილი თანხაც, ხოლო თვით აქციების დაფარვა ტირაჟს გადაულოცა — de facso — ამით მან მოახდინა თავისი აქციების განსხვისება, თუმცა ნომინალურად ეს აქციები მასზე ირიცხება და სახელმწიფო ბანკში ინახება. მაშასადამე, როდესაც ამის შემდეგ მისი აღმატებულება წარსდგება ხოლმე მთავრობის წინაშე სამი რკინიგზის აქციონერთა კრების სახით, იგი ამით წარმომადგენლობს სრულებით არა აქციონერებს, არამედ საკუთარ ფიგურას ანუ ცარიელ ტომარას, ანდა, უფრო მორიდებულად რომ ვთქვათ, ფიქციას.

ეს ფიქცია და ფულადი ტომრის სიცარიელე, მეორე მხრივ, მიუთი-

თებენ იმაზე, რომ აქციონერთა კაპიტალი სინამდვილეში წარმოებიდან გაქრა, ხოლო აქციონერთა მონაწილეობა მასში წარმოადგენს, მაშასადამე, არა გარანტიას გზის სწორი მმართველობისას, არამედ—იურიდიულ შეუსაბამობასაც, თაღლითობასაც და საზოგადოების აბუჩად აგდებასაც კი, რადგან, ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ბ. პოლიაკოვი იმედს ამყარებდა საზოგადოებრივ მოუსაზრებლობაზე და ყოველივე მისთანაზე. თვით გენერალი პოლიაკოვი, რომელიც სამი გამგეობის წევრად ითვლება, სხვა არა არის რა, თუ არა თვითმარქვია, რომელიც მთავრობას ატყუილებს და ამასთან ატყუილებს ანგარებიანი მიზნით; რათა დაუსჯელად ისარგებლოს საზოგადოებრივი საკუთრებით.

იქნებ სახელწოდება „თვითმარქვია" საკმარისად ვერ ახასიათებს ს. ს. პოლიაკოვს, მაშინ რაღაა იგი ამ შემთხვევაში? თუ რა ძნელია ამ საკითხზე პასუხის გაცემა, მკითხველს შეუძლია თვითონ განსაჯოს გაზეთ „რუსსკი მირიდან"[24] მოყვანილი ამონაწერით:

დავიწყოთ კანტორის ადგილსამყოფელით, მისამართებით: კოზლოვ-როსტოვის რკინიგზა — „გამგეობა სანკტ-პეტერბურგში, ინგლისური სანაპირო, პოლიაკოვის სახლი"; კურსკი-აზოვის რკინიგზა — „გამგეობა ს. პეტერბურგში, ინგლისური სანაპირო, პოლიაკოვის ბინა"; ორიოლ-გრიაზის რკინიგზა — გამგეობა ს. პეტერბურგში, ინგლისური სანაპირო, პოლიაკოვი". როგორც ხედავთ, ყველაფერი შინაურულადაა მოწყობილი. აქვეა ბავშვთა ოთახები, აქვეა საძინებელი, სასადილო, სასტუმრო და იქვე, შინამოსამსახურეთა ოთახების გვერდით, შეკედლებულია სამი სხვადასხვა „გამგეობა". აბაზანები, ბუფეტები, კლოზეტები, გამგეობანი — ყოველივე ხელთ აქვს მფლობელს, ხოლო ბინის ქირას სამი „გამგეობის" ადგილსამყოფელისათვის, აქციონერები, რა თქმა უნდა, ზუსტად იხდიან ხოლმე და, ამიტომაც, ჯამში ეს ბინისქირა ფრიად მოზრდილ თანხას შეადგენს. გადავიდეთ სამი დამოუკიდებელი გამგეობის თავმჯდომარეებზე. „კოზლოვ-როსტოვის ხაზი — თავმჯდომარე კომერციის მრჩეველი ს. ს. პოლიაკოვი"; „კურსკი-აზოვის ხაზი — თავმჯდომარე სახელმწიფოს ნამდვილი მრჩეველი გენერალი ს. ს. პოლიაკოვი". „ორიოლ-გრიაზის ხაზი — თავმჯდომარე კომერციის მრჩეველი ს. ს. პოლიაკოვი". განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ პირველსა და უკანასკნელ გამგეობაში, ერთი და იგივე სამუილ პოლიაკოვი, მოხსენიებულია კომერციის მრჩეველად, ხოლო მეორე გამგეობაში იგი გვევლინება „გენერლის" როლით. მაშასადამე, სამერთიანი მეთაური სამერთიანი გამგეობისა. განვიხილოთ შემდეგ პოლიაკოვისეულ დირექტორთა ამალა. კოზლოვ-ვორონეჟის რკინიგზის გამგეობაში ისხდნენ პ. დ. სტრემოუხოვი[1], ვ. ი. კისლაკოვსკი და გ. ს. მეიენი, კურსკი-აზოვის გამგეობაში —

---

* საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი.

ვ. ი. კისლაკოვსკი და გ. ხ. მეიენი, ხოლო ორიოლ-გრიაზის გამგეობაში — პ. ვ. სტრემოუხოვი, ვ. ი. კისლაკოვსკი და გ. ხ. მეიენი. ძაშასადამე, პოლიაკოვი გვეელინება სამერთიან გამგეობათა სამერთიანი დირექტორების სამერთიან მეთაურად. რა საოცარი შემთხვევითობაა აქციონერთა „არჩევნების“ პრაქტიკაში! რამდენიმე ათასი აქციონერის სიმპათიები რომ ასე საოცრად ერთმანეთს ემთხვეოდეს, ეს პირდაპირ განმაცვიფრებელია. მარტოოდენ ბ-ნ სტრემოუხოვს, რატომღაც და რაღაც მიზეზის გამო, აწყენინეს: იგი ვერ მოხვდა პოლიაკოვისეული ბინის კურსკი-აზოვის ოთახში და ამიტომ განწირული იყო, რომ დამჯდარიყო მარტო ორ სკამსა და არა სამ სკამს შორის. აქ უნებლიეთ ისმის საინტერესო საკითხი: როგორ უხდის ჯამაგირს ბ-ნი პოლიაკოვი თავის „დირექტორებს“ — ოთახების მიხედვით, თუ ბითუმად „მთელ ამ წამოწყებაში“? უთუოდ ბითუმად. ასე უფრო იაფი ჯდება, ხოლო შემდეგ რაც გინდა იმას უწოდებ, გინდ „დირექტორს“ დაარქმევ, გინდ პარლამენტის წევრს ან აკადემიკოსს, გინდ კლასიკურ მეტოქეს! და ბოლოს, გადავხედოთ, აგრეთვე, გამგეობათა ბიუროების წარმომადგენლებს. კოზლოვ-როსტოვის გამგეობაში საქმეებს განაგებდა ვ. ვ. გრინევსკი. კურსკი-აზოვის გამგეობაში — გრინევსკი ვ. ვ. ხოლო ორიოლ-გრიაზის გამგეობაში — ვ. გრინევსკი. ამრიგად, სამივე რკინიგზა არა თუ ერთსა და იმავე ოთახში იყო მოთავსებული, არამედ ერთსა და იმავე ლურჯ საქაღალდეშიც კი ინახებოდა. აი, სად ხორციელდებოდა მთელი სიმკაცრით „მრავალში ერთიანობის ის ფილოსოფიური პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ ბერძენმა მოაზროვნემ წამოაყენა“.

რა უნდა მოჰყვეს ამას, ძნელი წარმოსადგენი როდია, მაგრამ, ამასთან, საჭიროც როდია; რადგან იმ კომისიის შრომების წყალობით, რომელიც შედგა უმაღლესი განკარგულების საფუძველზე, ჩვენი რკინიგზების ყოველმხრივი შესწავლისათვის, ამ გამგეობათა მოღვაწეობის შედეგები უკვე გამოკვლეულიცაა და გამოხატულიც შემოწმებული ფაქტებით. ავიღოთ „ნოვოე ვრემიადან“ რამდენიმე მონაცემი, გამომჟღავნებული იმ ქვეკომისიის მიერ, რომელიც პოზემკოვსკის თავმჯდომარეობით მუშაობდა ორიოლ-გრიაზის რკინიგზის გამგეობის ანგარიშის გამოსაკვლევად. ე. ი. ერთ-ერთი იმ რკინიგზისა, რომლის აქციებიც მისმა აღმატებულებამ გერმანელ ებრაელებს დროულად გადაულოცა.

„განსაკუთრებულ ყურადღებას ის გარემოებაც იმსახურებს, რომ დროთა განმავლობაში განსხვავება ნავარაუდევ ხარჯთაღრიცხვასა და ექსპლოატაციის ნამდვილ შედეგებს შორის იზრდება მისთვის არასასურველი მიმართულებით. ხოლო ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ, გამოკვლეული შვიდი წლის განმავლობაში, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 3506626 მანეთის წმინდა შემოსავლისა, რკინიგზამ 49699 მანეთის დეფიციტი მოუტანა.

„შემოსავლის მუხლების თანახმად ძნელი მისაკვლევი იყო გამოტოვებული თანხები, რადგან არავინ არ მტრობს ხოლმე თავის თავს, ბაგრამ აქაც კომისიამ, გარდა მეორეხარისხოვანი შეცდომებისა და იმ შემთხვევებისა, სადაც მასალების აშკარად ნაკლოვანება იგრძნობოდა (როგორიცაა, მაგალითად, მასალა სპეციალური ტარიფით ტვირთის გადაზიდვის შესახებ, ხოლო ასეთი ტვირთი წელიწადში გადაჰქონდათ ხოლმე 15 მილიონამდე ფუთი), აღმოაჩინა შემდეგი გამოტოვებული თანხები: მცირე სიჩქარით გადასაზიდი საქონლის შემოსავალში აკლია 200,205 მანეთი, რაც აღმოჩნდა მოგების შედარებისას იმ თანხასთან, რომელიც მიიღება თუ ანგარიშში ნაჩვენებ ფუთვერსთა რაოდენობას გავამრავლებთ სათანადო სატარიფო ქირასთან. შემდეგ, სრულებითაც არ არის ნაჩვენები დაქვითვები თანამშრომელთა ჯამაგირიდან, რასაც გამგეობა თანამშრომლებს ახდევინებდა ნივთების გაფუჭებისა და დაკარგვის გამო, სათბობის გადახარჯვებისა თუ სხვა დაუდევრობათა გამო; არ არის ნაჩვენები შემოსავალი, მიღებული ძველი მასალის გაყიდვით. სადაზღვეევო პრემიები, რომლებიც დამზღვევი საზოგადოებისაგან შემოსდიოდათ, ხანძრისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, — სატელეგრაფო გამოსაღები სამი წლის მანძილზე, 1870—1872 წ. წ., საიჯარო გადასახდელი მიწებსა და სათიბებში. არ არის ნაჩვენები არც ის შემოსავალი, რომელიც გამგეობამ მიიღო სტრუსბერგის 700 დაპატიჟრებული ვაგონის შენახვაში. თუ რა მიზეზითაა ყოველივე ეს გამოტოვებული ანგარიშებში, კომისიამ ვერ იქნა და ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება და, ამიტომ, განზრახული აქვს ეს გამოტოვებული თანხები მიუმატოს ექსპლოატაციის შემოსავალს.

„წევის ხარჯები უკვე აღემატება მილიონს და არათუ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოძრავი შემადგენლობის შრომისნაყოფიერება, არამედ ზოგჯერ ამ უკანასკნელის მიმართ უკუპროპორციულიც კია. მაგალითად, ორიოლ-გრიაზის ხაზზე წევის ხარჯის შეფარდებითობა შეადგენს 43-დან 60-მდე კაპიკს ერთი ვერსის გადარბენაზე, ხოლო სხვა ჩვენებურ რკინიგზებზე ეს შეფარდებითობა მყარად დგას 27-სა და 35 კაპიკზე. კიდევ უფრო არახელსაყრელია პროპორცია იმავე ერთეულის გადარბენისა, თუ ერთმანეთს შევადარებთ თუნდაც მარტოოდენ საწვავის ხარჯებს. ეს ხარჯი, დაწყებული 17 კაპიკით ერთი ვერსის გადარბენაზე, სულ უფრო და უფრო იზრდება და, ბოლოს, 1876 წელს 38 კაპიკს მიაღწია, ხოლო გრიაზი-ცარიცინის გზაზე საწვავის ხარჯი ორჯერ ნაკლებია; კიდევ უფრო ნაკლები, სახელდობრ, სამჯერ ნაკლებია საწვავის ხარჯები მთავარი საზოგადოების გზებზე ან მეზობლად მდებარე ორიოლ-ვიტებსკის გზაზე.

„საქმე ის არის, რომ ქვანახშირით რკინიგზას ამარაგებს ამავე ბ-ნ ბოლიაკოვის „სამხრეთ-რუსეთის ქვანახშირის საზოგადოება“. ეს ქვა-

ნახშირი ცუდი ხარისხისაა, ძვირიც ჯდება, ადგილზეც შეუმოწმებელი, და წონაში იმდენად ნაკლული აღწევს ხოლმე, რომ ზოგჯერ ეს ნაკლულევანება, როგორც ამაში კომისია დარწმუნდა, ვაგონზე 120 ფუთს შეადგენს. ცუდი ნახშირისა და, ამავე დროს, ცუდი ორთქლმავლების წყალობით, ორიოლ-გრიაზის რკინიგზა ორთქლმავლის მწარმოებულ გადარბენაზე ხარჯავს 6,16 კუბ. ფუთს, ხოლო სხვა რკინიგზებზე საწვავის გასავალი შეადგენს 3 კუბ. ფუთს 1 ვერსის გადარბენაზე, ანუ იმავე ერთეულზე. კიდევ მეტი, იმავე ბ-ნ პოლიაკოვის სხვა რკინიგზებზე იგი შეადგენს 4—5,5 კუბ. ფუთს.

„რკინიგზაზე შემოსული საწვავის რაოდენობა, მისი გასავლის მაჩვენებლები და საწვავის ნაშთის ღირებულება წლის ბოლოსათვის გამგეობის ანგარიშებსა და გამგეობის დავთრებში სხვადასხვანაირად გამოიყურება. მაგალითად, 1872 წ. განსხვავება ნაშთის ფასში შეადგენდა 15820 მ. კომისიამ თავის შეკითხვაზე, თუ რა არის მიზეზი ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობისა, ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ მიიღო. რკინიგზის ანგარიშებიდან გამოირკვა ფრიად შესანიშნავი მოვლენა: რევიზიის მიერ შემოწმებულ ყველა წლებში საწვავის გასავალი დაწესებულ ნორმას ყოველთვის აღემატებოდა. ამასთან ყოველწლიურად იზრდებოდა თანხების გასავალი გაცემული პრემიების სახით საწვავის დაზოგვისათვის! უთუოდ, გამგეობის აზრით, გაფლანგვა და დაზოგვა სინონიმები ყოფილა.

„ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ორიოლ-გრიაზის ხაზზე მოძრავი შედგენილობა, თუმცა მის შეკეთებაზე მცირეოდენი თანხა როდი იხარჯებოდა; მაგალითად, 1876 წელს — 271,129 მ. ამასთან ერთად ხარჯავდნენ კიდევ თანხებს სხვისი ორთქლმავლებისა და ვაგონების დაქირავებაზე და ამ სხვისი მოძრავი შედგენილობის რემონტზე. რემონტის შემოწმება თითქმის შეუძლებელი იყო კომისიისათვის, რადგან არ არსებობს ანგარიშგება მატერიალური ბრუნვის შესახებ. იგივე ითქმის განათების, წყალმომარაგების, დაზეთვის, სახელოსნოთა გათბობასა და სხვა ამგვარ სამუშაოებში გაწეული ხარჯის შემოწმებაზე.

სათადარიგო კაპიტალის ყოველწლიურ გადარიცხვათა მუხლშიც კი აღმოაჩინა კომისიამ, რა თქმა უნდა, მთავრობის საზარალოდ და პოლიაკოვის სასარგებლოდ დაშვებული შეცდომა, რომელიც 13643 მანეთს შეადგენდა.

ცენტრალური გამგეობის ხარჯი შვიდი წლის მანძილზე გაიზარდა ხუთჯერ! მიუხედავად იმისა, რომ ელეცის ერთობას, რომელმაც კონცესია ბ-ნ პოლიაკოვს დაუთმო, სრულიად არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ორიოლ-გრიაზის რკინიგზის საქმეებთან, გამგეობის წევრთა

სიაში აქამდე ირიცხება ამ ერთობიდან ერთი დირექტორი, რომლის შესანახადაც ყოველწლიურად ხდება გარკვეული თანხის გადარიცხვა გასავალში. შემდეგ, ჯამაგირი ეძლევა რაღაც „სამეთვალყურეო კომიტეტს“, რომლის არსებობა კონცესიაში ნახსენებიც კი არ არის და რომლის შესაქმნელადაც არავის არ აღუძრავს შუამდგომლობა მთავრობისგან თანხმობის მისაღებად.

„თუმცა გამგეობა ახლა, ადრინდელთან შედარებით, ხუთჯერ უფრო ძვირი ღირს, მაგრამ მის მიერ საქმის წარმოება, ანგარიშგება და ასევე კონტროლი რკინიგზის მოქმედების მიმართ, ისევე არადამაკმაყოფილებელია, როგორც წინათ. კომისიის აზრით, „საქმის წარმოების არსებული წესის თანახმად, როდესაც ერთსა და იმავე პიროვნებას, ერთსა და იმავე დროს აკისრია მოვალეობა რამდენიმე (ორიოლ-გრიაზი, კოზლოვ-ვორონეჟი-როსტოვი, კურსკი-ხარკოვი-აზოვი, როსტოვი) რკინიგზისა და, აგრეთვე, პოლიაკოვის კანტორის საქმეთა მართვა-გამგეობა, ძნელი დასადგენია, თუ რაოდენ უპასუხებს მოსამსახურეთა საქმიანობა მათ შესანახად გაღებულ ხარჯებს. ასევე შეუძლებელია შეამოწმო, თუ რა თანხაა სინამდვილეში გასათვალისწინებელი გამგეობის ბინის ქირად, რადგან ეს გამგეობა იმყოფება იმავე შენობაში, პოლიაკოვის სახლში, სამ პოლიაკოვისეულ რკინიგზასთან და პოლიაკოვისვე კანტორასთან ერთად, ამავე დროს გასავლის ნაწილი, რომელიც უნდა გაიღოს ორიოლ-გრიაზის რკინიგზის გამგეობამ თავისთვის ბინის დასაქირავებლად და შესანახად, დამოკიდებულია ამ გზის გამგეობის დირექტორთა შეხედულებისაგან. ეს უკანასკნელნი კი, ამავე დროს, დანარჩენი სამი პოლიაკოვისეული გზის გამგეობათა წევრები არიან.

„გზისა და შენობათა სარემონტო სამსახური შეადგენს რკინიგზის ექსპლოატაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. გასავალი ამ ნაწილის პირადი შემადგენლობის შენახვაზე გამუდმებით იცვლება ორიოლ-გრიაზის ხაზზე ყოველგვარი აშკარა მიზეზის გარეშე, ხშირად გამგეობისაგან უნებართვოდაც. შემდეგ, უბრალო არითმეტიკული გაანგარიშების გარეშეც, კომისია დარწმუნდა, რომ ანგარიშის თანახმად, ხაზზე ჩაწყობილი რელსების რაოდენობა აღემატება საწყობიდან გაცემული რელსების რაოდენობას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 89306 მანეთის რელსი ერთბაშად ჰაერში აორთქლდა. ასეთივე სავალალო სხვაობაა აღმოჩენილი რელსების განახლებისათვის გაწეულ ხარჯებშიც, ძველი რელსების გაყიდვისას მიღებული ზარალის (!) (რაც არაფრით არ მტკიცდება) გამო და ა. შ. მაგრამ ამ მხრივ, ნამდვილი მარგალიტი მაინც ის არის, რომ შემოწმებისას, ყოველი სიგრძივი ფუტი რელსის საშუალო წონა 0,52 გირვანქით უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, ვინემ ეს ნაჩვენებია ანგარიშში.

„იგივე ამბავია, შპალების მხრივაც. სულ გზაზე 419480 შპალია;

ხუთი წლის მანძილზე ვითომდა ხელახლა დააგეს 403200 შპალი მაშასადამე, გამოდის, რომ ყველა შპალი თითქოსდა ახალია. შემოწმებისას კი, როგორც ეს წინა სტატიაში დავინახეთ, უამრავი შპალი დამპალი აღმოჩნდა. ლიანდაგისა და თხრილების რემონტზე წელიწადში დაახლოვებით 64000 მანეთი იხარჯება, რა თქმა უნდა, ქაღალდზე".

ყოველივე ეს „ობზორის"[3] მკითხველებისათვის სრულებითაც არ არის ახალი, რადგან ჩვენ დიდი ხანია უკვე მივუთითებდით ამგვარი შედეგის გარდუვალობაზე მიღებული საკონცესიო სისტემის დროს. ახალი მხოლოდ ის არის, რომ მოყვანილი ფაქტები ამოკრებილია ოფიციალური დოკუმენტებიდან და, მაშასადამე, წარმოადგენს თითქმის მზამზარეულ საბრალმდებლო აქტს, რომელიც ხაზინას შეუძლია გამოიყენოს, რათა აღადგინოს თავისი საკუთრების უფლება გენერალ პოლიაკოვის მიერ მიტაცებული რკინიგზების მიმართ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ხაზინას დიდი დანაკლისი მოელის, რადგან წინდახედულმა ისრაელმა გენერალმა ყველა ღონე იხმარა თავისი ქონების გადასამალავად, რათა ამით თავიდან აეცილებინა ნივთიერი პასუხისმგებლობა სახაზინო ქონების მტაცებლური გამოყენებისათვის.

51. სიყვარული ბრმაა ვითომ?

უყვარს ს. ს. პოლიაკოვს რუსეთი უყვარს მთელი სულითა და გულით, და სულ იმის ფიქრსა თუ ოცნებაშია, როგორ და რა გზით მოვუტანო ქვეყანას სიკეთეო. სკდება ხაზინის ზანდუკი ს. ს. პოლიაკოვის კეთილისმყოფელობით, გმინავს მთელი რუსეთი, რომელიც მისი აღმატებულების „ძვალსამტვრევით“ მოგზაურობს, გმინავენ ტვირთის გამგზავნები, განსაკუთრებით, წყეულ გრუშევსკი-როსტოვის გზაზე, სადაც გენერალი თვითონ ხელმძღვანელობს საკუთარი ქვანახშირის გადაზიდვას; გმინავენ გენერალ პოლიაკოვის მიერ აშენებული გზების ყველა მოსამსახურე, ყველა რევიზორი, ბოლოს, იმ წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებათა სიმძიმემ, რომელთა შესახებაც ამას წინათ შეველაცადეთ მკრთალი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა ჩვენი მკითხველისათვის*, ილაჯი გაუწყვიტა გზათა რევიზორებს და ისინიც, ბ-ნ პოზემკოვსკის კომისიასთან ერთად, დაეინებით გაიძახიან: „არა, სარკინიგზო მეურნეობა შეუძლებელია კვლავაც იმგვარად განვითარდეს, როგორც ეს სამერთიანმა გენერალმა დააწესა; საჭიროა მთავრობის უშუალო ჩარევა“.

მაგრამ ს. ს. პოლიაკოვი არ შემცბარა. მას კვლავინდებურად უყვარს რუსეთი და კვლავინდებურად სურს რაიმე სიკეთე მოუტანოს ქვეყანას. გენერალი ერთადერთი კაცია, რომელიც ვერავითარ სიბოროტეს ვერ ხედავს იმ თავისთვის ნაყოფიერ მოღვაწეობაში, რომლის შესახებაც ოფიციალური დოკუმენტები, პრესის ორგანოები თუ კერძო პირები, სხვა და სხვა კილოზე ვაი-ვაშს გაიძახიან. უნებლიეთ იფიქრებს კაცი, რომ სიყვარული ბრმა ყოფილაო. მიუხედავად ამისა, ჩვენს სკეპტიკურ საუკუნეში ამ ჭეშმარიტებასაც ახლა უკვე ეპვის თვალით შეხედეს, ხოლო ს. ს. პოლიაკოვის სიყვარულს სულ სხვა სარჩული უპოვეს; ეს აღმოჩნდა, სახელდობრ, სრულებითაც არა სიბეცე, არამედ სხვა მამოძრავებელი ინსტინქტები, რომლებიც მოწმობენ მისი აღმატებულების შორსმჭვრეტელობას, თვითდაჯერებულობას და ა. შ.

მაშ რა უყვარს ს. ს. პოლიაკოვს რუსეთის სახით?

შესანიშნავი ქალაქია ბერდიჩევი და მსგავს ქალაქებს შორის ძას

---

* იხ. „ობზორი“ № 385, სტატია „გენერალ პოლიაკოვის ცელქობა“.

ტოლი არ ყავს, მაგრამ პეტერბურგი კიდევ უფრო უკეთესია. ბერდიჩევში ყველაფერი არის: ყოველ დღე, ყოველ საათსა და ყოველ წუთში აურაცხელი გონებრივი ენერგია იხარჯება სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე, ხალხის უწყინარობის, უქონლობისა და უმწეობის გამოყენებაზე, მაგრამ ბერდიჩევს არ გააჩნია კარგი საზოგადოება, ისეთი, რომელიც ღირსი იქნებოდა, რომ სწვეოდა კონცესიონერს მის სალონებში, ანდა მიეღო იგი ვიზიტად თავისთან. ყველაზე მაღალი ჩინი ბერდიჩევში ეს არის „კვარტალნი" — საპოლიციო უბნის გამგე, და თუმცა ახალი შტატების თანახმად, პოლიცია ყველგან რეორგანიზებული და მეტი რაოდენობითა და უკეთესი ხარისხით არის წარმოდგენილი, სახელწოდება „კვარტალნი" და „ბუდუჩნიკი" ამჟამად ანაქრონიზმია, რადგან შენაცვლებულია სახელწოდებით პოლიციის ოფიცერი და პოლიციელი. მიუხედავად ამისა, პოლიციის ოფიცერიცა და პოლიციელიც ბერდიჩევში ხელმოკლედ ცხოვრობენ, თუმცა მათ ჯამაგირი ადრინდელთან შედარებით ძალიანაც გაუდიდეს. განა შესაძლებელია, რომ მოსამსახურეთა და ოფიცერთა, თუნდაც პოლიციის ოფიცერთა, ცხოვრებაზე ფიქრმა მკითხველს წარმოდგენა აღუძრას იმ ორგიებზე, რაზედაც იუხანცევმა ურთიერთნდობის საკრედიტო დაწესებულებაში მიტაცებული მილიონები გაფლანგა და რასაც ეგოდენ მჭევრმეტყველურად აღწერდნენ ჩვენებური გაზეთები. განა ასეთი დროსტარება შეიძლება სადმე სხვაგან თუ არა ს.-პეტერბურგში? რა თქმა უნდა არა, და ამიტომაც კონცესიონერს სხვაგან არსად ეცხოვრება, თუ არა ს.-პეტერბურგში.

მაგრამ სულაც არ უნდა იფიქრონ მკითხველებმა, რომ ჩვენ გავიხსენეთ იუხანცევი, ამ უკანასკნელისა და ბ-ნ პოლიაკოვის საქმიანობის ერთმანეთთან შესადარებლად! ამ მოღვაწეებს შორის არაფერია საერთო, რადგან ისინი სრულიად განსხვავებული სპეციალობისანი არიან. იუხანცევი, მიუხედავად თავისი სიკოხტავისა, იყო ერთი ტლუ ქურდი, რომელიც იპარავდა და ანიავებდა ფულს იმ განკითხვის ჟამამდე, სანამ ამას გაუგებდნენ. ამიტომაც იგი ყოველდღე ჩავარდნასა და ვლადიმირკის გზით ციმბირში გამგზავრებას ელოდა. იუხანცევის საქციელიც ამიტომ იყო უკიდურესად ცინიკური: იგი თაღლითობდა და იპარავდა ყველას დასანახავად, არ მალავდა თავისი ქცევის სისაძაგლეს და არავითარი ლეგალურობის სარჩულს არ უდებდა იმ ოპერაციებს, რომელთა მეშვეობითაც სხვისი ფული მის ჯიბეში მიედინებოდა. შვილები იუხანცევს არასოდეს ჰყოლია, სახელის მოხვეჭა არ აინტერესებდა და ქონებასაც ვერავის დაუტოვებდა. ამიტომაც იყო, რომ ნაქურდალს იგი აქეთ-იქით ჰფანტავდა ხოლმე. იუხანცევი და გენერალი პოლიაკოვი, რომელიც ამ ქვეყნად თავისი გაჩენის დღიდან, ვითარცა არარსებული მამულის ხელმოცარული მოიჯარე, უდიდესი სიყვარულით იყო გამსჭ-

ვალული თუ რუსეთისა და თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი,—ეს ორი პიროვნება წარმოადგენს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენას ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში. იუხანცევი ყველაფერს, რასაც კი იღებდა, იპარავდა, ე. ი. ჩუმად ამოიღებდა ხოლმე სხვისი ზანდუკიდან და თავის გემოზე ჭამდა და სვამდა. ამასთან, იგი აიძულებდა თავის უფროსებსა და იმ პირთ, ვინც მას მიენდო, რომ თავიანთი ჯიბიდან დაეფარათ იუხანცევის მიერ მოპარული თანხები. საკონცესიო სამყაროში ქურდობას ადგილი არ აქვს; კიდევ მეტი, ამ სფეროში ქურდობას სდევნიან კიდეევაც. აქ ხდება მხოლოდ გაყოფა მარჯვე კონცესიონერის მიერ, იმ სტრატეგიულ თუ ეკონომიურ მოსაზრებათა საფუძველზე, ამოგებული ნადავლისა, რომლებიც მიმართულია ჩვენი სამშობლოს ჯერ კიდევ ხელუხლები სიმდიდრის განვითარებისაკენ. ხსენებულ მოსაზრებებს საკონცესიო ხელმძღვანელობა ჯერ განიხილავს და მოიწონებს, ხოლო შემდეგ, ლეგალური გზით და ნებაყოფლობით, აიძულებს სათანადო დაწესებულებებს, რომ სახაზინო ზანდუკიდან გასცეს ფული ამ მოსაზრებათა განსახორციელებლად და, მაშასადამე, ქურდობაზე აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. დამტკიცებულ მოსაზრებათა ნიადაგზე გაღებული თანხები იხარჯება დანიშნულებისამებრ, ე. ი. იყოფა, აგრეთვე, წინასწარი შეთანხმების თანახმად, თანამონაწილეთა შორის და, მაშასადამე, აქ არც იმაზეა ლაპარაკი, რომ ხელმძღვანელობამ გადაიხადოს კონცესიონერის მაგივრადო. ფულის გაცემისას ყოველი წევრი იღებს იმდენს, რამდენიც მას ეკადრება შეთანხმებისა და დამსახურების მიხედვით. ამასთან იგი, რა თქმა უნდა, არა ერთგზის კიდეევაც ისადილებს და კიდეევაც ისაუზმებს არანაკლებად, ვიდრე იუხანცევი; ამასთან უკმაყოფილოც არავინ რჩება, რადგან ისტორიას ძლიერ ცოტა აქვს შემონახული მეხსიერებაში პროცესები კონცესიის მიმღებ პირთა შორის ამოგებული ნადავლის გაყოფის პირობათა შეუსრულებლობის გამო. ყველაზე მცირე წილი ერგება ხოლმე თვით საქმეს, ე. ი. თვით ასაშენებელ რკინიგზას. მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ამ უკანასკნელს შეამოწმებს მთავრობისეული კომისია და როდესაც იგი მოძრაობისათვის გაიხსნება, იწყება ხოლმე რიგი მხილებებისა, ჩივილის, პროტესტებისა და გმინვა-გოდებისა იმ უწესობათა გამო, რომელიც გაბატონებულია გზაზე, ანდა იმის გამოც, რომ რკინიგზა ცუდადაა აშენებული... მაგრამ ყოველივე ეს ატყდება ხოლმე მაშინ, როცა უკვე გვიანაა! — როცა ანგარიშები ყველა გაწეული ხარჯის შესახებ შეკრებილი, დაბეჭდილი და მოწონებულია აქციონერთა საერთო კრების მიერ; როცა ამ ანგარიშების ეგზემპლარები საჭირო რაოდენობით დაგზავნილია საჯარო ბიბლიოთეკებშიც, ფინანსთა და მიმოსვლის გზათა სამინისტროებშიც, სადაც ისინი, შემოსავლის დავთრებში გატარების შემდეგ, უკვე აკინძულიცაა და სათანადო კარადებში ჩალაგებულიც, და როცა ყოველივე უკვე დამ-

თავრებულია. ამიერიდან რამდენიც სურთ იყვირონ ტვირთის გამგზავნებმა — აკინძული ანგარიშები მათ პასუხს ვერ გასცემენ. ამასთან, ყველა ამგვარი გოდება მხოლოდ იმის დამამტკიცებელია კონცესიონერისათვის, რომ ამიერიდან გადაუდებელ საჭიროებას შეადგენს მოძრავი შედგენილობის გადიდება და რომ ამიტომ საჭიროა მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ახალი სესხისა თუ ახალი თანხების გაღებისათვის. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი კვლავ ძველი წესით გახაწილდება თანამონაწილეთა და თვით საქმეს შორის, რომელსაც ყოველთვის იმაზე ნაკლები ხვდება ხოლმე წილად, ვიდრე საჭიროა.

აქედან ყველაზე გამოუცდელი მკითხველიც კი დაინახავს, რომ იუხანცევის ხელობა საძაგელი ხელობაა, რომელსაც ვლადიმირკის გზით პირდაპირ ურალს იქით მიჰყავს კაცი, ხოლო კონცესიონერების ხელობა, საპატიო ხელობაა, რომელსაც უბრალო ებრაელი ან „დესიატნიკი“ გენერლის ჩინამდე აჰყავს ხოლმე და უზრუნველყოფს მისთვის სერიოზულ კეთილგანწყობილებას იმ მაღალი წოდების პირებისას, რომლებთანაც კონცესიონერს, თავისი წამოწყების მასშტაბების გამო, მუდმივად უხდება თათბირი. გარდა ამისა, კონცესიონერებს მეგობრობენ აგრეთვე ამ მაღალი წოდების პირთა განკარგულებაში მყოფი მოხელეები თუ მწერლები, რომლებიც ვალდებული არიან წერონ კონცესიონერთა ყველა მოსაზრებათა შესახებ. ვაგლახ, კონცესიონერად ნამყოფი კაცი ვერასოდეს დათანხმდება იმას, რომ უბრძოლველად და ნებაყოფლობით უარი თქვას ამ წოდებაზე, უარი თქვას იმისათვის, რომ, მაშასადამე, არარად იქცეს და პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

მაგრამ როგორ გინდათ იყოთ კონცესიონერი, თუკი ახალ კონცესიებს აღარ გაძლევენ, ხოლო ძველი კონცესიების მნიშვნელობის გამოსაკვლევად ისეთ კომისიებს გზავნიან, როგორიც არის ბ-ნ პოზემკოვსკის კომისია? აი, საკითხი, რომელიც უნდა გადაეჭრა ს. ს. პოლიაკოვს, რაკი შეუძლებელი გახდა კვლავაც ისეთი რკინიგზების მშენებლობა, როგორიც არის ვორონეჟ-კოზლოვ-ორიოლ-გრიაზის რკინიგზა? გენერალ პოლიაკოვს შეეძლო, რა თქმა უნდა, გაგულისება იმის გამო, რომ მთავრობა მას აღარ ენდობა, და „ბერლინამდინ წასვლა“, როგორც იგი არაერთგზის დამუქრებია მთავრობას წარსულში, — მაგრამ ამჟამად გერმანიასთან ჩვენ გვაქვს კონვენცია, რომლის თანახმად ორივე მხარე ერთმანეთს გაუცვლის პასუხისგებაში მიცემულ პირთ. მაშასადამე, თუ გენერალ პოლიაკოვის წარსულ მოღვაწეობაში არის სახაზინო ფულის არასწორი გამოყენების შემთხვევები, დამტკიცებული ოფიციალური დოკუმენტებით, მაშინ მისი აღმატებულება არ უნდა დაიძრას არც „ბერლინისკენ“ და არც ბერდიჩევისკენ, არამედ უნდა დარჩეს ს.-პეტერბურგში, სადაც, მაღალი წარმოშობის მფარველთა და განათლებულ მეგობართა დახმარებითა და შემწეობით მას კვლავ შეუძლია მიაღწიოს

თავის ყოფილ საკონსეცეო ძლიერებას. საამისოდ საჭიროა, რა თქმა უნდა, სისტემის შეცვლა. შეუძლებელია ახალი რკინიგზების მშენებლობაზე ლაპარაკი, როდესაც უკვე დამტკიცებულია, რომ ამ საქმეში გენერალ პოლიაკოვის მონაწილეობა ფლანგვითა და საზოგადოების ძარცვით ვლინდებოდა. მაშასადამე, რკინიგზამ თავისი დრო მოჭამა და რუსეთის საკეთილდღეოდ უნდა მიეგნო სხვა მიმოსვლის გზებს, ამასთან უფრო იაფსაც. გენერალ პოლიაკოვს უყვარს რუსეთი და დღენიადაგ მასზე ზრუნავს. ამიტომაც არ გამოჰპარვია უფ. კონცესიონერს, რომ მიმოსვლის გზათა ახლანდელ მინისტრს, ვითარცა მეზღვაურს, უყვარს წყალი და ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენს წყალსავალ გზებს. ასეთ პირობებში სად უნდა ეძებოს კაცმა კონცესიები? რა თქმა უნდა, რუსეთის ეკონომიურ ინტერესთა კანალიზაციაში, რომ შეუფერხებლად წარმართოს ისინი მომავალი კონცესიონერის ჯიბეში. თავისი მძიმე გამოცდილებით, გენერალი პოლიაკოვი დარწმუნდა იმაში, რომ ადამიანები უმადურნი და ბოროტნი არიან, და ამიტომ, თუ გსურს რუსეთის კეთილისმყოფელობა, უნდა აირჩიო ისეთი კუთხე, სადაც ხალხი არ არის და კიდევ დიდხანს არ იქნება... ასე რომ ყველაფერი, რაც კი ამიერიდან იქ რუსეთის საკეთილდღეოდ გაკეთდება, სასურველია დარჩეს გაუმჟღავნებელი, რათა ხსენებული მშენებლობა ამით დაცული იყოს ბოროტი თანამედროვეების კრიტიკისაგან და, ამასთან, მომავალ თაობებსაც ბრწყინვალე ბედი მოუმზადოს.

მხოლოდ ამ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლებოდა, რომ აღძოცენებულიყო კუმი-მანიჩის სიბრტყის სარწყავი სისტემისა და აგრეთვე შავსა და კასპიის ზღვებს შორის საზღვაო კავშირის პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს დონეცკის აუზიდან იაფი ქვანახშირით კავკასიის მომარაგებას. ამ პროექტის მოციქულად ჩვენ თბილისში მოგვევლინა ინჟინერი დანილოვი, რომელიც გენერალ პოლიაკოვის მიერ რუსეთსა და საზღვარგარეთ აშენებულ ყველა „ძვალსამტვრევში" მთავარ ინჟინრად მუშაობდა, და, მაშასადამე, ამ პროექტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც დანილოვისას. ამასთან, ერთი რამ ცხადია, რომ თუ ამ პროექტის ინიციატივა დანილოვს ეკუთვნის, იგი სასარგებლო იქნება მხოლოდ გენერალ პოლიაკოვისათვის, რომელმაც ჩამდინარე წყლის მეშვეობით უნდა აღადგინოს რკინიგზის საქმეების გამო თავისი წყალწაღებული რეპუტაცია. ამიტომ არის, რომ ამ შესავლის გარეშე კუმი-მანიჩის სიბრტყის სარწყავი პროექტის კრიტიკული განხილვა მკითხველისათვის არც სრული იქნებოდა და არც გასაგები.

52. ნავსადგურის სარკინიგზო ნაგებობანი

თბილისი, 1880 წ. 14 იანვარი

ჩვენს გაზეთში, მთელ რიგ სტატიათა საშუალებით, ვცდილობდით განგვემარტებინა ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ხელოვნური ნავსადგური იქ, სადაც არ არის ბუნებრივი, წარმოადგენს აუცილებელ დაბოლოებას დამამთავრებელ დებარკადერს სარკინიგზო ხაზისას, რომელიც ქვეყნის სიღრმიდან ზღვისკენ მიემართება. ამ ჭეშმარიტებას, სამწუხაროდ, ჩვენში არავინ არ ათხოვა ყური და ამიტომაა, რომ ჩვენებური ნავსადგურების მშენებელი დაწესებულებანი რკინიგზის მშენებელ უწყებათაგან გამოყოფილი და გაფანტულია სხვადასხვა სამინისტროებსა თუ მთავარსამმართველოებში, ეითომდა მათი უკეთესი მოვლა-პატრონობისათვის. ასეთი წესის შეუსაბამობა ყველაზე უკეთესად მტკიცდება იმით, რომ ქვეყნის ნავსადგურები სრულებითაც არ პასუხობენ რუსეთის სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებს. გარდა ამისა, ეს შეუსაბამობა იმითაც მტკიცდება, რომ სხვადასხვა უწყებათა მიერ აშენებულ ნაგებობებს არავითარი წარმატება არ აქვს მიმოსვლის გზათა სამინისტროს კონტროლის დროს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვჭირდება: ჩვენშიც, კავკასიაში, პეტროვის ნავსადგურის დაქვიშიანება იმ დღიდანვე დაიწყო, რა დღესაც სამხედრო უწყებამ მისი მშენებლობა დაამთავრა. ამჟამად მიმოსვლის გზათა უწყება გაუთავებლად სწმენდს ამ პორტს ქვიშისაგან და, უთუოდ, იგი ვერც მორჩება ამ ნავსადგურის გაწმენდას საუკუნის დასასრულამდე, რადგან ცნობილია, რომ კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს. ფოთის ნავსადგური, რომლის სწრაფად დამთავრების იმედი ყველას აღგვეძრა, როდესაც იგი გენერალ ფალკენჰაგენს გადასცეს იჯარით, აქამდეც არ არის დამთავრებული, ხოლო თუ ფოთიდან მიღებული ამასწინანდელი კორესპონდენციის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი ჯერ კიდევ დიდხანს შთანთქავს დამატებითს მილიონებს მთავარი საინჟინრო სამმართველოს მოთხოვნით, რომელმაც ამ ნაგებობის მშენებლობა თავის უშუალო გამგებლობაში მოაქცია. მაგრამ ამ ღონისძიებამ, როგორც ცნობილია, საქმე არც დააჩქარა და არც გააიაფა, სავაჭრო ზარალი კი უზომოდ გაზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მილიონები გაიღო ამ

ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამჟამად, თბილისი-ბაქოს რკინიგზის მოსალოდნელ აშენებასთან ერთად, ფოთის საავჭრო ბრუნვა, რომელიც 20 მილიონს აღემატება, უნდა არამცთუ გაორკეცდეს, არამედ გასამკეცდეს კიდევაც. ხოლო, თუ მოწინავე პორტის მშენებლობა ამ დროისათვისაც არ დამთავრდება, მაშინ საქონლის ასეთი დაგროვება ფოთში კიდევ უფრო დიდ ზარალს უქადის საქონლის გამგზავნებს. ამიერკავკასიაში საავჭრო საქონელბრუნვის ზრდის ამგვარი არასახარბიელო პერსპექტივების გამო (რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს საქონელბრუნვის ზრდას ამ მხარის კეთილდღეობის მიზნით), ფრიად საგულისხმოა, რომ გადავხედოთ იმას, თუ რა და როგორ კეთდება ასეთ შემთხვევებში კეთილმოწყობილ ევროპულ სახელმწიფოებში.

აი, რა წერია „მოლვაში“: [72]

„ბ-ნმა ფრეისინემ (რომელიც ადრე, სანამ მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად და უცხო საქმეთა მინისტრად დაინიშნებოდა, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი იყო) 19(31) დეკემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დაწვრილებით მოხსენება წარუდგინა საფრანგეთში მიმოსვლის გზათა გაუმჯობესების შესახებ, შედგენილი უკვე დამტკიცებული პროექტის მიხედვით. ეს პროექტი სამ კანონს შეიცავს: 1. კანონი იმ დამატებითი სარკინიგზო ქსელის ნაგებობათა განაწილების შესახებ, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის; 2. კანონი წყალსავალი გზების ნაგებობათა განაწილებისა და გაუმჯობესების შესახებ; 3. კანონი ნაგებობათა განაწილების შესახებ საზღვაო ნავსადგურებში. იმ ნაგებობათა ასაშენებლად, რომლებიც გათვალისწინებულია სამივე ამ კანონით და, აგრეთვე, იმ სამუშაოებისათვის, რომლებიც 1878 წლის იანვრამდე დაუმთავრებლი დარჩა, საჭიროა დაიხარჯოს დაახლოებით 5 მილიარდამდე ფრანკი და აქედან სამ ნახევარი მილიარდი მოხმარდეს რკინიგზებს, მილიარდი ფრანკი წყალსავალ გზებსა და 500 მილიონი ფრანკი საზღვაო ნავსადგურებს“.

ამრიგად, ბ-ნმა ფრეისინემ საკანონმდებლო გზით მიაღებინა საფრანგეთის პარლამენტს საფრანგეთის ეკონომიური კეთილდღეობის პროგრამა სწორედ იმ სახით, როგორც ეს აუცილებელია, რომ განხორციელდეს კავკასიის ეკონომიური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად შავ ზღვაზე სანაოსნო მიმოსვლის საშუალებით. ეს პროგრამა დაწვრილებით გადმოცემულია „ობზორის“ [3] № 176, 177, 178, 179, 180, 182 და 183 ნომრებში. აქედან, რა თქმა უნდა, ის კი არ გამომდინარეობს, თითქოს ამ პროექტებს შორის რაიმე კავშირი იყოს, რაკი ისინი მსგავსებას ამჟღავნებენ შედგენილობის მხრივ. საფრანგეთს ერთი ამოცანა აქვს, ჩვენ კი სხვა, მაგრამ ეკონომიური განვითარების კანონთა მართებული გაგება, ისევე როგორც გამრავლების ცხრილი, ყოველ სწავლულ-

სა და პროფესორს, წამოყენებულ საკითხზე, ერთნაირად სერიოზულ პასუხს აწვდის. ჩვენ „ობზორის“ სტატიები, სახელდობრ, იმიტომ მოგვაგონდა, რომ ისინი თავის დროზე საზოგადოებამ ყურადღებით წაიკითხა, მაგრამ ამ წაკითხვის შედეგი, უმთავრეს შემთხვევებში, იძით გამოიხატა, რომ წამოყენებული პროგრამა აღუსრულებელ ფანტაზიად იქნა გამოცხადებული, ხოლო თუკი სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის პირველ მინისტრად არჩეული, საფრანგების ეკონომიური კეთილდღეობის განვითარების გრანდიოზულ პროექტს საფუძვლად უდებს ასეთსავე ფანტაზიას, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი ასევე გამოსადეგი იქნებოდა, აგრეთვე, ჩვენი ეკონომიური პროგრესის განვითარებისათვისაც.

53. ლიტერატურული ახალი ამბები

ამას წინათ, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველს, ქართულ ენაზე გამოვიდა პატარა სუფთად გამოცემული წიგნაკი „მეფე მირიანი და წმინდა ნინო", თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა.

ეს წიგნი, თავისი შინაარსით, ისტორიულია და მიძღვნილია ძველი საქართველოს წარსულის იმ ეპიზოდისადმი, როდესაც ჩვენი სამშობლო სპარსელ სასანიდთა დინასტიის ბატონობის ქვეშ მოექცა და მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის — მირიანის მეფობაში, წმინდა ნინოს მეშვეობით, ქრისტიანობა მიიღო. როგორც ხედავთ, ეს წიგნი ფრიად საინტერესოა, ასე რომ მას შეეძლო ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილი დაეკავებინა იმ ახალ გამოცემათა შორის, რითაც, ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე, ჩვენმა მწერლებმა ქართველი საზოგადოება ეგოდენ უხვად დააჯილდოეს. ისტორიული მონოგრაფიები მით უფრო დასაფასებელია, რომ მხედველობაში მისაღებია ქართული საისტორიო მწერლობის ის უაღრესი სიღარიბე და თითქმის სრული უქონლობა რაიმე მეცნიერული მასალისა იმ ბრწყინვალე და მომხიბვლელი პოემის გასაცნობად, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება. საოცარია, ღმერთმანი, კაცი რომ ჩაუფიქრდეს, თუ როგორ გამორჩათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც ამასთან მშობლიური მწერლობის სულისჩამდგმელებიც იყვნენ, ის ძვირფასი მასალა თუ ცნობები, რითაც მათ უნდა გაეცნოთ ჩვენი საზოგადოებისათვის საქართველოს ბრწყინვალე წარსული...

ბ-ნი ბაქრაძე კარგა ხანია ცნობილია ქართულ მწერლობაში, როგორც საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მონოგრაფიის ავტორი. შეუძლებელია არ გაგახაროს იმ ფაქტმა, რომ ეს მონოგრაფიები პატარა და ხელმისაწვდომი ბროშურების სახით დაიბეჭდა და შეუძლებელია მთელი გულით არ უსურვო ამ საქმეს სრული წარმატება. ამასთან, ჩვენ ვალდებული ვართ ერთი შენიშვნა გავაკეთოთ, რომელიც, იმედია, მხედველობაში იქნება მიღებული. საქმე ის არის, რომ პატივცემული ავტორის თხზულებანი, ყველა თავისი ღირსების მიუხედავად, ისეთი ძძიმე, უხეირო და ზოგჯერ იმდენად გაუგებარი ენით არის დაწერილი, რომ თავის მტვრევაც კი გვიხდება ხოლმე ავტორის აზრის გასაგებად. ეს გარემოება ძლიერ ვნებს მონოგრაფიის წარმატებას... ნუთუ პატივცემულ მწერალს ჯერ ის ეშ-

მარიტება ვერ შეუგნია, რომ ერს, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნემდე მოულწევია, შეუძლებელია ხმარებაში ჰქონდეს იგივე ენა, რომელსაც იგი I საუკუნეში იყენებდა. დრო ყოველივეს ცვლის: როგორც ცალკეული პიროვნების ყოფა, ასევე ერის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ცვლიან ხალხის ზნეს და, მასთან ერთად, მის ენასაც. ეს იმით აიხსნება, რომ მეტყველების წესი შეესაბამება ხოლმე ადამიანის გონებრივსა და ზნეობრივ ყოფას. ბ-ნი ბაქრაძე ფრიად სერიოზული განათლების მქონე პირია. ამიტომ იგი უნდა იცნობდეს იმ საზოგადოებას, ვისთვისაც წერს. ქართველი საზოგადოება ჯერ კიდევ ცივილიზაციის არტახებშია და კითხვის წყურვილიც ძლიერ სუსტად შეიმჩნევა მასში. ამიტომ განა განმაცვიფრებელი არაა ის ფაქტი, რომ ამ საზოგადოების განათლებას ცდილობენ წარღვნისწინადროინდელი ენით, რომელიც მხოლოდ ორი-სამი დაყუდებული სპეციალისტისათვის არის გასაგები თუ ხელმისაწვდომი, და რომელიც მასებს კითხვის ხალისს უკარგავს?

თუ ბ-ნი ბაქრაძე შეეცდება, რომ შეავსოს გადმოცემის ნაკლოვანებანი და თავისი ისტორიული ნარკვევები შეადგინოს სადღეისო მსუბუქი და პოპულარული ენით, ამით იგი თავისი თხზულებების წარმატებასაც უზრუნველყოფს და ქართველ მკითხველ საზოგადოებასაც უეჭველ სამსახურს გაუწევს.

54. ლიტერატურული სიახლენი

საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობის მოუწესრიგებლობის წყალობით, მოსკოვის გამოცემების წინა ნომრებზე ადრე დღეს მივიღეთ პეტერბურგის გაზეთების რამდენიმე ნომერი. ასე რომ, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ [39] მაგივრად, სადაც დაბეჭდილია კატკოვის პასუხი ი. ს. ტურგენევის წერილზე, ჩვენ მივიღეთ „ნოვოე ვრემიას“ [25] ის ნომერი, რომელშიც მოტანილია ნაწყვეტები ამ პასუხიდან. ამიტომ ვჩქარობთ „ნოვოე ვრემიადან“ გადმოვბეჭდოთ მთელი ეს სტატია ჩვენი ლიტერატურის ამ საინტერესო ეპიზოდზე, „მოსკოვსკიე ვედომოსტიდან“ მოტანილ ყველა ამონაწერთან ერთად.

„ტურგენევისა და „ინოგოროდნი ობივატელის“[73] ისტორია, ბოლოს და ბოლოს, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მოწინავე სტატიითა და „ინოგოროდნი ობივატელის“ წერილით დამთავრდა. ეს ისტორია სევდიანია და შეუძლებელია იგი, ყოველი შემთხვევისათვის, შეტანილ არ იქნეს ლიტერატურულ წვრილმანთა მატიანეში. თურმე 1863 წელს იყო ისეთი შემთხვევა, როცა ტურგენევს „ცხოველი მადლიერებისა“ და „განუყრელი მეგობრობის“ გრძნობა ავსებდა სწორედ „ინოგოროდნი ობივატელისადმი“, რომელსაც ახლა უწოდებს „პირმოთნეობის ვირტუოზს“— „ახალგაზრდა ბრჭყალთაგან“. ჩვიდმეტი წლის წინათ, ე. ი. 1863 წელს, „ინოგოროდნი ობივატელი“ ახალგაზრდა კი არა, საკმაოდ დარბაისლური ასაკის კაცი იყო და, მაშასადამე, ტურგენევი „მლიქვნელობის ვირტუოზს“ ეფიცებოდა „განუყრელი მეგობრობის“ გრძნობით. როგორც „ინოგოროდნი ობივატელი“ გადმოგვცემს, საქმე ასე არ ყოფილა: „ვირტუოზმა“ შეატყობინა ტურგენევს მის მეგობართა შუამდგომლობის ამბავი სენატის სასამართლოს წინაშე, საიდანაც მას საშიშროება ემუქრებოდა ვინმე ნიჩიპორენკოს ჩვენების გამო, ვითომდა გერცენთან კავშირისათვის. ტურგენევმა ფრანგულად დაწერილი წერილით უპასუხა. ამ წერილის დედანიც და თარგმანიც მოტანილია „მოსკოვსკიე ვედომოსტში“, ჩვენ გადმოვბეჭდეთ მხოლოდ თარგმანი.

„პარიზი, 1863 წლის 18 თებერვალი.

არ შემეძლო მაშინვე მეპასუხა თქვენთვის, ძვირფასო მეგობარო, რადგან მხოლოდ გუშინ დავბრუნდი პარიზში, — რამდენიმე დღით ბრიუსელში ყოფნის შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ

მოგახსენოთ, თუ როგორ ამითრთოლა გული თქვენმა ესოდენ მგზნებარე და მეგობრულმა წერილმა. ჩვეულებრივ, სწორედ მაშინ არ უწვდიან ადამიანს ხელს, როცა მას უბედურება დაატყდება ხოლმე თავს; თქვენ კი ეს ისე სულგრძელად და აშკარად მოიმოქმედეთ, რომ მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: სულითა და გულით მადლობელი ვარ.

ახლა მე სიტყვა „უბედურება" ვიხმარე, მაგრამ სინამდვილეში უხდა მეთქვა „კრამიტი", რადგან ის, რაც მე დამემართა, ისეთივე სულელური მოულოდნელობაა, როგორც კრამიტის თავზე დაცემა. გერცენთან შეთქმულების დაბრალება ჩემი რომანის* გამოსვლისთანავე და ლანძღვით აკლება, წითელი პარტია რომ არ იშურებს ჩემთვის, მეტისმეტად საშინელი რამაა და, სწორედ თავისი შემზარაობის გამო, დამაჯერებლობის გარკვეულ სახეს იღებს. „აქ რაღაც იმალება" — იტყვიან უსაქმურები,— „სხვაგვარად ასეთ ზომებს არ მიიღებდნენ". ზედმეტად მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ არაფერი, სრულიად არაფერი იმალება ამის მიღმა და მე აქაც კი მესმის გაუთავებელი ხარხარი გერცენისა, რომელიც მაისის შემდეგ არ მინახავს და მხოლოდ ამ ზამთრის დასაწყისში ხუთი თუ ექვსი წერილით გამოვეხმაურეთ ერთმანეთს, რომელთაც საბოლოო განხეთქილებამდე მიგვიყვანეს, რადგან ჩვენი შეხედულებები მუდამ განსხვავდებოდნენ. მე ძველთაგანვე ლიბერალი გახლავართ, მაგრამ ასევე ძველთაგანვე ვარ მონარქისტიც, ის კი, თქვენც იცით, ვინცაა.

უთხარით ტოლსტოის**, რომ მე მივიღე მისი წერილი და ხვალ მოვწერ პასუხს: მას შეუძლია ისე გამოიყენოს იგი, როგორადაც მართებულად ჩათვლის...

გთხოვთ მიიღოთ ჩემი მგზნებარე მადლობა და ურყევი მეგობრობის დასტური.

ი. ტურგენევი

„მოსკოვსკიე ვედომოსტიმ" ამ წერილს დაურთო მოწინავე სტატია, რომელშიც ლაპარაკია იმ „შემთხვევაზე", ბ-ნ „ინოგოროდნი ობივატელთან" დაკავშირებით გადაკვრით რომ ახსენებს ტურგენევი. „ვედომოსტის" აზრით, „უმჯობესი იყო თავისი განრისხების დროს ბ-ნ ტურგენევს გარკვევით გადმოეცა რა იცის ფაქტის თაობაზე: რაოდენ სწორიც არ უნდა იყოს მონათხრობი, გადმოცემული ფაქტი უმჯობესია უსაბუთო მსჯელობაზე გაუგებრობის შესახებ". შემდეგ: „ბ-ნი ტურგენევის

---

* „მამები და შვილები".

** იგულისხმება განსვენებული გრაფი ა. კ. ტოლსტოი, რომელიც მაშინ ასევე გულმხურვალედ შუამდგომლობდა ბ-ნი ტურგენევის თავსდასაცემად „კრამიტის" უკუგდებისათვის.

ყოფილი მეგობარი სარგებლობდა ჩვენი ნდობით და იყო ჩვენი გამომ-ცემლობის მუდმივი თანამშრომელი, რომელიც არასოდეს მერყეობდა და სავსებით მართლდებოდა იმ დროიდან, რა დროიდანაც ვიცნობთ მას. მაგრამ, აი, მოხდა შემთხვევა, რომელსაც ბ-ნი ტურგენევი შეეხო და ამით მართლაც მისცა საბაბი ეჭვსა და საყვედურებს, რაც უფრო ახლოს იდგა ადამიანი ჩვენთან, მით უფრო მეტი მომთხოვნელობა უნდა გამო-გვეჩინა მისდამი და ამდენად მკაცრნი ვიყავით ეჭვის გამომწვევი მიზე-ზების შეფასებაში. ჩვენ დავშორდით ერთმანეთს და ვიდრე ჩვენი ურ-თიერთობა აღსდგებოდა, გამოაშკარავდა საქმის მთელი ვითარება და გაქრა ჩვენი აღმაშფოთებელი ეჭვიც. შემთხვევას, რომელზედაც მოგახ-სენებთ, შეგიძლიათ უწოდოთ ყველაფერი — უნიათობა, შეცდომა, დაუფიქრებლობა, მაგრამ არა დანაშაული, რომელსაც შეეძლო ბ-ნი ტურგენევისათვის მიეცა საფუძველი და უფლება მისი გამკილავი საქ-ციელისათვის".

თუმცაღა ხალხისათვის ყველაფერი ესაა terra incognita,[63] ჩვენთვის კი უფრო მეტად საინტერესოა ფაქტი, რომელიც „მამებსა და შვილებს" ეხება. აი, რას მოგვითხრობს „მოსკოვსკიე ვედომოსტი" ბაზაროვის ტიპის ცვლილებაზე, რომელიც ტურგენევმა შეიტანა იმ ჟურნალის გამომცემლის, ე. ი. ბ-ნი კატკოვის რჩევით, სადაც პირველად იხილა ამ რომანმა დღის სინათლე. ეს ჩვენება ეტყობა თვით ბ-ნ კატკოვს ეკუთვნის და არსებობს მისი დაბეჭდილი პასუხიც ტურგენევის მოგო-ნებათა ერთ-ერთ ნაწყვეტზე, რომელიც მისი შემოქმედების სრულ კრებულშია შეტანილი, რის გამოც მას ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. აი ეს სტრიქონებიც:

„ბ-ნ'ა ტურგენევმა შექმნა ბაზაროვი და თვითვე დადაღა იგი ნიღი-ლისტის სახელით. ცხადია, ავტორი არ იზიარებს თავისი გმირის შეხე-დულებებს. თავისი გულითა და გონებით იგი განეკუთვნება მამების ტიპს, სიბარიტ-ესთეტიკოსებსა და ორმოციანი წლების თანდათანობითობის მომხრეთ. ბაზაროვის ტიპი სძულს ავტორს და თანაც ეშინია მისი. ხატავდა რა ნიღილისტის ტიპს, ავტორმა მიანიჭა მას მთლიანობისა და ძლიერების თვისებები, ასე რომ იზიდავს ახალგაზრდათა გონებას. იმ უმნიშვნელო თვისებების უქონლობის გამო, რომლითაც ავტორმა შეამ-კო ეს ფიგურა იმ ჟურნალის გამომცემლის რჩევით, რომელშიც მისმა „მამებმა და შვილებმა" პირველად იხილეს დღის სინათლე. შესაძლე-ბელია ეს ტიპი მთლიანად ნიღილიზმისკენ გადაეხარა ავტორს და იგი, ახალი თაობის იდეალი, უაზრო, გაბოროტებული, გაუხეშებული studi-osus medicinalis[74] გამოვიდოდა. ამ ფიგურის პირველი გამოჩენისთა-ნავე ბაზაროვის ტიპის ადამიანთა ბანაკში განხეთქილება ჩამოვარდა: ერთნი მართლა ტაშს უკრავდნენ ავტორს შესანიშნავი იდეალისათვის, მეორენი — სტვენით შეხვდნენ მას და მიაჩნდათ, რომ ამ ფიგურაში

გამოსჭვივის ავტორის სიძულვილი ახალი თაობისადმი. მაშინ ბ-ნი ტურგენევი დუმდა. მაგრამ გაიარა მრავალმა წელმა. ხელსაყრელ გარემოებათა გამო უამრავმა ნიღილისტმა იბარტყა; მათ დაიპყრეს ჩვენი ლიტერატურა, მათი ხმა რიხით მოეფინა მთელ რუსეთს. მაშინ ამ ხალხისაგან ერთთავად გალანძღული და ყბადაღებული ბ-ნი ტურგენევი წარსდგა ხალხის წინაშე და განაცხადა თავისი ჟეშმარიტი მოწიწება და სრული ერთგულება ბ-ნი ბაზაროვისადმი, ხოლო მისდამი თავისი გრძნობის დასამტკიცებლად, გასცა ჟურნალის გამომცემელი, მოიმიზეზა რა თავისი და გამომცემლის აზრთა სხვადასხვაობა თხზულების ბეჭდვის დროს. მაშასადამე, ბ-ნი ტურგენევის სიმპატია ნიღილისტებისადმი დაადასტურა თვითონ მან და მხოლოდ მან; მაგრამ მათ, ვინც ახლოს იცნობდა ბ-ნ ტურგენევს, და მათ შორის „ინოგოროდნი ობივატელშაც", არ დაუჯერეს, ისინი კვლავ დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ტიპისადმი ბ-ნი ტურგენევი გულში ანტიპატიას გრძნობს და მიაჩნიათ, რომ მას უნდა თანამგრძნობად გამოჩნდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნიღილისტებისაგან წყალობა მიიღოს. „ინოგოროდნი ობივატელი" მუდამ მისი ტალანტის მხურვალე თაყვანისმცემელთა რიცხვს ეკუთვნის. და არაერთხელ მოსვლია ამის გამო ცხარე კინკლაობა ლიტერატურულ ტურნირებზე. სწორედ ამიტომ ეწყინებოდა მას დაენახა ის, რასაც იგი მის „ყირაზე გადასვლას" უწოდებს"...

აი, მთელი მასალა ხალხის მსჯელობისათვის იმ შემთხვევის თაობაზე, რომელიც უცებ აღმოცენდა „მამებისა და შვილების" კომენტარებში; კომენტარებში იმ რომანისა, რომელიც რუსული ლიტერატურის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს არა მარტო როგორც მხატვრული ნაწარმოები, არამედ როგორც ჩვენი უახლესი ისტორიის ერთი გვერდი.

55. ჟიულ ფავრი

ღელაქალაქის გაზეთების დეპეშებმა გვამცნეს, რომ გარდაიცვალა ჟიულ ფავრი, რომელიც უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ასეთ გამოჩენილ როლს ასრულებდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. უცხოური გაზეთები სავსე იქნებიან ამ მოღვაწის დაწვრილებითი ბიოგრაფიებით. მათ მოლოდინში, ზედმეტად არ ვთვლი გავაცნო „ობზორის“ [3] მკითხველებს არენიდან ახლახან წასული გამოჩენილი ორატორის პიროვნება.

კლოდ ჟიულ ფავრი დაიბადა ლიონში, — 1809 წლის 21 მარტს და, ჩვეულებრივი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, დაიწყო მუშაობა ადვოკატად თავის მშობლიურ ქალაქში. მისი პოპულარობის პირველსაწყისი საფუძველი გახდა პროცესი ლიონელ მუშებზე, რომელთაც ბრალად ედებოდათ 1832 წლის შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. პარიზში, სადაც ასამართლებდნენ მუშებს, ჟიულ ფავრი გამოცხადდა როგორც რამდენიმე მათგანის დამცველი. თავისი დაცვითი სიტყვა მან დაიწყო სიტყვებით — „მე რესპუბლიკანელი ვარ“, რაც მეხივით გავარდა ივლისის მონარქიის კეთილსულოვან საზოგადოებას შორის. ამ გამოსვლიდან, რომელიც დიდად არ ბრწყინავდა, ხალხის მეხსიერებას შერჩა მხოლოდ ეს ჟღერადი და იმ დროისათვის გაბედული სიტყვები. მაგრამ სწორედ ამ გაბედული დაწყების გამო ის მალე გახდა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი საყვარელი წევრი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი ჯგუფი საფრანგეთის რესპუბლიკელებისა, მიუხედავად სიმცირისა, გამოირჩეოდა ნიჭით, დიდი ენერგიითა და ძლიერი ხასიათით დაჯილდოებული ხალხით. არმან კარელი, გარნიე-პაჟესი (უფროსი), გოდფრუა კავენიაკი და მათი ლიტერატურული თანამოსაგრენი იპყრობდნენ მთელი ინტელიგენტური საფრანგეთის ყურადღებასა და თანაგრძნობას როგორც აზრის სიღრმით, ასევე, განსაკუთრებით, თავისი ნაწერების ღირსებებითა და გაბედულებით, თავიანთი როლის ბედნიერი გაგებითაც კი. კალმებთან ერთად, მათ ეჭირათ მახვილი და საკუთარი სისხლით იცავდნენ ყოველ თავიანთ მსჯავრს ივლისის მონარქიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. მათი „მებრძოლი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, პუბლიცისტური მოღვაწეობა უნებლიედ იპყრობდა ინტელიგენციის გულებს... მათ ახლოს იდგნენ ახალი ტიპის

ადამიანები: მოაზროვნეები, რომლებიც ოცნებობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებისა და დამოკიდებულებების განახლებაზე, ამ ცხოვრების სიდუხჭირისა და კეთილდღეობის უფრო თანასწორად განაწილებაზე; ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ახალ საზოგადოებრივ თეორიებს და იყენენ მომავალი ცხოვრების პროგრამების და შორეული საზოგადოებრივი ცვლილებების მონახაზთა ავტორები. ისეთი მოაზროვნეები, როგორიცაა ფურიე, სენ-სიმონი, ლუი ბლანი და სხვები, გარს ეხვია ახალგაზრდა ენთუზიასტების ფალანგას, რომელიც არსებული დამოკიდებულებებისა და წესების სწორი და გაბედული კრიტიკით, თავშეუკავებლად ამოძრავებდა მკითხველი საზოგადოების გონებას. შემდეგ, გონების მოძრაობით მდიდარ იმავე 30-იან წლებში, ბეჭდვითი სიტყვის წინა რიგებში იდგნენ ისეთი ამაღლებული და ღრმადნიჭიერი მწერლები, როგორებიც არიან ვიქტორ ჰიუგო, პიერ ლერუ, სენტ-ბევი, ჟორჟ სანდი, ეჟენი-სიუ და კიდევ მასა სხვებისა, რომელთა გონების გაბედული ფრენაც საზოგადოებას ახალ-ახალ ჰორიზონტებს უხსნიდა. ამიტომ, არცაა გასაკვირი, რომ იმ ეპოქის გონებრივი გამოცოცხლება უკიდურეს საზღვრებს აღწევდა და მიუღწეველი დარჩა უახლესი ისტორიის ყველა სხვა პერიოდისათვის.

საკითხავია, როგორ ფიგურად უნდა წარმომდგარიყო ჟიულ ფავრი, ამ აზროვნების და მოქმედების გიგანტების სამყაროში, თავისი საშუალო ძალებით? მას პირველს ხვდა პატივი განეცხადებინა ივლისის მოხარქთათვის, რომ რესპუბლიკელი იყო. მისი სახელი დაუკავშირეს ამ მამაც წამოძახილს და იგი „ცნობილი" გახდა. მაგრამ ნამდვილი, საფუძვლიანი გავლენა თანამედროვეთა გონებაზე მას არ შეიძლება ჰქონოდა. საფრანგეთისათვის ასე მდიდარმა 30-იანმა და 40-იანმა წლებმა გონებრივი ძალების განვითარების თვალსაზრისით, ჟიულ ფავრისათვის ისე ჩაიარა, რომ საშუალო ადვოკატების რიგიდანაც კი არ დაუწინაურებია.

შემდეგ, 1832 წლიდან მოყოლებული 1848 წლამდე, ჟიულ ფავრის სახელს ვეღარ ვხედავთ ვერც პოლიტიკის, ვერც პრესისა და ორატორული სიტყვის ისტორიაში. ამ ბოლო წელს, მართალია, არა პირველ პლანზე, მაგრამ მაინც, იგი წამოიწია და, ჟორჟ სანდთან ერთად, გახდა მეორე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ლედრიუ-როლენის მდივანი. შექმნილი ვითარებისა და ფრაზის „მე რესპუბლიკელი ვარ" ძველი ბრწყინვალების სამადლობელოდ, 1848 წელს, იგი არჩეულ იქნა საფრანგეთის დამფუძნებელი კრების წევრად. აქ მან გაითქვა სახელი იმით, რომ იბრძოდა ნამდვილი რესპუბლიკელების ყოველ მოთხოვნათა და მისწრაფებათა წინააღმდეგ. იგი მხარს უჭერდა ველურ, რეაქციონულ ზომებს, რომლებიც მაშინ მიიღეს ბურჟუაზიულმა რესპუბლიკე-

ლებმა, რითაც ისინი ცდილობდნენ რესპუბლიკასთან შთამომავლობითი არაკეთილმოსურნის მორიგებას.

ძალიან შორს წაგვიყვანდა ჩამოთვლა იმ შეცდომებისა, რომლებიც ჟიულ ფავრმა თებერვლის რესპუბლიკის არსებობის დროს დაუშვა, მით უმეტეს, რომ ეს შეცდომებიც არა მარტო მას, არამედ მისი პარტიის ბევრ წარმომადგენელს ახასიათებს...

„რესპუბლიკის სახელით“ საზოგადოებისა და პრესის ასალაგმავად, ჟიულ ფავრმა და მისმა მეგობრებმა გამოსცეს დრაკონული კანონები, რომლებიც ახალი გამოსავლის მაძიებელთა წინააღმდეგ იყო მიმართული, რამაც მუშათა ფენების დიდი ნაწილი მმართველობის რესპუბლიკური ფორმის წინააღმდეგ განაწყო. ხალხის მასების იმედების ამ გაცრუებით ისარგებლა ნაპოლეონ III, რომელმაც ბურჟუაზიულ ნანგრევებზე, თავისი ტახტის მოწყობა შეძლო.

აი, ახლა იწყება ჟიულ ფავრის მოღვაწეობის ბრწყინვალე ეპოქა. იმ დროს, როცა წინა პარტიების ნამსხვრევების ყველა წარჩინებულნი სდუმდნენ და არ სურდათ ერთგულების ფიცი მიეცათ ახალი იმპერატორისათვის, ჟიულ ფავრი ერთადერთი იყო „ადრინდელი არწივების გუნდიდან“, რომელიც ხმამაღალ მკვერმეტყველად მოგვეელინა ნაპოლეონ III თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მისი სიტყვები არ შეიცავდნენ არაფერს ისეთს, რაც ახალ შუქს მოჰფენდა ქვეყნის პოლიტიკურ ან გონებრივ ცხოვრებას. მაგრამ, ასე თუ ისე, ისინი კარგად და დროულად გაისმა, როგორც ერთადერთი პროტესტის სიტყვა დადუმებულ და დაბეჩავებულ ქვეყანაში. ნაპოლეონ III მინისტრებისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა ჟიულ ფავრის დიალექტიკური სიბრძნის უარყოფა, მით უმეტეს, რომ II იმპერიის ტირანია მისი და მისი მეგობრების ხელებით შექმნილ დადებით კანონებს ემყარებოდა, მაგრამ საფრანგეთის საზოგადოება, იმპერიის სიძულვილის გამო, მაინც ტაშით ხვდებოდა ჟიულ ფავრის ამგვარ თავდასხმებს. განსაკუთრებით მქუხარე გამოდგა სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1858 წლის იანვარში ორსინის დასაცავად, რომელიც შეეცადა თავს დასხმოდა ნაპოლეონ III-ს.

ასე იყო საქმე 1868 წლამდე, ვიდრე საფრანგეთის მოღვაწეთა ახალი თაობა მიხვდა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ამ უშედეგო დიალექტიკურ პაექრობებს და საჭიროა ბარხატის ხელთათმანები მოვხსნათ აკადემიურ ორატორებს.

ამ ახალ მოღვაწეებს სათავეში ჩაუდგა ანრი როშფორი, რომლის უპირველეს ყოვლისა, უმოწყალო სარკაზმა შეარყია II იმპერია. ძას მოჰყვა გამბეტა ახალგაზრდა ტალანტების მთელი პლეადით. 1869 წლის საარჩევნო ბრძოლაში ამ ახალგაზრდობამ პარიზში გაიმარჯვა და ჟიულ ფავრი კინაღამ პარლამენტის გარეთ დარჩა. მხოლოდ რამდენიმე ათე-

ულმა ხმამ გაამარჯვებინა მას ახალგაზრდა მოწინააღმდეგეებზე. მისი შემდგომი მოღვაწეობა, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყველას კარგად ახსოვს. დავძენთ მხოლოდ, რომ კიდევ ერთხელ გამართლდა მშვენიერი ნათქვამი: „კუზიანს, სამარე გაასწორებსო“. 1848 წლის გამოცდილების მიუხედავად, როცა რესპუბლიკური მთავრობის მიერ სახალხო პარტიის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული ზომების შედეგად დაეცა II რესპუბლიკა, ჟიულ ფავრმა 1871 წელს მოიაზრა, რომ საფრანგეთისათვის 1848 წლის რესპუბლიკელთა პოლიტიკა შეეფარდებინა. ყველას ახსოვს მოწოდება, რომლითაც მან საზღვარგარეთის მთავრობებს მიმართა, რათა რადიკალების წინააღმდეგ საერთო და დაუნდობელი ზომები ყოფილიყო მიღებული. ეს იყო გედის სიმღერა წმინდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა „დიდი“ ორატორისა...

„წმინდა რესპუბლიკელების“ თანამედროვე თაობა, გამბეტას მეთაურობით, ბევრად უფრო აზრიანი და კეთილგონიერი გამოდგა ვიდრე 1848 წლის თაობა. მათ გადაწყვიტეს, მიუხედავად ნამდვილ რადიკალებთან არასოლიდარობისა, სისულელეა რესპუბლიკის წინააღმდეგ მათი შეიარაღება, რადგან ჯერ მონარქიული პარტიები იყო მოსავლელი. ამიტომ, მან თავაზიანად ჩააბარა არქივს, ანუ საფრანგეთის სენატს, ჟიულ ფავრის მსგავსი ხალხი.

ჟიულ ფავრის სიკვდილი, არსებითად, ჩვეულებრივი თანაგრძნობის „რიტორიკული“ ცრემლების გარდა, არაფერს არ გამოიწვევს. ეს ამბავი არავის დაამწუხრებს და არ დატოვებს შესამჩნევ ხარვეზს პოლიტიკურ სამყაროში, რადგანაც ჟიულ ფავრი, თავისი ქვეყნის პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრებისათვის, თავის სიკვდილზე ბევრად ადრე იყო მკვდარი.

56. პრესის მოლჩალინები

თბილისი, 1880 წ. 19 იანვარი.

„მიზნად დაისახეთ დაუმტკიცოთ ადამიანს, რომ ის ადამიანია და ამ თითქოს უმარტივესი საქმის შესასრულებლად გულიდან სისხლით უნდა დაიწრიტო“, — თქვა შჩედრინმა...

ჩვენ არასოდეს შევეხებოდით არც „დროებას“ [2] და არც მის ძიერ დაბეჭდილ სტატიებს, დარწმუნებული რომ ვიყოთ, საზოგადოება მაინც სათანადოს მიუზღავს ყველა იმ გამოხდომას, რომელიც თავის თავს, თავხედურად, „საგაზეთო სტატიას“ უწოდებს. მაგრამ ვარდი ხომ უეკლოდ არავის მოუკრეფია: იმ ფრიად სასიხარულო მოვლენას, რომ, სახელდობრ, მასებს ბრმად სწამთ ბეჭდვითი სიტყვის ალალმართლობისა, აქვს მეორე მხარეც, რომელიც აშკარავდება ხოლმე მაშინ, როცა ხედავ, თუ ზოგიერთები როგორ ბოროტად იყენებენ ამ რწმენას, როგორ ექსპლოატაციას უწევენ მას; ბავშვივით მიმნდობ საბრალო საზოგადოებას, პურის ნაცვლად, როგორ უსირცხვილოდ აწოდებენ ხოლმე ქვას... ასე მაგალითად, იმ უსიამოვნო შთაბეჭდილების გაელენით, რასაც ახლა ზოგიერთებს ჰგვრის მოგონება „დროება“ — „ივერიის“ [22] ყოფილ ბედკრულ რედაქტორზე, დავით ჩქოტუაზე (რომელიც მკვლელობისათვის კატორღაში გაგზავნეს), ხსენებული გაზეთის აწინდელი რედაქცია ჩვენს საზოგადოებას უქადაგებს — საკუთარ მსჯავრს ნუ იქონიებ, უმჯობესია ბრმად იწამო ის დასკვნები, რომელსაც ჩვენი „უბადლო ორგანო“ მოგაწვდის ხოლმეო. ხოლო ეს უკანასკნელი კი გარინდებულა და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, ლაქიასავით, რომ ჩქოტუა „დამნაშავეაო“, თუ კი სხვის პირიდან მოჰკრა ყური ამ სიტყვას, რადგან ეს დამნაშავე კაცი მხოლოდ შემთხვევით არ გახდა ამ გაზეთის ნამდვილი რედაქტორი.

სტატია, რომელიც ეს-ეს არის ჩვენს გაზეთში „დროებიდან“ გადმოვბეჭდეთ, რა თქმა უნდა, თვითონვე ამხელს თავის თავს... ჩვენ არ ვაპირებთ იმ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას, რომელიც მას ახასიათებს, ვითარცა ლიტერატურულ თხზულებას და არც მისი კერძო ხასიათის შეცდომებისათვის ‘ბარის მოდებას... ეს სტატია თვითონვე დაანახ-

ვებს მკითხველს, თუ ქართული გაზეთის რედაქცია ფრიად დოქტრინალური ტონით რა წარმოუდგენელ თეორიებს ქადაგებს.

მიზანი ამ წერილისა, რომელსაც ახლა „დროებიდან“ ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ, ფრიდ მარტივი და აშკარაა. იგი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

„ხალხნო და ჯამაათნო! უფლებას არ გაძლევთ, რომ იაზროვნოთ! თქვენ ნება არ გაქვთ, უთხრათ ნამდვილ მკვლელს, რომ შენ ხარ მკვლელიო. ამასთან, სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ყველანი ბრიყვები ხართ და რომ სწორედ ამ ბრიყვობის გამო შემდეგში უდანაშაულო კაცს უეჭველად დამნაშავედ გამოიყვანთ“...

იმისათვის, რომ ამ სტატიის ჩვენებური განმარტება შევადაროთ თვით განსამარტებელ საგანს, რომელსაც ეს სტატია ეხება, აქვე ვაქვეყნებთ მის თარგმანს:

„ასათიანის მოკვლის თაობაზედაც სწორედ იმ ნაირად მოქმედობენ ზოგიერთები, როგორც მოქმედებდნენ ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლის დროს; როგორც მაშინ დაასწრეს სასამართლოს და თავის გადაწყვეტილება გამოაცხადეს, როგორც მაშინ იკისრეს „სისჩიკის“ როლი, ისეც ახლა. არათუ ლიტერატურას, ჩვენის აზრით, კერძო კაცსაც არ შეშვენის ამისთანა უმადური როლის თავის-თავზე კისრება, ამისთანა სულწასული მოქმედება.

კაცმა კაცი მოკლა. ამ მოკვლაზედ გამოძიება არის დანიშნული. მხოლოდ პოლიციისა და სასამართლოს საქმეა ნამდვილ დამნაშავის აღმოჩენა და ბრალდებულთა სკამზე დასმა ამ დამნაშავისა. მხოლოდ კეთილ სინდისიან გამოძიებას და ყოველისმხრივ საქმის გაჩხრეკის შემდეგ, სასამართლოს, და არა სხვას ვისმე, შეუძლია სთქვას: „აი ეს არის დამნაშავე! ეს უნდა იქნეს დასჯილი!“

მართალია, შეიძლება გარეშე პირიც, ლიტერატურაც, რომელთაც ამ გვარ საქმის თაობაზე არავითარი გამოძიება არ მოუხდენიათ, არაფერი არ გამოუკვლევიათ, იქნება არც ერთი ხელმოსაკიდებელი საბუთიც არ ჰქონდეს, შეიძლება ეს გარეშე პირი და ლიტერატურაც არ შესცდეს ხანდისხან, როდესაც იტყვის — აი ეს არის ამ საქმეში დამნაშავეო! მაგრამ, ხშირად ისიც შეიძლება, რომ ის შესცდეს, რადგან როგორც მოგახსენეთ, იმას გამოძიება არ მოუხდენია, თავის სიტყვის დასამტკიცებელი საბუთი არა აქვს, რადგან ის მოქმედებს ამ შემთხვევაში ისე, როგორც უსინათლო ოთახში რისიმე მაძებარი კაცი, უფაქტოდ, მხოლოდ თავის მოსაზრებაზედ და უსაფუძვლო რწმენაზე დამყარებული.

ჩვენ რომ იდეალური გამომძიებელნი და მოსამართლენი გვყავდნენ, მაშინ სულ სხვაა, მაშინ ამგვარ წინადასწრებას სასამართლოსას, ამ გვარ წინათვე დამნაშავის მითითებას არავითარი გავლენა არ ექნება ჭეშმარიტების აღმოჩენაზე. მაშინ მოსამართლენი ყურადღებას არ მიაქცევენ

იმას, რასაც საზოგადოებაში ანუ ჟურნალ-გაზეთებში ამბობენ. მოსამართლენი მოიქცეოდნენ ისე, გამოიკვლევდნენ და გადაწყვეტდნენ ამ საქმეს ისე, თითქო არა იციან-რა, თითქო პირველად ცნობულობენ სასამართლოში ამ საქმეს.

მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ ჩვენი მოსამართლენი ისეთივე ხორცშესხმული ადამიანები არიან, როგორც ყოველი კაცი; საზოგადოების აზრს, ჟურნალ-გაზეთების წინასწარ მოსაზრებასა და მსჯელობას იმათზედაც ისეთი გავლენა აქვს, როგორც საზოგადოდ ყველაზედ, და ამის გამო ადვილად შესაძლებელია, რომ იმათ, თვით საქმის განხილვამდინ, გამოძიების გაცნობამდინ, შეადგინონ წინასწარი აზრი რწმენა რომელსამე საქმეზე, დანაშაულობაზე.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ დ. ჩქოტუას ფეხი არ უდგია-მეთქი ნ-ნო ანდრეევსკის ქალის მოკვლაში; არც იმას ვამტკიცებთ, რომ ღვინიაშვილს ასათიანი არ მოეკვლას. ამ ორ შემთხვევაში არც საზოგადოება და არც ლიტერატურა მოტყუებულან თავის წინასწარად გამოთქმულს აზრში, დამნაშავის პირდაპირ მითითებაში. ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ მხოლოდ იმას, რომ ეს სისტემა ცუდი და მავნებელი სისტემაა; ჩვენ ვამბობთ, რომ პატიოსან და წინდახედულ კაცსა და გაზეთს არ შეშვენის ჯერ, სანამ ნამდვილი ფაქტები არ აღმოუჩენია სასამართლოს და ბეჯითად არ დამტკიცებულა ვისიმე დანაშაული, ქადაგება და ღრიალი, რომ „აი ეს დამნაშავე, სტაცეთ ამას ხელიო!“ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამგვარის მოქმედებით ძალიან ადვილად შეიძლება, რომ კერძო პირმა და ლიტერატურამ დიდ შეცდომაშიც შეიყვანოს საზოგადოებაც და თვით მოსამართლენიც... .

რაი რომ მიძინებულმა „ობზორმა“ გამოჭყიტა თვალები და თავის ჩვეულებრივი ოინბაზობა და ჯანბაზობა დაიწყო, ერთი ნომერი არ გამოსულა თითქმის ამ გაზეთისა, რომ მოკლულის ასათიანის ქება-დიდება არ ყოფილიყოს და მკვლელის ღვინიაშვილის წყევლა, ქოლვა, ლანძღვა და მიწასთან გასწორება — ასათიანი გამოჩენილი პედაგოგიც შეიქნა, ანგელოზის ხასიათიც ჰქონდა იმას, სამშობლო ქვეყნიერებისათვისაც დღე და ღამე დაუძინებლად ზრუნავდა, უანგაროც იყო, დიდი მწერალიცა, შესანიშნავი მშრომელიც და სხვ. და სხვ. და ღვინიაშვილი კი ერთი რაღაც მხეცი კაცია, რომელმანც სულ ტყუილ-უბრალოდ, უმიზეზოდ მოჰკლა ეს გამოჩენილი ქვეყნისთვის თავგადადებული კაცი, რომელმანც იმდენი უმადურება გამოიჩინა, რომ ვერ დააფასა ასათიახის სიკეთე, რომელსაც ერთი სიტყვით კაცის გრძნობა და გული არა აქვს და სხვ. და სხვ.

ნეტავი ვიცოდეთ — ვისთვის, რისთვის არის საჭირო ამნაირი გაზეთადება ერთი მხრივ მოკლულის ღირსებებისა და მეორე მხრივ მკვლელის ცუდი ხასიათებისა? რა მიზანი უნდა ჰქონდეს გაზეთს, რომელსაც უბ-

რალო მომაკვდავი ასე ცამდინ აჰყავს? და ან რა საჭიროა ყველას ეს დიფირამბები იმ დროს, როცა ჯერ გამოძიება არის და სამართლამდინაც არ მისულა საქმე?..“

ეს რა მოთქმით ტირილია?.. განა ბოლო სტრიქონებში არ ჩანს წინასწარგანზრახულობა, ცუდად შენიღბული სურვილი, რომ სხვაზე ლაპარაკის ჩამოგდებით საკუთარი რედაქტორის გადასახლებით დათუთქული გული ამოიოხონ?

შემდეგ „დროებამ“ გაიხსენა ყველაფერი, რაც კი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით დაიბეჭდა „ობზორში“, გარდა იმ მოწინავე სტატიისა, რომელშიც „ობზორმა“, საკუთარი თვალსაზრისის განსაზღვრის შემდეგ, წინადადებით მიმართა ყველა დაინტერესებულ პირთ, დაბეჭდეთ გაზეთში ყოველგვარი ცნობა, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ამ ფაქტთანო...

შემდეგ, განა სარედაქციო შენიშვნები, რომელიც თან ახლდა „დითირამბებს“ მოკლულის მიმართ, და, რომლებსაც ჩვენ, აგრეთვე, თან დავურთავთ „დითირამბებს“ მკვლელის მიმართ (თუკი ასეთებს მოგვაწოდებენ, აშკარად არ მიუთითებენ „ობზორის“ როლზე ამ, ვიძეორებთ, საკალალო, მაგრამ სერიოზულ შემთხვევაში?..).

არა, სხვის ლიტერატურულ ორგანოს პირს ვერ აუკრავ... თუ „დროებას“ ნამდვილ მკვლელად ჩქოტუა არ მიაჩნია, მაშინ თავისი დუმილით, რატომ აძლევდა და აძლევს იგი საშუალებას ჭეშმარიტ ბოროტმოქმედს, რომ თავი დააღწიოს საზოგადოებრივი მართლმსაჯულების მსჯავრს? რატომ არ ათავისუფლებს უდანაშაულოს, არ ექომაგება მას?.. ამ კეთილ საქმეში ხომ ყველანი, უსათუოდ დაინახავენ არა ბეზღს, არამედ სამართლიან, პატიოსან საქციელს?.. განა შეიძლება დაბეზღებად მიიჩნიო ისეთი შემთხვევა, როცა ექომაგები ადამიანს, რომელსაც ჰკლავენ?

განა ბეზღია, მაგალითად, თვით „დროების“ მიერ დაბეჭდილი ხმები, რომელიღაც ადმინისტრაციული მარცხის შესახებ?.. განა ბეზღია ვინმეს მსჯავრის გამოქვეყნება ქურდბაცაცა „დერჟი მორდას“ შესახებ?

ყოველივე ის, რაც ჩვენ ახლა აღვნიშნეთ, მეტისმეტად პრინციპულია, რომ მარტოოდენ კერძო საქმედ მივიჩნიოთ, ხოლო ასათიანის მკვლელობის შესახებ კი ვიმეორებთ: „შუქი, მეტი შუქი!“ იმ ბნელ სამყაროსკენ, რომელმაც ეს ბოროტმოქმედება წარმოშვა, და ნაკლები ყურადღება იმ ადამიანებს, რომელთაც მიზნად დაისახეს, რადაც უნდა დაჯდეს დაავიწყონ საზოგადოებას, რომ მას უფლება აქვს გაარკვიოს, თუ სად ზის ქურდი და სად — პატიოსანი ადამიანი.

57. საკვირაო საუბრები

აჭიაბაჭია. — „ობზორის“ უფერულობა. — წამქეზებლობა და გაუხამსება. — ამგვარ „საგმირო საქმეთა“ მიზანი. — ჩვენი გზა. — ი. ი. რაშეტის საქმე. — უსაქმობის შედეგები. — ეროვნული კოლორიტი. — შოვინიზმი და საყველპურად განსწავლულნი. — რაში მდგომარეობს ზოგიერთი ვაჟბატონისათვის ეროვნული ღირსება. — განა უმიზეზო ბუტიაობა საწყენი არ არის? — განსხვავება სამშობლოს ღირსების ჩემს გაგებასა და შოვინისტთა გაგებას შორის. — მავნე დასკვნა, რომელიც შეიძლება თავში მოუვიდეს გარეშე პირს. — ჩვენი კასტები. — განა ცოტა გვაქვს საერთო საზრუნაი და საერთო საქმე? — რატომ აცოფებს ყველას ჭუნარი თვალსაზრისი? — დასკვნა.

გულზე ცეცხლი მეკიდება, მე კი იძულებული ვარ აჭიაბაჭიას მიყედ-მოყედო... რა გაეწყობა, დავემორჩილოთ აუცილებლობას, ვისწავლოთ მოთმინება, რომლის შესახებაც ბელინსკი წერდა, რომ ეს—სახედრის სათნოებაოო... საწყენია, როცა გრძნობ, რომ ეს თვისება უკვე დაგეუფლა, მაგრამ რას იზამ, თუკი ყოველს მხრიდან ამას ჩაგჩიჩინებენ და გინერგავენ?.. ასეთ ვითარებაში ღირსეულ საქციელად ისღა დაგრჩენია, რომ, ყოველ შემთხვევაში, არც შენს თავს და არც სხვას დაუშალო იმ თვისებათა ნამდვილი ხასიათი, რომლითაც ნებით თუ უნებლიეთ შემკობილი ხარ...

ეს აზრი თავში მომივიდა, როცა ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის, სახელდობრ „ვესტნიკ კავკაზას“ [75] შენიშვნა წავიკითხე, რომ „ობზორის“ [3] ახალი ნომრები უფერულიაო. ეს შენიშვნა, კაცმა რომ თქვას, სავსებით სამართლიანია. „ობზორის“ სტატიათა იერი, მართლაცდა, უფერულია. მაგრამ სრულებითაც არა იმიტომ, თითქოს ჩვენ ამით გვსურდეს, როგორც ეს ხსენებულ გაზეთს მიაჩნია, შარშანდელი „ცოდვების“ მონანიება. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა და არც არავინ, ჩვენს საზოგადოებაში, სერიოზულად ამას ასე არ ფიქრობს, მაგრამ ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში ჩვენებურ თანამოკალმეთა ესა და ამგვარი გამოხდომები უკვალოდ არ უნდა წაიშალოს. ვფიქრობ, რომ ღირს ამაზე შევჩერდეთ.

როცა ჩვენ შარშან, ყველა ჩვენებური დამოუკიდებელი გაზეთის რედაქტორებთან საქმის წინასწარი განხილვის შემდეგ, „ტიფლისკი ვესტნიკთან“ [1] ერთად „ობზორის“ გამოცემაც შევაჩერეთ, რაკი ისეთ

მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რომ აღარ შეგვეძლო ჩვენს მკითხველ-საზოგადოებას პატიოსნად მოვმსახურებოდით, ერთ-ერთმა აქაურმა გაზეთმა, სახელდობრ „დროებამ“ მოურიდებლად განაცხადა, რომ ამ შეჩერების მიზეზი ფრიად მერკანტელური ხასიათისაო და ისე გამოიყ-ვანა, თითქოს იმხანად გაფიცვას საფუძვლად ედვა სხვა არაფერი, თუ არა მარტოოდენ... ფულადი სახსრების გამოფიტვაო (ისიც წლის დასა-წყისში!)... ახლა კი, როცა ყოველგვარი რეკლამის, ხელმოწერისა თუ უბრალო განცხადების გარეშეც კი, განვაახლეთ გამოცემა და კვლავ შევუდექით, გარეგნულად შედარებით უკეთეს ვითარებაში, „ობზო-რის“ გამოცემას, მეორე აქაური გაზეთი ბრალს გვდებს ზომიერებაში... ხომ ლამაზი საქციელია ისეთ „ლიტერატორთა“ მხრივ, როგორიც არიან ბ. ბ. მესხი და ჩანცევი?

არა, ერთი შეხედეთ ჩვენს მდგომარეობას. როდესაც ჩვენ, უკიდუ-რესად გამძვინვარებულნი, ამ დაუოკებელი გრძნობის გავლენით ვეღარ ვმალავთ ხოლმე ჩვენს განწყობილებას და ვამჟღავნებთ დაგროვილ გრძნობებს არა ჩვენებური პრესის მიერ საყოველთაოდ შეთვისებული ლაქიური თუ დაბეჩავებული ტონით, არამედ მთელი მგზნებარებით, მაშინ ეს ჩვენებური მტერ-მოყვარენი ივიწყებენ ხოლმე საქმის არსს, მდგომარეობის ერთსადაიგივეობას და გესლიანად გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთმანეთს, რომ ჩვენ, თურმე, ძალით ვცდილობთ მოვიპოვოთ მარტვილის შარავანდედი, განზრახ მივისწრაფით ჩვენი მოღვაწეობის ძალდატანებით შეწყვეტისაკენ, რათა ეფექტურად ჩამოვიდეთ სცენი-დან... ხოლო, როცა თავს ვიკავებთ და ლაგამს ვდებთ ჩვენს გრძნობათა ღელვას, ანგარიშს ვუწევთ გარეშე პირობებს და მხოლოდ იმაზეღა ვზრუნავთ, რომ უფლება ვიქონიოთ წვრილმანებში მაინც სარგებლობა მოვუტანოთ ჩვენს საზოგადოებას, იგივე ვაჟბატონები კიჟინას სტეხენ იმის გამო, რომ ჩვენ, თურმე, ცოდვებს ვინანიებთ და „გამყიდველი“ ვყოფილვართ... თანაც გახსოვდეთ, რომ ამას გაიძახიან ადამიანები, რომლებსაც არც მამაცობისათვის გააჩნიათ გამბედაობა და არც მოთმი-ნებისათვის — ნებისყოფა, — ადამიანები, რომლებსაც, ამასთან, არა-ერთხელ გაუყიდიათ თავი არათუ ჩინოვნიკის თანამდებობის დასაკა-ვებლად, არამედ უარესი სამსახურის გასაწევადაც. შემდეგ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ პატიოსანი საქციელის ასეთი გაუხამსება, ერთი მხრივ, და დაუფიქრებელი ქმედებისაკენ წაქეზება, მეორე მხრივ, საუკეთესოდ ამხელს ამ ვაჟბატონების სულიერ სიფაქიზესა და ზნეობრივ სიწმინდეს. და როდესაც ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ გაგახსენდებათ, რომ ამგვარი ადამიანები მეთაურობენ ჩვენში „პერიოდულ გამოცე-მებს“, თქვენ, რა თქმა უნდა, მთელი გულითა და ყულით შეიბრალებთ იმ საზოგადოებას, რომელიც იძულებულია ასეთი „პუბლიცისტები“ იყოლიოს.

მეგობრებო, ნუ მსჯელობთ სხვაზე საკუთარი „მე“-ს მიხედვით და, განსაკუთრებით, ნუ იქონიებთ ბავშვურ იმედს, რომ ამგვარი წაქეზებითა და გაუხამსებით „ობზორის“ გამოცემაზე ვიმოქმედებთო. ჩვენ ვიცით, საით მივდივართ, ვიცით რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ. ჩვენი მიზნისკენ ჩვენ პირდაპირი გზით მივიწევთ წინ და რამდენიც არ უნდა ეცადოთ თქვენ ჩვენს წაქეზებას — რომ თავიდან მოგვიშოროთ, ან ჩვენი საქმეების გაუხამსებას რათა თქვენი საკუთარი საქმეები უკეთესად გამოჩნდეს, — ჩვენ ჩვენს გზას მაინც არ გადავუხვევთ. მკითხველი საზოგადოება ძლიერ კარგად გვიცნობს როგორც ჩვენ, ასევე თქვენც. ხოლო თუ „ობზორი“ მას უფერული ან მოდუნებული მოეჩვენება, ჩვენი საზოგადოება მიხვდება, რომ საამისოდ მეტად სოლიდური მიზეზები იყოო... ამიტომ ტყუილუბრალოდ ნუ გაირჯებით: უთუოდ, ახლა თქვენც დარწმუნდებით იმაში, რომ ამას თქვენს მიზნამდე კი არ მიჰყავხართ, არამედ მხოლოდ სასაცილო და უგვან როლში გამოყავხართ საზოგადოების თვალში.

ახლა დანარჩენ წვრილმანებზე გადავიდეთ. არ მსურს დუმილით ავუარო გვერდი თბილისის საკრებულოში ამტყდარ ალიაქოთს „ობზორის“ სტატიის გამო „კლუბური წესჩვეულებათა შესახებ“ და იმ შეჯახების გამო, რომელიც მოხდა ბ-ნ ს. არწრუნსა და იაკობ ივანეს ძე რაშეტს შორის. არსებითად ეს საქმე გატეხილ გროშადაც კი არ ღირს და ის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენს ქალაქში ამ ინციდენტს მიაკუთვნეს, ყველაზე საუკეთესოდ გვიმტკიცებს, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს სერიოზული ინტერესები თუ საქმეები. სად, რომელ საზოგადოებაში ილაპარაკებდნენ ამდენს, ანდა — სად ატყდებოდა ამდენი ამბავი პრესაში იმ ორიოდე წინადადების გამო, რომელიც დაიწერა ფელეტონში „კლუბურ წესჩვეულებათა შესახებ!“ ბაგრამ სერიოზული საზოგადოებრივი ინტერესების უქონლობამ გამოიწვია ჩვენში ის, რომ ამ წინადადებების გამო ორი კვირის განმავლობაში მსჯელობს და ღელავს თითქმის მთელი ქალაქი, მათ გამო ატყდა აყალმაყალი და გაუთავებელი პაექრობა, ასე, რომ „პრესაც“ იძულებული გახდა მისთვის ყურადღება მიექცია... განა ეს სავალალო არ არის?

რაკი საქმემ საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიიღო, ჩვენც უფლება აღარ გვაქვს, რომ მას დუმილით გვერდი ავუაროთ, უფლება აღარ

გვაქვს აზრი არ გამოვთქვათ ამ ამბის არსებითი მხარეების შესახებ. ამიტომ მე ზედ ქოჩორში ჩავწვდები საქმის არსს და შეეეცდები მთელი წვენი გამოვადინო...

თუ „ობზორის“ სტატიამ, რომელიც იაკობ ივანეს ძე რაშეტს მიაწერეს, ეგოდენ ძლიერი მღელვარება გამოიწვია გარკვეულ წრეში, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მრავალმა „საყველპურად განსწავლულმა“ პირმა სრულიად მცდარი ელფერი მიანიჭა მას. ამ ნახევრად განათლებულ პირთა შორის ყველაზე ფრთხილმა ადამიანებმა შეძლეს და თავიანთ საჯარო განცხადებებში შეალამაზეს თავიანთი პირვანდელი აზრი, ხოლო „ტიფლისკიე ობიავლენიამ“ თავი ვერ შეიკავა და წამოროშა ის სატკივარი, რაც ამ „საყველპუროდ განსწავლულებს“ აღონებდათ. მათ მოეჩვენათ, რომ „ობზორის“ ფელეტონში აღწერილი ფაქტები „მთელი ერის“ სასაყვედუროდ არის მოყვანილიო... არც მეტი, არც ნაკლები.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია ის, რომ დამნაშავედ „მთელი ერის“ ამგვარ შეურაცხყოფაში მიჩნეულია იაკობ ივანეს ძე რაშეტი, რომლის კერძო ცხოვრებაც და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მთელი თორმეტი წლის მანძილზე, რაც იგი ჩვენს შორის ტრიალებს, თითქოსდა ხმამაღლა უნდა ღაღადებდეს ამგვარი აბსურდის წინააღმდეგ. ჩვენ არ მოველოდით, რომ ჩვენს შორის მოიძებნებიან ასეთი უვიცები, ასეთი ბალღები, რომლებმაც არ იციან, რომ იაკობ ივანეს ძე რაშეტის მოღვაწეობის ნათელი მხარე სწორედ ის არის, რომ იგი ყოველთვის თანაბარი გრძნობით ეკიდებოდა ყველა ადგილობრივ ეროვნებას და სრულებითაც არ იზიარებდა მცდარ შეხედულებას თავის თანამემამულეებისას, თითქოს ყველა დანარჩენი ეროვნება პარიებს წარმოადგენს, გარდა მათი საკუთარი ეროვნებისა... მაგრამ ესეც წვრილმანია. მთავარი კი ჩვენს უბედურ ჩვეულებაშია, რომ ყოველი საკითხი ეროვნულ ნიადაგზე დავიყვანოთ და ამ ეროვნული სარჩულის მომიზეზებით გავაღვივოთ ბრბოს უხეში ინსტინქტები...

ამ ქვეყნად შოვინიზმზე უფრო უგუნური და მავნე არა არის რა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ქართული, რუსული, სომხური, ფრანგული თუ თათრული. სწორედ იმის გამო, რომ შოვინიზმი მტკნარი სისულელეა, იგი უმეცარ და გონებაჩლუნგ ადამიანებს ეუფლება ხოლმე. დამისახელეთ თუნდაც ერთი, მართლაც, შესანიშნავი მწერალი, ვისი სახელიც ლიტერატურის ისტორიაშია შესული, რომ მან უარყოფითად არ დაახასიათოს ფარისეველი და გონებაჩლუნგი დეკლამატორების ეს მუდმივად სასაუბრო საგანი... და ეს გასაგებიც არის. ყოველი კაცი ეძიებს წარმატებას, რომელიც მის ძალღონეს შეესატყვისება, ხოლო ის, ვისაც უნარი არ შესწევს, რომ ზემოქმედება მოახდინოს თავის თანამედროვეებზე მათი საჭიროების ფხიზელი შეგნებითა და მათი ამოცანე-

ბის აშკარა გაგებით, უნებლიეთ შეიძლება აჰყვეს ცდუნებას და შეეცადოს რომ თავისი რენომე რამენაირად ბრბოს ფარული და მცდარი ინსტინქტების გაღიზიანებაზე დაამყაროს... გაცილებით უფრო იოლია საზოგადოების მხარდაჭერა მოვიხვეჭო ქადაგებით „მე თქვენი ერის ინტერესებისა და ღირსებისათვის ვიღწვი“, ვინემ იმ პირთა შეგნებული დახმარება და შემწეობა, ვისაც ნათელი წარმოდგენა აქვს თავისი ერის ჭეშმარიტი ინტერესების შესახებ, ბრბო ხომ არც კი სვამს ასეთ საკითხს — „მერედა, შეიძლება ისეთ ღირსებასა და ისეთ ერზე ილაპარაკო, რომელსაც ფელეტონში დაბეჭდილი სტატია აღიზიანებს!“ ცალკეულ პირთ შეუძლიათ ასეთი საკითხი წამოჭრან თავიანთ წინაშე, ერთეულებს შეუძლიათ სწორად შეიგნონ, რომ ამგვარი „დაცვა“ მხოლოდ ლახავს ერის ღირსებას, რომ ის ადამიანები, ვისაც გულწრფელად უყვართ და ნამდვილად პატივს სცემენ თავიანთ ერს, არ შეიძლება მთელი სულითა და გულით არ აღშფოთდნენ, როცა ხედავენ, თუ „საყველპურად განათლებული“ პირნი როგორ „იცავენ“ მთელ ერს იმ ბრალდებისაგან, რომელთა წამოყენებაც არავის აზრადაც არ მოსვლია... ამასთან, ზემოხსენებულმა ზერელედ განათლებულმა პირებმა იციან, რომ ბრბო ძალიან შორს არის საქმის ამგვარი ანალიზისაგან, რომ იგი არც ჩასწვდება საქმის არსს და სიტყვით დაუჯერებს არამკითხე დამცველებს, რომლებიც, მისი გულწრფელი რწმენით, სალ კლდესავით აღიმართება საკუთარი ერის ღირსების დასაცავად... შოვინისტებსაც ხომ ეს უნდოდათ.

ჩემს სიცოცხლეში ცოტა როდი დამიწერია ან დამიბეჭდავს რუსული თუ ქართული შოვინიზმის წინააღმდეგ. ამიტომ ახლა გულით ძალიან გავიხარე, რომ სომხურ შოვინიზმზეც მიხდება სიტყვის ჩამოგდება. იმედი მაქვს, რომ ის ადამიანები, ვინც სერიოზულად იღწვის ამ ერის ინტერესებისათვის, მართებულად გამიგებენ და არ მიიჩნევენ, თითქოს მე ისინი გავუთანაბრე ზემოხსენებულ „საყველპუროდ განსწავლულ“ ადამიანებს, რომლებიც, იმის გამო, რომ უნარი არ აქვთ თავი შესწირონ რაიმე საქმეს, იძულებული არიან ხმამაღლა ილაყბონ ამ თავდადების შესახებ, თავი მოიწონონ იმით, რომ ვებრძვით ქარის წისქვილებს, რომლებმაც ჩვენი ერის ხელყოფა გაბედესო.

ვეკითხები ამ „საყველპუროდ განსწავლულ“ ადამიანებს, განა თქვენი ერისათვის ხელსაყრელია ის, რომ ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას

მუდამ ეროვნულ ელფერს აძლევთ? განა ბალღობა არ არის, რომ ყოველთვის, როცა ვამხელთ ბ-ნ x-ს, ან ბ-ნ y-ს, ან ბ-ნ z-ს, ქვეყახას მოსდებთ ხოლმე, რომ აქ პირადად x, y ან z-ის მხილებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ — მთელი ერის მხილებასთანაო. განა ცოტა ფაქტი ვიცით ქართველი კაცის მხილებისა, განა ცოტა ქართველი დაუსჯიათ სასამართლოში, რატომ მე არ მიმაჩნია ეს ამბავი მთელი ერის შეურაცხყოფად, რატომ მე არ ვაცხადებ, რომ მთელ ჩემს ერს თავსლაფი დაასხესთქო, რაკი ასიოდე ქართველი ამხილეს თუ გაამტყუნეს სასამართლოში? ეს იმიტომ, რომ მე მწამს ჩემი ერისა, მე შეგნებულად მიყვარს იგი და მტკიცედ ვიცი, რომ მასში უმრავლესობა, მასები სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია. მე ძალიანაც კარგად ვიცი, რომ თითო მანკიერი ყოველ ოჯახში ურევია და იმდენად მჯერა, რომ სხვა ერებსაც გააჩნიათ საღი განსჯის უნარი, რომ არც კი მოველი მათგან სხვა რაიმე დასკვნის გამოტანას ამ საკითხში. მართლაც, განა ცოტა ქართველისათვის დაუდვიათ მსჯავრი ქურდობისა, მკვლელობისა თუ სიყალბისათვის, ბაგრამ განა ვინმეს, ამის გამო, ეზიზღება ქართველი ერი ან უზნეო ერად მიაჩნია იგი? განა საყოველთაო სიმპათიები მისდამი შერყეულია?

მაშ, თქვენ, საყველპურად განსწავლულო ვაჟბატონებო, რატომ თქვენც ასევე მშვიდი შემწყნარებლობით არ ეკიდებით სომეხ დამნაშავე პირთა მხილებას? რატომ არის, რომ თქვენ ყოველთვის, როცა საქმე ეხება რომელიმე სომეხ პიროვნებას, ცოფებსა ჰყრით და რას აღარ სჩადიხართ, რომ თქვენი მსმენელები წააქეზოთ „ერის ღირსების“ დასაცავად? იცით რას გეტყვით? გარეშე კაცს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, რომ თქვენ თვითონ ხართ უაღრესად ცუდი აზრისა თქვენი ერის შესახებ, რომ თქვენ პატივს არ სცემთ მას, არ გიყვართ იგი... და ამ მაყურებელსაც სხვა არა დარჩენია რა, თუ არა ცუდი და სავალალო დასკვნა გამოიტანოს მთელი ერის შესახებ, უკეთუ მე არ მეკარნახა მისთვის, რომ ყოველივე ამას თქვენ გონების სიჩლუნგითა და ბრიყვობით სჩადიხართ, რომ თქვენ ერთი სული გაქვთ, როგორმე სამშობლოს მხსნელის როლში აღმოჩნდეთ, ხოლო, ამასთან, ბედმა მწარე ხვედრი გარგუნათ და არც საიმისო ჭკუა მოგცათ შეიგნოთ, რომ სამშობლოს ხსნა იმაში როდია, რომ კაცმა დაიცვას აშკარად უხამსი ადამიანები და თანაც ამ არამზადებს „მთელი ერის“ ღირსების კალთა გადააფაროს.

* *

საოცარია, ღმერთმანი, ძმათა ჩვენთა — თბილისის მცხოვრებთა — მდგომარეობა. აქ, სადაც ერთმანეთის გვერდით კეთილად და მშვიდად ოთხი ერი ცხოვრობს, საჯაროდ სიტყვას ვერ დასძრავ, სტრიქონს ვერ დასწერ ბეჭდვითს ორგანოში უიმისოდ, რომ უმალვე თავს არ დაგესხას

საყველპურად განსწავლულ პირთა მთელი ხროვა, რომელიც შოვინიზმს აღვიარებს და თავ-თავიანთი ერის დოყლაპიებს თქვენს წინააღმდეგ აქეზებს. ამგვარი რამ რუსებს შორისაც გხვდებათ და მაჰმადიანთა შორისაც. გაიტაცეთ მილიონი, თავს დაესხით ქვრივ-ობოლთ, მოჰკალით ჩვილი ბალღები, იყავით თუნდაც შულერი და მაბეზღარა — ამას ყოველივეს შეგინდობენ ეს ვაჟბატონები — ზემოხსენებული „საყველპურად განსწავლული“ პირნი, მაგრამ ერთ რამეს კი არაეითარ შემთხვევაში არ დაივიწყებენ და არც შეგარჩენენ — ეს არის „მათი ერის შესახებ შეურაცხმყოფელი შეხედულების, უფრო სწორად, ამ ერის ცალკეულ ინდივიდუმთა შესახებ ცუდი აზრის შემუშავება. ამას წინათ „დროებაში“ გამკიცხეს იმის გამო, რომ მე თავს ვესხმი „ჩვენიანებს“, ე. ი. ზოგიერთ ქართველებს!..

განა ქართველთა შორის ცოტა მოიპოვება ისეთი პიროვნებანი, რომელთაც ყოველი პატიოსანი ქართველი კაცი ბოლმით უნდა სდევნიდეს, განა ცოტაა სომეხთა შორისაც ასეთივე ადამიანი, რომელსაც ყოველი რიგიანი სომეხი, თავისი ერისადმი სიყვარულისა თუ პატივისცემის გამო, უნდა ჯვარს აცვამდეს, ან რუსებს შორის, რომელთაც, აგრეთვე რუსი ხალხის სახელისადმი სიყვარულის გამო, უნდა ამათრახებდეს რუსეთის ჭეშმარიტი შვილი? განა ასეთი ადამიანების ქომაგობა არ ნიშნავს საკუთარი ერის ღალატს, არ ნიშნავს მთელი ერის გასვრას იმ ტალახით, რომელშიც ეს ადამიანები ყელამდე არიან ჩაფლულნი?

მეორე მხრივ, განა ცოტაა სომხებს, ქართველებს ან რუსებს შორის ისეთი მოღვაწე თუ პიროვნება, რომლებიც უნდა უყვარდეს, ანდა რომელთაც უნდა პატივს სცემდეს, ყველა სხვა ერის რიგიანი ადამიანი? განა ცოტა იყო შემთხვევა, როცა მთელი რუსული პრესა, როგორც ადგილობრივი, ასე დედაქალაქისა, თითქმის ერთსულოვნად მხარს უჭერდა ასეთ ადამიანთა მისწრაფებას და განცხადებებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ ისინი — ქართველ, რუს თუ სომეხს? განა ცოტა იყო ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენ, მაგალითად, თანავუგრძნობდით სომხებსა და რუსებს, მიუხედავად იმისა, რომ, ამ სტრიქონების დამწერი, ქართველი გახლავართ?..

* *

ჩვენი გონებრივი განვითარება, რომ ნამდვილად შეესატყვისებოდეს ჩვენს პრეტენზიებს, მაშინ დიდი ხანია შევიგნებდით, რომ რაკი ერთ პროვინციაში, ერთ ქალაქში, ერთ განუყოფელ წრეში ვცხოვრობთ, ჩვენ ერთიმეორისაგან უნდა განვსხვავდებოდეთ არა ცხვირის სიგრძისა, თუ მეტყველების კილოთი, არამედ ჩვენი ხასიათითა და მისწრაფებებით... მაშინ ყველა ერის მოწინავე ადამიანი შემჭიდროვდებოდა ერთ მთელად.

საერთო სარგებლობისა და საერთო კეთილდღეობისათვის, იმ ჭეშმარიტებათა და უფლებათა დასაცავად, რომელთა ზეიმის გარეშეც რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრება სავსებით წარმოუდგენელია... აი, მაშინ კი ყველა ერის ამრიგად შეჯგუფებულ წესიერ ადამიანთა მასებისათვის სრულიად იოლი იქნებოდა ბრძოლა ანგარებიან ადამიანთა უნამუსობისა და სიხარბის წინააღმდეგ, რადგან ასეთები ყველა ერში უმცირესობას შეადგენენ. მაშინ ჩვენი მხარის განვითარება უაღრესად სწრაფად წავიდოდა წინ, რაკი მის ცხოვრებაში ერთი და ყველასათვის მისაღები ბრძოლა გაჩაღდებოდა — ბრძოლა სინათლისათვის, წყვდიადისა და უმეცრების წინააღმდეგ; სიმართლისათვის — ძალდატანების წინააღმდეგ; ეკონომიური სამართლიანობისათვის — ექსპლოატაციის წინააღმდეგ... ახლა კი ვნახოთ რა ხდება ჩვენს გარშემო ამჟამად? მე რომ ახლა შევეხო რომელიმე ჩვენებურ ექსპლოატატორს — უმალვე მას მიემხრობიან ინტელიგენტი და პატიოსანი ქართველები, თუკი იგი ქართველია, განათლებული და რიგიანი სომხები, თუკი იგი სომეხია და განვითარებული და უანგარო რუსები, თუკი იგი რუსია. თანახმად ცნობილი პრინციპისა „დაჰყავი და იბატონეო“ (Devise et impera) ჩვენ დაგვყვეს მრავალ ჯგუფად და ამასთან თვითეული ჯგუფი დაგვგეშეს დანარჩენთა წინააღმდეგ, ხოლო თავიანთი საქმის უებარი ოსტატებიც, სწორედ ისინი, ვინც ჩვეულებრივ მღვრიე წყალში იჭერს ხოლმე თევზს, ბატონობენ თავ-თავიანთ მარაქაში, რითაც ხელს უშლიან, როგორც თვით ამ მარაქის განვითარებას, ასევე მთელი მხარის პროგრესს...

კავკასია ქვეყნის მერვე ნაწილი როდია და კავკასიელებიც ისეთივე ადამიანები არიან, თავიანთი თვისებებითა და ინტერესებით, როგორც ქვეყნის დანარჩენი სახელმწიფოების მცხოვრებნი. ამიტომაცაა, რომ თითოეულ ამ ჩვენს მარაქაში სწორედ ისეთივე ბრძოლა ღვივის, როგორც ყველა დანარჩენში... ყველგან ერთი და იგივე ინტერესებია, ერთი და იგივე ამოცანები. შევიგნოთ ეს ბოლოს და ბოლოს; შევიგნოთ, რომ სირცხვილია ყველაფერში ხელს ვუწყობდეთ და ვმფარველობდეთ ამ საყველპურად განსწავლულ ვიგინდარებს, რომლებიც „არ უწყიან რას სჩადიან“ და რომლებიც, ამ ჩვენს ისედაც დუხჭირ მდგომარეობას, კიდევ უფრო აუარესებენ და გვიმძიმებენ იმით, რომ თავიანთი მეტიჩრობით ჩვენდამი საერთაშორისო სიძულვილს იწვევენ... სირცხვილიც კია, რომ ჩაუფიქრდები კაცი. ან საჩხუბარი რა გვაქვს, ანდა გასაყოფი რა გაგვაჩნია... მაშ რაღა საჭიროა, რომ ერთმანეთს ვღრღნიდეთ, როგორც უგუნური მხეცები, ნაცვლად იმისა, რომ შევიგნოთ საერთო ვითარება, ჩავწვდეთ საერთო ამოცანებს, ერთმანეთს ძმურად გავუწოდოთ ხელი და ერთად წავიდეთ წინ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ნუთუ ეს ძნელი გასაგებია?

დიახ, მკითხველო, ამის გაგება ძალიან ძნელია და თქვენც დარწმუნ-

დებით, რომ ეს ჩემი ფელეტონი, რომელიც გამსჭვალულია გულწრფელი სიყვარულით ერისადმი საერთოდ და რომელიც მიისწრაფის, შეძლებისდაგვარად, შემწეობა აღმოუჩინოს ყველა ერს, დიდ ალიაქოთს გამოიწვევს სამივეში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თვითეულ მათგანს საყოველთაო კეთილდღეობა კი არ სურს, არამედ პირადი ბატონობა... იმისათვის, რომ ერთ-ერთ მათგანს ასიამოვნო უნდა დაიცვა და საქვეყნოდ აქებ-ადიდო ყველა მისი ცდომილება თუ სიყალბე. ხოლო იმისათვის, რომ სამივეს ასიამოვნო, უნდა იყუჩო და არ შეეხო არც ერთ ცხოვრებისეულ საკითხს, რომელიც რაიმე მიმართებით მათ შეეხება; არ ახსენო არც ერთი მოღვაწე, რომელიც ამ ხალხებს ეკუთვნის: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამისათვის საჭიროა, რომ იყო ან ბედუკულმართი, ან ლეში. ჩემდა საუბედუროდ, მე ვერც ერთი ვიქნები და ვერც მეორე. ამიტომ ახლა, რაკი შევძელი, თუნდაც მიკიბულ-მოკიბულად, ნაწილობრივ მაინც მეთქვა ის, რაც დიდი ხანია გულზე მაწვება, მოთმინებით უნდა მოველოდე რომ ყველანი დამესევიან და ყოველის მხრიდან გამწეწავენ. თუმცა ეს ჩემთვის შეჩვეული ჭირია...

58. ბაკვრა-ბამოკვრა

„უკიდურესი რადიკალები“ საფრანგეთში. — მათი ახალი გაზეთის მიზანი. — კლემანსო და გამბეტა. — ახალი გაზეთის „Justice“ პირველი ნომერი. — გამბეტას ბეჭდვითი ორგანოს დამოკიდებულება მისდამი — აშკარა ლაციცი და საიდუმლო მზაკვრობა. — ტენი. — მისი ქება-დიდება ფრანგულ გაზეთებში. — სანამდე სწვდება ტენის „სიყვარული ისტორიული სიმართლისადმი“. — როგორ შეინარჩუნა მან ერთგულება სიმართლისადმი თავის ბოლო ნაწარმოებში. — ენის გამოწოვა. — ვინ არის დამნაშავე. — მოწაფეები და მასწავლებლები. — რა უნდა მოიმოქმედო იმისათვის, რომ გახდე აკადემიკოსი?

ფრანგ „შეურიგებელ რადიკალთა“ ჭაბუკმა წინამძღოლმა დოქტორმა კლემანსომ, ამას წინათ, შეიძინა პარიზში საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, დიდი ყოველდღიური გაზეთი „Justice“, რომელიც 1880 წლის 3(15) იანვრიდან გამოდის მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობითა და გაზეთ „Rappel“-ის ახალგაზრდა და ნიჭიერი თანამშრომლის კამილ პელტანის რედაქციით. როგორც ჩანს, შეურიგებლებმა გაიაზრეს, თუ რა სარგებლობა მოუტანა „თანამედროვე“ რესპუბლიკელებსა და მათს ბელადს გამბეტას, გაზეთ „République française“-ს დაარსებამ და ხელმძღვანელობამ, ხოლო ამ უკანასკნელი ორგანოს მარჯვე და ოსტატური გამოცემის მაგალითი ტყუილად როდი ჩაივლის ახალგაზრდა მოღვაწეთა ფენებისათვის... გამბეტასეული გაზეთის მიზანი იყო ის, რომ ხალხთა მასებში მოესპოთ საყოველთაო ანტაგონისტური განწყობილება გამბეტას მსგავსი „რადიკალების“ წინააღმდეგ, რომლებსაც მონარქისტული და ზომიერი პრესა რაღაც საფრთხობელად ხატავდა. გამბეტას მეგობრებს 1871 წ. სახავდნენ სისხლისმსმელ სოციალისტებად, უტოპისტებად და ა. შ. გაზეთ „République française“-ს ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს მაშინდელმა რადიკალებმა დაუმტკიცეს ხალხის მასებს, რომ ისინი სრულებითაც არ არიან უტოპისტები, რომ მათ სავსებით გარკვეული შეხედულებანი გააჩნიათ ყველა მორიგი სადღეისო საკითხის გამო და, აგრეთვე, აქვთ ამ საკითხებისათვის სავსებით მზამზარეული და სავსებით პრაქტიკული გადაწყვეტილებანიც. ამიტომაც ნელ-ნელა, ლოგიკის სხვადასხვა არგუმენტებისა და დარწმუნების გზით, მათ დაიმოყვრეს მკითხველი საზოგადოების დამფრთხალი ნაწილი.

უეჭველია, რომ დაახლოებით იმავე მიზანს ესწრაფვიან ახლა უკიდურესი რადიკალები, რომლებმაც დაარსეს გაზეთი „Justice“.

უნდა შევნიშნო, რომ მიუხედავად მათი ტიტულისა — „უკიდურესი რადიკალები“, არსებობს მთელი უფსკრული ამ მიმართულებასა და ფრანგ სოციალისტებს შორის. კლემანსოსა და მისი ჯგუფის მთელი განსხვავება, გამბეტასა და მისი მეგობრებისაგან, მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ პირველნი უფრო მოთმინებითა და მეტი ლოიალობით ეკიდებიან სოციალისტებს, ვინემ ძველი რესპუბლიკელები. მაგრამ არც ერთნი და არც მეორენი სულაც არ აპირებენ სოციალისტურ შეხედულებათა გაზიარებას, ანდა თავის გამოდებას იმ გადაწყვეტილებათა და დასკვნათა განხორციელებისათვის, რომლებიც გულზე ეხატებათ სოციალისტებს... ამიტომაც, სრულებით არ არის გასაკვირი, რომ „უკიდურეს რადიკალთა“ ახალი ორგანოს „Justice“ დაარსება არაფრად ეპიტნავებაა ლუი ბლანს, რომელიც ცდილობს და ფუსფუსებს წმინდა სოციალისტური გაზეთის გამოსაცემად, რადგან ამ მიმართულებას აქამდეც არ გააჩნია პარიზში რაიმე სერიოზული და სოლიდური ორგანო...

სხვათა შორის, მე ავცდი ჩემს მიზანს — გესაუბროთ „Justice“-ს შესახებ. ამ გაზეთის პირველი ნომერი შედგენილია ასეთი თვინიერი და ზომიერი ტონით, რომ, ამბობენ, თვით გამბეტამ მისი წაკითხვის შემდეგ თქვა: „გეგონებათ, რომ კითხულობ „Gazette de France“-ს (ზომიერ მონარქისტთა გაზეთს!).

და, მართლაც, პირველი ნომერი სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს. აი, მაგალითად, ნაწყვეტი მისი მოწინავე სტატიიდან:

„მაშ რას მოვითხოვთ? ჩვენ მოვითხოვთ ფართო და პოპულარული პოლიტიკის გატარებას: თანასწორობას თვით ამნისტიაშიც კი, ნათელ რეფორმებს და სრულ თავისუფლებას. მაშ, რა არის ამაში უკიდურესი? აქ ხომ არაფერი სცილდება დემოკრატიის მუდმივ ფარგლებს. თუ ამჟამად ყველანი ერთსულოვანი არ ვართ ამ პროგრამის დაცვის საქმეში, ეს იმას ნიშნავს, რომ დანარჩენებმა უკვე უღალატეს მას. ადრე ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შესაძლებელია ასეთი მოთხოვნები როდესმე ცალკეული ჯგუფის პროგრამად ქცეულიყო. ყოველ კაცს, ვინც კი მონარქისტების წინაალმდეგ გამოდიოდა, თავისთვის დიდ ღირსებად მიაჩნდა, მხარის დაჭერა ამ მოთხოვნებისათვის, რადგან იგი რესპუბლიკელთა დროშად იყო აღიარებული“.

არსებითად, ეს პროგრამა კი არა მყვირალა ფრაზებია, რადგან პროგრამა უნდა შეიცავდეს იმის ზუსტ განსაზღვრას, რაც „ნათელ რეფორმებად“ ანუ „სრულ თავისუფლებად“ არის მიჩნეული, იგი უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, ზუსტ განსაზღვრას, თუ რა საკანონმდებლო ღონისძიებაში უნდა ჰპოვოს გამოხატულება ამ ზოგადმა ცნებებმა. მაგრამ, ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში სრულებითაც არ

არის ნახსენები უკიდურეს რადიკალთა ჯგუფის მიზნები და განზრახულებანი. მაინც უარყოფითი მხარე ამ პროგრამისა ოსტატურად არის მოხაზული. ჯერ ხომ ზემოთმოყვანილი ნაწყვეტიც ნათელყოფს მკითხველისათვის ამ ჯგუფის დამოკიდებულებას გამბეტასადმი, რომელსაც „სხვების“ სახელით არც მეტი, არც ნაკლები, ღალატს აბრალებს. მოვიყვან მეორე ამონაწერს, რომელიც გაცილებით უფრო სამართლიანიცაა და გესლიანიც. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამონაწერში გამბეტასა და მისი პარტიის შესახებ ნათქვამია უმისამართოდ:

„ჩვენ უკან გვახევინებდნენ (გვაცდევინებდნენ) 16 მაისის მარცხის გამო, შემდეგ გვაცდევინებდნენ სენატორთა არჩევნებამდე, შემდეგ — მაკ-მაჰონის გადადგომასთან დაკავშირებით, შემდეგ — სამინისტროს დაცემის გამო. ახლა გვაცდევინებენ მომავალი პალატის მოწვევამდე. ნაირ-ნაირი საბაბი თავისთავად ქრებოდა, მაგრამ, ის, რისი მიღწევაც ხდებოდა ამ საბაბით, დღესაც ძალაში რჩება. ვინ მოთვლის, რამდენი ვადა მოსულა, მაგრამ აღთქმული დაპირება მაინც არ განხორციელებულა. მოტივები იცვლებოდა, ვადები იდებოდა, ჩვენთვის კი ყოველივე უძრავად რჩებოდა. და აი, გამბეტასეულ პოლიტიკაზე ამგვარი თავდასხმის შემდეგ, გაზეთში „Justice“ ვკითხულობთ შემდეგნაირ განმარტებას კლემანსოს მეგობართა საქციელის გამო, სახელდობრ იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს ხმა მიეცათ გამბეტასათვის, როდესაც ამ უკანასკნელს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე ირჩევდნენ:

„გამბეტას ადგილია არა პალატის თავმჯდომარის ეკვნებიან სავარძელში, რაც, ფაქტიურად, გადადგომას ნიშნავს, არამედ საფრანგეთის პოლიტიკის საჭესთან“.

გამბეტას ორგანომ წინასწარ განკვრიტა ის დარტყმა, რომელსაც ახალი გაზეთის გამოსვლა მიაყენებდა გამბეტასეულ პოლიტიკას, და სწორედ იმ დღეს, როცა გამოვიდა „Justice“, თავის შეხედულებათა გადმოცემით უპასუხა; ასე რომ ფრანგმა მკითხველებმა ერთსადაიმავე დღეს წაიკითხეს თავდასხმაც და მისი აცილებაც. აი, ისიც:

„დროული მოქმედება, — თუკი ასე სურთ უწოდონ ჩვენს პოლიტიკას,—ეს არის ხალხის თვითმპყრობელობით შეცვლა ცალკეულ ინდივიდუმთა ახირებულობისა, — რაც უნდა მომხიბვლელი იყოს იგი; ეს არის მთელი ქვეყნის აღიარებული ნებასურვილი, რომელიც მთავრობამ თავის სახელმძღვანელო წესად აქცია, ნაცვლად იმისა, რომ აპყოლოდა ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის, ანდა, ზოგჯერ, ამა თუ იმ გვირგვინოსანი და უგვირგვინო მეოცნების წინასწარ აკვიატებულ აზრებს. ხოლო ამის შემდეგ გვიმტკიცებენ, თითქოს ჩვენს ქვეყანას სხვა რაიმე სურდეს, სხვა პოლიტიკის განხორციელება სწადდეს, ოღონდ არა საკუთარი თვითმპყრობელობისა!“

გაზეთ „Justice"-ის პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ, მეორე დღესვე გამბეტასეულმა ბეკდვითმა ორგანომ უკიდურეს რადიკალებს უწოდა „იდეალისტები" ხოლო საგანგებო წერილში, რომელიც გამოქვეყნდა „Justice"-ის გამოსვლასთან დაკავშირებით, შემდეგნაირად გამოეხმაურა კლემანსოს გაზეთს:

გაზეთი „Justice" („სამართლიანობა") ღირსი იქნება თავისი სახელწოდებისა. იგი ყველას სამართლიანად სცემს პატივს. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მისი პოლიტიკა სავსებით პირდაპირი იქნება. მის დამაარსებლებს არ აკლიათ არც ცოდნა და არც პატრიოტიზმი. რესპუბლიკას უნდა უხაროდეს, რომ მას ყავს ასეთი ერთგული და მტკიცე მსახურნი, ხოლო, თუ ახალი გაზეთი თავის მომავალი მოღვაწეობით შეძლებს გააღვიძოს ზოგიერთებში მანამდე უცნობი თავდადება და ხალისი, ხოლო მეორეებს გაუღვიძოს მოდუნებული ენერგია, ჩვენ პირველნი მივულოცავთ ჩვენს თავს ამგვარი მეგობრის გაჩენას ამქვეყნად". ერთი სიტყვით, ორივე მხარეს, რომელიც ყოველნაირად ცდილობს როგორმე შეასუსტოს მოწინააღმდეგის შინაგანი საფუძვლიანობისადმი მკითხველის ნდობა, საჭიროდ მიაჩნია, რომ გარეგნულად, საჯარო ქათინაურებით შეხვდეს ერთმანეთს. ჩვენც აქამდე იმის საფუძველი არ გვქონია, რომ მათი განხეთქილება თუ უთანხმოება სხვა რამედ მიგვეჩნია, თუ არა „ცოლ-ქმრის ჩხუბად", რომელიც მხოლოდ „რეგვენს ეგონა მართალი".

„საფრანგეთის აკადემიამ", რომლის წევრებადაც, წესდების თანახმად, აირჩევიან ხოლმე ისინი, ვინც ამაგი დასდო ფრანგულ ენას, ან წინ წასწია ფრანგული ლიტერატურა, ახლახან, საზეიმო სხდომის დროს, თავის ახალ თანაწევრად ბ-ნი ტენი მიიღო. იმ გრძელ-გრძელ სიტყვებში, რომლებიც ამ შემთხვევის გამო წარმოსთქვეს, ერთი მხრივ, ახალმიღებულმა წევრმა თავისი წინამორბედთა შესასხმელად, ხოლო, მეორე მხრივ, აკადემიის თავმჯდომარემ — ახლადმიღებული კანდიდატის სადიდებლად, ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ჩვეულებრივი ლიტერატურული მარგალიტები. სამაგიეროდ, ფრანგული გაზეთები კი აღსავსეა დეტალებით ახალი აკადემიკოსის ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის შესახებ. დიდ დამსახურებად უთვლიან მას, მაგალითად, რომ ცოლი სიყვარულით შეირთო, თუმცა მდიდარი ქალი კი მოიყვანაო, რომ ეკლესიაში დაიწერა ჯვარი და ქორწინება ამ წესით განმტკიცაო, თუმცა თავის ნაწერებში კი უარყოფდა ამ ცერემონიას, რომ იგი მეგობრობს ჰერცოგ ბროლის,

თუმცა მის პარტიას არ ეკუთვნისო და ა. შ. მე ყველა ეს საოცარი ქებადიდება უფრო ლანძღვა-თრევად მომეჩვენა... მაგალითად, გაზეთს, რომელსაც მეშვიდე ცაზე აჰყავდა ტენის უანგარო და დაუოკებელი სიყვარული „ისტორიული ჭეშმარიტებისადმი", საამისოდ მოჰყავს ერთი ფაქტი. თქვენ ელოდებით, რომ ჭეშმარიტებისადმი ამგვარი სიყვარულის გამო ტენმა განიცადა არა თუ დევნა, არამედ თავისუფლების აღკვეთაც კი; ან იქნებ იგი იძულებული გახდა ცხოვრებისეულ გარემოზე აეღო ხელი, საკუთარი სიცოცხლე ჩაეგდო საფრთხეში... მაგრამ ნურას უკაცრავად, ტენს თურმე ჩაუდენია შემდეგი გმირობა:

ერთმა დამწყებმა კრიტიკოსმა ტენს გამოუგზავნა თავისი თხზულება ეკატერინე II შესახებ. ტენმა წიგნი წაიკითხა და აღნიშნა, რომ ავტორი ძალიან ბევრს ლაპარაკობს ეკატერინეს — როგორც დედაკაცის პირად — დადებითსა თუ უარყოფითს — თვისებებზე, და ნაკლებ ყურადღებას უთმობს მის გრანდიოზულ საქმეებს, როგორც ხელმწიფისასო. ტენმა, რომელმაც ვერ შეძლო ჩაეხშო თავის თავში ისტორიული სიმართლისადმი შეურაცხყოფილი სიყვარულის გრძნობა, აძის გაძო გასწია ახალგაზრდა ავტორისაკენ, აგოგმანდა სადღაც სხვენში, მეხუთე სართულზე და განუცხადა მას, რომ ეკატერინე II იყო დიდი ხელმწიფე-იმპერატორიო. ეს იყო და ეს...

* *

ტენი აკადემიკოსად აირჩიეს უმთავრესად იმის გამო, რომ მან საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინააღმდეგ შეთხზა სამი ტომი საბრალმდებლო აქტი, რომელსაც ეწოდება „Les origines de la France Contemporaine". მონარქისტები, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ „საფრანგეთის აკადემიაში", გაახარეს ამ დაგვიანებული ენის გამოწოვამ ისტორიული მოვლენებისადმი, რომლის მსოფლიო მნიშვნელობა მხოლოდ ბრმათათვის არის გაუგებარი... ტენმა მოახერხა შეერჩია უამრავი უცნობი საარქივო ფაქტი, რომელთა მარჯვე დაჯგუფებას, მისი აზრით, უნდა დაემტკიცებინა შეხედულება, რომ რევოლუციონერებმა ტყუილად დაანგრიეს „ძველი წყობილება". საინტერესოა ვიცოდეთ, რა გამოვიდოდა, ტენს რომ, მართლაც, დაემტკიცებინა ეს აზრი, არა მარტო ფაქტების მარჯვე შერჩევით, არამედ უკლებლივ ყველა ისტორიული მონაცემისადმი სავსებით პატიოსანი დამოკიდებულებით? ტყუილ-უბრალოდ თუ არა ტყუილ-უბრალოდ, მაგრამ რევოლუცია უკვე მომხდარ ფაქტს წარმოადგენს. რაც არ უნდა იყონგლიორო „ძველი წყობილების" ფაქტებით, მაინც მათგან ის საერთო დასკვნა გამომდინარეობს, რომ ამ ძველი წყობილების გაგრძელებაცა და თუ გინდ

ხელშეწყობაც იმხანად უკვე ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატებოდა.

ამ დასკვნამ უკვე ჰპოვა ადგილი ტენის ჯერ კიდევ წინა თხზულებაში. შემდეგ, იმის გამო, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაინტერესებულნი ამ ძველი წყობილების შენარჩუნებით, ვერ შეძლეს მისი ხელშეწყობა გონივრული და სრული რეფორმებით, რაღა გასაკვირია, რომ სახალხო რისხვის ტალღებმა საესებით წალეკეს იგი... ისტორიული რთული მოვლენები სასახლის ქალთა არისტოკრატიულ ბუდუარებში როდი ხდება, რომ ისტორიას შეეძლოს ყველა იმ მოღვაწის უარყოფა, ვისაც ტყავის ხელთათმანი არ ეცვა ოცდათორმეტღილიანი შესაკრავით! და რაც არ უნდა ენა გამოუყოს ახლა, უკანა რიცხვით, ტენმა ჟან-ჟაკ რუსოს ან რობესპიერს, დანტონსა თუ სან-ჟიუსტს, ისტორია არ შეიცვლის თავის შეხედულებას და მაინც კვლავინდებურად მიიჩნევს ამ ადამიანებს აზრის თუ საქმის იმ გოლიათებად, როგორც ისინი აქამდეც იყვნენ აღიარებულნი. ან მათი რა ბრალია, თუ ისინი მოღვაწენი გახდნენ, თუ ისინი თავიანთი უხეში ხელებით შეუდგნენ საზოგადოებრივი გარდაქმნის უფაქიზეს საქმეს: მათი გამოჩენაც და აღზევებაც იმით იყო დაკანონებული ისტორიაში, რომ ამ საქმეს ხელი ვერ მოჰკიდეს, ან არ მოჰკიდეს, ძველი წესწყობილების აზიზ-მაზიზმა მომხრეებმა, რომლებმაც წვრთნა სწორედ მეფის ხასათა სარეცლებში მიიღეს და, ამიტომაც, გაცილებით უფრო აზიზი ქცევებით ხასიათდებოდნენ...

რა თქმა უნდა, არც ერთ წესიერ ადამიანს არ შეუძლია გაამართლოს ის უამრავი სისხლისღვრა და ბოროტება, რითაც ეგოდენ მდიდარია პირველი რევოლუციისდროინდელი მატიანეები. ამ მხრივ, მისი მეხოტბე ლუი ბლანიც არც თუ უკეთესად ახასიათებს რევოლუციას, ვინემ მისი უარმყოფელი — ტენი. მაგრამ განა კეთილსინდისიერ ისტორიკოსს შეჰფერის იმის დავიწყება, ანდა თუ გინდა თავის ისე მოჩვენება, ვითომდა, დამავიწყდაო, რომ თვით ამ ძველი წესწყობილების მომხრეებმა მისცეს საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებს სისხლისღვრის გაკვეთილები? გაიხსენეთ ძველი წყობილების დროს მომხდარი სამარცხვინო და სრულიად უსამართლო სიკვდილით დასჯა გენერალ ლალისა, რომელსაც პირში ჩასჩარეს სოლი, თავისმოკვეთის დროს რომ ხმა ვერ ამოეღო; გაიხსენეთ იმავე ეპოქის ურიცხვი და მოწამებრივი სიკვდილით დასჯა. აკუწვით ყველა იმ უბედურისა, ვისაც დაავიწყდებოდა უბრალო ქუდის მოხდა კათოლიკური პროცესის წინაშე, და აი, მაშინ კი გაიგებთ, თუ რა უნდა შეესწავლათ ამ სკოლაში ძველი წყობილებით უკმაყოფილო პირთ. ლანძღეთ და აგინეთ მოწაფეები, კი ბატონო, ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ყოველივე ბოროტება ამათ თქვენი სანაქებო ძველი წყობილების „აზიზ-მაზიზმა“ მომხრეებმა შეასწავლეს.

ტენის წიგნი ვერ შეცვლის მიუკერძებელი ისტორიის ბრალდებათა არსს, მით უმეტეს, რომ ტენმა ვერც კი მოიტანა ისეთი, მაინცდამაინც უტყუარი ფაქტები, რომლებსაც შეეძლოს ამ სასჯელის უარყოფა... სამაგიეროდ, „საფრანგეთის აკადემიის“ ორლეანისტებმა და ლეგიტიმისტებმა ამაში ტენს აკადემიკოსის ტიტული მისცეს. ამასთან, ისიც ხომ ფაქტია, რომ არც ოგიუსტენ ტიერი, რომელმაც ისტორიული მეცნიერების ჩარხი მოატრიალა, არც ბოკლი და არც ლუი ბლანი აკადემიკოსობას ვერ ეღირსნენ, მიუხედავად იმისა, რომ ტენზე არანაკლებად ემარჯვებოდათ წერა და არც მასზე იშვიათად ასულან ხოლმე მეხუთე ხარისხულზე, ისტორიული ჭეშმარიტებისადმი პატივისცემის გამო.

59. ქართული აპათია

(პროზაული ელეგია)

ამას წინათ, სახელდობრ კვირას, 20 იანვარს, როგორც იქნა შედგა და როგორც იქნა ჩატარდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობის საერთო კრება. ვამბობ „როგორც იქნა შედგა და როგორც იქნა ჩატარდა-მეთქი", რადგან ეს კრება ამჟამად მოწვეულ იქნა ნაცვლად იმ წინა საერთო კრებისა, რომელიც დანიშნული იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გასული წლის დეკემბრის 20 რიცხვში. მართალია, მე ისევ საფრთხეში ვიგდებ თავს იმ მხრივ, რომ კვლავ დამაბრალებენ „ჩვენიანებს ებრძოდაო", მაგრამ არ შემიძლია საყოველთაო ყურადღება არ მივაქციო იმ ფაქტს, რომ ქართველი ინტელიგენცია ასეთ მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმეს ეკიდება უაღრესად გულგრილად, თუ მეტი არა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენში ან თუნდაც რუსეთში, არსებულ სხვადასხვა საზოგადოებათა შორის, იშვიათად რომ, რომელიმეს ისეთი შესანიშნავი მიზნები და ისეთი ფართო თვითმმართველობის უფლებანი ჰქონდეს, როგორც ჩვენს, შარშან დაარსებულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ საზოგადოების კომპენტეციისა თუ უფლებათა საზღვრები იმდენად ფართოა, რომ საკმარისია მისმა გამგეობამ და ამ საზოგადოების წევრებმა საქმისადმი ცოტაოდენ სერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინონ და ცოტაოდენ ენერგიული მოღვაწეობა გაშალონ, რომ მან რაღაც ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე შესანიშნავად ორგანიზებული სკოლებით მოფინოს მთელი ჩვენი სამშობლო, უზრუნველყოს ეს სკოლები რიგიანი მასწავლებლებით, დამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელოებით და სასწავლო დამხმარე საშუალებებით. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის ელემენტარული განათლების საქმე ვეებერთელა ნაბიჯს გადადგამდა წინ, რასაც შეუძლებელია არ ვესწრაფოდეთ ყველანი, ვინც კი ჩვენში განათლების გულწრფელი მომხრე და მოტრფიალეა.

ჩვენ აღვნიშნეთ საზოგადოების მიზანი და უფლებები, ახლა გადავხედოთ მის საშუალებებს. დამფუძნებელ წევრთა უაღრესად მნიშვნელოვანი ყოველწლიური შენატანის (20-20 მანეთი წლიურად) და, აგრეთ-

ვე. ნამდვილ წევრთა შენატანის (6-6 მანეთი წლიურად) გარდა, საზოგადოებას უფლება აქვს მიიღოს, აგრეთვე, სხვადასხვა შეწირულებანი, რომლებიც უკვე შემოაქვთ ზოგიერთებს, და, ამას გარდა, მოაწყოს ხოლმე სპექტაკლები, ლიტერატურული საღამოები, მეჯლისები და ა. შ. ძალიანაც მომჭირნედ რომ ისარგებლოს საზოგადოებამ შემოსავლის ამ წყაროთი, მას შეუძლია ყოველწლიურად, ამ მუხლის თანახმად, შეაგროვოს ხოლმე არანაკლებ 2000—3000 მანეთისა. მაგრამ ამისაგან დამოუკიდებლადაც, ორივე ქართული საადგილმამულო ბანკის — თბილისისა და ქუთაისის — დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებებმა, თვით ამ საზოგადოების დაფუძნების მომენტში, ფრიად გულუხვი დახმარება გაუწიეს მას და თავიანთი მოგებიდან მის განკარგულებაში ჩარიცხეს 12 ათასზე მეტი მანეთი. ამასთან, ამ თანხაში არ შედიოდა ის 8000 მანეთი, რომელიც ქუთაისის ბანკმა მანამდე საგანგებოდ ჩაურიცხა ამავე საზოგადოებას — ქ. ქუთაისში სასწავლებლის გახსნის მიზნით.

შეუძლებელია არ დაგვეთანხმოთ, რომ ეს სულაც არ არის უმნიშვნელო თანხა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არც იმის საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს ორივე ბანკი ყოველწლიურად აღარ დაეხმარება ხოლმე საზოგადოებას არანაკლები ოდენობის თანხებით.

რაკი ამ ჩვენს საზოგადოებას ასეთი მიზნები და უფლებები, ასეთი თანხები გააჩნია, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, უთუოდ ძლიერ ენერგიულად მოქმედებს და სარგებლობს სერიოზული დახმარებით ყველასაგან, ვისაც ნამდვილად უყვარს თავისი ხალხი და გულწრფელად სურს მისი სიკეთე. ასეა ხომ?

ცუდად გცოდნიათ ქართველთა აპათია, თუ გგონიათ, რომ ჩვენში შეესაძლებელია ყველა ეს აპრიორული დასკვნა პრაქტიკულად განხორციელდეს. წარმოიდგინეთ, თუმცა ეს, მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი საზოგადოების პირველი საერთო კრებაც კი ძლივს შედგა, რადგან დამფუძნებელ წევრთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა! საზოგადოების დაარსების, მაშასადამე, მისი გამგეობის არჩევის დროიდან ჯერ არ ყოფილა გამგეობის წევრთა ისეთი საერთო კრება, რომელიც რიცხობრივად, შეიძლებოდეს სერიოზულ კრებად ჩაითვალოს. ყოველ კრებას მხოლოდ 25-50-60 წევრი ესწრებოდა, მათ შორის გამგეობის წევრნიც. ბოლო საერთო კრება, მოწვეული კვირას (წესდების მიხედვით, რაც უნდა მცირერიცხოვანი იყოს კრება იგი მაინც კანონიერად ითვლება), მიჩნეულ იქნა კომპეტენტურად, მიუხედავად იმისა, რომ გახსნისას წევრთა რაოდენობა საარაკოდ მცირე, სასაცილო რიცხვს აღწევდა — 13 კაცს (მათ შორის გამგეობის წევრნიც) და საჭირო გახდა ახალ წევრთა არჩევა თუ მიღება, რომ, ბოლოს, წევრთა საერთო რაოდენობა 24-მდე მაინც ასულიყო!

ამასთან გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული საზოგადოება უკვე რამდენიმე ასეულ კაცს ითვლის, რომ მათგან უდიდესი უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს, რომ კრება საგანგებოდ დანიშნეს კვირა დღეს დილით, როდესაც ყველანი თავისუფალნი არიან შრომისა თუ სხვა საქმეებისაგან,—ყველანი, ორიოდე კაცის გარდა! კი მაგრამ რა არის ეს? სამარცხვინო ამბავია და მეტი არაფერი! განა შეიძლება ასე უსულგულოდ მოვეპყრათ იმ საქმეს, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების გონებრივი და სამოქალაქო განვითარება და რომლის შესახებაც ჩვენ ყველანი — სიტყვით — ასე გულმხურვალედ და მგზნებარედ ვლაპარაკობთ. თბილისის ბულვარში, ტროტუარებსა და დროსტარების ადგილებში, ყოველდღე შემოგხვდებათ ასობით ახალგაზრდა კაცი, რომლებიც ხმამაღლა ღაღადებენ თავიანთი პატრიოტიზმის შესახებ, სამშობლოსადმი სიყვარულის შესახებ, თავიანთი მზადყოფნის შესახებ უმსხვერპლონ მამულს საკუთარი სისხლის უკანასკნელი წვეთი, რაც სამშობლოს ამჟამად სრულებითაც არ სჭირდება... ხოლო იქ, სადაც მათი დასწრება, თუნდაც უენო და ურგები, აუცილებელია ამავე სამშობლოს სისხლხორცეული ინტერესების გამო, თქვენ წააწყდებით კრებას, შემდგარს ცამეტი (უდავოდ აპოკალიფსური რიცხვია!) კაცისაგან, რომლებიც მთქნარებით ისმენენ გამგეობის მოხსენებას და თავის ავტომატური დაქნევით აჩქარებენ გამგეობის ყველა წინადადების დამტკიცებას, ოღონდ კი არ დაუგვიანდეთ ბულვარზე სასეირნოდ წასვლა. სწორედ იქ შეიძლება მარჯვედ და თავმომწონედ ილაყბოს კაცმა სამშობლოს ხსნაზე... განა ამაზე უფრო სამარცხვინო სულმოკლეობა წარმოსადგენია?

გამახსენდა ძველი ლათაიები, მეტყვიან: ბატონო, ნუ აზოგადებთ ცალკეულ მოვლენებს; თქვენ აღშფოთებული ხართ გამონაკლისი შემთხვევით და საერთო მნიშვნელობას ანიჭებთ მას! არაფერიც. შეუძლებელია ცალკეულ ფაქტად და წმინდა წყლის კერძო მოვლენად მივიჩნიოთ ის, რაც ერთი და იგივე ფორმით და გულისგამაწვრილებელი მუდმივობით მეორდება ხოლმე წლითი წლობით, სრულიად განსხვავებულ პირობებსა თუ ვითარებაში. მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებები განსხვავდება-მეთქი დამსწრეთა მკვეთრი მცირერიცხოვნობით. ვგონებ, ესეც კი მაძლევს უფლებას, ვილაპარაკო ამ საზოგადოების წევრთა აპათიაზე, როგორც უკვე საერთო და არა კერძო მოვლენაზე. მაგრამ, ერთი გადააავლეთ თვალი აქაურ სათავადაზნაურო არჩევნებს, ჩვენებური საადგილმამულო ბანკების დამფუძნებელ წევრთა კრებებს, სასაცილოდ მივიწყებული ქართული დრამატიული საზოგადოების ბედიღბალს, ბავშვთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების კრებებს და ა. შ. და დამეთანხმეთ, თუ გაგაჩნიათ ერთი წვეთი მაინც

გულწრფელობისა და საღი გონებისა, რომ ყველგან და ყოველთვის, ყველა საქმეში ჩვენ წინ გვეღობება ხოლმე აპათია, რომელიც უაღრესად მკვეთრად არ ეხამება ჩვენს სიტყვით უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი.

გასაგებია, თუკი საზოგადოების წევრთა უმრავლესობა საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას იჩენს, მის გამგეობასაც, სულ რომ ანგელოსებისაგან და „მოქმედების გიგანტებისაგან" იყოს შემდგარი, შეუძლებელია, რომ არ გადაედოს თავისი „სამსახურის" წმინდა ფორმალისტური შესრულება, შეუძლებელია, რომ იგიც არ აჰყვეს სიზარმაცეს და არ დაემორჩილოს აპათიას... მაგრამ, ერთი მითხარით, რა როლი უნდა შეასრულოს ისეთმა გამგეობამ, სადაც წევრებად არიან გიგანტები და ანგელოსები კი არა, არამედ უბრალო მოკვდავნი, რომელთაც, რა თქმა უნდა, შესანიშნავი სურვილები აქვთ, მაგრამ, რომლებიც ნაჩქარევად აირჩიეს იმათგან, ვინც პირველადვე მოხვდათ თვალში?

ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თავისი მოღვაწეობით ხომ ყველა ჩემს სკეპტიკურ მოლოდინს გადააჭარბა. პირველი სერიოზული ღონისძიება, რომელიც მან გაატარა, ეს იყო ბიუჯეტის შედგენა. ამ ბიუჯეტის საუკეთესო დახასიათება და ის გარემოებაც კი გვეყოფა, რომ გამგეობამ თავი არ შეიწუხა მის გამოსაქვეყნებლად ადგილობრივ გაზეთებში, საყოველთაო ცნობის თუ ყურადღებისათვის, იმდენად დაუდეკრად არის იგი შედგენილი...

ყოველ შემთხვევაში მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ გამგეობამ დაადგინა, მთელი თანხა, რომელიც 1879 წელს მივიღეთ ბანკების მთელი მოგებიდან, შევიტანეთ ერთ-ერთ აქაურ საკრედიტო დაწესებულებაში იმ განზრახვით, რომ ამ ჯამისაგან მიღებული სარგებლით წარვმართოთ სასკოლო საქმეო! ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ გაანთავისუფლო ორივე ბანკი აუცილებლობისაგან ყოველწლიურად გამოუყონ ხოლმე საზოგადოებას თავიანთ მოგებათა ნაწილი, რომელიც, თანახმად ამ ბანკების წესდებებისა, უნდა გაღებულ იქნას ქვეყნის საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის; ეს ნიშნავს, აგრეთვე, იმას, რომ საზოგადოების მოღვაწეობა დაიყვანო პაწაწინა თანხაზე: 600 ან 800 მანეთზე წლიურად, რაც ძლივს თუ ეყოფა საკანცელარიო ხარჯებს ბლანკების დასაბეჭდად და აუცილებელი რაოდენობის ფანქრებისა და კონვერტების შესაძენად. არც ერთი სპექტაკლი, არც ერთი მეჯლისი, არც ერთი ლიტერატურული საღამო გასული წლის მანძილზე გამგეობას არ მოუწყვია. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი საერთო კრების უმრავლესობამ დაადგინა, ნუ გავხდით საზოგადოების ფულებს ხელშეუხებელსო და, პირიქით, ვისარგებლოთ ამ თანხებით საიმისოდ, რომ გავუხსნათ სოფლის მცხოვრებლებს სკოლებიო, საქმე საქმეზე რომ მიდგა, გამგეობამ პრაქტიკულად განახორციელა სწორედ

საკუთარი თვალსაზრისი და ნაცვლად იმისა, რომ ენერგიულად ხელი შეუწყოს სახალხო განათლებას, გახადა თავის შემოწირულ თანხათა შემნახველ კანტორად, კუპონების მომჭრელ მანქანად... თუმცაღა, ან კი ვინ ყავდა გამგეობას, ამ მხრივ, ხელის შემშლელი, ვინ გააფრთხილებდა, რომ ასე არ უნდა გაიგო საზოგადოების მიზნები და დანიშნულებაო, როცა ამ საზოგადოების წევრები სწორედ ზემოაღნიშნული მონდომებით შეუდგნენ მუშაობას? შემდეგ, საქართველოში სასკოლო საქმის ყველაზე მთავარი ნაკლოვანება ის არის, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია საერთოდ არავითარი სახელმძღვანელო, საკითხავ წიგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ მხრივ, ერთადერთ დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენს ბ-ნ გოგებაშვილის გამოცემები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ბ-ნ უშინსკის გამოცემათა უხეირო თარგმანს. გასაგებია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი მოვალეობა უნდა იყოს ისეთი საშუალებებისა და თანხების გამოძებნა, რომელიც შესაძლებელს გახდის ქართული სკოლის უზრუნველყოფას რიგიანი სახელმძღვანელოებითა თუ საკითხავი წიგნებით. მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ ძნელია მოელოდე ასეთ ინიციატივას საზოგადოების გამგეობისაგან, თუკი იგი უმაღლეს „პედაგოგიურ ავტორიტეტად" აღიარებს თვით ბ-ნ გოგებაშვილს, რომლის სახელმძღვანელოების ნაცვლად, ბ-ნ უშინსკის წიგნების თარგმანების ნაცვლად, საჭიროა დაიძებნოს რაიმე უფრო შესაფერისი თხზულებები.

ჩვენმა თავგამოდებულმა პატრიოტებმა უკვე მოიხვეჭეს სამშობლოს მხსნელთა რეპუტაცია იმით, რომ თუთიყუშივით იმეორებენ საყოველთაოდ აღიარებულ აქსიომას, მშობლიური ენა უნდა გახდეს საფუძველი და იარაღი პირველდაწყებითი განათლებისაო. მაგრამ განა თვით ეს აქსიომა არ მოითხოვს იმას, რომ სკოლებს რიგიანი სახელმძღვანელოები ჰქონდეთ მოსწავლეთა დედაენაზე? მერედა, განა შეიძლება ასეთად მივიჩნიოთ წიგნები, რომლებიც სიტყვა-სიტყვით არის გადმოთარგმნილი უცხო ენიდან და რომლებიც ამასთან ერთად, ჩვენი ბავშვების უმრავლესობისათვის გაუგებარ მოვლენებსა თუ აზრებს გამოხატავენ? განა რუსული ანდაზებისა თუ სიმღერების * სიტყვა-სიტყვითი თარგმანისა და პწკარედების თავმოყრა გამოხატავს დედაენაზე სწავლების იდეას? ამ იდეას რომ ნამდვილად ჰქონდეს ფესვები გადგმული ჩვენებურ პატრიოტთა ტვინში და იგი რომ მათ მიერ სავსებით იყოს შეთვისებული, მე არ მომიხდებოდა აქ ამ პატრიოტთათვის იმ ჭეშმარიტების განმარტება, რომ ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა წარმოად-

---

* მაგალითისათვის მოვიყვან ბ-ნ გოგებაშვილის მიერ თარგმნილ სიმღერას: „დიდედას ჰყავდა რუხი თიკანი", რომელშიც ერთადერთ გადახვევას რუსული დედნიდან წარმოადგენს ის, რომ რუხი თიკანი ლურჯ თიკნად არის თარგმნილი.

გენდეს არა თარგმანს უცხო ენიდან, არამედ ორიგინალურ ნაწარმოებებს-მეთქი. აღნიშნული სასკოლო ლიტერატურა თავის მაგალითებსა და აღწერილობებს უნდა სესხულობდეს ადგილობრივი გარემოდან, ხოლო თავის ანდაზებსა და სიმღერებს ხალხის მეტყველებიდან... მაშინ მათი ავტორები მოეშვებოდნენ თბილისის ქუჩების ტკეპნას, ანდა მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხს სამშობლოსა თუ დედაენისადმი თავიანთი სიყვარულის შესახებ, და ჩაუჯდებოდნენ საკითხავი წიგნებისა თუ სოფლის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენას... მაშინ ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაც დიდი ხანია დააჩქარებდა საამისო საშუალების დაძებნას, რომ წაახალისოს ამ საქმისათვის რამდენიმე კაცი იმ პატრიოტთაგან, რომლებიც ჩვენ'ში უფრო მეტია, ვიდრე ქვიშა რიყეში. მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? ერთადერთი, რაც ამ მხრივ ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადობის გამგეობამ გააკეთა, ეს არის ის, რომ მან გამოყო თანხები ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ახალი გამოცემისათვის... ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ გულსაკლავია ყოველივე ამაზე წერა, გულსაკლავია უფრო იმიტომაც, რომ აქ ვერ შეამჩნევ რაიმე უბრალო ნიშანწყალს ან თუნდაც ცალკეულ და უმნიშვნელო მოვლენასაც კი, რომელსაც შეიძლება ხელი ჩასჭიდოს კაცმა იმ იმედით, რომ სულ მალე უკეთესი ტაროსი დაგვიდგება... ხოლო, როცა ვრწმუნდები, რომ, ერთი შეხედვით, სერიოზული ადამიანები, ვინც ამ საზოგადოების სათავე'ში დგას, ანდა მის წევრთა შორის ირიცხება, ყოველივე ამას შეჰყურებს არათუ ყოველგვარი აღშფოთებისა თუ წყენის გარეშე, არამედ, პირიქით, აშკარა გულაჩუყებულობით, გეგონებათ მათ თვალწინ ხდება უტყუარი და ჭეშმარიტი საქმე, რომელიც ვითომდა ქართველი ხალხის თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გულს აუტანელი სევდა შემოაწვება ხოლმე: რაღა მოეთხოვება სავსებით ინდიფერენტულ ადამიანებს, რა მოეთხოვებათ მასებს, რომლებიც ყოველდღიური ჭირვარამითა და დღენიადაგი ჭაპანწყვეტით მიათრევენ თავიანთ დღეებს, თუკი ჩვენი საუკეთესო ადამიანები, ჩვენებური ინტელიგენტთა ფენებიც ამგვარი აპათიით ეკიდებიან საქმეს და ასე ესმით მისი არსი? რას უნდა მოველოდეთ მომავლისაგან, როცა აწმყოში ჩვენი ყველაზე მოწინავე „მოღვაწენი" საქმის ასეთი ხელმძღვანელობით კმაყოფილდებიან და წარმოდგენაც კი არ აქვთ იმაზე, თუ ნამდვილად როგორ უნდა წარემართავდეთ და ვხელმძღვანელობდეთ ამგვარ წარმატებას? ამ ჩვენს ვაი-მოწინავე ადამიანებს, რომ ოდნავი წარმოდგენაც კი არ აქვთ ამ საქმეზე, ამას მოწმობს ჯერ ერთი, მათი აპათიური დამოკიდებულება მისდამი, ხოლო მეორეც, ის გარემოება, რომ ყოველთთვის, როცა გარეშე პირი მიუთითებს ხოლმე მათ შეცდომებზე, კრიტიკულად განიხი-

ლავს მათს მოღვაწეობას, აძაგებს საზოგადო საქმეების ამგვარ ხელმძღვანელობას და ამგვარ წესებს, ისინი იმითღა პასუხობენ, რომ ხელაღებით აბრალებენ ხოლმე მას პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი სიყვარულის ვითომდა უქონლობას.

ამის შემდეგ, როგორღა არ ავყვე ელეგიურ ტონს და არ ვთქვა, რომ საქმის ამგვარი ხელმძღვანელობა სამშობლოს ხსნა კი არა, მისი მიძინებაა-მეთქი, და თუ ეს კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს, მაშინ ამგვარ მიძინებას შეიძლება სამუდამო განსვენებაც მოჰყვეს-მეთქი?

60. საკვირაო საუბრები

ბუნებისმეტყველთა ყრილობა პეტერბურგში. — ჩვენი წარმომადგენლები ამ ყრილობაზე. — ასიგნობანი და ჩემოდნები. — რა მდიდარი წვლილის შეტანა შეეძლოთ მათ ყრილობის შრომებში. — მათი ფიგურა ყრილობაზე. — ნეესკის პროსპექტი. — ჩუხონიის მშვენიერებათა მკვრეტელნი. მათი მომავალი ანგარიშები. — ჩვენი პედაგოგების გონებრივი სიდუხჭირე. — რას აკეთებენ ისინი? — „ჩვენ წინ ვწვეთ მეცნიერებას". — საიდან მომდინარეობს მათი გონების სიჩლუნგე? — პედაგოგიური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა ბავშვთა ხსნისათვის კი არა, თვით მასწავლებელთა ხსნისათვის.

გასული წლის დეკემბრის დამლევს პეტერბურგში შედგა ბუნებისმეტყველთა ყრილობა, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში თავი მოუყარა მეცნიერების წარმომადგენლებს რუსეთის ყველა კუთხიდან. რასაკვირველია, ეს ყრილობა იოლად ვერ წავიდოდა კავკასიის წარმომადგენელთა გარეშე, ამ ჩვენს ყამირ მიწაზე მეცნიერების მთესველთა და მოღვაწეთა გარეშე... ჩვენს სასწავლო უწყებას ფული არ დაუშურავს საიმისოდ, რომ ბუნების მკვლევართა ამ სრულიად რუსეთის შეჯიბრზე თავისი, რა თქმა უნდა, საუკეთესო წარმომადგენლები წარეგზავნა. მივლინებებიც გულუხვად გასცეს და ჩვენებურ „სწავლულთაგან" ცოტაოდენმა როდი გაინავარდა პეტერბურგს საკუთარი მეცნიერების გამოსამზეურებლად და სხვისი სწავლულების შესამოწმებლად.

სხვათა შორის, ის აზრიც, რომლითაც ჩვენი სწავლული უწყება ხელმძღვანელობდა, მართლაცდა, სავსებით მისასალმებელია. მეცნიერების, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების, თვალსაზრისით, არა მგონია რუსეთის რომელიმე სხვა განაპირა მხარე ასე საინტერესო იყოს, ანდა ამდენი მონაცემები გააჩნდეს, როგორც კავკასიას. „მეცნიერების მთესველთ", რომლებიც ჩვენგან მიაელინეს ყრილობაზე, სრული შესაძლებლობა ჰქონდათ წარმდგარიყვნენ სწავლების თვალთა წინაშე ძლიერ საინტერესო ფაქტებითა თუ დაკვირვებების შედეგებით დატენილი უთვალავი რაოდენობის ჩემოდნებითა და საკვოიაჟებით. თუკი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან გვეწვეევიან ხოლმე ჩვენ, კავკასიელებს, მეცნიერების ნამდვილი მოღვაწენი, რათა აქ გადაწყვიტონ ცოდნის უაღრესად საინტერესო საკითხები, მაშინ განა აშკარა არ არის, რომ ჩვენს ადგი-

ლობრივ სწავლულთაც არ გამორჩებოდათ მხედველობიდან რაიმე იმ უამრავ და უთვალავ საუნჯიდან, რასაც მეცნიერებისათვის კავკასიის მხარის ბუნება წარმოადგენს? თუკი ფავრები, კესლერები, ბრანდტები და სხვა მათი მსგავსი მეცნიერები ჩამოდიან ხოლმე, რათა ახალი მეცნიერული ჰიპოთეზები შეამოწმონ იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც მხოლოდ ჩვენში მოიპოვება, მაშინ ხომ აშკარაა, რომ ჩვენებურ ცოდნისმთესველთ უთუოდ თავიანთ განკარგულებაში აქვთ უამრავი ახალი დაკვირვება ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ბუნების, ჩვენს გარშემო არსებული ბუნების სიცოცხლის შესახებ?

მაშასადამე, გასაგებია, რომ სასწავლო ოლქი შესანიშნავად მოიქცა, როცა სამგზავროდ მოამზადა და პეტერბურგს გაისტუმრა (ხაზინის ხარჯით) განსწავლულ ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. მთელი რუსეთის ანტროპოლოგებს შეუძლიათ შეიძინონ ჩვენი წარმომადგენლებისაგან ცნობები წინაისტორიული თავისქალისა თუ ჩონჩხების შესახებ, რომლითაც ეგოდენ მდიდარია ჩვენი მხარე; მიიღონ ცნობები ჩვენში მობინადრე ასობით ხალხების განმასხვავებელი რასობრივი ნიშნების შესახებ. — იმ ადგილობრივ ხალხთა საყოფაცხოვრებო პირობების თავისებურებათა შესახებ, რომლებმაც, მრავალ საუკუნეთა მანძილზე მიუვალ ხევებში ცხოვრების გამო, მეცხრამეტე საუკუნის დამლევისათვისაც კი თითქმის ხელუხლებლად შეინარჩუნეს მეათე საუკუნის მოსახლეობის ცხოვრების ნირი და პირობები... გეოლოგები თუ მინერალოგები ჩვენს სწავლულთაგან გაიგონებდნენ ისეთ ფაქტებს აურაცხელ მინერალურ სიმდიდრეთა ორიგინალურ დანაშრევებსა თუ საბადოებზე, რომელთა მსგავსი სიზმარშიც არ მოსჩვენებიათ ურალელ ბრძენთ. ბოტანიკოსებისა თუ ზოოლოგებისათვის ჩვენ შეგვეძლო გაგვეგზავნა ისეთი ცხოველებისა თუ მცენარეების აღწერილობანი და კოლექციებიც კი, რომლებსაც ისინი სანთლით ხელში ვერ დასძებნიან მთელი რუსეთის სივრცეებში. თუმცა რა საჭიროა გავაგრძელოთ, აშკარამად უკვე უნაყოფო სია იმ წვლილისა, რომლის შეტანაც შეეძლოთ ჩვენს წარგზავნილებს ბუნებისმეტყველთა ყრილობაში, ანდა — იმ სიურპრიზებისა, რომლითაც მათ დამსწრეთა განცვიფრება შეეძლოთ. ისედაც, ყოველგვარი ჩამოთვლის გარეშეც, ყველასათვის ნათელია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უკლებლივ ყველა დარგში კავკასიას შეეძლო და კიდევაც უნდა შეესრულებინა ერთ-ერთი უპირველესი როლი იმ ყრილობაზე, სადაც მოსალოდნელი იყო ბუნებისა თუ ადამიანის ცხოვრებაზე ახალ დაკვირვებათა გამოაშკარავება...

ჩვენმა სასწავლო ადმინისტრაციამ, ვიმეორებთ, ძალიან კარგი ქნა, რომ შეიგნო ეს და თავისი საუკეთესო წარმომადგენლები მიავლინა პეტერბურგს. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენებურ სწავლულებზე ვიქონიოთ წარმოდგენა, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ესენი, ეს საუკეთესოები წარგზავნილთა შორის, ყრილობაზე ხელცარიელნი მივიდნენ. მათი ჩემოდნები და საკვოიაჟები სავსე აღმოჩნდა არა სამეცნიერო გამოკვლევებით, არა ახალი დაკვირვებებით, არა მეცნიერული ფაქტებით, არამედ შეიდიშებითა და გახამებული პერანგებით, რითაც მათ უხდა გაეკვირვებინათ არა მთელი რუსეთის სწავლული კაცები, არამედ ნევის პროსპექტის ლამაზმანები... მდუმარედ, ხმაამოუღებლივ, თავჩაქიხდრული უაზროდ უსმენდნენ ჩვენი წარმომადგენლები ანგარიშებს იმ დაკვირვებათა შესახებ, რომლებიც მათ კოლეგებს უწარმოებიათ უსიცოცხლო ჩრდილოეთსა თუ უნაყოფო სამხრეთში, ანდა ადრევე აღწერილი, უკვე შესწავლილ დასავლეთშიც კი... მარტოოდენ ჩვენი კავკასია უბადლო ბუნებითი საბადოებით მომადლებული, სავსე სიცოცხლის ნაირფერადობითა და სიმრავლით, თანაც ჯერ კიდევ არაკაცისაგან შესწავლილი და გამოკვლეული, დარჩა წარმომადგენლისა თუ დამკვირვებლის გარეშე... ყრილობაზე აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც არის მ. ა. ანტონოვიჩი, რომელმაც შესძლო მიეკვლია ახალი სამეცნიერო ფაქტებისათვის იქვე, პეტერბურგიდან ორი ფეხის ნაბიჯზე, ფინეთის ყურის ერთ-ერთ კუნძულზე, მაშასადამე, ისეთ მიდამოში, რომლის ყოველ მტკაველ მიწას, აი, უკვე ორი საუკუნეა ყოველდღიურად სტეპნიან მეცნიერების პირველხარისხოვანი მოღვაწეები. ამავე დროს კი მთელს კავკასიაში, რომელმაც აქამდე მხოლოდ ორიოდე ბუნებისმეტყველთა ყურადღება თუ მიიზიდა თავისკენ, ვერც ერთმა ჩვენმა წარმომადგენელმა ვერ შენიშნა ვერც ერთი ფაქტი ან საინტერესო მოვლენა, ვერ ჩაიტანა ვერც ერთი ღირსშესანიშნავი დაკვირვება, სევასტოპოლიდან ყრილობას მოახსენეს დაკვირვებათა შედეგებზე შავი ზღვის დონის მერყეობის შესახებ ფოთსა და სოხუმში, მთელი კავკასიის სამეფისნაცვლოდან კი არც ერთი ნიშანკვალი არ მოსვლიათ ბუნების რაიმე კვლევის შესახებ!

ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ყრილობაზე მუნჯად ყოფნით დარცხვენილებმა ჩვენმა წარმომადგენლებმა ნევის პროსპექტის ქვაფენილს მიაშურეს და პასაჟის სტუმართმოყვარე ჭერქვეშ შეიხიზნენ. სწორედ იმ დროს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში ყრილობის სხდომები მიმდინარეობდა, მე პასაჟში წავაწყდი ჩვენს ბუნებისმეტყველთ, რომლებიც დაგვიანებით ატარებდნენ დაკვირვებებს ამის თაობაზე, თუ როგორ ღაჟღაჟებს ჩუხონელ მზეთუნახავთა ლოყებ-

ზე ხელოვნური საღებავები. რა თქმა უნდა, თავიანთ კოლეგების წინაშე სირცხვილით დაწვას, ამ ვაუბატონებმა ამჯობინეს დაკვრევებანი მოეხ-დინათ სხვათა სახის კანის ხელოვნურ საღებავებზე.

• •

მართალია, ჩვენი წარმომადგენლები ხელცარიელნი გაემგზავრნენ ყრილობაზე, მაგრამ უეჭველია, რომ შინ დაბრუნებისას ისინი თან წა-მოიღებენ ყრილობის შესახებ ანგარიშებითა და შენიშვნებით სავსე რვეულებს. განა ძნელია „გოლოსის“ ან თუნდაც „ნოვოე ვრემიას“ რეფერატების საფუძველზე ხელმძღვანელობას მოახსენო ყოველივე: იმის შესახებ, რაც კი საინტერესო იყო ყრილობისა თუ მისი სექციების სხდომებზე? ასეთი მცირე ანგარიშების შედგენა სრულები-თაც არ არის ძნელი, მაგრამ განა საჭირო იყო, რომ სახელმწიფოს ასიგ-ნობებისა თუ ხაზინის ზანდუკებისათვის მიგვემართა ისეთი შედეგების მისაღწევად, რაც ამგვარ მსხვერპლს სულაც არ საჭიროებს და ჩვეუ-ლებრივი საკანცელარიო ხერხებითაც ხორციელდება? ჩვენი სასწავლო ოლქის კანცელარიაში, დარწმუნებული ვარ, მოიპოვება ორიოდე მაკ-რატელი, ხოლო თხევად წებოს კაცი ადვილად შეიძენს მაღაზიაში, რომ საგანგებოდ არავინ შეიქნეს შორეულ ადგილებში მისავლინებელი. თუ ყველა ამ პირობას დავიცავდით, საკმარისი იქნებოდა გვებრძანებინა, რომელიც გინდა გადამწერისათვის, ამოჭერი დედაქალაქის გაზეთები-დან ყრილობის შესახებ რეფერატები და ჩააწებე ისინი განსაკუთრე-ბულ რვეულში-თქო და, მართლაც, ისეთ მშვენიერ ანგარიშს მივიღებ-დით, რომ თქვენი მოწონებული! ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წარგზავ-ნილების ძვირადღირებულ რაპორტებს მაინც აჯობებდა. ამაში ეჭვი სულაც არ მეპარება, განსაკუთრებით ინფორმაციის სისრულის მხრივ!... მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი წარმომადგენლები პეტერ-ბურგს, ბუნებისმეტყველთა ყრილობაზე მიავლინეს არა ასეთი უმნიშვ-ნელო შედეგის მისაღწევად, არამედ იმათ დასარწმუნებლად, ვისაც ჯერ არს, ვითომდა ჩვენც კავკასიაში გვყვანან მეცნიერების წარმომადგენ-ლები და, ამასთან, სულაც არა მარტოოდენ ბეცი ადამიანები, რომელ-თაც არა უწყიან, თუ რა ბუნებითი სიუხვენი განიფინებიან მათ თვალთა წინაშე...

ყოველივე ამის შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ბუნებისმეტყველთა კრებასა და მთელ რუს მკითხველ საზოგადოებას სწორედ ისეთი აზრი შეექმნათ ჩვენს სწავლულ მოღვაწეებზე, რომ ეს უკანასკნელნი ნამდ-ვილად ბრმები არიან და წარმოდგენაც კი არა აქვთ იმ სიმდიდრეზე, რომელიც გარს არტყიათ. პირადად მე დიდი ხანია ამგვარი აზრისა ვარ ჩვენს „მთესველთა“ შესახებ და არაერთხელ გამომითქვამს კიდევაც

იგი პრესაში. მაგრამ ახლა, როცა ყველას, ვისაც თვალები აქვს, შეუძლებელია ამავე დასკვნამდე არ მივიდეს, მე ძალიან მიხარიან, რომ კვლავ მაქვს უფლება მივაქციო მკითხველთა ყურადღება ჩვენი განათლების საკვალალო მდგომარეობას...

მართლაც, განა საოცარი არ არის, რომ ჩვენი სასწავლო იერარქიის წარმომადგენლები ყველაზე უფრო დაბეჯითებით გაურბიან ხოლმე ჩვენი მხარის გონებრივ ცხოვრებასთან რაიმე ურთიერთობას? აიღეთ თუნდაც ჩვენი პრესა: აბა, ერთხელ თუ მაინც აიღო ხელში კალამი, ჩვენი სასწავლო უწყების რომელიმე წარმომადგენელმა, რათა გაეზიარებინა მკითხველი საზოგადოებისათვის თავისი აზრები ან გრძნობანი, თავისი დაკვირვებანი და შენიშვნები? ასეთი გაბედული ადამიანები თუ ოდესმე კიდევაც გამოჩენილან ასპარეზზე, ეს იყო ან ძალიან დიდი ხნის წინათ, ანდა ისინი ახლა, დღეს გამოვიდნენ. ნუთუ განვითარებული ადამიანის პედაგოგად მოღვაწეობისას ჩვენს ფრიად ორიგინალურ პირობებში, სხვა და სხვა ტომისა და ნაირ-ნაირ ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეებს შორის ჩვენს მხარეში, სადაც ამ მოსწავლეთა მშობლები, ვგონებ, უფრო მეტად საინტერესონი არიან შესასწავლად, ვიდრე თვით მათი შვილები, ყოველ მასწავლებელს არ უნდა დაეგროვებინა ასი-ათასობით ფაქტი, ფრიად საინტერესო პედაგოგიური მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის? მაშ, მიჩვენეთ, თუნდაც ერთი ცდა ჩვენი განმანათლებლებისა, რომ აღენიშნათ ამგვარ დაკვირვებათა შედეგები და ეუწყებინათ იგი თავიანთი კოლეგებისათვის. ანდა, განა დასაშვებია, რომ განვითარებული ადამიანები ცხოვრობენ თითქმის პირველყოფილ მხარეში, სადაც ყველასათვის მოღვაწეობის ფართო ასპარეზია გახსნილი და ამიტომ ყველას შეუძლია რაღაც სარგებლობა მოგვიტანოს, თავის დღეში არ აღნიშნავენ ჩვენს შორის თავიანთ არსებობას რაიმე ისეთი ნაბიჯით, რომელიც კეთილმოსაგონარი იყოს, ანდა მადლიერების გრძნობას იმსახურებდეს? ერთი შეიხედეთ ჩვენს საზოგადოებრივ საკრებულოებში, ჩვენს სათათბიროებსა თუ ყრილობებში, ანდა ჩვენებურ საზოგადოებებში — სოფლის მეურნეობის, ტექნიკურ, გინდა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. თქვენ იქ ვერ აღმოაჩენთ სამ კაცსაც კი სასწავლო უწყებიდან. ახლა მიბრძანდით ჩვენს თეატრში, გადახედეთ მოყვარულთა სპექტაკლებს, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ საღამოებს — ყველგან პედაგოგია ზეიმობს თავის არყოფნას. მარტოოდენ ე. წ. „წრეში“ ან კლუბში თუ წააწყდებით ორიოდე მასწავლებელს, რომელიც ოფლს იწურავს პრეფერანსისა ან ბეზიგის თამაშში... აგრეთვე შეიძლება წააწყდეთ მათ ცირკში ვარდისფერი რეიტუზის ჭვრეტით გატაცებულთ...

ნუთუ მაინცადამაინც ამ წოდებაში — მხოლოდ და მხოლოდ მასში—არ არსებობს მოთხოვნილება დანარჩენ კაცობრიობასთან გონებ-

რივი ურთიერთობისა, ნუთუ სახელმძღვანელოების მიხედვით ერთი და იგივე გაკვეთილების ზუთხვამ საბოლოოდ გამორიცხა ამ ფენაში საზოგადოებრიობის ყოველგვარი მოთხოვნილება?..

ორიოდე წლის წინათ უკვე წამოვაყენე ზოგიერთი ამ საკითხთაგანი „ობზორში“.[3] რა თქმა უნდა, ჩემი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. სამაგიეროდ, ზოგიერთმა პედაგოგმა სიტყვიერ საუბარში ღრმააზროვნად მიპასუხა, რომ ჩვენ წმინდა მეცნიერება გვაინტერესებსო, ჩვენ — კაბინეტის სწავლულები გახლავართ და არც გართობას, არც პოპულარობას არ ვეძებთო. ჩვენი კაბინეტების სიმყუდროვეში ვაგროვებთ საგულისხმო ფაქტებს, რათა „წინ წავწიოთ მეცნიერებაო“. ამის გაგონებისას, სხვა რაღა დამრჩენოდა, რომ ენაზე კბილი დამედგა და გავჩუმებულიყავი. აკი დარვინიც ოცდაათ წელზე მეტ ხანს იყო გარინდებული, ვიდრე მთელს ქვეყანას აუწყებდა თავისი კაბინეტის სიმყუდროვეში ჩატარებული შრომის ნაყოფს-მეთქი. ამ ნიადაგზე მეც ჩემს გონებაში ქედი მოვიხარე ჩვენი მომავალი დარვინების წინაშე და გადავწყვიტე მომეცადნა. მაგრამ ახლა, როდესაც საუკეთესონი ჩვენს დარვინებს შორის საგანგებოდ აღკაზმეს და მიავლინეს პეტერბურგს, რათა იქ გამოემზიურებინათ განცვიფრებული რუსების წინაშე თავიანთი ათი წლის დაკვირვებათა შედეგები კავკასიის ბუნებაზე, და როცა მათ ვერაფრის ჩვენება ვერ შეძლეს თავიანთ თანამემამულეთა წინაშე, გარდა ქათქათა პერანგებისა, ერთი მიბრძანეთ, რა აზრისა უნდა ვიყო ჩვენს პედაგოგებზე?

არა, ოლოლო თქვენ და მე კი მგონია, რომ შეიქმნა რაღაც საბედისწერო ვითარება. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი და იგივე გაკვეთილების ზუთხვა ნიჭსა თუ გონებრივი მოღვაწეობის უნარს უჩლუნგებს კაცს, ხოლო, სამაგიეროდ, უტოვებს მას მარტოოდენ ცხოველურ ვნებათა დაკმაყოფილების სურვილს... ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვპოულობ სხვა რაიმე ახსნას იმ საყოველთაო აპათიისას, რასაც ჩვენი სწავლული განმანათლებლები ყველაფერში ამჟღავნებენ. თუ ამ ჩემს ჰიპოთეზას რაიმე საფუძველი აქვს, მაშინ იქნებ დრო იყოს, რომ ვიფიქროთ ჩვენი პედაგოგიური სისტემის სერიოზული რეფორმის შესახებ, სხვაფრივ ხომ ჩვენი შვილებიც, რომლებიც ასეთ გონებრივად დამყაყებულ მთესველთა მოწაფეები არიან, მათგან რიგიანს ვერაფერს ისწავლიან.

ჩემი რჩევაა: გადაარჩინეთ გამოთაყვანებას თქვენი მასწავლებლები, რომ გადასარჩენი არ შეიქნენ ისინი, ვინც მათგან სწავლობს.

61. პრესა და სასამართლო

თბილისი, 1890 წ. 28 იანვარი

სინანულითა და გულისტკივილით უნდა განვუცხადოთ კეთილ მკითხველს, რომ ისტორიაში უნდა ჩაიხედონ ხოლმე არა მხოლოდ მოსწავლეებმა, არამედ ზოგიერთმა „მოწინავე“ პუბლიცისტმაც. რაიძეს დამტკიცება ლოგიკური მოსაზრებებით, განზოგადოებებით — ეს მრავალი ადამიანისათვის ნაკლებმისაწვდომი და ფრიად საძნელო საქმეა. ვფიქრობ, რომ როგორც სწავლებაში, ასევე პრესაშიც, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სუბიექტური მეთოდით, — საჭიროა გავითვალისწინოთ ხოლმე იმ ადამიანთა განვითარების დონე, ვისთანაც ვაპირებთ საუბრის გამართვას. ამისათვის კი უნდა გამოვიყენოთ „თვალსაჩინოების მეთოდი აზრის გასაგებად“.

შევეცდები ამ წერილში გამოვიყენო ხსენებული მეთოდი იმ საკითხის საილუსტრაციოდ, რომელიც ამასწინათ მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ჩვენს პრესაში, სახელდობრ, საჭიროა თუ არა წინასწარი გამოძიების დროს საჯაროობა. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ნებას მივცემ ჩემს თავს ერთი შენიშვნა გავაკეთო.

აღიარებულია, რომ წინასწარი გამოძიება, როგორც ამას უფ. სტეფანოვიც ცნობს, სასამართლო პროცესის მთავარი მომენტია. ამასთან, ეს პროცესი აღიარებულია საჯარო პროცესად. ნუთუ მთელი ეს საჯაროობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მე და თქვენ, მკითხველო, უსაქმურობის გამო, წავიდეთ სასამართლოში, როგორც რაიმე გასართობ ადგილას, მოვისმინოთ და დავინახოთ ნაირ-ნაირი ეფექტური მოვლენები, როგორიცაა ადვოკატებისა და პროკურორების დიალექტიკური შეჯიბრებანი, ანდა შევადგინოთ ანგარიში და დავბეჭდოთ იგი გაზეთებში? საზოგადოებრივი ფაქტებისადმი ეს უსიტყვო და პასიური დამოკიდებულება, სწორედ მათი გამოვლინების უკანასკნელ მომენტში, განა საჯაროობა? არა, ბატონო ჩემო, ეს საჯაროობა კი არა, ხმის გაკმედაა: იყუჩე, თანაც ხმაამოუღებლივ უსმინე, რასაც გეუბნებიან... მაშ რაღა გავლენა უნდა მოახდინოს ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივმა აზრმა თვით ფაქტზე, თუკი იგი იძულებული იქნება ხმაგაკმედილმა მოისმინოს მის შესახებ?

ასე როდი ხდება განათლებულ ქვეყნებში. მე არ მოვიყვან მაგალითებს არც ამ ქვეყნების თანამედროვე ცხოვრებიდან და არც მათი უახლესი წარსულიდან, რათა არ მისაყვედურონ „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო"; მე მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს, საფრანგეთის ისტორიიდან, ამ ასი წლის მანძილზე, მაგრამ ისეთს, რომელთაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ეს მაგალითები შესაძლებელია თვალსაჩინო დადასტურება იყოს იმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს პრესისა და საზოგადოებრივი აზრის ჭეშმარიტ საჯაროობას სასამართლო საქმის წარმოებასა და თვით ამ საქმის გადაწყვეტაზე.

იცნობთ, თუ არა თქვენ, მკითხველო, იმ წარწერას, რომელიც მოთავსებულია ფერნეიელი ფილოსოფოსის — ვოლტერის ძეგლის კვარცხლბეკზე? „ვოლტერის აჩრდილნო! ამან, მგოსანმან, ისტორიკოსმან და ფილოსოფოსმან გაუფართოვა ადამიანს გონების საზღვრები და შეათვისებინა თავისუფლება; ამან დაიცვა კალლასი, სირვანი, დე-ლაბარი და მონბალი; ამან დათრგუნა ათეისტებიცა და ფანატიკოსებიც, ამან იქადაგა შემწყნარებლობა, ამან დაიცვა ადამიანის უფლებები ფეოდალური მონობის წინააღმდეგ".

კი მაგრამ რანაირად დაიცვა ვოლტერმა ეს ადამიანები? ვითომ ადვოკატად მოეევლინა მათ და სოფისტური სიტყვები წარმოთქვა მათ დასაცავად, ჩვენი ადვოკატების მსგავსად? დიახ, იგი მოეევლინა მათ ჭეშმარიტ ადვოკატად პრესისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრის სახით და ისტორიამაც სწორედ ამ ზემოთხსენებულ უმნიშვნელო ადამიანთა დაცვა აღიარა ვოლტერის ერთ-ერთ შესანიშნავ გმირობად. ამ დაცვამ უდიდესი გავლენა იქონია იმდროინდელი მართლმსაჯულების ფორმებზე. ამ დაცვამ ააფორიაქა მთელი საზოგადოება, თვალები აუხილა მას და სასამართლო საქმისწარმოების ნამდვილი არსი დაანახვა. ფერნეიელ განდეგილს არ აინტერესებდა არც იმ სასამართლო წესების სისწორე და არც ის საკანცელარიო ადათჩვეულებანი, რომელთაც იცავდა ტულუზის პარლამენტი, როცა ამ უკანასკნელმა 72 წლის მოხუც-პროტესტანტს სიკვდილით დასჯა — ეტლის თვალით ნაკუწ-ნაკუწად ქცევა მიუსაჯა იმისათვის, რომ მან, თითქოს და თავისი სარწმუნოებრივი ფანატიზმის გამო, ჩამოახრჩობინა საკუთარი შვილი, რომელმაც კათოლიკობა მიიღო. ვოლტერი გაეცნო საქმეს და უძღვნა მას თავისი ცნობილი თხზულება „შემწყნარებლობის შესახებ", რომელშიც გადმოსცა კალასის პროცესი. ამაზე ალაპარაკდა პრესა, ალაპარაკდა საზოგადოება და ამ ყოვლისშემძლე ხმამ ერისამ აიძულა სახელმწიფო საბჭო, გამოეთხოვა ტულუზის პარლამენტისაგან ამ საქმის გარშემო არსებული ყველა დოკუმენტი და ხელახლა გადაესინჯა იგი. მართლაც, სახელმწიფო საბჭომ ტულუზის პარლამენტის განაჩენი ცნო უმართებულოდ.

ასევე გაბედულად და ენერგიულად დაიცვა ევროპის გონებაგახსნილ მოაზროვნეთა ამ სამოცდაათი წლის მხცოვანმა მამამთავარმა, აგრეთვე, ორი დანარჩენი მსჯავრდადებულიც: სირვანი და დე-ლა-ბარი. თავის განთქმულ „მემუარში“ ვოლტერმა მთელ მკითხველ ევროპას თვალნათლივ დაანახა ის ზამბარები, რომლებიც ამ ბინძური ინტრიგის კულისებს უკან მოქმედებდა და რომლის მსხვერპლადაც შეიქნა უკანასკნელი ამ მსჯავრდადებულთა შორის. „ვოლტერის დაცვითი მემუარები, — მოგვითხრობს მემატიანე, — იმჯერად სიტყვას კი არა, საქმეს წარმოადგენდა“. აქ საზოგადოებრივი აზრის ცოცხალი ძალა, მოაზროვნე და ენერგიული ხალხის ცხოველი ნებასურვილი, მართლაცდა, ყოველგვარ არსებულ კანონზე მაღლა დადგა.

მეორე მაგალითს წარმოადგენს ბომარშე — „სევილიელი დალაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ სახელგანთქმული ავტორი.

საქმე შემდეგში იყო: ფინანსისტმა დიუვერნემ სიკვდილის წინ აღიარა თავის ქაღალდებში, რომ თხუთმეტი ათასი ლივრი მმართებს ბ-ნ ბომარშესიო. ვინაიდან დიუვერნეს მემკვიდრემ ვალის გამო დავა ასტეხა, დაიწყო პროცესი, რომელიც პირველ ინსტანციაში ბომარშემ მოიგო. სამაგიეროდ, პარლამენტში, რომელიც ისტორიაში ცნობილია მოპუს პარლამენტის სახელით, რადგან მისი შექმნა ლუი მე-15-სა და მის მინისტრს მოპუს მოუვიდათ თავში, და იგი, ამრიგად, მათი ნებასურვილის ნაყოფს წარმოადგენდა, ბომარშემ საქმე წააგო და ლამის ის ქრთამიც კი დაჰკარგა, რომელიც მან საქმის მომხსენებლის ვინმე გერმანის მეუღლეს მიართვა იმ პირობით, რომ, თუ საქმეს წავაგებ ქრთამს დამიბრუნებთო.

ეს საქმე, მართალია, სკანდალური ხასიათისაა, მაგრამ ყოვლად ჩვეულებრივია. ამავე დროს მან უშველებელი აურზაური გამოიწვია ფრანგთა საზოგადოებაში. „ბომარშემ, — ამბობს ჰეტნერი, — საზოგადოებას მიმართა ოთხი მემუარით. ულმობლად და უდრეკი ვაჟკაცობით, რისხვითა და შთაგონებით მისდევს იგი ფეხდაფეხ თავის მტერს ყველა მის თავშესაფარსა თუ სიმაგრეში. მასხრობამდე და კადნიერებამდე ამაღლებული ენამახვილი, იგი, ამავე დროს, ჭეშმარიტად საოცარ შთაგონებას აღწევს თავის ზნეობრივ განრისხებაში და ისეთ ცხოველ მოძრაობაში მოჰყავს მთელი საზოგადოების აზრი, ისე მარჯვედ აქცევს საკუთარ ინტერესს საყოველთაოდ, რომ აბუჩადაგდებული და მიმძლავრებული ბომარშე სამართლიანობის ნამდვილ შურისმაძიებლად გვევლინება. გაბოროტებისაგან ლამის წინასწარმეტყველად ქცეული, იგი ყველგან ავლენს და სააშკარაოზე გამოაქვს ყველა ის საშინელი ინტრიგა და ბოროტმოქმედება, რომელიც სულს უხუთავდა საფრანგეთის მართლმსაჯულებას. ამ მემუარებმა შთაბეჭდილება მოახდინეს მოსახლეობის ყველა ფენაზე. კიდევ მეტი, მთელს ევროპაზე. მეოთხე მემუ-

არში ბომარშე კატეგორიულად გამოთქვამს აზრს, რომ ერი არის უზენაესი მბრძანებელიო. „მართალია, ერი არ ზის იმ ადამიანთა სავარძლებში, ვისაც განაჩენი გამოაქვს ხოლმე, მაგრამ მისი დარბაისლური ხილვა მთელს საკრებულოს მოიცავს. თუმცა ერი არასოდეს ყოფილა კერძო პირთა მსჯავრმდებელი, მაგრამ იგი, სამაგიეროდ, მსჯავრმდებელთა მსჯავრმდებელია“.

და თქვენ გგონიათ, რომ „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი ამ საქმეში მიმზიდველ როლს ასრულებდა? სრულებითაც არა. ამ გაბედულმა, მარჯვე და ცინიკოსმა ქრთამი შესთავაზა დედაკაცს, რომ მოეგო საქმე. ამაზე აღმაშფოთებელი რაღა უნდა იყოს? მაგრამ ფრანგთა საზოგადოებამ და მთელმა პრესამ გამოაცხადა იგი გმირად, რომელმაც ულმობლად ამხილა არა მარტოოდენ სასამართლო წარმოების მთელი სიბინძურე, არამედ ევროპის საზოგადოებათა მთელი ძველი წყობილების სიდაბალე. ცოცხალი და ენერგიული ხალხის შეერთებულმა ძალამ, რომელიც საღი ინსტინქტით მოქმედებდა, დაამხო არა მარტო მოპუს პარლამენტი, არამედ ძველი წყობილებაც...

ამრიგად, პრესამ, რომელიც საზოგადოებრივ აზრს გამოხატავს, შეიძლება კეთილი ზემოქმედება მოახდინოს არა მარტო სასამართლოს საქმის წარმოებაზე, არამედ თვით კანონით უკვე ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზეც კი. თუკი იგი ყოველთვის ვერ მოასწრებს ხოლმე იხსნას ადამიანი მსჯავრისაგან, სამაგიეროდ, თვალს მაინც აუხელს საზოგადოებას და დაანახვებს მას სასამართლო საქმისწარმოების ძველი ფორმების უვარგისობას და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან მათს სრულ შეუსაბამობას... თავისთავად ცხადია, ჩვენ დიდხანს მოგვიხდება იმ ტაროსის ცდა, როდესაც ჩვენი პრესაც იმდაგვარ გავლენას მოიპოვებს, როგორიც აქვს საზღვარგარეთულს, როცა იგი საზოგადოებრივი წინსვლის ცოცხალ ელემენტად იქცევა, როცა მის კონტროლს დაექვემდებარება ცხოვრების მსხვილი და წვრილი გამოვლინებანი...

მაგრამ განა ეს დრო თავისთავად მოვა? განა ჩვენ უნდა ვდუმდეთ, როცა საზოგადოება დაინტერესებულია, ღელავს და იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას შეუმოწმებელ ფაქტებსა და ჭორებზე დამყარებულს?

თუ საქმის გამომძიებლები „ისეთივე უბრალო მოკვდავნი არიან, როგორც ყოველი ადამიანი“, მაშ რა სჯობს, რომ მათ ჰქონდეთ ხოლმე „წინასწარ რწმენა“ შემოწმებული და გამოქვეყნებული ფაქტების საფუძველზე, თუ — უთვალავ ბაგეთაგან დარხეული ხმების საფუძველზე?.. „არაო, — გაიძახით თქვენ, — საჭიროა, რომ ისინი თავიანთი თავის ანაბრად იყვნენ, რომ მათ არავითარი წინასწარ აკვიატებული აზრები არ ამოქმედებდნენ და საქმეს ობიექტურად ეკიდებოდნენო... და თუ ეს შეუძლებელია, ჩვენი სიტყვებით: „ისინი უბრალო მოკვდავ-

ნი არიან, ისინი სულაც არ არიან იდეალურნი“... და თუ მათ ალყას შემოარტყავენ დაინტერესებული მხარეები?.. აკი ტულუზის პარლამენტის წევრებმა დაამტკიცეს სიკვდილის განაჩენი და ნება დართეს, რომ 72 წლის მოხუცი კალასი ეტლის თვალში ნაკუწ-ნაკუწად ექციათ... მერე და რა გამოვიდა? ის, რომ განაჩენი აღიარებულ იქნა, როგორც უსამართლო... ჰაზემანიც ხომ არ იყო წინასწარ გაფრთხილებული არც პრესისა და არც საზოგადოებრივი აზრის მიერ, იგიც თავის ანაბრად მოქმედებდა... მერედა რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა ის, რომ პრესის მიერ გაუფრთხილებელმა მოსამართლემ ორივე მხარეს გამოართვა ქრთამი და საქმე იმის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რომელმაც ძღვენით აჯობა მეორეს... ეს პროცესები მთელმა საფრანგეთმა, მთელმა ევროპამ შეაჩვენა და ისტორიის ფურცლებში ჩასწერა მომავალ თაობათა საგულისხმოდ.

მარტოოდენ ერევნისმოედნელი პუბლიცისტები ვერ ისწავლიან ჭკუას: „პრესა უნდა სდუმდესო, გაიძახიან ისინი, ვინაიდან ეს სულაც მისი საქმე არ არის და მოსამართლეების საქმეა. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ისინი ხელს უწვდიან ვნებიანი ბულვარის პუბლიცისტებს... აკი ხსენებული „მამულის ბურჯები“ ძალიან ერიდებიან პრესას, რომელსაც მოლჩალინისეულ კანონებს სთავაზობენ, რადგან ეს მისი საქმე კი არა, მოსამართლეებისა და უფროსების საქმეაო...

ესეც კია, რომ კანონების დაცვას ისინი სხვებისგან მოითხოვენ, თავიანთთვის კი ისინი სავალდებულოდ არ მიაჩნიათ, და ძალიანაც ყბედობენ ხოლმე ისეთ რამეებზე, რის შესახებაც სხვებისაგან დუმილს მოითხოვენ.

აი, მოგიყვანთ თუნდაც ერთ საინტერესო მაგალითს.

ერევნისმოედნელი პუბლიცისტები, „ზოგიერთებს“ უსაყვედურებენ, რომ თქვენი წინასწარგამოცხადებული განაჩენით ნ. ანდრეევსკაიას მკვლელობის საქმის გამო, თქვენ სასამართლო გააფრთხილეთო. კი მაგრამ, მაშინ ნება მიბოძეთ შევეკითხოთ მათ: თქვენ რაღას აკეთებდით ამასობაში? მკითხველი, რომელიც იცნობს მათს ამ დუმილის თეორიას, მეტყვის, რომ ისინი, უთუოდ, სდუმდნენ გამოძიების დამთავრების მოლოდინშიო. ასეც უნდა იყოს მათი აწინდელი თეორიის თანახმად, მაგრამ „ისტორიული“ ფაქტები ამ თეორიას როდი შეესატყვისებიან. ეს ფაქტები მეტყველებს, რომ ერევნისმოედნელმა პუბლიცისტებმაც, აგრეთვე, გააფრთხილეს სასამართლო წინასწარშედგენილი განაჩენით. ჩვენ გვეგონა, რომ ეს უდიდესი ამაგი „ზოგიერთების“ დამსახურებაათქო, ახლა კი ისინი იძულებული არიან სხვასთან ერთად გაიზიარონ იგი. მე მხედველობაში მაქვს ის, რომ თავიანთს ბეჭდვითს ორგანოში, 1876 წლის 29 ივლისის 78-ე ნომერში, მათ ამ ხსენებულმა პუბლიცის-

ტებმა, კატეგორიულად განაცხადეს, რომ ნინო ანდრეევსკაია მოკლულ-ლი და დახრჩობილია სხვისი, გარეშე პირთა ხელებით. ამის შემდეგ, ყოველ ნომერში, ისინი ამას აცხადებდნენ. საკითხავია, ვითომ ამით რატომ შეადგინეს ამ პუბლიცისტებმა მაინცადამაინც წინასწარი განაჩენი, თუ ეს, მათი ახლანდელი თეორიის თანახმად, ნიშნავს თავისთავზე „გამომძიებლის როლის აღებას?" ვითომ მაშინდელი გამომძიებლები და მოსამართლენი, მართლაც, იდეალურნი და უკვდავი ადამიანები იყვნენ, თუ ისინი ისეთივე მოკვდავნი და არაიდეალურნი იყვნენ, როგორც ახლა ასათიანის მკვლელობის საქმეში დაბანდებული მოხელეები? რატომ გადაწყვიტეს, და ამასთან წინასწარ გადაწყვიტეს, ერევნისმოედნელმა პუბლიცისტებმა საკითხი იმგვარად, რომ ნინო ანდრეევსკაია სხვის მიერ არის დახრჩობილი და არა, თვითონ დაიხრჩო თავი? აზრის ასეთი შეცვლა მეხსიერების დაბნელებამ გამოიწვია, თუ გონების დაბნელებამ, ე. ი. ეს მოხდა გულმავიწყობის თუ პრესის დუმილის თეორიის ღალატის გამო? რამ მოახდინა გავლენა აზრის ამგვარ შეცვლაზე — პრესის ორი ორგანოს სისხლისაღრეკითმა ქორწინებამ, თუ რაიმე სხვა გარემოებებმა?

რაკი ბ-ნ მესხს მივმართავთ, ჩვენ გვსურს ყველა ამ გაუგებრობის და ეჭვის გარკვევა. ეთანხმება იგი თუ არა იმ სტატიას, რომელშიც ლაპარაკია პრესის მოლჩალინობის შესახებ, ხოლო თუ ეთანხმება, მაშ რაღა ვუყოთ მისვე სტატიებს ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის შესახებ? ამ საკითხების გადაწყვეტა, ვგონებ, უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე გამოქვეყნება კერძო წერილებისა ნაირ-ნაირი ეროტიული თავგადასავლების შესახებ...

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. **პალატის განაჩენი** („Приговор палаты") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (1. XII, № 322).

2. **ლიტერატურული პროცესები** („Литературные процессы") დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (1. XII, № 322).

3. **ყარაბუღაზ — კახ-პულარის გზა** („Путь Карабугаза Ках-Пулара") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (2. XII, № 323).

4. **საკვირაო საუბრები** („Воскресные беседы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (3. XII, № 324).

5. **ადგილობრივი მიმოხილვა** („Местный обзор") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (4. XII, № 325).

6. **რაღაც-რაღაცები რაღაც-რაღაცების შესახებ** („Кое-что кое о чем") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (6. XII, № 327).

7. **„ობზორის" რედაქტორის პროცესი** („Процесс редактора „Обзора") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (6. XII, № 327).

8. **სიტყვა და საქმე** („Слово и дело") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (8. XII, № 328).

9. **ლიტერატურული ნარჩენები** („Литературные недоимки") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (9. XII, № 329).

10. **საკვირაო საუბრები** („Воскресные беседы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (10. XII, № 330).

11. **თბილისის საბჭოს წევრთა არჩევნები** („Выборы гласных Тифлисской думы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (12. XII, № 332).

12. **კონცესიონერული ჯადოქრობის დასასრული** („Венец концессионерной магии") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (15. XII, № 335).

13. **გაზეთ „ობზორის" პირველი პროცესი** („Первый процесс „Обзора") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1878 წელს (16. XII, № 336; 17. XII, 337, 18. XII, № 338) და 1879 წელს (1. II, № 377).

14. „მშაკის“ შინ ჩადენილი გმირობა („Домашние подвиги „Мшака“)—დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (20. XII, № 340).

15. კონცესიონერული მამხილებელი („Концессионерный обличитель“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (20. XII, № 340).

16. საფოსტო გამგებლობის „უარყოფის“ გამო („По поводу «опровержения» почтового начальства» — დაიბეჭდა „ობზორში“ 1878 წელს (21. XII, № 341).

17. საბჭოს ახალი შემადგენლობა („Новый состав Думы“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (23. XII, № 343).

18. ქალაქის თავის არჩევნები („Выборы городского головы“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (24. XII, № 344).

19. ისევ „დროების“ შესახებ („Опять о „Дрозба“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (25. XII, № 345).

20. პეტრე დიდის იდეა და კონცესიონერული იდეა („Идея Петра Великого и концессионерная идея“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (28. XII, № 346).

21. ამერიკული ჭორი („Американская утка“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (30. XII, № 348).

22. საკვირაო საუბრები („Воскресные беседы“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს (31. XII, № 349).

23. მამები და შვილები არმიაში („Отцы и дети в армии“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (3. I, № 351; 4. I, № 352).

24. საფრანგეთის საქმეები („Французские дела“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (4. I, № 352).

25. კონტროლის მტრები („Враги контроля“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (6. I, № 354).

26. საკვირაო საუბრები („Воскресные беседы“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (9. I, № 356).

27. თბილისის სათათბირო („Тифлисская дума“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (15. I, № 362).

28. პოლემიკური მარგალიტები („Полемические перлы“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (15. I, № 362).

29. პასუხი „რუსკი მირს“ („Ответ „Русскому миру“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (18. I, № 363).

30. საერობო გადასახადის ორგანიზაცია ამიერკავკასიის მხარეში („Устройство земских повинностей в Закавказском крае“) — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1879 წელს (16. I, № 363; 20. I, № 365; 21. I, № 366; 22. I, № 367; 23. I, № 368; 24. I, № 369; 25. I, № 370; 31. I, 376).

31. ქალაქის თავის არჩევნები („Выборы городского головы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (23. I, № 368).

32. თბილისი, 26 იანვარი („Тифлис, 26 Января") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (27. I, № 372).

33. უთავო სათათბირო („Думы без головы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (27. I, № 372).

34. Patres Conscripti — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (28. I, № 373).

35. საკვირაო საუბრები („Воскресные беседы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (28. I, № 373).

36. ისევ შავი ჭირის შესახებ („Кстати о чуме") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (29. I, № 374).

37. მონოპოლია და გაფიცვა („Монополия и стачка") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (30. I, № 375).

38. ღონისძიებანი გაფიცვის წინააღმდეგ („Меры против стачки") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (1. II, № 377).

39. პოლიტიკური მდგომარეობა („Политическое положение") - - დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1879 წელს (2. II, № 378).

40. სტუდენტობის პირველი დრო — დაწერილია 1879 წელს, პირველად დაიბეჭდა თვით ავტორის მიერ შედგენილ ალმანახში „საახალწლო", რომელიც 1880 წელს გამოსცა ვ. შავერდოვის „გაზეთის საგენტომ". მეორედ იგი დაიბეჭდა 1931 წელს, პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით გამოსულ ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების" პირველ ტომში, რომელსაც დართული აქვს რედაქტორის შენიშვნებიც.

1983 წელს, ჩვენი რედაქციით გამოვიდა ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი", რომელშიც, აგრეთვე, შეტანილია „სტუდენტობის პირველი დრო".

41. მამულის სიყვარული და მსახურება — დაწერილია 1879 წელს, პირველად დაიბეჭდა თვით ავტორის მიერ შედგენილ ალმანახში „საახალწლო", რომელიც 1880 წელს გამოსცა ვ. შავერდოვის „გაზეთის საგენტომ". მეორედ იგი დაიბეჭდა 1914 წელს ნ. ნიკოლაძის ნაწერების მეორე წიგნში, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეს თხზულება მისმა ავტორმა, ნ. ნიკოლაძემ, დასწერა 1879-ში და დაიბეჭდა 1880-ში თფილისში ავტორის მიერ შედგენილს „საახალწლო" ალმანახში, ვ. შავერდოვის წიგნის მაღაზიის საფასით.

ახლა ამ ნაწარმოებს ხელ-ახლა ვბეჭდავთ ცალკე წიგნად. ჩვენ გვსურს ეს შინაარსიანი და სასარგებლო წიგნი მკითხველისათვის ხელმისაწვდომად გავხადოთ, მეტადრე იმის გამო, რომ ალმანახი, რომელშიაც ის მოთავსებული იყო, ამჟამად სრულიად აღარ იშოვნება. დედანი იბეჭდება სრულიად უცვლელად: არც ერთი რაიმე აზრი მას არ დამა-

ტებია და არ გამოკლებია, სტილიც არსებითად დედანის არის, მხოლოდ აქა-იქ ორთოგრაფიული შალაშინი გავჰკარით.

საკვირველია და სამწუხაროც, რომ ამ თხზულებისათვის ჩვენს პრესას თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია, ჩვენს მწერლობაში მის შესახებ არაფერი დაწერილა, არც არაფერი თქმულა, კრინტიც არავის დაუძრავს. ჩვენ არ ვიცით, რა იყო ამის მიზეზი და არც შევუდგებით ახლა ამის გამოკვლევას, მხოლოდ ვიტყვით, რომ ვინც ამჟამად ამ წიგნს წაიკითხავს და ჩაუკვირდება მის შინაარსს, დარწმუნებული ვართ, დაგვეთანხმება, რომ ავტორის შეხედულება სამართლიანია და დედააზრი, რომელზედაც დამყარებულია მთელი მსჯელობა, ჭეშმარიტებაა.

თუმცა წიგნი დაწერილია ოცდა თუთხმეტის წლის წინათ, მაგრამ ის დღესაც სრულიად შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. მართალია, მას აქეთ ქვეყნიერებაზე და ჩვენშიაც ბევრი ცვლილება მოხდა, მაგრამ ამ წიგნის შინაარსი დღესაც ახალია და არსებითად საჭიროა, მისი მნიშვნელობა ჩვენმა საზოგადოებამ გაითვალისწინოს.

–პატივცემული ავტორი თავის აზრს მკაფიოდ არკვევს და ნათლად ხატავს იმ ფორმებს, რომელშიაც უნდა განხორციელდეს მამულის სიყვარული, გვაჩვენებს იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს ყველა, ვისაც მამულის სიყვარული აქვს და მას ემსახურება.

მკითხველისათვის მიგვინდვია გაიცნოს ავტორის აზრი და შეადაროს იმათს აზრს, ვინც, ერთის მხრით, ისე ივიწროებს სამშობლოს სიყვარულს, რომ შოვინიზმის კალაპოტში ახრჩობს და, მეორეს მხრით, ისე აფართოებს, რომ კოსმოპოლიტიზმის უსაზღვრო სივრცეში ფანტავს. დღესაც ბევრი იწერება აღნიშნულ თემაზე და ბევრი სხვადასხვანაირი შეხედულება არსებობს საზოგადოებაში და სასურველია, რომ ამ წიგნში გამოხატული და დასაბუთებული შეხედულებაც გვერდით ამოვუყენოთ მათს აზრს. დეე იყოს აზრთა სხვადასხვაობა, ეს არის პროგრესის შემქმნელი, მაგრამ ვეცადოთ კი, რომ სიყალბემ დროებითაც არ ჩაჩრდილოს ჭეშმარიტება".

გამომცემლის ამ სიტყვებს უდავოდ ატყვია თვით ავტორის „ხელი", რის გამო იგი კიდევ უფრო მეტადაა საყურადღებო.

წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ნაშრომის („მამულის სიყვარული და მსახურება") ტექსტი ემყარება სწორედ მის 1914 წლის გამოცემას.

42. სადღეისო საკითხები („Вопросы дня") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (4. I, № 381).

43. ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრება 1879 წელს („Местная общественная жизнь в 1879 году") — დაიბეჭდა 1880 წელს გაზეთ „ობზორში" ორ სტატიად (5. I, № 382, 16. I, № 392).

44. ქართული ლიტერატურა 1879 წელს („Грузинская литература в 1879 году") — დაიბეჭდა 1880 წელს გაზეთ „ობზორში" ორ სტატიად (4. I, № 381; 18. I, № 394).

45. ი. ს. ტურგენევის წერილი „ვესტნიკ ევროპის" რედაქტორისადმი („Письмо И. С. Тургенева к редактору „Вестника Европы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (5. I, № 382).

46. „კლუბურ ზნე-ჩვეულებათა" გამო („К клубным нравам") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (5. I, № 382).

47. ჩვენი აგრალური ურთიერთობის დასახასიათებლად („К характеристике нашего аграрного устройства") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (6. I, № 383).

48. პოლიტიკური მიმოხილვა („Политический обзор") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (6. I, № 383).

49. პოლიტიკური მიმოხილვა („Политический обзор") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (8. I, № 384).

50. გენერალ პოლიაკოვის ცელქობა („Шалости генерала Полякова") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (9. I, № 385).

51. სიყვარული ბრმაა ვითომ? („Любовь слепа ли?") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (11. I, № 387).

52. ნავსადგურის სარკინიგზო ნაგებობანი („Портовыя железнодорожныя предприятия") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (15. I, № 391).

53. ლიტერატურული ახალი ამბები („Литературныя новости") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (17. I, № 393).

54. ლიტერატურული სიახლენი („Литературныя новости") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (18. I, № 394).

55. ჟიულ ფავრი („Жюль Фавр") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (19. I, № 395).

56. პრესის მოლჩალინები („Молчалины в печати") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (20. I, № 396).

57. საკვირაო საუბრები („Воскресные беседы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (20. I, № 396).

58. გაკვრა-გამოკვრა („Мимоходом") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (22. I, № 398).

59. ქართული აპათია („Грузинская апатия") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (23. I, № 399).

60. საკვირაო საუბრები („Воскресные беседы") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (27. I, № 403).

61. პრესა და სასამართლო („Печать и суд") — დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წელს (29. I, № 405).

კომენტარები

1. „ტ ი ფ ლ ი ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ“ („Тифлисский Вестник“) — პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1873—1882 წლებში. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი იყო კ. ა. ბებუთოვი. მის დაარსებაში და შემდგომ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც მხოლოდ 1877 წლიდან გაწყვიტა მასთან კავშირი.

2. „დ რ ო ე ბ ა“ — პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1866—1885 წლებში; 1866—1874 წლებში — კვირაში ერთხელ, 1875—1876 წლებში — კვირაში სამჯერ, 1877—1885 წლებში — ყოველდღიურად.

გაზეთს რედაქტორობდნენ: გ. წერეთელი (1866—1869 წ. 10 აპრ.), ს. მესხი (IV, 1869—X, 1873), კ. ლორთქიფანიძე (X, 1873—X, 1874), ს. მესხი (X, 1874—1880 წწ.), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—1881 წწ.). ს. მესხი (1882 წ.), ივ. მაჩაბელი (1883—1885 წწ.).

3. „ ო ბ ზ ო რ“ („Обзор“) — პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თბილისში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. „ობზორის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1878 წლის პირველ იანვარს. მართალია, გაზეთმა ოფიციალურად 1883 წლამდე იარსება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მისი გამოსვლა, ცენზურის მიზეზით, არაერთხელ ყოფილა შეჩერებული. მაგალითად, „ობზორი“ არ გამოდიოდა 1879 წლის თებერვლიდან 1880 წლამდე, 1880 წელს კი მხოლოდ აგვისტომდე გამოდიოდა. 1881, 1882 და 1883 წლებში „ობზორი“ თითო ნომერი გამოვიდა (№№ 560, 561, 562), რათა გამოცემის უფლება შეენარჩუნებინათ (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეხუთე ტომზე დართულ ჩვენს კომენტარებში, გვ. 637—645).

4. „ ც ი ს კ ა რ ი“ — პირველი ოფიციალური „ქართული სალიტერატურო ჟურნალი“, რომელიც გამოდიოდა 1852—1853 და 1857—1875 წლებში. მისი პირველი რედაქტორი (1852—1853 წწ.) იყო ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი ერისთავი, რომელმაც ჟურნალის გამოცემის უფლება შემდეგ გადასცა ივანე კერესელიძეს, რომლის რედაქტორობითაც „ცისკარი“ გამოდიოდა 1857—1875 წლებში.

ჟურნალმა „ცისკარმა“ უდიდესი როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. მის ფურცლებზე გამოვიდნენ პირველად ცნობილი „თერგდალეულები“, რომლებმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინეს ქართულ მწერლობაში. მართალია, „ცისკარს“ არ ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული მიმართულება, მაგრამ თავისი ყურადღებით ყოველივე ქართულისადმი დიდი სამსახური გაუწია ეროვნულ კულტურას.

5. qui croient que c'est arrivé (ფრ.) — ფიქრობენ რომ მას ეს მოუხდა.

6. მხედველობაში აქვს ნ. ვ. გოგოლის (1809—1852) ცნობილი კომედია „რევიზორი“ და მისი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი გოროდნიჩი.

7. qui-est-ce qui paye les puts cassés — ვინ იხდის საფასურს დამტვრეული ქოთნისათვის?

8. „ი მ ე დ ი“ — ხალხოსნური მიმართულების ყოველთვიური „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ ჟურნალი, რედაქტორ-გამომცემელი მ. გურგენიძე; გამოდიოდა თბილისში 1881—1883 წწ (1883 წელს გამოვიდა მხოლოდ სამი ნომერი).

9. „გ რ ა ჟ დ ა ნ ი ნ“ („Гражданин“) — ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი-ჟურნალი, რუს მემამულეთა უკიდურეს რეაქციონერთა წრეების ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1872—1878 წლებში. 1873 წელს მას რედაქტორობდა თ. მ. დოსტოევსკი.

10. „ნ ე დ ე ლ ი ა“ („Неделя“) — ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულების ყოველკვირეული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1866—1901 წლებში. 1876 წელს გაზეთი გადავიდა ლიბერალი ხალხოსნის გაიდებუროვის ხელში. გაზეთი არ იზიარებდა რევოლუციური ბრძოლების აუცილებლობას.

11. „კ ა ვ კ ა ზ ი“ („Кавказ“) — რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846—1918 წლებში; პირველად გამოდიოდა როგორც კერძო გამოცემა, ხოლო შემდეგ — როგორც ოფიციალური. გაზეთის პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო ო. კონსტანტინოვი (1846—1851 წწ.), შემდეგში კი — ნ. სლივიცკი (1852—1853 წწ.), ვერდეროვსკი (1855—1856 წწ.); 1856 წლის ბოლოს იგი შეცვალა ნ. ბერძენოვმა (ბერძენიშვილმა), ბობილევი (1857—1863 წწ.), ე. შვარცი (1864 — 1867 წწ.), პ. სლივიცკი (1868—1871 წწ.), ე. სტალინსკი (1872 — 1876 წწ.), ნ. ვორონოვი და დ. კოშიაკოვი (1877—1881 წწ.), დ. ერისთავი (1882—1884 წწ.) და სხვ.

12. „მ შ ა კ“ (მშრომელი) — სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1872—1920 წლებში, დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1872—1892) გრ. არწრუნი.

13. რ უ დ ი ნ ი — ი. ს. ტურგენევის რომანის „რუდინის“ მთავარი გმირი, — ტიპური წარმომადგენელი 40-იანი წლების იმ რუსული ინტელიგენციისა, რომელიც ახლოს ვერ მივიდა სინამდვილესთან და არ ეყო ნებისყოფა აქტიური მოქმედებისათვის.

14. ი ნ ს ა რ ო ვ ი — ი. ს. ტურგენევის ცნობილი რომანის („Накануне“) გმირი, ეროვნებით ბულგარელი, რომელიც მწერლის შეხედულებით, სისხლხორცეულად ახლოსაა რუს ხალხთან, თუმცა მაინც თავისი ერის შვილია და საკუთარი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობითაა შთაგონებული; იგი არის გმირული ნატურა მთელი თავისი შეგნებით, რომელიც უახლოესმა რუსულმა სინამდვილემ უნდა წარმოშოს (ამიტომაც უწოდა ავტორმა რომანს „Накануне“). როგორც სასურველი სახე, ინსაროვი მაინც სქემატურია, რომელიც თვით მომავალმა ცხოვრებამ უნდა შეავსოს. ნ. დობროლუბოვის თქმით, რუსულ საზოგადოებრივ ცხოვრებას მალე უნდა შეექმნა ჭეშმარიტი რუსი ინსაროვი, რომელიც თავის ხალხს მოუწოდებდა სამშობლოს განთავისუფლებას „შინაური თურქებისაგან“. ინსაროვი თავისუფალია ტურგენევისათვის ჩვეული რომანტიზმისაგან და დიდ სიმპათიას იმსახურებს როგორც შემაკავშირებელი სიტყვისა და მოწოდების უნარის მქონე გმირი.

15. მ ა ნ ი ლ ო ვ ი — ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულების“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომლითაც მწერალმა რელიეფურად წარმოადგინა უსაქმური და სენტიმენტალურად მეოცნებე თავადი, — ღვიძლი შვილი ბატონყმური ცხოვრებით გამოწვეული ეკონომიური და სულიერი პარაზიტიზმისა.

16. ჩ ი ჩ ი კ ო ვ ი — ნ. ვ. გოგოლის ცნობილი რომანის „მკვდარი სულების“ პერსონაჟი, — გაქნილი საქმოსანი, ენერგიული „მაძიებელი“, ბურჟუაზიული გარიჟრაჟის ჭეშმარიტი პირმშო.

17. ე რ ო ბ ა (Земство) — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც შეიქმნა რუსეთში 1864 წლის საერობო რეფორმებით. მიუხედავად იმისა, რომ მთავარ როლს მასში მაინც მემამულეები და ბურჟუაზიის წარმომადგენლები ასრულებდნენ, ერობას მეტი სიკეთე მოჰქონდა ხალხისათვის, განსაკუთრებით პირველ ათეულ წლებში. ამიტომაც, მე-19 საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეები ბევრს ცდილობდნენ ერობის შემოღებისათვის საქართველოში, მაგრამ მათ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს; ცარიზმს ხელს არ აძლევდა ამგვარი ორგანოების შექმნა განაპირა გუბერნიებში. ერობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ბევრს წერდა და ბეჭდავდა თვითონ ნ. ნიკოლაძე.

18. L'appetit vient en mangeant (ფრანგ.)—მადა ჭამაში მოდის.

19. „პ რ ა ვ ი ტ ე ლ ს ტ ვ ე ნ ნ ი ვ ე ს ტ ნ ი კ“ („Правительствен-

ный Вестник") — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1869—1917 წლებში, გამოხატავდა მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს.

20. მხედველობაში აქვს ნ. ვ. გოგოლის ცნობილი რომანი „მკვდარი სულები", რომელსაც თვით ავტორი პოემას უწოდებს.

21. „სოვრემენნიკ" („Современник") — ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836—1866 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ა. ს. პუშკინი; 1838 — 1846 წლებში მას რედაქტორობდა პლეტნევი, 1847 წლიდან ჟურნალი გადავიდა ნეკრასოვისა და პანაევის ხელში. 1854 წელს მასში თანამშრომლობა დაიწყო ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ხოლო 1856 წელს — ნ. ა. დობროლიუბოვმა. რევოლუციური სიტუაციის წლებში (1859—1861 წწ.) ჟურნალი გახდა რევოლუციური დემოკრატიის მებრძოლ ორგანოდ. „სოვრემენნიკი" იბრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიისა და ესთეტიკისათვის, ილაშქრებდა იდეალისტური თეორიებისა და „წმინდა ხელოვნების" მომხრეთა წინააღმდეგ.

„სოვრემენნიკის" რედაქციასთან და მის თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ნ. ნიკოლაძეს, რომელიც კიდევაც თანამშრომლობდა ჟურნალში.

22. „ივერია" — საპოლიტიკო და სალიტერატურო ორგანო, გამოდიოდა 1877—1906 წლებში; 1877—1878 წწ. — კვირაში ერთხელ, 1879 წელს — როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1880 წელს — როგორც სამთვიური ჟურნალი, 1889—1885 წწ. — როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1886—1906 წწ. — როგორც ყოველდღიური გაზეთი.

„ივერიის" დამაარსებელი და რედაქტორი 1902 წლამდე იყო ილია ჭავჭავაძე, რომელთან ერთად, 1881 წელს, ჟურნალს რედაქტორობდა ს. მესხი, ხოლო 1882—1884 წწ.—ი. მაჩაბელი, 1902 წლიდან (№ 153)—1905 წლამდე (№ 24) გაზეთს რედაქტორობდა ალ. სარაჯიშვილი, 1905—1906 წლებში — ფ. გოგიჩაიშვილი, დროებითი რედაქტორები იყვნენ: გრ. ყიფშიძე (№ 168—208, 1891 წ.; № 144, 1903 წ. — № 23, 1905 წ.) ვ. ა. სულხანიშვილი (№ 136—248, 1900 წ.), ალ. სარაჯიშვილი (№ 264, 1901 წ. № 152, 1902 წ.).

23. Madame, revenons à nos moutons (ფრ.)—ქალბატონო, დავუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს.

24. „რუსკი მირ" („Русский мир") — ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1871 წლის 1 სექტემბრიდან 1880 წლის 3 იანვრამდე. მისი ფაქტიური დამაარსებელი იყო მ. გ. ჩერნიაევი; რედაქტორები: მ. ჩერნიაევი, დ. სტასეევი, ფ. ბერგი, ე. რაპპი. გაზეთი

გამოირჩეოდა კონსერვატორული პოზიციით, თუმცა ე. რაპპის რედაქტორობისას მეტ სიფხიზლეს იჩენდა.

25. „ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა“ („Новое время“) — ყოველდღიური რეაქციული გაზეთი, გამოდიოდა 1868—1917 წლებში; თავდაპირველად წარმოადგენდა ზომიერ ლიბერალურ გამოცემას, ხოლო 1876 წლიდან, როცა იგი ა. სუვორინის ხელში გადავიდა, გახდა რეაქციული ორგანო, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის მქადაგებელი; დაიხურა 1917 წლის 26 ოქტომბერს.

26. „გ ო ლ ო ს“ („Голос“) — პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863—1884 წლებში, გამომცემელი და რედაქტორი — ა. კრაევსკი. პირველ ხანებში გაზეთი დაკავშირებული იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალურ წრეებთან და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა; შემდეგში იგი ზომიერი ლიბერალური მიმართულების ორგანო გახდა, მასში თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი პუბლიცისტებიც, მათ შორის ნ. ნიკოლაძე და დ. გ. ერისთავი.

27. პ ე რ უ ნ ი — აღმოსავლელ სლავთა ღმერთი, ღმერთი ელ-ჭექისა (გათანაბრებული ზევსთან და იუპიტერთან), მრისხანე და დამსჯელი. ქრისტიანულ ეპოქაში იგი შეცვალა წმინდა ილიამ.

28. ზ ო ი ლ ი — ცნობილი პუბლიცისტის დავით კეზელის ფსევდონიმი.

29. M i l i t a n t e — მებრძოლი, აქტიური.

30. ი ა კ ო ბ ი ნ ე ლ ე ბ ი — რადიკალურ-პოლიტიკური კლუბის წევრები (საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში), რომლებიც იცავდნენ დაბალი ფენების ინტერესებს. მათი კლუბი მოთავსებული იყო პარიზის წმინდა იაკობის მონასტერში.

31. ტ ი რ ტ ე ო ს ი — ცნობილი ბერძენი (სპარტანელი) ელეგიკოსი პოეტი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო თავის სამშობლოს შესანიშნავი მებრძოლი ელეგიებით.

32. ი უ ვ ე ნ ა ლ ი — ძველი რომაელი სატირიკოსი პოეტი (I ს. ქ. დ. შ.), რომელმაც თავის სატირებში გააშიშვლა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებანი. იგი იყო ჭეშმარიტი პატრიოტი და თუ თავის სატირებში ხშირად უკიდურესობებსაც არ ერიდებოდა, ეს მხოლოდ უარყოფითი მოვლენების სწრაფი ალაგმვის სურვილით.

33. მხედველობაში აქვს რუსეთის დამარცხება ყირიმის ომში.

34. ყ ი რ ი მ ი ს ო მ ი — 1853—1856 წლების ომი რუსეთსა და საფრანგეთ-თურქეთ-სარდინიის კოალიციას შორის, რაც გამოწვეული იყო ახლო აღმოსავლეთში მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების შეჯახებით. ომი, უმთავრესად, ყირიმსა და შავ ზღვაზე მიმდინარე-

ობდა. პირველსავე შეჯახების დროს აშკარა გასდა თურქეთის სამხედრო პოტენციალის სისუსტე; 30 ნოემბერს რუსეთის ექსპედიციამ, ადმირალ პ. ს. ნახიმოვის მეთაურობით, გაანადგურა თურქეთის ფლოტის მთავარი ძალები. მაგრამ რუსეთს ბრძოლა მოუხდა არა მხოლოდ თურქეთთან; 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს ოფიციალურად გამოუცხადა ომი.

ყირიმის ომი დამთავრდა 1856 წლის 30 მარტს პარიზის ცნობილი ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც რუსეთს წაერთვა უფლება შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლისა, ამასთან ერთად, ყარსი დაუბრუნდა თურქეთს.

ყირიმის ომმა აშკარა გახადა რუსეთის სამხედრო ხელოვნების სისუსტე და ჩამორჩენილობა, რაც გათვალისწინებულ იქნა 1860-1870 წლების სამხედრო რეფორმების დროს. ვ. ი. ლენინის თქმით, ყირიმის ომმა აჩვენა ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება.

35. „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ („Санкт-Петербургские Ведомости“) — მეფის მთავრობის ოფიციალური გაზეთი, რომელიც წარმოადგენდა გაზეთ „ვედომოსტის“ გაგრძელებას; 1848—1865 წლებში რედაქციას განაგებდა მ. ვ. ლომონოსოვი. ყველაზე მეტი ხელის შომწერი გაზეთს ჰყავდა 1863—1874 წლებში, როცა მას რედაქტორობდა ლიბერალური მოღვაწე ვ. ფ. კორში, რომელსაც პირადად იცნობდა ნ. ნიკოლაძე. 70-იანი წლებიდან გაზეთი, შედარებით, მარცხნივ გადაიხარა.

36. სლავიანოფილობა — ერთ-ერთი მიმართულება მე-19 ს. 40-50 წლების რუსულ საზოგადოებრივ აზრში, რომელიც მოითხოვდა რუსეთის განვითარებას თვითმყოფი გზით, რომელიც მათი აზრით, არსებითად განსხვავდებოდა დას. ევროპის განვითარების გზისაგან; რუსეთი უნდა აცდენოდა კლასობრივი ბრძოლის გზას თემისა და არტელების წყალობით. აიდიალებდნენ მართლმადიდებულობას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ ქრისტიანობას. სლავიანოველები, ძირითადად, თანამშრომლობდნენ გამოცემებში: „მოსკვიტიანინ“, „რუსკაია ბესედა“, „მოლვა“, „პარუს“ და სხვ.

37. მოლჩალინი — ა. ს. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პერსონაჟი, — ჩინოვნიკი, რომელიც ემსახურება არა საქმეს, არამედ პროვნებებს, უსიტყვო და შეზღუდული მოხელე, მაგრამ აღმსრულებელი, მონური ფსიქოლოგიის და ადამიანური ღირსებების უქონლობის ცოცხალი განსახიერება.

38. „პეტერბურგსკი ლისტოკ“ („Петербургский листок“) — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქის ცხოვრებისა და ლიტერატურული საკითხების გაშუქებას, გამოვიდა 1864 წელს, რედაქტორი და გამომცემელი — ა. ს. აფანასევ-ჩუჟბინსკი.

იმავე წელს გაზეთის გამომცემელნი გახდნენ ნ. და ა. ზარუდენები, რედაქტორი — ვ. მ. სიკევიჩი, რომელიც მალე შეცვალა ი. ა. არსენიევმა. 1877—1884 წლებში გაზეთს სცემდნენ ა. ვ. ვლადიმირსკი და ა. სოკოლოვი.

39. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ („Московские Ведомости“) — გამოდიოდა 1756—1917 წლებში. მე-19 ს. ორმოცდაათიან წლებამდე გაზეთს უშვებდა მოსკოვის უნივერსიტეტი, მაგრამ 60-იანი წლებიდან იგი გადადის რეაქციონერი გამომცემლების ხელში (მ. კატკოვი — 1863—1877 წწ.) და ხდება მონარქისტულ-ნაციონალისტურ ორგანოდ, რომელიც ქადაგებდა დიდმპყრობელურ შოვინიზმს; 1905 წლიდან ეს გაზეთი შავრაზმელთა ორგანოა.

40. მხედველობაში აქვს რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომი, რომელიც დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით და დაიდო ანდრიაპოლსკის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც საბერძნეთმა მიიღო დამოუკიდებლობა, ხოლო სერბიამ, მოლდავიამ და ვალახიამ — ავტონომია. ომის არენად იქცა სამხრეთ საქართველოც.

41. აღნიშნული ციტატი წარმოადგენს გრიბოედოვის პოემის „ვაი ჭკუისაგან“ მთავარი გმირის ფამუსოვის სიტყვების თავისებურ გადაკეთებას“.

42. გაჭიანურებული დავა (კამათი) სათანადო კონკრეტული არგუმენტების უქონლობის გამო.

43. Patres conscripti (ლათ.) — მამაო სენატორნო.

44. fi donc — ფუი, საზიზღრობაა!

45. „პეტერბურგსკაია გაზეტა“ („Петербургская газета“) — ყოველდღიური გაზეთი, გამოსვლა დაიწყო 1867 წელს (დამაარსებელი იყო ი. ა. არსენიევი); გაზეთმა მეტი პოპულარობა შეიძინა 1871 წლიდან, როცა იგი შეისყიდა ს. ნ. სუდეკოვმა და გაუჩნდა პოლიტიკური განყოფილება. 1879 წლიდან 1893 წლამდე გაზეთს რედაქტორობდა ი. ა. ბატალინი, პ. ა. მონტეევრდე, ა. კ. გერმონიუსი.

46. „ბირჟევია ვედომოსტი“ („Биржевыя ведомости“) — ბურჟუაზიული მიმართულების პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული გაზეთი, რომელიც დააარსდა „კომერციული გაზეთის“ („Коммерческая газета“) და „აქციონერთა ჟურნალის“ Журнал для акционеров“)—გაერთიანების საფუძველზე 1861 წელს; გამოდიოდა პეტერბურგში. მისი პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო კ. ვ. ტრუშნიკოვი. გაზეთმა გამოსვლა შეწყვიტა 1917 წლის ოქტომბრიდან.

47. „ბირჟევაია გაზეტა“ („Биржевая газета“) — ყოველკვირეული, შემდეგ ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1878—1879 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი კ. ვ. ტრუბნიკოვი;

გაზეთი გამოხატავდა „საქმიანი წრეების“ ინტერესებს, იგი შეუერთდა „ნოვოსტს“

48. „რ უ ს კ ა ი ა პ რ ა ვ დ ა“ („Русская Правда“) — პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1878 წლის ოქტომბრიდან 1880 წლის მარტამდე; გამომცემელ-რედაქტორი დ. გირსი. მკაცრი გაფრთხილების შემდეგ რედაქცია იძულებული იყო შეეწყვიტა გაზეთის გამოცემა.

49. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე“ — სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც დააარსა ი. ჭავჭავაძემ და მისივე რედაქტორობით გამოდიოდა 1863 წელს. სულ გამოვიდა 12 ნომერი. ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურაში მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრებისა და კრიტიკული რეალიზმის გაბატონების საქმეში.

50. „კ რ ე ბ უ ლ ი“ — სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1871—1873 წლებში, ოფიციალური რედაქტორი — გ. წერეთელი, ფაქტიურად კი მას რედაქტორობდა და მიმართულებას აძლევდა ნ. ნიკოლაძე. მასვე ეკუთვნის ჟურნალის საპროგრამო სტატიაც („კრებულის დანიშნულებაზე“); გამოვიდა 18 ნომერი.

ჟურნალში თანამშრომლობდნენ იმ დროინდელი თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე. პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებისა და მდიდარი შინაარსის გამო, სარგებლობდა დიდი პოპულარობით.

51. მხედველობაში აქვს 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც გამოწვეული იყო ბალკანეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით, რასაც მხარი დაუჭირა რუსეთმა. რუსეთისა და თურქეთის არმიები რიცხობრივად თანაბარი იყო, მაგრამ თურქეთის ჯარისკაცები შეიარაღებული იყვნენ ინგლისური და ამერიკული იარაღით. ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა მტკიცე მხარდაჭერით რუსეთის არმია ძლიერი აღმოჩნდა მორალურად და მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას. ამ ომის ფრონტზე ჯერ „ტიფლისკი ვესტნიკის“, ხოლო შემდეგ „გოლოსისა“ და ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტად კარგა ხანს დაჰყო ნ. ნიკოლაძემ, აღნიშნული ომი დამთავრდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1878 წლის 3 მარტს.

52. ლ ე გ ი ტ ი მ ი ს ტ ი — წარმომადგენელი იმ პოლიტიკური მიმართულების, რომელიც მოითხოვდა ხელისუფლებაზე რომელიმე დინასტიის მემკვიდრეობის უფლების აღიარებას.

53. ო რ ლ ე ა ნ ე ლ ე ბ ი — მონარქისტული დაჯგუფება საფრანგეთში, დაკავშირებული ორლეანელ ჰერცოგთა შთამომავლობასთან, —

ბურბონთა დინასტიის უმცროს შტოსთან; გაბატონებულ დაჯგუფებას წარმოადგენდა 1830—1848 წლებში ლუი ფილიპე ორლეანელის მეფობის დროს.

54. იუგურტას ომი — ომი ნუმიდიის მეფე იუგურტასა (160—104 ჩ. ე.) და რომს შორის 111—105 წწ. (ჩ. ე.), რომელიც დაიწყო რომაელთა გამარჯვებით, მაგრამ იუგურტამ, რომაელ სარდალთა მოსყიდვის წყალობით, მიაღწია ისეთი საზავო ხელშეკრულების დადებას, რომელმაც მას შეუნარჩუნა სამეფო. 110 წელს ომი კვლავ განახლდა, მაგრამ 109 წელს იუგურტამ მიაღწია გამარჯვებას და დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომელიც რომში არ სცნეს და ბრძოლა გაგრძელდა; 106 წელს იუგურტას რაზმები საბოლოოდ გაანადგურეს და ნუმიდიის ტერიტორიის გარკვეული ნაწილიც გადაინაწილეს. 104 წელს იუგურტა დასჯილ იქნა სიკვდილით.

55. il croyait que c'est arrivé (ფრ.) — ის ფიქრობდა რომ ეს მას მოუხდა.

56. მხედველობაში აქვს 1861 წლის ცნობილი გლეხთა რეფორმა, რომელმაც ბოლო მოუღო ბატონყმურ ურთიერთობას რუსეთში.

57. მხედველობაში აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1861 წლის ცნობილი გამოსვლები, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველმა სტუდენტობამაც და, მათ შორის, თვითონ ნ. ნიკოლაძემ, რის გამო მათ პატიმრობაც იგემეს.

58. საკონაროლა ჯიროლამო (1452—1498) — ცნობილი იტალიელი მქადაგებელი და რეფორმატორი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა იტალიის საეკლესიო ცხოვრებაში თავისი ქადაგებებით, პრაქტიკული მოღვაწეობითა და ნაწერებით. 1498 წლის 23 მაისს ჩამოხრჩობილ იქნა პაპის მიერ გამოყოფილი კომისიის გამოძიების შედეგად. გამართლებულ იქნა პაპ პავლე მეოთხის მიერ მე-17 საუკუნეში და დაედგა ძეგლიც როგორც რეფორმაციის ერთ-ერთ წინამორბედს.

59. პ. ა. იზმაილოვის ფსევდონიმია.

60. მედასავლეთენი (Западники) — ერთ-ერთი მიმართულება მე-19 საუკუნის 40—50-იანი წლების რუსულ საზოგადოებრივ აზრში, რომელიც ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ და მოითხოვდა რუსეთის განვითარებას დას. ევროპული გზით. ისინი მკაცრად უპირისპირდებოდნენ „სლავიანოვილებს“ და ოფიციალურ იდეოლოგიას, რომლის ლოზუნგი იყო „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ხალხურობა“; მედასავლეთენი, ძირითადად, თანამშრომლობდნენ გამოცემებში „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“, „სოვრემენიკ“, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, „რუსკი ვესტნიკ“, „ს. პ. ვედომოსტი“, „ატენეი“ და სხვ.

61. ცნობილი დიდი ჩინური კედლის ასოციაციით შექმნილია გამოთქმები — „ჩინური კედლით“, „ჩინური კედელი“, — რომლებიც გუ-

ლისხმობენ იზოლაციას, მოწყვეტას, განცალკევებას, ურთიერთობაში გადაულახავი ზღუდის აღმართვას...

62. მხედველობაში აქვს ბიბლიური იროდი დიდის მიერ მოწყობილი ჟლეტა ახალდაბადებულ ყრმათა, რადგან შთააგონეს, რომ იუდეველთა ჰეშმარიტი მეფე სწორედ ახლა დაიბადაო.

63. terra incognita (ლათ.) — უცნობი ხმელეთი, გაუცნობელი მხარე.

64. მხედველობაში ჰყავს ცნობილი რუსი მწერლის ნ. გ. პომიალოვსკის (1835—1863) მოთხრობების („მეშჩანური ბედნიერება", „მოლოტოვი") გმირი ეგორ მოლოტოვი.

65. მხედველობაში აქვს 1870—1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი, რომლის საბაბი გახდა დიპლომატური კონფლიქტი საფრანგეთსა და პრუსიას შორის ესპანეთის ტახტზე პრუსიის მეფე ვილგელმის ნათესავის პრინც ლეოპოლდის წამოყენებასთან დაკავშირებით. ომი დამთავრდა საფრანგეთის დამარცხებით, რაც გაფორმებულ იქნა ვერსალის ხელშეკრულებით. ომის მსვლელობაში გაერთიანდა გერმანია და შეიქმნა გერმანიის იმპერია.

66. მხედველობაში აქვს ი. ჭავჭავაძის ცნობილი სტატია — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმნაზედა", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის" 1861 წლის მეოთხე ნომერში და გახდა საბაბი მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლისა.

67. „ვესტნიკ ევროპი" („Вестник Европы") — ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც 1866 წელს დააარსა პროფ. მ. სტასიულევიჩმა. ჟურნალი ლიბერალური პოზიციებიდან აშუქებდა რუსეთის ისტორიისა და პოლიტიკის საკითხებს. მასში თანამშრომლობდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების მოღვაწეები: კ. კაველინი, ვ. სპასოვიჩი, კ. არსენიევი და სხვ. ჟურნალში ქვეყნდებოდა, აგრეთვე, ი. ტურგენევის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის თხზულებანი, ა. პიპინის, დ. ოვსიანიკოვ-კულიკოვსკის სტატიები, კ. ტიმირიაზევის, ი. სეჩენოვის, ი. მეჩნიკოვის და სხვათა შრომები. 1918 წლის დასაწყისში ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა.

68. მხედველობაში აქვს ი. ს. ტურგენევის პოლემიკა ა. ი. გერცენთან 1862-63 წლებში, რომლის დროსაც ტურგენევმა თავი გამოავლინა როგორც ლიბერალმა, რომელიც რუსეთის შემდგომი განვითარების იმედებს ამყარებდა „ზემოდან" გატარებულ რეფორმებზე და არ იზიარებდა რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს და უსაფუძვლოდ მიაჩნდა გერცენის რწმენა გლეხობის რევოლუციური მისწრაფებების შესახებ.

69. მხედველობაში აქვს 1878 წლის ივნის-ივლისის ბერლინის სა-

ერთაშორისო კონგრესი, რომლის მიზანი იყო სან-სტეფანოს 1878 წლის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა. კონგრესში მონაწილეობდნენ: რ-უსეთი, ინგლისი, ავსტრო-უნგრეთი, გერმანია და, აგრეთვე, საფრანგეთის, თურქეთის, იტალიის, საბერძნეთის, სერბიის, რუმინეთის, ირანის, ჩერნოგორიის წარმომადგენლები. კონგრესს თავმჯდომარეობდა გერმანიის კანცლერი ბისმარკი. კონგრესმა საგრძნობი ცვლილება შეიტანა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებაში რუსეთისა და ბალკანეთის საზიანოდ. ბერლინის ტრაქტატმა ძალა შეინარჩუნა 1912—1913 წლების ბალკანეთის ომამდე.

70. Beati possidentes — (ლათ.) ბედნიერი მფლობელები.

71. Drang nach Osten (გერმან.) — შეტევა აღმოსავლეთისაკენ.

72. „მ ო ლ ვ ა“ („Молва“) ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1879—1881 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი ვ. ა. პოლეტიკა, რომელმაც ამ სათაურით გამოსცა 1874 წელს მის მიერ შეძენილი „ბირჟევეია ვედომოსტი“.

73. „ი ნ ო გ ო რ ო დ ნ ი ო ბ ი ვ ა ტ ე ლ ი“ („Иногородний Обыватель“) — ფსევდონიმია ბოლესლავ მიხეილის ძე მარკევიჩის (1828 — 1884). წარმოშობით იგი იყო პოლონელი, განათლებული და წარჩინებული ჩინოვნიკი, ჟურნალისტი, მწერალი, თანამშრომლობდა „მოსკოვსკი ვედომოსტში“, „გოლოსში“, მეგობრობდა მ. კატკოვთან. თავისი თანამდებობრივი კარიერა დაამთავრა უსახელოდ, სამსახურიდან გამოაძევეს შეუფერებელი საქციელისათვის, საკმაოდ მტრულად იყო განწყობილი მოწინავე რუს ინტელიგენციასთან.

74. Studiosus medicinalis (ლათ.) — სამკურნალო ხელოვნების შემსწავლელი.

75. „ვ ე ს ტ ნ ი კ კ ა ვ კ ა ზ ა“ („Вестник Кавказа“) — ყოველკვირეული რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1879—1882 წლებში, ივ. ჩანცოვის რედაქტორობით; ვერ სარგებლობდა რა პოპულარობით, დაიხურა ხელისმომწერთა სიმცირის გამო.

სახელთა საძიებელი

ა

აივაზოვსკი ივანე კონსტანტინეს ძე (1817—1900) — ფერმწერი, მარინისტი, პროფესორი, რამდენიმე აკადემიის წევრი. — 17.

ალადატოვი ხ. ა. — თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 203.

ალექსანდრე მაკედონელი (356—323 ძვ. წ.) — შვილი მაკედონიის მეფის ფილიპე მეორის, გამოჩენილი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, არისტოტელეს მოწაფე, მრავალი ომის მონაწილე, დაასრულა მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობა, გარდაიცვალა მოულოდნელად, ალექსანდრიაში გადასვენა მხედართმთავარმა პტოლემემ. — 211.

ალექსანდრე პირველი (1777 — 1825) — რუსეთის იმპერატორი 1801—1825 წწ. — 169, 312.

ალიხანოვი მ. ე. — ერთ-ერთი კანდიდატთაგანი თბილისის ქალაქის თავის თანამდებობაზე გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 216.

ალი-ფაშა — თურქი სახელმწიფო მოღვაწე. — 249.

ამატუნი ნ. ი. თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 160, 207.

ამერიკიანი — გასული საუკუნის 70-იანი წლების თბილისელი სომეხი მოღვაწე. — 82.

ამილახვარი — ქართველი თავადი. — 381, 382.

ამიროვი ს. ა. — თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 160.

ანანოვი — თბილისელი ვაჭარი. — 222, 240, 243.

ანდრეევსკაია ნ. ე. — მეფისნაცვალ ვორონცოვის პირადი ექიმის ქალიშვილი, 1876 წელს დაიხრჩო მტკვარში, რამაც დიდი განგაში გამოიწვია პრესაში. — 7, 8, 11, 19, 21—23, 99, 234, 424, 425, 460, 461.

ანისიმოვი — 1878 წელს გამოსული „პრესის შესახებ მთავრობის მითითებათა კრებულის“ გამომცემელი. — 62.

ანტონ კათალიკოსი (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი) (1720—1788) — ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე. — 371.

ანტონოვიჩი მაქსიმ ალექსის ძე (1835—1918) — ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, განმანათლებელი, ბუნებისმეტყველი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ჟურნალ „სოვრემენნიკის“ აქტიური თანამშრომელი; ნ. დობროლუბოვის გარდაცვალების შემდეგ (1861) ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალის კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებას. — 452.

არტემოვსკი — გულაკი პეტრე პეტრეს ძე (1790—1865) — უკრაინელი პოეტი, პროფესორი, ხარკოვის უნივერსიტეტის საპატიო წევრი. — 23.

არწრუნი გრიგოლ (1845—1892) — თბილისელი სომეხი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, გაზ. „მშაკის“ დამაარსებელი და რედაქტორი. — 39, 82, 233, 341, 423.

ასათიანი — პედაგოგი, რომელიც მოკლულ იქნა 1879 წელს. — 424—426, 461.

აქსაკოვი ივან სერგის ძე (1823—1886) — გამოჩენილი რუსი პოეტი და ჟურნალისტი, ცნობილი სლავიანოფილი, რედაქტორი სლავიანოფილურ ჟურნალ-გაზეთებისა („რუსსკაია ბესედა", „დენ", „რუს", „მოსკვა" და სხვ.), თვითმპყრობელობის მომხრე. — 312.

ბ

ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ (1788—1824) — დიდი ინგლისელი პოეტი, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელი. — 230, 283.

ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე (1827—1890) — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და არქეოლოგი, ქართული პრესის თანამშრომელი და მოამაგე.— 73, 413, 414.

ბებუთოვი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის" რედაქტორი. — 109, 113, 115, 206—208, 216, 351, 352.

ბეკერ-ფაშა (ვალენტინ ბეკერ) — გენერალი. — 387.

ბეკოვიჩ-ჩერკასკი ალექსანდრე—ყაბარდოელი თავადი, პეტრე I ერთ-ერთი თანამშრომელი. — 103.

ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის ძე — (1811—1848) — დიდი რუსი კრიტიკოსი და რევოლუციონერ-დემოკრატი. — 427.

ბიკონსფილდი ბენჯამინ დიზრაელი (1804—1881) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსერვატორების ლიდერი, პრემიერ-მინისტრი 1868 და 1874-1880 წლებში. — 249, 384, 385, 387—389, 391, 392, 394.

ბისმარკი ფონ შენჰაუზენ (1815—1898)— პრუსიისა და გერმანიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებელი. — 31, 249, 250, 252, 390—394.

ბიუხნერი ფრიდრიხ კარლ ქრისტიან ლუდვიგ (1824—1899) — გერმანელი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი.—259, 260, 290.

ბლანი ლუი (1811—1882) — გამოჩენილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, უტოპისტ-სოციალისტი. — 331, 332, 420, 437, 441, 442.

ბლიოხი ივანე სტანისლავის ძე (1836—1901) — ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი, რუსეთის ბევრი სარკინიგზო მშენებლობის აქციონერი, კიევ-ბრესტის და ლოძის გზათა მმართველობის თავმჯდომარე. — 146.

ბლუმერგი — ექიმი. — 21.

ბოგაჩევი — ერევნის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორი, საცენზურო კომიტეტის დროებითი წევრი. — 73.

ბოკაჩიო ჯოვანი (1313—1375) — გამოჩენილი იტალიელი მწერალი. — 226

ბოკლი ჰანრი თომას (1821—1862) — ინგლისელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიკოსი და სოციოლოგ-პოზიტივისტი, „ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის" ავტორი. — 442.

ბომარშე პიერ ოგიუსტ კარონ (1732—1799) — გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი. — 458, 459.

ბორჯია ჩეზარე (1475—1507) — რომის პაპის ალექსანდრე VI შვილი, ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე. — 16, 23.

ბრანდტი რომან თეოდორეს ძე (1802—1879) — ცნობილი რუსი მეცნიერი, ზოოლოგი. — 451.

ბროლი (ბროილ) ალბერ (1821—1901) — ფრანგი რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე, II იმპერიის დროს (1852—1870) თავი გამოიჩინა როგორც პუბლიცისტმა და ისტორიკოსმა. — 439.

ბურბაკი შარლ — ფრანგი გენერალი, წარმოშობით ბერძენი. — 106.

ბუტლეროვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1828—1886) — ცნობილი რუსი ქიმიკოსი. — 20, 23.

გ

გამბეტა ლეონ მიშელ (1838—1882) — ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანელთა ერთ-ერთი ლიდერი. — 331, 332, 421, 422, 436—439.

განი პავლე ვასილის ძე (1793—1862) — სენატორი, ნიკოლოზ პირველის ნდობით აღჭურვილი სახელმწიფო მოხელე, რომელმაც 1837 წელს შეადგინა საქართველოს მმართველობის რეფორმის პროექტი, რომლის საფუძველზეც, 1840 წელს, მთავრობამ დაამტკიცა სარეფორმო დებულება (ძალაში შევიდა 1841 წლიდან), მაგრამ მალე განიცადა კრახი, ვინაიდან კონსერვატორული და რეაქციული შინაარსის იყო. — 174, 181, 182, 184, 187.

გარიბალდი ჯუზეპე (1807—1882) — იტალიის სახალხო გმირი, რევოლუციური დემოკრატიის ბელადთაგანი და იტალიის გაერთიანებისათვის მებრძოლი. — 279, 356.

გარნიე-პაუესი ეტენ-ჟოზეფ-ლუი (1801—1841) — ცნობილი ფრანგი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე. — 419.

გერცენი ალექსანდრე ივანეს ძე (1812—1870) — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი და პუბლიცისტი. — 314, 415, 416.

გლადსტონი უილიამ-ედჟარტი (1809—1898) —ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე; ინგლისის პრემიერ-მინისტრი, 1864—74, 1880—85; 1886 და 1892—94 წლებში. — 389.

გობარტ-ფაშა — ადმირალი. — 53.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840—1912) — დიდი ქართველი პედაგოგი, მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. — 447, 448.

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809—1852) დიდი რუსი მწერალი, „ნატურალური სკოლის“ მეთაური. — 41, 66, 73, 210, 287, 314.

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749—1832) — დიდი გერმანელი მწერალი და მოაზროვნე. — 112.

გოლდსმიტი ოლივერ (1728—1774) — ცნობილი ინგლისელი მწერალი. — 12.

გოლოვაჩევი ალექსი ანდრიანეს ძე (1819—1903) — ლიბერალური მიმართულების მოღვაწე და პუბლიცისტი. — 26—29, 68, 69, 76.

გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე (1782-1858) — გამოჩენილი რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალი და კავკასიის სამოქალაქო ადმინისტრაციის მმართველი (1838—1842); უკანასკნელად ბალტიის პირეთის გენერალ-გუბერნატორი — 182, 184.

გონჩაროვი ივანე ალექსანდრეს ძე (1812-1891) — გამოჩენილი რუსი მწერალი. — 70.

გორდიევსკი — თბილისელი ცენზორი. — 81.

გორვიცი — ბანსისტი. — 31, 54.

გორშკოვი — პუბლიცისტი, „რუსსკაია პრავდას“ თანამშრომელი. — 229.

გრანოვსკი ტიმოთე ნიკოლოზის ძე (1813-1855) — ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, დიდი გაელენა მოახდინა იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობაზე. — 20.

გრევი (ფრანსუა-პოლ-ჟიულ გრევი) (1807—1891) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. — 251.

გრეიგი ალექსი სამუელის ძე (1777—1845). — გამოჩენილი რუსი ადმირალი. — 54.

გრეიგი სამუელ ალექსანდრეს ძე (1827-1887). — სამხედრო პირი, შემდეგში აღზევებული ჩინოვნიკი, რუსეთის ფინანსთა მინისტრი (1878 წელს). — 103.

გრინევსკი ვ. ვ. — რკინიგზის საერთაშორისო საზოგადოების კოზლოვ-როსტოვის, კერსკი-აზოვის, ორიოლ-გრიაზის გამგეობის თავმჯდომარე. — 400.

დ

დავიდოვა ა. — საზღვარგარეთ განათლებამიღებული თბილისელი მომღერალი ქალი გასული საუკუნის 70—80-იან წლებში. — 25.

დავიდოვა ო. — საზღვარგარეთ განათ-

ლებამიღებული თბილისელი პიანისტი ქალი გასული საუკუნის 70—80-იან წლებში. — 25.

დავით IV, აღმაშენებელი (1073—1125)— საქართველოს გამოჩენილი მეფე (1089—1125), რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქვეყნის გაძლიერება და ცენტრალიზაცია, ბევრი სახელოვანი გამარჯვება გარეშე და შინაურ მტრებზე, კულტურული და ეკონომიური აღმშენებლობა, რის გამო ღირსეულად დაიმსახურა აღმაშენებლის სახელი. — 32².

დანილოვი — ინჟინერი, რომელსაც ეკუთვნის კუმი-მანიჩის სიჩ ეყის სარწყავი სისტემისა და შავი და კასპიის ზღვების დაკავშირების პროექტები. —409.

დანტონი ჟორჟ-ჟაკ (1759—1794) — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე, 1794 წლის 5 აპრილს დასაჯეს სიკვდილით. — 441.

დარვინი ჩარლზ რობერტ (1809—1882)— გამოჩენილი ინგლისელი ბუნებისმეტყველი, ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი. — 455.

დელაკრუა ფერდინანდ ვიქტორ ეჟენ (1798—1863) — ფრანგი მწერალი და გრაფიკოსი. — 16.

დიდებულიძე გ. ვ. — ქართველი მწერალი, პედაგოგი, ჟურნალ „ცისკრის" თანამშრომელი. — 12.

დიუვერნე — ფინანსისტი. — 458.

დობრეანსკი ნ. ფ. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 203.

დოლუხანოვი მ. ი. — ერთ-ერთი კანდიდატთაგანი თბილისის ქალაქის თავის თანამდებობაზე 1879 წელს.—216.

ე

ეკატერინე II (1729—1796) — რუსეთის იმპერატორი ქალი 1762—1796 წლებში. — 306, 312, 440.

ელიმირზოვი ლ. კ. — თბილისის ქალაქის თავის მოვალეობის აღმსრულებელი, გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 217.

ერეკლე მეორე (1720—1798) — საქართველოს გამოჩენილი მეფე და მხედართმთავარი. — 323.

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813—1864) — გამოჩენილი ქართველი დრამატურგი. — 11.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1722—1861) — რუსი გენერალი და ცნობილი მხედართმთავარი, მთავარმართებელი კავკასიაში (1817—1827 წწ.). — 306.

ეფრუსი — ოდესელი ბანკირი. — 52.

ვ

ვაგნერი — ექიმი, პროფესორი, — 20, 23.

ვაშინგტონი ჯორჯ (1732—1799) — გამოჩენილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე. ამერიკის პრეზიდენტი 1789-97 წწ. — 50, 110, 325, 326.

ვარშავსკი — კონცესიონერი. — 102, 145, 149, 157.

ველიხარი — თბილისელი დროებით მომუშაე ცენზორი. — 73.

ვეზირგანოვი — თბილისელი მოქალაქე, თბილისის საფოსტო სამმართველოს უფროსის ძმა. — 88.

ვერნეები — იგულისხმება ფრანგ ფერმწერთა ცნობილი ოჯახი: კლოდ ჟოზეფ (1714—89) — გამოჩენილი პეიზაჟისტი, ეერნე შარლ (1758—1835)— ფერმწერი, ლითოგრაფი, ორას (1789—1863) — გამოჩენილი ბატალისტი. — 16.

ვესინი — გასული საუკუნის 70-იანი წლების რუსეთის სარკინიგზო მშენებლობის წარმომადგენელი. — 164, 168.

ვოლტერი ფრანსუა-მარი-არუე (1694—1778) — დიდი ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი. — 457, 458.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782—1856) — ცნობილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მეფისნაცვალი კავკასიაში (1845—1854 წლებში). — 306.

ზ

ზაალიშვილი — აზნაური, გორის მაზრის უფროსის მოადგილე. — 382.

ზაბოლოცკი — საზღვაო ფლოტის მუშაკი. — 51.

ზალცმანი ა. ფ. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. — 203.

ზუბალაშვილი ნ. დ. — ცნობილი თბილისელი მრეწველი, ერთ-ერთი კანდიდატთაგანი თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 1879 წ. — 206, 207, 208, 216, 351.

თ

თამამშევი ა. ა. — თბილისელი სომეხი კაპიტალისტი. — 114, 207, 208, 217—219.

თამარი (1160—1213) — საქართველოს გამოჩენილი მეფე (1184—1213 წწ.), მეფე გიორგი III შვილი, აგრძელებდა დაეით აღმაშენებლის საქმეს ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერებისათვის. — 323.

თემურ-ლენგი (1336—1405) — შუა აზიელი მხედართმთავარი, ემირი და ერთი უდიდესი დამპყრობელთაგანი. — 323.

თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1854—1920) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. — 226, 230, 231, 233, 234.

თუმანიშვილი იასონ დიმიტრის ძე — თავადი, თბილისელი ჩინოვნიკი, საქმოსანი წრის წარმომადგენელი. — 55, 206.

ი

იაკუბ-ხანი. — ავღანეთის ემირის შირალის შვილი და თანამებრძოლი, ავღანეთის ემირი (1878—79 წწ.). — 105.

ივანე მრისხანე, ივანე IV (1530—1584)— პირველი რუსი მეფე, დიდი პოლიტიკური მოღვაწე. — 315.

ივაშინცევი — ნიკოლოზ ალექსის ძე (1819—1871) — რუსი ჰიდროლოგი, კასპიის ზღვის მკვლევარი, კონტრადმირალი. — 15, 166, 167.

იზმაილოვი პ. ა. — ჟურნალისტი, „ტიფლისკი ვესტნიკის" თანამშრომელი, თბილისის ქალაქის საბჭოს მდივანი 70-იან წლებში. — 203.

იოანნისიანი ა. ა. — თბილისის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში, თბილისური სომხური გაზეთის „პორძას" რედაქტორი.—114, 203.

იოსელიანი — სამხედრო პირი, პოლკოვნიკი. — 125.

ირიცაუზოვი — თბილისის ერთ-ერთი კერძო პროგიმნაზიის გამგე. — 34.

იუგურტა (160—104 ძვ. წ.) — ნუმიდიის მეფე, რომელმაც დიდი ომი აწარმოა რომთან. დასჯილი იქნა სიკვდილით. — 269.

იუვენალი — ძველი რომაელი სატირიკოსი პოეტი (I ს. ჭ. დ. შ.). — 121.

იცეკი — რუსი ფინანსისტი და საქმოსანი. — 54, 102.

კ

კავანიარი პეტრე-ლუდოვიკ-ნაპოლეონ (1841—1879) — ინგლისელი დიპლომატი (წარმოშობით ფრანგი). — 105, 106, 388.

კავენიაკი გოდფრუა ელეონორ ლუი (1801—1845) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რესპუბლიკელი. — 419.

კალასი ჟან (1698—1762) — ტულუზელი ვაჭარი, პროტესტანტი, XVIII ს. საფრანგეთის რელიგიური ფანატიზმის მსხვერპლი. — 457, 460.

კანკრინი იგორ ფრანცის ძე (1774—1845) — რუსი სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი, ფინანსთა მინისტრი 1823—1844 წწ.; მემამულეთა ინტერესების დამცველი. — 179.

კარამზინი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1766—1826) — ცნობილი რუსი მწერალი, ჟურნალისტი და ისტორიკოსი. — 281.

კარელი არმან (1800—1836) — გამოჩენილი ფრანგი პუბლიცისტი. — 419.

კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818—1887) — რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი. — 113, 153, 155, 156, 158, 159, 163, 374, 375, 415.

კაუფმანი კონსტანტინე პეტრეს ძე (1818-1882)—გენერალ-ადიუტანტი, 1844 წ. მსახურობდა კავკასიაში; 1853—56 წწ. მონაწილეობდა ყარსის აღებაში; 1877-78 წწ. — რუსეთ-თურქეთის ომში. — 106.

კერესელიძე ივანე ივანეს ძე (1829 — 1892) — პოეტი, ჟურნალისტი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი (1857—1875 წწ.). — 12.

კესსლერი კარლ თეოდორეს ძე (1815—1881) — გამოჩენილი ზოოლოგი, პროფესორი. — 12, 451.

კისლაკოვსკი ვ. ი. — კოზლოვ-ვორონეჟის, კურსკი-აზოვის, ორიოლ-გრიაზის სარკინიგზო გამგეობის წევრი. — 399, 400.

კლევანოვი — რუსი მთარგმნელი. — 281.

კლემანსო ჟორჟ ბენჟამენ (1841—1923) — ფრანგი რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე. — 436—439.

კლოპშტოკი ფრიდრიხ გოტლიბ (1724—1803) — ცნობილი გერმანელი პოეტი. — 307.

კოგანი — ფინანსისტი. — 31, 54.

კოვალენსკი — თბილისელი ცენზორი. — 73.

კოზლიანინოვი — კავკასიის ცალკე კორპუსის გენერალი. — 182.

კომაროვი — სერბიელი გენერალი, სერბიის არმიის შტაბის ყოფილი უფროსი, უკანასკნელ დროს სარკინიგზო საქმის კონცესიონერი. — 145—148.

კორნელი პიერ (1606—1684) — გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი, კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგულ ლიტერატურაში. — 307.

კოსტომაროვი ნიკოლოზ ივანეს ძე (1817—1885) — რუსი ისტორიკოსი და მწერალი, პროფესორი. — 298, 299, 301.

კრაევსკი ანდრეი ალექსანდრეს ძე (1810 — 1889) — რუსი ჟურნალისტი და გამომცემელი, გაზეთ „გოლოსის“ რედაქტორი. — 228, 229.

კრეჩინსკი — კონცესიონერი. — 55.

კრილოვი ივანე ანდრიას ძე (1768—1844) — გამოჩენილი რუსი პოეტი, მოიგავარაკე. — 28.

კურბი გიუსტავ (1819—1877) — გამოჩენილი ფრანგი ფერმწერი, რეალისტი. — 16.

კუტაისოვი პავლე ივანეს ძე (1780 — 1840) — გრაფი, ობერგოფმეისტერი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. — 174, 176.

ლ

ლაზარევი მიხეილ პეტრეს ძე (1788—1851) — ცნობილი რუსი ადმირალი. — 54, 70.

ლედრიუ-როლენი ალექსანდრ-ავგუსტ (1808—1874)—ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, რესპუბლიკელი. — 420.

ლალი ტოლანდალი ტომას-არტურ (1702—1766) — ფრანგი გენერალი, გრაფი, მთავარსარდალი 1755 წ. საფრანგეთ-ინგლისის ომში, რომელშიც დამარცხდა, რის გამო მეფის მოღალატედ აღიარეს და სიკვდილით დასაჯეს. — 441.

ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე (1814 — 1841) — დიდი რუსი პოეტი. — 314.

ლერუ პიერ (1797—1871) — ფრანგი მწერალი. — 420.

ლესეპსი ფერდინანდ (1805—1894) — ცნობილი ფრანგი დიპლომატი და საქმოსანი. — 102, 104, 164.

ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ (1729—1781) — დიდი გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი; გერმანული ბურჟუაზიული განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენელი. — 313.

ლესკოვი ნიკოლოზ სიმონის ძე (1831—1895) — რუსი მწერალი. — 376.

ლეშეტიცკი თეოდორე (1830—1915) — პოლონელი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი. — 25.

ლიაძე ი. — გამომცემელი, 1879 წლის „საქართველოს კალენდრის“ შემდგენელი. — 11, 12.

ლიპხარდტი — კონცესიონერი. — 55, 84—86.

ლისტი ფერენც (1811—1886) — დიდი

უნგრელი კომპოზიტორი, გენიალური პიანისტი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. — 25.
ლობანოვ-როსტოვსკი ალექსანდრე ბორისის ძე — თავადი, სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1895 წ.). — 249.
ლუკოვნი — „ობზორის“ მეტრანსპაეე. — 68.
ლუდოვიკო XV (1710—1774) — საფრანგეთის მეფე 1715—1774 წლებში. — 458.

მ

მაიკოვი აპოლონ ნიკოლოზის ძე (1821—1897) — ცნობილი რუსი პოეტი. — 70.
მაკ-მაჰონი მარი-პატრიკ-მორის (1808—1893) — ფრანგი რეაქციონერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; საფრანგეთის პრეზიდენტი 1873—79 წლებში. — 144, 251, 438.
მარმონტელი ანტუან ფრანსუა (1816—1898) — ფრანგი პიანისტი, პედაგოგი და კომპოზიტორი. — 25.
მატინოვი ა. ს. — თბილისის ქალაქის საბჭოს მოხელე, ქალაქის თავი 1879 წლიდან. — 216, 352.
მდივანი (მდივანოვი) სერგეი სტეფანეს ძე — „ქართველთა და სომეხთა კალენდრის“ შემდგენელი და გამომცემელი. — 11.
მეიენი გ. ს. — კოზლოვ-ეორონეეის რკინიგზის გამგეობის წევრი. — 399, 400.
მელიქ-ბეგლაროვი ლ. შ. — თბილისელი მოხელე. — 216.
მელიქიშვილი სტეფანე (1841—1886) — გაზეთ „დროების“ გამომცემელი. — 158.
მეღრაბოვი (სულეიმან ხან მელიქ მეღრაბოვი) — გაზეთ „ობზორის“ ცენზორი. — 11, 56, 57, 69—73, 81.
მენდელეევი დიმიტრი ივანეს ძე (1834—1907) — დიდი რუსი მეცნიერი, ქიმიური ელემენტების პერიოდულობის კანონის აღმომჩენი. — 20.
მეშჩერსკი ვლადიმერ პეტრეს ძე (1839—1914) — რუსი მწერალი და პუბლიცისტი, რეაქციონერული თავად-აზნაურული იდეოლოგიის წარმომადგენელი. — 27.
მესხი სერგი სიმონის ძე (1844—1883) — ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი. — 11, 96—99, 115, 233, 234, 362, 363, 428, 461.
მეტერნიხი კლემენტ-ვენცელ — (1773—1859), — ავსტრიელი დიპლომატი და მინისტრი. — 44.
მეჩნიკოვი ლ. — გრაფი, სენატორი, შეფის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე. — 174, 176.
მითხად-ფაშა — თურქი სახელმწიფო მოღვაწე. — 59.
მილე ჟან-ფრანსუა (1814—1875) — ფრანგი მხატვარი. — 16.
მილიუტინი დიმიტრი ალექსანდრეს ძე (1816—1912) — გენერალ-ფელდმარშალი, რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. — 127.
მირიანი — საქართველოს მეფე. — 413.
მიხაილოვსკი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1842—1904) — ცნობილი რუსი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და სოციოლოგი. — 229.
მოპუ რენე-ნიკოლა-შარლ ოგუსტენ. (1714—1792) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, პარლამენტის წევრი. — 458, 459.
მურავიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794—1866) — რუსი გენერალი, დეკაბრისტ ა. ნ. მურავიოვის ძმა, კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი და მეფისნაცვალი. — 126, 158.
მურვან მაჰმედის ძე (ყრუ) — არაბეთის ცნობილი სარდალი, 737—742 წლებში ძლევამოსილი ლაშქრობა ჰქონდა კავკასიასა და იმიერ-კავკასიაში. — 323.
მურილიო ბარტლომე ესტებანი (1617—1682) — გამოჩენილი ესპანელი მხატვარი, სევილიური სკოლის მამამთავარი. — 16.

ნ

ნაპოლეონ პირველი (1769—1821) — დი-

დი ფრანგი მხედართმთავარი და იმპერატორი. — 136.
ნაპოლეონ მესამე (1808—1873) — საფრანგეთის პრეზიდენტი (1851 წ.) შემდეგ იმპერატორი (1852—1870). — 44, 251, 421.
ნახიმოვი პავლე სტეფანეს ძე (1802—1855) — გამოჩენილი რუსი ადმირალი. — 54.
ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე (ბარონ ნიკოლაი, 1821—1899) — მეფის რუსეთის სახელმწიფო მოხელე, 1852—1859 წწ. ასრულებდა კავკასიის ოლქის მზრუნველის თანამდებობას, 1863—1874 წწ. იყო კავკასიის მმართველობის უფროსი, 1881—1882 წლებში განათლების მინისტრი, ცოლად ჰყავდა ა. ჭავჭავაძის ასული — სოფიო — 193, 194.
ნინო კაბადოკიელი — იგივე წმინდა ნინო — 413.

ო

ოგოლინი ალექსანდრე სტეფანეს ძე — სენატორი, თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე. — 16, 22.
ორსინი ფელიჩე (1809—1858) — იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, 1858 წლის 14 იანვარს უკმბარა ესროლა თეატრში მიმავალ ნაპოლეონ III-ს, რისთვისაც სიკვდილი მიესაჯა. — 421.
ოსტროვსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1823—1886) — გამოჩენილი რუსი დრამატურგი. — 366.
ოფენბახი ჟაკ (1819—1880) — ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი, ფრანგული კლასიკური ოპერეტის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. — 19.

პ

პასკევიჩი ივანე თეოდორეს ძე (1782—1856) ცნობილი რუსი მხედართმთავარი, კავკასიის მთავარმართებელი. — 176—179.
პელტანი კამილ — ფრანგი ჟურნალისტი. — 436.
პეტრე პირველი (1662 — 1725) — რუსეთის სახელგანოქმული მეფე და პირველი იმპერატორი — 101—103, 145, 148, 168, 306, 312.
პიროგოვი ნ. ი. (1810—1881) — გამოჩენილი რუსი პედაგოგი და ექიმი. — 356.
პისემსკი ალექსი თეოფილაქტეს ძე (1821—1881) — რუსი მწერალი. — 376.
პიტოევი ი. ე. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. — 203.
პიტოევი ნ. ე. — თბილისელი ფინანსისტი — 91, 222.
პოლევოი პ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსი მწერალი და მეცნიერი. — 23.
პოლიაკოვი ს. ს. (1837—1888) — სარკინიგზო საქმის ცნობილი მცოდნე, სახელმწიფო მრჩეველი, გენერალი. — 102, 145—148, 396—406, 408, 409.
პოლტორაცკი ა. ი. — თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი — 70.
პოლტორაცკი ი. ი. — ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის მეგობარი — 203.
პომიალოვსკი ნიკოლოზ გერასიმეს ძე (1835—1863) — ცნობილი რუსი ბელეტრისტი. — 124, 359.
პოზემკოვსკი — რუსი სახელმწიფო მოხელე. — 400, 405, 408.
პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე (1799—1837) — დიდი რუსი პოეტი, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი. — 230, 287, 314.

ჟ

ჟელიხოვსკი — კავკასიის მთავარ სამართველოში მომუშავე ჩინოვნიკი. — 73.
ჟორჟ-სანდი, — ავრორა დუპენდე-დევანი (1804—1876) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი. — 420.

რ

რაინიკე — ფრანგი კომპოზიტორი და პედაგოგი. — 25.
რასინი ჟან (1639—1699) — გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი, კლასიცისტი. — 307.

რაფაელი სანტი (1483—1520) — დიდი იტალიელი მხატვარი და არქიტექტორი. — 16, 263.

რაფაელოვიჩი — ოდესელი ბანკირი. — 52.

რაშეტი იაკობ ივანეს ძე, — ჟან დომინიკე (1744—1809) — მოქანდაკე, კლასიციზმის წარმომადგენელი (წარმოშობით ფრანგი), 1779 წლიდან მუშაობდა რუსეთში. — 427, 429, 430.

რეიტერნი მიხეილ ქრისტეფორეს ძე (1820—1890) — რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსთა მინისტრი. — 194, 195.

რეიხი — ექიმი-ოკულისტი. — 20.

რემბრანტი ვან რეინი (1606—1669) — გამოჩენილი ჰოლანდიელი რეალისტი მხატვარი. — 16.

რემერტი — ექიმი, სახელმწიფო მოხელე. — 237.

რიეგო რაფაელ-დე (1785—1823) — ესპანელი ბურჟუაზიული რევოლუციონერი. — 45.

რობაროვსკი — კავკასიის მთავარ სამმართველოს საიდუმლო განყოფილების გამგე. — 73.

რობერტსი — გენერალი. — 388.

რობესპიერი მაქსიმილიანე (1758 — 1794) — ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, იაკობინელების ბელადი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. — 441.

როშფორი ანრი (1830—1873) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი. — 421.

რუბენსი პეტერ-პაულ (1577—1640) — გამოჩენილი მხატვარი. — 16.

რუსო ჟან-ჟაკ (1712—1778) — დიდი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი. — 441.

ს

სავფეტ-ფაშა — თურქი სახელმწიფო მოღვაწე. — 59.

სალუსტი გაი კრისპ (86—36 ძვ. წ. აღ.) — ცნობილი რომაელი ისტორიკოსი. — 259, 269, 281, 288.

სენ-სიმონი ანრი კლოდ (1760—1825) — გამოჩენილი ფრანგი უტოპისტ-სოციალისტი. — 420.

სენტ-ბეკი შარლ-ოგიუსტენ (1804 — 1869) გამოჩენილი ფრანგი კრიტიკოსი და პოეტი. როგორც ლიტერატურის ისტორიკოსსა და კრიტიკოსს დიდი დამსახურება მიუძღვის ფრანგული კლასიციზმისა და ფრანგული რომანტიზმის მთავარ წარმომადგენელთა შემოქმედების შესწავლაში; გამოირჩეოდა კვლევის მეთოდების კომპლექსური გამოყენებით. მისთვის თითქმის ერთნაირად საინტერესო იყო ისტორიული, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური კრიტიკის მოთხოვნები და უარყოფითად იყო განწყობილი დოგმატური კრიტიკისადმი. როგორც პოეტმა, მან მიიპყრო თავისი თანამედროვე მკითხველის უურადღება და ა. ს. პუშკინის მოწონებაც დაიმსახურა. — 420.

სან-ჟუსტი ლუდოვიკ-ანტუან (1767—1794) — ფრანგი რევოლუციონერი, იაკობინელი, 1794 წელს თავი მოკვეთეს გილიოტინაზე. — 441.

სვიატოსლავი — კიევის დიდი მთავარი (945—972) და მხედართმთავარი. — 148.

სიმონ ჟიულ (1814—1896) — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე. — 144.

სირვანი ალფრედ — ფრანგი მწერალი, ოპოზიციური ორგანოების რედაქტორი. — 457, 458.

სიუ-ეუენ მარი-ჟოზეფ (1804—1857) — ფრანგი მწერალი (განათლებით ექიმი). — 420.

სკალკოვსკი კონსტანტინე აპოლონის ძე — სამთო ინჟინერი, მწერალი და პუბლიცისტი. — 102.

სკოროვი — ექიმი. — 236, 237.

სკოტი ვალტერ (1771—1832) — გამოჩენილი ინგლისელი მწერალი. — 278, 283.

სოროკინი ი. მ. — პროფესორი, ექიმი. — 9, 16—24.

სპასოვიჩი ვლადიმერ დანიელის ძე (1829—1906) — ცნობილი რუსი იუ-

რისტი და პუბლიცისტი, პროფესორი. — 7, 8, 16, 18, 298, 300.
სტასიულევიჩი მიხეილ მათეს ძე (1826—1911) — ცნობილი რუსი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი. — 298, 299, 374.
სტეფანოვი — იურისტი. — 456.
სტრელიცკი — თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორი. — 355.
სტრემოუხოვი პ. დ. — რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის დირექტორი, შემდეგში რკინიგზის გამგეობათა მუშაკი. — 399, 400.
სტუდენტსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1844—1891) — ქირურგი. — 29.
სუვორინი აღექსი სერგის ძე (1834—1912) — რუსი რეაქციონერი ჟურნალისტი და გამომცემელი. — 228, 229.
სურგუნოვი ვ. ი. — თბილისელი ფინანსისტი. — 91.

ტ

ტენი იპოლიტ ადოლფ (1828—1893) — გამოჩენილი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, კულტურულ-ისტორიული სკოლის ფუძემდებელი და ნატურალიზმის, როგორც ლიტერატურულ-მხატვრული მიმართულების, თეორიის პირველი შემმუშავებელი; გამოირჩეოდა ფართო ერუდიციით, დახვეწილი გემოვნებით და მტკიცე ლოგიკით. მის უკანასკნელ ნაშრომებს აშკარად დაეტყოთ ბურჟუაზიის რევოლუციური განწყობილების კრიზისი. — 436, 439, 440, 442.
ტიერრი ოგუსტენ (1795—1856) — გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, საფრანგეთის „ახალი მეცნიერული სკოლის“ ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. — 281, 442.
ტირტეოსი (მე-7 ს. II ნახ. ძვ. წ. აღ.) — ცნობილი ბერძენი (სპარტანელი) ელეგიკოსი პოეტი. — 121.
ტიუტჩევი თევდორე ივანეს ძე (1803—1878) — რუსული ფილოსოფიური ლირიკის გამოჩენილი წარმომადგენელი, რუსული ლექსის დიდი ოსტატი, მსოფლმხედველობრივად წინააღმდეგობრივი შეხედულებების მქონე.— 70, 282.
ტოლსტოი აღექსანდრე კონსტანტინეს ძე (1817—1875) — გრაფი, რუსი მწერალი. — 416.
ტორიჩელი ევანჯელისტა (1608—1647) — ცნობილი იტალიელი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. — 46.
ტრუბნიკოვი ა. დ. — კონცესიონერი. — 148, 228, 229.
ტურგენევი ივანე სერგის ძე (1818—1883) — დიდი რუსი მწერალი. — 327.

უ

უთურგაული გ. — პუბლიცისტი, გაზეთ „დროების“ თანამშრომელი. — 98, 99, 365, 368, 369, 372.
უსოვი პავლე სტეფანეს ძე (1828—1888) — რუსი პუბლიცისტი, გაზეთ „ბირჟის“ რედაქტორი (1872—77 წწ.). —145.
უშაკოვი — ექიმი. — 236, 237.
უშინსკი კონსტანტინე დიმიტრის ძე (1834—1870) — დიდი რუსი პედაგოგი და მოაზროვნე. — 447.

ფ

ფავრი ეიუღ (1809—1880) — ცნობილი ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე. — 144, 419 —422, 451.
ფენკოვი — გაზეთ „ობზორის“ თანამშრომელი. — 87.
ფორაქიშვილი — მოიჯარე. — 158.
ფრეიხინე შარლ-ლუი — ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. — 411.
ფრიდონოვი ა. ფ. — თბილისელი ვაჭარი. — 91, 222.
ფურიე შარლ (1772—1837) — ცნობილი ფრანგი უტოპისტ-სოციალისტი. —420.
ფურცელაძე — ცენზორი — 73.

ღ

ღამბაროვი პ. ს. — ეკონომისტი, ფინანსისტი, მეცნიერების დოქტორი. — 91, 114, 117, 207, 217, 219.
ღვინიაშვილი — ქუთაისის სასულიერო

სასწავლებლის მასწავლებელი. — 341, 425.

ღოღობერიძე ბესარიონ ლევარსის ძე (1832—1879) — ცნობილი თერგდალეულთაგანი, პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის არეულობის მონაწილე, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. — 280, 283, 285, 353—357, 372, 373.

უ

უარა-თეოდორ-ფაშა — ცნობილი თურქი პოლიტიკური მოღვაწე. — 249.

უოფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814—1887) — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. — 160, 207, 208, 351.

ყორღანოვი ა. ს. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. — 160, 207, 216, 222, 352.

შ

შანშიაშვილი ნ. ნ. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. — 203.

შერვაშიძე მიხეილ — აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. — 22.

შილერი იოჰან-ფრიდრიხ (1759—1805) — დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი. — 283.

შირ-ალი — ავღანეთის ემირი გასული საუკუნის 80-იან წლებში. — 105—108.

შიშკოვი ალექსანდრე სიმონის ძე (1754—1841) — ცნობილი რუსი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. — 312, 314.

შლემკი — რუსი ფინანსისტი და საქმოსანი. — 54, 102.

შმული — რუსი ფინანსისტი და საქმოსანი. — 54, 102.

შჩედრინი (სალტიკოვ შჩედრინი) მიხეილ ევგრაფის ძე (1826—1889) — გამოჩენილი რუსი მწერალი, სატირიკოსი, ჟურნალისტი. — 67, 295, 423.

ჩ

ჩერნიშევსკი ნიკოლოზ გავრილის ძე (1828—1889) — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი. — 427.

ჩითახოვი ი. ა. — ჟურნალისტი. — 91, 99.

ჩინგის-ყაენი (1155—1227) — ცნობილი მონღოლი დამპყრობი. — 323.

ჩიხაჩევი ნიკოლოზ მათეს ძე — გენერალ-ადიუტანტი, ადმირალი. — 51—55, 83, 145.

ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) ა. ზ. — თბილისის ბანკის მმართველობის წევრი. — 91, 203, 207.

ჩქოტუა დავით ზურაბის ძე (1849—1925) — პუბლიცისტი და ლიტერატორი, გაზეთ „დროების“ და „სასოფლო გაზეთის“ თანამშრომელი. — 9, 17, 22, 24, 423, 425, 426.

ც

ცირინოვი გ. გ. — თბილისელი ფინანსისტი. — 91.

ცხვეტაძე — მღვდელი. — 383.

წ

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840—1915) — დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — 24, 150, 257, 278, 280, 361, 363—365.

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840—1900) — გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. — 361.

ჭ

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837—1907) — დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. — 158, 230, 234, 272, 276, 279, 283, 325, 361, 362, 367, 368.

ხ

ხარაზოვი ა. ა. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი გასული საუკუნის 70-იან წლებში. — 160.

ხატისოვი ი. ს. — თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ქალაქის თავი. — 217.

ხელაძე ექვთიმე (1845—1905) — ცნობილი გამომცემელი და სტამბის მეპატრონე. — 11, 12.

ხოჯამინასოვი ტ. ა. — თბილისელი ჩინოვნიკი, საქმიანი წრის წარმომადგენელი,

თბილისის ქალაქის თავი კანდიდატთა-
განი 1879 წლის არჩევნებზე. — 207,
208.

ჯ

ჯანელიძე მ. — სამხედრო პირი. — 124.

ჰ

ჰაზემანი — ფრანგი იურისტი. — 460.

ჰეიმანი ვასილ ალექსანდრეს ძე (1823—
1878) — გენერალ-ლეიტენანტი, რუ-
სეთ-თურქეთის 1877—78 წწ. ომში მე-
თაურობდა რაზმს, რომელმაც დაიპყ-
რო არდაგანი. — 129.

ჰელმანი — ინჟინერი — 101, 167.

ჰეტნერი გერმან (1821—1882) — გერმა-
ნული ლიტერატურის ისტორიკოსი და
ხელოვნებათმცოდნე, კულტურულ-ის-
ტორიული სკოლის წარმომადგენელი,
რომელიც სიმპათიურად იყო განწყო-
ბილი მე-18 საუკუნის განმანათლე-
ბლური იდეებისადმი, მაგრამ უკანას-
კნელად მაინც ვერ აცდა ნაციონა-
ლური ლიბერალიზმის იდეოლოგიის
გავლენას. — 458.

ჰიუგო ვიქტორ (1802—1885) — დიდი
ფრანგი მწერალი და საზოგადო მო-
ღვაწე. — 338, 420.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 5

1878

1. პალატის განაჩენი 7
2. ლიტერატურული პროცესები 11
3. გზა ყარაბულაზიდან კახ-პულარისაკენ 13
4. საკვირაო საუბრები 16
5. ადგილობრივი მიმოხილვა . . . 24
6. რაღაც-რაღაცები რაღაც-რაღაცების შესახებ 26
7. „ობზორის“ რედაქტორის პროცესი 32
8. სიტყვა და საქმე 33
9. ლიტერატურული ნარჩენები 37
10. საკვირაო საუბრები . . 40
11. თბილისის საბჭოს წევრთა არჩევნები 40
12. კონცესიონერული ჯადოქრობის დასასრული 51
13. გაზეთ „ობზორის“ პირველი პროცესი 56
14. „მშაკის“ შინ ჩადენილი გმირობა 82
15. კონცესიონერული მამხილებელი . . 83
16. საფოსტო გამგებლობის „უარყოფის“ გამო 87
17. საბჭოს ახალი შემადგენლობა 90
18. ქალაქის თავის არჩევნები 93
19. ისევ „დროების“ შესახებ 96
20. პეტრე დიდის იდეა და კონცესიონერული იდეა 101
21. ამერიკული ჭორი 105
22. საკვირაო საუბრები 109

1879

23. მამები და შვილები არმიაში 118
24. საფრანგეთის საქმეები 144
25. კონტროლის მტრები 145
26. საკვირაო საუბრები 149
27. თბილისის სათათბირო 160
28. პოლემიკური მარგალიტები 162
29. პასუხი „რუსკი მირს“ . . 164
30. საერობო გადასახადის ორგანიზაცია ამიერკავკასიის მხარეში 169
31. ქალაქის თავის არჩევნები 203
32. თბილისი, 26 იანვარი 209
33. უთავო სათათბირო 213

34. Patres conscripti 221
35. საკვირაო საუბრები 226
36. ისევ შავი ჭირის შესახებ 236
37. მონოპოლია და გაფიცვა 238
38. ღონისძიებანი გაფიცვის წინააღმდეგ 244
39. პოლიტიკური მდგომარეობა 249
40. სტუდენტობის პირველი დრო 253
41. მამულის სიყვარული და მსახურება 302

1880

42. სადღეისო საკითხები 340
43. ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრება 1879 წელს 342
44. ქართული ლიტერატურა 1879 წელს 358
45. ი. ს. ტურგენევის წერილი „ვესტნიკ ევროპის“ რედაქტორისადმი 374
46. „კლუბურ ზნე-ჩვეულებათა“ გამო 378
47. ჩვენი აგრალური ურთიერთობის დასახასიათებლად 381
48. პოლიტიკური მიმოხილვა 384
49. პოლიტიკური მიმოხილვა 390
50. გენერალ პოლიაკოვის ცელქობა 396
51. სიყვარული ბრმაა ვითომ? 405
52. ნავსადგურის სარკინიგზო ნაგებობანი 410
53. ლიტერატურული ახალი ამბები 413
54. ლიტერატურული სიახლენი 415
55. ქიულ ფავრი 419
56. პრესის მოლჩალინები 423
57. საკვირაო საუბრები 427
58. გაკვრა-გამოკვრა 436
59. ქართული აპათია 443
60. საკვირაო საუბრები 450
61. პრესა და სასამართლო 456
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 462
კომენტარები 467
სახელთა საძიებელი 478

მკითხველმა უკვე მიიღო

ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ექვსი ტომი, რომლებიც გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ტომი I, 1962 წ.

აღნიშნულ ტომში შესულია ავტორის ის თხზულებები, რომლებიც მან გამოაქვეყნა 1860—1869 წლებში. ამ პერიოდში ნ. ნიკოლაძეს თანამშრომლობა მოუხდა თბილისის, პეტერბურგისა და საზღვარგარეთულ რუსულ პრესაში: ჟურნალ „ცისკარში", ჟურნალ „ისკრაში", ჟურნალ „სოვრემენნიკში", გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოში", გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში", „გაზეთ „კოლოკოლში", ჟურნალ „სოვრემენნოსტ'ში" (რომელსაც თვითონ სცემდა, ლ. მეჩნიკოვთან ერთად, შვეიცარიაში) და გაზეთ „დროებაში".

ამავე ტომშია დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძის მიერ ჟენევაში ცალკე წიგნებად გამოქვეყნებული ნაშრომები: „მთავრობა და ახალი თაობა" (1866 წ.), რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა, და ფრანგულ ენაზე გამოცემული „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები" (1868 წ.); აგრეთვე — ჟენევაში გამოცემული ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომისა და მისივე რომანის „რა ვაკეთოთ?" შესავალი წერილები, რომლებიც ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნიან.

ტომი II, 1960 წ.

ტომში შესულია ის თხზულებები, რომლებიც ნ. ნიკოლაძემ გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „კრებულში" გამოაქვეყნა 1870—1871 წლებში, საზღვარგარეთიდან

დაბრუნების შემდეგ; მათ შორის ისეთი ცნობილი სტატიები, როგორიცაა „კრებულის“ დანიშნულებაზე“, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“, „პარიჟის რევოლუცია“, „დიკენსი და ტეკკერეი“, „მნათობს“ და სხვ.

ტომი III, 1963 წ.

აღნიშნულ ტომში დაბეჭდილია ავტორის ძიერ 1872—1873 წლებში გამოქვეყნებული სტატიები. ამ პერიოდში იგი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“, ჟურნალ „კრებულსა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“. ტომში შესულ სტატიათა შორის, მკითხველს შეუძლია გაეცნოს ისეთ სტატიებს, როგორიცაა: „ახალი ახალგაზრდობა“, „გრ. ორბელიანი“, „ი. ჭავჭავაძის გლახის ნაამბობი“, „ანრი როშფორი“, „მნათობის“ სიკვდილი“, „მშვიდობით, მშვიდობით!“ და სხვ.

ტომი IV, 1964 წ.

დასახელებულ ტომში დაბეჭდილია 1874—1876 წლებში გამოქვეყნებული სტატიები და ჟენევაში ფრანგულ ენაზე გამოსული წიგნი „ფრანგული პრესის დეკადანსი“ (1875 წ.). ამ პერიოდში ნ. ნიკოლაძე თავის სტატიებს აქვეყნებდა გაზეთ „დროებასა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“. სხვა სტატიებთან ერთად, ამ ტომის საშუალებით მკითხველს შეუძლია გაეცნოს ისეთ სტატიებს, როგორიცაა: „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“, „ა. ფურცელაძის დავის დაგვირგვინება“, „წერილები პარიზიდან“, ლავროვის „ვპერიოდ“ და კატკოვის „რუსსკი ვესტნიკ“, გაზეთი „დროება“ (1866—1873 წწ.), „რუსული ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა“, „პოლიტიკური ინდეფერეტიზმი და ჩვენი ჟურნალისტები“, „სლავიანოფილთა და ნეო-სლავიანოფილთა შესახებ“, „მოსკოვსკიე ვედომოსტის მერყეობა“, „სალამი“ და სხვ.

ტომი V, 1966 წ.

ტომში შესულია ავტორის მიერ 1877 წელსა და 1878 წლის იანვარ-მაისის თვეებში გამოქვეყნებული სტატიე-

ბი, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთებში: „დროება“, „ტიფ-ლისსკი ვესტნიკ“, „ობზორ“, „გოლოს“. 1877 წელს, ნ. ნიკოლაძე — როგორც სამხედრო კორესპონდენტი იმყოფებოდა რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე და თავის უარღესად საინტერესო „სალაშქრო წერილებს“ აქვეყნებდა გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკსა“ და გაზეთ „გოლოსში“. ამავე ტომში მკითხველი გაეცნობა ავტორის ისეთ სტატიებს, როგორიცაა: „საახალწლო გოდება“, „ივერიის“ პირველი ნომერი“, „ობზორის“ დანიშნულება“, „ნ. ნეკრასოვი“, „ომი თუ მშვიდობა“, „კავკასიის უნივერსიტეტი“ და სხვ.

ტომი VI, 1970 წ.

აღნიშნულ ტომში დაბეჭდილი თხზულებები გამოქვეყნებული იყო 1878 წლის ივნის-ნოემბრის თვეებში, გაზეთ „ობზორში“, რომელსაც თვითონ ნ. ნიკოლაძე რედაქტორობდა. მათი უმეტესობა მიზნად ისახავდა საქართველოს სოციალ-ეკონომიკური პრობლემების, ადგილობრივი მმართველობის საქმიანობის და რუსეთის იმპერიის საგარეო და საშინაო ვითარების გაშუქებას.

რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებული თხზულებები თარგმნილია ქართულ ენაზე.

გამომცემლობის რედაქტორი დ. მანჯგალაძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ე. წერეთელი

სბ 1054

გადაეცა წარმოებას 13.01.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.02.8
საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 31. სააღრ.-საგამომც. თაბახი 27,5
ტირაჟი 5 000 შეკვეთის № 210

ფასი 8 მან 20 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.